

მამა ანანია

ქართულული

ცხოვრება

Нико Дадзани

# ЖИЗНЬ ГРУЗИН

ТЕКСТ ИЗДАЛ, ПРЕДИСЛОВИЕМ, ИССЛЕДОВАНИЕМ, КОММЕНТАРИЯМИ,  
УКАЗАТЕЛЯМИ И СЛОВАРЕМ СНАБДИЛ

Ш. В. Бурджанадзе

ნიკო ლალიანი

# ქართვედო ცხოვრება

ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები,  
საძიებლები და ლექსიკონი დაურთო  
შ. ბურჯანაძემ

სკეპ-2000  
შემოწმებული

ნიკო დადიანის „ქართველთ ცხოვრება“ ძვირფასი წყაროა ფეოდალური პერიოდის დასაეღეთ საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ისტორიის შესასწავლად. ის შედგება სამი ნაწილისაგან. პირველი და მეორე ნაწილი, რომელიც მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან 1750-იან წლებამდე, წარმოადგენს ფაქტიურად ეახუშტო ბაგრატიონის „საქართველოს ცხოვრებისა“ და სხვა ქართველ ავტორთა თხზულებების შემოკლებას (თუმცა აქ ნ. დადიანი იძლევა დამატებით ცნობებსაც, რომელთაც ქართული ისტორიული მეცნიერებისათვის გარკვეული ღირებულება აქვს).

ქართული ისტორიოგრაფიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ქართველთ ცხოვრების“ მესამე ნაწილი, რომელიც მოიცავს პერიოდს 1750-იანი წლებიდან 1823 წლამდე და, თუ არ მივიღებთ მხედველობაში სიგელ-გუჯარებს, წარმოადგენს ერთადერთ ნარატიულ საისტორიო წყაროს ამ დროის ლიხთ-იმერეთის შესახებ.

ნ. დადიანის „ქართველთ ცხოვრების“ ტექსტი მთლიანი საბოლოო ვერსია არსებული ნუსხის მიხედვით პირველად ქვეყნდება. აქამდე ის გამოცემული იყო მხოლოდ არასრული სახით და შერჩეული ნუსხის მიხედვით.

•

## წინასიტყვაობა

XVIII საუკუნის მეორე ნახევრისათვის ლიხთ-იმერეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში გარდატეხა შეიმჩნევა უკეთესისაკენ. იმერეთის მეფისა და ეკლესიის ხელისუფლება შედარებით გაძლიერდა და წამოიწია ეროვნული ერთობის მოძრაობა: ერთი მხრივ, აილაგმნენ გამთიშველი თავადები, ხოლო, მეორე მხრივ, გახშირდა სამხედრო და პოლიტიკური თანამშრომლობა იმერეთის მეფეებისა ქართლ-კახეთის მეფეებთან. ცნობილია ამ მხრივ, მაგალითად, არა ერთი სამხედრო კავშირი და თანაბრძოლა (1758, 1769, 1773, 1774, 1790, 1794, 1795 წლებისა და სხვ.), ისევე როგორც 1790 წლის ეროვნულ-პოლიტიკური ერთობის ტრაქტატი.

ამ პოლიტიკური ძვრების მთავარი მიზეზი იყო, ერთი მხრივ, რუსეთის ამოძრავება სამხრეთისაკენ და მის მიერ ამიერკავკასიაში თურქეთის ბატონობის დასუსტება, ხოლო, მეორე მხრივ, ქართული პოლიტიკისაგან ოსმალეთის ჩამოშორება.

ლიხთ-იმერეთის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში არც ერთი თხრობითი ისტორიული წყარო არ მოგვეპოვება. როგორც ცნობილია, ვახუშტის „საქართველოს ცხოვრება“ მოგვითხრობს პოლიტიკური წარსულის ამბებს 1740-იან წლებამდე. შემდეგი დროის თავგადასავალი ლიხთ-იმერეთის პოლიტიკური ცხოვრებისა აღარავის დაუწერია, გარდა ნიკო და დიანისა, რომელმაც თავისი „ქართველთა ცხოვრების“ სახით ერთი მხრივ, შეამოკლა ვახუშტის „საქართველოს ცხოვრება“ და, მეორე მხრივ, დაგვიტოვა გაგრძელება ლიხთ-იმერეთის პოლიტიკური თავგადასავალისა 1740-იანი წლებიდან 1820-იან წლებამდე.

ნ. დადიანის „ქართველთა ცხოვრება“ დღემდე არ გამხდარა სპეციალური შესწავლის საგანი და მის შესახებაც არ არის გამოთქმული სრული თეალსაზრისი, დაფუძნებული მისივე შინაარსის ანალიზზე. „ქართველთა ცხოვრების“ შესწავლა მიზნად დაისახა და თავის სამუშაო გეგმაში შეიტანა საქართველოს მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ისტორიული დოკუმენტებისა და არქივების განყოფილებამ. ამ უკანასკნელმა მისი შესწავლა გადაწყვიტა თხზულების ტექსტის გამოსაცემად მომზადებით. მხოლოდ ამის შემდეგ იყო შესაძლებელი ამ თხზულების შინაარსის შესწავლა მთელი მისი მოცულობით.

თხზულების შინაარსის შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ „ქართველთა ცხოვრება“ წარმოადგენს სასწავლო სახელმძღვანელოს საქართველოს ისტორიაში და იგი თავის ძირითად ნაწილში შედგენილია მრავალი ქართული ისტორიული წყაროს, განსაკუთრებით ვახუშტის „საქართველოს ცხოვრების“

შემოკლებით. ნ. დადიანი აქ უმეტეს წილად არ იჩენს თავის წყაროებთან კრიტიკულ-მეცნიერულ დამოკიდებულებას; იგი ბრმად იმეორებს მათ შეცდომებს, რაც, როგორც არადადიანისეული, ჩვენი სპეციალური კომენტარების გარეშე დარჩა. მაგრამ იქ, სადაც ნ. დადიანი თავის წყაროებთან დამოკიდებულებაში იძლევა სხვაობას, ჩვენ სპეციალურად განვმარტავთ. ასე რომ, კომენტარები ჩვენგან შედგენილია მხოლოდ ნ. დადიანის ტექსტისათვის. ამნაირად ვიქცევით ჩვენ იმიტომ, რომ კომენტარება ვახუშტისათუ სხვა ავტორების შეცდომებისა ნ. დადიანის შემოკლებული ტექსტის გამოცემაში უადგილოდ მივიჩნით.

კომენტარების ერთი ნაწილი ჩვენ შევადგინეთ ჩვენივე გამოკვლევის მიხედვით: „იმერეთის სამეფოს პოლიტიკური ისტორიისათვის XVIII საუკუნეში“, უადგილობის გამო რომ ვერ მოხვდა ამ გამოცემაში. მაგრამ ჩვენ სათანადო ადგილებში მაინც მივუთითებთ მასზე, რომელიც ხელნაწერის სახით ჩვენთან ინახება.

27. 11. 1961, თბილისი

ზ. ბურჯანაძე

## ნიკო დადიანის ცხოვრება და მოღვაწეობა

„ჯეროვანი არს, რომელ ყოველთვის წინ უნდა უსწროს საზოგადოებრივ კეთილობამან კერძობითსა სარგებლობასა“.

ნიკო დადიანი

### I

ნიკო დადიანი იყო გიორგი დადიანის ძის ვაჟი<sup>1</sup>. მის დედას ერქვა მარიამი. იგი იყო აბაშიძის ასული. მღვდელ როსტომ ჩიქვანისათვის ნაბოძებ ერთ წყალობის წიგნში წერია: „დადიანის ძემ ბატონისშვილმან გიორგიმ, თანაშემცხედრემან ჩემმან აბაშიძის ასულმან მარიამ და ძემან ჩემმან ნიკოლოზ“ გიბოძეთო და სხვ.<sup>2</sup> ეს დოკუმენტი 1792 წლისაა. უფრო ადრინდელი თარიღიანი საბუთი, რომელშიც ნიკო მოხსენებული იყოს, ჩვენ არ მოგვეპოვება. ამის მიხედვით კი ცხადია, რომ იგი 1792 წელს უკვე დაბადებული ყოფილა. მაგრამ მისი დაბადება, რა თქმა უნდა, ამაზე ადრე უნდა მომხდარიყო. იგი, მაგალითად, თავის დისშვილს, გრიგოლ ზურაბის ძე წერეთელს 1829 წელს პირად წერილში სწერდა, რომ „...რალა დროსი არის აწ ჩვენი მეგობრობის დაწუნება; დაებერდითო“<sup>3</sup>. მართალია, აქ ნათქვამი სიტყვა „დაებერდით“ არ უნდა გამოხატავდეს რეალურ სინამდვილეს, მაგრამ ის კი ცხადია, რომ აღნიშნული წერილის დაწერის დროს ნ. დადიანს ხანში შესულად უგრძენია თავი. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ 1829 წელს იგი შუახნის კაცი მაინც იქნებოდა და 1792 წელზე ადრეც უნდა დაბადებულიყო.

მაგრამ ნ. დადიანი 1780 წლის საბუთში არ არის მოხსენებული თავის დედ-მამასთან ერთად<sup>4</sup>. თუ ეს შემთხვევითი არაა, მაშინ უნდა მივიჩნიოთ, რომ ნ. დადიანი ჯერ კიდევ არ ყოფილა დაბადებული 1780 წელს, რომლის შემდეგაც იგი პირველად იხსენიება უკვე ცნობილ დოკუმენტში, 1792 წელს.

აქედან სარწმუნოა, რომ ნიკო დადიანი დაბადებული უნდა იყოს 1780—1792 წლებს შორის.

<sup>1</sup> გიორგი დადიანის ძეს ჰყავდა მეორე შვილიც—ასული ნინა, რომელიც, როგორც კორცხელის ეკლესიაში მისი საფლავის ქვის წარწერა მეტყველებს, მეუღლესთან 17 წლის ნაცხოვრები გარდაიცვალა 1815 წ. ნოემბერში (ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი სამეგრელოში, წიგნში: ძველი საქართველო, III, 201). აქვე უნდა ეთქვას, რომ ე. თაყაიშვილისგან დაბეჭდილ ტექსტში ნინას გარდაცვალების თარიღად წერია „ჩემ“ მაგრამ უნდა იყოს ჩყავ, ვინაიდან ეპიტაფიაში წერებულა, რომ ქვა დაუღვია ნიკო დადიანს 1815 წელს (იქვე).

გიორგი დადიანის ძეს უნდა ჰყოლოდა მეორე ქალიც, თამარი, რომელიც ჯრუჭის საზარტის მინაწერში „გიორგი დადიანის ასულად“ არის წოდებული (ქართულ ხელნაწერთა H კოლექციის აღწერილობა, IV, 94).

<sup>2</sup> საქ. მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd—8326.

<sup>3</sup> იქვე, Sd—1447, ავტოგრაფი.

<sup>4</sup> იქვე, Ad—1293.

ამ ვარაუდის საფუძველზე სწორი უნდა იყოს ის ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ი. მეუნარგია აღნიშნავს, რომ 1834 წელს ნ. დადიანი „შუა ხნის“ კაცი გარდაიცვალა<sup>1</sup>.

ნიკო დადიანის მამა გიორგი დასწავლდა დღნორის და გარდაიცვალა ზოგიშ 1799 წლის 15 დეკემბერს<sup>2</sup>.

ამის შემდეგ ოჯახის საქმეებს გაძღოლია მარიამ აბაშიძის ასული თავის შვილ ნიკოსთან ერთად. მღვდელ გიორგი ბერიძისადმი 1816. VII.5 წყალობის წიგნში ისინი ამნაირად იხსენიებიან: „აბაშიძის ასულმან მარიამმა და პირშომან ძემმან ჩემან... ნიკოლაი დადიანოვიმ“ გიბოძეთო და სხე.<sup>3</sup>

ნიკო დადიანის მამის ოჯახი დაახლოებული იყო ოდიშის მთავრებთან—ჯერ გრიგოლთან, შემდეგ ლევან V-სთან. მისი მამა გიორგი ისტორიულ საბუთებში კაცისა და ნიკოს შემდეგ და მათთან ერთად ოტია დადიანის ძედ იწოდება<sup>4</sup>. აქედან: კაცია დადიანი და ჩვენი ისტორიკოსის მამა ძმები ყოფილან, ხოლო მათი შვილები—გრიგოლ დადიანი და ჩვენი ისტორიკოსი—ბიძაშვილები<sup>5</sup>; ამასთანავე, გრიგოლ დადიანის ძეს, ლევან V დადიანს ბიძად ერგებოდა „ქართველთ ცხოვრების“ ავტორი.

ამ ნათესაობის გამო თავისუფლად შეიძლებოდა ნიკოს მამა მთავრებთან დაახლოებული და გავლენიანი პირი ყოფილიყო.

ნიკო დადიანიც თავის ისტორიულ თხზულებაში მამამისს, ბიძას გრიგოლ დადიანისას, უწოდებს მთავრის „საქმის გამგებელს“<sup>6</sup>. გრიგოლ დადიანისათვის იმდენად სანდო ყოფილა ნიკოს მამა გიორგი, რომ ამ უკანასკნელისათვის მას თავისი ძე ლევანიც მიუცია აღსაზრდელად. ჩვენი ისტორიკოსი ამის შესახებ წერს: სოლომონ მეორემ რომ ბრძოლა დაიწყო გრიგოლ დადიანის წინააღმდეგ დასავლეთ საქართველოს გასაერთიანებლად, იმ პერიოდში „ერთგულებდა ბიძა თვისი გიორგი გრიგოლ დადიანს, ვინაიდან ზრდიდა შეილსა მისსა ლეონს ბიძა თვისი გიორგი“<sup>7</sup>.

ამიტომაც იყო, რომ „გრიგოლ დადიანი ძალიან შეაწუხა ბიძამისის გიორგის გარდაცვალებამ და ზოგიზიდან, სადაც იგი მოკვდა, ცხედარი „წარმოიღო ღიდის პატივით,—წერს ნ. დადიანი,—და მოასვენა სამარხოსა მამა-პაპათა თვისთა და დამარბა მარტვილს შესაფერითა პატივითა“<sup>8</sup>.

ქმართან ერთად ლევან V-ის აღზრდაში მონაწილეობა მიუღია, ცოლს, მარიამ აბაშიძის ასულსაც. ასე, მაგალითად, ნ. დადიანი თავის იურიდიულ თხზულებაში—„დასტურ-ლამაში“—მთავარ ლევან V-ს უწოდებს თავისი „მოხუცებული დედის აღზრდილს.“<sup>9</sup>

<sup>1</sup> ურნ. „მოამბე“, 1896, № 4, გვ. 45.

<sup>2</sup> ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, წიგნში: ე. თაყაიშვილი, Описание рукописей..., I, გვ. 23—24.

<sup>3</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad—1074.

<sup>4</sup> ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. II. 1921, გვ. 10; ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd—7974. იქვე, Ad—1099.

<sup>5</sup> შდრ. Акты, II, გვ. 505.

<sup>6</sup> „ქართველთ ცხოვრება“, წიგნში: ე. თაყაიშვილი, Описание..., I, გვ. 24; შდრ.; Акты, II, გვ. 517.

<sup>7</sup> Опис..., გვ. 21.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 24.

<sup>9</sup> ურნ. „მოამბე“, 1896, № 5, გვ. 20.



ნ. დადიანს თავის სიცოცხლეში ორი ცოლი ჰყავდა. მისი პირველი ცოლი იყო გურიის ერისთავის ასული მარიამი, რომლისგანაც უნდა შესძენოდა ძე გიორგი. ერთიც და მეორეც იხსენიებიან 1802 წლის 7 ივნისისა და ერთ სხვა უთარილო დოკუმენტში<sup>1</sup>.

ერისთავის ასული გარდაცვლილა და ნ. დადიანს მეორე ცოლად შეურთავს თავად მარშანის ასული ეკატერინე. 1829 წ. 19 მაისის დოკუმენტში ნ. დადიანის თანამეცხედრე ეკატერინესთან ერთად მოხსენებული არიან მისი ძენიც: გიორგი, ბესარიონ, ალექსანდრე, პეტრე და პავლე<sup>2</sup>.

ამას გარდა, ნ. დადიანს ჰყოლია, როგორც ი. მეუნარგია ვადმოგვეცემს ნ. დადიანის შთამომავლობის კარგი მცოდნის მალაქა ჩაჩბაიას ნათქვამის მიხედვით, კიდევ ორი ასული: ბათუ და კესარია<sup>3</sup>. უკანასკნელი, წერს რა თვითონ ნ. დადიანი თავის ისტორიულ თხზულებაში, ცოლი გახდა ალი-ბეგ (ალექსანდრე) შარვაშიძისა, რომელიც მფლობელი იყო შუა სოფლისა აფხაზეთში<sup>4</sup>. ბათუ ანუ ეკატერინე დედა იყო ცნობილი პოეტის მამია გურიელისა<sup>5</sup>.

ნ. დადიანის ეპიტაფიაში მის ძეებად მოხსენებული არიან გიორგი, ბესარიონ, პეტრე და პავლე<sup>6</sup>. ამასვე იმეორებს ი. მეუნარგიაც ჩაჩბაიას ნათქვამის მიხედვით<sup>7</sup>. მაგრამ 1829 წ. 19 მაისის დოკუმენტში, როგორც ახლახან ვნახეთ, დამატებით მოხსენებულია, მესხეთე ძე, ალექსანდრე. თუ ეპიტაფიაში არ გამოჩნებიან ამ ვაჟის სახელი. მაშინ უნდა ვითქვოდეს, რომ იგი ადრევე გარდაცვლილა.

ნიკო დადიანი გარდაიცვალა 1834 წლის 25 თებერვალს და დაიმარხა მარტვილის მონასტერში. ეს თარიღი აღნიშნულია მისი საფლავის ქვის წარწერაზე ბარტვილის მონასტრის სამხრეთ ეკვდერში<sup>8</sup>.

ნ. დადიანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: სამეგრელოს მაშინდელმა მიტროპოლიტმა დავით ზურაბის ძე წერეთელმა, რომელიც დისწული იყო ნიკო დადიანისა და, მუშასაღამე, მამიდა-შვილი მისი მემკვიდრეებისა<sup>9</sup>, შეაჩერებინა დამარხვა ნ. დადიანის ცხედრისა, ისე რომ უკანასკნელი დაუმარხავი იყო 14 მარტსაც. ამისი მიზეზი ის იყო, რომ დავით მიტროპოლიტს რაღაც უსიამოვნება შეხვედრია თავისი ბიძაშვილებისაგან<sup>10</sup>. ბარონ როზენმა რომ ამისათვის საყვედური და მუქარა შეუთვალა დავით მიტროპოლიტს, ამ უკანასკნელმა შენდევ იმერეთის არქივისკოპოს სოფორნიოსს აკურთხებინა და დაამარხვინა ნ. დადიანის ცხედარი<sup>11</sup>.

როგორც ამ მიმოხილვიდან ირკვევა, ნიკო დადიანს, დაბადებული 1780—1792 წლებს შორის, უნდა ეცხოვრა 43—54 წელიწადი.

<sup>1</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd—8331, 7973.

<sup>2</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd—6821.

<sup>3</sup> იურნ. „მოამბე“, 1896. № 4, გვ. 46.

<sup>4</sup> „ქართულთ ცხოვრება“, წიგნში: გ. თაყაიშვილი, Описание...I, 52.

<sup>5</sup> მამია გურიელი, ლექსები, 1897, ქუთაისი, ი. მეუნარგიას წინასიტყვაობა, გვ. VII.

<sup>6</sup> გ. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი სამეგრელოში, წიგნში: ძველი საქართველო, III, გვ. 128.

<sup>7</sup> იურნ. „მოამბე“ 1896, № 4, გვ. 46.

<sup>8</sup> გ. თაყაიშვილი, არხეოლოგ. მოგზ. სამეგრ., წიგნში: ძველი საქართველო, III, გვ. 128.—ნ. დადიანის სიკვდილის თარიღად აახელებენ აგრეთვე 24 თებერვალს (ქართულ ხელნაწერთა აკოლექციის აღწერილობა, IV, 267; АКТЫ, VIII, 436). მაგრამ ზენ უპირატესობას ვანიჭებთ ეპიტაფიის ცნობას, რომელიც ნ. დადიანის ვაჟებისგანაა დატოვებული.

<sup>9</sup> შდრ. ქართ. ხელნაწ. H კოლექციის აღწერილობა, IV, 94.

<sup>10</sup> АКТЫ, VIII, 436—ამ ცნობაზე მიგვიითთა ნათელა რამიშვილმა.

<sup>11</sup> იქვე, 437.

ნიკო დადიანის გენეალოგიისათვის

ოტია დადიანი (+1768)

გიორგი (+1799)

კატია დადიანი (+1768)

ანტონ ჭყონდიდელი ნიკოლოზ

ნიკოლაჲ დადიანოვი ჰირველი (+1834)

გრიგოლ დადიანი (+1804)

გიორგი (+1822) ნიკოლაჲ

ნიკოლაჲ დადიანოვი შერთე (+1847)

ლევან დადიანი (+1848)

ნ. დადიანი იყო თავისი დროისათვის განათლებული პირი. იგი აეტორია არა ერთი ორიგინალური თხზულებისა, მკითხველი, მოყვარული და მფლობელი მრავალი წიგნისა. თავის დისწულსა და მეგობარს გრიგოლ ზურაბის ძე წერეთელს 1829 წ. 15 თებერვალს იგი სწერდა: „... კვინტოს კურციუსის წიგნი ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრება ან თელემაქი და ან ტროადის აღების ისტორია... ამ ჩემის ბესარიონის ხელით გამამიგზ[ა]ქნე... მაგრამ უფრო ვთხოვ ალექსანდრეს ცხოვრება მათხოვო<sup>1</sup>. აქ „თელემაქთან“ დაკავშირებით ლაპარაკია ფრანგი აეტორის ფენელონის ტელემახიადზე, რომლის რუსულად გადაკეთებული ვარიანტი, შესრულებული ტრეტიაკოვისაგან, გადმოთარგმნილი იყო ქართულად<sup>2</sup>, კვინტოს კურციუსის წიგნიც—საქმეთათვის ალექსანდრე დიდისა მეფისა მაკედონელისა“—რუსულიდან იყო თარგმნილი ანტონ პირველის მიერ<sup>3</sup>.

ნ. დადიანი გაცნობილი ყოფილა დავით ფურცელაძის რუსულიდან ნათარგმნ ისტორიულ თხზულებას, „ათინაიდასაც“<sup>4</sup>.

ცნობილია, რომ მარტვილის მონასტრის პარაკლიტონი, დაწერილი გიორგი მდივნის მიერ, მღვდელ დავით ჩიხლაძისაგან შეისყიდა ნ. დადიანმა: „ვიყიდე... სახმარადო“<sup>5</sup>.

ნ. დადიანს ჰქონდა აგრეთვე იმავე მონასტრის სადღესასწაულო, რომელიც მისთვის 1816 წ. 14 აგვისტოს იოანე ცაგერელ მიტროპოლიტის უბოძებია<sup>6</sup>. იგი ფლობდა თავის ბიბლიოთეკაში ანტონის „წყობილისტუბობას“, „ქართლის ცხოვრებას“, „მითოლოგიას“<sup>7</sup> და ა. შ.

ნიკო დადიანი თავის მოღვაწეობაში დიდ ყურადღებას აქცევდა ეკლესიისათვის სამსახურს. კორცხელის ეკლესია, აშენებული ლევან II დადიანის მიერ და დროთა ვითარებაში დაზიანებული, მან მთლიანად განაახლა. საყდრის სვეტზე აღბეჭდილი მხედრული წარწერა 1815 წლის 12 ივნისისა შემდეგს შეტყველებს: „ყოვლად შეუმკობელისა და დარღვეულისა ეკლესიისა ამის განმსახლებელი, აღმაშენებელი და შემამკობელი ნიკოლა დადიანი გუშდრებ აღმოკვითხველთა, შეწყალება ჩემი ღვთისა მიერ ითხოვით“<sup>8</sup>. იმავე ტაძრის კანკელზე ბროსისაგან ამოკითხული წარწერის მიხედვით, ნ. დადიანს კორცხელის ეკლესია განუახლებია 1811 წელს<sup>9</sup>, ასე რომ განახლება მომხდარა რამდენიმე წლის განმავლობაში.

ამასთანავე, ამ მხრივ საყურადღებოა ისიც, რომ თავისი დღიურის ქვედა ყდაზე ნ. დადიანს მიწერილი აქვს; „ახალდაბის ეკლესიის შენება დავიწყე წელს 1824, ივნისის 4“<sup>10</sup>.

<sup>1</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd—1447. აეტოგრაფი.

<sup>2</sup> ცნობა მომწოდოა ჰრისტინე შარაშიძემ.

<sup>3</sup> ეს ცნობა მომწოდოა აპოლონ როგავამ.

<sup>4</sup> ქართ. ხელნაწერთა Q კოლექციის აღწერილობა, II, 1958, გვ. 193.

<sup>5</sup> ქართ. ხელნაწერთა Q კოლექციის აღწერილობა, I, 83.

<sup>6</sup> იქვე, 82.

<sup>7</sup> ქართ. ხელნაწერთა S კოლექციის აღწერილობა, I, 337, 400.

<sup>8</sup> ე. თაყაიშვილი, არხეოლოგ. მოვზ., იქვე, 201; ეურნ. „მათაბე“, 1896, № 4, გვ.

<sup>9</sup> ე. თაყაიშვილი, იქვე, 202.

<sup>10</sup> ზუგდიდის ისტ.-ეთნ. მუზეუმი, ხელნაწ. წიგნების ფ., სია 3, № 887.

ამჯერად ჩვენ მოკლებული ვართ შესაძლებლობას გადაჭრით ვთქვათ, რომელი ახალდაბაა ეს—ოჩამჩირისა თუ ოკრიბისა?

ამიტომაც უნდა ყოფილიყო, რომ ნ. დადიანი დიდი გავლენითა და ავტორიტეტით სარგებლობდა ეკლესიაში. ცნობილია, მაგალითად, ის, რომ არქიმანდრიტმა და მოძღვართ-მოძღვარმა გიორგი კუხალაშვილმა ნიკო დადიანს სთხოვა და დააწერინა ხუთი ქადაგება ეკლესიაში საკითხავად<sup>1</sup>.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ნ. დადიანი იჩენდა სიყვარულს სამხედრო საქმისა და ეკლესიისადმი. ასე, მაგალითად, ვაძარებთ რა „ქართველთ ცხოვრების“ გეოგრაფიულ აღწერილობებს, ვახუშტის დედანთან, ეხედავთ, რომ ნ. დადიანი ყველაზე მეტი სისრულით გადმოსწერს ციხე-სიმაგრეებისა და ეკლესია-მონასტერთა აღწერილობებს, მაშინ როცა აღწერილობათა დანარჩენი ნაწილიდან შედარებით ბევრს გამოტოვებს. ამასთანავე, თავის ტექსტში იგი უმატებს საეკლესიო ხასიათის განმარტებებს, რაც ვახუშტისთან ან „ქართლის ცხოვრების“ შესატყვის თხზულებებში არ მოიპოვება. ასე, მაგალითად, გიორგი VII-ის მეფობაში რომ ელიოზ კათალიკოსი გარდაიცვალა და მეფემ მის ადგილზე დასვა მიქაელ, ვახუშტი ამას ამით ამთავრებს<sup>2</sup>, ისევე როგორც ბერი ევნატაშვილიც<sup>3</sup> და ახალი ქართლის ცხოვრების მეორე ტექსტიც<sup>4</sup>. ნ. დადიანი კი ამას შემდეგ განმარტებას უმატებს: მეფემ დასვა კათალიკოსი „უენათგან ძველითგანეე ჩეულება იყო, რომელ კათალიკოსნი აღრჩევითა და ნებითა და ბრძანებითა მეფისათა მიიღებდენ ქურთხევასა და ტახტსა“<sup>5</sup>.

ამრიგად უნდა იქცეოდეს ნ. დადიანი სწორედ იმიტომ, რომ იგი იყო სამხედრო საქმის მცოდნე და, შეიძლება, ამასთანავე სასულიერო განათლება მიღებულ იც.

ნ. დადიანი თავისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის დიდ მანძილზე განაგებდა ოდიშის სამთავროში მართლმსაჯულებას და ეჭირა მსაჯულთუხუცესის პოსტი. „მსაჯულთუხუცესად“ იწოდება იგი თავის ანდერძში, რომელიც დართული აქვს მისგანვე 1826 წელს გადაწერილ „ველიზარს“<sup>6</sup>. ლევან V დადიანი მას თავისი სამთავროს „მდივანბეგთუხუცესს“ უწოდებს 1823 წლის 29 დეკემბრის საბუთში<sup>7</sup>.

ჩვენს განკარგულებაშია ერთი დოკუმენტი, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს წარმოვადგინო ვიქონიოთ ნ. დადიანის საქმიანობაზე მართლმსაჯულების სფეროში. იგი თავის ძეგს, პრაპორშიკსა და კავალერს პეტრეს, და გლახუა ახელედინანს ლევან გელოვანის ქვრივის, მარკია წულუკიძის ასულისა და მისი ბებულების მზრუნველებად ნიშნავს: „ჩავაბარეთ თქვენ... მარკია წულუკიძის ასულს, ლევან გელუანის მეუღლეს და მის შვილებს... ყური უგდეთ... უსამართლობა არ დაემართოს... მის შვილებს და მის ყმებს საუსამართლოდ

<sup>1</sup> ქართულ ხელნაწერთა H კოლექციის აღწერილობა, III, გვ. 4—5; ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, I, 1953, გვ. 419—420.

<sup>2</sup> საქ. ისტორია, I, 1885, გვ. 290.

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 339—340.

<sup>4</sup> იქვე, 473.

<sup>5</sup> აქვე, ტექსტი, წიგნი, I, 75-ე მეფე.

<sup>6</sup> ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, I, გვ. 425.

<sup>7</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd—6816.

ნურავის დაანებებთ; ან ვინმემ ყმა არ წაართვას, ან ადგილი, ან მამული ან მათ და ან მათ ყმას. და თუ ვინმემ სამართალი მისგან ითხოვოს, თქვენგან შესაძლებელი თუ იყოს, თქვენ გარდასწყვიტეთ სამართალი, და თუ თქვენ ვერ შეიძლოთ და ჩემამდის მოაწვიებდეთ და მე განვაგებ ამის საქმეს“<sup>1</sup>.

მაშასადამე, ნ. დადიანი მართლმსაჯულების დარგში თავისი საქმიანობით ხელს უწყობდა ფეოდალური კლასის გამაგრება-შენახვის საქმეს. ამ მხრივ სეკულარდობა აგრეთვე მისი მონაწილეობა იმერეთის თავადების აგიაშვილთა საქმეში. ქაიხოსრო აგიაშვილის ძეებმა იოანემ, დავითმა, სვიმონმა და გიორგიმ 1817 წლის 21 აგვისტოს ერთობისა და უფროს-უმცროსობის წიგნი დაწერეს და ხელშეკრულება დადეს: ჩვენს შორის მტრობამ იჩინა თავი და „შეერთება და მშვიდობა მოვიწოდომეთ... და ჩვენდა შესაერთებლათ მოვიყვანეთ ჩვენი მოყვარე, მისი უგანათლებულესობა ნიკოლოზ დადიანის ძე, რადგან მის შორის ეხედავდით საზოგადოდ სიყვარულსა ჩვენსა და მისითა შუამდგომლობით გავრიგდით, შევერთოდით“<sup>2</sup>.

მაშასადამე, ნ. დადიანი ყოფილა „მოყვარე“ თავად აგიაშვილებისა, რომელთაც იგი შუამდგომლად მიუწვევიათ თავიანთ საქმეში.

დოკუმენტში ორ ადგილას ხელშეკრულებითი აქტის მოწმეებად დასახელებული არიან ქაიხოსრო აგიაშვილის ერთ-ერთი ძე ანტონ წინამძღვარი, ლევან იაშვილი და გიორგი (გოგია) ყიფიანი. მაგრამ მათთან ერთად არსად დოკუმენტში ნ. დადიანი არ იხსენიება. ეს კი იმის ნიშანია, რომ ნიკოლოზ დადიანის ძეს თავადი აგიაშვილები რიგითს თანამოწმედ კი არ თვლიდნენ, არამედ იგი მიაჩნდათ საპატიოდ მოწვეულ, მაღალი თანამდებობის ოფიციალურ პირად, რომლის მორალური გავლენითაც მათი შეერთების აქტი იქმნებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ნ. დადიანი მხარს უჭერდა და იცავდა ქართულ ფეოდალიზმს, მართლმსაჯულების დარგში თავისი მუშაობის, გამოცდილების, დაკვირვებისა და ცოდნის შედეგად იგი მისულა შემდეგ დასკვნამდე: „ჩვეულება ძველნი აზიურთა ქცეულებათანი კეთილთა წესდებულებათა დამბარკოლებელ იქმნებიან და განრყენილად იხედებიან ყოველნი წესნი გონიერებათანიო“<sup>3</sup>.

ვინაიდან, აქედან გამომდინარე, ნ. დადიანს აზიური (მაშასადამე, ქართულიც) ზნე-ჩვეულება, რეჟიმი შემდგომი სოციალური პროგრესის დამბარკოლებლად მიაჩნდა, მან ამ დაბრკოლების დაძლევის მიზნით ოდიშის მთავარ ლევან დადიანისათვის დაწერა „დასტურ-ლამა“ — „სამთავრო წესდებულება და განკარგვა მფლობელობათა“<sup>4</sup>.

ამას გარდა, ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერი წიგნების ფონდში (სია 3, № 887) ინახება ნ. დადიანის პირადი დღიური, რომელშიც ანუსხულია მისი მოღვაწეობიდან მეტწილად იურიდიული მნიშვნელობის მქონე საქმეები. დღიური შეიცავს 1824 წლის 2 იანვრიდან

<sup>1</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd—1159, ავტოგრაფი.

<sup>2</sup> ო. ს. ოსტოი, მასალები დასავლეთ საქართველოს სათავადოების მმართველობის ისტორიისათვის, წიგნში: მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1954, საბ. № 24, გვ. 196.

<sup>3</sup> ნ. დადიანი, დასტურ-ლამა, გამომცემი ი. მუჟრნაგისი, 1897, გვ. 9—10.

<sup>4</sup> ეურნ. „მოამბე“, 1896, № 4, გვ. 43.

1834 წლის 22 თებერვლამდე შესრულებულ საქმეებს და შედგენილია თვითონ ნ. დადიანისაგან. იგი მდიდარ წარმოდგენას იძლევა ნიკო დადიანის პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაზე და მისი ბიოგრაფიისათვის ერთ-ერთ წყაროდ უნდა ჩაითვალოს.

ნ. დადიანის პიროვნებისათვის ყურადღებას იქცევს ის მინაწერი, რომელიც მას წაუძღვარებია თავისი დღიურისათვის: „ჯეროვანი არს, რომელ ყოველთვის წინ უნდა უსწროს საზოგადოებრივ კეთილობაჲს კერძობითსა სარგებლობასა“. მაშასადამე, ნ. დადიანს ადამიანის დანიშნულებად მიაჩნდა საზოგადოებისათვის სამსახურის გაწევა, რასაც კარიერისმზე მალა აყენებდა. მისი პიროვნება ამით საზოგადო მოღვაწის სიმალღეზე დგას.

1805 წელს ნ. დადიანი პეტერბურგს იყო წასული ოფიციალური დავალებით. 1806 წელს მას მოუხდა რუსეთში მოგზაურობა და ამის შედეგად დაწერა „მიმოვლა ნიკოლაჲ დადიანოვისა“<sup>1</sup> (რომელიც ამჟერად დაკარგულად უნდა ჩაითვალოს).

ნ. დადიანს უწერია მდარე ხარისხის ლექსებიც<sup>2</sup>.

იგი ყოფილა გადამწერი მოკლე ქართული გრაზტიკისაც, რომელიც მიუძღვნია ანტონ კყონდიდელისათვის<sup>3</sup>. მანვე ნოდის სასახლეში 1826 წელს გადაწერა აგრეთვე ფრანგი ავტორის მარმონტელის ველიზარი, თარგმნილი რუსულად იმპერატორ ეკატერინე II-ის მიერ და რუსულიდან ქართულად გაიოს არბიმანდრიტისაგან კრემენიუსს 1787 წელს<sup>4</sup>.

ნ. დადიანი, როგორც ავტორი, ჩვენთვის ყველაზე მეტად საინტერესოა ისტორიული თხზულებით, „ქართველთ ცხოვრებით“, რომელიც მნიშვნელოვან განძს წარმოადგენს ქართული ისტორიული მეცნიერებისათვის. მაგრამ ამაზე ჩვენ აქვე საგანგებოდ და ვრცლად გვაქვს საუბარი.

### III

ლევან V დადიანი ახლახან დასახელებულ 1823 წლის დოკუმენტში ნ. დადიანს, გარდა „მდივანბეგთხუცესისა“, „სრულიად ლეჩხუმის სარდალ-მოურავსაც“ უწოდებს<sup>5</sup>.

უფრო ადრე, 1810 წელს, ოდიშის დედოფალმა ნინამ დანიშნა ნ. დადიანი ლეჩხუმის მოურავად, არ დააკმაყოფილა რა პოლკოვნიკ სიმონოვიჩის მოთხოვნა და ჩამოართვა ეს თანამდებობა ბერ გელოვანს. 1810 წლის 7 ივნისის წერილში ტორმასოვისადმი პოლკოვნიკი სიმონოვიჩი ნაღვლიანად აღნიშნა, რომ გელოვანის ყოფნა რუსეთის სარდლობისათვის ახლანდელ კრიტიკულ მომენტში უფრო სასარგებლო იქნებოდა<sup>6</sup>. ასე რომ, რუსეთის სარდლობა მაშინ ამჯობინებდა ლეჩხუმში გელოვანის უფროსობას, ვიდრე იქ დადიანის სახლს ებატონა, რასაც მტრულად ეკიდებოდა თავადი გელოვანიც.

<sup>1</sup> ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება. წიგნში: ე. თაყაიშვილი, Описание., II, გვ. 33.

<sup>2</sup> ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტის აღწერილობა, III, გვ. 358; ე. თაყაიშვილი, Описание..., II, 376; მ. ჯანაშვილი, Описание рукописей церковного музея, III, 276.

<sup>3</sup> მ. ჯანაშვილი, იქვე, 275.

<sup>4</sup> ქუთაისის მეჩუქეთის ხელნაწერთა აღწერილობა, I, გვ. 425.

<sup>5</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd—68!6.

<sup>6</sup> Акты, IV, № 358, გვ. 279.

ნ. დადიანის მოღვაწეობა ძირითადად მოდის პოლიტიკურსა და სამხედრო მხარბიელზე.

პოლიტიკურ ასპარეზზე იგი პირველად გვევლინება 1805 წელს, როცა გრიგოლ დადიანის გარდაცვალების შემდეგ სამთავროს მეთაურობა ხელში აიღო მისმა ქვრივმა ნინა დედოფალმა; ნიკო დადიანი შეყვანილ იქნა სამთავროს უმაღლეს საგამგეო საბჭოში, რომელიც შედგებოდა ოთხი წევრისაგან და დაარსებული იყო ნინა დედოფლის დასახმარებლად<sup>1</sup>.

ნ. დადიანი, როგორც ქვეშევრდომი ოდიშისა, ერთგულებას იჩენდა მისი მთავრისადმი. 1806 წლის ოქტომბერში გრაფ გუდოვიჩისათვის მიცემულს რჩევის წერილში იგი არც მთავარ დადიანის ინტერესებს იეიწყებდა და იმედს გამოთქვამდა, რომ რუსეთის სარდლობა დაუბრუნებდა ოდიშის მთავარს ჭყვიშის ციხესა და საჭილაოს<sup>2</sup>.

თავის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ ნ. დადიანი ლაპარაკობს „ქართველთ ცხოვრების“ უკანასკნელ ნაწილში, რომელიც მის მიერვეა შეთხზული (იხ. აქვე, ტექსტი, წიგნი III). იგი 1808 წელს ლაშქრობდა ლევან დადიანთან ერთად, როგორც სარდალი სამეგრელოს ჯარისა, აფხაზეთში, სადაც მათგან გამთავრებულ იქნა ლევან დადიანის სიძე; ასლან ბეგისაგან მოკლული მთავარ ქელაიშ აჰმედ-ბეგ შარვაშიძის შვილი საფარბეგო<sup>3</sup>.

ნ. დადიანი თავის მთავარს ახლდა ჭირიანობის დროს, 1811 წელს, სამურძაყანოში, სადაც სამოქალაქო უწყსრიობამ (ტყუის სყიდვა და სხვ.) იჩინა თავი<sup>4</sup>. ნ. დადიანი ლაშქრობდა 1812 წელსაც სამურძაყანოში ლევანისა და მისი ძის ხუტუნია შარვაშიძეების დასადაცლად, რომლებმაც მოკლეს ლევან დადიანის სიძე და მისგანვე სამურძაყანოს განმგებლად დადგენილი მანუჩარ შარვაშიძე. ლაშქრობა მოხდა ლევან დადიანისა და ჩვენი ისტორიკოსის სარდლობით ბედიის ციხეზე, რომელიც აღებულ იქნა რუსისა და ქართველთა ლაშქრის მიერ. ციხის გასამაგრებლად ლევან დადიანმა იქ ნიკო დადიანი დატოვა<sup>5</sup>. სამურძაყანოში ოდიშის მთავრის ბატონობის უზრუნველყოფის მიზნით ნ. დადიანმა მაშინ იქ ყოფნისას გაამაგრა ბედიის ციხე<sup>6</sup>.

თავისი პრაქტიკული მოღვაწეობის მთელ მანძილზე ნიკო დადიანი გვევლინება როგორც ერთგული მსახური რუსეთის იმპერატორის პოლიტიკისა ლიხთ-იმერეთში და შავი ზღვის საქართველოს სანაპიროზე.

მემართოთ ისტორიულ ფაქტებს.

1804 წლის შემოდგომაზე რომ რუსეთის ლაშქარი ყულევში მოვიდა, მასთან შესახვედრად ბესარიონ ჭყონდიდელი, პეტრე მხეიძე, ქაიხოსრო ჯაიანი და სახლთუხუცესი გიორგი ჩიქვანი გაეშურნენ. „მეც მათთანა ვიყავ“ და

<sup>1</sup> ნ. დადიანს გარდა, საბჭოში შედიოდნენ: ბესარიონ ჭყონდიდელი, სახლთუხუცესი გიორგი ჩიქვანი და ლეჩხუმის სარდალ-მთურავი ბერი გელთვანი (შდრ. ჩვენი „იმერეთის სამეფოს პოლიტიკური ისტორიისათვის XVIII საუკუნეში“, თავი VII).

<sup>2</sup> Акты, III, გვ. 125—6.

<sup>3</sup> ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, წიგნი: ე. თაყაიშვილი, Описание... I, გვ. 35.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 43.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 44—45; შდრ. მ. დუშბაძე, დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, 1957, გვ. 227.

<sup>6</sup> ე. თაყაიშვილი, Описание..., т. I, вып. I, 1902, გვ. 45.

„მივეგებებით სხარულით და აღმოუტანეთ ყოველნი ტვირთნი მათნი და წარმოუძებვიეთ მხედრობას“, — ამბობს ნ. დადიანი<sup>1</sup>.

ნ. დადიანის ერთგულება რუსეთისადმი თვითონ რუსებისთვისაც მალე ნათელი გახდა და ამიტომაც იგი მათგან სანდო კაცად იქნა მიჩნეული. ასე, მაგალითად, 1805 წელს რომ საკითხი დაისვა იმპერატორის კარზე ოდიშის დეპუტატების გაგზავნისა, გენერალ რიკპოლისა და ლიტვინოვის მიერ ბეჟან მანუჩარის ძე დადიანის შვილსა და კარის დეკანოზ იოანე სიმონის ძე იოსელიანთან ერთად ნიკო დადიანიც იქნა გაგზავნილი რუსეთს<sup>2</sup>.

ოდიშის დეპუტატებმა გაიარეს იმერეთით თბილისზე გენ. ციციანოვთან, ხოლო შემდეგ სამხედრო გზით კავკასიონი გადაიარეს და მივიდნენ პეტერბურგს, სადაც იმპერატორ ალექსანდრე პირველს ოდიშის სამთავროზე რუსეთის მუარველობისათვის მადლობა გადაუხადეს და მიართვეს ნინა დედოფლისაგან საჩუქრად ოდიშიდან წაღებული ქლაქერის ღვთისმშობლის ხატი<sup>3</sup>.

დეპუტატებმა რუსეთში დაყვეს ერთი წელი<sup>4</sup>. როგორც წინ ითქვა, მაშინ ნ. დადიანმა დაწერა ამ მოგზაურობის მთაბეჭდილებანი ცალკე თხზულებად.

რუსეთის მთავრობამ ოდიშის დეპუტატები დააჯილდოვა. ნიკო დადიანს ებოძა პოლკოვნიკობა და ანას პირველი ხარისხის ორდენის კავალრობა, აგრეთვე ძვირფასი ბეჭედი და თვლებით მოოქვილი სათუთუნე, თან ფულიც<sup>5</sup>.

დეპუტატები უკან გამობრუნდნენ ყირიმით და მოვიდნენ ყულევს, აქედან — ბანძას, სადაც მათ შეხვდნენ ლევან დადიანი და მისი დედა ნინა-დედოფალი<sup>6</sup>.

რუსეთ-თურქეთის ომში ნ. დადიანი მეგრელთა ლაშქრით იბრძოდა რუსეთის სარდლობის მხარეზე ფოთის ციხის ასაღებად (1809 წ.). მაშინ მან მიიღო მონაწილეობა აგრეთვე რუსეთის სარდლობის მხარეზე მამია გურიელის გადმობირებაში<sup>7</sup>. ნ. დადიანს გურიელისათვის შეუჩენია ვახტანგ გურიის ერისთავი: „დავიწყე საუბარი მე, — წერს, იგი, — ვახტანგ როსტომის ძის ერისთავთანა, რომელი იყო ცოლისძმა ჩემი და მას ეამსა პირველობდა სრულსა გურიასა ზედა“<sup>8</sup>.

გურიელის ჩარევამ კი, როგორც ცნობილია, რუსეთის სარდლობის სასარგებლოდ გადაწყვიტა ფოთის ციხის ბედი<sup>9</sup>.

ქარიზმის სარდლობამ იმერეთის სამეფოს გაუქმება გამოაცხადა და შეუდგა ლაშქრობას სოლომონ II-ის დასაქერად. სარდლობამ ბრძოლაში ჩაა-

<sup>1</sup> ქართველთ ცხოვრება, წიგნში: გ. თაყაიშვილი, Описание, I, გვ. 28—29.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 30.

<sup>3</sup> იქვე, 30.

<sup>4</sup> იქვე, 31.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 32; შდრ. გაზ. „ივერია“, 1877, № 9, გვ. 12; ხელნაწ. ინსტიტუტი, Qd—, 6814 (ალექსანდრე 1-ის 1806. IV. 12-ის წყალობის წიგნი, თარგმნილი იოანე მეთის ძის მიერ).

<sup>6</sup> ქართველთ ცხოვრება, იქვე.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 35—39.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 39.

<sup>9</sup> შდრ. ჩვენი იმერეთის სამეფოს პოლიტიკური ისტორიისათვის XVIII საუკუნეში<sup>10</sup>, თავი VI.



ბა ლევან. დადიანი. ლაშქრობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ნიკო დადიანმაც. „გაეუღო ცხენის წყალსა და დავებანჯეთ ჯიხაიშსო“, — წერს იგი. მეგრელთა ლაშქარი შეუერთდა სიმონოვიჩს. მრეე დამორჩილებულ იქნა და გაიგზავნა მთავარსარდალ ტორმასოვთან თბილისს<sup>1</sup>.

სოლომონ II, როგორც ცნობილია, ტორმასოვს თბილისიდან გაექცა და თავი შეაფარა ახალციხის საფაშოს (1810 წლის მაისი).

სოლომონის გაქცევას მოჰყვა იმერეთის თავაღ-აზნაურთა აჯანყება, რომლის მიზანი იყო ცარიზმის სარდლობის ხელყოფისაგან სანეფოს დაცვა და სოლომონ II-ის კვლავ გამეფება.

აჯანყებამ (1810 წლის ზაფხულს) მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა რუსეთის სარდლობა, რომელმაც ისევე თავისი ერთგული ლევან დადიანი მოიშველია. როგორც სარდალი მეგრელთა სპისა ნ. დადიანიც იბრძოდა აქ. იგი თავის „ქართველთ ცხოვრებაში“ წერს: „და წარვედით და განვედით იმერეთად. და შემოვეყვით ჩვენ რუსთა მხედრობაში“. ნიკო დადიანმა და მეგრელთა ლაშქარმა ცარიზმის დამპყრობელ სარდლობასთან ერთად მხეცური დამოკიდებულება გამოიჩინეს ცარიზმის წინააღმდეგ აჯანყებული იმერელი მოსახლეობის ნიშარო, თვითონ ნ. დადიანი აი რას წერს აჯანყებულთა შესახებ: „... რომელი არა მოვიდოდნა ერთგულებასა ზედა ჰელწიფე იმპერატორისასა, ე სწოვდით და ვაობრებდითო“<sup>2</sup>.

ნ. დადიანი მეგრელი მეთურია, რუსეთის სარდლობასთან ერთად, მონაწილეობდა 1811 წელს ახალციხის ლაშქრობაშიც<sup>3</sup>.

ასლან-ბეგ შარვაშიცი, რომელმაც, თურქეთის მთავრობის ზეგავლენით, მამამისი ქელაიშ აპმედ-ბეგი მოკლა, ოსმალეთის ორიენტაციისა იყო, ხოლო მის ძმას, აფხაზეთის მთავარს საფარ-ბეგს, რუსეთის ნაბრე ეჭირა.

ასლან-ბეგი 1813 წელს თურქი საით ზღვიჯან სანააიროს მოადგა აფხაზეთის დასაპყრობად, საფარ-ბეგმა რუსეთის სარდლობას სთხოვა დახმარება. უკანასკნელმა მის დასახმარებლად გამოიყენა ნ. დადიანი როგორც თავისი არმიის სარდალი. „მაძინ მიბრანეს მჯ — წერს ნ. დადიანი, — და წარმოგზავნეს და მომცეს... ბატალიონი თვისის არტილერიითაო“. რუსის ჯარი რომ ილორს მივიდა, თურქებმა მიატოვეს ასლან-ბეგი და გაიქცნენ<sup>4</sup>.

ნ. დადიანი ლაშქრობდა აფხაზეთში საფარ-ბეგის ხელისუფლების გასამაგრებლად 1818 წელსაც; მან იპას ურჩი თავაჯიცი დაუმორჩილა<sup>5</sup>.

1819—1820 წლებში გურია-იმერეთში რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ საყოველთაო ამბოხება მცენივარებდა. აჯანყების ჩასაქრობად მთავარმართველ ერმოლოვის მიერ გაგზავნილი იყო გენ. ველიამინოვი. საჭირო იყო რუსის ჯარისათვის საყვების გადატანა ნაბადადან მარანს, საჭილაოში. გენ. ველიამინოვმა დახმარება სთხოვა ლევან დადიანს, რომლის სამთავროში აჯანყებას არა მჭირნია ადგილი.

ღვით თურციელის ძეს რიონის პირი ექცა. საჭირო იყო მისი რაზმების გაფანტვა. და ლევან დადიანმა „ნიბრანა მჯ, წერს ნ. დადიანი, — წარსულა

<sup>1</sup> ნ. დადიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 40—41.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 41.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 42.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 46—47.

<sup>6</sup> მ. დუმბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 238—239.

და შესრულება ველიამინოვას თხოვრისა“. მას გააყოლეს სამეგრელოს მხედრობა და მდივანბეგი როსტომ ჩიქვანი.

ნ. დადიანის ლაშქარმა გადნა და ვით გურიელის ძის რაზმები და გადაიტანა საქეები ნაბადადან ჩარანში რიონით.

ამ სამსახურისათვის იმპერატორმაო—„მიბოძა ჯილდოდ... სიკვდილამდინ პენცია“,—წერს იქვე ნ. დადიანი<sup>1</sup>.

1821 წელს იმპერატორმა აფხაზეთის მთავრად დანიშნა გარდაცვლილი საფარ-ბეგის ადგილზე მისი ძე დიმიტრი, რომელიც პეტერბურგიდან გამოიგზავნა, შეაწყვეტინეს რა სწავლა.

აფხაზეთში კი ვანსენენბული საფარ-ბეგის ძმა ასლან-ბეგი მიისწრაფოდა გამთავრებისაკენ. მთავარმართებელმა ერმოლოვმა იმერეთის მმართველს გორჩაკოვს უბრძანა ასლან-ბეგის გაძევება და დიმიტრის მთავრად დასმა.

გორჩაკოვმა დახმარება ლევან დადიანს სთხოვა, ამასთანავე მეგრელთა სპის სარდლად ინდომა ნიკო დადიანი.

ლევან დადიანი თვითონ მიჰყვა ოდიშის მხედრობას სასახლერო მდინარე ლაღიძვამდე, ხოლო იქილამ შე გამატანაო ლაქქარი,—წერს ნ. დადიანი.

მეგრელთა ლაქქარი დაუარჩინებრდა მოქვეში მოსულ ასლან-ბეგის აფხაზთა სპას.

ნ. დადიანმა ჩინოზორა ასლან-ბეგს თავისი სიძე (ასულ კესარიას ქმარი) უფრო ადრე მისგანვე (ნ. დადიანისგანვე) გაქრისტიანებული ალექსანდრე შარვაშიავე, რომელიც მფლობელი იყო აფხაზეთის შუა სოფლისა და დიდი გავლენაც ჰქონდა აფხაზებზე.

ასლან-ბეგს ჩინოზორა ნ. დადიანმა აგრეთვე თავისი ცოლის ძმა სალარუფუ შარშანია, რომელსაც უსწენდენ სრული წებელნი და სხვანიცა, და იყო მას ჟამსა აფხაზთა შარის შემდეგ კაცი<sup>2</sup>.

ამ ღონისძიებათა ყვევად ასლან-ბეგი იძულებული გახდა გაქცეულიყო დიმიტრის მოსახლეობა შეაფიცეს, დასვეს მთავრად და მცველად დაუტოვეს რუსის ჯარი.

ამ სამსახურისთვისო,—წერს დადიანი,—„შე მიბოძეს ჩინი ღენერალ-მაიორობისა... ძესა ჩემსა გიორგის პოთაოარუჩიკობა...“<sup>3</sup>

ნ. დადიანი აფხაზეთში ლაშქრობდა კიდეც 1824 წლის აპრილში ცნობილი ასლან-ბეგის წინააღმდეგ, რომელიც თურქეთზე დაყრდნობით მთავრის ხელისუფლებისაკენ მიისწრაფოდა<sup>4</sup>.

ამის შემდეგ, რუსეთ-ოსმალეთის ომში, 1829 წელს, ზაფხულში ნ. დადიანი იბრძოდა თურქების წინააღმდეგ ქობულეთსა და მუხანესტატეში, სადაც იგი მეგრელთა ლაქქარს სარდლობდა. ამისათვის მან რუსეთის მთავრობისაგან მადლობა მიიღო<sup>5</sup>.

<sup>1</sup> ნ. დადიანი, იქვე, გვ. 49—50. — პენსია წლითუად 500 მანეთს შეიცავდა ვერცხლით (ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძეგლებში, ნიკო დაჯითის ძე დადიანის ფონდი, № 1. შეხიბნა: ამ დოკუმენტში ჩვენი ისტორიკოსი ნიკო დადიანი შეცდომით იწოდება „გრიგოლის ძეგ“).

<sup>2</sup> ნ. დადიანი, იქვე, გვ. 52.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 54.

<sup>4</sup> ი. დუძუაძე, დაახ. ნაწი, გვ. 40.

<sup>5</sup> ქართ. ხელნაწ. H კოლექც. აღწერილობა, II, გვ. 377.

(შედრ. ნ. დადიანი დატურ-ამა, 1897, ტფილისი, გვ. 5, ი. მეთნარგიას წინასიტყვაობით; აგრეთვე: ი. მეთნარგია, ქართველი მწერლები, II, ს. ცაიშვილის რედაქტორობით, 1957, გვ. 94).

საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე რუსეთის ბატონობისათვის ერთ-  
გული და ხანგრძლივი სამსახურის გამონ. დადიანი თანამედროვეების მიერ  
შინეულ იქნა რუსეთთან ოდიშის სამთავროს შეერთების ერთ-ერთ ინიციატო-  
რად. ასე, მაგალითად, ნ. დადიანის ეპიტაფიაზე, რომელიც მისი ძეებისაგან  
არის დაწერილი, აღნიშნულია: „წარგზავნილმან სატახტო ქალაქად სანკტ-  
პეტერბურს ნათესავისა თვისისა მფლობელის მეგრელიისა მიერ, მან გამოი-  
თხოვა საერთოდ ერისათვის მეგრელიისა მშვიდობაჲ, ბედნიერებაჲ და მყუდ-  
როებაჲ საფარველს ქვეშე როსიის ტახტისასა, რომლისათვისაც  
ცხოვრებასა შინა თვისსა მიიღო კურთხევაჲნი ერისაგან და მრავალნი პატივი  
ხელმწიფისაგან“<sup>1</sup>.

ნ. დადიანის შვილების ეს განმარტება საყურადღებოა; მათი შავი მარ-  
თლაც ამ საქმეს ემსახურებოდა: დამყარებულიყო სამეგრელოში  
მშვიდობა რუსეთის იმპერატორის ბატონობით.

ამ მხრივ ნ. დადიანი ეკუთვნოდა ჯგუფს იმ ქართველი მოღვაწეებისას,  
რომლებიც საქართველოს მშვიდობას ემსახურებოდნენ რუსეთის იმპერატორის  
შფარველობის მოპოვების გზით, რადგანაც ისინი საქართველოსათვის მავი-  
დობას მხოლოდ რუსეთთან დადებითად მოკლოდნენ. ისინი იდგნენ იმ რეალუ-  
რი შესაძლებლობის მხარეზე, რასაც რუსეთთან შეერთების სა-  
ხით მაშინდელი ისტორიული აუცილებლობა საქართველოს სთავა-  
ზობდა. ეს რეალური შესაძლებლობა იყო ნაშეიღობა, რაც უფრო ადრე ერეკ-  
ლე II-ისა და სოლომონ I-ის იდეალს წარმოადგენდა.

## V

წარმოდგენილი მიმოხილვიდან ვხედავთ, რომ თავის მოღვაწეობაში  
ნ. დადიანმა მიაღწია ფართო დამსახურებას და მალე თანამდებობებს, იგი  
გახდა დიდი კაცი. ამიტომაც მას „დიდნიკოს“ ეძახდნენ<sup>2</sup> „განსახვავებ-  
ლად, — ამბობს ი. მეუნარგია. — მეორე ნიკო დადიანისაგან, შეხვედრისაგან,  
რომელიც იყო აფხაზეთის მთავრის მიხეილ შარვაშიძის სიმამრი“ და დიდი  
ნიკოს შემდეგ ისიც მსაჯულთუხუცესი სანეგრელოში<sup>3</sup>.

ი. მეუნარგიას გადმოცემა დასტურდება ისტორიული წყაროებიდან.  
იგავთა წიგნის მინაწერებაში, რომლებიც შეიცავს დადიანისა და მისი  
ძეების, იკითხება შემდეგი:

1) „ჩყლდ [1834] დიდი ნიკო გარდაიცვალა“;

2) „ჩყმზ [1847] მეორე ნიკო გიორგის ძე გარდაიცვალა“<sup>4</sup>...

მეორე ნიკოსაგან განსხვავებულად „ქართველთ ცხოვრების“ ავტორი  
წოდებოდა აგრეთვე სიტყვით: „აი რველი“. თავისი ისტორიული თხზულებ-  
ის სათაურში იგი მოხსენებულია ამნაირად: „ნიკოლაი გიორგის ძე  
დადიანოვი პირველი“.

<sup>1</sup> გ. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობის აღწერაში. წიგნი: ძველი საქართველო, III, გვ. 123.

<sup>2</sup> Б о р о з д и и, Мингрелия и Сванетия с 1854 по 1861 год, 1885, стр. 5.

<sup>3</sup> ტონ. „მოაზებ“, 1896. № IV, გვ. 41.

<sup>4</sup> ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, II, 1858, გვ. 346.

მეორე ნიკო დასახლებულია თვითონ პირველი ნიკოს მიერ თავის დღი-  
ურში, 1832 წლის 16 თებერვლის ჩანაწერის ქვეშ, № 22<sup>1</sup>. იგი იქვე მას უწო-  
დებს თავის „ძმის წულს“.

ისტორიულ დოკუმენტებში მეორე ნიკო იხსენიება ამნაირად: „ნიკოლაა  
გიორგის ძე დადიანოვი მეორე“; იგი ზის ქვაშიხორის სასახლეში  
და ბატონობს შხეფს; მისი თანამდებობაა სრულიად სამეგრელოს სარდალ-  
ბოქაულთუბუცესობა; ითვლება რუსეთის არმიის ჯერ კაპიტნად და შემდეგ  
მაიორად და კავალერად<sup>2</sup>.

ამავე დოკუმენტების მიხედვით, ნიკოლაა მეორის პაპის მამა არის ოტია  
დადიანი, პაპა — ნიკოლოზ დადიანი ძე, ხოლო მამა — გიორგი დადიანის ძის  
ძეა.

რაც შეეხება ნიკოლაა პირველს, მისი გენეალოგია ასეთია: მამამისი  
გიორგი იყო ოტია დადიანის შვილი და ძმა ნიკოლოზ დადიანის ძისა, ამი-  
ტომ იწოდებოდა „დადიანის ძედ“<sup>3</sup>. აქედან მის შვილს ნიკოლაა პირველს  
უწოდებდნენ „დადიანის ძის ძეს“.

მაშასადამე, ნიკოლაა პირველის მამა გიორგი იყო დადიანის ძე, ხოლო  
მისი შვილი, ჩვენი ისტორიკოსი — დადიანის ძის ძე, მაშინ როცა დადიანის  
ძის ძედ მამა იწოდებოდა ნიკოლაა მეორისა. ასე რომ, ნიკოლაა პირველი და  
მამა ნიკოლაა მეორისა ერთი თაობის ბიძაშვილები იყვნენ და ნიკოლაა მეორე  
მომდევნო. შვილთა თაობის წარმომადგენელი (ბიძაშვილის შვილი) იყო ნი-  
კოლაა პირველის შიშართ. ვინაიდან ისინი თითქმის ერთ დროულად  
ცხოვრობდნენ (ნიკოლაა მეორე გარდაიცვალა პირველზე მხოლოდ სამე-  
ტი წლის გვიან) და სახელი, გვარი და მამის სახელი ერთნაირი  
ქონდათ ორივეს, ამიტომ საჭირო გახდა ერთმანეთისაგან მათი გარ-  
ჩევა. და ამ ნიადაგზე ხმარებულ იქნა უფროსი ნიკოსათვია „პირველი“ და  
უმცროსისათვის „მეორე“.

\* \* \*

როგორც ვნახეთ, ჩვენი ისტორიკოსი თავის თავს უწოდებდა „ნიკოლაა  
დადიანოვს“. მაგრამ იგი სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით ლევანის  
ძე დადიანის მიერ იხსენიებოდა „ნიკოდ“<sup>4</sup>. ცნობილი ქართველი ეროვნული  
მოღვაწე იონა მეუნარგია მას „ნიკო დადიანს“ უწოდებდა<sup>5</sup>.

გავყვივით რა ამ ქართულ ტრადიციას, ჩვენს გამოცემაშიც „ქართველთა  
ცხოვრების“ ავტორი წოდებულია ნიკო დადიანად.

<sup>1</sup> ზუგდიდის მუზეუმის ხელნაწერი წიგნების ფონდი, მე-3 სია, № 887, 70r.

<sup>2</sup> იქვე, 2r.

<sup>3</sup> ქუთაისის მუზეუმის ისტორიული საბუთების ფონდი: № 1184, დედანი 1823 წ. &  
მანისა: № 190, დეკანა 1832 წ. 14 ნომბრისა (ამ დოკუმენტის ტექსტი გადამიწერეს და  
შომწოდეს ქუთაისელმა ამხანაგებმა ვ. ჩაკვეტაძემ და მ. ნიკოლეიშვილმა).

<sup>4</sup> საქ. ცენტრ. არქ. ფ. 226, № 1569.

<sup>5</sup> ზუგდიდის ისტ.-ეონ. მუზეუმი, სიგელ-გუჯრების ფონდი, № 26.

<sup>6</sup> ი. მეუნარგია, სამეგრელო დავით დადიანის დროს, 1939, გვ. 79.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 50.

## „ქართველთ ცხოვრების“ ხელნაწერები

ნიკო დადიანის ისტორიული თხზულება „ქართველთ ცხოვრება“ სამი გადაწერილი ნუსხის სახით მოიპოვება, სამივე ცალკეულ ხელნაწერს წარმოადგენს, რომელთაგან ორი დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდში ნომრებით 11 და 1738, ხოლო მესამე — ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სელნაწერი წიგნების ფონდში მე-3 სიის 883 ნომრით.

ჩვენს გამოცემაში S ფონდის № 9 ხელნაწერი (S-9) პირობით ფიქსირებულია ლათინური ასოთი A, S-1738 ხელნაწერი — ასოთი B, ხოლო ზუგდიდური ხელნაწერი — ასოთი C.

C ნუსხა ავტორის, ნ. დადიანის ხელშია ნამყოფი და შემოწმებულ-შეცდებული მისგან. სამივე ხელნაწერი შინაარსის თვისებისა და შედგენილობის პრინციპის მიხედვით ერთნაირია. ამიტომ ისინი ერთი, ავტორისეული რედაქციისაა, მხოლოდ ვარიანტულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

### A ხელნაწერი

ხელნაწერი ჩასმულია შავითა და მოყვითალო ზოლებიანი ტილოთი გადაკრულ ხის ყდაში ზომით: 22×17.

ხელნაწერი პაგინირებულია. პაგინაცია ორნაირია: გვერდობლივი და ფურცლობრივი. გვერდობლივი პაგინაცია შესრულებულია ტექსტის, შავი მელნით და აღრიცხულია 268 გვერდი, გარდა უკანასკნელი 269-ე გვერდისა, რომელიც დანომრილია ფანქრით. გვერდობლივ პაგინაციაში შემთხვევით გამოჩენილია ორი ციფრი: 132 და 199. ფურცლობრივი პაგინაცია შესრულებულია ფანქრით და აღრიცხულია 134 ფურცელი, გარდა პირველი ფურცლისა, რომელიც დარჩენილია გვერდობლივი პაგინაციის გარეშე და წინა გვერდზე დანომრილია ლურჯი მელნით: 01.

1—38 და 49—50 ფურცლები ლურჯი ქალაღისაა, დანარჩენი ფურცლები თეთრი ქალაღისაა.

01 ფურცლის წინა გვერდზე, 1-ლ, მე-5, მე-13, 105-ე, 123-ე, 148-ესა და 158-ე გვერდებზე დასმულია მრგვალი ბეჭედი წარწერით: „ქ. შ. წერა-კითხვის გ. საზოგადოების წიგნთ-საცავი“.

ხელნაწერში „ქართველთ ცხოვრების“ ავტორი მოხსენებულია ოთხგან სამნაირად: 1) „ნიკოლაე დადიანოვი“ — 269-ე გვერდზე; 2) „ნიკოლაე დადიანოვი პირველი“ — მე-2 და 119-ე გვერდებზე; 3) „თავადი ნიკოლოზ დადიანოვი პირველი“ — 208-ე გვერდზე.

ხელნაწერი გადაწერილია კუთხოვანი მხედრული ხელით მღვდელ ლაზარე ლომიას მიერ (გვ. 2) და ერთ დროს ყოფილა საკუთრება ტფილისის მოქალაქის ზაალ ზურაბის ძე ზაალუვისა (Olv, 134r). ეს უკანასკნელი მწიგნობარი იყო; XIX საუკ. დასაწყისში გადაწერა „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი გაგრძელება „ცხოვრება საქართველოჲსა“, რომელსაც „პარიჲის ქრონიკა“ ეწოდება ქართულ საისტორიო მწერლობაში<sup>1</sup>.

S—9 ხელნაწერი აღწერა ე. თაყაიშვილმა და გამოაქვეყნა თავის წიგნში: „Описание рукописей „Общества распространения грамотности среди грузинского населения“, том I, вып. I, 1902, გვ. 8—13.

### В ხალაფარი

ხელნაწერი ჩასმულია მუყაოს ყდაში ზომით: 21,5×17,5. პაგინირებულია საბეჭდი მანქანით და ავიტავს 320 გვერდს. „ქართველთ ცხოვრების“ ტექსტი მოთავსებულია 1—315 გვერდებზე. 316-ე, 318-ე და 319-ე გვერდებზე არის სხვა ხელით შესრულებული მინაწერები, ხოლო 317-ე და 320-ე გვერდები ცარიელია. 272 გვერდამდე ქალაღი ლურჯია, დანარჩენი—თეთრი. 71-ე და 179 ე გვერდებზე დასმულია მრგვალი ბეჭედი წარწერით: „ქ. შ. წერა-კითხვის გ. საზოგადოების წიგნთ-საცავი“.

ხელნაწერში „ქართველთ ცხოვრების“ ავტორი მოხსენებულია ხუთგან ორნაირად: 1) „ნიკოლაჲ დადიანოვი პირველი“—2-ე, 134-ე, 152-ე, 172-ე გვერდებზე; 2) „თავადი ნიკოლაჲ დადიანოვი პირველი“—255-ე გვერდზე.

ხელნაწერი გადაწერილია მრგვალი მხედრულით, გადაწერი უცნობი პირია. 316-ე გვერდზე არსებული რუსული და ქართული მინაწერის მიხედვით, ხელნაწერი 1834 წლის 1 იანვარს ყოკილა აფხაზეთის არქიმანდრიტის ანტონ დადიანოვის საკუთრება, მაშასადამე, იგი გადაუწერიათ 1834 წ. 1-ლ იანვრამდე. აფხაზეთის არქიმანდრიტი ანტონ დადიანოვი უნდა იყოს ის, რომელმაც 1838 წლის 2 მაისს რომანოზ მონაზონს გადააწერინა გიორგი მთაწმინდლის ცხოვრება<sup>2</sup>.

318-ე გვერდზე მინაწერში ნაანგარიშებია, თუ რამდენმა წელმა განვლო 1836 წლამდე გელათის საეპისკოპოსოდ გახდომიდან, ბედიის აშენებიდან, დავითისა და კონსტანტინეს წამებიდან, მოქვის აშენებიდან. ეს მინაწერი შესრულებულია სხვა ხელით და უნდა ეკუთვნოდეს აფხაზეთის არქიმანდრიტ ანტონს, მფლობელს ხელნაწერისას; მხოლოდ მას შეეძლო მინაწერში ასეთი წინადადების შეტანა: „155 წელი იყო გასრული 1836 წელს, რომ აფხაზეთშიდ მღვდელთ-მთავარი არ ყოფილა და არც სამღვდელო“ (გვ. 318). თუ რა ისტორიულ წყაროს ემყარება ეს განცხადება. ამაზე ჩვენ ამჟამად არაფერი არ ვიცით.

ანტონ არქიმანდრიტისა უნდა იყოს 319-ე გვერდზე დაწერილი ქრონიკონებიც, რომლებიც ეხება ლიხთ-იმერეთის ზოგიერთ ამბავს. ეს ქრონიკონებიც წინა მინაწერის ხელითაა შესრულებული.

ვინაიდან ეს მინაწერები „ქართველთ ცხოვრების“ ტექსტისაგან განსხვავებული ხელითაა შესრულებული, S—1838 ხელნაწერის გადაწერი არ უნდა იყოს მისი ოდინდელი მფლობელი ანტონ არქიმანდრიტი.

<sup>1</sup> ქართულ ხელნაწერთა H კოლექციის აღწერილობა, V, გვ. 27.

<sup>2</sup> შდრ. ქართულ ხელნაწერთა Q კოლექციის აღწერილობა, I, 64.

№—1738 ხელნაწერი აღწერა ე. თაყაიშვილმა და გამოაქვეყნა ზევით აღნიშნულ Описание I-ში (გვ. 517—518). ხელნაწერი მაშინ სტავროპოლში ყოფილა და ე. თაყაიშვილს მასში 208 ფურცელი დაუთვლია (იქვე, 513), ამასთანავე, იგი ჩასმული ყოფილა შავ-ტყავადაკრულ ხის ყდაში (იქვე, 517). ახლა კი, როგორც აღვნიშნეთ, იგი შეიტანა 320 გვერდს, ანუ 160 ფურცელსა და ჩასმულია მუყაოს ყდაში.

უზაგინაციო იყო ეს ხელნაწერი მაშინაც, როცა იგი ხელში ჰქონდა დ. ბაქრაძეს, რომელსაც მასში დაუთვლია 185 ფურცელი<sup>1</sup>.

1879 წელს ჟურნალმა „ივერიამ“ (VII—VIII, გვ. 121) გამოაქვეყნა „იმერეთის ისტორია“ სოლომონ პირველის გარდაცვალებამდე, რომელიც გადაბეჭდა № — 1738 ხელნაწერიდან. ვინაიდან უკანასკნელი უზაგინაციო იყო, ხელნაწერის სათანადო ნაწილისათვის (ახლანდელ 192—253 გვერდებზე) ჟურნალის რედაქციას ფურცლობრივი საგინაცია გაუტყობებდა შავი მელნით (1-დან 32-მდე).

### ს ხელნაწერი

ხელნაწერი ჩასმულია ტყავადაკრულ ხის ტყავარულ ყდაში, ზომით: 21,5×15. იგი კარგადაა დაცული. საკონსერვოა დაწესებული ფურცლების მიხედვით და შეიტანეს 185 ფურცელს. ქაღალდი თეთრი და მძლიანად, ფურცლების საგინაციაში შემთხვევით გამოჩენილია ციხური 99. „ქართველთ ცხოვრების“ ტექსტი მოთავსებულია 1—184 ფურცლებზე, ისე რომ 1r და 2r დაჯღაბნილია და უქმანია დატოვებული, ხოლო 2v-ზე განთავსებულია ქართული ტექსტისაგან განსხვავებული, გაკრული მხედრული ხელით თხზულების სათაური, ზაგრამ ნაკლულად, თარიღის გამოტოვებით.

185r-ზე გაკეთებულია ორი ბინაწერი 1834-სა და 1885 წლებში თოვლისა და სეტყვის მოსვლის შესახებ, ხოლო 185v ზოლიანად გადაჯღაბნილია. r ხელნაწერის უკანასკნელი ფურცლისა, რომელიც არაა დასაორიკი და სათავაღებით 186-ე არის, ცარიელია, ხოლო მისი v—დაჯღაბნილია.

ხელნაწერის 1r-ზე თხზულების დათარიღებულ სათაურთან ერთად მოთავსებულია იმავე მელნით გადაშლილი, ტექსტისაგან განსხვავებული, გაკრული, კუთხოვანი მხედრული ხელით შესრულებული ბინაწერი 1845 წლის 30 მაისისა კნიაზ ალექსანდრე დადიშქელიან პირველის შესახებ, რომელსაც იმპერატორისაგან მიცემული ჰქონია „ხუთასი მანეთით... პენცია მოკლებული“.

ხელნაწერში „ქართველთ ცხოვრების“ ავტორი მოხსენებულია სტოვან ორნაირად: 1) „ნიკოლაა დადიანოვი პირველი“—3v, 73r, 82r და 93r-ზე; 2) „თავადი ნიკოლაა დადიანოვი პირველი“—143r-ზე.

ხელნაწერის გადამწერია გიორგი მდივანი: „აღწერა მე მდივანმა გიორგიმ და გვედრები მხილველთა მოხსენებასა“ (3v). ეს ის გიორგის ძე მდივანი გიორგი უნდა იყოს, რომელიც ნიკო დადიანმა რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ წიგნების გადამწერად აიყვანა და კურდუმს სასახლეში აპოშავებდა<sup>2</sup>.

ტექსტში სათაურები, დასაწყისი ასოები და მეფეთა სათვალავი ციხურები შესრულებულია სინგურით, დანარჩენი ნაწილი—შავი მელნით. მთელი

<sup>1</sup> Д. Бахрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Абхазии, 1878, 232, სქოლიო.

<sup>2</sup> შტრ. ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერა, I, 170—171.





C ნუსხის გადამწერი, როგორც ვთქვით, გიორგი გიორგის ძე მდივანია, რომელიც ნიკო დადიანთან კურძუს სასახლეში ეწეოდა წიგნების გადაწერას, და შესაძლებელია მის გვერდში ნყოფმა, მისივე ამხანაგმა გადაწერა X ნუსხაც. ამ ვარაუდს უფრო სარწმუნოდ ხდის შემდეგი გარემოება.

6. დადიანი რომ 1806 წელს ოუსეთიდან სამეგრელოში დაბრუნდა (იხ. აქვე; „ცხოვრება და მოღვაწეობა ნიკო დადიანისა“), გაიცნო მწერალი გიორგი გიორგის ძე, რომელიც უცხოდ იმყოფებოდა ოდიშის სამთავროში. მანო, — წერს გიორგი გიორგის ძე: — „მოსურნემან წმიდათა წერილთა მწერლობისამან მეგობრობისა პატიესა ზედა აღიყვანა, სატილოსოფოსოთა და სამეცნოთა და საეკლესიოთა წიგნთა მწერლობისა მოსამახუროდ მიიწინაო“<sup>1</sup>. გიორგი გიორგის ძესაც მოსწონებია ნ. დადიანი; მას იგი შემდეგნაირად ამკობს: „რომელსა საღვთოსა ზესთა მკედველობისა და ძალისა მესაბამნი გამოძიებანი წიგნთაგან წრომის მოყვარებით მოეგო და ნყუროდ ცხოვრების მოყუარე და ღირსქმნილი მალათა ზედვათასა იყო“<sup>2</sup>... მაშასადამე, გიორგი მწერალს ნ. დადიანი მალალ განსწავლულ მწიგნობრად მიუჩნევია და მის სასახლეში, კურძუს, გადაწერითი მუშაობა დაუწყია. მან იქ 1817 წელს ნიკო დადიანის დაკვეთით გადაწერა კრებული<sup>3</sup>. იგი ნ. დადიანთან ეწეოდა, როგორც თვითონვე ამბობს ზევით, გარდა საეკლესიო წიგნებისა, მეცნიერული და ფილოსოფიური შინაარსის წიგნების გადაწერასაც.

ბუნებრივია, ჩვენ აქ საკმე ვვაქვს არა უბრალო დაქირაებულ საქმიანობასთან, არამედ შემოქმედებითს, სასკოლო მოღვაწეობასთან. ნიკო დადიანი იყო ინიციატორი ასეთი მოღვაწეობისა. მას ჰყავდა მოწაფეები და ეწეოდა მათთან განმანათლებელ, პედაგოგიურ საქმიანობას. იგი თვითონ აღნიშნავს თავისი ისტორიული თხზულების წინასიტყვაობაში, რომ ჰყავს მოწაფეები, რომელთაც ასწავლის მეცნიერებასა და ფილოსოფიას, მათთვისაც დაწერა საკითხავ სახელმძღვანელოდ „ესე ქართველთ ცხოვრებაჲ შემოკლებული“; „ხოლო არცა საყვარელნი მოწაფენი ჩემნი დაუტევან უცნობელ ამისა („ქართველთ ცხოვრებისა“ — შ. ბ.), რომ ელნიცა განბრწყინდენ მოძღვრებათა ჩემთა ქვეშე სიბრძნის მოყვარებისა და ძილასოფისა სწავლითაო“<sup>4</sup>.

მაშასადამე, აქედან აშკარაა, რომ ოდიშის სამთავროში ნიკო დადიანს ჰყავდა მოწაფეები, რომელთაც ამუშავებდა საეკლესიო, ფილოსოფიური და მეცნიერული წიგნების გადაწერაზე და თავის მხრივ მათ თვითონ ასწავლიდა საეკლესიო მწერლობას, მეცნიერებასა და ფილოსოფიას. ნ. დადიანის პედაგოგიური მოღვაწეობის ერთ-ერთი ნაყოფია მისი „ქართველთ ცხოვრება“ — შემოკლებული მიმოხილვა საქართველოს ისტორიისა, რომელსაც მისი მოწაფეები სასწავლო სახელმძღვანელოდ იყენებდნენ<sup>5</sup>.

<sup>1</sup> ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, I, 171.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, წიგნი: ე. თაყაიშვილი, Описание, 1<sup>1</sup>, 9.

<sup>5</sup> თავისი ისტორიული თხზულება ნ. დადიანს დაწერილი აქვს სამეგრელოში. ეს აშკარად ჩანს „ქართველთ ცხოვრების“ ერთი ადგილიდან. ქართლის მეფე სიმონ I-მა იმერეთი და რაჭა წაართვა როსტომ იმერთა მეფეს. როსტომი დადიანთან გაიქცა. ამის შემდეგ იგივე სიმონი „გამარჯვებული წარმოვიდა ოდიშის დასამთბელად“ (აქვე, ტექსტი, წიგნი II, თავი XIV-ბ).

ეს იყო კერძო, არაოფიციალური სკოლა ნიკო დადიანისა. თუ მხედველობაში ვიჭონებთ იმას, რომ პირველი ოფიციალური სტატეონალური სასულეერო სასწავლებელი მარტვილში დაარსდა 1830 წელს<sup>1</sup>, სამეგრელოში პირველი იყო ნიკო დადიანის კერძო სასწავლებელი, რომელიც ცენტრს წარმოადგენდა მწიგნობრულ-საგანმანათლებლო შემოქმედებისას XIX საუკუნის პირველ მესამედში.

ამრიგად, რამდენადაც ნიკო დადიანის სკოლაში ადგილი ჰქონდა წიგნების გადაწერასაც, მასნი (სკოლაში) ყალიბდებოდნენ გარკვეული გრაფიკული ხელნი, რომლებითაც იწერებოდა წიგნები. ჩვენ ამჟამად ვიმყოფებით „ქართველთ ცხოვრების“ სამი გადაწერილი ნუსხის წინაშე; ისინი გადაწერილია ორი, კუთხოვან-მხეპრული და მრგვალი მხედრული ხელით. C ნუსხის გადამწერი გიორგი მდივანია, მოწაფე ნიკო დადიანისა; A ნუსხა გადაწერილია მღვდელ ლაზარე ლომიასაგან. B ნუსხის გადამწერი უცნობია, მაგრამ ვინაიდან მისი ხელი გიორგი მდივანის ხელს მიაგავს გრაფიკულად, სავარაუდებელია, რომ B ნუსხის გადამწერი იყო გიორგი მდივანის ამხანაგი და ერთერთი მოწაფე ნიკო დადიანისა. ისევე როგორც ლაზარე ლომიაც.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ზუგდიდური ნუსხისა, განსხვავებით ჩვენს ხელთ არსებული ორი თბილისური ნუსხისაგან, ის არის, რომ მას I-ლ დურცელზე აქვს „ქართველთ ცხოვრებისათვის“ ცალკე, გამოყოფილი სათაური, რომელშიც აღნიშნულია თხზულების დაწერის თარიღი:

„ნიკოლავი გიორგის ძის დადიანოვის პირველისა, პოლკოვნიკის და კავალერისაგან განახლებით ქმნილი ისტორიაჲ, რომელსა ეწოდების ქართველთ ცხოვრება, წელსა დასაბამითგან სოფლისა ჭტკზ, ხოლო განკორციელებითგან სიღვინა ღმერთისა ჩუით, თჳსა იელისსა კ“ (1r).

თხზულების სახელწოდება — „ქართველთ ცხოვრება“ — მოცემულია წინასიტყვაობაში და, მაშასადამე, იგი დაცულია თბილისურ ნუსხებშიც (ნ. A: გვ. 1 და B: გვ. 1). მაგრამ მისი დაწერის თარიღი მხოლოდ ზუგდიდური ნუსხის სათაურში გვხვდება.

ამ სათაურის მიხედვით, ნ. დადიანმა თავისი თხზულების დაწერა დაამთავრა 1819 წლის 20 ივლისს, მაშინ როცა იგი ჯერ კიდევ არ იყო გენერალ-მაიორი. და, მართლაც, ჩვენთვის ცნობილია, რომ ნ. დადიანი გენერალ-მაიორი გახდა 1821 წელს. აფხაზეთში ჩატარებული ლაშქრობის შედეგად (ნ. აქვე, „ცხოვრება და მოღვაწეობა ნიკო დადიანისა“).

მაგრამ საქმე ისაა, რომ „ქართველთ ცხოვრების“ სამივე ნუსხაში ისტორიული ამბების თხრობა მოტანილია 1523 წლამდე, ისე რომ 1819 წლის შემდგომ დამატებით ჩაწერილია შემდეგი ამბები: 1) გურია-იმერეთის აჯანყება 1819—20 წლებისა (A: გვ. 256—261; B: გვ. 303—308; C: 175v—179v); 2) აფხაზეთის მთავარ საფარ-ბეგ შარვაშიძის სიყვდილი 1821. 11.6 (A: გვ. 261; B: გვ. 308; C: 179v); 3) ჰასან-ბეგ შარვაშიძის შეწყობა რუსების მიერ 1821. III.6 (A: გვ. 261; B: გვ. 308; C: 179v); 4) ასლან-ბეგ შარვაშიძის გამთავრება აფხაზეთში (A: გვ. 261; B: გვ. 308; C: 179v); 5) დიმიტრი საფარ-ბეგის ძე შარვაშიძის გამთავრება აფხაზეთში და ასლან-ბეგის გაძევება (A: გვ. 261—266; B: გვ. 308—313; C: 179v—183r); 6) ასლან-ბეგის უშედეგო თავდასხმა აფხა-


<sup>1</sup> ი. მ. გუნარაძე, სამეგრელო დავით დადიანის დროს, 1939, გვ. 135.

ზეთზე (A:გვ. 266—267; B:გვ. 313; C:183r-v); 7) აფხაზეთის მთავარ დიმიტრი შარვაშიძის სიკვდილი 1822 წელს (A:გვ.267; B:გვ. 313; C:1<sup>o</sup>3v); 8) მიხეილ შარვაშიძის გამთავრება აფხაზეთში ერმოლოვის მიერ (A:გვ.267, B:გვ. 313; C: 193r); 9) ვახტანგ ბატონიშვილის მიერ იოანე აბაშიძის მოკვლა ახალციხეში 1822 წელს (A:გვ. 267; B:გვ. 314; C: 183r—184r); 10) გიორგი ნიკოლაოსის ძე დადიანოვის სიკვდილი 1822.XII 12 (A:გვ. 267; B:გვ. 314; C:184r); 11) თავად ზურაბ წერეთლის სიკვდილი 1823. 1.28 (A:გვ. 267—8; B: გვ. 314; C 184r); 12) ლევან დადიანის მიერ როსტომ-ბეგ შარვაშიძის გაქრისტიანება და მისთვის თავისი დის, მანუჩარ შარვაშიძის ნა-  
 ცოლარის, ქეთევანის მითხოვება (A გვ. 268; B:გვ. 314; C:184r-v).

აქ მოტანილი ყველა ამბავი სამივე ნუსხაში ერთნაირი მწკრივითა და სისრულდითაა დაცული. ამიტომ ისინი თვითონ ავტორ ნ. დადიანის ჩანართი უნდა იყოს 1819 წლის შემდეგ თანდათანობით, თუ არა და 1823 წელს ერთბაშად, ხოლო ავტოგრაფიდან მათი გადაწერა უნდა მომხდარიყო 1823 წლის შემდეგ.

ზუგდიდურ ნუსხას ასხვევებს თბილისური ნუსხებისაგან ისიც, რომ იგი შევსებულია თვითონ ნ. დადიანის მიერ. ასე, მაგ., VII თავის ბოლოზე მიწერილია: „ნიკოლა დადიანოვი პირველი“ (22r). ხელმოწერა შესრულებულია ნ. დადიანისაგან; იგი ემახვევა ამ უკანასკნელის ხელრთვის ავტოგრაფულ წერილში დავით თარხანოვისადმი<sup>1</sup>.

შევსებულ-ჩამატებული ადგილები ბევრად ზუგდიდურ ნუსხაში და ისინი ყველა ავტოგრაფული არ უნდა იყოს, ვინაიდან ორი განსხვავებული ხელით არის შესრულებული: გიორგი მდივნისეული მრგვალი მხედრულით და ნიკო დადიანისეული კუთხოვანი მხედრულით. ამის საილუსტრაციოდ მოგვაქვს აქვე ფოტოსურათი ჩამატებული სიტყვებისა C ხელნაწერის 112r-დან: „და გუნდ-  
 მან“ და 137r-დან: „წგლს ქსტესით 1756“.



სურათი 2

<sup>1</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—4219.

ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ C ხელნაწერის ტექსტის შევსებას ახდენდა როგორც ავტორი ნიკო დადიანი, ისე გიორგი მდივანი თუ მისი ხელის რომელიმე სხვა გადამწერი, რა თქმა უნდა, ავტორის კარნახითა და ზედამხედველობით.

ზოგიერთი შენაესები C ნუსხისა შესრულებულია აგრეთვე ნუსხა-ხუცურადაც, ალბათ, იმავე პირების მიერ (ნ. 63v, 84v, 118r, 164r).

C ხელნაწერის შენაესებთა რანდენიშე შემთხვევაში სამივე ნუსხა ერთმანეთს ემთხვევა:

C	A	B
ფურცელი	გვერდი	გვერდი
22r	38	37
63v	106	115
109v	164	201
112r	158	206
113r	169	207
137r	201	247

C ნუსხის შენაესები თუ ავტორისაგან შემოწმებული მასალის მიხედვით B და C ნუსხეები, A ნუსხისაგან განსხვავებით, ერთმანეთს ემთხვევიან. ასე, მაგალითად:

- | B და C   | A  |
|--|--|
| 1. „ხოლო ივერიის მეფობის განკერძოების შემდგომად იქმნენ მეფენი საქართველოსა შინა ვიდრე აღხოცამდე ცხრაშეტი —19“<br>(გვ. 161, 87r). | არ წერია<br>(შდრ. გვ. 138).              |
| 2. დიმიტრი თავდადებულის ძის, გიორგის გამეფების თარიღად წერია 1718<br>(გვ. 111, 61r).   | წერია 1313<br>(გვ. 103).                 |
| 3. ლევან II დადიანის რიღით ჰვერვინ იკადრებდა ქურდობასა“ ოდიშში<br>(გვ. 210, 114r).   | -ვერვინ იკადრებდა-<br>(გვ. 170).         |
| 4. შანავაზმა იმერეთში გაამეფა არჩილი „წლისა 14“<br>(გვ. 214, 116v).  | „წელსა 14“<br>(გვ. 173).                 |
| 5. VII თავის დასასრულს მოცემულია ავტორის ხელრთვა: „ნიკოლაჲ დადიანოვი პირველი“<br>(გვ. 152, 82r).                                 | არ არის,<br>გადაშლილია<br>(შდრ. გვ. 131) |
| 6. თეიმურაზ II-ის სიკედილის შეძლეგ ერეკლე II-მ ზეაერთა მეფობა ქართლისა და კახეთისა წელს ქრისტესით 1762“<br>(გვ. 160, 86v).       | არ არის თარიღი<br>(გვ. 138).             |

- |   |   |
|---|---|
| <p>7. 1822 წელს რომ აფხაზეთის მთავარი დიმიტრი შარვაშიძე მოკვდა, ერმოლოვმა მიხეილი დანიშნა ახალ მთავრად „შინაგანის“ აფხაზეთისაო (გვ. 314, 183v).</p> | <p>„შუა ტანის“ აფხაზეთისაო (გვ. 257).</p> |
| <p>8. გრ. დადიანი ფოთიდან „თვით წარვიდა ახალციხეს“ (გვ. 205, 156r).</p>   | <p>„თვით წარვიდა“ (გვ. 218).</p>          |
| <p>9. კლარჯეთის გეოგრ. აღწერილობაში ნათლისმცემლის მონასტრის შესახებ წერია: „სადა ესვენა ჯორხი ნათლის მცემლისაო“ (გვ. 177. 95 v)</p>                 | <p>ეს სიტყვები არ არის (შდრ. გვ. 148)</p> |

C ნუსხა თვითონაც შორდება A და B ნუსხებს. ასე, მაგალითად:

**C**

**A და B**

- |  |   |
|--|---|
| <p>1. ლევანი კახეთიდან ოდიშს „წარიყვანა მამამან მისმან მანუჩარ დადიანშაო“ (90r).</p> | <p>„მოაყვანინა მანუჩარ დადიანმა კახეთით ძე თვისი ლეონ“.<br/>(გვ. 167, გვ. 205—206).</p> |
| <p>2. ვახტანგ V-მ მისცა ლევან III დადიანს „ძმისწული თვისი თამარ“ (184v).</p>         | <p>...„ძმისწული თვისი მეუღლედ თამარ“<br/>(გვ. 173, გვ. 214).</p>                        |

ერთგან კი B ნუსხა შორდება A და C ნუსხებს: ბაბა ხანი რომ ერგენის ციხეს მიადგა, შიგ მყოფ ციციანოვს სანი ათასი მხედრობა ჰყავდაო (A: გვ. 237, C: 162r). მაგრამ არ წერია სიტყვა „მხედრობა“ B ნუსხაში (შდრ. 283—284).

ვინაიდან სამივე ხელნაწერი ერთმანეთს სცილდება ნაწიწივებ ნაგალითებში, უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი არ არიან ერთმანეთის აგან გადაწერილი, არამედ საერთო ავტოგრაფიდან სხვადასხვა პირთა მიერ ცალ-ცალკე გადაწერა წარმოადგენენ.

სამივე ნუსხა შინაარსის თვისებისა და შედგენილობის პრინციპის მიხედვით ერთმანეთს ემთხვევა: ე. ი. ერთი, ავტორისეული რედაქციისა; ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ ვარიანტულად, შინაარსის სიდიდის მიხედვით, რაოდენობრივად. თუ ამ მხრივ შევადარებთ მათ ერთმანეთთან, დავინახავთ, რომ B და C ნუსხები ერთმანეთს ემთხვევიან, A ნუსხა კი მათგან განსხვავებულია. ასე, მაგალითად:

**B და C**

**A**

- |  |   |
|--|---|
| <p>1. „გულამაყრის“ (გვ. 148, 79v).</p>   | <p>„გულამარის“ (გვ. 129).</p>               |
| <p>2. ერთმანეთს გადაემტერნენ „მეფე ლეონ და დადიანი მამია“ (გვ. 203, 111r).</p> | <p>„მეფე ლეონ დადიანი მამია“ (გვ. 166).</p> |

- |  |   |
|--|---|
| 3. „ოდეს მე არლა ვიქნებთ სოფელსა ამას“<br>(გვ. 254, 142r).   | „ოდეს მე არლა ვიქნებთ სოფელსა“<br>(გვ. 207).                  |
| 4. „იხილეს ძურძუკთა განსვენება თავისა მათისა სვანეთს. ამისთვის უწოდეს სავანეთი. და ამის გამო ეწოდა „სვანეთი“<br>(გვ. 190, 104r). | „... უწოდეს სვანეთი და ამის გამო ეწოდა სვანეთი“<br>(გვ. 157). |
| 5. ოტია დადიანი „მოუძღურებულ იყო მოხუცებულ ოჯისა გამო“,<br>(გვ. 247, 137r).  | „... მოუძღურებულ იყო“<br>(გვ. 201).                           |
| 6. აფხაზეთს ფლობდნენ „შარვაშიძენი ზურაბ, ქელაიშ-აჰმედ-ბეგ და ბეჟირ-ბეგ“<br>(გვ. 250, 109v).                                      | „... შარვაშიძენი ზურაბ, ქელაიშ-აჰმედ-ბეგ“<br>(გვ. 203).       |

7. B და C ნუსხების მიხედვით, ალექსანდრე არჩილის ძე გარდაიცვალა რიგაში 1710 წელს. „და მოსწყდა უძეოთ, ხოლო გვაში მისი მოიტანეს მოსკოვს. მისცა გელწიდეშ დონის მონასტერი სისაფლაოდ და დაფლეს მუნ. ხოლო შედგომად... მოკვდა არჩილ მეფე... 1710, დაფლეს იგიცა დონს დიდითა პატივითა, ხოლო მამული მისი დარჩა ცოლსა მისსა დედოფალსა ქეთევანს და ასულსა მისსა დარეჯანს“ (გვ. 233, 128r).

A ნუსხაში კი, გამოტოვებულია რა არჩილის სიკვდილი, წერია შემდეგი გაუგებრობა: ალექსანდრე არჩილის ძე მოკვდა რიგაში 1710 წელს. „დაფლეს იგიცა დონს დიდითა პატივითა, ხოლო მამული მისი დარჩა ცოლსა მისსა დედოფალსა ქეთევანს და ასულსა მისსა დარეჯანს“ (გვ. 188—189).

8. B და C ნუსხების მიხედვით, 1732 წელს ალექსანდრე V-მ შეირთო ლეენ აბაშიძის ასული. ამის გამო დადიანი გადაემტერა მეფეს და „აოხრებდა იმერეთს“. ალექსანდრე V ქუთაისში ჩაიკეტა, როგორც ვერ აიღო დადიანმა. „ამათ ემნთა ნოციდა ფაშა ფოთს, რათა უმეტესად დაიპყრას კიდურნი შაჲის ზღვისანი“. მეფე გაჰყვა ფაშას და „ერთად წარვიდენ ოდიშს. გარნა არა მივიდა დადიანი და დახიზნულ-ყო ყოველი ოდიში. მუნით წარვიდენ და მოსწყვეს ეკლესია... ილორს“ (გვ. 240—241, 133r).

A ნუსხაში, განოტოვებულია რა ფაშის შემოქრა ზღვის სანაპიროზე ლოგიკური ძაფი აქვს დაკარგული იმას, რაც დაწერილია: დადიანმა რომ იმერეთის აოხრებას ხელი მიჰყო, მეფე და აბაშიძე ქუთაისში გააპაგრდნენ. დადიანმა კი „დახიზნულ-ყო ყოველი ოდიში. მუნით წარვიდენ და მოსწყვეს ეკლესია... ილორს“ (გვ. 195).

9. ასეთივე გამოტოვება და მის შედეგად უაზრობა ახასიათებს A ნუსხას კიდევ ერთგან: ალექსანდრე V-სა და ოტია დადიანს შორის შური გაჩნდა. მეცემ ეს თავის დედინაცვალს, თამარ დედოფალს დააბრალა და მოკლა. დადიანი გეგუთს დაბანაკდა საომრად. მას გრიგოლ რაჭის ერისთავი შეუერთდა. მეფის ლაშქარმა დადიანი დაამარცხა გეგუთში და ერისთავი მოკლა 1749 წელს. „და იქნა მის წილ მეფედ ძე მისი სოლომონ“ (გვ. 200).

B და C ნუსხები სისრულით გადმოგვცემენ ამ ამბავს, რაც ამიტომ საყსებით ნათელი ხდება: მეფემ დაამარცხა დადიანი და ერისთავი გეგუთში 1743 წელს. შემდეგ ძერიგდნენ მეფე და დადიანი. ბოლოს ალექსანდრე V-მ გაძარცვა ხახულის ხატი, რომლის ძალითაც წამოსცივიდა მას თვალები და

მოკვდა 1749 წლის მარტში. „და იქნა მის წილ შეფედ ძე მისი სოლომონ“ (გვ. 245—246v).

ამ შედარებებიდან ირკვევა, რომ B და C ნუსხები უფრო სწორი და გამართული, სრული და ავტოგრაფთან ახლოს მდგომია, ვიდრე A ნუსხა.

A ნუსხის შესახებ ისიც უნდა ითქვას, რომ ხელნაწერის სულ ბოლოს, 269-ე გვერდზე მიწერილია ერგენს ვილაჲ ბალდასაროვის წასვლისა და მდ. მტკვრის 1839 წ. 24 მაისის აღიღების მომთხრობელი ამბავი. ამ მინაწერის ბოლოს დაწერილია: „ქმნილა წიგნი ესე თა ნიკოლაი დადიანოვის მიერ“. მინაწერი არაფრით არ ეხება „ქართველთ ცხოვრების“ პინაარსს და იგი უნდა იყოს ან ხელნაწერის ოდინდელი მფლობელის ზაალ ზალოვის ნახელავი. ამიტომაც არის, რომ B და C ნუსხებში ისტორიული თხრობის დასასრულს არ მოპოვება არც აღნიშნული მინაწერი და არც ავტორის ხსენება (მდრ. B: გვ. 315; C: 184v).

ამრიგად, დავამტკიცეთ რა, რომ B და C ნუსხები A ნუსხაზე უფრო სრული, სწორი და ავტოგრაფთან ახლოს მდგომია, ახლა უნდა შევადაროთ ისინი ერთმანეთს და მათგან გამოვეყოთ უეთესი, რათა იგი საფუძვლად დავუდგათ „ქართველთ ცხოვრების“ ტექსტის ჩვენს გამოცემას.

შედარებისას ირკვევა, რომ C ნუსხა მთლიანად ვერ შეუესია და შეუსწორებია ნ. დადიანს და ამიტომ იგიც ჩამოუვარდება B ნუსხას ზოგიერთი უსრულობა-უზუსტობით. ასე, მაგალითად: 1) C ნუსხაში ცარიელადაა დატოვებული ის ადგილები, სადაც ჩაწერილი უნდა იყოს თარიღები სოლომონ პირველისა და კაცია დადიანის ცოლის. ელისაბედის გარდაცვალებისა (141v 138r), მაშინ როცა B ნუსხაში აღნიშნული თარიღები ჩაწერილია (გვ. 253, 248); 2) C ნუსხაში ლევან კახთა მეფის გარდაცვალების თარიღად ჩაწერილია 1541 წელი (90r), მაშინ როცა B ნუსხაში მოცემულია სწორი თარიღი: 1574 წელი (გვ. 167); 3) C ნუსხაში ვკითხულობთ: „ჯიხნი“ (183v), B-ში სწორ ფორმას: „ჯიქნი“ (გვ. 313); 4) C ნუსხაში წერია: „შარპიძეთა“ (181v), ხოლო B-ში: „შარვაშიძეთა“ (გვ. 311).

ახლა შევეხებით იმ „სხვა ნუსხას“ (другой список), რომელსაც ე. თაყაიშვილი იხსენიებს ნ. დადიანის „ქართველთ ცხოვრების“ ორიგინალურ ნაწილის თავის გამოცემაში. იმ „სხვა ნუსხაი“ სიტყვების „სომარებითა“-ს, „ხასან-ბეგ“-ისა და „თადა“-ს მაგივრად წერებულა „სომარებითა“, „ხასან-ბეგ“ და „დათა“<sup>1</sup>. მაგრამ ეს სიტყვები ამნაირად დაბეჭდილია გაზ. „ივერიის“ ტექსტში<sup>2</sup>. რაც შეეხება ჩვენთვის ცნობილ ნუსხებს, „სომარებითა“ და „თადა“ წერია სამივეში (A: გვ. 259, 256; B: გვ. 306, 313; C: 178r. 183r), ხოლო „ხასან-ბეგ“ B და C ნუსხებში (გვ. 308, 179v).

გაზ. „ივერიის“ დაბეჭდილი ტექსტი, როგორც ვნახავთ, გამოქვეყნებულია B ნუსხიდან. ამიტომ სიტყვები: „სომარებითა“ და „დათა“ გაზეთის რედაქციის მიერ შეტანილ შესწორებას უნდა წარმოადგენდეს. აქედან კი „სხვა ნუსხა“, რომელსაც ე. თაყაიშვილი ასახელებს, „ქართველთ ცხოვრების“ ხელნაწერი კი არ ყოფილა, არამედ გაზეთ „ივერიის“ დაბეჭდული ტექსტი უნდა იყოს, რომელიც ე. თაყაიშვილს A ნუსხაზე მდარე ხელნაწერიდან გადაბეჭდილად მიაჩნდა<sup>3</sup>.

<sup>1</sup> Описание, 1<sup>1</sup>, გვ. 49, 51, 55.

<sup>2</sup> გაზ. „ივერია“, 1877, № 4, გვ. 15; № 18, გვ. 14, 16.

<sup>3</sup> Описание... 1<sup>1</sup>, გვ. 57.

ამით ჩვენ ე. თაყაიშვილის მიერ დასახელებული „სხვა ნუსხის“ საკითხი მოხსნილად მიგვაჩნია და ნ. დადიანის „ქართველთა ცხოვრებას“ ამჯერად სამი ხელნაწერის სახით (A, B, C) მოღწეულად ვთვლით.

წარმოდგენილი ტექსტობრივი შედარების შედეგად ჩვენ მივიღივართ იმ დასკვნამდე, რომ A, B და C ნუსხებიდან ყველაზე სრული არის B ნუსხა, რომელიც გავიხადეთ „ქართველთა ცხოვრების“ წინამდებარე გამოცემის საფუძვლად.

### „ქართველთა ცხოვრების“

#### შინაარსი, შედგენილობა და პუბლიკაციები

„ქართველთა ცხოვრების“ შინაარსი წარმოადგენს საქართველოს პოლიტიკური ისტორიის შემოკლებულ გადმოცემას უძველესი დროიდან XIX საუკუნის ოციან წლებამდე. იგი 15 თავისაგან შედგება: I—VI თავებში მოთხრობილია საქართველოს უძველესი ისტორია და ერთიანი საქართველოს ცხოვრება (A:გვ. 3—119; B:გვ. 3—134; C:1r—73r); VII—XIV თავებში მოცემულია საქართველოს კუთხების გეოგრაფიული აღწერა და ქართული სამეფოების პოლიტიკური თავგადასავალი 1469 წლიდან 1749 წლამდე (A:გვ. 119—200; B:გვ. 134—246; C:73r—136v); XIV თავშივე ავტორი შორდება თავის მთავარ წყაროს, ეახუშტის „საქართველოს ცხოვრებას“ და მისგან დამოუკიდებლად ჩაურთავს სოლომონ პირველის მეფობის მიმოხილვას 1749—1784 წლებში (A:გვ. 200—206; B:გვ. 246—253; C:136v—141v); ამავე თავის ბოლო ნაწილში ნ. დადიანი მოკლედ ეხება ლიხთ-იმერეთის პოლიტიკურ ცხოვრებას 1784 წლიდან 1810 წლამდე (A:გვ. 208—246; B:გვ. 255—294; C:143r—169r); XV თავი წარმოადგენს „ქართველთა ცხოვრების“ უკანასკნელ ნაწილს, რომელშიც მოკლედ აღწერილია ლიხთ-იმერეთის პოლიტიკური თავგადასავალი 1810 წლიდან 1823 წლამდე (A:გვ. 247—268; B:გვ. 294—315; C:169v—184v).

ანრივად, ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრება“ სამი ნაწილისაგან შედგება; პირველში მოცემულია საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან 1469 წლამდე, მეორეში—1469 წლიდან 1749 წლამდე. ამ ორ ნაწილში ამთავრებს ავტორი ეახუშტის ვრცელი თხზულების, „საქართველოს ცხოვრების“ შემოკლებულ მიმოხილვას. მესამე ნაწილი კი, სადაც მოთხრობილია ლიხთ-იმერეთის პოლიტიკური თავგადასავალი 1749—1823 წლებში, შეუდგენილია ეახუშტის თხზულებისაგან დამოუკიდებლად თვითონ ნ. დადიანის მიერ.

ჩვენ აქ საგანგებოდ უნდა შევეხოთ სოლომონ პირველის მატიანეს.

ნ. დადიანს თავის თხზულებაში სამი წინასიტყვაობა მოეპოვება: პირველი უძღვის თხზულებას თავში და განმარტავს „ქართველთა ცხოვრების“ შედგენის მიზეზსა და მიზანს. მეორე წინასიტყვაობაში ავტორი განმარტავს იმას, თუ რატომ მოუთხორობს იგი საქართველოს ისტორიის ცალ-ცალკე ქართული პოლიტიკური ერთეულების მიხედვით.

მე-14 თავი ნიძღვნილია ლიხთ-იმერეთის პოლიტიკური თავგადასავალი-სადმი 1810 წლამდე. აქ თხრობა უწყვეტად მიმდინარეობს, ისე რომ არსად ტექსტში განმარტებითი წინა-ან ბოლოსიტყვაობანი ჩართული არ არის. იქ, სადაც ნ. დადიანი ამთავრებს იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ზე საუბარს, ყოველგვარი განმარტებითი ჩანართის გარეშე გადადის სოლომონ პირველის



მეფობის აღწერაზე. ასე, მაგ., იგი წერს: აღექსანდრე V „ნაკვდა ძვესა მარტა წელს ქრისტესით 1749 და იქმნა მის წილ მეფედ ძე მისი სოლომონ. ესე პირველი სოლომონ“ და სხვ.

მაგრამ სოლომონ პირველის მეფობის შემდგომი ამბების მომთხრობელ ნაწილს თავისი თხზულებისას ნ. დადიანი წაუშმძღვარებს მესამე წინასიტყვაობას, რომლის პირველი აბზაცი თავისი შინაარსით ბოლოსიტყვაობა არის „ქართველთ ცხოვრების“ წინა ორი ნაწილისა ერთად. იქ ნ. დადიანი ამბობს: „განგეორებდით ახლად შევსთხზენ ესე ქართველთ ცხოვრებად დაბოძთა ფრასითა“, მაგრამ „არცაღა დამიძიკრებდეს და არცა დამიძატებდეს მის უწინდელთა ქართველთ შეისტორიეთაგან და ნანდვილნი იგი დამიძვიეს ვითარ ვიხილე მას წინაო“.

აქ ნ. დადიანს სოლომონ პირველის მატინის ავტორიც სხვა ავტორებთან ერთად თითქოს თავის თავზე უწინდელ, ე. ი. სხვა პირად ჰყავს ჩათვლილი. მაგრამ აქ ნ. დადიანს უნებლიე შეცდომა გაპარვია, თორემ მას წინასიტყვაობის ეს აბზაცი უნდა ჩაერთო აღექსანდრე V-ის მეფობის აღწერის დასასრულს.

ყველაფერი გასაგები ხდება აღნიშნული წინასიტყვაობის მომდევნო აბზაცში: „ხოლო პირველის სოლომონ მეფედამ წყებულ (ე. ი. 1749 წლიდან) ვიდრე აქამოდ (ე. ი. 1823 წლამდე). ...ჯერეთ არღა აღწერილ არიან არცა ძველსა და არცაღა ახალსა ქართველთ ისტორიასა შინა... ამისთვის მე... ესე შედგომნი მოთხრობანი ანუ ისტორიანი, რომელნიმე სმენილნი და რომელნიმე თვით ჩემგან ხილულნი, აღვსწერო“.

მაშასადამე, „სოლომონ პირველს მეფობა“ დაწერილია ნ. დადიანის მიერ. მაგრამ, ამის მიუხედავად, ჩვენ იგი „ქართველთ ცხოვრების“ არაორიგინალურ, კონსპექტურ ნაწილში მოვათავსეთ. აქამდე ჩვენ მივიყვანა ნ. დადიანის უნებლიე შეცდომა, რაც აღნიშნულ წინასიტყვაობას ახასიათებს. ამ მხრივ ჩვენ იმით დავკმაყოფილდით, რომ „სოლომონ პირველის მეფობა“ ჩვენზე დავასათურეთ და ცალკე ქვეთავად გამოვყავით, რითაც მკიხველს ცნობას ვაძლევთ იმისას, რომ ეს ნაწილი დამოუკიდებელია ნეორე ნაწილისაგან და შედის მესამეში.

მაშასადამე, სამივე ნაწილი „ქართველთ ცხოვრებისა“ ჩვენს გამოცემაში დაყოფილია სამ წიგნად. პირველ წიგნში მოთავსებულია საქართველოს ისტორია 1469 წლამდე, ხოლო მეორეში—გეოგრაფიული აღწერილობის ჩათვლით 1469 წლიდან 1749 წლამდე. რაც შეეხება მესამე წიგნს, ჩვენ მასში მოვათავსეთ ნიკო დადიანის მიერ ახლად შეთხზული ლიხთ-ინერეთის პოლიტიკური თავგადასავალი 1749 წლიდან 1823 წლამდე.

\* \* \*

„ქართველთ ცხოვრებიდან“ პირველად დაიბეჭდა 1784—1823 წლების ისტორიის შემცველი ნაწილი გაზეთ „ივერიაში“ 1877 წელს სათაურით: „ჩვენის ისტორიისათვის მასალა“ მ წერილად: № 5 (გვ. 11—13), № 6 (გვ. 12—14), № 7 (გვ. 12—15), № 8 (გვ. 11—14), № 12 (გვ. 13—15), № 13 (გვ. 14—16), № 14 (გვ. 14—15), № 18 (გვ. 14—16).

ამის შემდეგ, 1879 წელს ჟურნალმა „ივერიაში“ თავის VII—VIII ნომერებში დაბეჭდა „ქართველთ ცხოვრების“ ის ნაწილი, რომელიც ეხება ლიხთ-

იმერეთის პოლიტიკურ თავგადასავალს 1469 წლიდან 1784 წლამდე, სათაურით: „იმერეთის ისტორია“ (გვ. 121—162). ნაშასადამე, იქვე დაიბეჭდა „სოლომონ პირველის მეფობაც“.

„ქართველთა ცხოვრების“ 1784—1823 წლების თავგადასავალი მეორედ გამოაქვეყნა ე. თაყაიშვილმა 1902 წელს წიგნში: «Описание рукописей Общества распространения грамотности среди грузинского населения», т. I, выпуск I (გვ. 14—56), რუსული თარგმანითურთ (გვ. 57—104). ეს გამოცემა გადმოიბეჭდა S—9 ხელნაწერიდან, ჩვენი კლასიფიკაციით—A ნუსხიდან. იქვე გამოქვეყნებულია ამ ხელნაწერის აღწერილობაც (გვ. 8—14, 104—105).

„სოლომონ პირველის მეფობაც“ მეორედ გამოქვეყნდა ს. კაკაბაძის წიგნში: „წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის“, I, 1914 (გვ. 84—89). ამ გამოცემის ტექსტი ემთხვევა თურნ. „ივერიის“ ტექსტს და S—1738 ხელნაწერიდანაა (ჩვენი კლასიფიკაციით, B ნუსხიდანაა) გადაბეჭდილი.

[B ნუსხიდან გადაუბეჭდავს ჯერ გაზეთ და შემდეგ თურნალ „ივერიასაც“. ამ ხელნაწერის 192-ე გვერდზე, სადაც იწყება XIV თავი, საკუთრივ ლიხთიმერეთის პოლიტიკური თავგადასავალი, ფანქრით მიწერილია: „ჩვენის ისტორიის მასალა ნიკოლოზ დადიანისა. აქედამ“. ჰევეით კი, 192-ე და 193-ე გვერდების აშვიებზე ფანქრით მიწერილია და ძნელად იკითხება შემდეგი: „ეს მოთხრობა ნ. დადიანისა არის. ამ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარშია დაწერილი. და აეტორი ერთს ადგილს აშობს, რომ სოლომონ პირველიდამ რაც ცნობანია ამ წიგნში მოყვანილი, ჯერეთ არაად აღწერილი არიანო, არცა ძველსა და არცა ახალსა ქართულ ისტორიასა შინაო. მართლაც და ამიტომ ღირს-ცნობად ვნახეთ დაგებულთ[?] თავიდან შეუცვლელად“.

ამ ზინაწერს შინაარსით ემსავასება გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი ზემდეგი განმარტებითი შენიშვნა: „ჩვენის ისტორიისათვის მასალა ამოღებულია ნიკოლოზ დადიანის ხელნაწერის თხზულებიდან, რომელსაც ჰქვიათ „ქართველთა ცხოვრება“. ჩვენ ამ თხზულებიდან ამოვიღეთ მხოლოდ იმ დროთა ამბავი, რომელიც დაიწყება 1784 წ. და თავდება 1823 წლით. ღირს საცნობად დაეინახეთ ეს მით უფრო, რომ ნ. დადიანი რასაც მოგვითხრობს, ან თვით გაუგონია, ან თვით უნახავს“.<sup>1</sup>

ამასთან დაკავშირებით ნიშანდობლივია ის, რომ გაზეთმა „ივერია“ თავის ფურცლებზე ნ. დადიანის თხზულებიდან ამოღებული მასალა დაასათაურა ამნაირად: „ჩვენის ისტორიისათვის მასალა“.<sup>2</sup>

ამიტომ საფიქრებელია, რომ B ნუსხაში ზემოთ აღნიშნული მინაწერები შესრულებული უნდა იყოს გაზეთ „ივერიის“ თანამშრომლის მიერ, რომელსაც უკისრია ზრუნვა დადიანის თხზულების უკანასკნელი ნაწილის გამოქვეყნებისათვის. მისი ხელით უნდა იყოს აგრეთვე დასმული B ნუსხაში წითელი ფანქრით შესრულებული სასტენი ნიშნები, ალბათ, ბეჭდვის გასაადვილებლად (260-ე გვ. დან ბოლომდე).

ამრიგად, A და B ნუსხები ორივე გამოყენებულია აუბლიკაციისათვის ჯერ გაზეთ და შემდეგ თურნალ „ივერიის“ მიერ, აგრეთვე ე. თაყაიშვილისა და ს. კაკაბაძის კანაც.

<sup>1</sup> გაზ. „ივერია“, 1877, № 5. გვ. 11, სკოლიო.

<sup>2</sup> იქვე, № 5.

## ნ. დადიანის „ქართველთა ცხოვრების“ ადგილი და მნიშვნელობა ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში

„ქართველთა ცხოვრება“, როგორც ვიცით, წარმოადგენს სასწავლო სახელმძღვანელოს და შედგება სანი ნაწილადგან. ირველი ორი ნაწილი მოიცავს საქართველოს ფილიტკურ ისტორიას, შემოკლებულს „ქართლის ცხოვრების“ კრებულის თხზულებათა და სხვა ქართველ ავტორთა ნაშრომებიდან. მესამე ნაწილი ეკუთვნის თეოდონ ნიკო დადიანს, რომელმაც ანთ განაგრძო ლიხთ-იმერეთის პოლიტიკური თავდადასავლის თხრობა 1749 წლიდან 1823 წლამდე.

ვინაიდან ნ. დადიანს თავისი პედაგოგიური დანიშნულებისათვის საქართველოს ისტორიის შემოკლებულად შედგენა აინტერესებდა, მას ხელი მოუკიდა დავით ბატონიშვილის შემოკლებული თხზულებანიდათვის, რომელიც დაიბეჭდა თბილისში 1800 წელს „ნარკუტყვი-ს“ სახელწოდებით.

„ნარკვევის“ კვალი აშკარად აღეცა „ქართველთა ცხოვრების“ წინასიტყვაობას, სადაც ზოგიერთი ადგილი სიტყვა-სიტყვათაა გადაწერილი „ნარკვევის“ წინასიტყვაობიდან. ასე, მაგალითად:

„ნარკუტყვი“

- 1) „ვინათგან ბუნება გონიერებითი ასწავებს ყოველთა თავისა თვისისა უმჯობესისა აღრჩევასა, ამისთვის მეცა უმჯობესად ვრაცხე შრომადა ესე“ (გვ. ე).
- 2) „ჩვენი ერნი „მოკლებულ იყუნეს“ თავიანთ ისტორიას. „ამად საჭირო იყო ისტორიისადა შემეცნება“ და ამიტომაც დავწერე ეს თხზულებათ (იქვე).
- 3) „გარნა არა მრცხენის, არამედ რომელ გაღვიბებულ ვიყომცა სიყვარულისათვს მამულისა, რომელსადა თავი თვისი ნა მიყოფიეს სისხლითურთ მსხუტრბლად ტრაპეზსა ზედა სიყვარულისასა დასაწუტლად, რომელიცა არა ვპრიდებ შრომასა სარგებელისათვს მამულითა, რათა აღმოვსჩნდე სიყვარულითა, ერთგულებითა და მსახურებითა და რათა მეცა ნიადაგ დაუვიწყებლობასა შინა მათსა ვიყო მათ მიერ სავსოვ“ (გვ. ვი).

„ქართველთა ცხოვრება“

„ვინათგან სჯული ბუნებითი ასწავებს ყოველთა თავისა თვისისა უმჯობესისა აღრჩევასა, ამისთვის მეცა უმჯობესად ვრაცხე შრომადა ესე“.

„და ვინათგან... მოკლებულ იყვნენ ერნი ჩვენი ამავითართა ისტორიათა... და ძვილ სადამე იპოებოდა ჩვენსა ქვეყანასა ქართველთა ცხოვრება... ამისთვისცა... აღვსწერე ესე ქართლის ცხოვრება შემოკლებული“.

„გარნა არა მრცხენის, რათა გაღვიბებულ ვიყო მსახურებისათვის მამულისა, რომელსადა მზად მიყოფიეს თავი ჩემი სისხლითურთ მსხვერპლად ტრაპეზსა ზედა სიყვარულისასა დასაწველად; რომელმანცა არა ვრიდე შრომასა სიყვარულისათვის მამულითა, რათა აღმოვჩნდე მსახურად და მათ მიერ მქონდეს ხსოვნა“.

მაგრამ „ქართველთა ცხოვრების“ წინასიტყვაობაში, ანას გარდა, ნ. დადიანი წერს, რომ ეს თხზულება შევადგინე ჩემი მოწაფეებისთვისო. ამასთანავე, შევთხუე იგი იმ მიზნითაც, რომ მისი ცოდნით უმჯობესად წარმართონ

აქვე ცხოვრება მისმა მკითხველებმაო.—არც ერთი ეს მომენტი „ნარკუშევის“ წინასიტყვაობაში არ არის<sup>1</sup>.

„ქართველთ ცხოვრებას“ დ. ბატონისშვილის „ნარკვევის“ გავლენა სხვა მხრივაც ახასიათებს. სამივე წიგნის საერთო სათაური: „თვის სამეფო მასა ქართლისათა“, ნ. დადიანს გადმოწერილი აქვს დ. ბატონისშვილისაგან. „ნარკვევიდან“ გადმოწერია მას პირველი თავის პირველი აბზაცი: „ქართველთ ისტორია იპყრობს... და ბაგრატიონთადა“<sup>2</sup>, აგრეთვე მთლიანად მეორე თავი: „ქართლი აღუშენა... და გარემოთაცა წელსა 1806“<sup>3</sup>. „ნარკვევიდანაა“ გადმოწერილი მესამე თავიც, გარდა ალ. მაკედონელის ლაშქრობის, ნაბუქოდონოსორისაგან იერუსალიმის მოხბრებისა და საქართველოში კაციქამიოზის გაერკვლების ამბებისა<sup>4</sup>.

დ. ბატონისშვილის „ნარკუშვი“ იმდენად არის შემოკლებული, რომ ბევრი რამა მასში გამოტოვებული და რაც არის, მხოლოდ უბრალოდაა დასახელებული, ისე რომ თხრობითი ხასიათი მას ხშირად დაკარგული აქვს, ამბები არაა მასში გადმოცემული, ამასთანავე, იგი მარტო აღმოსავლეთ საქართველოს ეხება და გრძელდება მხოლოდ ერეკლე მეორის გარდაცვალებამდე. როგორც ჩანს, ამიტომ ნ. დადიანს იმთავითვე ხელი აუღია მის შემდგომს გამოყენებაზე.

ნ. დადიანი, როგორც ვიცით, საქართველოს შემოკლებულ ისტორიას აღგენდა. მაგრამ უკანასკნელი ისეთი უნდა ყოფილიყო, რომ უბრალო ჩამოთვლა-დასახელების ფარგლებს გაშორებოდა და თხრობითი შინაარსი ჰქონოდა, რათა ცოდნა მიეცა მკითხველისათვის, ვინაიდან გამიზნული იყო სასწავლო წიგნად. ამასთანავე, თავისი „ქართველთ ცხოვრების“ შედგენისათვის ნ. დადიანს აინტერესებდა საქართველოს ისტორიაში ლიხთ-იზერეთის თავადასაკლის წარმოჩენაც. ენებდა რა ამ თვალსაზრისით თავის ლიტერატურულ წყაროებს, მან სრულიად სამართლიანად იიჩნია ვახუშტი ბატონისშვილი.

ქართული მეცნიერული ისტორიოგრაფიის ფუძემდებელი აქალ. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა“ კომისიამ თავის ამოცანად დაისახა ძველი „ქართლის ცხოვრების“ კრებულის შევსება-გაგრძელება საქართველოს პოლიტიკური თავადასავლით მე-14—მე-17 საუკუნეებში, ამასთანავე გამორკვევა საქართველოს პოლიტიკური დაშლის მიზეზისა და დროისა, აგრეთვე ცალკეული სამეფო-სამთავროების ბატონ-პატრონთა ვინაობისა<sup>5</sup>.

<sup>1</sup> ნ. დადიანსათვის ცნობილი ყოფილა პაპუნა ორბელიანის „ვახტანგის ქართლისანი“ და მისი წინასიტყვაობაც გამოუყენებია. ა.ე. მაგალითად:

„ამბაენი ქართლისანი“

„ქართველთ ცხოვრება“

„ხელ-წყავ აღწერად პირველად, რათა არა დაეწყებულ იქმნენ ენეთარნი ამბაენი და მეორედ, შემდგომნი ჩენნი მოახსენებდნ“ ჩემს აღწერილსო (საქართველოს ცხოვრება, წიგ. III, 1913, ხ. კვიციანის გამოც., გვ. 53).

<sup>2</sup> შდრ. ნარკუშვი, გვ. პგ.

<sup>3</sup> შდრ. იქვე, გვ. პგ-პთ.

<sup>4</sup> შდრ. იქვე, გვ. პთ-ფბ, ებ, ედ.

<sup>5</sup> ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო ნწერლობა, 1945, გვ. 319—320.

ამ საკითხებზე მუშაობისას კომისია იღვა საქართველოს ერთიანობის თვალსაზრისზე, და ბერი ეგნატაშვილის თაოსნობით შედგენილი „ახალი ქართლის ცხოვრება“ მსგავსია ამ ნსრზე ძველი „ქართლის ცხოვრების“ კრებულისა. საქართველოს ერთიანობის დაშლის ზემოთ დასახელებული საკითხების შესწავლით კომისიამ ნიადაგი მოუწზადა ეახუშტი ბატონისშვილს, რომელმაც პირველმა უპასუხა საქართველოს დაშლილობის ხანის საისტორიოგრაფიო მოთხოვნას. მან საქართველოს ისტორია დაყო სამ ხანად. პირველში მოათავსა ერთიანობის პერიოდი 1469 წლამდე, მეორენი — დაშლილობისა 1469 წლიდან, ხოლო მესამეში საუბრობს თავისი დროის ანბების შესახებ<sup>1</sup>. სამივე ნაწილში იგი თავისი თხზულების მთავარ ელემენტებად მიიჩნევს ადგილს, დროს, ნათესაობასა და საქმიანობას და ყურადღებასაც მათ გამოკვეთაზე ამახილებს<sup>2</sup>.

წარმართადა რა ამნაირად ნეცნიერულ მუშაობას, ეახუშტი ბატონისშვილმა თავისი თხზულების „საქართველოს ცხოვრების“ პირველი ნაწილი შეადგინა ძველი „ქართლის ცხოვრების“ კრებულის შემოკლებითა და შევსება-დაზუსტებით<sup>3</sup>.

უფრო მნიშვნელოვანია ეახუშტის თხზულების მეორე ნაწილი, რომელიც ასეა დასათაურებული: „შენდგომად განყოფისა სამეფოსა სამ სამეფოდ და ხუთ სამთაეროდ“<sup>4</sup>. აქ ეახუშტი ცალ-ცალკე მიმოიხილავს ყველა ქართული პოლიტიკური ერთეულის ისტორიას: 1) „ცხოვრება და ქმნულება მეფეთა ქართლისათა“<sup>5</sup>, 2) „ქმნულება და ცხოვრება კახეთისა და ჰერეთისა“<sup>6</sup>, 3) „ცხოვრება სამცხე-ქლარჯეთისა“<sup>7</sup> და 4) „ცხოვრება ეგრის-აფხაზეთისა“<sup>8</sup>. ეს უკანასკნელი ძირითადად შეეხება იმერეთის სამეფოს და იქვე, შიგადაშიგ ჩართულია ცნობები გურია-ოდიშ-სუვანეთ-აფხაზეთის სამთავროების პოლიტიკური ისტორიის შესახებაც.

თავისი თხზულების მეორე ნაწილში ქართლის საშეფოს ისტორიას ეახუშტი უშუალოდ განაგრძობს 1469 წლიდან. როდესაც გარდაიცვალა ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი ერეკლე და საკუთრივ ქართლის მეფედ დაჯდა მისი ძე კოსტანტინე. ეს თარიღი მას მიაჩნია ერთიანი საქართველოს პოლიტიკური დაშლის დასასრულად. ამასთანავე, გვიანდელი ქართლის სამეფოს ეახუშტი თვლის ერთიანი საქართველოს პირდაპირ მემკვიდრედ. ამის გამოა, რომ იგი გვიანდელი ქართლის სამეფოს ისტორიას არ წაუძღვარებს წინანდელი ხანის პოლიტიკურ მიმოხილვას; ასეთად მას მიაჩნია ის, რაც ნათქვამია ერთიანი საქართველოს ისტორიაში.

რაც შეეხება დანარჩენ პოლიტიკურ ერთეულებს — კახეთისა და იმერეთის სამეფოებსა და სამცხე-ქლარჯეთის საშთავროს, — მათ წინანდელ პოლიტიკურ ისტორიას ეახუშტი ცალ-ცალკე იკვლევს და იძლევა ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველ და სერიოზულ ცდას მისი სისტემატიზაციისას. იმის

<sup>1</sup> ი. ე. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო წყაროება, 1945, გვ. 343.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 329.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 331.

<sup>4</sup> საქართველოს ცხოვრება, წიგნი II, ხ. კიკინაძის გამოცემა, 1913, გვ. 16.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 146.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 222.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 267.

მიუხედავად, რომ ვახუშტის შრომის ეს ნაწილი გარკვეული ხარვეზებით ხასიათდება, ამას მაინც დიდი მნიშვნელობა უჭირავს და აქვს საქართველოს ისტორიის სისტემატური შესწავლის საქმეში.

უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მეცნიერებისათვის ვახუშტის თხზულების იმ ნაწილს, რომელშიც ცალ-ცალკე და სისტემატურადაა მოთხრობილი პოლიტიკური თავგადასავალი საქართველოს სამეფო-სამთავროებისა XV საუკუნის ნახევრიდან XVIII საუკუნის ნახევრამდე. ეს იყო ახალი სიტყვა ჩვენს ისტორიოგრაფიაში. „ქართლის ცხოვრების“ არც ერთ გაგრძელებაში (პროფ. ს. ყაუხჩიშვილის ტერმინოლოგიით, ტექსტში<sup>1</sup>), ისევე როგორც სხვა ცალკეულ ავტორთა თხზულებებში, დაშლილობის ხანის საქართველოს ისტორია ამ თვალსაზრისით არ არის დაწერილი; ყველა თხზავდა ძველი „ქართლის ცხოვრების“ კრებულის მიხედვით, ერთიანობის თვალსაზრისით, წერდნენ მართლ ქართლის სამეფოს ისტორიას და ამიტომ დანარჩენი პოლიტიკური ერთეულების შესახებ იძლეოდნენ მეტად მცირე და ფრაგმენტულ, ერთმანეთისაგან მოწყვეტილ ცნობებს, მაშინ როცა დაშლილობის ხანის ფეოდალური საქართველო რეალურად რამდენიმე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა და მისი ისტორიაც ამ ერთეულების ცალ-ცალკე და სისტემატური შესწავლით უნდა დაწერილიყო. ეს ამოცანა შეასრულა ვახუშტმა და ამით ბრწყინვალედ გადაჭრა პირველმა ის დიდი პრობლემა, რომელიც საქართველოს სამეფოს დაშლამ წამოუყენა ქართულ ისტორიოგრაფიას.<sup>2</sup>

სწავლობდა რა საქართველოს ისტორიას დაშლილობის ხანის თვალსაზრისით, ვახუშტი ბატონისშვილი ერთნაირი სიძლიერით თხზავდა ისტორიულ თავგადასავალს ყველა ქართული პოლიტიკური ერთეულისას და ამით თავის გენიალურ შრომაში საქართველოს ერთიანობის თვალსაზრისსაც ატარებდა.

დადანი, რომელმაც ძირითადად ვახუშტის „საქართველოს ცხოვრების“ გამოყენება მოისურვა „ქართველთა ცხოვრების“ შესადგენად, დიდი ისტორიკოსის აღნიშნულ თვალსაზრისზე დადვა. ამთავრებდა რა „ქართველთა ცხოვრებას“ 1469 წლით, იგი, ვახუშტის მიბაძვით, მომდევნო ნაწილის წინასიტყვაობაში წერდა: „ხოლო ამით შემდგომთა ნეჟეთა ქნულეებასა ვიწყებ განკერძოებით აღწერასა, ვინათგან იქმნა განხეთქილებაანი და სამეფოთა კერძობანიო<sup>3</sup>“. ამ ნაწილში ნ. დადანი დებდაფხვ მიჰყვება ვახუშტის და ამოკლებს მის „საქართველოს ცხოვრებას“ ცალკეული კუთხეებისათვის თავთავიანთი გეოგრაფიული აღწერილობებითურთ<sup>4</sup>. მართალია, ნ. დადანი აქვერ იცავს თანმიმდევრულობას და არათანაბრად ამოკლებს ლიხთ-ამერულ და ლიხთ-იმერულ ამბებს, მაგრამ ამის მიუხედავად, თვისობრივად იგი ვახუშტის კონცეფციის გავლენაში რჩება.

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 024.

<sup>2</sup> შდრ. კ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, 1954, გვ. 274.

<sup>3</sup> იხ. ამისათვის დამატებით აქვე, კომენტარი 225-ე.

<sup>4</sup> შდრ. დ. ბაქრაძე, Археологическое путешествие по Гурии и Аджаре, СПб, 1878, გვ. 232. სქოლიო.

მეგრამ „ქართველთ ცხოვრების“ მთავარი მხარე ისაა, რომ ნ. დადიანი განაგრძობს ვახუშტის შემდეგი დროის ლიხთ-იმერეთის პოლიტიკური იაქიარის აღწერას 1749 წლიდან 1823 წლამდე. მაშასადამე, ნ. დადიანის „ქართველთ ცხოვრების“ სახით ქართულ ისტორიულ მეცნიერებას შემონახული აქვს ერთადერთი თხრობითი წყარო ლიხთ-იმერეთის პოლიტიკური თავგადასავლის შესახებ 1740-იანი წლებიდან 1823 წლამდე

რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, მისი ისტორია ვახუშტის შემდეგი დროისა 1800 წლამდე დაწერილია პაპუნა ორბელიანის, ომან ხერხეულიძის, დავით და ბაგრატ ბატონის შვილების მიერ საქართველოს ერთიანობის თვალსაზრისით, ეახტანგ მეფის „სწავლულ კაცთა“ კონიისისებურად. ამ ავტორებთან საქმად შინაარსიანად აა წარმოადგენილი პოლიტიკური თავგადასავალი ქართლ-კახეთისა 1744—1801 წლებში. ხოლო თუ შევადარებთ მათ თხზულებებთან ნ. დადიანის „ქართველთ ცხოვრების“ იმ ნაწილს, რომელიც ეხება ვახუშტის შემდეგი დროის ქართლისა და კახეთის ისტორიას, აშკარა ვახდება, რომ ნ. დადიანი ძალიან მცირე და ზოგად ცნობებს იძლევა და ამასაც მხოლოდ 1801 წლამდე. რაც შეეხება სამცხე-საათაბაგოს, ამის შესახებ კი ნ. დადიანი იქ წვეუტს თხრობას, სადაც ვახუშტი ამთავრებს (ნადირ შაჰის მიერ ქართლის დაკავება და აქედან თურქების გაძევება 1736 წელს).

მაშასადამე, ნ. დადიანის „ქართველთ ცხოვრება“ ვერ დვას თავისი დანიშნულების სიძალღეზე აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიის უბანზე როგორც XV—XVIII საუკ. პირველ ნახევარსა, ისე მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში. ამას ისიც უნდა დავსძინოთ, რომ, განაგრძობს რა ლიხთ-იმერეთის პოლიტიკური თავგადასავლის შესახებ თხრობას 1801 წლიდან 1823 წლამდე, ნ. დადიანი ერთ სიტყვასაც არ ამბობს იმავე პერიოდის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიაზე.

აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიულ თავგადასავალზე დუნილი იმისი შედეგია, რომ ნ. დადიანს არა ჰქონია არც ვახუშტისა და არც ეახტანგ მეფის „სწავლულ კაცთა“, ისევე როგორც აქვე დასახელებულ ცალკეულ ავტორთა, საქართველოს ერთიანობის თვალსაზრისი. სამაგიეროდ იგი დაშლილობის ხანის ვიწრო, „კუთხურ“ თვალსაზრისზე დგას თავისი ისტორიული თხზულების შედგენაში.

\* \* \*

არსად თავის თხზულებაში ნ. დადიანი არ ახსენებს ვახუშტის სახელს. მეგრამ ვახუშტის ისტორიულ თხზულებას იგი უწოდებს „დიდ ქართველთ ცხოვრებას“. კახეთის ისტორიისათვის იგი წერს, რომ კახეთის მეფე-მთავართაგან ზოგს აეწერთ და „რომელთაზე დაუტევებთ არასაკიროებისათვის, და ვრცელად იხილეთ დიდსა ქართველთ ცხოვრებასა შინაო“ (აქვე, ტექსტი, წიგნი II, თავი მე-10). ეინაიდან კახეთის მთავარ-ქორიკონთა ბატონობის შესახებ სისტემატური თხრობა ვახუშტის გარდა ქართულ ისტორიოგრაფიაში სხვაგან არსად არა გვაქვს, „დიდ ქართველთ ცხოვრებად“ ნ. დადიანი ვახუშტის „საქართველოს ცხოვრებას“ უნდა გულისხმობდეს. ამას გარდა, ნ. და-

დიანი თავის შემოკლებულ თხზულებაში ყველგან ხომ ვახუშტის ვრცელი ისტორიის ქრონოლოგიას იცავს?...

უწოდებდა რა ვახუშტის ისტორიულ თხზულებას „ქართველთ ცხოვრებას“, ასეთი კვალიფიკაცია ნ. დადიანს მიუჩნევია ზოგად სახელწოდებად საქართველოს შესახებ ისტორიული თხზულებისათვის. და აქედან გასაგებია კერძოდ ჩვენი ავტორის ისტორიული ნაშრომის სახელწოდება: „ქართველთ ცხოვრება“.

ვახუშტის თხზულებას, გარდა „დიდი ქართველთ ცხოვრებისა“, ნ. დადიანი უწოდებს აგრეთვე „დიდ ქართლის ცხოვრებასაც“. „ქართველთ ცხოვრების“ II წიგნის მე-7 თავში, სადაც ქართლის სამეფოს ვეიგრაფიული აღწერა მოცემული, ნ. დადიანი წერს: „აღწერა შვირისა სასაასეტოსა... აქ შემტირებით. სოლო სრულად იხილე დიდსა ქართლის ცხოვრებასაო“; ანდა იქვე, ცოტა ქვემოთ: „ესენი აქა აღწერილ არიან შემოკლებულად, სოლო ვრცლად... დიდსა ქართლის ცხოვრებასა შინა იხილე“.

„ქართველთ ცხოვრების“ შედგენაში ნ. დადიანს გამოუყენებია ცელი „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შემავალი თხზულებებიც. მაგარტ III-ის სიკვდილის თარიღში ნ. დადიანი უჩვენებს პარასკევს (იხ. აქვე, ტექსტი, წიგნი 1, 55-ე მეფე), რომელიც არაა ვახუშტისთან<sup>1</sup>, მაგრამ არის „მატიანე ქართლისაში“<sup>2</sup>.

ძველი „ქართლის ცხოვრების“ კრებულიდან ნ. დადიანი იცნობდა თითქმის ყველა მასში შემავალ თხზულებას:

1. ქალაქ პონტოს ალკის დროს რომ ვახტანგ გორგასალმა სიზმრები ნახა, ამაზე ნ. დადიანი შემოკლებით წერს და მკითხველს მიუთითებს დამატებით: „ვრცელსა ისტორიასა შინა იხილე უვრცელესო.“ აქ, ცხადია, ავტორს მხედველობაში აქვს ჯუანშერი<sup>3</sup> თხზულება (იხ. აქვე, ტექსტი, წ. 1, 33-ე მეფე).

2. ამოკლებს რა დავით აღმაშენებლის ისტორიას, ნ. დადიანი მკითხველისათვის წერს: „სცნობ საქმესა მისსა ცხოვრებასა მისსა სავედრო“ (იქვე, 59-ე მეფე).

3. მხედველობაში აქვს რა თამარ მეფის ვრცელი ისტორიული თხზულება, ნ. დადიანი ზაქარია მხარგრძელის შესახებ წერს მკითხველისათვის: „საქმენი მისნი და ნხეობანი სრულმან ისტორიამან მოგითხრასო“ (იქვე, 63-ე მეფე); ხოლო იოანე მხარგრძელის შესახებ იქვე ნათქვამია: „თუ ვითარ უვრცელეს იხილო ვრცელსა ისტორიასა ქართველთასო“ (იქვე).

ნ. დადიანი თავისი თხზულების შესადგენად იყენებდა „ახალი ქართლის ცხოვრების“ ტექსტებსაც. ქვაბთახევის ტრაგედიის ამბის აღწერაში ნ. დადიანს განუწყენებია ისინიც (იხ. აქვე, ტექსტი, წ. 1, 74-ე მეფე და შდრ. „ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 329, 453).

ძველი და ახალი „ქართლის ცხოვრებისა“ და ვახუშტის თხზულებათა გარდა, ნ. დადიანი გასცნობია აგრეთვე სხვადასხვა საკითხისათვის ცალკეულ ავტორებს, რომლებზედაც თავთავის აღგილზე მკითხველს მიუთითებს კიდევც. ასე, მაგალითად:

<sup>1</sup> შდრ. საქართველოს ისტორია, I, 1885, დ. ზაქარაძის რედაქციით, გვ. 144.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 283.



1. წმინდა წინოს მოღვაწეობის აღწერა მეტი სისრულით იხილეთ „რომელი სრულმან ისტორიამან და ნარტირეკამან წმინდისა წინასამან ერცელად და სანატრელად ნოგითხრასთ ყოველიო“ (აქვე, ტექსტი, წ. I, 24-ე მეფე). აქ ნ. დადიანი მკითხველს მიუთითებს ლ. მროველის „მეფეთა ცხოვრებაში“ შესულ წინოს ბიოგრაფიაზე.

2. ანტონის „ნარტირეკასაც“ გაცნობია ნ. დადიანი ქეთევან დედოფლის ტრაგიკული ბიოგრაფიისათვის; იგი შაჰ-აბასის მიერ წამებულ იქნა „ვითარ მოგვიტხრობს ნარტირეკა მისიო“ (აქვე, ტექსტი, წ. II, მე-10 თავი).

3. ანტონ კათალიკოსი ნ. დადიანს თამარის წეგობის აღწერაშიაც გამოყენებული ჰყავს. ლექსი: „ამისა ბროლსა ნათელსა... რეოდა“ ზოტიანილი აქვს მას ასეთი განმარტებით: „ქმნილ არს ლექსი ესე შემდგომი თამარ მეფისათვის ანტონის მიერ კათალიკოსისა დავითიან-ბავრატოვანისო“ (აქვე, ტექსტი, წ. I, 63-ე მეფე და კომენტარი 156-ე. შდრ. ე. თაყაიშვილი, Описания..., I, 1902, გვ. 10). დავით აღმაშენებლის დასახასიათებლად ნ. დადიანი იყენებდა ანტონ კათალიკოსის „წყობილსიტყვაობას“, აგრეთვე ამ უკანასკნელის მიერ დავით აღმაშენებლისათვის შეთხზულ საგალობელსაც (იხ. აქვე, კომენტარები 130, 131).

4. ნ. დადიანი გაცნობილი ყოფილა პეტრე მაიუშელის ბიოგრაფიასაც; იგი წერს პეტრეზე: „რომლისა ცხოვრებასა მოგვიტხრობს მეტაფრასი მისიო“ (აქვე, ტექსტი, წ. I, 27-ე მეფე).

5. დადიანს გამოყენებული აქვს პ. ორბელიანის თხზულება: „ამბავნი ქართლისანი“. ასე. მაგ.: იმერეთის მეფის ალექსანდრე V-ის დედის-ნაცვლის, თამარ გურიელის ასულის მეორე სახელად იგი „კოჭიბროლას“ წერს (აქვე, ტექსტი, წ. II, თავი მე-14-ბ). „კოჭიბროლა“ კი, როგორც თამარ დედოფლის მეორე სახელი, დამოწმებულია ნ. დადიანამდე მარტო პ. ორბელიანის თხზულებაში (შდრ. ქართლის ცხოვრება, II, ჩუბინოვის რედ., სპ., 1854, გვ. 354).

6. დადიანს აგრეთვე „სოლომონ პირველის მეფობის“ დასაწერად უნდა გამოეყენებინა სოლომონ II-ის 1805 წ. 25 აპრილის სიგელი ხრესილის ომისა და რაჭის ერისთვის როსტომის დასჯის შესახებ (იხ. აქვე, კომენტარი 435-ე). იგი ამასთანავე სარგებლობდა უცნობი წყაროთი ალექსანდრე V-ის გარდაცვალებისა და სოლომონ I-ის გამეფების ამბების მოსათხრობად (შდრ. აქვე, კომენტარი 428-ე). საერთოდ „სოლომონ პირველის მეფობა“ მას შედგენილი უნდა ჰქონდეს წაკითხული წყაროებისა და მოსმენილი ამბებიდან, ვინაიდან 1752—1784 წლების ისტორიას შეუძლებელია მოსწრებოდა ნ. დადიანი თვითონ, რომელიც, როგორც ვიცით, 1780—1792 წლებში დაიბადა (იხ. აქვე, „ცხოვრება და მოღვაწეობა ნიკო დადიანისა“).

7. დადიანი არ კმაყოფილდებოდა დაწერილი წყაროების გაცნობით და საქართველოს კუთხეების გეოგრაფიული აღწერილობების შესამოწმებლად თვითონ მიმოუხილავს სხვადასხვა ადგილები: ოსეთი, სამცხე, ჯავახეთი და სხვ. ოსეთის შესახებ, მაგალითად, ნ. დადიანი წერს: იქ ბევრია ციხე-სიმაგრეები „რომელი თითო მეცა მისილავს, გარნა არა უწყვი სახელნი აღმშენებელთანი და ამისათვის არცა ისინი აღესწერეთო“ (აქვე, ტექსტი, წ. II, თავი მე-11 და კომენტარები: 294-ე, 295-ე). ასეთსავე უწინაშენებს ურთავს ნ. დადიანი კიდევ სხვა ადგილების შესახებაც (იხ. აქვე, ტექსტი, წიგნი II, თავები: მე-12, მე-14-ა).



სროგორც ამ მიმოხილვიდან ვხედავთ, ნ. დადიანს შემთხვევით და ზერე-  
ლედ არ შეუღდენია თავისი ისტორიული თხზულება „ქართველთ ცხოვრება“,  
არამედ მან ლიტერატურული წყაროებიდან შეარჩია თავისთვის ყველაზე მი-  
საღები, ვახუშტის „საქართველოს ცხოვრება“, სადაც ნათესაობის, დროის,  
საქმიანობისა და ადგილის მიხედვით სისტემაშია მოყვანილი ფეოდალური  
საქართველოს ისტორია, და იგი გაიხადა თავისი კონსპექტური თხზულების  
დედნად. ნ. დადიანი ამითაც არ დაკმაყოფილდა, გაითვალისწინა ქართული  
საისტორიო წყაროების შაკისიმში და გზადგაზა მათით შეავსო თავისი თხზუ-  
ლება. ამას ისიც უნდა დავუწინააღმდეგოთ, რომ ნ. დადიანს თვითონ მიმოუხილავს  
საქართველოს კურობები და მათი გეოგრაფიული აღწერილობები თავისი თვა-  
ლით შეუმოწმებია.

გვიდებოდა რა ასეთი სერიოზულობით ისტორიული თხზულების დაწე-  
რას, ნ. დადიანს თავისი გარკვეული თვალსაზრისი ჰქონდა საისტორიო ცოდ-  
ნის მნიშვნელობასა და ისტორიკოსის მოვალეობის შესახებ.

ისტორიის წერა ნ. დადიანს ზიანდა უმჯობეს შრომად. თავისი  
თხზულების წინასიტყვაობაში იგი დ. ბატონისშვილის „ნარკვევის“ ზეგავე-  
ნით შემდეგს წერდა: „ვინათგან სჯული ბუნებითი ასწავებს ყოველთა თავისა  
თვისისა უსჯობისისა აღჩვენესა. ამისთვის მეცა უმჯობესად ვრაცხე შრომა  
ესე“.

იმავე „ნარკვევის“ გავლენით ნ. დადიანი ამბობს, რომ „... ვინათგან...  
მოკლებულ იყვნენ ერნი ჩვენნი აზავეითართა ისტორიათა... და ძვილ სადამე  
იბოვნიდა ჩვენსა ქვეყანასა ქართველთ ცხოვრებად... ამისთვისცა... აღესწერე  
ესე ქართლის ცხოვრებად შემოკლებულით“. „ნარკვევის“ ზეგაველენით ნ. და-  
დიანი ამასთან ერთად იმასაც წერს, რომ „არა ვრიდე“ ისტორიკოსის „შრო-  
მასა სიყვარულისათვის მამულისა, რათა აღმოვჩნდე მსახურად“ (მამულისა).

მაშასადამე, „ქართველთ ცხოვრების“ დაწერა ნ. დადიანს თავის პატ-  
რიოტულ მოვალეობად დაუსახავს. სიყვარულის საქმედ გაუხდია, სავალდე-  
ბულოდ მიუჩნევია. იგი საეხებით დარწმუნებული იყო იმაში, რომ ისტორიის  
დაწერით სასარგებლო საქმეს აკეთებდა თავისი სამშობლოსათვის, ვინაიდან  
„თანამდებ არიან შვილნი მამულთა თვისთანი ნამყოთა ქმნილთა საქმე-  
თა მემკვიდრეებად. რათა ამით უმჯობესად მართვიდენ თავთა  
თერათა“. მაშასადამე, ისტორიის ცოდნას ნ. დადიანი გამოყენებითს  
მნიშვნელობას ანიჭებდა.

ამიტომაც, ნ. დადიანის შეხედულებით, არ უნდა შეწყდეს ისტორიის  
წერა, არამედ უნდა გაგრძელდეს შემდგომაც „ქართველთ ცხოვრების“ შეესე-  
ბა: „ოდეს მე არღა ვიქმნები სოფელსა ამას, მაშინ ნუ დაუტოვებთ შემდგომ-  
თა ქმნილთა სახსოვართა საქმეთა, რომელ არა აღწეროთ, რათა ჩვენსაცა  
ქვეყანასა ჰქონდეს ხსოვნად სხვათა ქვეყანათა თანა და იცოდნენ განათლებულ-  
თა შეილთა ნამყონი საქმენი მამულთა თვისთანი“.



თავისი თხზულების მესამე ნაწილის წინასიტყვაობაში ნ. დადიანი წერ-  
და: „... ესე შემდგომნი... ისტორიანი ანუ მოთხრობანი ქართველ-  
თა... ჯერეთ არღა აღწერილ არიან არცა ცველსა და არცაღა ახალსა ქართ-

ველთ ისტორიასა შინა... ამისთვის მე... ესე შემდგომნი მოთხრობანი ანუ ისტორიანი, რომელნიმე სმენილნი და რომელნიმე თვით ჩემგან ხილულნი, აღვსწერეთ“. აქედან ამჟამად, რომ ჩვენი ავტორი ისტორიაში გულისხმობდა სხვათაგან ჩაწერილი ან ნაამბობი თუ თავის მიერ ხილული ამბების მოთხრობას.

\* \* \*

იმავე წინასიტყვაობაში ნ. დადიანი წერს, რომ „ქართველთ ცხოვრების“ პირველ ორ ნაწილში „განმეორებით ახლად შევსებულნი ესე ქართველთ ცხოვრება დაბოძდა ფრასითა და ლექსნი განვაშვენენ... და უმჯობეს სასძენელად და საგულხმოდ განვქარაგენ, გარნა ძალნი საქმეთანი და მოთხრობანი არცაღა დამიძვირებთ და არცა დამიმატებთ მის უწინდელთა ქართველთ მისტორიითაგანო“. მაშასადამე, „ქართველთ ცხოვრების“ უდიდესი ნაწილი, რომელიც წარმოადგენს „განმეორებით ახლად ძეთხულს“ ძველი ქართული მატხანეებიდან, მხოლოდ გასაგები და ნიმუხადველი ფორმითა დაწერილი მკითხველისათვის, თორემ ისტორიული ამბები მასში არც შემოკლებულ-გამოტრევილია და არც გავრცობილ-ჩაზატებული. ასეთ განმარტებას იძლევა თვითონ ნ. დადიანი.

თუ „ქართველთ ცხოვრების“ პირველი ორი ნაწილის შინაარსს განვიხილავთ მის ლიტერატურულ წყაროებთან მიზარტებაში, აღმოჩნდება შემდეგი: ნ. დადიანის ზემორე განმარტებიდან მართალია მართო ის, რომ „ქართველთ ცხოვრების“ აღნიშნულ ნაწილში ისტორიული ამბები ნარტივად დალაგებული, ხალხური ენითაა შეთხზული და მსუბუქად იკითხება. სხვა მხრივ კი მას ძალიან ხშირად ახასიათებს ისტორიული ამბების შემოკლება-გამოტრევა და მეტად იშვიათად გავრცობა-ჩაპატება.

შემოკლება-გამოტრევა ნ. დადიანის თხზულების ნიშანდობლივი მარეა. ყველაზე მეტად „ქართველთ ცხოვრებაში“ აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების ისტორია შემოკლებული. ამიტომ „ქართველთ ცხოვრების“ მეორე ნაწილში, რომელიც მოიცავს 1469—1749 წლების თავგადასავალს. წასაკითხავი მასალის უმეტესობა ლიხთიმერეთზე მოდის, ქართლ-კახეთისა და სამცხე-საათაბაგოს ამბები კი შემცირებულადაა წარმოდგენილი. ასე. მაგალითად: 1) ქართლის მეფის ლუარსაბ პირველის ნოღაწეობას ვახუშტი აღწერს ხუთ ნაბეჭდ გვერდზე (საქ. ცხ., II, 1913, გვ. 35—38). ნ. დადიანი კი ლუარსაბ მეფეზე მარტო ამით კმაყოფილდება: „იქნა მეფედ ლუარსაბ კეთილი. ესე მოკლა სპარსთა ბრძოლასა შინა წელს ქრისტესით 1558 და დადღეს მცხეთას“ (აქვე, ტექსტი, წ. II, თავი მე 8). 2) ნ. დადიანი ტაო-კლარჯეთის პოლიტიკურ ისტორიას იწყებს სარგის ჯაყელით, ისე რომ მთლიანად გამოტოვებს ვახუშტის ტექსტიდან შესავალ ნაწილს, სადაც მოცემულია თხრობა სამცხე-კლარჯეთში ბაგრატიონთა დამკვიდრების შესახებ (საქ. ცხ., II, გვ. 222—231), ხოლო რასაც წერს, იმასაც გამოკრებით: „აქა აღწერილ არიან სახსოვართა ათაბაგთა ცხოვრებანიო“ (აქვე, ტექსტი, წ. II, თავი მე-13). 3) ლევან კახთა მეფეზე „ქართველთ ცხოვრებაში“ მარტო ესაა დაწერილი: მან „შეირთო ცოლად მამია გურიელის ასული თინათინ. და მოკვდა ლეონ წელს ქრისტესით 1574, სავსე სიბერითა. ესე ლეონ იყო კაცი სახელოვანი და შემმატებელი კახეთისა“ (აქვე, ტექსტი, წ. II, თავი მე-10).

ნ. დადიანი დიდ ყურადღებას აქცევს იმ მეფეთა ცხოვრების აღწერას, რომლებიც იბრძოდნენ საქართველოს ერთიანობისა და ქრისტიანული სარწმუნოების შენარჩუნებისათვის. ამიტომ მას თითქმის სრულად აქვს აღწერილი დიმიტრი თავდადებულის, გიორგი ბრწყინვალის, ზაგრაძე V-ის, გიორგი VII-ის ნეფობანი (იხ. აქვე, ტექსტი, წ. I, 67-ე, 72-ე, 74-ე, 75-ე მუხვები). საქართველოს პოლიტიკური ერთობისა და ქართული ქრისტიანული ეკლესიის თავდაცვითი ბრძოლა უცხო და დამპყრობელი ნაპატიანური ძალების წინააღმდეგ საქმარის მასალას იძლეოდა ქართველ მკითხველში პატრიოტული გრძობის გაღვივებისათვის. ამიტომაც უნდა ავსრია ეს გზა ნ. დადიანს.

ამასთან დაკავშირებით, საეკლესიო ამბების აღწერას ნ. დადიანი განსაკუთრებული ყურადღებით ეცილებოდა. ასე, მაგ., მაშინ როცა ვახუშტი საგანგებოდ ჩვრდება ნანუჩარ I ათაბაგის (1475—1487 წწ.) კანფლიქტზე ქართლის მეფე კოსტანტინესთან, ნ. დადიანი ამაზე არაფერს ამბობს და ეხება მხოლოდ აწყვერის ღვთისმშობლის ხატის ამბავს (იხ. აქვე, ტექსტი, წ. II, თავები მე-8, მე-13), ამას გარდა, თავის გეოგრაფიულ აღწერილობებში ნ. დადიანი ყველაზე იშვიათად საეკლესიო ცნობებს ამოკლებს. მაგრამ იგი ასეთი ერთგულებით აღარ ეცილება სასწაულების აღწერას. ასე, მაგალითად, იქ, სადაც ვახუშტი მოუთხოვს შმიერი ძალების სასწაულზე, რომლის ხილვის შედეგად იოანე მხარგრძელმა დატოვა სომხური სარწმუნოება და მიიღო ქართული (საქ. ისტ., I, 1885, 209—210), ნ. დადიანი გვერდს უვლის სასწაულის აღწერას და მოკლედ წერს: „ხოლო სასწაულქმნითა იოანე კათალიკოსისათა მოიქცაო“ (აქვე, ტექსტი, წ. I, 63-ე მუხვი).

ნ. დადიანი გამოტოვებს დამპყრობელ უცხოელთა უზუნ ჰასანის, იაყუბ ყანისის, ისმაილისა და თამაზ შაქების, დიდი სულეიმან ხონთქრის შემოსევების აღწერას, დაუდ-ხანის ლალატს, ლალა ფამის ლაშქრობას ქართლში.

როგორც ცნობილია, ვახუშტი იძლევა გარკვეულ ცნობებს საქართველოს გარეშე ამბებზეც. მაგ., სტეფანოს II-ის (639—663 წწ.) მთავრობის აღწერაში იგი იძლევა ცნობებს მუჰამედის გაბატონებაზე არაბეთში, სადაც მისმა მემკვიდრეებმა მოსპეს სპარსელთა ბატონობა და ცეცხლთაყვანისმცემლობა; მუჰამედის მიმდევრებმა დასავლეთითაც გაიმარჯვეს ბერძნებზე (საქ. ისტ., I, 1885, გვ. 114). ნ. დადიანი ყველა ამის მაგივრად კმაყოფილდება ერთი წინადადებით: „და ფამსა ამას განძლიერდენ თურქნიო“ (აქვე, ტექსტი, წიგნი I, 42-ე მუხვი).

ნ. დადიანი თავის თხზულებაში საერთოდ გვერდს უვლის საქართველოს მეზობელ ქვეყნებს და მათ ისტორიაზე თითქმის არაფერს არ ამბობს. ამით იგი ჩამორჩება როგორც ვახუშტის, ისე დავით ბატონის შვილს, რომლის „ნარკუსეში“ სპეციალური თავებია მიძღვნილი საქართველოს მეზობელი ქვეყნების შემოკლებულ ისტორიისათვის.

ნ. დადიანი ხანდახან მცირე ყურადღებით ეცილებოდა ისტორიულ მოვლენათა მიზეზების აღწერას. ასე, მაგ., თუ ვახუშტი წერს, რომ თამარ მეფემ ტრაპიზონი დაიპყრო იმ მიზეზით, რომ ალექსი კეისარმა გაძარცვა საქართველოდან შავ მთაზე მიმავალი და თამარისგან ოქროთი დასაჩუქრებული ბერეცი (იქვე, 213), ნ. დადიანი ამ მიზეზის მოუხსენებლად იძლევა ცნობას თამარის მიერ ტრაპიზონის დაპყრობის შესახებ (აქვე, ტექსტი, წ. I, 63-ე მუხვი).

იქ, სადაც ნ. დადიანი გაურბის მიზეზების ჩვენებას, ამით იგი თავის თხზულებას აქვეითებს მატეანის დონეზე.

ნ. დადიანი ხშირად არ კმაყოფილდება ზევით აღნიშნული შემოკლება-გამოტოვების წესებით და იძლევა შემცირებათა (რავალ შემთხვევას. მოგვაქვს ზოგიერთი: 1) კახეთის მთავარ-ქორიკონის დავითის წინააღმდეგ ბაგრატ III-ის მზადებისა და ომის ანბავი ვრცელადაა აღწერილი ვახუშტისთან (საქ. ისტ., I, 1885, გვ. 141—143). ნ. დადიანი კი, გამოტოვებს რა ამას, მოკლედ წერს ბაგრატ მეფეზე: „დაიპყრა ხლმითა პერეთი და კახეთით“ (აქვე, ტექსტი, წ. I, 55-ე მეფე). 2) საქართველოს კუთხეების გეოგრაფიული აღწერილობა, შესრულებული ვახუშტის მიერ, ვრცელია და მოიცავს ქართველი ხალხის მთელს სამეურნეო და კულტურულ-სამშენებლო საქმიანობას. ნ. დადიანი კი მხოლოდ გეოგრაფიული საზღვრების, მთა-მდინარეებისა და სანაპირო-საყულტო ნაგებობების დასახელებით კმაყოფილდება და მთლიანად გამოტოვებს სამეურნეო და ეთნოგრაფიული შინაარსის ცნობებს. 3) ნ. დადიანი გამოტოვებს ქართლის მეფის სიმონ I-ის ლაშქრობას იმერეთში 1590 წელს (შდრ. ვახუშტი, საქ. ცხ., II, გვ. 295) და ამიტომ მისთვის გაუგებარი ხდება ლევან იმერთა მეფისა და მამია დადიანის გადამტერების მიზეზი (აქვე, ტექსტი, წ. II, თავი მე-14-ბ).

საგრძობლად ამაყობს რა ვახუშტის „საქართველოს ცხოვრების“ ტექსტს, ნ. დადიანი ვახუშტისგან თავის ჩამორჩენას აშეღიანებს გენეალოგიის ცოდნაში. ასე, მაგალითად: 1) ვახუშტის ცნობით, შამანდავლე იყო ძე ვამეყ დადიანისა და გიორგი ძე კახაბერ გურიელისა (საქ. ცხ., II, 283). ნ. დადიანი კი ორივეს „მას“ უწოდებს, ისე რომ გურიელის შვილს არც ასახელებს (აქვე, ტექსტი, წ. II, თავი მე-14-ბ). 2) იმერთა მეფის კოსტანტინეს დროს (მე-14 საუკ. ბოლო) რომ დადიანმა ცხომის საერისთავო დაიპყრო, მას ვერკვა, ვახუშტით. „გიორგი“ (საქ. ცხ., II, 195). ნ. დადიანი კი „გიორგოს“ წერს (აქვე, ტექსტი, წ. II, თავი მე-14-ბ). 3) 1580-იან წლებში, ვახუშტის გადმოცემით, მამია დადიანმა შეიპყრო და დაატყვევა იმერეთის მეფე ლევანი (საქ. ცხ., II, 295). ნ. დადიანი გადმოწერს ამ ამბავს, მაგრამ მეფისა და დადიანის სახელების მოჭხსენიებლად (აქვე, ტექსტი, წ. II, თავი მე-14-ბ).

გენეალოგიის ცოდნაში ნ. დადიანი იმდენად სუსტია, რომ მთავარ დადიანების უბანზეც კი ვახუშტის მიერ დატოვებულ ხარვეზს ბელუხლებლად ტოვებს. ასე, მაგალითად, ვახუშტი არ ასახელებს იმ დადიანს, რომელსაც ქართლის მეფე სიმონ I შეება ლისლ-მეგრეთში თავისი ლაშქრობის დროს 1588—1590 წლებს შორის (საქ. ცხ., II, გვ. 295). ნ. დადიანი კი ამაზე წმინდად წერს: მისი „სახელი არა უწყია“ (აქვე, ტექსტი, წ. II, თავი მე-14-ბ). ამოკლებდა რა ვახუშტის თხზულებას, ნ. დადიანი გამოტოვებდა თარიღებსაც და ამით აშეღიანებდა ვახუშტისგან ქრონოლოგიაშიც თავის ჩამორჩენას. ასე, მაგალითად: 1) იოანე და ჯვანშერი არჩილის ცვათა მთავრობის მოთხრობაში მარტო მათი გამთავრება-გარდაცვალების თარიღებია ნაჩვენები, ისე რომ დანარჩენი თარიღები დასახელებული არაა, თუმცა მათი შესატყვისი ამბები აღწესდებიან: ხაზართა სპასხეტ ბლუნჩანის მიერ ტფილისის შემოსევა (731 წ.) მთავარ ჯვანშერის დაბრუნება ხაქანის ტყვეობიდან (738 წ.), ჯვანშერის ძმის, ეგროსის მთავრის იოანეს გარდაცვალება (786 წ.—აქვე, ტექსტი, წ. I, 45-ე მთავარი და შდრ. ვახუშტი, საქ. ისტ., I, 1885, გვ. 118); 2) იმერ-

თა მეფის ბაგრატ მესამის მეფობის აღწერისას უთარილოდ არის მოყვანილი თურქების ლაშქრობა იმერეთში (1512 წ.), რაქის ერისთავად შოშიტა ჩხვიდის დასმა (1534 წ.), მურჯახეთის ომი (1535 წ.), სოხოისტას ომი (1545 წ.), ლევან დადიანის დაპატიმრება (1546 წ.—შდრ. ვახუშტი, საქ. ცხ., II, 1913, გვ. 285—289); 3) ნ. დადიანი არ უსვამს თარიღებს შემდეგ მოვლენებსაც: ქართლის მეფის სიმონ I-ის ლაშქრობას ლიხთ-იმერეთში (1590 წ.), ლევან II დადიანის დაბადებას (1591 წ.), მის კახეთში აღსაზრდელად წაყვანას (1597 წ.), კახეთიდან ოდიშში მოყვანას (1604 წ.) გიორგი გურიელის სიკვდილს (1600 წ.), მამია გურიელის ლაშქრობას აქარაში (1609 წ.), იმერეთის უფლისწულის ალექსანდრე გიორგის ძის დაქორწინებას გურიელის ასულზე (1618 წ.), მამია გურიელის მკვლელობას მისი ძის სიმონისგან (1625 წ.), ლიპარიტ დადიანის სიკვდილს (1470 წ.), ვაჟე დადიანის სიკვდილს (1482 წ.), კახაბერ გურიელის სიკვდილს (1483 წ.—იხ. აქვე, ტექსტი, წ. II, თავი მე-14-ბ და შდრ. ვახუშტი, საქ. ცხ., II, 1913, გვ. 282, 295—300).

ნ. დადიანს ცვლადობა უნაკონდა ვახუშტის ქრონოლოგიაში. ასე, მაგალითად: ვახუშტის მიხედვით, იმერეთის მეფე გიორგი II გარდაიცვალა 1585 წელს (საქ. ცხ., II, 1913, გვ. 294). ნ. დადიანი კი 1583 წელს წერს (აქვე, ტექსტი, წ. II, თავი მე-14 ბ); ვახუშტით: ლევან III დადიანი მოკვდა 1680 წელს (იქვე, 316), ნ. დადიანი — 1681 წელს (იქვე).

მასასადამი, აქედან ანკარად ჩანს, რომ ნ. დადიანი ვახუშტის თხზულებას ამოკლებდა არაკრიტიკულად, არამეცნიერულად. იგი თვითონაც კარგად აჩვენებდა თავისი იუზაიზის ნაკლს, მაგრამ გულს იწვილებდა შემდეგი განცხადებით თავისი ნაბროლის ჩორე წიგნის წინასიტყვაობაში: „არიან ამას შინა რამელნიმე ქორონიკონები მეფეთა ვაჟეფებისა თუ სიკვდილისა წინაუქმო და აღრეულ, გარნა მიზეზნი ამისნი ჩხილეთ მკითხველთა სრულსა ქართველთ ცხოვრებასა შინაო“.



ამოკლებს რა ვახუშტის „საქართველოს ცხოვრებას“, ნ. დადიანი თავის მხრივ გზადგება იძლევა შერკლებულ განმარტებებს, რაც უფრო მეტ სიცხადესა და გარკვეულობას ანიჭებს ისტორიულ მოვლენებს. სასწავლო სახელმძღვანელოდ განიზნული წიგნისათვის ასეთი განმარტებები სასარგებლო და პედაგოგიური იყო. ამასთანავე, ჩანს რომ მეცნიერული წინაშეწინააღმდეგობა აქვს, ეს აქვარა ბემდევის ჩიხლვით. ვახუშტი თავის თხზულებაში წერს, რომ ერთიანი ფეოდალური საქართველოს უკანასკნელმა წევრმა გიორგი მეორემ იოთამ ზევედგინდის ძეს უბოძა ციხენი და შინელნი, სასაშეტობა ქართლისა, როურაოზა გორისა, სასაღლაღ სასთავისი და თავისი კარის ამილახვრობა „მსახურებისათვის მამისა ჩისისაი.“ (საქ. ცხ., II, 1913, გვ. 307). ნ. დადიანი მთლიანად იმეორებს ანას და თავის ზბრივ იმდევს უნატებს: „და აყო თავადათო“ (აქვე, ტექსტი, წ. I, 79-ე მეფე). აქედან ანკარა, რომ ნ. დადიანს მკათიო წარმოდგენა აქონია ქართველ თავადზე, რომელიც, ვახუშტის კონტეკტით, მქონებელი იყო იმდევებსა, ციხეებისა, სასაფლაოსი, მაღალი სამხედრო და სამოქალაქო თანადებობებისა და იწყებებოდა მეფის კარზე.

შემდეგ, ქართლის მეფის კონსტანტინე გიორგის ძის მეფობის აღწერისას (XV ს. უკ. დასასრული), ვახუშტი ამბობს: „განდგა თავადად ათაბაგი და მან დაიპყრა საათაბაგო... ქველად განდგა იმერთაგან თავადად დადიანი, გუ-

რიელი, შარვაშიძე და სვანნი და ამით დაიპყრეს საზღუარნი თჳსნი, ვიდრე აწამდე არღარა იქმნა შეკრება მისი, არამდე კვალადცა უფროსად დაკინებანი“ (საქ. ცხ., II, 1913, გვ. 16). მაშასადავე, მიიტაცეს რა თავთავიანთი საგამგეო ტერიტორიები, მთავრები განდგნენ და აირჩიეს მეფისაგან დამოუკიდებლად, თავისთვის—„თავად“ ყოვნა. ეს აზრი ნ. დადიანს უფრო მკაფიოდ აქვს გამოთქმული შემდეგი სიტყვებით: „... განსდგნენ და შეიქმნენ თავისუფლად მთავარნიო“ (აქვე, ტექსტი, წ. II, თავი მე-8).

ცნობილია, რომ ვახუშტი თავის გეოგრაფიულ თხზულებაში გვიანდელი დროის „თავადის“ მაგივრად „ნთავარს“ ხმარობს. ასე, მაგ., ოდიშის თავადებსა და მუნრანბატონსა და გოჩაშვილს უწოდებს „მთავრებს“ (გეოგრ., 1941, გვ. 25, 26). ნ. დადიანი კი წესაბუნის ადგილებზე „მთავრების“ მაგივრად წერს „თავადთ“ (აქვე, ტექსტი, წ. I, თავი 1-ლი). რა თქმა უნდა, ნ. დადიანი ამ შესწორებაში ნართალია, ვინაიდან სწორად შეიცნობს ისტორიულ ცვლილებას. მას, როგორც ოდიშის სანთავარო კარის წარმომადგენელს, მკაფიოდ უნდა გაერჩია მთავარი დადიანი თავად გოშაძისაგან.

მაგრამ ნ. დადიანი სწორად ვეღარ იცავს ისტორიულ აერსპექტივს, როცა ვახუშტის მიერ წოდებულ საქართველოს „ველ მთავრებს“ (გეოგრ., 1941, გვ. 20) აიგივებს „თავადებთან“: „ხოლო გვარნი ძველთა მთავართა და თავადთანიო“ (აქვე, ტექსტი, წ. I, თავი 1-ლი). ამ შეზღუდვაში ნ. დადიანმა არ იცის ის, რომ ფეოდალური საქართველოს მეცხოვრებელი მთავარი პაროკრესული ძალა იყო, ვინაიდან მისი ბრძოლა ხელისუფლებისათვის ხელს უწყობდა ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებას, ხოლო იმავე საქართველოს მეფობის დროინდელი თავადი რეაქციული ძალა იყო, ვინაიდან მისი ბრძოლა ხელისუფლებისათვის იწვევდა ქვეყნის პოლიტიკურ დაშლას.

ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი გარემოება, სადაც ვახუშტი გიორგი მეორის მეფობაში „ერისთავთა“ განდგომას ეხება (საქ. ისტ., I, 1885, გვ. 167), ნ. დადიანი „მთავრებზე“ ლაპარაკობს (აქვე, ტექსტი, წ. I, 58-ე მეფე). ვინაიდან იგი აქ „ერისთავის“ მაგივრად „მთავარს“ ხმარობს, ცხადია, XI საუკუნის ერისთავსა და მთავარს ერთმანეთის მსგავს სოციალურ ძალებად მიიჩნევდა.

ვახუშტი ბატონიშვილს ერთიანი ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაშლა წარმოდგენილი ჰქონდა ხანგრძლივ ისტორიულ პროცესად. ასე, მაგალითად: 1) ერთიანი საქართველოს მეფეს ულუ დავითს 1268 წელს გამოეყო მესხეთის მთავარი სარგის ჯაყელი. მან მარტო სამცხის მიტაცება შეძლო და ისიც დამპყრობელი ძალის დახმარებით. მესხეთის დანარჩენი ნაწილები საქართველოს მეფეს დარჩა. და ულუ დავითი რომ მოკვდა და მისი ძე დიმიტრი გამეფდა, ამის კურთხევაზე დასასწრებად მოვიდა ყველა მესხი წარჩინებული, გარდა სარგის ჯაყელისა, რომელიც მარტო „ძღუნი-თა პატივს-სცემდა და უსმენდა“ საქართველოს მეფესო (საქ. ცხ., II, 1913, გვ. 231). ასე გაგრძელდა გიორგი ბრწყინვალემდე, რომელმაც თავის უფლებას დაუმორჩილა სარგის ჯაყელის მემკვიდრენი, ბექას ძენი. აქედან მოყოლული გიორგი მერვემდე „იყო ყოველი სამცხე და კლარჯეთი და ძენი ბექასნი და ძის ძენი მისნი ყოველნივე მორჩილებასა და ერთმეფობასა შინა ქართველთა მეფობას შინა“ (იქვე). გიორგი მერვის დროს საბოლოოდ ჩამო-

შორდა მესხეთი საქართველოს მეფეს, რომელმაც ამის შემდეგ ვეღარ შეძლო მისი ინკორპორაცია (იქვე). მაშასადამე, გამოყოფის დასაწყის საფეხურზე ადგილი ჰქონდა მთავარ ჯაყელის ნაწილობრივ დამოუკიდებლობას, რაც ძლია მეფის ხელისუფლებამ და გააუქმა კიდევაც. დაშლის პროცესი გაგრძელდა და შემდგომ საფეხურზე მთავარ ჯაყელთა მემკვიდრე ათაბაგებმა ტფილისის ტახტისაგან სრულ დამოუკიდებლობას მიაღწიეს საბოლოოდ.

2) ასეთ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი, ვახუშტის მიხედვით, ლიხთიმერეთში. ლიხთიმერეთი როგორც ერთიანი პოლიტიკური ერთეული მაშინ გამოეყო აღმოსავლეთ საქართველოს, როცა იქ ნარინ დაეთით გამეფდა (1259 წ.). მისი მემკვიდრეების ბატონობის ხანაში (XIV საუკ. პირვ. მესამედში) საკუთრივ ლიხთიმერეთს გამოეყვნენ სანაპირო ოლქების ერისთავები: დადიანი, გურიელი, შარვაშიძე და გელოვანი, რომლებმაც თავთავიანთი საგამგეო ტერიტორიები „განიმკვიდრეს თვისად“, და ამის შედეგად ისინი „არაღარა ეგდენსა შორჩილებასა შინა იყუტნენ მეფეთასა“ (საქ. ცხ., II, 1913, გვ. 276) იმერეთის მეფეები განდგომილი ერისთავების ანუ მთავრების შემოტევისაგან თავიანთ უფლებას იცავენენ შიდა იმერეთის დიდებულ აზნაურებზე დაყრდნობით (იქვე). ნარინ დაეთის უხუცესი ძე კოსტანტინე რომ გარდაიცვალა (1227 წ.), გამეფდა მისი ძმა-მიჰელი, რომელმაც მოიწადინა ურჩი მთავრების დამორჩილება, მაგრამ ვერ შეძლო მათთვის ტერიტორიების წართმევა და მათი გადაყენება, მან მარტო ის მოახერხა, რომ დახარკა და მოლაშქრობაზე დაიყოლია ისინი (იქვე, 277).

ნარინ დაეთის შვილისწვილმა ბაგრატმა ვერ შეძლო ლიხთიმერეთში პოლიტიკური წესრიგის მიღწევა. ნაკრამ იმერეთის დიდებულ აზნაურების მხარდაჭერით გიორგი ბრწყინვალემ კვლავ დაუმორჩილა ლიხთიმერეთი აღმოსავლეთ საქართველოს (1335 წელს). გიორგი ბრწყინვალემ, რა თქმა უნდა, უარყო ნარინ დაეთის მემკვიდრეების პოლიტიკური პრეტენზია და ბაგრატი შორაპნის ერისთავად დასვა. ასევე მოექცა იგი დადიანსაც. ამის შემდეგ (მე-14 საუკ. მეორე ნახ. და მე-15 საუკ. პირ. ნახ.) ლიხთიმერეთის მთავრები, ისევე როგორც შორაპნის ერისთავებიც, გაერთიანებული საქართველოს მეფეებისაგან ინიშნებიან (იქვე).

მაგრამ ცენტრალური ხელისუფლების დაწოლა უკაცყოფილება გამოიწვია ლიხთიმერეთის მთავრებში. მათ სუსტი იმერეთის ბაგრატიონის გაძევება ამჯობინეს, გვერდში აშოუდგნენ ბაგრატ შორაპნის ერისთავს და 1462 წელს ჩიხორში ომი მოაგებინეს ერთიანი საქართველოს მეფის გიორგი მერვის წინააღმდეგ. მთავრებმა გაამეფეს ბაგრატი, რომელმაც მათ დაპირებული თავისუფლება მიანიჭა; ისინი გახდნენ დამოუკიდებელნი. გარდა „ლაშქრობისა და ქვევანწესებისა მეფისა“ (იქვე, 281), ე. ი. გარდა მეფის მხარეზე ლაშქრობისა და მეფის მიერ თანამდებობებზე მათი დანიშვნისა.

ამით დასრულდა ლიხთიმერეთის პოლიტიკური გამოყოფა, რაც დაიწყო 1259 წელს ქუთათისში ნარინ დაეთის გაძევებით. მაშასადამე, ლიხთიმერეთის გამოყოფა აღმოსავლეთ საქართველოსაგან და მისი დაშლა დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებად, იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდისათხაზეთ-სვანეთის სამთავროებად ხდებოდა ორი საუკუნის განმავლობაში—1259 წლიდან 1462 წლამდე.



ვახუშტის ამ კონცეფციის სინათლეზე ყურადღებას იქცევს ნ. დადიანის ერთი დაკვირვება, რაც მას გამოთქმული აქვს „ქართველთა ცხოვრების“ მე-7 თავის ბოლოს ჩართულ განმარტებაში: „თუმცაღა დავით გიორგის ლაშას ძის მეფისა და ნარინ დავით რუსუდანის ძის დროს იქმნა მეფობისა განწილვა სამად—საქართველომას, იმერეთისა და კახეთისად, ვარნა მაშინცა მრავალჯერ და უმეტეს იყო კვალად შეერთება ივერიელთა მეფობის სკიპტრისა, ვითარცა ბრწყინვალისა გიორგის ზე. ხოლო მეფისა გიორგი ალექსანდრეს ძის შემდგომად იქმნა სრულიად ივერიის საშეფოს განკერძოება და იქმნა სამ საშეფოდ: საქართველო, იმერეთი და კახეთი“. აქ. ნ. დადიანი არჩევს ერთმანეთისაგან საქართველოს საშეფოს პოლიტიკური დაშლის დასაწყის სტადიას, როცა პოლიტიკური ერთიანობის კვლავ განახლება ხდებოდა ხოლმე, ამ პროცესის დასასრულისაგან, როდესაც საბოლოოდ მოხდა პოლიტიკური ერთიანობის დარღვევა.

ფეოდალური საქართველოს ერთიანი საშეფოს დაშლის ისტორიულ პროცესში ნ. დადიანის მიერ ვახუშტის კონცეფციის შუქზე შენიშნული ორი სტადია საყურადღებო დაკვირვებაა.



„ქართველთა ცხოვრების“ პირველ ორ ნაწილს შემოკლება-გამოტოვების გარდა ვახუშტის თხზულებასთან აბსოლუტურად ახასიათებს შესწორება და გავრცობა-ჩამატებაც. ნ. დადიანი უმატებს ან იზას, რაც ვახუშტის შემდგომ გადახედვით ამა თუ იმ საგანს, ან და მას, რაც თვითონ მან (ნ. დადიანმა) ვახუშტისაგან დამოუკიდებლად იცის. ასე, მაგალითად:

1. ვახუშტი წერს, რომ სვიმონ კანანელი მოკვდა სამეგრელოსა თუ აფხაზეთში და დაფლეს ნიკოფსიასო (საქ. ისტ., I, 1885, გვ. 45). ნ. დადიანი უცვლელად იმეორებს ამას და თავის მხრივ უმატებს: „ნიკოფსიას... დღეს უწოდებენ ანაკოფიას...“ (აქვე, ტექსტი, წ. I, შეფე მე-10). ნ. დადიანის განმარტება ნიკოფსიის შვირე სახელწოდების შესახებ არსად სხვაგან არ გვსდება ქართულ საისტორიო ლიტერატურაში (ნ. აქვე, 76-ე კომენტარი).

2. ნ. დადიანის ტექსტში ვახუშტისაგან განსხვავებით დამატებულია ჩართული ისიც, რომ თავადი გონადე სამეგრელოში მის დროს დამდაბლებული ყოფილა, ანჩაბაძე ფლომდა დადიანისა და შარვაშიძის სამბრანებელთა შორის ტერიტორიას. გურიაში ჩასული შარვაშიძე გურიის ერისთავად იწოდებოდა (აქვე, ტექსტი, წ. I, თავი 1-ლი, შტრ: ვახუშტი, საქ. ისტ., I, 1885, გვ. 25).

3. სადაც ვახუშტისთან სულბარია საქართველოს წარჩინებულ გენარანზე (გეოგრა., 194), გვ. 25—26), ნ. დადიანი თავის მხრივ უმატებს: ეროვნულ შეიარაღების მიერ არაგვისა და ქსნის ერისთავთათვის მამულების ჩანართსკენა დადამდაბლებას, სოლომონ პირველის შვირ რაქა ერისთავის განაჯდურებს, ინასარიძისა და ლანსისშვილის რაქანი აღარ ყოფნას, თავადების ავიაპედიისა და ფხვიძის ოკრბაში არსებობას (აქვე, ტექსტი, წიგნი I, თავი 1-ლი).

4. აღწერს რა შანაფაზის 1851 წლის ლაშქრობას ოდიშში, ვახუშტი ასახელებს „ქაქეთის“ ციხეს (საქ. ცხ., II, 1913, გვ. 109). ნ. დადიანი „ქაქეთის“ ასწორებს „ქაქეთჯად“ (აქვე, ტექსტი, წ. II, თავი მე-14-ს, შტრ. აქვე, 376-ე კომენტარი). ნ. დადიანი აგრეთვე თავის თხზულებაში წერს „ლოლაბერი ძეს“ (იხ. აქვე, ტექსტი, წ. I, თავი 1-ლი და სხვაგან) ნიკვლად ვახუშტის მიერ ხანაჩისული ფორმისა „ლოლაბერიც“ (გეოგრა., 1941,

გვ. 26 და სხვაგან). ქართული ისტორიული წყაროების ჩვენებათა მიხედვით ნ. დადიანი ამ შესწორებაში მართალია (ზღრ. აქვე, 36-ე კომენტარი). ამნაირადვე იქცევა ჩვენი ავტორი დადიანების ერთი საგვარეულო სახელის დაწერაშიც; ვახუშტის მიერ ხმარებულ ფორმას: „ვაშიყ“ (საქ. ისტ., I, 1885, გვ. 283 და სხვაგან); ასწორებს „ვაშეყად“ (აქვე, ტექსტი, წ. 1, 74-ე მეფე და სხვაგან, ზღრ. აქვე, 203-ე კომენტარი).

5. ვახუშტი წერს, რომ ქუჯი იყო ფარნავაზ მეფის ერისთავი, რომელმაც ააშენა ბეღია და დაჯდა იქ. მისი საერისთავო ვრცელდებოდა რიონის დასავლეთით ზღვამდე და ეგრისის წყლამდე, ხოლო ჩრდილოეთით სვანეთსაც მოიცავდა. ეგრისის წყლის დასავლეთი მხარე კი ხელიდან ხელში გადადიოდა საბერძნეთის კეისრებსა და საქართველოს მეფეებს შორის. ბოლოს, პერაკლე კეისრის დროს, ბერძნებმა დაიპყიდეს საქართველოს ეგრისსიქითა ნაწილი და დასვეს ანაკოფიას თავისი მოხელე, რომელსაც უწოდეს აფხაზთა ერისთავიო (საქ. ცხ., II, 1913, გვ. 269—270). ნ. დადიანი შემოკლებით იმეორებს რა ამას, ეგრისის წყალს განსაზღვრავს დამატებით ასე: „ხოლო ეგრისის დინარე ეწოდების ლალიძასო“ (აქვე, ტექსტი, წ. I, თავი 14-ბ). ამ განმარტების მიხედვით, ეგრისის წყალი ივ. ჯავახიშვილის რუკაზე დასავლეთით გადაიწევა, ისე რომ ილორი აქეთ რჩება (ზღრ. აქვე, 339-ე კომენტარი).

6. ვახუშტის მიხედვით, გიორგი როსტომის ძე გურიელმა (XVI საუკ. მეორე ნახევარი) ცოლად შეირთო ნუსადია ქვრივიო (საქ. ცხ., II, 290—291). ნ. დადიანი უმატებს: ნუსადია ქვრივი იყო გიორგი II იმერთა მეფის დაო (აქვე, ტექსტი, წ. II, თავი მე-14-ბ).

7. ვახუშტი წერს: სენია ჩხეიძემ 1669 წელს მისცა ქუთათისის ციხე თურქებს, რომელთაც იგი „ნიერით უპყრავთ დღემდეო“ (საქ. ცხ., II, 1913, გვ. 311—312). ნ. დადიანი ანას უნატუნს: ქუთათისის ციხე „უპყრათ ოსმალთა ვიდრე მეფობამდე პირველის სოლომონისა, რომელიც ნებითა და წინამძღვრებითა ნისეე მეფის სოლომონისათა აღიღეს რუსთაო“ (აქვე, ტექსტი, წ. II, თავი მე-14-ბ).

8. ვახუშტი წერს: 1742 წელს იმერთა მეფემ ალექსანდრე V-მ მოკლა თავისი დედისნაცვალი თამარ, ასული მინია გურიელისაო (საქ. ცხ., II, 35—359). ნ. დადიანი დამატებით განმარტავს, რომ თამარ დედოფალს „ოქიბროლას“ უწოდებდნენო (აქვე, ტექსტი, წ. II, თავი მე-14-ბ; ზღრ. აქვე, 426-ე კომენტარი).

9. თავის „გეოგრაფიაში“ ვახუშტი წერს, რომ როსტომ ქართლის მეფემ ტფილისში ააგო ყაზილბაშთა რივის სასახლეო (გეოგრ., 1941, გვ. 53). ამას ნ. დადიანი უმატებს: „სადა დღეს სდგას სალუბერნატორო სახლი რუსულსა პლანსა ზედაო“ (აქვე, ტექსტი, წ. II, თავი მე-7; ზღრ. აქვე 245-ე კომენტარი).

10. ვახუშტი წერს: მცხეთაში „დაფლულ არიან მეფენი გორგასალ, დავით ლაშას ძე, დიმიტრი თავდადებული, დიდი ლუარსაბ, სვიმონ და გიორგი, აწკა ევლვიან, არამეღ უმეუო აოსო“ (გეოგრ., 1941, გვ. 61). ნ. დადიანი უმატებს მეფეებს: „ერეკლე მეორე და გიორგიო“ (აქვე, ტექსტი, წ. II, თავი მე-7).

11. ნ. დადიანი იძლევა ისეთ ცნობებსაც, რასაც ვახუშტი სულ არ იხსენიებს. ასე, მაგალითად: ა) „ტფილისში ქოიხტეშობის ეკლესია ააშენა კათალიკოსმა „ანტონი, ძემან იესე მეფისამან და შეამკო ფრიად და ქმნა კარის საყდ-

რად თვისადო“ (აქვე, ტექსტი, წ. II, თავი მე-7); ბ) ტფილისში „ველად აღაშენა კარის საყდარი [მე]-96 მეფემან ირაკლი მეორემანო“ (იქვე); გ) ტფილისშივე „ქაშოეთის ეკლესია წმინდისა გიორგისა აღაშენა თავადმა გივი ამილახორმაო“ (იქვე).

12. ნ. დადიანი, ვახუშტისაგან განსხვავებით, შემდეგ დამატებით ცნობებს იძლევა ოდიშის ზოგიერთი ადგილის შესახებ: ა) სენაკის, ჭალენჯიხისა და კოცხერის ეკლესიები ააშენა ლევან II მანუჩარის ძე დადიანმა; ბ) ხოთის ეკლესია ააშენა ლევან მანუჩარის ძე დადიანის პაპამ გიორგი დადიანმა; გ) ცაიშის ეკლესია, ნიწის ძერისაგან დაქცეული, ააქენა მალაქია (გურიელის ძე) კათალიკოსმა. შემდეგ საეროდ იქცა და ხელმეორედ ჰყო საეპისკოპოსოდ კაცია II ოტიას ძე დადიანმა და დასვა ზედ გრიგოლ ჩიქოანიო (აქვე, ტექსტი, წ. II, თავი მე-14-ა; შდრ. 346-ე, 129-ე და 331-ე კომენტარები).

13. ასეთივე ცნობებს იძლევა ნ. დადიანი იმერეთის ზოგიერთი ადგილის შესახებაც: ა) შორაპნისა და ქუთათისის ციხეები სოლომონ პირველმა რუსებს დაანგრევინა; ბ) ბარაკონის ეკლესია (წესში) ააშენა როსტომ შოშიტას ძე რაჭის ერისთავმაო (აქვე, ტექსტი, წ. II, თავი მე-14-ა, შდრ. 321-ე კომენტარი).

დამატებითი ცნობები ლიხთ-იმერეთის ადგილების შესახებ ნაწილობრივ ავსებს იმ ხარეზს, რაც ვახუშტის გეოგრაფიულ თხზულებას ახასიათებს ამ უბანზე<sup>1</sup>.

რა თქმა უნდა, აღნიშნული დამატებები არ არის სრული, ნ. დადიანს შეეძლო უფრო მეტის თქმა. ასე, მაგალითად, მოსალაოდნელი იყო ბაღდადისა და ცუცხვათის ციხეებზეც იმას დამატებით ის ეთქვა, რაც ქუთათისისა და შორაპნის ციხეების შესახებ თქვა, მაგამ... ბაღდადის ციხეს იგი სულაც არ ასახელებს, ხოლო ცუცხვათისაზე არაფერს დანატებით არ ამბობს. ასევე დუმს იგი იმის შესახებაც, რომ ვახუშტის სიკვდილის შემდეგ გელათის ღმრთისმშობლის ტაძარში დაიმარხა გვამი სოლომონ პირველისა. აგრეთვე ნ. დადიანს შეეძლო დამატებით ეთქვა ჩხარის წმინდა გიორგის ეკლესიის შესახებ ის, რაც ნათქვანი აქვს ტიმოთე ქუთათელს თავის აედგენილ რუკაზე: რომ იგი 1737 წელს ააშენა იმერთა ჩეფემ ალექსანდრე V-მ (საქ. მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტ. „ნოაბზე“, I, 1959, გვ. 156—197, შდრ. აქვე, 166-ე კომენტარი).

ასეთ შემთხვევებში სრულებით არაა საკმარისი ის, რასაც ნ. დადიანი იმერეთის გეოგრაფიული აღწერილობის ბოლოს ჩაურთავს: „ხოლო უმეტეს ამისა არღარა აღწერე... ვინათგან უწყით ჩვენ ყოველთა მას შინა მყოფმანო“ (აქვე, ტექსტი, წ. II, თავი მე-14-ა).

ამის ნიუხედავად შეუძლებელია უგულებელყოფილ იქნეს ნ. დადიანის აქ აღნიშნული დამატებითი ცნობების მეცნიერული მნიშვნელობა, რომელთაც გარკვეული სარგებლობის მოცემა შეუძლიათ ვახუშტის „საქართველოს ცხოვრების“ მეორე ნაწილის კომენტარულად გამოცემისათვის, ისევე როგორც საქართველოს დიდი ისტორიული რუკის შესადგენად.

<sup>1</sup> შდრ. ივ. ჯაქიახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1945, გვ. 330.

როგორც დაინახეთ, „ქართველთ ცხოვრების“ შემოკლებული ნაწილი, რომელიც ჩვენს გამოცემაში I და II წიგნებს მოიცავს, შედგენილია ვახუშტის „საქართველოს ცხოვრების“ მიხედვით ისე, რომ 1469 წლის შემდეგ ხანებში ცალ-ცალკე მოთხრობილი საქართველოს სამეფო-სამთავროების პოლიტიკური ისტორია, ერთსადაც მათგან წარმოდგენილი მხოლოდ ლიხთ-იმერეთის თავგადასავალი, ხოლო შესაბამისი მოცულობით არაა დაცული აღმოსავლეთ საქართველოს ისტორია. ამიტომ თავისი თხზულების ამ არაორიგინალურ ნაწილში ნ. დადიანი ნაწილობრივ ინარჩუნებს ვახუშტის მიმდევარი ავტორის სახელს.

მაგრამ „ქართველთ ცხოვრება“ შეიცავს ორიგინალურ, თვითონ ნ. დადიანის მიერ დაწერილ ნაწილს, რომელიც ჩვენს გამოცემაში მოიცავს III წიგნს „სოლომონ პირველის მეფობის“ ჩათვლით. იგი ქრონოლოგიურად ეხება 1749—1823 წლების ლიხთ-იმერეთის პოლიტიკურ ისტორიას. ასე რომ, აქ აღებულია ისეთი მნიშვნელოვანი ისტორიული პერიოდები, როგორცაა XVIII საუკუნის მეორე ნახევარი. (ამ დროს ლიხთ-იმერეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში გარდატეხა შეიძლება უკეთესისაგან. იმერეთის მეფისა და ეკლესიის ხელისუფლება შეღპრებით გაძლიერდა და წამოიწია ეროვნული ერთობის მოძრაობამაც: აილაგმნენ გამთიშველი თავადები და გახშირდა სამხედრო და პოლიტიკური თანამშრომლობა იმერეთის მეფეებისა ქართლ-კახეთის მეფეებთან. ამ ძვრების მთავარი მიზეზები იყო, ერთი მხრივ, რუსეთის ამოძრავება სამხრეთისაკენ და მის მიერ ამიერკავკასიაში თურქეთის ბატონობის დასუსტება, ხოლო მეორე მხრივ—ქართული პოლიტიკისაგან ოსმალეთის ჩამოშორება.

ლიხთ-იმერეთის პოლიტიკური ცხოვრების ამ მნიშვნელოვანი პერიოდის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში არც ერთი თხრობითი წყარო არ მოგვეპოვება. როგორც ცნობილია, ვახუშტის „საქართველოს ცხოვრება“ მოუთხრობს პოლიტიკური წარსულის ამბებს 1740-იან წლებამდე, შემდეგი დროის თავგადასავალი ლიხთ-იმერეთის პოლიტიკური წარსულისა აღარავის დაუწერია. გარდა ნაკადულიანისა, რომელმაც თავისი „ქართველთ ცხოვრების“ მესამე ნაწილის სახით დავიკრთვა გავრძელება ლიხთ-იმერეთის პოლიტიკური თავგადასავლისა 1740-იანი წლებიდან 1820-იან წლებამდე.

გინაიდან ნ. დადიანის თხზულება ეხება მხოლოდ დასავლეთ საქართველოს, ამიტომ მასში არაფერია ნათქვამი იმ კავშირ-ერთობათა შესახებ, რასაც არა ერთსელ პქონია ადგილი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შუენათა შორის XVIII საუკ. მეორე ნახევარში და რაი ნიშან-თვისებები მხარეა მაშინდელი დროისა. ამიტომ ახლაც უნდა ითქვას, რომ ნ. დადიანმა ამ საკითხში ვერ უპასუხა დამაკმაყოფილებლად ვახუშტის შემდეგი დროის საისტორიო-გრაფიო მოთხოვნას. იგი ამ მხრივ ჩამორჩა როგორც პ. ორბელიანსა და ი. სერძენიძეს, ისე დავით და ბავრატ ბატონისწვილებსაც.

„სოლომონ პირველის მეფობა“, რომლითაც იწყება „ქართველთ ცხოვრების“ ორიგინალური ნაწილი, მხავსაღ მისი არაორიგინალური ნაწილებისა, წარმოადგენს შემოკლებულ მიმოხილვას ლიხთ-იმერეთის პოლიტიკური ისტორიისას სოლომონ დიდის ბატონობის ხანაში. ცნობილია,

რომ 1760-იან წლებში თურქმა ინტერვენტებმა სოლომონ I ჩამოაგდეს და გაამეფეს მისი ბიძაშვილი თეიმურაზ მამუკას ძე<sup>1</sup>. ამ კონკრეტული ცნობისათვის გვერდის ავლით ნ. დადიანი კმაყოფილდება შემდეგი ზოგადი განცხადებით: „... დიდათ წინააღმდეგობდა სოლომონ ოსმალთა... და ოსმალნიცა მრავალჯელ გარდაადებდენ მეფობილამო“<sup>2</sup>.

მაშინ როდესაც ბატონისშვილები იხსენიებენ სოლომონ პირველის ძის ალექსანდრეს განდგომას და ბაქარის ძის იმერეთში მოყვანას<sup>3</sup>, ნ. დადიანი იმდენადაა გართული თავისი თხზულების შემოკლებით, რომ მთლიანად გამოტოვებს ამ საყურადღებო ისტორიულ ფაქტებს.

ამის მიუხედავად, ყველაფერი, რაც მოთხრობილია „სოლომონ პირველის მეფობაში“ ნიკო დადიანის მიერ, გარდა თითო-ორი გამონაკლისისა (რაც ნაჩვენებია აქვე დართულ კომენტარებში: 433—446), წარმოადგენს შედარებით კონკრეტულ და მართალ ცნობებს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ხრესილს, რუხისა და ჩაქვის ონები, იმერეთის მეფის ბრძოლა თურქების წინააღმდეგ რუსი ჯარის დახმარებით, იმერეთის მეფისაგან როსტომ რაჭის ერისთავის განადგურება, ოდიშისა და აფხაზეთის მთავრების ურთიერთ-დანაკიდებულება 1780-იან წლებში, სოლომონ I-ის გარდაცვალება. ამათგან ზოგიერთი მხოლოდ ნიკო დადიანის მეშვეობითაა მოღწეული ჩვენამდე, ხოლო ის, რაც დამოწმებულია სხვა ავტორებთანაც, ნაკლებად და შეცდომით არის გადმოცემული<sup>4</sup>.

რაც უფრო უახლოვდება ნ. დადიანი თავის დროს (1790-იანი წლების შემდეგ), მით უფრო მისი ცნობები ვრცელი და კონკრეტული ხდება, მაგრამ ისტორიული თხრობის არე თანდათან ვიწროვდება და საუბარი ეხება მხოლოდ სამეგრელოს, ნაწილობრივ კი იმერეთის სამეფოსა და გურიის-აფხაზეთს. ასე რომ, თუ „სოლომონ პირველის მეფობაში“ ნ. დადიანი მომეტებულად საუბრობდა დასავლეთ საქართველოს ცენტრალური პოლიტიკური ერთეულის, იმერეთის სამეფოს შესახებ და გზადაგზა დამატებით იძლეოდა ოდიშ-აფხაზეთის სამთავროებზედაც ცნობებს,—სოლომონ პირველის შემდგომი დროის აღწერისას იგი იჩენს ვიწრო, კუთხურ პატრიოტიზმს, აღარ მიიჩნევს რა იმერეთის სამეფოს წამყვან პოლიტიკურ ერთეულად დასავლეთ საქართველოში და თავის კალამს მთლიანად უმორჩილებს ოდიშის მთავრების, გრიგოლისა და ლევან V-ის პოლიტიკას. ამ მხრივ „ქართველთა ცხოვრება“ სამეგრელოს სამთავროს ისტორია უფროა, ვიდრე ლიხთ-იმერეთისა ან მთელი საქართველოსი, ხოლო თვითონ ნ. დადიანი სამეგრელოს მთავრების, გრიგოლისა და ლევან V-ის კარის ისტორიკოსია. წინათაც, ეახუშტის თხზულების შემო-

<sup>1</sup> დ. ბატონის შვილი. ახალი ისტორია, 1941, გვ. 10; ბ. ბატონის შვილი, ახალი მოთხრობა, 1941, გვ. 53; შდრ. ჩვენი, „იმერეთის სამეფოს პოლიტიკური ისტორიისათვის XVIII საუკუნეში“, თავი II.

<sup>2</sup> აქვე, ტექსტი, წ. II, სოლომონ პირველის მეფობა.

<sup>3</sup> დ. ბატონის შვილი, დასახ. ნაშ. გვ. 16; ბ. ბატონის შვილი, დასახ. ნაშ., გვ. 56; შდრ. ჩვენი „იმერეთის სამეფოს პოლიტიკური ისტორიისათვის XVIII საუკუნეში“, თავი IV.

<sup>4</sup> დ. ბატონის შვილი, ახალი ისტორია, 1941, გვ. 11, 16; ბ. ბატონის შვილი ახალი მოთხრობა, 1941, გვ. 54, 55, 58; შდრ. ჩვენი „იმერეთის სამეფოს პოლიტიკური ისტორიისათვის XVIII საუკუნეში“, თავები II, III და IV.

კლემენტისას ნ. დადიანი ამჟღავნებდა ხოლმე მთავარ დადიანებისადმი ნათესაურ მიკერძობას, როგორც ეს შენიშნულია აქვე, კომენტარებში: 132-ე, 133-ე, 144-ე, 154-ე, 164-ე, 167-ე, 209-ე, 373-ე, 390-ე, 393-ე, 396-ე, 401-ე, 419-ე, 427-ე, 432-ე. მაგრამ აქ, „ქართველთა ცხოვრების“ ორიგინალურ ნაწილში, მან პირდაპირ დაიწყო წერა ოდიშის სამთავრო კარის სასარგებლოდ.

თავისი თხზულების ამ ნაწილშიც იცავს ნ. დადიანი შემოკლების წესს. იგი ამ მხრივ იმდენად თანმიმდევრულობას იჩენს, რომ თავისი თვალთახულის ჩართვასაც კი ერიდება: „ყოფნასა ჩემსა როსიად ანუ სხვათა ადგილებთა მიმოვლასა ჩემსა, თუ რაჲ იგი მიხილავნ... იგი აქა დამეწერა, უხამსად შეიქმნებოდა სიგრძე წერილისა ამის და ანისთვის აქა ესრეთ მოკლედ აღვსწერე“. ხოლო ვისაც ზედმეტად დაინტერესებს ჩემი მოგზაურობის გაცნობაო: „იხილოს ჩემ ნიერ აღწერილსა მიმოვლასა შინა (რომელსა ეწოდება „მიმოვლა ნიკოლა დადიანოვისა“)<sup>1</sup>“.

ნ. დადიანის საისტორიო-გრაფიკო კონსტრუქციის სამეგრელოს სამთავროს კლასიკური ინტერესებისა შევიწროება განიჭვია იმ შეცდომაზე, რასაც იგი (ნ. დადიანი) იჩენდა იმერეთის სამეფოსადმი ოდიშის სამთავროს დამორჩილებისათვის სოლომონ მეორის მიერ წარმოებული ბრძოლის შეფასებაში. იმერეთის უკანასკნელი მეფის განაერთიანებელ პოლიტიკას ნ. დადიანი უარყოფითად ეკიდებოდა, ვინაიდან იგი (მეფის პოლიტიკა) ზღუდავდა მისი ნათესავის (ბიძაშვილის) გრიგოლ დადიანის მთავრულ-პარტიკულარულ ინტერესებს. ამიტომაც იყო, რომ გრიგოლ დადიანის წინააღმდეგ ჩატარებულ სოლომონ მეორის გამაერთიანებელ ბრძოლას ნ. დადიანი ასეთნაირად განხარტავდა: იმერეთის მეფემ „უშეტეს შესძინა დევნა გრიგორისაო“. მაშასადამე, ჩვენი ავტორი ქვეყნის გამაერთიანებელ ბრძოლაში თავისი ნათესავის შევიწროება-შეჭუბუბვას ხელაუდა. სინამდვილეში კი სოლომონ II-ის ბრძოლა ოდიშის მთავრის დამორჩილებისათვის ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისა, იყო მიმართული და ქვეყნის გაერთიანებას ემსახურებოდა, იგი ეროვნული თვისების მოძრაობა იყო და მწარმოებელი კლასის მხარდაჭერით სარგებლობდა. დოკუმენტური მასალებიდან ჩანს, რომ ყმა გლეხები ერთგულად იბრძოდნენ მეფის მხარეზე ლეჩხუმში<sup>2</sup>.

(იმერეთის უკანასკნელი მეფე სოლომონ II იდგა ბიძამისის სოლომონ I-ის პოლიტიკაზე: მისი მიზანი იყო დასავლეთ საქართველოს გაერთიანება ქუთაისის სამეფო სეპტრის ქვეშ. ოდიშის სამთავროს დამორჩილება იმერეთის სამეფოსადმი ძირითადად უზრუნველყოფდა ამ მიზანს. და სოლომონ II-მ 1792 წელს ომი დაუწყო მთავარ გრიგოლ დადიანს. გადიოდა წლები, გრძელდებოდა ბრძოლა. გრ. დადიანი ვერ ახერხებდა საკუთარი ძალებით იმერეთის მეფის ხელყოფისაგან თავისი ტერიტორიის დაცვას. ამ უმწყო მდგომარეობიდან გამოსასვლელად მან რუსეთის საფარველში შესვლა მოიხსურა. რუსეთი მაშინ ამიერკავკასიაში თავისი გაბატონებისათვის იბრძოდა. ამ უკანასკნელისათვის ლიხთ-იმერეთის მაშინდელი ანარქია სასარგებლო პირობებს ქმნიდა და გრიგოლ დადიანის თხოვნა იმპერატორმა მიიღო და დააკმაყოფილა: ოდიშის სამთავრო თავისთან შეიერთა (1803 წლის ბოლოს). სამე-

<sup>1</sup> ეს თხზულება ამჟღავნად დაკარგულია.

<sup>2</sup> საქ. მუხ. ისტ. დოკ. და არქ., II, გვ. 25.

გრელის ტერიტორიის დაკავებით, გაბატონდა რა უფრო ადრე ქართლშიც, რუსეთის იმპერატორი თავისი ჯარების რკალში ამწყვედევდა იმერეთის სამეფოს, რომლის ოკუპაციაც ამიერიდან რუსეთის სარდლობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა გახდა. 1

ასეთ ისტორიულ პირობებში ოდიშის სამთავრო კარის პოლიტიკურ წრეებზე გავლენა მოიპოვა ცარისტული რუსეთის კოლონიზატორულმა იდეამ, რომ: რუსეთის ჯარები სამეგრელოს ტერიტორიაზე დგანან დადიანის სამთავროსათვის იმერეთის მეფის ხელყოფისაგან მშვიდობის უზრუნველსაყოფად.

ნ. დადიანი, რომელიც გრიგოლ დადიანის ბიძაშვილი იყო და რომლის ნაწილს დახმარებასაც უწყევდა იმერეთის მეფის წინააღმდეგ გრიგოლ დადიანის მთავრული დამოუკიდებლობისაკენ მიდრეკილებას, თავისი ნათესავის (გრ. დადიანის) პარტიკულარული ინტერესების დამცველად გამოდიოდა სოლომონ მეფის გამაერთიანებელი პრეტენზიების წინააღმდეგ და ამიტომაც ადვილად მოექცა აღნიშნული რუსული კოლონიზატორული იდეის გავლენაში. „ქართველთა ცხოვრების“ ის ნაწილი, რომელიც ეყრება 1792—1810 წლების ამბებს, წაღიანად ამ კონცეფციის მიხედვით აქვს დაწერილი ნ. დადიანს.

ამართლებდა რა ცარისტული რუსეთის ბატონობას დამკვიდრებას საქართველოში, ამის წინააღმდეგ მებრძოლი იმერეთის მეფე სოლომონ მეფე ნ. დადიანს რუსეთის მტრად მიაჩნდა და მის შეფასებაშიც იდეო-ცარისტული რუსეთის დაშინდელ კოლონიზატორთა თვალსაზრისზე. ვინაიდან რუსეთისათვის ნათელი გახდა, რომ „მეფე იმერეთისა არა მოდრეკების ერთგულებაა ზედა კელწიფე-იმპერატორისასა“, ვადაწყვეტეს, რათა „განდევნონ მეფე იმერეთით და დაიპყრას იმერეთი ხელწიფე-იმპერატორისა“.

სოლომონ მეფის რუსული კოლონიზატორული თვალსაზრისით შეკავებისას ნ. დადიანი არ იჩენს ინტერესს უჩვენოს მისი საკუთარი ქართული პოლიტიკა, არამედ, თვლიდა რა მას ცარისტული რუსეთის მტრად, ამის გამო სულ უბრალოდ მიაჩნდა იგი თურქეთის მიმხრედ. ციციანოვი სოლომონ II-ს წინადადებას აძლევდა, რათა იმასაც გრ. დადიანიც ნაკლო რუსეთის საფარველი. „გარნა მეფე არა თანხმა იყო ამა განზრახვისა, არამედ უმეტეს ერთგულება პორტი ათამანსა და იქეთ ჰქონდა მხარი თვისი“, — აწინააღმდეგებდა ნ. დადიანი.

მაშასადამე, ვინაიდან სოლომონ მეფეს არ სურდა რუსეთის მფარველობა, თურქეთის ერთგულობდა, ანდა პირიქით: ეკირა რა თურქეთის მხარე, გამობდა რუსეთის მფარველობას. აქ მთლიანად უგულვებელყოფილია იმერეთის მეფის საკუთარი, ქართულ-ეროვნული პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც სოლომონ II იმ დროში დამოკიდებულებას იჭერდა როგორც რუსეთთან, ისე თურქეთთან, აგრეთვე სხვა სახელმწიფოებთანაც. გვერდს უვლის რა იმერეთის მეფის პოლიტიკის აღწერას, ნ. დადიანი სოლომონ II-ს უჩვენებს ნეგატიური პოზიციიდან და ამიტომ ფეოდალური საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი იმერეთის მეფისაგან გამოუდის მხოლოდ უპოლიტიკო, სხვის ხელში შემყურე პირი. ეს არაობიექტური მხარე უნდა ჩაითვალოს ნ. დადიანის თხზულების ორიგინალური ნაწილის ყველაზე დიდ ნაკლად.

ასეთმა თვალსაზრისმა ნ. დადიანი ჩააყენა იმერეთის მეფის მტრების რიგში. სოლომონ მეფისადმი მტრობის გზას აშკარად ადგა ნ. დადიანი. იგი რუსეთის მთავრობას თავის რჩევას სთავაზობდა იმერეთის, რაც შეიძლება, იოლად დამორჩილების შესახებ: ჯერ კიდევ 1805 წელს, როცა ოდიშის დეპუტატად იყო წარგზავნილი იმპერატორთან. შემდეგ, 1806 წელს ნ. დადიანი მთავარსარდალ გუდოვიჩს იმპერატორისადმი თავის ერთგულებას უდასტურებდა და ურჩევდა, რომ ხელიდან არ გაეშვა გიორგი ალექსანდრეს ძე იმერთა ბატონის შვილი (რომელიც თავისი ნებით მიემხრო რუსეთის სარდლობას), გამოეყენებინა იგი იმერეთის მოსახლეობაზე ფსიქოლოგიური ზემოქმედებისათვის და დაეპირისპირებინა ის, ამრიგად, სოლომონ მეორისათვის, რომელსაც ამით თავის საჭეულოში გააღწენა წუუსუსტდებოდა. ამასთანავე ნ. დადიანი იქვე, თავის მხრივ, იმერეთის წარჩინებულ აირთა რუსეთის სარდლობის მხარეზე გადასაბირებლად მოქმედებასაც კისრულობდა<sup>1</sup>.

უინაოდან ნ. დადიანი გვერდს უვლიდა იმერეთის სამეფოს ისტორიას, ამიტომ მისი თხზულების მესამე ნაწილში გამოტოვებულია ან შეტად მკრთალადაა წარმოდგენილი ისეთი ისტორიული ფაქტები, როგორცაა:

1) დავით მეფის მიერ რაჭის საერისთავოს აღდგენა და მისი გადაცემა სტამბოლიდან მოწვეული გიორგი როსტომის ძე რაჭის ერისთავის შვილისათვის; 2) გიორგი ალექსანდრეს ძე ბატონის შვილის შეთქმულება სოლომონ II-ის წინააღმდეგ 1790-იან წლებში; 3) ანა იმერთა დედოფლის წინვლა რუსეთის იმპერატორთან შეამდგომლობისათვის სოლომონ მეფის წინაშე კოსტანტინე ბატონის შვილის პატიმრობიდან გამოსახსნელად; 4) ცარიზმის სარდლობის მიერ იმერეთის სამეფოს შეერთება რუსეთთან და ლიონიდის ელჩობა იმპერატორთან; 5) გიორგი ალექსანდრეს ძე იმერთა ბატონის შვილის გაპარვა სოლომონ მეფის ტყვეობიდან და რუსეთის სარდლობასთან მოსვლა; 6) იმერეთის თავად-აზნაურობის აჯანყება 1810 წელს ცარიზმის სარდლობის წინააღმდეგ და მისი ჩაქრობა; 7) თავად ზურაბ წერეთლის მონაწილეობა რუსეთის მხარეზე მამია გურიელის გადაბირებაში ფოთის ციხის გარემოცვის დროს (1809 წ.).

ნ. დადიანის თხზულების ეს ნაკლი კიდევ უფრო მძიმდება იმის გამო, რომ აღნიშნული ისტორიული ფაქტების შესახებ კონკრეტულ ცნობებს იძლევიან ბაგრატი და დავით ბატონის შვილები (იხ. მათი თხზულებები, გვ. 33, 36, 60, 67, 81, 82, 85, 86, 87, 99, 100, 104—107).

„ქართველთ ცხოვრების“ ორიგინალური ნაწილი ნაკლულია ქრონოლოგიური. სულ იქ ნაჩვენებია თორმეტი თარიღი: 1788 წელი (კაცია დადიანის სიკვდილი), 1789 წელი (სოლომონ მეორის გაზევება), 1799 წ. 15 დეკემბერი (გიორგი ოტიას ძე დადიანის ცის, ჩვენი ავტორის მამის სიკვდილი), 1804 წ. 23 ოქტომბერი (გრ. დადიანის სიკვდილი), 1810 წელი (სოლომონ II-ის შეპყრობა და იმერეთის დაკავება რუსის ჯარის მიერ), 1811 წელი (იმერეთ-ოდესურიაში ქირისა და შიშხილის გაჩენა), 1815 წელი (სოლომონ მეფის სიკვდილი ტრაპიზონში), 1821 წ. 6 თებერვალი (აფხაზეთის მთავრის საფარ-ბეგ შარაშიძის სიკვდილი), 1821 წ. 6 მარტი (საფარ-ბეგის ძმის ქასან-ბეგ შარვაშიძის შეპყრობა და რუსეთს წაყვანა), 1822 წელი (აფხაზეთის მთავრის ღიმიტრა საფარ-ბეგის ძე შარვაშიძის

<sup>1</sup> АКТЫ, III, № 227, გვ. 125—126.



სიკვდილი), 1822 წ. 12 დეკემბერი (გიორგი ნიკოლოზის-ძე დადიანის შვილის სიკვდილი) და 1823 წ. 28 იანვარი (თავად ზურაბ წერეთლის სიკვდილი).

დაუთარილებლადაა წარმოდგენილი ისეთი ფაქტები, როგორცაა ფოთისა და სოხუმის ციხეების აღება რუსის ჯარის მიერ, აფხაზეთისა და გურიის სამთავროების შესვლა რუსეთის საფარველში, იმერეთის 1810 წლისა და გურია-იმერეთის 1819—1820 წლების აჯანყებანი და სხვ.

ზოგიერთ შემთხვევაში ნ. დადიანი ინარჩუნებს თავის მიერ აღწერილი ფართო მასშტაბის მოვლენების გაგების სიმალლეზე დგომას. ასე მაგ., ეხება რა რუსეთ-თურქეთის 1806—1812 წლების ომის დამთავრებას, იგი წერს: „ნაპოლეონ მონაპარტე შემოვიდა რუსეთად და მოახხრა რუსეთი და ამისთვის ჭელმწიფე იმპერატორმა და პორტი ათამანმა ქმნა მშვიდობა შორის შათსა და ამისთვის მისცეს რუსთა კვალად ფოთი ოსმალთაო<sup>1</sup>. მაგრამ ყველა შემთხვევაში ვერ დვას ასეთ სიმალლეზე ნ. დადიანი და იკეტება ცალკეულ მოვლენათა ვიწრო ჩარჩოებში. 1809 წელს ფოთის ციხის დასაცავად დამატებით წამოსულ თურქ სპას გზა მისცა მამია გურიელმა, „ვინათგან ეამსა მას ერთგულებდა გურიელი მამია... მეფეს სოლომონს ამისთვის, რომელ... შეუღლებმან მეფისამან... მისცა დედით ბიძაშეილი თავისი... მამიას ცოლადო“. პოლიტიკურ მოვლენათა ახსნა ნათესაობის მომენტით დამახასიათებელი იყო ქართული ფეოდალური ისტორიოგრაფიისათვის (ათუნდაც იმავე ვახუშტისათვის), და ამ მხრივ ნ. დადიანიც მის გავლენაშია მოქცეული. შემდეგ, არაფერს ამბობს რა თურქეთსა და რუსეთთან ქელაიშ-აჰმედ-ბეგის დამოკიდებულებაზე, მიზეზის უჩვენებლად ნ. დადიანი მოგვითხრობს: ასლან-ბეგმა მოკლა მამამისი, ქელაიშ-აჰმედ-ბეგი, დაიკავა სოხუმი და შევიწროება დაუწყო თავის ძმას, საფარ-ბეგსო.

ზოგჯერ ისტორიული ფაქტის გადმოცემისას ნ. დადიანი იჩენს გულუბრყვილობასაც მიზეზების ჩვენებაში. ასლან-ბეგმა რომ შეაეწროა საფარ-ბეგი, ამან შუამდგომლობა სთხოვა ლევან დადიანს რუსეთის იმპერატორის წინაშე, რათა დადიანივით ისიც ყოფილიყო შიღებული მის საფარველში. დადიანმაც უშუამდგომლა და „ვინათგან დადიანმან სთხოვა იმპერატორსა, ამისთვის პატივ სცა თხოვასა დადიანისასა და მიიღო მფარველობასა შინა რიცხვთა შორის მთავრებთასაო“.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ხარვეზები მცირე მნიშვნელობისა არ არის, ნ. დადიანის თხზულების მესამე, ორიგინალური ნაწილი კარგი ძეგლია, დაწერილი ლიხთ-იმერეთის 1784—1823 წლების პოლიტიკურ ცხოვრებაზე ცარისტულ-კოლონიზატორული ორიენტაციის ქართველი ავტორის მიერ; მასში აღწერილია იმ დროის ამბები, როცა თვითონ ცხოვრობდა ავტორი, რომელიც აღწერილი მოვლენების მონაწილე ხშირად თვითონ ყოფილა ან სხვა მხილველთაგან მოუსმენია მათზე. ეს მხარე ამ ნაწილს სანდო-ისტორიულ თხზულებად ხდის.

ნ. დადიანის მონათხრობი დამოწმებულია სხვა ისტორიულ წყაროებშიც. ასე, მაგალითად: !) სოლომონ პირველის შემდეგ რომ დავით გიორგის ძე გამეფდა იმერეთში, ამას ადასტურებენ ისტორიკოსი ბატონისშვილები, ისევე

<sup>1</sup> შტრ. История дипломатии, т. I, 1941, გვ. 373.

როგორ ბურნაშვიცი? 2) ბურნაშვითანვეა დამოწმებული ისიც, რომ დავით მეფემ დააწინაურა თავის კარზე ელისბარ ქსნის ერისთვის შვილი? 3) კაცია დადიანი რომ 1788 წელს მოკვდა და მისი ადგილი გრიგოლმა დაიკავა, ეს აღნიშნულია ბაგრატი ბატონისშვილთან? 4) დავით მეფესა და გრიგოლ დადიანს შორის ამტყდარი ბრძოლის შედეგად რომ იმერეთში სოლომონ II გაემეფდა, ამას ადასტურებს დავით ბატონისშვილი? 5) ბატონისშვილები ერთხმად ადასტურებენ იმასაც, რომ ახალგაშენებულ სოლომონ II-სა და ჩამოგდებულ დავით მეფეს შორის ომი ატყდა ხელისუფლებისათვის. ამაში დავითს ახალციხის ფაშა ეხმარებოდა, ხოლო სოლომონს—ერეკლე მეორე? 6) გრ. დადიანის დამორჩილებისათვის ბრძოლაში სოლომონ მეფე რომ მის ძმას შანუჩარს იყენებდა, ხოლო გრიგოლ დადიანი—ბიძამის გიორგის, მამას ჩვენი ავტორისას, ამას ადასტურებს ბაგრატი ბატონისშვილი? 7) სოლომონ მეფის ბრძოლა ლეჩხუმისათვის დადასტურებულია იმავე ავტორის მიერ? აგრეთვე დოკუმენტურად; ბერი გვლოვანისათვის მიცემულს წყალობის წიგნში სოლომონ მეფე წერდა, რომ „ლეჩხუმი დაეკავიერა“; 8) სოლომონ მეფის მიერ საბუთ ფაშის მკვლელობას ადასტურებს ბაგრატი ბატონისშვილი? 9) გრ. დადიანი რომ რუსეთის იმპერატორს შეუერთდა სოლომონ მეფის ხელყოფისაგან თავისი მთავრული დამოუკიდებლობის გადასარჩენად, ამასაც იგივე ავტორი ადასტურებს? 10) ბაგრატი ბატონისშვილი იხსენიებს აგრეთვე გრ. დადიანის სიკვდილს და მისი ძის ლევანის გამთავრებას, რუსის ჯარის იმერეთში შემოსვლას, ფოთის ციხის რუსებისაგან აღებას<sup>1</sup>.

ამასთანავე უკრძალვებს იქცევს თავისი კონკრეტულობითა და განერცობით ის ცნობები, რასაც ნ. დადიანი იძლევა სოლომონ მეფის გამაერთიანებელი ბრძოლის წინააღმდეგ გრიგოლ დადიანის თვდაცვის შესახებ. ინტერესს იწვევს აგრეთვე მისი ცნობები დადიანისა და ავხაზეთის მთავრების ურთიერთობის შესახებ რუსეთთან შეერთების ხანაში. ორივე შემთხვევაში ნ. დადიანს გადმოცემული აქვს ის, რაც თავისით უხილავს და მოუსმენია. ამ ნაწილს ჩვენი ისტორიული მწვერულისათვის მით უფრო აქვს მნიშვნელობა, რომ სხვა ქართველ ავტორთა თხზულებებში სოლომონ მეორის გამაერთიანებელი ბრძოლებისა და ოდიშ-აფხაზეთის მთავართა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ ძალიან ცოტა, აითქმის არაფერი წერია.

<sup>1</sup> შდრ. დ. ბატონისშვილი, ახალი ისტორია, 1941, გვ. 16; ბ. ბატონისშვილი, ახალი მითხრობა, 1941, გვ. 59; Бурнашев, Картина Грузии, 1896, გვ. 22.

<sup>2</sup> დასახ. ნაშრ., იქვე.

<sup>3</sup> დასახ. ნაშრ., გვ. 61.

<sup>4</sup> შდრ. დასახ. ნაშრ., გვ. 19.

<sup>5</sup> შდრ. დ. ბატონისშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 21; ბ. ბატონისშვილი დასახ. ნაშრ., გვ. 62—64.

<sup>6</sup> დასახ. ნაშრ., გვ. 64, 67.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 80.

<sup>8</sup> ქუთაისის მუხ. ისტ. დოკ., № 926.

<sup>9</sup> შდრ. დასახ. ნაშრ., გვ. 81.

<sup>10</sup> შდრ. იქვე, გვ. 86.

<sup>11</sup> შდრ. იქვე, გვ. 87, 103.

წინასიტყვაობაში, სადაც „ქართველთ ცხოვრების“ შედგენის მიზეზსა და მიზანზეა საუბარი, ნ. დადიანი იმასაც წერს, რომ „აღვსურე ესე ქართლის ცხოვრებაა შემოკლებული და შეგვისთხვენახლად მდაბიოთა ფრასითაო“.

ნ. დადიანი მოწაფეებისათვის საკითხავ სახელმძღვანელოს წერდა საქართველოს ისტორიაში და იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ენის მისაწვდომობას, სიმარტივეს, მდაბიურობას, ხალხურობას. „ქართველთ ცხოვრებაში“ მას ზოგიერთი ძნელად გასაგები სიტყვა მდაბიო მკითხველისათვის ადვილად გასაგები-სიტყვებით გადმოჰქონდა ან ხსნიდა. ასე, მაგალითად, ვახუშტით ვარაზ ბაქარი იყო „მოძიშარი და ჩუქენ“ (საქ. ისტ., I, 1885, გვ.81). ნ. დადიანი კი ამას ცელის თავისი დროისათვის უფრო გასაგები გამოთქმით: „გულთა ჯაბანო“ (აქვე, ტექსტი, წ. 1, 27-ე მედე); ვახუშტი ყვარყვარე ათაბაგის შემპყრობზე ამბობს, რომ იგი იყო გურიელის მეწდო (საქ. ცხ., II, 1913, გვ. 286). ნ. დადიანი კი „მეწდეს“ ადგილას „მელვინეს“ წერს (აქვე, ტექსტი, წ. II, თავი 14-ბ); ვახუშტი იმერთა მეფე ალექსანდრე III-ზე წერს: ოდიშში რომ შეიქრა, იქაურ წარჩინულთ „გამოუხენა“ ტენიო (საქ. ცხ., II, 1913, 306). ნ. დადიანი სიტყვა „გამოუხენას“ აპარტივებს სიტყვით: „გამოართენაო“ (აქვე, ტექსტი წ. II, თავი მე-14-ბ) და ასე შემდეგ.

„მდაბიო ფრასით“ წერა მტკიცედ ახასიათებდა ნ. დადიანის შემოქმედებას სხვა უბანზეც. ლეჩხუმი-ჰყონდიდის საეპარქიოს არქიმანდრიტმა, საირმე-ნამარნევის უდაბნოების მოძღვარმა გიორგი კუხალაშვილმა ნ. დადიანს სთხოვა მისთვის მონასტრებში საკითხავად დაეწერა ქადაგებანი, ისე რომ „...არცა ქადაგებანი ესე იქმნას ძალალსა ფრასსა ზედა, არამედ უმეტეს დაბიოდ იქმნას შეთხულ, რათა უმჯობეს იქმნას სასმენელად საზოგადოებისათვისო“<sup>1</sup>. ნ. დადიანმა მიიღო ეს თხოვნა და 1826 წელს თავის სასახლეში, ნოლას, დაწერა ხუთი ქადაგება, მიუმატა მათ ბიძამისის, ანტონ ჰყონდიდლის მიერ შეთხული ორი ქადაგებაც და შეიდივე ქადაგება ერთად მოუძღვნა გიორგი არქიმანდრიტს. თავისი ხუთი ქადაგების შესახებ ნ. დადიანი შეძღვს აღნიშნავდა გ. არქიმანდრიტისადმი: „ესე ხუთნი ქადაგებანი, ახლად ქმნილნი ჩემგან... შევთხვენ დაბიოთა ფრასთა... თხოვისამებრ თქუშნისაო“<sup>2</sup>.

\* \* \*

ნ. დადიანის „ქართველთ ცხოვრება“, „ქართლის ცხოვრების“ კრებული-სა და ვახუშტის შრომებისაგან განსხვავებით, მის ყველა ნაწილში ახასიათებს რუსულ-ევროპული სიტყვების ხმარება, რაც სათანადო კულტურულ ზეგავლენის შედეგია. ასე, მაგალითად: „ლითონის“ მაგივ-

<sup>1</sup> ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, I, 1953, გვ. 419—420.

<sup>2</sup> აქვე, 420.—ამ შეიდი ქადაგების კრებული დაკლდა საქ. მეცნ. აკად. ხელნაწ. ინსტიტუტში, S—291. კრებულის ბოლოს მიწერილია, რომ ფიგ 1831 წ. 11 ნოემბერს მარ. თლაქ მსუნებული გიორგი არქიმანდრიტისა ყოფილა (127r).

რად ნ. დადიანი წერს „მეტალს“, „რივის“ ადგილზე—„პლანს“, „სიგელს“ უწოდებს „უქაზსაც“, „მეარის“ მაგივრად ხმარობს „საყენს“, ჯარის საყვებისათვის—„პრავეიანტს“, ჯარის სადგომისათვის—„ქვარტი-რაას“, „თავადის“ გვერდით წერს „ქნიაზსაც“, „მეგრელისა“ და „სამეგრელოს“ ადგილას წერს მაშინდელი რუსული ოფიციალური მეტყველების გავლენით „მენგრელსა“ და „სამენგრელოს“, რუსეთის მოხელეების მამისშვი-ლობას აღნიშნავს რუსული წესით: ალექსანდრე პეტროვიჩი ტორმასოვი, დიმიტრი ზახაროვიჩი ორბელიანი და სხვ.

„ქართველთ ცხოვრების“ ტექსტში ეხვედებით აგრეთვე სიტყვებს: ფამი-ლია, მთავრინა, ოტ-ინდანტერი, ილია, რესპუბლიკა და სხვ. ნ. დადიანს ზოგ-ჯერ ახასიათებს აგრეთვე პირთა სახელის რუსული ფორმით დაწერა: სი-მეონ, მიხაილ, ისევე როგორც ქართული ასო ფარ-ის-მაგივრად რუსული ძ-ს ხმარება: ქარასა, ქარანაეაზ, ინქანტერი და მისთ.

\* \* \*

„ქართველთ ცხოვრების“ ტექსტის დადგენისას ჩვენ გამოვედით „მდა-ბიო ფრაზის“ პრინციპიდან და ნუსხებში დაცულ სხვაობებში უპირატესობა მივანიჭეთ მარტივსა და ახალ ფორმებს. დაეტოვეთ ისინი ტექსტში, ხოლო რთული და ძველი ფორმები სქოლიოში უჩვენეთ. ასე, მაგალითად, ტექსტში ვტოვებთ ფორმებს: მოსვლა, რიცხვთა, შეიპყრა, ეწყვნენ, თვით, ხმა, ხოლო სქოლიოში ნაჩვენებია განსხვავებანი: მოსლვა, რიცხუთა. შეიპყრანა, ეწყუნენ თვთ, ჭმა.

მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა სამივე ნუსხა ძველ ფორმას ხმარობს, ჩვენც მას უცვლელად ვტოვებთ, მაგალითად: „ქურთვი“. „ჭარისხისა“, „კაც-მან“ და ასე შემდეგ. ეს იწვევს ერთგვარ სიჭრელეს, მაგრამ ნ. დადიანის დრო გარდამავალი ხანაა ძველიდან ახლისაკენ ქართული ენის ისტო-რიაში და მაშინ ახალი ფორმები ჯერ კიდევ დადგენის პროცესს განიცდიდა და მტკიცედ არ ჰქონია დამკვიდრებული თავისი ადგილი როგორც მეტყვე-ლებაში, ისე დამწერლობაში. ამისი აშკარა მაჩვენებელია ფორმა-სხვაობანი C ნუსხისა, რომელიც თვითონ ავტორ ნ. დადიანს ჰქონდა ხელში, წაიკითხა, შეასწორა და შეავსო.

ამავე წესს ვიცავთ ჩვენ სამი სიტყვის მიმართაც: ათაბაგი, ლაშქა-რი და აფხაზეთი, რომელთაც ნ. დადიანი ხმარობს სხვაგვარადაც: ათა-ბაჟი, ლაშქარი და აფხაზეთი.

იმ შემთხვევაში, როცა ნუსხები სხვადასხვა ჩვენებას იძლევიან, ჩვენ უპირატესობა მივანიჭეთ ხელნაწერთა უმრავლესობას. ამ წესს ვარღვევთ მხოლოდ მაშინ, როცა ნუსხათა უმრავლესობის ჩვენება შეცდომას იძლევა.

კერძო სახელები (და ხანდახან ზმნებიც) შესწორებულ იქნა ლიტერატურ-რული წყაროების მიხედვით.

უნებლიედ გამოტოვებული სიტყვები თუ ასოები ჩვენ აღვადგინეთ და ჩავსვით კვადრატულ ფრჩხილებში.

იამბიკონები ან სხვა ციტატები ჩვენ შევასწორეთ ვახუშტის ისტორიული და გეოგრაფიული თხზულებების მიხედვით დ. ბაქრაძის, ზ. ჭიჭინაძის, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის გამოკვებებიდან.

1 ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, 1885; დიმიტრი ბაქრაძის გამოკ-მა; იგივე, საქართველოს ენობურება, II, 1913. ზაქარია ჭიჭინაძის გამოკვება; იგივე, საქართველოს გეოგრაფია, 1941, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის გამო-კვება.

ქართულთ ცხოვრება  
ტექსტი

ნიკოლაი გიორგის ძის დადიანოვის პირველისა, პოლკოვნიკის და კავა-  
ლერიისაგან განასაზღვრებით ქმნილი ისტორიაჲ, რომელსა ეწოდების ქარ-  
თველთ ცხოვრებაჲ, წყლის დასაბამითგან სოფლისა ტტვზ, ხოლო გან-  
ჯორციელდებოდა სიტუეისა ღმრთისა ჩეთ, თვესა იველისსა კ<sup>1</sup>.

### თვის სამეთოქსა ქართლისათა

[1] წინასიტყვაობაჲ წინამდებარისა ამის წიგნისა,  
ქართველთ ცხოვრებაჲ წინამდებარისა

ვინათგან<sup>2</sup> სჯული ბუნებითი ასწავებს ყოველთა თავისა თვისისა უმჯო- 5  
ბისისა აღრჩევასა, ამისთვის მცა უმჯობესად ვრაცხე შრომაჲ ესე. და ვინა-  
თგან<sup>3</sup> კმაჲსა მიზნისა გამო მოკლებულ იყვნენ ერნი ჩვენნი ამავეითართა ისტო-  
რიათა და არა უწყოდენ ყოფილნი<sup>4</sup> საქმენთ მხოლოთა მამულთა თვისთანი და  
ძვილ სადამე იპოებოდა ჩვენსა ქვეყანასა ქართველთ ცხოვრებაჲ და  
ვინადგან<sup>5</sup> თანამდებ არიან შეილნი მამულთა თვისთანი ნაყოთა ქმნილთა საქ- 10  
მეთა შემეცნებად, რათა მით უმჯობესად მართვიდენ თავთა თვისთა, — ამის-  
თვისა მივიღევ შრომაჲ სიყვარულისათვის საზოგადოჲსა შეილთა მამულთა  
ჩუწნთასა და აღვსწერე ესე ქართლის<sup>6</sup> ცხოვრებაჲ შემოკლებული და  
შევსთხზენ ახლად მდაბოჲთა ფრასითა, რომელსა არა აკლს უმეტეს საჭირო- 15  
ნი. ხოლო არცა საყვარელნი მოწაფენი ჩემნი დაუტევენ უცნობელ ამისა, რო-  
მელნიცა გაბრწყინდენ მოძღვრებათა ჩემთა ქვეშე სიბრძნის მოყვარებისა და  
ფილასოფიისა სწავლითა, რომელ ამასაცა მიეწერების ნაწილყოფაჲ აზნაურე-  
ბითისა მიმართ ჯელოვნებისა.

გარნა არა მრცხენის, რათა განღვიძებულ ვიყო მსახურებისათვის მამუ- 20  
ლისა, რომელსაცა<sup>7</sup> მზად მიყოფიეს თავი ჩემი სისხლითურთ მსხვერპლად  
ტრაიებსა ზედა სიყვარულისასა დასაწველად; [2] რომელმანცა არა ვრიდევ  
შრომასა სიყვარულისათვის მამულისა, რათა აღმოჩნდევ მსახურად და მათ  
მიერ მქონდეს ხსოვნაჲ.

მდაბალი მოსამსახურე თქუწნი  
ნიკოლაჲ დადიანოვი პირველი.

<sup>1</sup> ნიკოლაი... ივლისსა კ—AB.

<sup>2</sup> ვინადგან B.

<sup>3</sup> ყოველნი B.

<sup>4</sup> ვინათგან C.

<sup>5</sup> ქართველთ A.

<sup>6</sup> რომელსა A.

## წიგნი I<sup>1)</sup>

თ ა ვ ი

ქართველთ ისტორია იპყრობს თვის შორის ორსა ცვალებას: პირველსა შთაერობისასა, ხოლო მეორესა მეფობისასა. და ესეკა მეფობა განყოფილ იქმნა ოთხად: ფარნავაზიანად, არშაკუნიანთად<sup>1</sup>, ხოსროიანთად და ბაგრა- 5 ტოვანთად.

ხოლო გვარნი ძველთა შთაერთა და თავადთანი ესენი იყვნენ: ქობულისძე, დონაური, არელმანელი, ბალუში<sup>2</sup>, რომელი იყო ლიპარიტიანი<sup>3</sup>, <sup>4</sup> მარუშისძე. კახაბერისძე, აბულელი<sup>5</sup>. მხარგრძელი, ორბელი<sup>4</sup>), ორბელიანი, ქაჩიბაძე, ვარდანისძე, გამრეკელი, მარუშისძე<sup>6</sup>), ძაგანისძე<sup>4</sup>, ასათისძე, კარის- 10 ქისძე, ვაბულისძე<sup>6</sup>), სამძივარი, ფარჯანიანი<sup>5</sup>, ნერსიანი, ადარნასიანი, ჯვანშერიანი, კავკასისძე, ჯაყელი, ირუფაქისძე<sup>7</sup>), ჩოლაყაშვილი<sup>8</sup>, აბაზაძე, კორინთელი, მახატელი, ნასიძე, შარვაშიძე, ქვენაფლაველი, ჯავახისშვილი, ბურსელი<sup>8</sup> და სხვანი მრავალნი, რომელნი ეოისათობით იწერვიან<sup>7</sup>; <sup>9</sup> ქახეთს: ხორნაბუჯის<sup>10</sup> ერისთავი, მაქის ერისთავი, პანკისის ერისთავი; სამცხეს: გუზანს და 15 არტანუჯის ერისთავი, კალმახის ერისთავი, წუნის<sup>11</sup> ერისთავი; სომხითს— მარკაბერსადღნი<sup>12</sup>). [4] იმერეთს -- დადიან-ბედიელი<sup>13</sup>).

ხოლო აწინდელისა ეამისა თავადნი და მთავარნი ესენი არიან: ბარათაშვილი. (ამათ ჩამოშავლობას<sup>8</sup> იტყვიან ქაჩიბაძედან<sup>14</sup>); ყაფლანისშვილი. (ამათსაცა<sup>9</sup> იტყვიან ბარათიანობასა, და აწ უწოდდს თავსა თვისსა ორბელიანად<sup>15</sup>); 20 სომხითის მელიქი<sup>16</sup>), არყუთაშვილი, რომელნი არიან მხარგრძელთაგან; ხოლო იარალისშვილი და სოლალასშვილი, ზურაბისწილი იტყვიან ბარათიანობასა<sup>17</sup>); დოღენჯისშვილი, ყარაბუღალისშვილი<sup>18</sup>), ციციისშვილი<sup>19</sup>), ჯავახისშვილი; და მოურავისშვილი არს სააკაძე; როქიკაშვილი, რომელ ა[რს] შალიკაშვილი.

ხოლო შიდა ქართლს: ანილახორი (ესე არს ზედგინიძე<sup>16</sup>), აბაშიძე, ფა- 25 ლავანდისშვილი<sup>11</sup> და ამირეჯიბი<sup>16</sup>); ავალისშვილი<sup>21</sup>), მაჩაბელი (ეს იტყვის ანჩაბაძობასა<sup>22</sup>), აფხაზეთით მოსვლასა<sup>18</sup>); ხერხეულიძე (რომელი იტყვის ოსობასა), ფაულენისშვილი<sup>17</sup> (რომელი იტყვის მხარგრძელობასა<sup>23</sup>), დიასამიძე<sup>14</sup>, შალიკაშვილი და თაქთაქისშვილი (შემდგომად თათრობისა ჩამოვიდენ სამცხი- 30 დამე), ჩხეიძე<sup>24</sup>) (მოვიდა იმერეთით); ხოლო რამაზისშვილი და დავითისშვილი<sup>30</sup> არიან ავ-გეორგის ძნის დიმიტრისაგან<sup>25</sup>); არაგვის ერისთავი იტყვის სიღამოვნობასა; მუხრანის<sup>15</sup> ბატონი და გოჩასშვილი<sup>15</sup> არიან გვარნი ბაგრატიონ-თანი და აწ თავადნი<sup>26</sup>).

<sup>1</sup> არშაკუნიანთად B. <sup>2</sup> ბალუში ABC. <sup>3</sup> ლიპარიტიანი AB. <sup>4</sup> ძაგანისძე B. <sup>5</sup> ფარჯანიანი AC. <sup>6</sup> ჩოლაყაშვილი A. <sup>7</sup> იწერვიან B. <sup>8</sup> ჩამოშავლობას A. <sup>9</sup> ამათსაც B. <sup>10</sup> ზედგინიძე B. <sup>11</sup> ფალავანდისშვილი AC. <sup>12</sup> მოსლვას A. <sup>13</sup> ფაულენისშვილი AC. <sup>14</sup> დიასამიძე B. <sup>15</sup> მუხრანის ABC.

გარნა ჟამისა ამის წარჩინებულნი<sup>37)</sup> ესენი არიან: მუხრან<sup>1</sup>-ბატონი, არაგვის ერის] [5]თავი, რომელი დაამდაბლა მეფემან მეორემან ირაკლი<sup>2</sup> ზაგრატიონმან, ქსნის ერისთავი, -- ესეცა დაამდაბლა კვალად მეორემან ირაკლი და მიუღო მამულნი მათნი<sup>38)</sup>, -- ამილახორი, ყაფლანისშვილი, ზემო ციცი-  
5 შვილი (ოდეს გაუყრელი იყო); სომხითს<sup>39)</sup> -- მელიქი<sup>30)</sup>.

კახეთს: ჩოლაყაშვილი, მაყაშვილი, რომელი იტყვის ირუბაქიძობასა<sup>31)</sup>,  
ენდრონიკასშვილი (იტყვიან ანდრონიკეს, რომელი მოვიდა პირველვე კვისარ-  
თა გვარისა), ჯორჯაძე, ჭავჭავაძე, ვაჩნაძე<sup>3</sup>, ვახაბისშვილი<sup>4</sup>, რუსისშვილი,  
ჯანდიერისშვილი, ავალისშვილი და ჩერქეზი<sup>5</sup>, გურამისშვილი, ტუსისშვი-  
10 ლი<sup>6</sup>.<sup>32)</sup>

სამცხეს: ჯაყელი, -- ესე არს აწ ათაბაგი და ფაშა ახალციხისა, -- შალიკას-  
შვილი, თავდგირიძე,<sup>33)</sup> დიასამიძე, ქობულისძე, გოგობაშვილი, ამილახორი,  
ავალისშვილი, სუმბატისშვილი, გოგორისშვილი, თუხარელი, ლაღანიძე და  
სხვანი (ესენი არღა იწოდებიან გვარ[ი]თა, არამედ ფაშად, ბეგად და სან-  
15 ჯახად), და აზნაურნი მრავალნი, გარნა დავიდუმებ.

იმერეთს, არგვეთსა შინა: აბაშიძე, ფხვიძე<sup>7</sup>, წერეთელი<sup>8</sup> და ჩხვიძე  
(ამავე ჩხვიძის გვარი იყო აწინდელი რაჭის ერისთავი და სპასპეტი რაჭისა,  
რომელი დაამდაბლა და აღბოცა მეფემან იმერეთისამან პირველმან სოლომონ  
ალექსანდრეს ძემან<sup>34)</sup>); [6] ოკრიბის<sup>35)</sup> თავადი: აგიაშვილი და ფხვიძე<sup>7</sup>; ლორ-  
20 თქიფანიძე, ნიჟარაძე და ლოლაბერიძე -- აზნაურნი და სხვანი აზნაურნი მრავალნი. რაჭას: წულუკიძე, იაშვილი, ჯაფარიძე, ინასარიძე და ლაშხისშვილი  
(არღა არიან<sup>36)</sup>); იმერეთს, ვაკესა შინა: ჭილაძე, მიქელაძე და ჩიჯავაძე და  
აზნაურნი მრავალნი.

ესრეთ<sup>9</sup> თქმულ არს ძველადვე: აზნაური იმერეთისა, თავადი ქართ-  
25 ლისა, დარბაისერნი მესხისა და ვაქარი კახეთისა, -- ესენი არიან ქებულნი<sup>37)</sup>.

ოდიშს -- დადიანი, თვითმჟღობელი მთავარი<sup>38)</sup>; თავადნი<sup>39)</sup> არიან ესენი:  
გოშაძე (გარნა დამდაბლებულ არს<sup>40)</sup>); ტალია, ჯაიანი, ჩიჩუა და სპეანაცა  
თავადნი და აზნაურნი მრავალნი.

აფხაზეთს: მფლობელი მარეაშიძე და თავადი ანჩაბაძე<sup>41)</sup> (გარნა ანჩაბაძე  
30 არს სამჟღობელოსა დადიანისასა და აფხაზეთსა შინა<sup>42)</sup>), თავადნი და აზნა-  
ურნი სხვანი მრავალნი.

გურიას: გურიელი, იგეცა მჟღობელი მთავარი (და იტყვის ვარდანის  
ძეობასა) და სხვანი თავადნი<sup>43)</sup>; თავდგირიძე<sup>44)</sup> და ამილახორი (ჩავიდა სამ-  
ციხილამ), მარეაშიძე (მოვიდა აფხაზეთით), რომელი დღეს იწოდება ერისთავად<sup>45)</sup>,  
35 ბერიძე, კვერელიძე, ბერეგიანი, ნაკაშიძე და სხვანი აზნაურნი [7].

ხოლო ქვეყანა ესე იწოდების სამითა სახელითა: 1. საქართველო. ესე  
ეწოდა ქართლისის გამო; 2. ივერია. ამისთვის ეწოდა: ოდეს მე-10 მეფემან  
ადერჯ მოჰკლა არაქ მეფე საქართველოსა გოლიათობითა თვისითა, მაშინ  
ადერჯჰან აღმოუტევა ჰმა სიხარულისა: „იო ევრიეო“ და ამისთვის ეწო-  
40 დებენ ივერიასა; 3. გიორგიალ. გიორგიას ამისთვის ეწოდებენ, ვინათგან  
ფრიად ესვენ წმინდასა გიორგის და ხშირადცა არს ეკლესია მისი.<sup>46)</sup>

<sup>1</sup> მუხრან ABC. <sup>2</sup> ირაკლი მეორემან A. <sup>3</sup> ვაჩაძე A. ვაჩაძე BC. <sup>4</sup> ვახაბისშვილი B.  
<sup>5</sup> ჩერკეზი A. <sup>6</sup> ტუისშვილი B. <sup>7</sup> ფხვიძე AC. <sup>8</sup> წერეთელი A. <sup>9</sup> ესრედ B.



ხოლო არს სიგრძე ქვეყანისა ამის 80 ეჯი, ხოლო განი სპერის ზღვისა-  
კენ 60 ეჯი, შუა ადგილი 32 ეჯი, ხოლო ბოლო<sup>1</sup> კერძო<sup>2</sup> 35 ეჯი.

ეჯი, ფარსალი და აღაჯი ზომით ერთნი არიან. ხოლო ეჯი არს ექვსი  
ვერსი და ვერსი არს 500 საეენი, ერთი საეენი არს 3 ადლი, ერთი ადლი არს  
4<sup>3</sup> ციდა<sup>4</sup>.<sup>47)</sup>

ხოლო ქვეყანა ესე მდებარებს კასპიისა<sup>5</sup> და პონტოს ზღვის საშუალ.

## თ ა ვ ი 2

### დაწყება და დასაბამი ქართველთა<sup>6</sup>

ქართლი აღეშენა პირველ ქართლოსის მიერ, რომლისაჲცა სირასა მოუ-  
თხრობენ სემისა და იაფეთისაგან ისტორიანი სომეხთა და ქართველთანი 10  
ესრეთ, ვითარმედ: ჰყუა [შ] მას<sup>48)</sup> მემკვიდრედ ავინან<sup>49)</sup> და შემდგომად ავინა-  
ნისა თარშის<sup>50)</sup> და თარშისა შენდგომად თარგამოს. და ესე იყო მამა არმან-  
თა, გრიზთა, მოვაკანთა, შერთა, ლექთა, ნეგრელთა და კავკასთა<sup>51)</sup>.

და შემდგომად განყოფისა ენათასა, განიყვეს .რა ქვეყანაჲ ძეთა ნოესთა,  
მოვიდა თარგამოს და დაეწენა ითამომავლობითა თვისითა შორის მათთა არა- 15  
რატისა და მასისათა<sup>7</sup>. გარნა განგრძელდა ცხოვრებაჲ მათი 700<sup>52)</sup> წელსა  
რომელთა სიმრავლისა გამო<sup>8</sup> ვერლა შიილეს დატყენია.

ქვეყანაჲ, რომელიცა ხელათ მათ, საზღვრავს აღმოსავლეთით ზღვა გურ-  
განისა (ესე იგი კასპიისა), დასავლეთით ზევი ზღვა (ესე იგი პონტოსისა), სამ-  
ხრეთით მთა არეზისა<sup>53)</sup> (ესე იგი არს ქურთისტანისა) და ჩრდილოეთით მთა 20  
კავკასიისა<sup>9</sup>.

ხოლო ძეთაგან თარგამოსისთა იყენენ რომელნიმე ჩინებულ ძლიერებითა,  
გარნა სახელით: ჰაოს—მამა სომეხთა, რომლისა გამოცა ჰაოსიანად იწოდე-  
ბიან თვისითა დილეგტითა; ზეირე ქართლოს—ნამა ქართველთა, რომლისა  
გამო ქართველნი ქართველად იწოდებიან; მესამე ბარდოს, მეოთხე მოვაკან<sup>10</sup> 25  
მეხუთე ლეკოს, მეექვსე ჰეროს, მეშვიდე კავკასოს, მერვე ეგროს. ესენი იყენენ  
აღსარებულ ძლიერებითა ყოველთა შორის ერთა და უმეტეს ჰაოს, რომლისა  
გმირ-ყოფასაჲცა [შ] აღიარებენ.

და ეინათვან<sup>11</sup> სიმრავლისა განო ვერლა იქნენ დატყენილ კერძოთა არა  
რატისა და მასისისათა<sup>12</sup>, იქმნა იძულებულ თარგამოს განყოფად ძეთა<sup>13</sup> თვის. 30  
თა, რომლისაჲცა ჰაოს მისცა ნახევარი ერთი და ქვეყანაჲ, ხოლო დანაშთი სხვა-  
თა განუყო ესრეთ: ქართლოს[ს]—ქვეყანაჲ აღმოსავლეთი, შერთი და მდინარე  
ბერდუჯისა, ვიდრე დასავალით<sup>14</sup> ივე ზღვამდე; სამხრეთით ზემო ბერდუჯისა  
მთანნი და მდინარენი, რომელნიცა<sup>15</sup> ნიწყენილ არს დასავლეთისა ზემართ და  
წარმომდინარეებაჲ აქვსთ ჩრდილოეთისა კერძო, რომელიცა შეედიანების 35  
მტკვარსა<sup>16</sup> და მთისად ლიხს<sup>17</sup> შორის კლარჯეთისა და ტაოსისა<sup>18</sup> ვიდრე შვე  
ზღვამდე; და კვალად ჩრდილოეთით დადოჲ კერძოსაგან კავკასიისა მთისა.  
გარნა ბარდოს მისცა მტკვარიდამ სამხრეთით, ბერდუჯის მდინარიდამ ვიდრე

<sup>1</sup> ბოლო B. <sup>2</sup> კერძო B. <sup>3</sup> ამ ორ უკანასკნელ აბზაცში მოყვანილ ციფრებს: 80, 60, 32, 35, 50, 3, 4—ზემოდან შესაბამისი ასოები აწერია B ნუსხაში. <sup>4</sup> ცინდა A. <sup>5</sup> კასპისა A. <sup>6</sup> სთაურის სატყუები დაწერილია ზევით, ხოლო „თავი 2“ ქვევით. <sup>7</sup> მასისისათა BC. <sup>8</sup> გამო—H. <sup>9</sup> კავკასი A. <sup>10</sup> თაკან A. <sup>11</sup> ეინადვან B. <sup>12</sup> მათისათა A. <sup>13</sup> ძათა ABC. <sup>14</sup> დასავლით A. <sup>15</sup> რომელიცა BC. <sup>16</sup> მტკვარია A. <sup>17</sup> ლიხს BC. <sup>18</sup> ტაოსისა AC.

შეაყარ მტკვარამდე და არეზისა<sup>1</sup>, რომელიცა აღაჰენა ბარდა და დაეშენა-  
 მუნ.<sup>2</sup> ჰეროსს<sup>3</sup> მისცა მუნვე მტკვრიდამ, სადაცა შეერთდება იორი მტკვარ-  
 სა ვიდრე ტყე-ტბამდე, რომელიცა აწ იწოდების გულგულად. და ამან სეროსს<sup>4</sup>  
 აღაშენა ქალაქი ამათ მდინარეთა შორის, რომელსაცა უწოდა სახელი თვისი.  
 5 და ეგრისს<sup>5</sup> მისცა ნაპირის ქვეყანა შავისა ზღვის<sup>6</sup>, და განუსაზღვრა: აღმოსავ-  
 ლეთით<sup>7</sup> მთა ალანისა, [10] დასავლეთით ზღვა და მდინარე მცირისა ხაზა-  
 რეთისა, სადაცა ამოღლებიან ცხვირნი კავკასიისა მთისანი. ამანცა აღაშენა  
 სახელსა ზედა თვისსა ქალაქი, რომელსაცა<sup>8</sup> აწ ოდიშად უწოდებენ. ლეკოს-  
 საცა<sup>9</sup> მისცა ზღვიდამ დარბანდისა ვიდრე მდინარემდე ლომეკისა (ესე იგი  
 10 თერგისა), ჩრდილოეთით მდინარემდე დიდისა ხაზარეთისა. გარნა კავკასოსცა  
 არა ჰყო უწილო, რომელიცა მისცა მასცა მდინარიდამ ლომეკისა ვიდრე  
 დასასრულამდე მთისა კავკასიისა დასავლეთისა მიპართ.

ყოველნი ესე ძმანი იყუნენ მორჩილებასა ქვეშე ჰაოსისასა<sup>10</sup> და მფლობე-  
 ლობასაცა ქვეშე ნებროთ მეფისა პირველისასა. მხილველმან ჰაოს ნათესავ-  
 15 სიმრავლისამან, რომელსაცა იმედოვნებდა შემწედ ნათესავთა თვისთა, განი-  
 ზრაბა თნებითა საზოგადოებისათა უკუნ-ქვეყნად ნებროთისაგან და არლარა  
 მიცნება ხარკისა. მხილველმან ნებროთ და გამწყურალმან შეიკრიბა<sup>11</sup> მხედრო-  
 ბა და წარმოემართა თარგამოსიანთა<sup>12</sup> ზედა. და იგინიცა, შეჰწისა მოიხედენ-  
 20 ნილთა მხედრობათა ნებროთისათა ეწყუნენ და სძლეს ნებროთისა მხედრობათა  
 და აღწყვიდეს<sup>13</sup> მხედრობისაგანნი მხედართმძღვანიითურთ<sup>14</sup>. მსმენელი ნებროთ  
 და გამწყურალი [11] წარმოემართა ყოვლითა ძალითა თვისითა ჰაოსსა ზედა.  
 მხილველმან ჰაოს და არ მექონემან<sup>15</sup> მხედრობისამან იწყო მაგრება და იწროთა  
 ადგილთა. და<sup>16</sup> დაბანაკებული ნებროთცა აღიქურა რა საქურველითა და აღვი-  
 25 და ერთსა გორასა ზედა გამოზრახვად ჰაოსისა დამორჩილებისათვის. მაშინ  
 ჰაოს განაწონა ისარი თარსა, რომელიცა ჰუარვიდა მკერდსა, და განავლო  
 შინაგან მკერდისა<sup>17</sup>. მხილველთა მხედრობათა ნებროთისთა იწყეს ლტოლვად.  
 და მუნითგან<sup>18</sup> ეგო ჰაოს მეფედ ძმათა თვისთა ზედა და გარემოთაცა  
 წელსა 1865<sup>17</sup>.<sup>19</sup>

თ ა ვ ი 3

30 ხოლო აწ ხანს საყუთრად მოთხრობა ქართლისისათვის. რომელიცა მო-  
 ვიდა და დაეშენა ზემოხსენებულსა კერძოსა. ამან აღაშენა მთასა ზედა ერთსა  
 ციხე სახელსა ზედა თვისსა, რომელიცა ჰყო ქალაქად. და ამის გამო უწოდეს  
 ყოველსა კერძოსა თვისსა ქართლი და ერთაცა ქართველნი. ამანვე აღაშენა  
 35 ციხე ყიზყალისა და სამშვილდისა. ხოლო შემდგომად აღსრულებიან ამის  
 დაფლეს მთასავე ზედა ქართლისასა.

და შემდგომად სიყვლილისა მისისა განუყო ცოლმან მისჰან ხუთთავე  
 ძეთა მისთა, სახელით: პირველი მცხეთოს<sup>18</sup>, მეორე ვარდაპანოს, მესამე კახოს,  
 მეოთხე კუხოს, მეხუთე გაჩინოს. გარნა მცხეთოსს,<sup>19</sup> რომელიცა იყო [12] პირ-  
 40 მოზა ყოველთა ზედა ძმათა თვისთა, მისცა მას მეგვიდრეობად და უწოდა

<sup>1</sup> არეზის B. <sup>2</sup> ჰეროს A. <sup>3</sup> ლეროს B. <sup>4</sup> ზღვისა A. <sup>5</sup> აღმოსავლით BC. <sup>6</sup> რომელსა A.  
 ლეკოსცა A. <sup>7</sup> ჰაოსისა A. <sup>8</sup> შეკრიბა A. <sup>9</sup> თარგამოსიანთა A. <sup>10</sup> აღწყვიტე B. <sup>11</sup> მხე-  
 დართმძღვანიითურთ BC. <sup>12</sup> არა მექონემან BC. <sup>13</sup> და—BC. <sup>14</sup> მკერდსა A. <sup>15</sup> მუნითგან A.  
<sup>16</sup> გვერდზე B ნუახაში მიწერილია ვაკრული, ტექსტისაგან განსხვავებული ხელითა და ღია  
 მუხლით: „ათასა რეას ექუს“. <sup>17</sup> მცხეთოს C. <sup>18</sup> მცხეთას ABC.

მამა სახლისი<sup>1</sup>, რომლისა მიწებისა ძლით ეწოდებოდა ქართველთა პირველთა მართებელთა მამასახლისი ვიდრე მეფობადმდე სახლსა ზედა ქართლოსისასა. ამანვე აღაშენა ქალაქი სახელსა ზედა თვისსა მცხეთაჲ. და იყენენ ძენი მცხეთოსისანი<sup>2</sup> ჩინებულ და წარმატებულ ყოველთა ზედა სახლთა თვისთა, ხოლო სახელით: პირველი უფლოს, მეორე ჯაეახოს, მესამე ოძარხოს, რომელ მათცა მისცნა ნაწილი და ადგილი. მაგრა უფლოს იყო თავი ყოვლისა.

და შემდგომად სიკვდილისა მცხეთოსისა ნათესავნი თარგამოსისნი იყუნენ დიდითარე შეკრულებითა და სიყვარულითა. გარნა იზიშოდენ ნებროთიანთაგან და ჰფიქრობდენ: „ნუ უშვიდებულ იქმნესო სისხლი მისი“. და ამათ ამაგრებდენ ციხეთა და ქალაქთა. მაგრა სიკუდილმან მცხეთოსისამან<sup>3</sup> შეუღდა 10 აღრეულებითი განკიდურებაჲ ურთიერთისად და არღარა უსმინეს უფლოს(ს), რომელიცა იყო და ტყვებულ შემკვიდრედ სახლსა ზედა და ტაძარსა ქართლოსისასა, რომელიცა იყო საფლავი ქართლოსისი, დიდათ საფიცარი ქართველთა. და დაუშობველობაჲ მგლობელთამან ჰსცა ესევეთარი იდიანი და დაიდგინეს ადგილითი-ადგილად მამასახლისნი, რომელიცა ჰყვით ნაცვლად<sup>4</sup> მართებელთა. 15

ოდესმე დამეიწყებელთა შემოქმედისა [13] თვისისათა იწყეს თავყვანის ცემა მზისა და მთოვარისა<sup>5</sup> და ვარსკულაეთა და ნივთიერთა და უსიტყუეთა. და შემოვრიათ გარეგან წარმართნი<sup>6</sup>: სპარსნი, თურქნი, ასურნი და ბერძენნი. და ოდეს წარსტყვენა ნახუქოდორნოსორ<sup>7</sup> მეფემან იეროსალიმი<sup>8</sup> — დასაბამითგან წელსა ძტ ე გ, <sup>861</sup> და მუნით ლტოლვილინი<sup>9</sup> პურიანიცა<sup>10</sup> მოვიდენ, დაეშენენ. 20 და ესევეთართა საქმითა უმეტეს დაივიწყეს და მზადებელი მათი და იქმნენ ყოველთა წარმართთა<sup>11</sup> უწარმართეს. და შერეულ იყუნენ შეყოფითა. და სჰამდენ კაცის ჯორცსა; უკეთუ ვინმე მოკვდის<sup>12</sup>, შესჰამიან და ავასხებენ ურთიერთისა მკუდარსა შესაქმელად, ვითარცა იტყვიან: „კარსნელთა მართებს კოღმანელთა ხუთი მკუდარი დღემდ“.

ხოლო შემდგომად რაოდენთაჲ ეამთა განძლიერდენ ხაზარნი და აღდგენ ბრძოლად ლეკთა ზედა და კავკასთა. გარნა ექუსნივე<sup>13</sup> ესე ტომნი იყუნეს შემწულ მათდა და წინააღმდეგობად<sup>14</sup> ხაზართა. წარემართენ<sup>15</sup> მთასა ზედა კავკასიისა და მიიწიენენ<sup>16</sup> საზღვართა მათთა. შემუსრეს საზღვარნი და აღაშენენ<sup>16</sup> ციხენი და ქალაქნი, და თვით უქმოიქცენ<sup>17</sup>. ხოლო შემდგომად დაიდგინეს რა ხაზართა მეფეჲ და დაიმორჩილეს<sup>18</sup> ვითარმედ ყოველნივე, და წარემართნენ<sup>19</sup> მხედართმძღვანეითა ახლისა მეფისათა და მიიწიენეს<sup>20</sup> ვიდრე ზღვამდე კარისასა, რომელიცა აწ ეწოდების (!) დარუბანდი, რომელიცა აღაშენა არღამ<sup>21</sup> სპარსთა მოადგილემან<sup>20</sup> და უწოდა დარუბანდი (ესე იგი არს: კარი დახშუ[14]ლი). მხილველთა თარგამოსიანთა სიმრავლისა გამო ვერღა იკად- 35 რეს წინააღმდეგობობაჲ. შევიდენ და შემუსრეს ყოველი ქალაქი არარატისა და მასისისა. გარნა დაშთა წარუტყვენელად კერძო ქართლოსისა. და მუნით ეამითგან სცნეს ხაზართა კარი დარუბანდისა, რომლისა<sup>22</sup> კიდე არა იყო სხვა გზაჲ.

<sup>1</sup> სახლსა B. <sup>2</sup> მცხეთოსისნი A. მცხეთასისნი BC. <sup>3</sup> მცხეთასისამან BC. <sup>4</sup> ნაცვლად C. <sup>5</sup> მთოვარის A. <sup>6</sup> წარმართნი B. <sup>7</sup> ნახუქოდორნოსორ BC. <sup>8</sup> იეროსალიმი BC. <sup>9</sup> ლტოლვინი B. <sup>10</sup> ურიანიცა A. <sup>11</sup> წარმართთა B. <sup>12</sup> მოკვდის A. <sup>13</sup> წინააღმდეგობად A. <sup>14</sup> წარემართენ ABC. <sup>15</sup> მიიწიენენ BC. <sup>16</sup> დააშენეს A. <sup>17</sup> უკუ მოიქცენ A. <sup>18</sup> დაიმორჩილნენ B. <sup>19</sup> წარემართნენ B. <sup>20</sup> მიიწიენენ B. <sup>21</sup> არღამ AB. <sup>22</sup> რომლისაცა B.

- შემდგომად ეამთა რაოდენთა ერთა სპარსეთისათა დანიშნეს რა ზეფედ ძმისწული ნებროთისა და დანიმორჩილეს ყოველნივე გარემონი და ჩენიცა ქვეყანამ, და შემდგომად დაპყრობისა სპარსთაგან სირიისა, საბერძენეთისა და პრომისა<sup>1</sup>—ქართველნიცა იყუნენ მფლობელობასა ქუშუმე სპარსთასა. გარნა
- 5 მრავალთა ნათესავთა შეკრებულებისა გამო იზრახებოდა საქართველოსა შინა ესეოდენი ენანი: სომეხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ბერძული და ებრაული. და იყო აღრეულება და უსჯულოება, და სკამდენ კაცის ჯორცსა ზემო აღწერისაებრ ვიდრე მოსვლამდე ალექსანდრე<sup>2</sup> მაკედონელისა. ხოლო ესევეთარსა აღრეულებასა შინა ეგრისის<sup>3</sup> წყალს იქითნი მიერთუნენ ბერძენთა და
- 10 არღარა ერჩდენ მცხეთელ მამასახლისთა.

- ხოლო შემდგომად განაჩნდა ალექსანდრე მაკედონელი<sup>4</sup> ბერძენი და დაიპყრა დასავლეთი და ეგვიპტეა, სძლია სპარსთა მეფესა და მოვიდა ქართლს დასაბამითვან<sup>5</sup> წელს ძქქგ. და ოდეს იხილა ალექსანდრე შერეულნი ნათესავნი საქართველოსა შინა, მოსწყვიდნა ყოველნი [15] თვინიერ ქართლოსიანთა და
- 15 ჰურიათა. და დაიპყრა საქართველო და აღხოცა ჭამაჲ კაცთა ჯორცისა, და დაუდგა სჯულად დამბადებელისა ერთისა ღმერთისა თაყვანისცემამ და შემდგომად პატივი მზისა და მთოვარისა და ვარსკვლავთა<sup>6</sup>. დაუტევა მუნ მხედარნი ასეჯერ ათასი და მათ ზედა მთავრად დაადგინა იაზონ მაკედონელი და თვით<sup>7</sup> წარვიდა.

- 20 ხოლო ოდეს მოკვდა ალექსანდრე და განიყვეს მთავართა მისთა ქვეყანანი, ამან იაზონ დაიპყრა საქართველო, დაუტევა ღმერთი დამბადებელი და ქმნა კერპი—გაცი, ოქროსა, და გაიძ, ვეცხლისა, და თაყვანი სცა მას. და ეამსა ამას იწყეს ქართველთა დაკვლად<sup>8</sup> შვილთა და შეწირვად კერპისა, რომელიცა იაზონცა ჰყოფდა ესრეთ.

- 25 ხოლო იყო ეამსა ამას ქალაქსა მცხეთისასა<sup>9</sup> ჭაბუკი, სახელით ფარნავაზს ქართლოსიანი. ოდეს მოვიდა ალექსანდრე საქართველოდ, მაშინ<sup>10</sup> მამასახლისი იყო საქართველოსა შინა ბიძამ ფარნავაზისა. და ალექსანდრესგან მოიკლა ბიძა და მამა ფარნავაზისა. ხოლო ესე ფარნავაზს სამისა წლისა მოეტაცა დედასა თვისსა, რომელი იყო სპარსი ნათესავით და აღეზარდა კავკასიასა შინა.
- 30 და შემდგომად რამოდენისამე ეამისა მოვიდა კვალად მცხეთას და სცხოვრებდა მუნ.

- ხოლო ესე ფარნავაზს იყო მხნე, ახოვანი და შევნიერი და კისკისი მონადირი. და დღესა ერთსა განვიდა ნადირობად სანახებსა დიდობისასა. [16] და იხილა ირემი ერთი. და მტყორცებელმან ისრისამან დაჰკოდა იგი და,
- 35 ოდეს დევნა უყო, ესწრა ბინდი და წვიმა მძაფრი<sup>11</sup>. და მძებელმან განსვენებისამან იხილა ქვები ერთი და შევიდა შინა და ჰპოვა საუნჯე და დიდალი. და საუნჯითა ამით და გონიერებითა და მხნეობითა აოტა იაზონ, და შემდგომად ბრძოლასა შინა მოჰკლა იგი და დაიპყრა სამეფოდ ქართლისა და იქმნა პირველი მეფე საქართველოსა<sup>12</sup>.

#### თ ა ვ ი 4

- 40 1. ხოლო დაიპყრა ყოველი საქართველო ფარნავაზს დასაბამიდან<sup>13</sup> წელსა<sup>14</sup> ძქმზ. და წარავლინა დესპანნი და დანიმორჩილა მეფესა ასურეთისასა; მან წარმოუგზავნა<sup>15</sup> გვირგვინი სამეფო და უწოდა ძედ თვისად<sup>16</sup>. მან შეირთო ქალი ცოლად ძურძუკეთით და იმყოფებოდა.

<sup>1</sup> რომისა A. <sup>2</sup> ალექსანდრე AC. <sup>3</sup> ეგრითის ABC. <sup>4</sup> მაკედონელი ABC. <sup>5</sup> დასამადგან B. <sup>6</sup> ვარსკვლავთა C. <sup>7</sup> თვით BC. <sup>8</sup> დაკვლად BC. <sup>9</sup> მცხეთისა A. <sup>10</sup> მაშინ B. <sup>11</sup> მძაფრი. <sup>12</sup> წვიმა A. <sup>13</sup> საქართველოსა H. <sup>14</sup> დასამიდან A. <sup>15</sup> წელს AC. <sup>16</sup> წარმოგზავნა A. <sup>17</sup> თვისად BC.

ხოლო განმზილველმან<sup>1</sup> თვის მქყობელობის სფერისამან ქმნა საქართ-  
ველოდ ცხრა საერისთვოდ და სამთავროდ: 1. მისცა ქვეყანა რიონის და  
სავლით ზღვამდე და ეგრისის წყლამდე სენეთით, ქუჯის, და დაე თვისი ცო-  
ლად. ხოლო ეგრისის წყლის იქითა არა ინებეს განდგომა ბერძენთა და  
იყუნენ ბერძენთ მფლობელობათა ქვეშე. 2. ერისთავი დასვა არგვეთისა 5  
შორაპანს და მისცა მცირე ლიხილამ ზღვამდე ლაღოს მთისამდე [17] რიონს  
შუაით. 3. დასვა კახეთს, კუხეთს, ჰერეთს. 4. დასვა ხუნანს და მისცა ბერ-  
დუჯსა და მტკვარს<sup>2</sup> შუა ტფილისამდე გარდაბანითურთ. 5. დასვა სავშვილ-  
ლისა. ამას განუჩინა სკვირეთის<sup>3</sup> მდინარიდამ გაჩინს ზეით ფანავრამდე<sup>4</sup>  
აბოცითურთ. 6. წუნსა და მისცა აღმოსავლით მტკვრისა ფანავრამდე<sup>4</sup> და  
თავამდე მტკურისა. 7. ოძრახოს და მისცა ტაშის-კარს ზეითი ზღვამდე პონ- 10  
ტოისა.<sup>5</sup> 9. დაადგინა შიდა ქართლსა და სპასპეტად ყოველთა ერისთავთა  
და სპათა ზედა; და ესევე მოიღებდა ხარკსა ქვეყნისაგან.

ხოლო რომნი იგი მხედარნი ასი ათასნი, რომელნი დაშენ იაზონს,  
გაყენა<sup>6</sup> ადგილთა და ხეობათა და დაასხნა და უწოდა აზნაურნი. 15

ამან პირველმან მეფემან ქართველთამან ფარნავაზ ალაკსნა და ვანავრ-  
ცელა<sup>6</sup> საქართველოდ, მოზღუნდა ქალაქნი და ციხენი განამაგრნა, ქმნა წიგნი  
ქართული, განავრცელნა ენა ქართული და დასდვა ბრძანება, რათა არავინ  
ზრახვიდეს თვინიერ ენისა ქართველთასა<sup>7</sup>; ქმნა კერპი დიდი სახელისა თვი-  
სისა არმაზ (რანეთუ პირველ „არმაზ“ ეწოდა. ფარნავაზს) და აღწართა საფ- 20  
ლავსა ზედა ქართლოსისასა<sup>8</sup> გაცი<sup>9</sup> და გაიწ<sup>10</sup> კერპთა შორის.

ხოლო იმეთა წელნი 65 და შემდგომად გარდაიცვალა დასაბამილგან  
წელსა ძლიგე<sup>10</sup> და დაფლეს კერპისა თვისისა წინაშე, არმაზისა მთასა<sup>11</sup>  
ქართლს.

2. ხოლო<sup>12</sup> შემდგომად ნისსა დაჯდა მეფედ საურმაგ, ძე ფარნავაზისა. 25  
ესე [18] ქართველთა არა სთნდეთ მეფედ, რათა არა მონონ მონათესავეთა  
თვისთა, გარნა მწე ეყვნენ დედგულნი მათნი, ძურძუქნი. და ეგრეთე რომნი,  
დატევებულნი იაზონისაგან, და განძლიერდა მეფედ<sup>11</sup>.

ვინათგან<sup>12</sup> არა იტევედა ძურძუქეთი სიმრავლესა კაცთასა, მაშინ ამა სა-  
ურმაგ აჰყარა ძურძუქნი მრავალნი და დაასხნა ზეანეთს და დიდოეთს<sup>14</sup> ვიდ- 30  
რე ეგრისამდე.

ამან აღმკრთა კერპი ანიანი<sup>15</sup> და დანიანი<sup>16</sup> გზისა ზედა მცხეთისასა.

არ ესვა საურმაგს ძეგ. ამისთვის მოიყვანა ცოლის დედის დისწულის  
შვილი, სახელით მირვან, მისცა ასული თვისი ცოლად და ნებქვიდრეობა<sup>17</sup>.

და შემდგომად მოკულა საურმაგ დასაბამითგან<sup>18</sup> წელს ძლიგე, და იმეთა 35  
წელნი 75<sup>12</sup>.

3. ხოლო დაჯდა მის წილ მეფედ მირვან, სიძე საურმაგისა. ესე<sup>19</sup> ნირ-  
ვან იყო ნებროთიანი. ესე მირვან იყო მზნე, აზოვანი და გოლიათი, და უზვი  
და კეთილის მოყვარე<sup>20</sup>. და შეიყვარეს ქართველთა ცა სიკეთისა ნისისათვის.

<sup>1</sup> განმზილმან A. <sup>2</sup> მტკვარსა A. <sup>3</sup> სკვირთის ABC. <sup>4</sup> ფარნავამდე ABC. <sup>5</sup> განყენა A.  
<sup>6</sup> განავრცელნა A. <sup>7</sup> ქართულთასა B. <sup>8</sup> ქართლოსისათა ABC. <sup>9</sup> გაციმ ABC. <sup>10</sup> გაიწ  
ABC. <sup>11</sup> მთასა—A. <sup>12</sup> ხოლო—AC. <sup>13</sup> ვინადგან B. <sup>14</sup> დიდოეთს ABC. <sup>15</sup> ანია ABC.  
<sup>16</sup> დანია ABC. <sup>17</sup> მემკვიდრეობა A. <sup>18</sup> დასამილგან A, დასაბამილგან B. <sup>19</sup> ეს A.

და მეფობდა კეთილად და მიიცვალა დასაბამითგან<sup>1</sup> წელს ძეღ. და იმეფა წელნი 6. <sup>64)</sup>

4. და მეფე იქმნა<sup>2</sup> ძე მისი ფარნაჯომ. ამან მოიძულა კერპი და შეიყვარა სჯული სპარსთა. და ვინათგან<sup>3</sup> დიდათ ესვიდენ ქართველნი კერპთა, ამისთვის მოიძულეს ფარნაჯომ და მოიყვანეს სომეხთ მეფის ძე არშაკ, რომელი იყო [19] სიძე მირვან ნებროთიანისა. ეწყვენ<sup>4</sup> ფარნაჯომს, აოტეს და მოკლეს ფარნაჯომ დასაბამითგან<sup>1</sup> წელს ძღ. <sup>65)</sup> და იმეფა წელნი 19.

5. მოიყვანეს და დასვეს მეფედ ძე სომეხთა მეუისა არშაკ არშაკუნიანი<sup>5</sup>. ხოლო ძე ფარნაჯომისა<sup>6</sup> ერთისა<sup>7</sup> წლისა წარიყვანეს სპარსეთად.

10 ამან არშაკ იმეფა უშფოთველად და მიიცვალა დასაბამითგან<sup>1</sup> წელს ძღ. <sup>66)</sup> და იმეფა წელნი 12.

6. შემდგომად მისა დაჯდა ძე, მისი არტაკ<sup>8</sup> მეფედ. და იმეფა<sup>67)</sup>. და მოკლდა<sup>9</sup> დასაბამითგან<sup>10</sup> წელსა ძღ. <sup>68)</sup> და იმეფა წელნი 18. <sup>69)</sup>

7. გამეფდა ბარტომ, ძე მისი, და არა ესვა ძე. ამისთვის მოიყვანა ქუჯი ერისთვის ძის წული ქართამ და მისცა ასული თვისი ცოლად და მემკვიდრეობა მეფობისა. ხოლო რაჟამს აღიზარდა მირვან, ძე ფარნაჯომ მეფისა, სპარსეთს, რომელი იყო გმირი და გოლიათი და სახელოვანი ბრძოლასა შინა, ამან შეიკრიბა სპანი სპარსეთით და წარმოემართა საქართველოდ. მაშინ მცნობიან ბარტომ მეფემან შეიკრიბნა სპანი ქართველთანი და მოირთო სომ-

20 ხითიკა და დაეზანაკა ხუნანს. და იქმნა ბრძოლა: და ბრძოლასა შინა მოიკლა მირვანისაგან 12 სახელოვანი ბუნებერაზნი და არავინ გამოჩნდა მბრძოლი მირვანისა. და შემდგომად [20] ყოელითა სპითა თვისითა დილას დაესხა ბარტომ მირვანს და იქმნა ბრძოლა ძლიერი. იძლია ბარტომ. და მოიკლა ბრძოლასა შინა ბარტომ მეფე და შეიღებულეცა მისი ქართამ, ძის ძე ქუჯი ერის-

25 თვისა, დასაბამიდან წელს ძ შივ. <sup>11</sup> და იმეფა წელნი ბარტომ<sup>12</sup> 31. <sup>10)</sup>

8. მაშინ მოვიდა მირვან და დაიპყრო საქართველო, გამოიყვანა ცოლი ბარტომისა და შეირთო ცოლად. ხოლო ცოლი ქართამისა წარიყვანეს სომხითს მიდგომილი და შვა ძე ადერკ<sup>13</sup>.

ხოლო ამან მირვან იმეფა კეთილად და მიიცვალა დასაბამიდან წელსა ძ შივ <sup>11, 11)</sup> და <sup>14</sup> იმეფა წელნი 10.

9. და გამეფდა ძე მისი არშაკ, რომელი იყო ძლიერი და გოლიათი: ხოლო ოდეს აღიზარდა ადერკ<sup>15</sup> ძე ქართამისა, სომხითს, ესე იქმნა<sup>16</sup> ძლიერი ბრძოლასა შინა, რომელმან მრავალნი სახელოვანი გოლიათნი და ბუნებერაზნი მოკლნა სპარსთა, არაბთა, ბერძენთა. ამან შეიკრიბნა სპანი სომხითით და მოვიდა თრიალეთს. მცნობი ამასი არშაკ შეიკრიბნა სპანი და მოირთო ძალი სპარსეთით და მოვიდა ესეცა მუნ. მაშინ არშაკმან<sup>22)</sup> გამოითხოვა ბრძოლად ადერკ<sup>17</sup>: „რომელმანცა სძლოს, იგი იქმნას მეფედ“. მზიარულქმნილი ადერკ<sup>18</sup> გამოვიდა ბრძოლად და<sup>19</sup> ეკვეთნენ ურთიერთას და იბრძოლეს ძლიერად და დაღწენეს ყოველნი საქურ[ქ]ველნი მათნი. და დღე-

30 ძ შივ <sup>11, 11)</sup> და <sup>14</sup> იმეფა წელნი 10.

9. და გამეფდა ძე მისი არშაკ, რომელი იყო ძლიერი და გოლიათი: ხოლო ოდეს აღიზარდა ადერკ<sup>15</sup> ძე ქართამისა, სომხითს, ესე იქმნა<sup>16</sup> ძლიერი ბრძოლასა შინა, რომელმან მრავალნი სახელოვანი გოლიათნი და ბუნებერაზნი მოკლნა სპარსთა, არაბთა, ბერძენთა. ამან შეიკრიბნა სპანი სომხითით და მოვიდა თრიალეთს. მცნობი ამასი არშაკ შეიკრიბნა სპანი და მოირთო ძალი სპარსეთით და მოვიდა ესეცა მუნ. მაშინ არშაკმან<sup>22)</sup> გამოითხოვა ბრძოლად ადერკ<sup>17</sup>: „რომელმანცა სძლოს, იგი იქმნას მეფედ“. მზიარულქმნილი ადერკ<sup>18</sup> გამოვიდა ბრძოლად და<sup>19</sup> ეკვეთნენ ურთიერთას და იბრძოლეს ძლიერად და დაღწენეს ყოველნი საქურ[ქ]ველნი მათნი. და დღე-

40 სა მას ვერა, რომელმან სძლო.

1 დასამიდან A, დასაბამიდან B. <sup>2</sup> იქნა A. <sup>3</sup> ვინადგან B. <sup>4</sup> ეწყვენ B. <sup>5</sup> არშაკუნიანი A. <sup>6</sup> ფარნაჯომისა BC. <sup>7</sup> ერთი A. <sup>8</sup> არტაკ A. <sup>9</sup> მოკვდა A. <sup>10</sup> დასაბამიდან A. <sup>11</sup> B-ში შ ასო ამოშლილია და დაწერილია ასო, რომელიც მიაგავს ყ-ს. <sup>12</sup> ბარტომ წელნი AC. <sup>13</sup> არდეკ. <sup>14</sup> იმეფა... და—A. <sup>15</sup> ადერ C. <sup>16</sup> იქნა A. <sup>17</sup> არდეკ A <sup>18</sup> არდეკ A. <sup>19</sup> და + A.

ხოლო მეიარესა დღესა კვალად ეკეთენეს ძლიერად ურთიერთსა და დაასხეს ისარნი ერთიერთსა. განრისხნა მაძინ ადერქ და ჰკრა<sup>1</sup> ისარი მკერდსა არშაქისასა და განავლო. და გარდამოვარდა ცხენით და მოკვდა არშაქ მეფე.

ხოლო ადერქ აღიძახნა: „იი<sup>2</sup> ვერიეო!“ და ამა ხმისა და ლექსისა გამო უწოდებენ საქართველოსა ივერიად.<sup>3</sup>

5

მაშინ მხილველთა ქართველთა მოიღეს გვირგვინი სამეფო არშაქისა და დაადგეს ადერქს და ჰყვეს მეფედ დასაბამითგან<sup>4</sup> წელსა ძ შ მ ზ:

და იმეფა არშაქ წელნი 20<sup>5</sup>).

10. დაიპყრა ყოველი საქართველო<sup>6</sup> ადერქ და წეირთო ასული სომეხთა მეფისა ცოლად.

10

ხოლო ამის მეფობასა შინა იშვა უფალი ჩვენი იესო ქრისტე და ჯვარს ეცა<sup>7</sup>.

და ამის განშიდ მოიღეს ჰურიათა<sup>8</sup> კვართი უფლისა იესოს ქრისტესი მცხეთას, ელიოს მცხეთელმან და ლონგინოს კარსნელმან.

ხოლო ამის<sup>9</sup> ეამსა მოვიდნენ მოციქულნი ანდრია და სიმონ კანანელი. ანდრიამ მოაქცივნა მენგრელნი<sup>10</sup> და წარვიდა. ხოლო სიმონ მიიცვალა მენგრელიასა შინა და დაფლეს ნიკოფსიას, სადა დღეს უწოდებენ ანაკოფიას, რომელ არს საზღვარი ოდიშისა და აფხაზეთისა.<sup>11</sup> ამისთვის ადერქ შერისხა მენგრელთა. და დამალნეს ხატნი და ჯვარნი, გარნა იღუმალ იყვნენ ქრისტე[22]ანნი<sup>12</sup>.

20

ხოლო ადერქს ესხნეს ორნი ძენი: ბარტომ და ქართამ. ამათ განუყო სამეფო მათის: ბარტომს მისცა მცხეთა და ჩრდილოთ<sup>13</sup> კერძი ჰერეთით ვიდრე ეგრისის ზღვამდე, ხოლო ქართამს მისცა არმაზი და სამხრით კერძი ბერდუჯილამ ვიდრე ზღვამდე პონტოასა.

ხოლო ამან ადერქ იმეფა მშვიდობით, და შემდგომად მიიცვალა დასაბამი<sup>14</sup> დამ წელს წ ე, ხოლო ქრისტესით 55. და იმეფა წელნი 57.

11. ხოლო ორთა ამათ ძმათა იმეფეს მშვიდობით და სიყვარულით<sup>15</sup>. და შემდგომად გარდაიცვალენ წელს ქრისტესით 72. და იმეფეს წელნი 17.

12. შემდგომად ამათსა დასხდენ<sup>16</sup> ძენი მათნი: ბარტომის ძე კაოს—მცხეთას, ხოლო ქართამის ძე ფარსმან—არმაზს.

30

ხოლო მირვან<sup>17</sup> მეფემან სომეხთამან მიუღო ამათ საზღვარი ქართლისა—წუნაჲ და არტანი მტკვრამდე. გარნა მეფეთა ამათ ვერ უძლეს ძიება მიღებულისა საზღვრისა მათისა. და შემდგომად მწუხარენი გარდაიცვალნეს<sup>18</sup> წელს ქრისტესით 80. და იმეფეს წელნი 16.<sup>19</sup>

13. გამეფდენ—მცხეთას კაოსის<sup>20</sup> ძე არმაზელ, ხოლო არმაზს—ფარსმანის ძე აზორქ. და იყვნენ ესენი მხნე და ახოვანი და შეიზრახნენ, რათა იძიონ საზღვარნი ქართლისანი, რომელი მიუღეს მამათა მათთა. და შეეწივნენ ოსეთისა მეფენი ორნი იმანი ბაზუქ<sup>21</sup> და ამბაზუქ გოლიათნი და ეგრეთვე ლეკნი. და შევიდეს [23] და მოსტყვენეს სომხითი.

ხოლო მცნობმან სუმბატ ბივრიტიანი (!) ეწა ქართველთა და ბრძოლასა შინა მოჰკლა ორნი ძმანი ოსთა მეფენი გოლიათნი დიდითა სიმხნითა, აოტნა

40

<sup>1</sup> დაკრა A. <sup>2</sup> იიო AC. <sup>3</sup> დასამილამ A, დასაბამილამ C. <sup>4</sup> საქართველო BC. <sup>5</sup> ეცა ცა BC. <sup>6</sup> ქრათა A. <sup>7</sup> ამაზ B. <sup>8</sup> ჩრდილოდ B. <sup>9</sup> დახდენ A. <sup>10</sup> ირუან ABC. <sup>11</sup> გარდაიცვალეს B. <sup>12</sup> კაოსის ABC. <sup>13</sup> ბარზუქ ABC.

ქართველ-ოსნი და ლეკნი და შემოვიდა ქართლსა და მოსტყვენა საქართველო და წარვიდა სომხითადვე.

ხოლო ოდეს იწყეს სომეხთა ბრძოლა სპარსთა ზედა, მაშინ ეამისა მხილველნან ქართველთა იწყეს კირთება სომხითისა. და ამისთვის მეფემან სომეხთამან წარმოავლინა მეპირისპირედ ოთხი ზარდუა სპითა. და ეწყვიდეს ქართველთა, და აოტნეს სომეხნი და შეიპყრეს ოთხი მეფისა სომეხთასა ზარდუა<sup>1</sup> და პატიმარ ჰყვეს დარიელის ციხესა შინა.

შემდგომად სამისა წლისა მოიქცენ რა განარჯვებულნი სპარსეთით სომეხნი, მაშინ<sup>2</sup> წარმოეზაენა მეფემან სომეხთამან ორნი ორნი თვისნი და სუმბათ ბიერტიანი და მოვიდენ თრიალეთს. და ვერ წინააღმდეგთა ქართველთა იწყეს მაგრება. გარნა მოციქულებითა დაიზაენეს მშვიდობით და მისცეს ოთხი მეფისა ზარდუ და სომეხთა მისცეს მიღებული მათგან ქართველთა საზღვარი. და ესრეთ მშვიდობით დაიზაენეს.

და მხიარულ-ქმნილნი ესე ორნი ქართველთ მეფენი არმაზელ და აზორკ გარდაიცვალენ<sup>3</sup> წელს ქრისტესით 103 და იმეფეს წელნი 16.

14. და შემდგომად მეფეჲ იქმნენ მცხეთას—არმაზელის<sup>4</sup> ოთხი ამხასპ, ხოლო [24] არმაზს აზორკის ოთხი დროკ<sup>5</sup>.

ხოლო მეფობდენ ესენი უშუოთველად და გარდაიცვალნენ წელს ქრისტესით 113. და იმეფეს წელნი 10.

20 15. შემდგომად გამეფდენ მცხეთას—ამხასპის<sup>6</sup> ოთხი მირდატ, ხოლო არმაზს—დროკის<sup>7</sup> ოთხი დარსმან ქველი და გონიერი.

და ვინათგან იყო მირდატ<sup>8</sup> მესისხლე და მედგარი<sup>9</sup>, იწადა დალატი ფარსმანისა<sup>10</sup>. გარნა ყოვლითურთ კეთილობისა მისისათვის განათრთხილეს ფარსმან და განარინა თავი თვისი.

25 და ამისთვის<sup>11</sup> გარდაიხვეწა მირდატ და წარვიდა სპარსეთად. და ქართველნი სრულიად მიერთნენ ფარსმან ქველსა.

ხოლო მირდატ შეიკობნა სპანი სპარსთანი მრავალნი. სახელოვანნი, გოლიათნი და ბუნებრაზნი. და მოვიდენ რკინის-ხვეთა და აქათ ფარსმან სპითა ქართლისათა, და შეეწივნენ სომეხნიცა. და იქმნა ბრძოლა ძლიერი. და ბრძოდენ ძლიერად ბუნებრაზნი სპარსთანი. გარნა ფარსმან მოჰკლა 17 ბუნებრაზნი და სპასაჲტმან ფარსმანისამან<sup>12</sup> ფარნაეაზ—23 (რომელი იყო ძუძუს მტე ფარსმანისა).

ხოლო იყო სპარსთა შინა ძლიერი ბუნებრაზი. სახელით ჯვანშერ<sup>13</sup>, რომელი ღოღს ხელითა ხლენდა. და მან<sup>14</sup> გამოითხოვა ფარსმან<sup>15</sup>. განვიდა ფარსმან<sup>16</sup>, ძლიერთა მკლავითა დაამხო და მოჰკლა. და იოტნეს სპანი სპარსთანი. და წარვიდა მირდატ ლტოლვილი.

შემდგომად წელსა მესამესა მოვიდა კვალად მირდატ სპითა უმრავლესითა. აქათ ფარსმან, არა მრავლისა სპისა მყოლმან, იწყო [25] ბრძოლად და მოჰკლა 12 ბუნებრაზნი და გოლიათი, და სპასაჲტმან მისმან ფარნაეაზ—16. და იელტოდეს სპანი, ვერა წინააღმდეგნი ფარსმანის მკლავთა ძლიერებისანი. და წარვიდა მირდატ კვალად სპარსეთს.

<sup>1</sup> ზარდუი A. <sup>2</sup> მაშინ—A. <sup>3</sup> გარდაიცვალა ABC. <sup>4</sup> არმაზაზელის A. <sup>5</sup> დროკ ABC. <sup>6</sup> არმაზის ABC. <sup>7</sup> დროკის ABC. <sup>8</sup> მირდატ ABC. <sup>9</sup> მედგარი A. <sup>10</sup> ფარსმანისა BC. <sup>11</sup> მისთვის A. <sup>12</sup> ფარსმანისამან BC. <sup>13</sup> ჯვანშე ABC. <sup>14</sup> მან B. <sup>15</sup> ფარსმან A.



და განთქვა ქველობა და ახოვნება ფარსმანისა ყოველსა ქვეყანასა<sup>1</sup>. და აჭირვებდა<sup>2</sup> და სტყვევნიდა სრულიად სპარსთა. ხოლო სპარსთა, ვერა რომლისა კონისა მპოებელმან, შეუჩინეს მზარაული, მოსწამლეს. და მოჰკვდა ფარსმან ქველი, გონიერი, ახოვანი, უხვი და კაცი სახსოვარი<sup>3</sup> წელს ქრისტესით 122.

5

და ცოლნი და შეილნი ფარსმანის წარიტაცა სონხითს ფარნავაზ სპასპეტმან.

და იქნა მეფედ კვალად მირდატ.

ხოლო ოდეს აღიზარდა ეჲ ფარსმანისა ადამ, შეიკრიბა სპანი სომეხთა და ბერძენთანი. და აქათ მირდატ შეიკრიბა სპანი საქართველოესა და სპარს-<sup>10</sup> თანი. და იქნა ბრძოლა ძლიერი. გაემარჯვა ადამს. ნოიკლა ბრძოლასა შინა მირდატ წელს 129.

ხოლო იმეფეს მირდატ და ფარსმან წელნი 16.

[16].<sup>80</sup> ხოლო დაიპყრა ყოველი ივერია ეგმან ფარსმანისამან ადამ და იმეფა 3 წელი და მოჰკვდა.

15

17. დაუტყვეა ეჲ თვისი ფარსმან წლისა 1-ისა. და ნაცვლად ცოლი მისი მეფობდა, სახელით ლადან<sup>81</sup>, და შემდგომად დედისა—ფარსმან. და მოჰკვდა წელსა ქრისტესით 182.<sup>82</sup> და<sup>4</sup> იმეფა წელნი 33.

18. დაჯდა ეჲ ფარსმანისა ამზასპ. ამის ღროს წარმოემართნენ [26] დგალეთით ოვსნი და მოვიდენ ქართლს და ტყვენიდენ საქართველოს. მაშინ<sup>20</sup> განვიდა ბრძოლად ამზასპ, ვინადგან<sup>5</sup> იყო ბრძოლასა შინა მხნე, ახოვანი და მსგაესი<sup>6</sup> პაპისა ფარსმან<sup>7</sup> ქველისა. და დღესა ერთსა მოჰკლა ბუნბერაზნი<sup>8</sup> ოვსთა 15. ხოლო მეორესა დღესა ეკვეთნენ ამზასპ და სახელოვანი<sup>9</sup> ფალოვანი ოვსთა, სახელით ხუხუ. და დიდითა ურთიერთისა ბრძოლითა მოჰკლა ამზასპ და გააოხრნა, და აღსწყვიტნა სპანი ოვსთანი<sup>10</sup> და მოკლა<sup>11</sup> მეფე<sup>25</sup> ოვსთა და გამარჯვებული შემოვიდა [მ]ცხეთას.

ხოლო შემდგომად შურაგო, გარდელიდა ამზასპ ოვსთად და მოსწყვიტნა და აღაოხრა ოვსეთი.

ხოლო<sup>12</sup> შემდგომად რაოდენთაჲ ეანთა იწყო ამზასპ ძულეება ქართველთა და შეეყარება სპარსთა. ამისთვის მოიძულეს ქართველთა. და უკუდგენ ერის-<sup>30</sup> თავი ოძრაბისა, კლარჯეთისა და ევრისისა და მოიყვანეს<sup>13</sup> ეჲ მეფისა სომეხთასა რევ. და შეკრბენ და ეკვეთნენ ამზასპს და აოტეს. და ლტოლვისა შინა მოჰკლეს მეფე ამზასპ წელს ქრისტესით 186. და იმეფა წელნი 4.

19. მაშინ მოიყვანეს ეჲ<sup>14</sup> სომეხთა მედისა რევ, არშაკუნიანი<sup>15</sup> გვარითა, და ქმნეს მეფედ.

35

ოდეს აღსპო აღექსანდრე ჰამაჲ გორცისა კაცისა<sup>16</sup>, მიერიდამ იწყეს, რათა შეილთა დაუკვლიდენ კერპთა ქართველნი. გარნა ამან რევ აღხოცა ესე და ნაცვლად შეილთა ბრძანა დაკვლა<sup>17</sup> ზროხა-ცხოვართა. და ამისთვის უწოდეს რევ მართალი.

და იმეფა ყოველსა ივერიასა მშვიდობით და მოკვდა<sup>18</sup> წელსა ქრისტესით 213. და იმეფა წელნი 25.<sup>83</sup>

40

<sup>1</sup> ქვეყანას A. <sup>2</sup> კირვებდა A. <sup>3</sup> სახსოვარ B. <sup>4</sup> და: და A. <sup>5</sup> ვინათგან B. <sup>6</sup> მსგაესი A. <sup>7</sup> ფარსმან BC. <sup>8</sup> ბუნბერაზნი A. <sup>9</sup> სახელოვანი B. <sup>10</sup> ოვსთანი—A. <sup>11</sup> მოჰკლა B. <sup>12</sup> ხოლო —A. <sup>13</sup> ნოიკლეს BC. <sup>14</sup> ძეი B. <sup>15</sup> არშაკუნიანი ABC. <sup>16</sup> კაცის B. <sup>17</sup> დაკვლა—A, დაკლვა C. <sup>18</sup> მოკვდა A.

20. [27] შემდგომად გაზეჲდა ძე მისი ვაჩე და იმეფა წელნი 18. და შემდგომად მიიცვალა წელს ქრისტესით 231.

21. და მეფე იქმნა<sup>1</sup> ძე ვაჩეს ბაკურ და იმეფა წელნი 19.<sup>84)</sup> და მოკედა წელს ქრისტესით 246.

22. და იქმნა მეფედ ძე ბაკურისა მირდატ<sup>2</sup> და იმეფა წელნი 16. და მოკედა<sup>3</sup> წელს ქრისტესით 262.

23. გამეფდა ძე მირდატისა ასფაგურ. და მოკედა<sup>4</sup> წელსა ქრისტესით 265. და იმეფა წელნი 3.<sup>85)</sup>

გარნა არა დაშთა ძეჲ, არაპედ ერთი ასული, სახელით აბეშურა. მკმუნ-  
10 ვარე ქართველთა შეიზრახნენ და, გამორჩევითა მაიყან<sup>5</sup> სპასპეტისათა, სთხოვეს ძეჲ სპარსთა მეფესა ქასრეს. და მოიყვანეს და დასვეს მეფედ და უწოდეს სახელად მირიან, რომელი იყო წლისა შეიღისა.

და აქილამ აღიხოცა მეფობა არშაკუნიანთა<sup>6</sup> და იქმნა<sup>7</sup> მეფობა ხოსრო-იანთა.

15

თ ა ვ ი ს

24. ხოლო გამეფდა მირიან ხოსროიანი<sup>8</sup>, რომელსა უწინარეს ეწოდა ბირვან.

ხოლო შემდგომად ეამისა რაოდენისამე მოკედა აბეშურა დედოფალი და აღიხოცა ნათესაობა თარგამოსიანთა, ნებროთიანთა და არშაკუნიანთა<sup>9</sup>.

20 და მოიყვანა მირიან ულიოტორის<sup>10</sup> პონტოდამ ქალი, სახელით ნანანა<sup>86)</sup>, და შეიუღლა.

ხოლო მირიან ბრძოლა ხაზართა, ოვსთა და სხვათა და მარადის სძლედა.

[28] ხოლო შემდგომად ამისა მოკედა მამა მირიანისა ქასრე. და იწადა მირიანმა მეფობა სპარსეთისა. გარნა ვინათგან იყო მირიან მხეველის ნაშობი

25 და ბარტომ აიომშოჲ ძე, ამისთვის კეთილგანმსჯელთა სპარსთა განსაჯეს ესრეთ: ბარტომს მისცეს მეფობა სპარსთა, ხოლო მირიანს მეფობა საქართველოჲსა, და დაუმატეს შამი, ჯაზარი, ადარბაგანი და ესთა დააზავნეს.

ხოლო იყო დიდი ბრძოლა მირიანსა და სომხითისა მეფისა თრდატისა<sup>11</sup> შორის. და ხან მან, ხან მან, და ვერა რომელმან უმეტეს აჯობნის.<sup>87)</sup>

30 ხოლო გამსა ამის მეფობისასა მოვიდა წმინდა ნინა, ქართველთ განმანათლებელი, წელს ქრისტესით 314, აგვისტოსა დღესა 5. და ამისგან მოიქცა მართალსა სარწმუნოებასა ზედა ქრისტესსა მირიან მეფე და ნანა დედოფალი და სრულიად ერნი ქართველთანი, რომელი სრულმან ისტორიამან და მარტირიკამან<sup>12</sup> წმინდისა<sup>13</sup> ნინასამან ვრცელად და სანატრელად მოგითხრასთ

35 ყოველნი, და მუნ განიხილეთ სანატრელნი და საკვირველნი ზესთაბუნებითნი საქმენი მისნი, ვისაცა გესურვისთ.  
გაელაშქრა<sup>14</sup> ძმაი მირიანისა სპარსთა მეფე და მირიანცა საბერძნეთს. ეკვეთნა მეფე დიდი კოსტანტინე და, წინაძღომითა ჯვარისათა, აოტნა ისინი. მოვიდა საქართველოდ, გამოართვა მირიან მეფესა ძე თვისი ბაქარ მძე-  
40 ლად, დააზავნა მირიან და თრდატ სომხითთა მეფე, ამზახლნა ურთი [29] ერთსა

<sup>1</sup> იქნა A. <sup>2</sup> მირდატ—ABC. <sup>3</sup> მოკედა A. <sup>4</sup> მოკედა BC. <sup>5</sup> მაიყან A. <sup>6</sup> არშაკუნიანთა A. <sup>7</sup> იქმნა—A. <sup>8</sup> ხოსროიანი A. <sup>9</sup> არშაკუნიანთა A. <sup>10</sup> ულიოტორის ABC. <sup>11</sup> თარდატისა A. <sup>12</sup> მარტირიკამან ABC. <sup>13</sup> წმინდის B. <sup>14</sup> გაელაშქრა C.

და დაუდგა საზღვრად სომხითსა და საქართველოსა მთა, რომელსა<sup>1</sup> გასდის იმიერ მდინარე და მიერთვის არეზს, იქითი მისცა თრდატს და ამიერ<sup>2</sup>-მრთველნი მტკვრისანი მისცა მირიანს. და ესე დაუდგა საზღვრად სომხითს და ქართლს და დაზაენა და წარვიდა კოსტანტინე საზღვრდნეთადვე.

და შემდგომად, ოდეს მირიან იქმნა ქრისტიანი, კოსტანტინემ მოუწერა წიგნი და წარმოუგზავნა ძე თვისი ბაქარ მირიანს, რომელი ჰყვანდა მძევლად<sup>3</sup>, აუწყა: ვინათგან იცან ქენშარიტი მაცხოვარი იესო ქრისტე, აწ არღარა მინდა მძევალი შენით. და წარმოუგზავნა შეილი თვისი და მასთანა ფიცარი ფერხისა და სამსკვალი უფლისა ჩვენისა იესო<sup>4</sup> ქრისტესი.

ხოლო ესა ანის მეფობისა ზე გარდაიცვალა წმინდა ნინა წელს ქრისტესით 328<sup>5</sup> და დაფლეს, თქმისავე მისისაებრ<sup>6</sup>, დაბასა კახეთისასა ბოდას. და ნეტარ არს მიწა იგი, რომელ ღირს იქმნა შეწყნარებასა ყოვლად წინდისა და<sup>7</sup> სანატრელისა გვამისა მისისა!

და შემდგომად ესმთა რაოდენთაჲ მიიცვალა მეფე მირიან, სავეს სარწმუნოებითა და მადლითა, რომელმან ნათელ-სცა ყოველსა ივერიასა, რომელიცა მის<sup>8</sup> ეამილამ ბრწყინავს სჯული ქენშარიტი ქრისტესი ივერიასა შინა; და მოკვდა წელს ქრისტესით 342. ხოლო იმეფა წელნი 77.

25. ხოლო დაჯდა მეფედ ძე მირიანისა ბაქარ. ესე აყო მორწმუნე, ვითარ მამაჲ მისი, და ქმნა მრავალნი კეთილნი. და მიიცვალა<sup>9</sup> [30] წელს ქრისტესით 364. და იმეფნა წელნი 22.<sup>10</sup>

26. დაჯდა მის წილ ძე მისი შირდატ. ამან იმეფა კეთილად ყოვლითავე დიდსა სარწმუნოებასა შინა ქრისტესსა. და შემდგომად გარდაიცვალა წელს ქრისტესით 390.<sup>11</sup> და იმეფა წელნი 19.

27. გარდაცა ძე მისი ვარზა-ბაქარ. ამას, ანგელოსის ხარებითა<sup>12</sup>, მიეცა ძეჲ, და უწოდა მურვანოს, რომელი იწოდა პეტრედ და იქმნა წმინდა და მიაიმოსა ეპისკოპოსი, რომლისა ცხოვრებასა მოგვითხრობს პეტატრასი მისი.

ესე ვარზა-ბაქარ არა იყო მორწმუნე, გარნა ვერ განაცხადებდა შიშისათვის ქართველთასა, ვინათგან იყვნენ მტკიცენი ქრისტეს სარწმუნოებასა ზედა.

ხოლო ვინათგან იყო ვარზა-ბაქარ გულითა ჯაბან<sup>13</sup>, ამისთვის ვერ წინა აღუდგა. მოვიდა სპარსთა ერისთავი, შემოვიდა ქართლს, აობრებდა და სტყვევნიდა, და აღაშენა ციხე თბილისს და უწოდა ქალაქი. ხოლო ვარზა ბაქარის შიშნულულებისა მცოდნემან სპარსთა ერისთავმან მიუღო რანი და მოვაკანი<sup>14</sup>. დასდგა ხარკი და მიუბრუნა<sup>15</sup> თბილისი და წარვიდა.

მხილველთა ამისთა კლარჯნიცა უკუ უდგენ<sup>16</sup> ვარზა-ბაქარს და მიერთვნენ<sup>17</sup> ბერძენთა.

და შემდგომად მოკვდა ვარზა-ბაქარ წელს ქრისტესით 393. და იმეფა წელნი 14. და დაუტევა მცირე ძენი საზნი: ფარსმან, შირდატ და თირდატ.

28. და ვინათგან<sup>18</sup> მცირე იყვნენ<sup>19</sup> ძენი ვარზა-ბაქარისანი, ამისთვის [31] მოიყვანეს შამის ძმისწული ვარზა-ბაქარისანი თირდატ<sup>20</sup> და ქმნეს მეფედ. და იყო ფრიად მორწმუნე ქრისტეს სარწმუნოებისა და<sup>21</sup> მკობელი ეკლესიისა და ხატთა და ჯვართა. და შემდგომად მიიცვალა წელს ქრისტესით 405. და იმეფა წელნი 12.

<sup>1</sup> რომლისა A. <sup>2</sup> მიერ A. <sup>3</sup> იესოს BC. <sup>4</sup> თვისისაებრ A. <sup>5</sup> წმინდისა და—BC. <sup>6</sup> მას A. <sup>7</sup> მიცვალა B. <sup>8</sup> კარებითა BC. <sup>9</sup> მავაკანი ABC. <sup>10</sup> მიუბრუნა A. <sup>11</sup> უკუდგენ B. <sup>12</sup> მიერთვნენ BC. <sup>13</sup> ვითგან A. <sup>14</sup> იყვნენ BC. <sup>15</sup> და + იყო BC.

29. შემდგომად მისა დასვენეს ძე ეარზა-ბაქარისა ფარსმან მეფედ. და იყო მოსაფე ქრისტესი და მხნე, ახოვანი და მებრძოლი. და ამან, შემწეობითა ბერძენთათა, არა მისცა ხარკი სპარსთა, რომელი დასდევს<sup>1</sup> მამასა მისსა და აძლეუდენ იმ გამამდე, ხოლო ამან აღხოცა; აღაშენნა<sup>2</sup> ეკლესიანი<sup>3</sup> და ძველნი განაახლნა<sup>4</sup> და იმეფა კეთილად. და მოკვდა<sup>5</sup> წელს ქრისტესით 408<sup>6</sup> და იმეფა წელნი 3.

30. და მეფე იქმნა ძმა ფარსმანისა და ძე ეარზა-ბაქარისა მირდატ, რომელი იყო ურწმუნო, ლალი და თავზედი, გარნა იყო მხნე და ძლიერი. ამის ქაშში<sup>7</sup> მოვიდენ სპარსნი ძლიერითა სპითა. ხოლო მირდატ ეწყო მცირითა სპითა. აოტნეს მირდატ<sup>8</sup> და ბეიპურეს. და ტყვეობასა შინა მოკვდა<sup>9</sup> ბაღდათს.

შემოვიდენ სპარსნი და დაიპურეს საქართველო და ქმნეს საეცებლედ მცხეთას. და ძენი მირდატისნი დაშთენ კახეთს წელს ქრისტესით 410. და იმეფა წელნი 2.

31. ხოლო შემდგომად სამისა წლისა მოიყვანეს ძე მირდატისა, სახელით არჩილ, და ქართველთა ყვეს მეფედ. და იყო ფრთად მორწმუნე და მმატებელი<sup>10</sup> ეკლესიათა. შანა შეიუღლა [33] საბერძნეთით ქალა, ივბიჰიანოს შეფისა ნათესაფი, სახელით შარიაშ.

ამან მოსწყვიდნა სპარსნი საქართველოსა შინა და განახლნა ცეცხლის მსახურნი და შეაძკვნა ეკლესიანი.

ამისთვის მოვიდა სპარსთა ერისთავი სპითა უმრავლესითა. და აქით მინდობილი ჯვარისა არჩილ მოივდა სპითა. და იქმნა ბრძოლა ძლიერი ბერდუჯის<sup>11</sup> მდინარესა ზედა. და შემდგომად სასტიკისა ბრძოლისა იოტნა სპარსნი. და მოსწყვიტნა უმრავლესნი. ზერმე შევიდა რანს და მოსწვა, მოსტყვევნა და მოვიდა გამარჯვებული.

ესაშა ამას აღიწაოდა ძე არჩილისა მირდატ, მხნე და ახოვანი. და აოხრებდა რანსა და მოვკანსა. და მოუძღურდა ერისთავი რანისა და მოვკანისა. და ჰყვა ერისთავსა მას რანისა და მოვკანისასა ასული დიდათ შევნიერი. და მსწენელი მისის კეკელუცობისა მირდატ ეტრფილა მას და განუზრახვიდა მამასა მისსა ზავის ყოფასა რანის ერისთავისასა და მოთხოვასა ქალისა მის ცოლად თვისდა. თუშკა არ სწადოდა, გარნა არჩილ იძულებულ იქმნა შევიდისაგან. ყვეს ზავი და მოიყვანეს ასული რანის ერისთვისა ზითვიცა დიდითა და შეაუღლა მირდატს.

და შემდგომად იმეფა არჩილ კეთილად და მრავალნი. ეკლესიათა<sup>12</sup> წესნი განამრავლა და მოკვდა<sup>13</sup> წელს ქრისტესით 434. და იმეფა წელნი 24.

32. გამეფდა ძე მისი მირდატ. და ამას, ვერებითა ღვთისათა, ნიეცა ძე [33] ვახტანგ, და მისცეს საზრდელად საურმაგ სპასპეტსა, ვანათგან წესი იყო მეფეთა ძეთა აღზრდა და დიდებულთაგან. ხოლო ესვა კვალად ორნი ასულნი<sup>14</sup>: ხვარამზე და ნირანდუხთ.

და შემდგომად გარდაიცვალა წელს ქრისტესით 446. და იმეფა წელნი 12.

33. და მეფედ ჰყვეს მირდატის ძე ვახტანგ, ყრმა წლისა 7 (ესე იყო პირველი ნეფე სახსოვარი ქართველთა).

<sup>1</sup> დადეს A. <sup>2</sup> აღაშენა AC. <sup>3</sup> ეკლესიანი ABC. <sup>4</sup> განაახლა B. <sup>5</sup> მოკვდა A. <sup>6</sup> მოკვდა BC. <sup>7</sup> 480 C. <sup>8</sup> ეაშვიდ B. <sup>9</sup> მირდათ AC. <sup>10</sup> მირდათ B. <sup>11</sup> მოკვდა A. <sup>12</sup> მმატებელ A.

<sup>13</sup> ბურდუჯის B. <sup>14</sup> ეკლესიათა BC. <sup>15</sup> მოკვდა AB. <sup>16</sup> ასული AC.

ვინათგან ყრმა იყო ვახტანგ და შართედა სამეფოსა დედამისი სარან-  
დუხტ და მოუხლორებულ იყვნენ ამისთვის ქართველნი, წარმოგზავნა რანისა  
ერისთავმან და ქმნა საცეცხლემ<sup>1</sup> მცხეთას, და მრავალნი მიდრკენ სჯულსა  
შათსა.

გარნა დედოფალმანცა<sup>2</sup> სარანდუხტ მოიყვანა მიხაილ, მღვდელი ქემშა- 5  
რიტი, და დასვა ეპისკოპოსად. და<sup>3</sup> იტყვიან: ესე იქმნა პირველი კათალიკო-  
სი ქართლისა. ესე მიხაილ იყო მ-ღვარი ვახტანგისი საღმრთოჲსა<sup>4</sup> წერილი-  
სა. ხოლო ვახტანგ ისწავებდა ყოველსავე მკეთორ გონებითა.

ოდეს იქმნა ვახტანგ წლისა 10, გამოვიდენ ოგისი და მოსტყვენეს სა- 10  
ქართველოჲ, შემუსრეს კასპი და განაიყვანეს დაჲ ზეფისა მირანდუხტ, გან-  
ვლეს რანი და მოვაკანი ტყეენვითა, განვლეს დაბრუნადი და შევიდენ ოგსეთად  
გამარჯვებულნი.

და ეგ<sup>5</sup> ითვე წარულეს ბერძენთა ეგრისის ციხე ვიდრე გოჯამდე<sup>6</sup>). და  
მოაკლდა მრავალი სამეფოსა ვახტანგისასა.

ხოლო ოდეს იქმნა ვახტანგ წლისა 15,<sup>7</sup> შეტკობნა [34] დიდებულნი 15  
თვისნი და ფრიადითა საქებელითა მკვევრმეთქუშობითა აღძრა ენაჲ, რათა  
გულნი მსმენელთანი მოიზიდნა და აღირჩია წასვლა<sup>8</sup> ოგსეთად.

თუმცა დიდებულთა არა სთნდათ წარსვლა<sup>9</sup> ვახტანგისა სიყრმისა გამო,  
არამედ არა დაემორჩილა ვახტანგ და მინდობილი ჯვარისა წარვიდა 100.000  
მხედრობითა და განვლო დარიელა და დაებანაკა კიდეჲ არაგვისასა წელსა 20  
ქრისტისთი 454. და მოერთვნენ მუნ მედენი კავკასიანი<sup>10</sup>.

ხოლო მცნობთა ოგსთა მოიცეს ცალი ხაზართაგან და შეკობენ და მოვი-  
დენ, და დაებანაკენ იმიერ კიდესა არაგვისასა შეიდ დღე. და იყო ბრძოლა  
ბუნბერაზთა<sup>11</sup> იმიერთა და ანეერთა, და სელიან ზოგჯერ მათ და ზოგჯერ მათ.

ხოლო იყო მუნით ხაზართა შორის გოლიათი, სახელით თარხან. გამო- 25  
ვიდა და ითხოვდა გებრძოლსა ვახტანგისა სპისაგან. ხოლო იყო ვახტანგისა  
თანა სპარსი, სახელით ფარსმან-ფარუხ<sup>12</sup>, რომელსა მრავალნი გოლიათნი მოე-  
კლნეს და ლომსა ხელითა ხლენდა, და იყო იგი ცლიერებასა შინა ფრიალ დი-  
დენიულ. განვიდა ესე და ებრძოდა<sup>13</sup> თარხანს და მრავლისა ბრძოლისა შემ-  
დგომად ხაზარმან თარხან<sup>14</sup> დაჰკრა ხრმალი თავსა მუზარადინსა და ორად 30  
განჰკვეთა იგი და გარდმოყარდა. ამის მხილველთა ვახტანგისთა შეედგათ დი-  
დი მწუხარება, ვინათგან არაფინ დაშთა გებრძოლი თარხანისა.

ხოლო მეორესა დღესა გამოვიდა თარხან განცლიერებული და მეომარსა  
ითხოვდა, გარნა ვერქმანქინ ეკადრა განსვლა ვახტანგისთა. მიმოიხედა 35  
ვახტანგ და ვერაფინ იხილა განმავალი ბრძოლად მისა. მაშინ<sup>15</sup> თვით განვი-  
და; მოვიდენ დიდებულნი და არა უტევებდენ, ვინათგან იყო ყრმა. მაშინ<sup>16</sup>  
ვახტანგ უბრძანა: არა თუ ცლიერებითა ჩემითა განვალ, არამედ ცლიერებითა  
ჯვარცმულისათა განვალ, რათა ცალითა მისითა იძლიოს ჩივილისაგან მოქა-  
დული იგი ურწმუნოჲ.

წარვიდა ვახტანგ ჯერეთ ჩვილი და გამოუცდელი ომისა, მიმდობელი 40  
ჯვარცმულისა. და ეკვეთნენ ერთმანეთსა<sup>17</sup> ცლიერად. და<sup>18</sup> კვეთებითა მათითა  
განკვირდენ ორგნით მხილველნი. და შემდგომად მრავლისა ბრძოლისა ჰკრა

<sup>1</sup> საცეცხლეთი B. <sup>2</sup> დედოფალმან A. <sup>3</sup> და - და A. <sup>4</sup> საღმრთოისა B. <sup>5</sup> წასვლა A.

<sup>6</sup> კავკასიონნი ABC. <sup>7</sup> ბუნბერაზთა AC. <sup>8</sup> ფარსმან-ფარუხ AC. <sup>9</sup> ებრძოლა B. <sup>10</sup> თარხან B.

<sup>11</sup> მაშინ A. <sup>12</sup> ერთმანეთსა A. <sup>13</sup> და - და A.

ბტანგ ოროლი წელსა და განავლო ზურგით. და ჩამოვარდა ხაზარი იგი  
რხან ძლიერი. გარდახდა ცხენით ვახტანგ, თაყვანისცა პირველ ღმერთსა  
მერმეთ მოჰკვეთა თავი და მოვიდა თვისსა სპათა შორის.

- ხოლო დღესა მეორესა გამოვიდა უძლიერესი თარხანისა ოგისი, სახელით  
5 ბალათარ (ესე იყო ბალათარ, რომელმან მოაოხრა საქართველომ ძლიერებითა  
თვისითა, წარიყვანა და ვახტანგისა და შეირთო ცოლად), უყოლა ვახტანგსა  
და გამოითხოვდა ბრძოლად. მაშინ ვახტანგ პასუხ-უგო მკუხარედ და განვიდა  
ბრძოლად. ეკვეთნენ ურთიერთსა<sup>1</sup> და დასხეს ისარნი, გარნა ვახტანგ სიქის-  
კასითა იცდენდა ისარსა<sup>2</sup>. მაშინ ბალათარ ჰქრა ისარი ცხენსა ვახტანგისასა  
10 ფერდსა და განავლო იქით. [36] გარნა ვინემდის ცხენი შებრკოლდებოდა,  
აღმუქსლებელმან(!) მსწრაფლ მიუხდა, ჰქრა ხრმალი მხარსა ბალათრისასა და<sup>3</sup>  
ჩაჰკვეთა გულამდე, და მოკვდა<sup>4</sup> ბალათარ. ხოლო ვახტანგ არა მეჭიმე იქმნა  
ცხენთა აღვირისა, არამედ დაუტევა დაკოდილი ცხენი თვისი და აღმებერდა  
ცხენსა ბალათარისასა, აღქუსლა და შეუტევა რაზმსა ოგსათსა და აღუზახა  
15 შეტევება სპათა მისთა. მაშინ ეკვეთნენ სასტიკად. შეიქმნა ბრძოლა ძლიერი  
და აღბოცნეს ოგისი და ხაზარნი და განემარჯვნესთ ძლიერად. შემდგომად  
მოვიდა ვახტანგ ოგსეთად, შემუსრა ციხე და ქალაქი. კვალად მოსტყვენა.  
პაქანაგნი<sup>5</sup> და ჯიქეთი. მაშინ დისა მისისათვის მისცა ტყვენი შოგბულნი  
ოსთან<sup>6</sup> 30000 და მრავალნი სხვანი ოგსთა ტყვენი, და და<sup>7</sup> თვისი მირან-  
20 დუხტ წარმოგზავნა ქართლს. და დაეზავა დამთომილთა ოგსთა. და წარმო-  
ვიდა, გარდმოვიდა<sup>8</sup> კავკასი და მოვიდა აფხაზეთს და წარულო ბერძენთა  
აფხაზეთი და ეგრისის ციხე მიხშულნი გოჯამდე<sup>9</sup>). და შემდგომად მოვიდა  
მცხეთას გამარჯვებული ქრისტესით 438<sup>10</sup>). ხოლო წარსცა არმალნად სპარ-  
სთა<sup>11</sup> მეფისად ათი ათასი ტყვე ოგსთა, ათი ათასი ცხენი სახედარი, ათი  
25 ათასი ცხენი ხრდალი და სთხოვა ასული სპარსთა მეფესა ცოლად თვისად.  
ხოლო სპარსთა მეფემან მოსცა ასული თვისი სიხარულით ვახტანგს ცოლად  
და სომხითნი და კავკასთა მეფენი ზითვად.

შემდგომად ამისა შემოკრიბნა<sup>12</sup> [37] სპანი აგისინი 200000 ვახტანგ და  
მოუწოდა დედის ძმასა თვისსა ვარზა-ბაკურს, რომელსა ჰყვა<sup>11</sup> სპა 200000,  
30 და გაელაშკრა საბერძნეთს. მაშინ იყო ვახტანგ წლის 20, რომელი ირემსა  
ქვეითი შეიპყრობდა და შეჭურვილი შეჭურვილსა ცხენსა აღიყვანდის მხრითა  
თვისითა მცხეთილამ არზაზს.

წარვიდა ვახტანგ საბერძნეთს წელს ქრისტესით 460 და მოადგა კარნუ  
ქალაქს, გარნა ვერ აღიღის. დაუტევა მუნ ორნი ერისთავნი 48000<sup>12</sup>) კა-  
35 ცითა გარ-მოდგომად<sup>13</sup>. და თვით წარვიდა და მოადგა პონტოს ქალაქსა. და  
მუნ იხილა<sup>13</sup> ჩვენებანი საჭირველნი ვახტანგ, რომელი ვრცელსა ისტორიასა  
წინა იხილე უვრცევლეს.<sup>100</sup>)

ხოლო მიზეზითა მის ჩვენებისათა მშვიდობა ჰყო ვახტანგ და წარავლი-  
ნა დესპანი კეისრისა, რათა ყოს მშვიდობა. გარნა, ვინემდის მოიწოდენ<sup>14</sup>  
40 დესპანი, უწინარეს წამოსრული სპანი კეისრისანი ბრძოლად ვახტანგისა  
მოიწოდენ წინაძღობის პოლიკარპოს სპასპეტისათა. და რა მოვიდნენ, არა  
სწადიდა ვახტანგს ბრძოლა მათი, ვინათგან სწადოდა მშვიდობა და ყვანდა

<sup>1</sup> ურთიერთს BC. <sup>2</sup> ისარს B. <sup>3</sup> და—A. <sup>4</sup> მოკვდა BC. <sup>5</sup> პაქანაგნი ABC. <sup>6</sup> ოგსთა-  
ნი A. <sup>7</sup> დაი B. <sup>8</sup> გარდამოვიდა B. <sup>9</sup> სპსთა BC. <sup>10</sup> შემოკრიბნა BC. <sup>11</sup> ყვა A. <sup>12</sup> გარდმო-  
დგომად A. <sup>13</sup> იხილნა A. <sup>14</sup> მოიწოდნა B.

მშვიდობისათვის წარვლენილნი დესპანნი. მაშინ მხილველმან ერისთავმან რანისამან იწყო ბრძოლად და ყვედრებად ვახტანგისა, თუ რასათვის<sup>1</sup> არა ებრძვის ბერძენთა, და აგინებდა ჯვარცმულსა. მაშინ მიუგო მეფემან: „აჰა შენდა ბერძენნი<sup>2</sup>, და იხილო ძალი [38] ჯვარცმულისა!“ მაშინ შეუტია სპითა თვისითა რანისა ერისთავმან და იქმნა ბრძოლა ძლიერი. გარნა-მძლიერეს 5 სპარსნი ბერძენთაგან. და თვით ერისთავი რანისა მოიკლა თვით ხელითა პოლიკარპოსისათა. და მოსწყვიტნა სპანი მისნი. ხოლო არცა რიდა მეფესა პოლიკარპოს და მოვიდა მას ზედა. გარნა ვახტანგ ეთაყვანა ჯვარსა და მერმეთ აღმხედრდა და შეუტია ბერძენთა. ხოლო პოლიკარპოს იგინებოდა და მოვიდოდა საშინელად მხილველთა. და არაინ<sup>3</sup> იპოვა სპათა ვახტანგისათა მე- 10 პირისპირე მისი. მაშინ ვახტანგ შეახო მახვილი თვისი ჯვარსა და განვიდა და ეკვეონენ ურთიერთსა. პოლიკარპოს ჰსცა ოროლი ფარსა მეფისასა და განავლო იქით წყრთა ერთი. მიუხდა ვახტანგ, უხეტქა თავსა ხლმითა და განუპო ორად. და ნახევარი თავისა<sup>4</sup> მოილო წინაშე ჯვარისა. და იძლიერეს ბერძენნი. და მოსწყვიდნეს<sup>5</sup> მრავალნი. და სხვა განერა ნავითა ზღვასა. 15

ხოლო ვახტანგ წარავლინა ნასრე ერისთავი კეისრისა და წარუვლინა ტყვე[ნი]<sup>6</sup> ბერძენნი 780000 და სთხოვა, რათა იხილონ ერთმანერთი და იქმნას ზავი. მაშინ მოვიდა კეისარი პონტოს ზღვით ნავებითა და იხილნეს ურთიერთნი<sup>7</sup>, ჰყვეს ზავი. და მისცა კეისარმან ასული თვისი ლეონა<sup>101</sup> ვახტანგს ცოლად (რამეთუ მომკვდარიყო.<sup>8</sup> ცოლი ვახტანგისი, ასული სპარსთა 20 მეფისა, [39] შობასა ზედა დანისასა). ხოლო ზავსა ამას შინა გამოართვა კეისარმან ეგრისის წყლის იქით ბერძენთ საზღვრობის გამო და აღუთქვა კვალად ნოცემა მზითვად. და ესევეთარისა ზავ-ყოფითა წარვიდენ თვის-თვისად.

ხოლო ეამთა ამათ წარმოეძარტნენ სპარსნი ვახტანგსა ზედა სამისი ათასითა მხედრებითა და დაიბანაკეს ცხენის-ტერფს დაღმა. ხოლო აქილამ გან- 25 ვიდა ვახტანგ ასი ათასითა მხედრითა და ასი ათასითა მკვირცხლითა და დაიბანაკეს დიღვამს ვიდრე ქართლის კარამდე. და იბრძოდენ იმიერ და ამიერ ფალავანნი და ბუნბერაზნი ძლიერად. და ზოგჯერ მათ და ზოგჯერ მათ სძლიეს.

ხოლო ვახტანგს შეექმნა<sup>9</sup> წინა მუზარადისა ლომი და უკანით მგელი.<sup>102</sup> 30 და სადაცა<sup>10</sup> მოუხდის ბრძოლასა შინა ვახტანგ, დაუთრწის რაზმი და სძლის ძლიერად. და შეშინებულნი სპარსნი უყოოდენ ურთიერთას<sup>11</sup>: „მირილეთ გორ-გასლანს!“ (ესე იგი თათრულად: „მგელ-ლომს“<sup>12</sup>). და იმიერიდამ ეწოდა ვახტანგს გორგასლან.

ხოლო მრავლისა<sup>13</sup> ბრძოლისა შემდგომად დაეზუნენ ერთმანერთსა სპარს- 35 თა, მეფე და ვახტანგ, და ყვეს მშვიდობა. და სთხოვა სპარსთა მეფემან დაა თვისი ცოლად. ესე შეუწნდა. გარნა იძულებულ ქმნილმან თვისთა დიდებულთა მიერ აღუთქვა მიცემად. და ეგრეთვე სთხოვა სპარსთა [40] მეფემან შეწევნა ინდოეთსა ზედა. და ესეცა აღუთქვა ვახტანგ.

მაშინ ვახტანგ დასვა წეა<sup>14</sup> თვისი 5 წლისა დაჩი მეფედ და თვით წარ- 40 ვიდა სპარსეთსა და წარიყვანა დაა თვისი მირანდუხტ. დაუტევა დარის ერისთავნი 7: ქართლისა, ხუნანისა, სამშვილდისა, ჰერეთისა,<sup>103</sup> კახეთისა, არგვე-

და მუხლმოდრეკით და ცრემლით შეავედრა სპანი თვისნი<sup>4</sup> ლმერთსა და გა-  
ნუტევენა. და თვით<sup>5</sup> თამარ დასდგა ორჩახეს კათალიკოს-ეპისკოპოსით, შავე-  
10 დრებელი ლეთისა.

მაშინ<sup>6</sup> მისრულმან ბასიანს დავით იხილა სიმრავლე თურქთა, შეუძნდა  
დიდად, გარნა მიენდო ლმერთსა. და განუო<sup>7</sup> მხედრობა: ერთ კერძ აჩინა  
ზაქარია მხარგრძელი, შალვა და იოანე ახალციხელი და თორელნი; ხოლო  
ერთ კერძს<sup>8</sup> დადიან-ბედიელი,<sup>154</sup> იმერნი და აჯუხანი<sup>9</sup>; ერთ კერძს ჰამერნი  
15 და ჰერ-კახნი. და მიმართეს ცხენ-ჩქარად. იქმნა ბრძოლად საშინელი და სა-  
მაგალითო. და სწლეს თამარისთა<sup>10</sup> და აოტნეს იგინი, და შეიპყრობდიან  
ასსა ერთნი და აღზოცნეს ურიცხვნი წელს ქრისტესით 1196. და ალაფთა და  
ბარგთა მათთა ნაშოვართა სიმრავლისათვის დავიდუმებ. ხოლო ოქრო-ვეცხ-  
ლნი და თვალ-გვგვარნი წარმოიხიდეს მრავლითა სახედრებითა და მოვიდენ  
20 ესრეთი გამარჯვებულნი თამარისა თანა.

ხოლო [74] შოვებულნი<sup>11</sup> დიდებულნი სულტანისანი განყიდეს ცხენისა  
ნალსა ზედა ბრძანებრთა თამარისათა დიდებულ სახლისა თვისისა<sup>12</sup>.

კვალად ეამსა ამას წარავლინა თამარ<sup>13</sup> იმერნი და წარულო კეისარსა  
ალექსის ტრაპიზონი და მიმდგომნი მისნი, და მისცა ალექსის ანდრონიკეს  
25 ძესა კომონიანოსს<sup>14</sup>, რომელი იყო წინაშე თამარისა.

ხოლო განძლიერდა თამარ დიდათ და დაიპყრა ვრცელნი საზღვარნი  
ივერიისანი და უმეტესნიცა სათნოებითა ლეთისათა, რამეთუ დროსა მეფო-  
ბისა მისისასა არავინ დასაჯა არცა სიკვდილითა<sup>15</sup>, არცა ასოთა მოკლებითა,  
თვინიერ<sup>16</sup> გუზანისა, რომელი შეკობრობდა მთასა კოლისასა; და იგიცა  
30 უცნაურად თამარისა ჰქმნა<sup>17</sup> დავით სოსლან და დასწვა თვალნი სისხლთა-  
თვის<sup>18</sup> ქრისტესთა.<sup>19</sup>

და ესრეთ რა იხარებდა თამარ, მოკვდა დავით სოსლან, ქმარი თამა-  
რისა, წელს ქრისტესით 1199.

ხოლო ეამსა ამას მოვიდა არდავის<sup>20</sup> სულთანი, მოუხდა დღესა აღდგო-  
35 მისასა ანისის ქალაქსა და<sup>21</sup> მოსრნა მრავალნი ქრისტეანენი, რამეთუ სხვათა  
შორის თორმეტი ათასნი ეკლესიასა<sup>22</sup> შინა მოსწყვიდნეს. და წარვიდა სულ-  
ტანი.

ნაცვლად ამისა სპასალარმან ზაქარია შეიკრიბნა ჰერ-კახნი<sup>23</sup> და სომ-  
ხითარნი და ანაზად<sup>24</sup> ცისკარსა<sup>25</sup> რა ხმა<sup>26</sup> ყო<sup>27</sup> ბილწმან მუყრმან აზანთ,  
40 რომელი გათენდებოდა<sup>28</sup> აილი, მათი აღესება, მაშინ დაეკა არდაველს და

<sup>1</sup> დესპანი ABC. <sup>2</sup> კისკასად B. <sup>3</sup> მოკვების BC. <sup>4</sup> თჳსა B. <sup>5</sup> თჳთ B. <sup>6</sup> მაშა A.  
<sup>7</sup> განუო BC. <sup>8</sup> კერძ A. <sup>9</sup> აჯუხანი A. <sup>10</sup> თამარისათა A. <sup>11</sup> შოვებულნი BC. <sup>12</sup> თჳსისა BC.  
<sup>13</sup> თამარმან C. <sup>14</sup> კომონს ABC. <sup>15</sup> სიკვდილითა B. <sup>16</sup> თვინიერ BC. <sup>17</sup> ქნა A. <sup>18</sup> სისხლ-  
თათჳს BC. <sup>19</sup> ქრისტესთას BC. <sup>20</sup> არდავის ABC. <sup>21</sup> და — A. <sup>22</sup> ეკლესიასა B. <sup>23</sup> ტჳრ-  
კახნი BC. <sup>24</sup> ანსადლ A. <sup>25</sup> ციკარსა BC. <sup>26</sup> ჳმა BC. <sup>27</sup> ჳყო A. <sup>28</sup> განთენდებოდა B.



თუმცა გამაგრდა ქალაქი, გარნა სიმხნითა და მამაცობითა აღიღეს<sup>1</sup> და მოსწყვიდნეს [75] უამრავნი<sup>2</sup>, და მიზგიდსა მათსა მოსწყვიდნეს თორმეტნი ათასნი, და სულტანი ცოლ-შვილითაცა მოსწყვიდნეს<sup>3</sup> და მოქალაქენი არცა ერთი დაუტევეს ცოცხალნი, და დიდითა ალაფითა მოვიდენ თამარისა თანა გამარჯვებულნი.

5

შემდგომად ამისა წარგზავნა ზაქარია ამირსპასალარი და სხვანი სპანი ივერიისანი თამარ ხვარასანსა ზედა. წარვიდენ<sup>4</sup> და გზასა ზედა აღიღეს ყოველნი ქალაქნი და ციხენი და დაიპყრა თავრიზიცა<sup>5</sup>. მუნით წასრულთა მოსწვეს. მოსტყვენეს ხვარასანი, ვიდრე გურდანამდე<sup>6</sup> და ალაფითა საესე შემოიქცენ კვალად.

10

ხოლო შემდგომად ამისა მოკვდა ზაქარია მხარგრძელი ამირსპასალარი და მისცა ამირსპასალარობა იმასა თვისსა<sup>7</sup> იოანეს, რომელი იყო ათაბაგად.

ხოლო თამარ მეფემ იმეფა ძლიერად და სათნოდ ღვთისად ერთგულთ გამამდიდრებელად და ორგულთ შემამინებელად; ამან განსდევნა საზღვრით მისით თურქნი, სპარსნი და არაბნი, განსწმინდა სამფლობელო თვისი და დაიპყრა საზღვარი საზღვრამდე ნებისაებრ მისისა; ესე ბრძოლა გარემოთა შეფუთა და მთავართა და ქმნა სხვათა შორის ბრძოლათა სპამან თამარისმან<sup>8</sup> ბრძანებითა თამარისათა 26<sup>9</sup> საციკრიონი ბრძოლანი, სადა ყოველთვის<sup>10</sup> სახელოვნად განემარჯვათ სპათა და მხედრობათა თამარისთა<sup>11</sup>, და დაიპყრა საზღვარს გარეთნიცა სამეფონი. და შემდგომად დასნეულდა ნაჭარმაგვეს მყოფი, [76] მიიყვანეს თბილისს და გარდაიცვალა და მიეიდა წინაშე ქრისტესა წელს ქრისტესით 1201.

15

20

ხოლო სანატრელსა თამარს თვისითა ხელითა დაედგა გვირგვინი სამეფო ძისა თვისისა გიორგისათვის.

და იმეფა თამარ წელნი 27 და დაჟღეს და დააწერეს საფლავისა ქვასა 25 ზედა ოთხნი ტაეპნი ესე შაირად გაწყობილნი:

როს ნაჭარმაგვეს მეფენი შეიღნიეე პურად დამესხნეს,  
თურქნი, სპარსნი, და არაბნი საზღვარს გარეთა გამესხნეს,  
თეეზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს.  
და აწა ამისსა მოქმედსა ხელნი გულზედა დამესხნეს.<sup>165)</sup>

30

ქმნილი არს ლექსი ესე შემდგომი თამარ მეფეაფსათვის<sup>11</sup> ანტონის<sup>12</sup> მიერ კათოლიკოსისა<sup>12</sup> დავითიან-ბაგრატიონისა:

ამისა<sup>13</sup> ბროლსა ნათელსა აყიყი შუა რეოდა,  
ლალსა ნათალსა, ნაწებსა ბაგე შეენებით რეოდა,  
მისნი სიტურფე კეკლუცი მნათობთა გარდაარეოდა,  
და ვარდი, ზამზახი წალკოტსა მის მიერ მისა რეოდა.<sup>150)</sup>

35

64. ხოლო დაჯდა შემდგომად დედისა მეუველ ლაშა გიორგი, ცე თამარისა, თვრამეტისა წლისა. ესე იყო ტანითა ძლიერი<sup>14</sup>, მხნე, ახოვანი. ამან დაიპყრა სამეფონი დედისა თვისისანი<sup>15</sup> და გარემონი ყოველნი. და მოარომიდენ ხარკსა.

40

<sup>1</sup> უმრავნი ABC. <sup>2</sup> მოსწყვიტნეს BC. <sup>3</sup> წარვიდნენ A. <sup>4</sup> თავრიზიცა A. <sup>5</sup> გურდამდე ABC. <sup>6</sup> თუქსა B. <sup>7</sup> თამარისმან A. <sup>8</sup> კვ BC. <sup>9</sup> ყოველთვის B. <sup>10</sup> თამარისათა A. <sup>11</sup> მეფისათვის A. <sup>12</sup> კათოლიკოსისა C. <sup>13</sup> ამისი B. <sup>14</sup> ძლიერ B. <sup>15</sup> თვისისანი B.

ჯამსა ამას განდგენ [77] განძელნი და არღარა მოსცეს ხარკი. ამისთვის შემოიკრიბა მეფემ სპანი და წარვიდა და მოადგა გარს; ერთ კერძ მეფე და მასთანა ქართველნი და ჰერ-კახნი და სომხითარნი და თორელნი მოადგენ, ხოლო მეორეს კერძ ბედიელ-დადიანი ლხთ-იქეთით<sup>1</sup>. და ძლევითა და მ-

5 მაკობითა აღიღეს ციხე და ქალაქნი განძისანი და მოვიდენ გამარჯვებულნი. ხოლო ვინათგან დამორჩილებულ იყვნენ ყოველნი გარემონი თამარ მეფისგან და მოსცემდენ ხარკსა ხალადნი<sup>157</sup> და ძლევნსა სძლენობდიან<sup>2</sup> ბერძენნი და არასადა იყო მტერი, ამისთვის იშვებოდა და იხარებდა. და მიდრკა მეფე სიბოროტედ და განიშორნა ვეზირნი დედისანი და შეიყვარა 10 თანამოასაკენი, აღზრდილნი თვისთა თანა და საქმენი ყრმებრენი, მღერანი, როკვანი, მებანკანკობანი,<sup>158</sup> დედათა თანა აღრენი და მსგავსნი ამისნი.

ხოლო არა ისეა მეუღლეთ, არამედ ხარკნი, და შუა მასთანა<sup>3</sup> დავით-მხილველნი დიდებულნი კათოლიკოს<sup>4</sup>-ეპისკოპოსნი მოახსენებდენ ამავითარსა უწყისოსა ქცევისა დატევებასა, გარნა არა ინება.

15 ხოლო ჯამსა ამას ჩინგიზ<sup>5</sup> ყაენმან წარმოავლინა მხედრობა საქართველოსა ზედა 12000.<sup>159</sup> მცნობმან ამისმან მეფემან გიორგიმ შემოიკრიბა სპანი თვისნი<sup>6</sup> 400000 და მივიდა ბერდუჯის მდინარესა ზედა, სადა იყვნენ თათარნი. იქმნა მუნ ბროლა ძლიერი. და აოტნეს მეფე და წარიქციენეს სახე[78]ლოვანი დროშა დავითისა, ამა ჯამამდე<sup>7</sup> უძლეველი, იძლია და ივლტოდენ<sup>8</sup> ქართველნი მეფითურთ. და მოვიდენ თბილისს<sup>9</sup> დიდნი მწუშარენი, რომელიცა მრავლის<sup>10</sup> ეამიდამ არა იყვენ<sup>11</sup> დაჩვეულ ქართველნი უკუნ-ქცევა-

20 სსა, არამედ ყოველთვის მებრძოლთა ზედა გამარჯვებასა; გარნა ცოდვითათვის სძლეს ქართველთა თურქთა მათ, რომელთა არა აქენდათ<sup>12</sup> საქურველი, თვინიერ მშვილდ-ისრისა და ცხენითა უქედელთა.

25 ხოლო ჯამსა შემდგომად რაოდენსამე დასნეულდა ლაშა გიორგი და, რასცნა სიკვდილი, მისცა მეფობა დასა თვისსა რუსუდანს, რომელი უყვარდა ფრიად, და მიათვალა ძეგ თვისი<sup>13</sup> დავით, რომელ<sup>14</sup>, ოდეს იქმნას ჰასაკოვან, მაშინ მეფედ ჰყოს რუსუდან დავით, რომელი-ესე ფიცით აღუთქვა რუსუდანმა<sup>15</sup>. და შემდგომად გარდაიცვალა მეფე გიორგი ლაშა წელს ქრისტესით 1211,<sup>160</sup> იანუარსა 18, დღესა ოთხშაბათსა, და დაფლეს გელათს. და იმეთა წელნი 10.

65. შემდგომად შემოკრბენ ყოველნი დიდებულნი ნიკოფსით დარუბან-დამდე<sup>16</sup> და აკურთხეს რუსუდან მეფედ ტფილისს<sup>17</sup> და დასვეს მეფედ ივერიისად.

35 ხოლო იყო რუსუდან ესე შეენიერებითა<sup>18</sup> მსგავსი დედისა, გარნა სათნოებითა შორს; და იწყო მსგავსება უფრორე ძმისა თვისისა<sup>19</sup> სიმღერითა, როკვითა და ესევეითარითა<sup>20</sup> ქცევა-ყოფითა.

ხოლო წინახსენებული [79] იგი თათარი<sup>21</sup> ჩინგიზ მრე ეყო ყოველთა მებრძოლთა<sup>22</sup> თვისთა და სძლოცა ჯალადინ,<sup>23</sup> სულტანსა ხვარასნისასა.

40 ხოლო ძლეული იგი ჯალადინ<sup>24</sup> წარმოვიდა დედა-წულითა<sup>25</sup> და სპითა ასორმოცდაათი თვისითა, რა დასდგეს საქართველოსა შინა. და მოიწია აღრებაგანს და აოხრებდა სომხითსა და ვაგს<sup>26</sup>.

<sup>1</sup> იქითით AC. <sup>2</sup> სძლენობდიან BC. <sup>3</sup> მისთანა B. <sup>4</sup> კათალიკოს A. <sup>5</sup> ჩინგის BC. <sup>6</sup> თვისნი B. <sup>7</sup> ეამამდე A. <sup>8</sup> ილტოდენ A. <sup>9</sup> თბილის ABC. <sup>10</sup> მრავლისა A. <sup>11</sup> იყვნენ AB. <sup>12</sup> აქუნდათ C. <sup>13</sup> თვისი B. <sup>14</sup> რომელი A. <sup>15</sup> რუსუდანმან A. <sup>16</sup> დარუბანდამდე A <sup>17</sup> ტფილის A. <sup>18</sup> შეენებითა AC.. <sup>19</sup> თვისის BC. <sup>20</sup> ესევეითარით A. <sup>21</sup> თამარი B. <sup>22</sup> მებრძოლთა BC. <sup>23</sup> ჯალადინ AC. <sup>24</sup> ჯალადინ BC. <sup>25</sup> ჯალადინ A. <sup>26</sup> დედა-წულითა B. <sup>27</sup> ვაგს ABC.

ჟამსა ამას განდგენ [77] განძელნი და არლარა მოსცეს ხარკი. ამისთვის შემოიკრიბა მეფემ სპანი და წარვიდა და მოადგა გარს; ერთ კერძ მეფე და მასთანა ქართველნი და ჰერ-კახნი და სომხითარნი და თორელნი მოადგენ, ხოლო მეორეს კერძ ბედიელ-დადიანი ლიხთ-იქეთით<sup>1</sup>. და ძლევითა და ნა-

5 მაკობითა აღილეს ციხე და ქალაქნი განძისანი და მოვიდენ გამარჯვებულნი. ხოლო ვინათგან დამარჩილებულ იყვნენ ყოველნი გარემონი თამარ ნეფისგან და მოსცემდენ ხარკსა ხალადნი<sup>157</sup> და ძლევნსა სძლენობდიან<sup>2</sup> ბერძენნი და არასადა იყო მტერი, ამისთვის იშეებოდა და იხარებდა. და მიდრკა მეფე სიმორატედ და განიშორნა ვეზირნი დედისანი და შეიყვარა

10 თანამოასაკენი, აღზრდილნი თვისთა თანა და საქმენი ყრუმბორენი, მღერანი, როკვანი, შეანკანაკობანი,<sup>158</sup> დედათა თანა აღრეენი და მსგავსნი ამიანი.

ხოლო არა ისეა გეულღვა, არამედ ხარკნი, და შვა მასთანა<sup>3</sup> დავით. მხილველნი დიდებულნი კათალიკოს<sup>4</sup>-ეპისკოპოსნი მოახსენებდენ ანავითარსა უწყესოსა ქცივისა დატევებასა, გარნა არა ინება.

15 ხოლო ჟამსა ამას ჩინგიზ<sup>5</sup> ყენმან წარმოავლინა შხედრობა საქართველოსა ზედა 12000.<sup>159</sup> მცნობმან ამისმან მეფემან გიორგიმ შემოიკრიბა სპანი თვისნ<sup>6</sup> 400000 და მივიდა ბერდუჯის მდინარესა ზედა, სადა იყვნენ თათარნი. იქმნა მუნ ბრძოლა ძლიერი. და აოტნეს მეფე და წარიქციენეს სახე[78]ლოვანი დროშა დავითისა, ამა ჟამამდე<sup>7</sup> უძლეველი, იძლია და ივლტოდენ<sup>8</sup> ქართველნი მეფითურთ. და მოვიდენ თბილისს<sup>9</sup> დიდნი მწუჟარენი, რომელიცა მრავლის<sup>10</sup> ეგზიდამ არა იყვენ<sup>11</sup> დაჩვეულ ქართველნი უკუნ-ქცივასა, არამედ ყოველთვის მებრძოლთა ზედა გამარჯვებასა; გარნა ცოდვათათვის სძლეს ქართველთა თურქთა მათ, რომელთა არა აქენდათ<sup>12</sup> საჭურველი, თვინიერ მშვილდ-ისრისა და ცხენითა უქედელითა.

25 ხოლო ჟამსა შემდგომად რაოდენსამე დასნეულდა ლაშა გიორგი და, რა სენა სიკედილი, მისცა მეფობა დასა თვისსა რუსუდანს, რომელი უყვარდა ფრიად, და შიათვალა ძედა თვისი<sup>13</sup> დავით, რომელ<sup>14</sup>, ოდეს იქმნას ჰასაკოვან, მაშინ მეფედ ჰყოს რუსუდან დავით, რომელი-ესე ფიცით აღუთქვა რუსუდანმა<sup>15</sup>. და შემდგომად გარდაიცვალა მეფე გიორგი ლაშა წელს ქრისტესით 1211,<sup>160</sup> იანვარსა 18, დღესა ოთხშაბათსა, და დაფლეს გელათს. და იმეფა წელნი 10.

ბ5. შემდგომად შემოკრბენ ყოველნი დიდებულნი ნიკოფსით დარუბან-დამდე<sup>16</sup> და აკურთხეს რუსუდან მეფედ ტფილისს<sup>17</sup> და დასცეს მეფედ ივერიისად.

35 ხოლო იყო რუსუდან ესე შევნიერებითა<sup>18</sup> მსგავსი დედისა, გარნა სათნოებითა შორს; და იწყო მსგავსება უფრორე ძმისა თვისისა<sup>19</sup> სიმღერითა, როკვითა და ესევეითარითა<sup>20</sup> ქცივა-ყოფითა.

ხოლო წინახსენებული [79] იგი თათარი<sup>21</sup> ჩინგიზ მრე ეყო ყოველთა მებრძოლთა<sup>22</sup> თვისთა და სძლოცა ჯალალდინ,<sup>23</sup> სულტანსა ხვარასნისასა.

40 ხოლო ძლეული იგი ჯალალდინ<sup>24</sup> წარმოვიდა დედა-წულითა<sup>25</sup> და სპითა ასორმოცდაათი ათასითა, რა დასდგეს საქართველოსა შინა. და მოიწია აღრებაგანს და აოხრებდა სომხითსა და გაგს<sup>26</sup>.

<sup>1</sup> იქითთ AC. <sup>2</sup> სძლენობდიან BC. <sup>3</sup> მისთანა B. <sup>4</sup> კათალიკოს A. <sup>5</sup> ჩინგის BC. <sup>6</sup> თქსნი B. <sup>7</sup> ეამდჳდე A. <sup>8</sup> ილტოდენ A. <sup>9</sup> თბილის ABC. <sup>10</sup> მრავლისა A. <sup>11</sup> იყვნენ AB. <sup>12</sup> აქუნდათ C. <sup>13</sup> თქსი B. <sup>14</sup> რომელი A. <sup>15</sup> რუსუდანმან A. <sup>16</sup> დარუბანდამდე A. <sup>17</sup> ტფილის A. <sup>18</sup> შევნიებითა AC. <sup>19</sup> თქსისა BC. <sup>20</sup> ესევეითარით A. <sup>21</sup> თამარი B. <sup>22</sup> მებრძოლთა BC. <sup>23</sup> ჯალალდინ ABC. <sup>24</sup> ჯალალდინ BC. <sup>25</sup> დედა-წულითა B. <sup>26</sup> გაგს ABC.

მცნობიან რუსულან შეკრიბნა სპანი და უწინამძღვრა იოანე ათაბაგი<sup>1</sup>, ამაჲ ზაქარია მხარგრძელისა, და წარავლინა ჯალალდინს<sup>2</sup> ზედა, სადა იყენენ შეწინავედ შალვა და იოანე ახალციხელნი. და იქმნა ბრძოლა გარნისს მეწინავეთაგან შალვა და იოანესაგან, გარნა შურითა არა მისცა იოანე ათაბაგმა<sup>3</sup> სპითა თვისითა<sup>4</sup> შეწევნაჲ. და მრავლისა ბრძოლისა შემდგომად იოტნეს და იოანე მოჰკლეს, ხოლო შალვა შეიპყრეს და შემდგომად აწამეს ქრისტესთვის, და იქმნა წმინდათა შორის მოდასე. და მოვიდენ ლტოლვილნი რუსულანისა წინაშე.

ჟამსა ამას იქორწინა რუსულან ტულრულის<sup>5</sup> ძესა ზედა სიმშვენიერე-ქაეროვნებისათვის<sup>6</sup>, რომელი ყვანდა მძევლად. მიუდგა და შვა ასული თამარ<sup>7</sup> და შემდგომად ძე დავით.

ხოლო რუსულან მქნელმან ბოროტისამან დაუტევა აღთქმა და ფიცი ძმისა თვისისა<sup>8</sup> და, რა იქმნა ძე თვისი დავით წლისა ექვსისა, კმნა<sup>9</sup> იგი მეფედ და შემოკრებითა დიდებულთათა აკურთხა იგი, ხოლო ასული თვისი თამარ მისცა [80] ყიაზდინ სულტანსა ცოლად და აწყვერი ნზითვად, გარნა<sup>10</sup> აღუთქვა არა დატეგებად ქრისტეს სარწმუნოებისა.

ხოლო ბოროტსა ზედა ბოროტისა დამრთველმან რუსულან შეიპყრა ძმისწული თვისი დავით, ცე გიორგისა და წარუვლინა სიძესა თვისსა<sup>11</sup> სულტანსა ყიაზდინს, რათა მოჰკლას იგი. გარნა სულტანმან არა ინება, არამედ უყოფდა მრავალსა კეთილსა და ჰყვანდა მისთანა პატივითა.

ხოლო ჟამსა ამას ცოდვათათვის ჩვენთა მოვიდა სულტანი ჯალალდინ<sup>12</sup> და მოაოხრა სომხითი, შემოვიდა ქართლს, ვერ წინ აღუდგა რუსულან და წარვიდა ქუთათისს<sup>13</sup>. ხოლო ჯალალდინ<sup>14</sup> მოადგა თბილისისს ციხესა და ქალაქსა და ნრავლითა ბრძოლითა აღიღო იგი. და მოარღვია სიონსა გუმბათი, დაიდგა მას ზედა ტახტი, დაჯდა მუნ და იქილამა ბრძანებითა სრვიდა<sup>15</sup> ქრისტეანეთა, სადა<sup>16</sup> სდიოდა მდინარენი სისხლთან. ხოლო ხატი სიონისა ყოვლად წმინდისა<sup>17</sup> დაასვენა ხიდსა ზედა, და რომელნი მიმავალ-მომავალნი არა ნერწყვიდა მას, თავს<sup>18</sup> მოჰკვეთდენ, რომლისათვის მრავალთა მიიღეს მოწამებობისა გვირგვინი. და ტფილისსა შინა მოსწყვიდნენ<sup>19</sup> წამებითა ქრისტესთვის 100000 და აღიწვიენ წინაშე ღვთისა. შემდგომად სულტანი აოხრებდა ყოველთა ივერითა და სტყეენვიდა<sup>20</sup>.

ხოლო განძლიერდა ოხრება ესე ხუთსა წელსა. გარნა რუსულანმან, ამა-ვითარსა [81] ოხრებასა შინა მყოფმან, არა მოიგონა ღმერთი და არცა შეიშინა მისგან; და რა სცნა, რომელ არა ნოუკლავს სიძესა თვისსა ყიაზდინ სულტანსა დავით, რომელი წარუგზავნა მან, ანისთვის მოიგონა ზრახვა ბო-როტი და მიუწერა სიძესა თვისსა ყიაზდინს, „რომელი წარმოგვივლინე<sup>21</sup> დავით მოსაკვლელად<sup>22</sup> და შენ არა მოგიკლავს, ვსცან ჰეშმარტებით, რომელ იგი ისიძავს<sup>23</sup> ცოლისა შენისა თანა და ასულისა ჩემისა თანა და თანაეყოფის მას“. ამისა მსმენელი სულტანი მრისხანე კმნილი შევიდა თამარისა და ჰკვამა<sup>24</sup> მრავალი, შემუსრნა ხატნი და ჯვარნი წმინდანი და იძულებითა დაატეგებინა ქრისტეჲ, ხოლო დავით შეიპყრა და შთააგლო ზღვასა მოსაშობად.

<sup>1</sup> ათაბაგი BC. <sup>2</sup> ჯალადინს ABC. <sup>3</sup> ათაბაგმან A. <sup>4</sup> თსითა BC. <sup>5</sup> ტურლულისა A. <sup>6</sup> ჰაეროვნებისათს B. <sup>7</sup> თსისა B. <sup>8</sup> კმნა BC. <sup>9</sup> თსსა B. <sup>10</sup> ჯალადდინ BC. ჯალადინ A. <sup>11</sup> ქუთათის ABC. <sup>12</sup> ჯალადინ ABC. <sup>13</sup> სვირდა BC. <sup>14</sup> სადაც A. <sup>15</sup> წმინდაისა B. <sup>16</sup> თავსა A. <sup>17</sup> მოსწყვიდეს C. <sup>18</sup> სტყეულვიდა BC. <sup>19</sup> წარმოგიგზავნე A. <sup>20</sup> მოსაკლავად A. <sup>21</sup> ისიძავს C. <sup>22</sup> ხემა A.

გარნა განერა ზღვასა მოწყალეებითა ღვთისათა, და იხილა ვაჰარმან ერთმან და მოიყვანა სახლად თვისად. ოდეს სცნა ესე სულტანმან, კვალად წარგვარა<sup>1</sup> ვაჰარსა მას და შთააგდო მღვიმესა შინა, სადა იყვნენ გველნი და ასპიტნი წვედელუნი<sup>2</sup> შესაქმელად კაცთა, გარნა არცა მათ ავნეს რამე, არამედ დი-  
5 ცენეს იგი უვნებელად: და იყო მას შინა შვიდსა წელსა. და ჰქონდა ხატი ყოვლად წმინდისა დედისა ღვთისა ყელსა ზედა კიდული, ევედრებოდა მას და ჰჭარვიდა<sup>3</sup> იგი. ხოლო მონა ერთი მისი მიუღებდა იღუმალ დღიურსა პურსა და შთაუგდებდა მღვიმედ.

ხოლო ეამსა ამას მოიწივნენ ზემოხსენებულნი [82] თათარნი და აოტნეს  
10 ჯალალდინ<sup>4</sup> სულტანი და დაიპყრეს საქართველოჲ თურქთა. და ჯალალდინ<sup>5</sup> ლტოლვილი და მძინარე ველსა ზედა მარტოდ მოკლა<sup>6</sup> მეცხვრემან ვინმემ. და მოვიდა თათართა თანა ნოინთა ოთხთა, რომელთა დაიპყრეს საქართველოჲ, და მოართვა ნიშანი ჯალალდინ<sup>4</sup> სულტანის სიკვდილისა მეცხვრემან მან. და ამისთვის მოკლეს<sup>7</sup> ნოინთა მეცხვრე იგი, თუ რასათვის მოჰკლა სულტანი.<sup>181</sup>  
15 ხოლო ჩინგიზისა<sup>8</sup> წარმოვლენილთა<sup>9</sup> ოთხთა ნოინთა დაიპყრეს სრულად სპარსეთი და<sup>10</sup> საქართველოჲ, თეინიერ იმერეთისა. და მიენდენენ<sup>11</sup> ყოველნი დიდებულნი განზრახვითა რუსუდანისათა და უფრორე ამისთვის, ვინათგან მათ არა მოაცთუნიან კაცნი და არცა სიცრუე აღმოვიდოდა პირით მათით.<sup>182</sup>

ხოლო ოთხთა ამათ ნოინთა<sup>12</sup> განიყვეს ქვეყანანი ესე და აღიღებდნ ხარკსა. და შემდგომად წარვიდნ ყიაზდინ სულტანსა ზედა და წარიტანეს ქართველთ სპანიცა. სძლეს სულტანსა და დამმორჩილეს მათ და სადა ქარ-  
თველთ აჩვენეს დიდი სიმზნე. და უყვარდათ ქართველნი ნოინთა, და მოიქცენ დიდითა ალაფითა საესენი საქართველოდევ.

მაშინ მომკვდარ იყო ჩინგიზ და ძე მისი ოქროფა, ძე ოქროფასი ქუქ-  
ხოლო აწ იჯდა მანგუ.

ეამსა ამას მოვიდა რუსუდან, ზავ-ყო ნოინთა თანა [83] და წარავლინა დავით, ძეჲ თვისი, ნოინთა თანა, რომელსა ახლდენ ყოველნი დიდებულნი ამერ-იმერნი. და მათ შეიწყნარეს იგი დიდითა დიდებითა და პატივითა და  
30 უწოდეს ნარინ<sup>13</sup> დავით (ნარინ<sup>13</sup> ესე იგი მოსრული). გარნა ნოინთა მათ ვერ დაუმტკიცეს მეფობაჲ და წარავლინეს ბითუ ყაენისა წინაშე. მუნ ჰპოვა ავაგ ათაბაგი, რომელი უწინარეს დავითისა წარსრულ იყო. ხოლო ბითუ ყაენმა პატივით შეიწყნარა და შემდგომად ორისა წლისა წარგზავნეს ყარაყურუმს მანგუ ყაენისა და მანცა პატივით შეიწყნარა.

ამის მსგენელი რუსუდან ძისა თვისისა შორს ყოფისათვის<sup>14</sup> განილეო-  
და, დასნეულდა და მოკვდა თფილისს წელს ქრისტესით 1237. და იმეფა  
წელნი 27.<sup>183</sup>

ხოლო ვინათგან არავინ დაშთა ნათესავი მეფეთა და იყვნენ ორნი ძმანი,  
40 დავით, ერთი ყარაყურუმს მანგუ ყაენთან, ხოლო მეორე ყიაზდინ სულტან-  
თან, ამისთვის განიყვეს ივერიაჲ ოთხთა ნოინთა და მიათვალეს ამათ: ეგრა-  
სლან ბაკურციხელსა მიათვალეს ლაშკარნი ჰერ-კახთა თბილისიდამ შამახის

<sup>1</sup> წარგარა B. <sup>2</sup> წვედელუნი BC. <sup>3</sup> ფარვიდა A. <sup>4</sup> ჯალადინ ABC. <sup>5</sup> ჯალადინ A, ჯალადდინ BC. <sup>6</sup> მოკლა AC. <sup>7</sup> მოკლეს A. <sup>8</sup> ჩინგისისა BC. <sup>9</sup> წარმოგზავნილთა A. <sup>10</sup> და—A. <sup>11</sup> მიეხდუნენ BC. <sup>12</sup> ნოინთაგან A. <sup>13</sup> ნარ ABC. <sup>14</sup> ყოფისათვის B.

ზომადე; შანშეს ნამული თვისი და ავაგ ათაბაგისა, ვინათგან<sup>1</sup> ავაგ ათაბაგი<sup>2</sup> იყო ყაენისა<sup>3</sup> წინაშე; ვარამ<sup>4</sup> გაგელს<sup>5</sup> ყოველი სომხითი; გრიგოლ სურამელს ქართლი; თორელს გამრეკელს ჯავახეთი, სამცხე კარნუ ქალაქამდე; ცოტნე დადიანსა ყოველი ლიხთ-იზერეთი, ვიდრე ნიკოფსამდე<sup>6</sup>; რაქის ერისთავსა რაქა და მიძღვონი მისნი.<sup>164</sup>

ხოლო ეამსა ამას შუქრბენ 'ყოველნი დიდებულნი [84] ივერისანი<sup>7</sup> და სცენს, რომელ დავით ძე ლაშასი ცოცხალ არს მღვიმესა შინა გველთა თანა აზისთვის მივიდენ ყოველნი ნოინთა თანა და გამოითხოვეს მეფედ დავით ლაშას ძე და რუსუდანის ძე არა განუტონ, და აღუთქვეს მორჩილება და მსახურებანი. მცნობთა ამისთა ნოინთა წარგზავნეს ანგურგ<sup>8</sup> და წარატანესთ 10 სარგის თმოგველი და სთხოვეს 'დავით ლაშას ძე სულტანსა<sup>9</sup>. მსმენელი აზისი სულტანი განკვირდა სიციცხლესა მისსა და არა დაირწმუნა. გარნა მოიყვანეს მონა დავითისა სოსნა<sup>10</sup>, რომელი მიუტანდა პურსა, და მან სთქვა სიციცხლე დავითისი. მაშინ ნება სცა სულტანძან. და აღმოიყვანეს დავით გველთა თანა მყოფი ხუთსა წელსა. ხოლო, აღმოიყვანეს რა, განბანეს და შემოსეს სამოსი 15 საწეფო. და უძღვნა სულტანშაცა<sup>11</sup> მრავალი და სთხოვა არა მოხსენებად ძვირის<sup>12</sup> შემთხვევისა მის. მაშინ წარმოემართენ და მიიწიენენ საზღვართა საქართველომასათა, როგვებნენ ყოველნი დიდებულნი ქართლისანი და მოიყვანეს ნოინთა თანა. ხოლო ნოინთა მათ პიტეისცეს დიდათ, გარნა შეფობა ვერცა მას დაუმტკიცეს და წარგზავნეს ესეცა ბითუსა. და წარყვენ წარჩინე- 20 ბულნი თვისნი. ხოლო ბითუმ პატრიეთა წარგზავნა მანგუ ყაენისა თანა, სადა იყო დავით ძე რუსუდანისა, და ყვინძან თუმცა დიდითა პატრიეთა შეიწყნარა და იყენენ ორნივე დავით წინაშე მანგუ ყაენისა. ეამსა ამას მოკვდა<sup>13</sup> მანგუ ყაენი და იქმნა ძე მისი ყუბულ ყაენად.

ხოლო [85] იქმნა ცილებაა ორთა დავითთა შორის. ლაშას ძისანი იტყო- 25 დენ: „ჯერ არს შეფობა ძისა მეფისა და შემკვიდრისა“. ხოლო ნარინ<sup>14</sup> დავითისანი იტყოდენ: „თუმცა იყო ღედაკაცი, გარნა იყო მეფე, და ჯერ არს შეფობა ამისი“<sup>15</sup>. მაშინ გამსჯელმან ყუბულ ყაენმან უბოძა ორთავე მეფობა და წარმოგზავნა ქართლს. და მოეგებნენ დიდებულნი საქართველომასანი. შემოვიდენ თბილისს და დასაღდენ სანეფთა<sup>16</sup> ტახტთა ზედა ორნივე წელს 30 ქრისტესით 1244 და იკურთხნეს ორნივე მეფედ.

86. ხოლო მეფობდენ ესე ორნი დავითნი სრულსა სიყვარულსა ზედა, და ოდეს ვასცემდიან სიგელსა ანუ წყალობასა ანუ უქაზ-როარტავსა<sup>17</sup>, ორნივე ზელსა მოაწერდენ. გარნა უპირველესობდა ძე ლაშასი და ეამითცა იყო უხუცესს. ხოლო ლაშას ძე იყო ტანად დიდი და მხნე, ახოვანი და მოისარი მაგ- 35 რითა მშვილდითა და უძანკო და წრდელი, ხოლო ძე რუსუდანისა -- ტანად ზომიერი, ენატკბილი, უხვი<sup>18</sup>, მდაბალი და ძერხითა მსწრაფელი. ხოლო ესე ორნი დავით მარადის იყვიან წინაშე ულუ ყაენისა. და უყვარდა ყაენს ლაშას ძე და არა ძე რუსუდანისა. ამისთვის შეიპყრა ძე რუსუდანისა ყაენმან და წარგზავნა ბარდაგს. გარნა გზასა ზედა გაიქცა იგი და წარვიდა აფხაზეთს. 40 მიეწია რა ნარინ დავით ქვეყანასა ავაგ ათაბაგისასა<sup>19</sup>, მუნთ დიდის პატი-

<sup>1</sup> ავაგ ათაბაგისა ვინათგან — A. <sup>2</sup> ათაბაკი AC. <sup>3</sup> ყაენისა BC. <sup>4</sup> ვარა ABC. <sup>5</sup> მაგელს ABC. <sup>6</sup> ნიკოფსამდე...<sup>7</sup> ივერისანი BC. <sup>8</sup> ანგურ ABC. <sup>9</sup> სულტანისა AC. <sup>10</sup> სოსანა ABC. <sup>11</sup> სულტანშაცა A. <sup>12</sup> ძვირისა B. <sup>13</sup> მოკვდა A, მოკუდა BC. <sup>14</sup> ნარ ABC. <sup>15</sup> მისი A. <sup>16</sup> სანეფთა AC. <sup>17</sup> როარტავსა B. <sup>18</sup> უხვი + და A. <sup>19</sup> ათაბაგისასა AC.

ვით [86] წარავლინა სუმბათ ორბელიანმან აფხაზეთად. და მივიდა ლიპარიტ თორელისა თანა და ლიპარიტ წარმოიყვანა და მოვიდენ ქუთათისს<sup>1</sup>, სადა მოეგებნენ ყოველნი იმერნი<sup>2</sup> და აკურთხეს მეფედ.

ამიერითგან<sup>3</sup> იქმნა გიორგიაჲ ანუ ივერიაჲ ორ სამეფოდ, ვინათგან  
5 იმერნი დაშინენ ლაშას ძესა, ხოლო ამერნი<sup>4</sup> ძესა რუსუდანიისასა, ნარინ<sup>5</sup> დადვისი, და იწოდა მეფედ იმერთა წელს ქრისტესით 1246.

ამათ ვამთა ყაენმან ბითუ, რომელსა ეპყრა ხატაეთი დარუბანდამდე და რუსეთი ერთდრე სერბიამდე<sup>6</sup>, მიუწოდა ლაშას ძეს<sup>7</sup> დავითს. და წარვიდა დავით ყაინთანა. ხოლო მისრულსა დავით უბოძა მეფემან<sup>8</sup> სურგუჯი<sup>9</sup> (ესე  
10 იგი ქოლგა, რომელსა ვერვინ იქონებდა ყაინთა მეტი) და ყოველთა ნოინთა უპირველესად წარმოავლინა საქართველოდვე დიდითა პატივითა. და მოვიდა დავით თბილისადვე.

შემდგომად ამისა წარვიდა დავით ულუ ყაენისა თანა დიდითა ძღენითა, ხოლო მან შეიწყენარა დიდისა პატივითა და დაადგინა ზემოდ ყოველთა ნო-  
15 ინთა.

უამსა ამას აღმხედრდა ულუ ყაენი და წარვიდა აღებად ბაბილოენისა. მისრულთა ვერ წინააღმდეგმან ხალიფამან განამაგრა ციხე და ქალაქი ბაბილოენისა. მაშინ მოადგენ გარს ერთის მხრით ყაენი, ერთის მხრით ენგინ<sup>10</sup> ნოინი და ერთის მხრით დავით მეფე ქართველთ მხედრობათა. [87] მაშინ  
20 ბრძანებთა დავითისათა შესთხარეს ზღუდე ქალაქისა და აღიღეს ციხეჲ და ქალაქი მოსრინეს, მოსწყვიდნეს ხალიფაცა ძეებით. და დაიპყრა ულუ ყაენმან ბაბილოენი. ხოლო დავით მეფე მოვიდა დიდისა ალაფითა გამარჯვებული<sup>9</sup> ტუილისს<sup>10</sup>.

ამასვე წელსა წარმოავლინა ბითუ ყაენმან აღმწერელი ქვეყნისა<sup>11</sup> სახე-  
25 ლით არლუნ. და ოდეს აღწერა ყოველი საბრძანებელი ყაენისა და რა მოიწია საქართველოდ, აღწერა რა ყოველი სამფლობელო დავითისა, მაშინ გამოვიდა დავითის სამფლობელოდამ: ათას<sup>12</sup> კვამლსა ზედა ერთი მოლაშქრე<sup>13</sup> რომ გამოვიდოდა, ოთხასი ათასი მოლაშქრე<sup>14</sup> კაცი იქნებოდა<sup>15</sup>. მაშინ დასდვა<sup>16</sup> ხარკი საქართველოსა არლუნ<sup>17</sup>, გარნა სამღველოთა ზედა არარაჲ დასდვა  
30 ხარკი და არცა სხვათა სჯულისთავთა ზედა.

შემდგომად ამისა წარვიდა ულუ ყაენი<sup>18</sup> მისრეთს და წარიტანა დავით, სადა იყო მეწინავეთ მხედართმძღვანი თვისითა გიორგიელთ სპითა. მაშინ მოეგება სულტანი ეგიპტისა მდინარესა<sup>19</sup> ზედა ეფრატსა. და იქმნა მეწინავეთაგან ბრძოლა ძლიერი და სძლეს ეგიპტელთა სპათა წინამავალმან დავითი-  
35-სამან დავითის სარდლობითა. მეჩვეთ წარვიდა ყაენი შამს და შეამდინარეს და აღიღო ყოველი, ხოლო დავით, ნებითა ყაენისათა, უქმოიქცა თბილისადვე დიდი განარჯვებული<sup>20</sup> დიდითა [88] ალაფითა.

გარნა მწუხარე იყვენ<sup>21</sup> ყოველნი დიდებულნი დავითისანი, ვინათგან ცოლმან დავითისამან ჯიგრა-ხათუნ<sup>22</sup> არა უშუა<sup>23</sup> ძე დავითს. ამისთვის მეფე-  
40 მან მოიყვანა ოვანთ მეფის ქალი და აღსთქვა, ოდეს უშვას<sup>24</sup> ძეჲ, შემდგომად

<sup>1</sup> ქუთათის ABC. <sup>2</sup> ამერნი AC. <sup>3</sup> ამიერიდგან B. <sup>4</sup> ნარ ABC. <sup>5</sup> სერბიადმდე B.

<sup>6</sup> ძესა B. <sup>7</sup> სურგუჯი ABC. <sup>8</sup> ენგო ABC. <sup>9</sup> გამარჯვებულნი B. <sup>10</sup> თბილისი A, ტუილის C.

<sup>11</sup> ქუქუტისა BC. <sup>12</sup> ათს B. <sup>13</sup> მოლაშქრე AB. <sup>14</sup> მოლაშქრე AC. <sup>15</sup> იქმნებოდა BC. <sup>16</sup> დასდვა A.

<sup>17</sup> არლუნ A. <sup>18</sup> ყაენი B. <sup>19</sup> მდინარეთა ABC. <sup>20</sup> გამარჯვებულნი B. <sup>21</sup> იყვნენ AB. <sup>22</sup> ჯიგრა-  
ხათუნ ABC. <sup>23</sup> უშუა B. <sup>24</sup> უშვას B.

ჯანუტეოს. და შემდგომად ქორწილისა ალთუნ, ოვსთ მეფის ასულმან უშვა დაეითს ძე გიორგი, და აღიყვანა შვილად თვისად ჯივრა-ხათუნ. კვალად უშვა ალთუნ მეფესა ასული თამარ. და შემდგომად ალთქმისაებრ განუტევა მეფემან ალთუნ. და შემდგომად მოკუდა დედოჯალი ჯივრა-ხათუნ. და შეირთო ნაცოლარი ავაგ ათაბაგისა გვანცა. მიუღდა მეფე გვანცას და შვა ძე 5 დიმიტრი.

ჯანსა ამას დიდი მწუხარება იყო საქართველოსა შინა ყვინთაგან ხარკის აღებითა და მრავლითა ლაშქრობითა<sup>1</sup>, რამეთუ არღუნს აღმწერელსა დაედგინა ხარკისა ამღებელად ხოჯა აზიზ, რომელი სამხარეულოსადა ზედა მეფისასა აღიღებდის ხარკსა. ამისთვის განსდგა მეფე ყაინის მორჩილებისაგან. და 10 მრავალნი ქართველნი დაადგრენ ერთგულებასა ზედა ყაენისასა. მცროზმან ყაინმან წარმოავლინა მეფესა ზედა ზემოხსენებული არღუნ 20 ათასითა ზედდრებითა და მასთანა ერთგულნი ქართველნი ყაენისანი. მაშინ მეფემან შეიკრიბნა მესხნი და რაოდენნი ქართველნი, [59] დაუწყო ბრძოლა არღუნს, გარნა სიმცირისა გამო სპისათა<sup>2</sup> ვერ წინა აღუდგა მეფე და იელტოდა, ხო- 15 ლო არღუნ იწყო ტყვენვაჲ მესხთა, გარნა უსწრო ამბავმან ყაენისამან და უქუნიქცა.

ხოლო განუზრახა სარგის ჯაყელმან მეფესა, და წარვიდა იმერეთს ნარინ<sup>3</sup> დაეითისა თანა. მაშინ ნარინ<sup>4</sup> დაეითმან მიიღო დავით მეფეჲ დიდითა პატრივითა. მაშინ განიყვენ წარჩილებულნი იმერეთისანი, და ენება რომელ- 20 სამე ნარინ<sup>5</sup> დავით მეფედ და რომელსამე ლაშას ძეჲ დავით. და იყო შლილობა ჟამ-რაოდენმე. გარნა დადიან-ბედიელი<sup>6</sup> 167), რომელი იყო კაცი კეთილი, დაადგრა ნარინ<sup>7</sup> დავითის ერთგულებასა ზედა და ამისთვის ვერ მიუღეს ნარინ<sup>8</sup> დავითს მეჯობაჲ<sup>9</sup>. ამისთვის განიყვენ მეფეთა ქვეყანანი და ქალაქნი ქუთაისი და ტფილისი ორად. საჭურჭლე ორად; არამედ ხომლის 25 ქვაბსა შინა რაცა იყო, მცირედი განიყვენ და სხვა დაუტევეს მუნვე; ხოლო ჯაკვი სალამაზო და თვალი<sup>10</sup> იგი პატოსანი და მარგარიტი უსასყიდლო დარჩა ნარინ დავითს და იმერეთი<sup>11</sup> და შემდგომნი მისნი, ხოლო საქართველო და შემდგომნი მისნი—ლაშას ძეს დავითს.

და იქმნა სამეფო ესე ივერიისა ორ სამეფოდ წელს ქრისტესით ათას 30 ორას ორმოცდაცხრამეტს<sup>12</sup>. 168)

ხოლო მეფე დავით ლაშას ძე იმყოფებოდა იმერეთს შიშისათვის ყაენისა. და დედოჯალი გვანცა და ძე მისი ტყვედ ყავდა ყაენსა. და არა იყო [90] მეფე საქართველოსა შინა, არამედ ნოინნი განაგებდენ საქმესა საქართველოსასა. მაშინ უზრებანა ყაენმან ნოინთა, რათა ყონ<sup>13</sup> ზავი მეფისა დავითისადმი 35 წარმოგზავნეს დეჰანანი მშვიდობისათვის წინაშე დავით მეფისა. ხოლო დავით პასუხებდა: „მე დაუტევე საქართველოჲ ხოჯა აზიზისა მიზეზითა. აწ მოიციეს ყვინმან<sup>14</sup> ცოლი ჩემი გვანცა და ძე ჩემი დიმიტრი და ხოჯა აზიზ და ვიქმნები მორჩილ ყვინობისა მისისა“. ხოლო სიტყვისა ამისთვის, ხოჯა აზიზისა მიცემისათვის მრისხანებდა დიდათ ყაენი და ლამოდა სიკვდილსა ძისა მეფისა- 40 სა. მაშინ ძვეიდა ყაენისა თანა ენუქარქუნ<sup>15</sup>, რომელი იყო კაცი<sup>16</sup> კეთილი და ქრისტიანი, და მასთანა ტუნლულხათუნ<sup>17</sup>, რომელი იყო ასული კეისრი

<sup>1</sup> ლაშქრობითა AC. <sup>2</sup> სითა A. <sup>3</sup> ნარ ABC. <sup>4</sup> ნარ ABC. <sup>5</sup> ნარ ABC. <sup>6</sup> დადიან-ბედიელ A. <sup>7</sup> ნარ ABC. <sup>8</sup> ნარ ABC. <sup>9</sup> მეფობა B. <sup>10</sup> თივა A. <sup>11</sup> იმერეთნი B. <sup>12</sup> 1200 ორმოცდაცხრამეტს A. <sup>13</sup> უყონ A. <sup>14</sup> ყაენმანან A. <sup>15</sup> ენუქარქუმ ABC. <sup>16</sup> კაცი + იყო კაცი A. <sup>17</sup> ტურულულხათუნ ABC.



სა, <sup>189</sup>) და მოახსენეს ყვინსა: „რაჲ არს, დიდო ყვინო, არა უწყია <sup>1</sup>, რამეთუ წინასწარმეტყველთა, რომელთა ღმერთი ეტყოდა, მისნი ნათესაენი არიან ბაგრატოვანი? და აწ სიკვდილი <sup>2</sup> გიბრძანებოეს ამისთვის <sup>3</sup>, სცოდავ <sup>4</sup> ღვთისადმი! და კვალად უწყოდე, რამეთუ დიდის ბათოს დესპანნი მეფისა  
5 დაეითის წინაშე არიან და სთხოვეს გზასა დარიელისასა შენ ზედა“. ამავითა-  
რითა საუბრითა დამშვიდებულმან ყაენმან წარუგზავნა ძენი თვისნი <sup>5 170</sup>) და  
ხოჯა აზიზ ენუქარქუნის <sup>6</sup> ხელითა მეფესა. და მოართვეს ქვიშხეთის ბოლო-  
სა. და ხოჯა აზიზს <sup>7</sup> მოჰკვეთა <sup>8</sup> მეფემან თავი და წარგზავნა ტფილისს [91]  
სამხილვებლად სხვათა.

10 და თვით წარვიდა ყვინისა თანა <sup>9</sup> წინაძლოძითა ენუქარქუნისათა; ესმა  
რაჲ წასულა <sup>10</sup> მეფისა სარგის ჯაყელსა, იგოცა წარმოვიდა მეფისა თანა  
მოქმელი: „მევენოს—მისთანა, და არა მევენოს—მისთანა“. მხილველსა მეფესა  
სარგის ჯაყელისა იამა დიდათ და მიუბოძა ქვაბლოვანი და ტბეთის ეკლესია.  
და წარვიდენ ზოგად ყაენისა თანა. და რა მივიდა მეფე ყაენისა თანა, შეი-  
15 წყნარა პატივით და კითხვედა განდგომისათვის <sup>11</sup> ყვინი. გარნა ვინათგან იყო  
მეფე ენა-ბრგვნილ <sup>12</sup>, ნაცულად მისა <sup>13</sup> მიუგებდა სარგის უშიშრად.

ესამსა ამას გამოვიდა ბერქა ყაენი დიდითა სპითა დარუზანდით. ხოლო  
ულუ ყაენი წარვიდა მეპირდაპირედ მისსა. და იყო წინამაველთა სპათა თანა  
სარდლად დაეით მეფე, და სარგის თვით <sup>14</sup> მასთანა <sup>15</sup> დააყენა ყვინმან თვის-

20 თა <sup>16</sup> რაზმთა შინა. ხოლო მიმავალთა სპათა შორის წარხლტა ყურდგელი,  
უსწრო ყოველთა და მოკლა <sup>17</sup> სარგის; წარხლტა მელი და მოკლა <sup>17</sup> სარგის;  
წარხლტა შველი, უსწრო ყოველთა და მოკლა <sup>17</sup> სარგის. ამავითართა სიკის-  
კასისა მხილველმან ყვინმან შეიყვარა დიდათ სარგის. ხოლო ეახლენ რა რაზმი  
ურთიერთას, გამოვიდა მუნიდამ კაცი საშინელი დიდი, რომლისაგან შეშინ-

25 დენ ყოველნი მხილველნი. მაშინ განიყენა მეფემან ცხენი, სტყოოცა ისარი  
კაცსა მას, დასცდა კაცსა, [92] ეცა ცხენსა მკერდსა და დაეცა. მაშინ ერთ-  
ხმობით შეუტივეს ქართველთა და სხვათაცა. და იქმნა საშინელი ბრძოლა,  
სადა იბრძოდა სარგის ძლიერად წინაშე ყაენისა. შემდგომად ივლტოდენ  
ბერქასნი და სდედდენ უკანა და ხოცდენ ულუ ყაენისანი. მაშინ დევნასა შინა

30 დაშთა მარტო ყაენი ულუ, მოუხდენ ოთხნი <sup>171</sup>) შექურვილნი კაცნი ბერქასნი  
და ლამოდენ სიკვდილსა <sup>18</sup> ულუ ყაენისასა. მხილველმან ამისმან სარგის მოუხ-  
და მათ შვიდთა, ოთხნი მოჰკლნა და სამნი გარდაეხვეწნენ და იხსნა ყაენი  
სიკვდილისაგან. მოიქცენ გამარჯვებულნი. და ესევეთარისა სახელოვანისა  
მამაკობისათვის <sup>19</sup> მეფეთა და სპათა მისთა მიანიჭნა ყაენმან მრავალნი დი-  
35 დებანი, და სარგისს <sup>20</sup> უბოძა კარნუ ქალაქი თვისით გარემოთი.

გარნა შეიშურვა მეფემან, და სათნოებისათვის <sup>21</sup> მეფისა არღა მისცა  
ყვინმან სარგისს <sup>22</sup> კარნუ ქალაქი. და ანისთვის გულკლებულ იქმნა სარგის მე-  
ფესა ზედა.

უქმოიქცა მეფე ნებითა ყაენისათა ნიკებული დიდათ და მოვიდა საქარ-  
40 თველოდ.

<sup>1</sup> უწყია | B. <sup>2</sup> სიკვდილი B. <sup>3</sup> ამისთვის B. <sup>4</sup> სცოდავ AC. <sup>5</sup> თქნი A. <sup>6</sup> ენუქარქუნის ABC.  
<sup>7</sup> აზიზ ABC. <sup>8</sup> მოკვეთა B. <sup>9</sup> თანა—A. <sup>10</sup> წასულა A. <sup>11</sup> განდგომისათვის B. <sup>12</sup> ბრგვილ BC.  
<sup>13</sup> მისსა A. <sup>14</sup> თვით B. <sup>15</sup> მისთანა B. <sup>16</sup> თქსთა BC. <sup>17</sup> მოკლა A. <sup>18</sup> სიკვდილსა B. <sup>19</sup> მამა-  
კობისათვის B. <sup>20</sup> სარგის A. <sup>21</sup> სათნოებისათვის A. <sup>22</sup> სარგის AB.

ეამსა ამას მოკვდა<sup>1</sup> გვანცა დედოფალი თათართა შინა, რომელი მო-  
წამლა ასულმან თვისმან<sup>2</sup> ხვაშაქ. და მეფემან იქორწინა დიდის ნოინის ქორ-  
მალის<sup>3</sup> ასულსა ესუქანსა თანა ტფილისს<sup>4</sup> დიდებითა დიდითა.

ხოლო ეამსა ამას განდიდდა ქყონდიდელი [მშ] ვასილი და დაიწყო სა-  
ურავი ვითარცა მეფემან, და თანა-ეყო ესუქან<sup>5</sup> დედოფალსა. ამისთვის<sup>6</sup> მოპ- 5  
კლა იგი<sup>7</sup> მეფემან.

მოკვდა ეამსა ამას ულუ ყაენი და იქმნა ყაენად ძე მისი აბალა<sup>8</sup>, რომე-  
ლი იყო კაცი მკვერმეთქვი<sup>9</sup> და სხვითაცა საქმითა კეთილ.

ხოლო ეამსა ამას მოუწოდა სარგის ჯაყელსა მეფემან ტფილისს და,  
არლარა მომხსენებელმან მსახურებისა მისისამან, შეიპყრა იგი და პატიმარ 10  
ჰყო. და ოდეს სცნა ყაენმან აბალა, განატყვევებინა სარგის მეფესა. და მიერთ-  
გან იქმნა განდგომილებად შესხთა ვიდრე ბრწყინვალე გიორგი მეფისამდე.

იჭყვიან დავითისათვის<sup>10</sup>, რომ სიბერისა ეამსა მიდრკაო, ვითარცა სო-  
ლომონისათვის სწერენ. რამეთუ ხელ-ყო შლად ეკლესიათა, მამულთა და შე-  
წირულებათა. ამისთვის<sup>11</sup> სამხილებულად ღვთისა მიერ დასწულდა ძე მისი 15  
გიორგი და მოკვდა.

ხოლო ოდეს აღდგა თენგუთარ<sup>12</sup>, ძმა აბალა ყაენისა, რათა მიუღოს  
ყაენობა აბალას და გამოილაშქრა<sup>13</sup> და დადგა მთასა სამცხისასა<sup>14</sup>. მაშინ წა-  
რავლინა თორმეტი ათასი ზხედარი<sup>15</sup>, რათა შემუსრონ და მოაოხრონ მონას-  
ტერი იოანე ნათლისმცემელისა, რამეთუ ჰგონებდნენ მას შინა საუნჯესა წრა- 20  
ვალსა. მაშინ მოაწია მათ ზედა წინამორბედმან სენზო ბნელისა და კვალად  
სეტყუა და წვიმა მძაფრი, რათა აღივსო ხევი იგი წყლითა და წარიმ[ი]ტაცა  
ზედღარნი იგი სრულიად და შერთო ზღვასა, და მცნობად განერა ნხოლოდ  
ერთი კაცი, რათა აუწყა თენგუთარს<sup>16</sup>, რამეთუ ადგილი იგი ღვთისა არს და  
არაეის ძალუეს ენებად მისა. 25

ხოლო თენგუთარ<sup>17</sup> აოტა ძმამან მისმან აბალა ყაენმან და ლტოლვილ-  
ნან გარდაელო მთაჲ აჭარისა, განელო ქოროხი და მივიდა სამეფოსა ნარინ<sup>18</sup>  
დავითისასა. მოეგება ნარინ<sup>19</sup> დავით, ისტუმრა კეთილად და ნადიმსა ზედა  
დაუდგა 500 ზროხა და ლაშქართა<sup>20</sup> მისცა საზრდელად 600 ცხენი, 150  
ზროხა, 1000 ცხოვარი, 1000 ღორი, ხოლო ღვინო—ქურითა და ურმებითა, 30  
რომლისა სიმრავლისათვის<sup>21</sup> განკვირდნენ თათარნი. ხოლო ცოლმან დავითის-  
წან, რომელსა ესეჲ ასული მიხაილ პალეოლოლოსისა<sup>17:2)</sup>, კვისრისა, ცოლსა  
თენგუთარისასა<sup>22</sup> განუსვენა.

შემდგომად ამისა მოვიდა ნარხა<sup>23</sup> ყაენი ხვარასანს. წარვიდა აბალა  
მას ზედა და წარიტანა ლაშას ძე. და იყო ლაშას ძე<sup>24</sup> კვალად ჩვეულები. 35  
სამებრ<sup>25</sup> მცწინავეთ სარდალი. და იქნნა ბრძოლა ძლიერი და აოტეს ბარხა<sup>26</sup>  
და მოსწყვიდნეს სპანი<sup>27</sup> მისნი.

ეამსა ამას გარდმოვიდა<sup>28</sup> თენგუთარ<sup>29</sup> და მოვიდა ლომისას<sup>30</sup> თავს  
ლადოსა ზედა. მსმენელი აბალა ყაენი წარმოემართა და მისცა მრავალნი

<sup>1</sup> მოკვდა B. <sup>2</sup> თუმან B. <sup>3</sup> კორბალის ABC. <sup>4</sup> თბილის B. <sup>5</sup> ესუქა ABC. <sup>6</sup> ამისთვის B. <sup>7</sup> იგი—A. <sup>8</sup> მისი აბალა—A. <sup>9</sup> მკვერ-მეთვი A. <sup>10</sup> დავითისათვის B. <sup>11</sup> ამისთვის B. <sup>12</sup> თენგუთარ ABC. <sup>13</sup> გამოილაშქრა A. <sup>14</sup> სამცხისასა A. <sup>15</sup> ზხედარი B. <sup>16</sup> თენგუთარს ABC. <sup>17</sup> თენგუთარ ABC. <sup>18</sup> ნარ ABC. <sup>19</sup> ნარ ABC. <sup>20</sup> ლაშქართა BC. <sup>21</sup> სიმრავლისათვის B. <sup>22</sup> თენგუთარისასა ABC. <sup>23</sup> ბარხა ABC. <sup>24</sup> და იყო ლაშას-ძე—A. <sup>25</sup> ჩვეულებისებრ BC. <sup>26</sup> ბარხა ABC. <sup>27</sup> სპანი—A. <sup>28</sup> გამოვიდა A. <sup>29</sup> თენგუთარ ABC. <sup>30</sup> ლომის ABC.

ნარინ<sup>1</sup> დავითს, რათა ლტოლვილი თენგუთარ<sup>2</sup> არა მიუშვას მისთანა. და მიიზიდა ნარინ<sup>1</sup> დავით მისდა აბალამ და შემდგომად აოტნა სპანი თენგუ-  
თარისანი<sup>3</sup>. [96] და შეიპყრა თენგუთარ<sup>2</sup>, გარნა არა ავნო და განუტყუა  
თენგუთარ<sup>2</sup> აბალა ყაენმან.

5 ეამსა ამას დასნეულდა და მოკვდა დავით მეფე, ძე ლაშასი, წელს ქრის-  
ტესით 1269 და იმეფნა წელნი<sup>4</sup> 26. და იტყვიან მეუღლისა მისისა ესუქან  
დედოფლისაგან მოწამლვასა შურისათვის ვასილი ჭყონდიდელისა.

10 ხოლო ეამსა ამას განდგა ნარინ<sup>1</sup> დავითისაგან რაჭისა ერისთავი სა-  
დუნი კახაბერი<sup>173</sup>) და მივიდა ყაენისა თანა. ორჯელ მოსცა სპანი მრავალნი  
ყაენმან სადუნსა. და ნარინ დავითს<sup>5</sup> ორჯელ დაესხა ქუთათის<sup>6</sup> მყოფსა  
უგრძნულად, გარნა წყალობითა ლეთისათა ორჯელეე განერა ნარინ<sup>1</sup> და-  
ვით. და თათართ მოაობრეს ეკლესიანი და ქვეყანანი და წარვიდენ.

15 გარნა განდიდდა დიდათ კახაბერი სადუნი ყენისაგან და მეწყეთაგან-  
ცა და წარიყვანა დიმიტრი, ძე დავითისა, ყენითა<sup>7</sup> თანა. და ყენმან უბოძა  
მეფობაჲ დიმიტრის სომხითარ-ქართველთა, ჰერ-კახთა, ჯაეახთა, ტაოელთა,  
თენიერ სარგის ჯაყელისა, და აკურთხეს მეფედ დიმიტრი, ძე დავითისა.<sup>174</sup>)

ხოლო განდიდნა სადუნი და უბოცა მეფემან ათაბაკობა, რომელსა ყვან-  
და ცოლად ასული ავაგ ათაბაკისა ხვაშაგ. ესე სადუნი კახაბერი იყო ძლიერ-  
რი, მხნე, ასოვანი, რომელმან ჰკადრა<sup>8</sup> ყენისა: „უკეთუ სამბრძანებელსა შინა  
20 იპოვებინ<sup>9</sup> კაცი ესეთი, რომელ მერკინოს, ანუ მედგინოს, ანუ ისარი განა-  
სროს<sup>10</sup> [96] ჩემისა ოდენი!“. და არავინ გამოჩნდა მდარი მისი.

67. და იყო ესე დიმიტრი მეფე, რომელსა უწოდებდენ<sup>11</sup> თავდადებულს,  
მხნე, ასოვანი, მვენიერი, სამხედროთი სრული, ლეთის მსახური, მოწყალე,  
25 მლიაკავი, რამეთუ ღამე თეითმწველი<sup>12</sup> 175) ხელითა თვისითა მისცემდა გლა-  
ხაკსა საქმოსა.

ხოლო ეამსა ამას წარვიდა აბალა ყაენი ეგვიპტეს<sup>13</sup>, სადა ახლდენ ქარ-  
თველნი, და ბრძოლასა შინა მიიღეს დიდი სახელოვნება ქართველთა.

ეამსა ამას მისცეს აწყვერი სარგის<sup>14</sup> და ცნეს მისსა ბექას. და განდიდ-  
და დიდათ სარგის ჯაყელი, სამცხის სპასალარი, და დაიპყრა მან და ძემან  
30 ნისმან ტაშის-კარიდამ კარუნ-ქალაქამდე. და იყო სარგის ლეთის მსახური  
ყოვლითავე და მსახურებდა ყაენსა და მორჩილებდა დიმიტრი მეფესა.

ხოლო დიმიტრი მეფე იყო ხელთა შინა სადუნი კახაბერისასა, რომელსა  
მიუბოძა დანიისი, და იგი განაგებდა ყოველსა საქმესა სამეფოსა. მოიყვანა  
მეუფემან ტრაპიზონიანი მეფის ასული ცოლად და შვა მისთანა ცენი<sup>15</sup> დავით  
35 და ვახტანგ.

ამათ ეამთა ნარინ დავით მეფემან იმერეთისამან მრავლისა<sup>16</sup> ორგულე-  
ბისათვის<sup>17</sup> შეიპყრა რაჭის ერისთავი კახაბერი და დასწვა თვალნი და ძენი  
მისნი წარგზავნა კონსტანტინეპოლად<sup>18</sup> და აღხოცა ნათესავი მისი.

ამათ ეამთა შემოვიდა<sup>19</sup> მრავალი უჯგროება და წინააღმდეგობობა, სჯულ-  
40 თა საღმრთოთა შეება, განცხრომა [97] და შლა ეკლესიათა<sup>20</sup> განწესებისა;

<sup>1</sup> ნარ ABC. <sup>2</sup> თენგუთარ ABC. <sup>3</sup> თენგუთარისანი ABC. <sup>4</sup> წელნი—A. <sup>5</sup> ორჯელ მოს-  
ცა სპანი მრავალნი ყაენმან სადუნსა. და ნარინ-დავითს—A. <sup>6</sup> ქუთათის ABC. <sup>7</sup> ყენითათა A.  
<sup>8</sup> კადრა A. <sup>9</sup> იპოვების A. <sup>10</sup> განასროს BC. <sup>11</sup> უწოდებენ A. <sup>12</sup> თუთ მღვდელი B. <sup>13</sup> ეგვიპტეს  
BC. <sup>14</sup> სარგის ABC. <sup>15</sup> ძენი ABC. <sup>16</sup> მრავლის A. <sup>17</sup> ორგულეებისათვის B. <sup>18</sup> კონსტანტინოპოლად  
ABC. <sup>19</sup> შემოვიდა BC. <sup>20</sup> ეკლესიათა BC.

მეფემან მოიყვანა სამნი ცოლნი და ეგრეთვე სადუნზანცა<sup>1</sup>. ამისთვის ამხი-  
ლვდა კათალიკოსი ნიკოლოზ და აწყვერელი, გარნა არაჟინ უსმენდა. და  
ამისთვის<sup>2</sup> მოიწია რისხვა ღვთისა და იქმნა საშინელი ძვრა<sup>3</sup>, რომელი და-  
იქცა ეკლესიანი<sup>4</sup> ღვთისანი, ციხე-ქალაქნი<sup>5</sup> და ნაშენებნი ყოველნი, რომელ  
აღმობდებოდა<sup>6</sup> კუბრი მიწით. და ესეთი ძვრა<sup>3</sup> იქნა თვით ღვთისა, აღდგო- 5  
მისასა<sup>7</sup> ქრისტეს ღვთისა ჩვენისასა.

ჟამსა ამას მოკვდა სარგის ჯაყელი. და დაიპყრა ძემან მისმან ბექა  
სამცხე.

ხოლო აბალა ყაენმან წარგზავნა სპანი თვისნი<sup>8</sup> დასაპყრობელად ეგიპ-  
ტისა<sup>9</sup> და წარატანა მეფე დიმიტრი და ბექა სპითა მათითა: და იყა მეფე 10  
ქართველი<sup>10</sup> მიწინავეთ მხედრობისა ურიცხვისა. ხოლო ნისრულთა რუ-  
ბაკს<sup>11 176</sup>) მოეგება მეფე ეგიპტისა ნასრ<sup>12</sup> სპითა ძლიერითა და იქმნა ბრძოლა  
საშინელი და სასტიკი, სადა ბრძოდენ ქართველნი საცვირველად და მეფე; და  
მეფესა ბრძოლასა შინა მოუკლეს ცხენი. და შესვა აბაშმან<sup>13</sup> მეფე ცხენსა  
ზედა. 15

და კვლად ეკეთენ და მოსრნეს ქართველთა მხედართმთავარნი ეგიპ-  
ტელთანი და აოტნეს. გარნა თათარნი და მანგუ-დემურ, მხედართმძღვანნი  
სპარსთა ვერა დაუდგენ ესეითარსა ძლიერსა ბრძოლასა და იელტოდენ. და  
ოდეს იხილეს ესე ქართველთა, ესენიცა გამოჰყვენ უკანით და მივიდენ [98]  
აბალა ყაენისა. 20

ხოლო შენდგომად რამოდენისაზე ჟამისა ნოვიდა მოლექსე ერთი და  
იტყოდა წაირითა ბრძოლასა მას ეგიპტელთა და სპარსთასა და აქებდა დი-  
დათ მეფესა დიმიტრის. ამისთვის მისცა ყეინმან მეფესა მრავალი და გამოი-  
სტუმრა თბილისადე.

ჟამსა ამას მოკვდა აბალა ყაენი და იქმნა ყაენად ძე<sup>177</sup>) მისი ახმად. და 25  
წარვიდა მეფე ნისალკავად მისა ყეინობისა და დიდითა<sup>14</sup> პატივითა კვლად  
მოვიდა თბილისს<sup>15</sup>. და მისცა ასული თვისი<sup>16</sup> რუსუდან მეფემან შვილის-  
შვილსა<sup>178</sup>) დიდისა ბუღასასა, რომლისათვის<sup>17</sup> განრისხნა კათოლიკოსი ნი-  
კოლოს და ესეითარისა არაკეთილქცევისათვის მეფისა, რომელი მიდრ<sup>18</sup>  
ყოვლითურთ ქცევად საწარმართოდ, ამისთვის ნიკოლოზ დაუტევა ეკლესია 30  
და აკურთხა კათალიკოზად ჯვარის მტვირთველი თვისი აბრაამ და თვით  
წარვიდა უდაბნოდ, სადა მიიტყალა სანეტარო.

ხოლო მეფესა ამას ამხილვდა უსჯულოებასა და სამთა ცოლთა სხმასა  
კაცნი კეთილნი და ღვთის მოყვარენი და ეგრეთვე პიმენ სალოსიცა გარეჯე- 35  
ლი, გარნა მეფე არა უსმენდა მათ.

ხოლო დიმიტრი მეფესა ესხნეს ძენი ტრაპიზონის მეფის ასულისა თანა  
დავით და ვახტანგ და მანუილ და ასული რუსუდან, ხოლო თათრის ასულისა  
თანა ბაადურ და იედიგარ<sup>19</sup> და ასული ჯიგდა<sup>19</sup>, ბექას ასულისა თანა  
გიორგი მხოლოდ, ვითარცა [99] მარტო რქა, რომლისაცა აღმატებულება  
ქვემოდა<sup>20</sup> ითქმის. 40

<sup>1</sup> სადუნზანცა A. <sup>2</sup> ამისთვის B. <sup>3</sup> ძვრა A. <sup>4</sup> ეკლესიანი BC. <sup>5</sup> ქალაქი BC. <sup>6</sup> აღმობ-  
დებოდა A. <sup>7</sup> აღდგომისა AC. <sup>8</sup> თვის A. <sup>9</sup> ეგიპტისა B. <sup>10</sup> ქართველთა BC, ქართველთა B.  
<sup>11</sup> დარუბაკსა ABC. <sup>12</sup> ნასარ ABC. <sup>13</sup> აბაშმან ABC. <sup>14</sup> დითა A. <sup>15</sup> თბილის AC. <sup>16</sup> თვის B.  
<sup>17</sup> რომლისათვის B. <sup>18</sup> იედიგად ABC. <sup>19</sup> ჯიგდა ABC. <sup>20</sup> ქვემოდა BC.

ხოლო ოდეს განუდგა არლუნ<sup>179)</sup> ყაენსა დარუბანდელი, მაშინ მეფეცა მიიწოდა მუნ. დაადგენ<sup>1</sup> ციხესა მოაელ ეამ და ვერა აღიღეს. უბრძანა ყაენმან მეფესა აღება მისი. მსწრაფლ მეფემან აღიკურვა, მიუტანა შტურმაჲ სპითა ქართლისათა, რომლისა ყოველთა უწინარეს აღვიდა კიბისა თავსა რა-

5 ტი ზეჲს ძე სურამელი და აღიღეს ციხე იგი სიმაჯეცითა ქართველთა.  
ხოლო ეამსა ამას იწყო ყაენმან არლუნ სიკვდილი ნოინთა და დიდთა კაცთა და აღბოცნა ყოველნი ნოინნი. და იხმო ურდოსა ზედა მეფე დი მიტრი რამეთუ იცოდა მეფემან მისვლასა<sup>2</sup> თანა მოკლავს მას. მაშინ შექარიბნა<sup>3</sup> დიდებულნი თვისნი, კათალიკოს-ეპისკოპოსნი და დასჯდა დალიქსა ზედა. და  
10 დასხდენ დიდებულნი წესისაებრ მათისა. მაშინ იწყო მეფემან, ღვთისა სახე-ლითა, სიტყუასა სათნოსა და მქვერბეთქვესა<sup>4</sup> და სთქვა: „მიწოდს ყაენი, ვიცი: უკეთუ მივიდე, მომკლავს. და უკეთუ არ მივიდე, მოსტყვენანეს ქვეყანასა ჩვენსა, დაამხობს ეკლესიასა წმინდასა და მოაკლებს სჯულსა საღმრთოსა<sup>5</sup>. და მე აღვირჩევ, რათა წარვიდე და მოვკვდე<sup>6</sup> ერისათვის და ქვეყანა<sup>7</sup> და  
15 სჯული იქმნას<sup>8</sup> მშვიდობით“. გარნა სიტყუასა ამას ზედა არ თანხჳა იქმნენ დიდებულნი და აწვევდენ, რათა განაჩინოს თავი თვისი. ხოლო მეფემან სთქვა<sup>9</sup>: „მე განვერე და ესეოდენი მოისრენ! მაშინ [100] დავისაჯები<sup>10</sup> მე. და უმჯობეს არს წარუვალი<sup>11</sup> სუფევა, ვიდრე წარმავალისა. აწ უკვე წარვალ. უკეთუ დავრჩე, კეთილ, უკეთუ არა – დავსდვა სული ჩემი ერისათვის<sup>12</sup>, ვითარ-  
20 ცა დასდვა ქრისტემან ჩემთვის“. მაშინ ერთხმობით ჰრქვეს კრებულთა სამ-ღდელოთა: „ჩვენ თავდებ გექმნებით ქრისტესთანა, რათა მან შეგინდენეს<sup>13</sup> ყოველნი ცოდვანი შენნი და გყოს შეილ სასუფეველისა“. მსმენელი ამისი მე-ფე მზიარულ იქმნა და დახიზნა ძენი თვისნი<sup>14</sup> და თვით წარვიდა და წარი-ტანა აბრაჳამ კათალიკოსი<sup>15</sup>. და რა მივიდა, არარაჲსა გამოჰძიებულმან<sup>16</sup>  
25 ყენიმან შეიპყრა იგი და პატიჳარ ჰყო. და განმსჯელჳან რომლასაჲე საქმისასა არა სწადდა სიკვდილი მეფისა, გარნა ავთ განმზრახბთავან იძულებულ იქმნა ყაენი და უფრო ხეტლუ-ბულასგან. სტანჯეს მეფე, რომელი იგი ითმენდა ქრისტესთვის და ერისათვის<sup>17</sup> და შემდგომად ეზიარა უხრწნელსა საიდუმლო-სა ხელითა აბრაჳამ კათალიკოსისათა<sup>18</sup> და წარკვეთეს თავი წელს ქრისტე-  
30 სით 1289, თვესა მარტსა 12, დღესა შაბათსა მარხვისაჲა. და ანიათვის ეწო-და თავდადებულნი.

ეჳა საეკირველი, რამეთუ მეათე ეამიდან<sup>19</sup> დაბნელდა მზე, ვიდრე დას-ვლამდე<sup>20</sup>, რათა სცნან ურწმუნოთა მათ, რამეთუ პატიოსან არს წინაშე ღვთისა ცხებული უფლისა!

35 მაშინ იყო<sup>21</sup> მამასა თანა ძეჲ მეფისა დავით და სწადლოდათ სიკვდილი-ცა<sup>22</sup> მისი ბილწთა მათ. გარნა ითხოვა ყაენისაგან პატივი დავითისი ტაჩარ ნოინმან [101] და მიმადლა მას ყენიმან. და ზრდიდა თვისთა თანა ტაჩარ ნოინი დავითს, ძესა დიმიტრი მეფისასა.

ხოლო გვაჲი მეფისა შოიპარეს კათალიკოსმან და მოსე მღვდელმან და  
40 ჰპოვეს მეთევზური<sup>180)</sup> ბრძანებითა განგებისათა და მას შთაუღვეს ურემსა და წარმოგზავნეს ტფილისს.

<sup>1</sup> დაადგენან A. <sup>2</sup> მისვლასა A. <sup>3</sup> შექარბნა A. <sup>4</sup> მქვერბეთქვესა B. <sup>5</sup> მქვერბეთქვესა C.

<sup>6</sup> საღმრთოსა AC. <sup>7</sup> მოკლავდ BC. <sup>8</sup> ქვეყანა BC. <sup>9</sup> იყოს A. <sup>10</sup> სთვა A. <sup>11</sup> დავისაჯები BC.

<sup>12</sup> წარუვალი BC. <sup>13</sup> ერისათვის B. <sup>14</sup> შეგინდენეთ BC. <sup>15</sup> თჳანი B. <sup>16</sup> კათალიკოსი B. <sup>17</sup> გან-მოძიებულმან A. <sup>18</sup> ერისათვის B. <sup>19</sup> კათალიკოსისათა B. <sup>20</sup> ეამითგან A. <sup>21</sup> დასვლამდე A.

<sup>22</sup> იყო—A. <sup>23</sup> სიკვდილი A.

ხოლო ჟამსა ამას წარმოავლინა ყეინჳან ხუტლუ ბულა, მტერი მეფისა დიმიტრისა, რათა გამოართვას შეილი ნარინ<sup>1</sup> დავითს, მეფესა იმერეთისასა, და ქმნას მეფედ ქართლს. ხოლო მოვიდა რა ხუტლუ-ბულა ქართლს, ანკონო ნარინ<sup>1</sup> დავითს. და მოვიდა ნარინ<sup>1</sup> დავით ქვიშხეთს, აქედან მიეგებნენ ნოინნი და ხუტლუ-ბულა. და მოსცა ძე თვისი<sup>2</sup> ვახტანგ. წარმოიყვანა ხუტლუ-ბულამ და მიგვარა ყეინსა. და ყეინჳან მშვენიერებისა თვისისათვის<sup>3</sup> შეიყვარა<sup>4</sup> ვახტანგ დიდათ და მოსცა დაჲ<sup>5</sup> თვისი ცოლად ოლჯათ<sup>6</sup> და საქართველოა<sup>7</sup> სამეფოდ.

და მოვიდა ვახტანგ თბილისს<sup>8</sup> და აქურთხეს მეფედ.<sup>181</sup>

და იმეფა დიმიტრიმ თავდადებულმან წელნი 17.

ნ8. აჳან ვახტანგ დაიპყრა კარნიფორიღამ დარუბანდამდე, თვინიერ ბეჳა ჯაყელისა. იყო ვახტანგ ესე კაცი კეთილი და მხნე. ხოლო დავით დიმიტრის ძე, რომელი იზრდებოდა სპარსეთს, მოიწადინა ყაენჳან მეფობა მისი, გარნა არა ინებებს ქართველთა ერთგულებიანათვის<sup>9</sup> ვახტანგისა, და მისცეს სხვა და სხვანი მამულნი საქართველოსა შინა [102] და იყო ქართლს.<sup>182</sup>

და შენდგომად სამისა წლისა მეფობისა თვისისა მოკვდა ვახტანგ.<sup>183</sup> და რა ესმა სიკვდილი ძისა თვისისა მეფესა<sup>10</sup> იმერეთისასა ნარინ<sup>1</sup> დავითს, დამძიმდა მისთვის და მოკვდა წელს ქრისტესით 1293. და მიიღო მეფობა იმერეთისა ძემან ნარინ<sup>1</sup> დავითისჳან, უხუცესმან კოსტანტინე.

ხოლო დავით, დიმიტრი თავდადებულის ძე იყო მხნე საქმესა შინა და დიდისა მსახურებისა და ვაჟაკობისა და მხნეობისათვის<sup>11</sup>, რომელი წარმოაჩინა ბრძოლასა შინა წინაჲმე ყაენისა. ანისათვის უბოძა მეფობა საქართველოსა<sup>12</sup> და სრულად ქართლი. მოვიდა, ეკურთხა მეფედ ტფილისს.

ხოლო ვახტანგ, ძემან ნარინ<sup>1</sup> დავითისჳან, იმეფა საქართველოსა ზედა წელნი სამნი.

ნ9. ხოლო აჳან დავით, დიმიტრი თავდადებულის ძემან დაიპყრა ყოველი ნაქონები მანისა თვისისა<sup>13</sup>, თვინიერ<sup>14</sup> ბეჳა ჯაყელისა. აჳან დავითმან შეირთო კვალად ყაენისა<sup>15</sup> დაჲ ოლჯათ, რომელი ჰყვანდა ვახტანგ მეფესა, ძესა. ნარინ<sup>1</sup> დავითისასა.

ხოლო ჟამსა ამას იყო კაცი ერთი ყაინთაგან დიდათ პატივეცემული, სახელით ნაეროზ, რომელი დიდათ სდევნიდა ეკლესიათა<sup>16</sup> და სჯულთა ქრისტეანეთასა<sup>17</sup>. აჳან ნაეროზ წარმოავლინა მხედრობა საქართველოს, რათა ეკლესია<sup>18</sup> ეარბიისა შემუსრონ<sup>19</sup> და მას შინა დებულნი<sup>20</sup> ნიეთნი მიუტანონ ნაეროზს. გარნა შურ-აგო მას ვარქიისა ღეთისჳმოზებლმან [108] და, რა მოვიდოდნენ ნაეროზისაგან წარმოვლენილნი, ეცათ მათ მეხი და განგალნა ისინი და დანაშთნი უკუნ-იქცენ<sup>21</sup> კვალად ნაეროზისა თანა.

გარნა ჟამსა ამას განგებითა ზენაჲთა<sup>22</sup> შერისხა ყაენმან უსამართლოებისა მისისათვის<sup>23</sup> და მოსწყვიდა ნაეროზ შეილათ თვისით.

იყო მის ჟამისა ყაენი ყაზან მეძიებელი საპართლისა და ჰქონდა მას საბელი ერთი და მას ზედა სხჳულნი მრავალნი ეყვანნი. ხოლო წვერი საბლისა

<sup>1</sup> ნარ ABC. <sup>2</sup> თჳსი BC. <sup>3</sup> თჳსისათვის B. <sup>4</sup> შეიპყრა A. <sup>5</sup> დაი BC. <sup>6</sup> ოლჯა ABC <sup>7</sup> საქართველოთი B. <sup>8</sup> თბილისი ABC. <sup>9</sup> ერთგულებისათჳს B. <sup>10</sup> მეფესა A. <sup>11</sup> მხნეობისათჳს B. <sup>12</sup> საქართველოსა A. <sup>13</sup> თჳსისა B. <sup>14</sup> თვინიერ BC. <sup>15</sup> ყაენისა BC. <sup>16</sup> ეკლესიათა B. <sup>17</sup> ქრესტიანეთასა AC. <sup>18</sup> ქვიანეთასა B. <sup>19</sup> ეკლესია BC <sup>20</sup> შემქრონ — A. <sup>21</sup> დიდებულნი B. <sup>22</sup> იქცენ BC. <sup>23</sup> ზენაჲ A, ზენაითა B. <sup>24</sup> მისისათჳს B.

მის ერთი გატანილი იყო გარეთ სახლისა და მეორე მობმულ იყო მახლობელ<sup>1</sup> ყაენისა საწყოფსა. და რომელნი<sup>2</sup> მწუხარენი მას თოკის თავსა გაანძრევდენ, მსმენელი ყაენი გამოვიდოდა და მსწრაფლ გამომეცინებელი მისისა მწუხარებისა განათავისუფლებდა.

5 ხოლო ყაენმან ამან ორგულებისა თვისისათვის<sup>18i</sup>) გარდაავლო მეფობი-  
დამ დაეთო, *ე* დიმიტრი თავდადებულისა. და ბექას ჯაყელსა ჰყვანდა *ძე*  
დიმიტრი თავდადებულისა გიორგი<sup>185</sup>). და ბექას გამოართვა ყაენმან და  
ქმნა იგი მეფედ ქართველთა წელს ქრისტესით 1299.

10 ხოლო *ე*ამსა ამას განდიდებულ იყო ბექა ჯაყელი, რამეთუ ეყარა ტა-  
შის-ქარბადმ სერის ზღვამდე; რომელსა მიხაილ კოზნიანი კვისარმან მოსცა  
ტრაპიზონამდე, რამეთუ ასული ბექასი ცოლად<sup>3</sup> ესეა მას.

15 ხოლო მხედრობა სპარსთა წარმოვლენილი ყაზან ყაენისაგან, [104] შემ-  
წენი გიორგი მეფისანი, მხედართმცლენებლობითა<sup>4</sup> ხუტლუ-ბუღასითა სდევ-  
დენ დავითს და აობრებდენ საქართველოსა. გარნა დავით შევიდა სტეფან-  
წმინდას და მუნით ბრძოდა დიდათ ხუტლუ-ბუღას. და დააბარცხა მრავალ-  
ჯერ მხედრობა სპარსთა, სადა უჩვენეს დიდი ერთგულება მეფესა დავითს  
ააზარცემ ქილამ და ახმად სურამელმან და სხვათა აზნაურთა ქართლისათა.

15 ხოლო შემდგომად ამისა რამოდენნიმე მოაოხრნა ქართველნი და წარვი-  
და ხუტლუ-ბუღა სპითა თვისითა სპარსეთს.

20 და კვალად დაიპყრა ქართლი კვალადვე დავითმან.

ხოლო ჰყვა მეფესა *ძმა* ვახტანგ, რომელსა არა დია უყოფდა მეფე პა-  
ტივისა. ამისთვის<sup>5</sup> წარვიდა ვახტანგ და მივიდა ყაენისა თანა. ხოლო ყაენმან  
პატივით შეიწყნარა და წარმოატანა ხუტლუ-ბუღა და სპანი სპარსთანი, რათა  
მისცეს მეფობა ვახტანგს. და წარმოვიდენ და მოვიდენ ტჯილისს<sup>6</sup>. სცნა რა

25 ესე მეფემან, წარავლინა ზავისათვის მეფემან დავით ცოლი თვისი<sup>7</sup> ოლჯათ  
და მასთანა ბურსელი იოანე. მოეგება ხუტლუ-ბუღა ოლჯათს და პატივისცა  
ვითარცა ყაენსა. მსმენელმან ზავისასა ხუტლუ-ბუღა მისცა ფიცი და ხელმან-  
დილი ყაენისა, რომელიცა წესად აქვნდათ<sup>8</sup> მინდობისა და უფნებლობისა-  
თვის: უკეთუ წარვიდეს ყაენისა თანა, მისცეს მეფობა და არა აენოს. და ამა-

30 ვითარის პირით [105] წარმოავლინა მოციქულნი და ოლჯათ დედოფალი  
არლა წარმოავაზენა. და მეფემან მიზეზ-ყო ოლჯათის მიუსვლელიობა და პა-  
სუხ-უგო: „უკეთუ მოვიდეს ოლჯათ ჩემთანა, მე წარვალ ყაენთა თანა“. ამას-  
ზედა განრისხნა ხუტლუ-ზედა და სცნა, რომელ ცბიერობს მეფე დავით და  
არა წარვალს ყაენისა თანა. ამისთვის<sup>9</sup> მოჰკვეთა თავი ბურსელსა<sup>10</sup> და ოლ-  
35 ჯათ წარიყვანეს თათართა, ხოლო ვახტანგს დაუმტკიცეს მეფობა.<sup>186</sup> და და-  
ვით მეფე იმყოფებოდა გველეთს<sup>11</sup>. და თათართა დიდათ ავნებდენ მთიულნი  
ქართველნი. და რა ეწიათ ყინვა და ზამთარი<sup>12</sup>, უმეტეს ავნებდენ თათართა  
ქართველნი და მრავალნი მოსწყვეტდენ. და წარვიდენ დანაშონი და მივიდენ  
სპარსეთს და მიგვარეს ყაენსა დედოფალი ოლჯათ.

40 გარნა ესეოდენთა შლილობათა არა იყო საქართველოთა შინა თესვა და  
შკა. და უმეტესნი მოსწყდებოდენ გლეხნი შიმშილითა და უმეტესნი წარვიდო-  
დენ სამცხეს და გამოზრდიდა მათ ბექა და მეუღლე ვახანი<sup>13</sup>.

<sup>1</sup> მახლობელ B. <sup>2</sup> რნი B. <sup>3</sup> ცოლად + ცოლად A. <sup>4</sup> მხედართმცლენებლობითა BC.

<sup>5</sup> ამისთვის B. <sup>6</sup> თბილისს B. <sup>7</sup> თქი B. <sup>8</sup> აქვნდათ BC. <sup>9</sup> ამისთვის B. <sup>10</sup> ბურსულსა ABC.

<sup>11</sup> გელათს ABC. <sup>12</sup> ზამთართარი A. <sup>13</sup> კახა A, ვახარი B, კახსი C.

70<sup>1</sup>. 187) ხოლო დაჯდა<sup>2</sup> მეფედ ვახტანგ, ძე ღიმიტრისა. ამას მოსცეს ყოველი საქართველოა. არამედ წინა არა აღუდგებოდა ძნასა თვისსა, და ვითს მეფესა, რამეთუ იყო ღვთის მოშიში და არავისა მოშურნე და ყოველითურთ კეთილი. და ოდეს იხილა მეფემან დავით, რომელ არღა მოსცემენ ცოლსა მისსა ოლჯათს [106] თათარნი, ამისთვის მოიყვანა მეფულეთ ახმადის ასული 5 და იქორწინა მას ზედა<sup>188</sup>).

ამას ჭანსა გამოჩნდენ თურქნი, რომლისა მთავარი იყო აზატ-მოსე. ესენი სდგაინ ზადებულ მათა ჰარხალისთა და ზამთარ პონტიის, და აოხრებდა ყოველსა ივერიასა. და შემდგომად მოვიდა ტაოს და მოაოხრნა<sup>3</sup> და აღწყვიტნა<sup>4</sup> ყოველნი ვიდრე ძუძუს მწოვრადმდე, ეინადგან<sup>5</sup> ჩვეულებად<sup>6</sup> აქუნდა. 10

მსმენელმან ამისნან ბექა ჯაყელმან, სამცხის<sup>7</sup> სპასალარმან, რომელი ჟამსა ამას დიდად განდიდებულ იყო, შეიკრიბა სპანი თვისნი და მიმართა აზატ-მოსეს და ეტყოდა სპათა თვისთა ესრეთ: „ერთსჯულნო და ერთ პირნო, ის- 15 მინეთ, რამეთუ სკიპატრის მპყრობელმან მეფემან დავით, ზედწოდებით აღმაშენებელმან, ოდიდგან განახსნა<sup>8</sup> თურქნი საზღვართაგან საქართველოასა-

თა, არღარავის გვიხილავს ამ ჟამისამდე. ხოლო აწ ცოდვათა ჩვენათათვის გამოჩნდენ და მოსწყვიტეს ტაო<sup>9</sup>. რამეთუ ეინათგან არღარავინ არს მეფე ჩვენი მცლავრებისაგან თათართასა, რომელიცა გვიძლოდა ჩვენ და დავერჩომილ- 20 ვართ ზარტოდ, არამედ მთავარნიცა საქართველოასანი<sup>10</sup> და ქვეყანა განდგომილ არიან თვის-თვისად. აწ ამისთვის მნებავეს შეგვკრბეთ და შევიწიოთ ღმერ-

თი და შურ-ვაგოთ მტერთა ქრისტიანეთასა<sup>11</sup> ძალითა ჯვარისათა<sup>12</sup>. მაშინ ყოველთა განიხარეს და აღუთქვეს მზა ყოფა. [107] და განყო ბექამ სპანი ორად: ერთი არწმუნა შეილეს თვისსა სარგისს<sup>13</sup> და მეორეს თვით უძლოდა. და მი- 25 მართეს ურიცხვთა თათართა ვაშლოვანს მყოფთა მცირით. ხოლო პირველად მოუხთა სარგისს<sup>12</sup>, და ხუთასთა მხნეთა სარგისისთა ჩამოაგდეს ხუთასნი. და

შეიქმნა სასტიკი ბრძოლა, სადა ძველთა მამაბაპურებ ბრძოლა ძლიერად სარ- 30 გის და მეორე<sup>13</sup> მხრით ბექა. და იქით-აქეთ მრავალთა მოწყვედისა შემდგომად აოტნეს თურქნი და მოსწყვიდნეს ძლიერებითა ჯვარისათა და აოტნეს. და მრავალთა და ურიცხვთა ალაფთა აღმლებელნი მოვიდნენ გამარჯვებულნი კვალადვე სამცხეს ბექა და სპანი მისნი. და აღდიდებდენ ყოველის კეთილის 30 მოქმედსა ღმერთსა. და ამიერიდამ ვერღარა<sup>14</sup> იკადრებდენ თურქნი<sup>15</sup> მოსელასა<sup>16</sup>.

ჟამსა ამას მოკვდა<sup>17</sup> ყაზან-ყაენი და იქმნა ყაენად ხარბად-ყაენი, ძე მისი. ამან ყაენმან ინება შესელა<sup>18</sup> გილანს და შეკრიბნა სპანი და მიუწოდა მე- 35 ფესს ვახტანგს და სამცხის სპასალარსა ბექას. ხოლო ბექა არა წარვიდა, სპანი თავისნი წარუგზავნა. და მეფე ვახტანგ წარვიდა სპითა საქართველოასათა. და რა შეკრბენ, მაშინ განაწყო ოთხად ნაწილად სპანი: ერთ კერძ წარავლი- 40 ნა დიდი სარდალი თვისი ხუტლუ-ბულა და სპანი ბექასნი, და<sup>19</sup> მეორეს კერძ— ჩოფან-ნოინი<sup>20</sup> და რომელნიმე სპანი ვახტანგ მეფისანი, და მესამე კერძო— [108] უსენ-ნოინი და ოგსნი და მეოთხე კერძო თვით ყაენი და მასთან მეფე ვახ- 40 ტანგ. და მათ გილანელთაცა იწყეს მაგრებაჲ და მიეტყვენენ. და იქმნა ბრძო-

1 70 — A. 2 დაჯდა+ რა C. 3 მოაოხრა BC. 4 აღწყვიტნა A. 5 ეინათგან B. 6 ჩაუწყვიტებდა B. 7 სამცხი A. 8 განიხსნა B. 9 მოსწყვიტა A, მოსწყვიტნა BC. 10 საქართველოასანი B. 11 ქრისტიანეთასა A. 12 სარგის ABC. 13 მეორეს B. 14 ვერღა B. 15 თურქი ABC. 16 მოსელასა AC. 17 მოკვდა A. 18 შესელა A. 19 და —AB. 20 ჩოფან-ნოინი ABC.



ლა საშინელი და საკვირველი, სადა საკვირნოდ მამაცობდა ვახტანგ მეფე, რომელ მამაცობისა მისისათვის განკვირდა ყაენი. და შემდგომად დაჰკოდეს ბარკალსა ვახტანგ მეფე. მეორეს მხრით მოჰკლეს უპირველესი სარდალი ხელტუ-ბუღა და აოტნეს ყაენი და უქუნიქცენ. დაეწიენენ გილანელნი და 5 დიდი ვნება მისცეს სპათა ყაენისათა. და უმეტეს ქართველნი და მესხნი დაიხოცნენ, ვინათგან დიდათ მამაცობდენ და უკუბრუნდებოდენ და სერიდენ მტერთა; ამისთვის დიდი ენება მიეცათ ქართველთ, მესხთა. და უქუნიქცეულნი ყაენი და სპანი მისნი მოვიდენ უეანს<sup>1</sup>.

ხოლო ყაენმან დიდათ პატივსცა ვახტანგს და სპათა მისთა უბოძა მრავალნი ნიქნი და მამაცობისა მისისათვის ღირსი ჯილდო და განუტევა ქართლად. და წარმოვიდა ვახტანგ ნიქითა დიდითა საქართველოდ.

ხოლო შემდგომად ვახტანგის წარმოსვლისა<sup>2</sup> მოვიდენ წინააღმდეგომნი ქრისტესნი და ეტყოდენ მეფესა თუ: „რასათვის განუტევე ვახტანგ? უკეთუ არა დაატევებინო მას სარწმუნოება ქრისტესი და არა შემუსრო ეკლესიანი 15 საქართველომასანი, არარაჲ წარგემართების და არცა იქმნების მპყრობელობა შენი“.

ამისთვის წარმოავლინა [109] ყაენმან ერთი ნოინი და სპანი მრავალნი, რათა ქართველთა დაატევებინოს სჯული და შემუსროს წმინდანი ეკლესიანი<sup>3</sup>. წარმოსრული იგი ნოინი<sup>4</sup> ზოფნია გზასა ზედა ნახჭევანს მეფესა ვახტანგს და 20 იცნობა ესე ყოველნი ნოინმა მან<sup>5</sup>. მსმენელი ამისი მხნე ვახტანგ არა შეშინდა და არცა განდრკა, არამედ განამზენა ყოველნი მასთანა მყოფნი, რათა წარვიდენ და კვალად უქუნი-იქცენ და თვით ყაენისა<sup>6</sup> თანა აღიარონ ქრისტე და მიიღონ გვირგვინი მოწამეობისა. უსძინეს სპათა მისთა და უქუნიქცენ. და 25 წივიდა<sup>109</sup> ყაენისა თანა. განკვირდა<sup>7</sup> ყაენი უკუნიქცევას მისსა და უბიწროგზასა, აღიარა ქრისტე და ქადაგა მართალი სარწმუნოება. და შემდგომად მრავლითა ტანჯვითა აწამეს ქრისტესთვის და მიიღო გვირგვინი მოწამეობისა. და იმეფა წელნი სამნი.<sup>100</sup>

ხოლო შემდგომად რისხვითა ღვთისათა სამხილებელ ექმნა სენი ბოროტი ხარბად-ყაენსა, რომელი აიძულებდა ქრისტეანეთა. და მითვე სენითა 30 მოკვდა ხარბად-ყაენი; და დაიკვა ღმერთმან ეკლესიანი<sup>8</sup> აღძვრისაგან ბოროტისა. მოვიდა ნოინი საქართველოდამ და განუტევეს ქართველნი მეფისა ვახტანგისა თანაყოფილნი.

ხოლო იქმნა ყაენად<sup>9</sup> ულჯათ-სულტანი. და ამა ულჯათ-სულტანმა წარმოავლინა ჩოფან<sup>10</sup> ნოინი, რათა დასევას საქართველოსა შინა მეფე. და 35 ჰყვა ბექას ძე დიმიტრი თავდადებულისა მეფისა გიორგი, რომელი [110] უწინარესცა მეფედ ჰყვეს. და წარმოგზავნა ნოინისა თანა, რათა დაუმტკიცონ მეფობა. ჩოფან ნოინმან წარიყვანა გიორგი ყაენისა<sup>11</sup> თანა,<sup>101</sup> გარნა ყაენმან არა მისცა მას მეფობა, ვინათგან დავით იყო უკუმიდგარ. და სთხოვა ყაენმან დავითს ძე თვისი. და წარმოგზავნა მცირე ყრმა გიორგი. და მოიყვანეს ყაენისა თანა. და იყვნენ ბიძა-ძმისწულნი, ორნი გიორგნი ყაენთა თანა.

71. ხოლო მოსცა ყაენმან მეფობა მცირე გიორგის, დავითის ძესა და უჩინა მზარდულად და მოურნედ გიორგი მეორე, ძე დიმიტრი მეფისა თავდადებულისა. და მოვიდენ ტფილისს.<sup>102</sup>

<sup>1</sup> უეანა A. <sup>2</sup> წამოსვლისა AC. <sup>3</sup> ეკლესიანი BC. <sup>4</sup> ნოინი A. <sup>5</sup> ნოინმან A. <sup>6</sup> ყენისა BC. <sup>7</sup> განკვირდა A. <sup>8</sup> ეკლესიანი BC. <sup>9</sup> ყენთა AC. <sup>10</sup> ჩოხად ABC. <sup>11</sup> ყენისა BC.

ამასვე წელს მოკვდა მთავარი სამცხისა ბექა და მეუღლე მისი ვახაბი<sup>1</sup>, რომელნიცა იყვნენ ორნივე მეუღლენი საღმრთო-საერთოთი სათნოებითა და მოწყალებითა აღმატებულნი და საესენი ყოვლითა კეთილითა. და დაუტყვევს სანნი ძენი: სარგის, ყვარყვარე და შალვა.

ხოლო შემდგომად ამისა მესამესა წელსა მოკვდა<sup>2</sup> დაეით მეფე წელსა 5 ქრისტესით 1310 და დაუტყვევა ძე თვისი გიორგი ორის წლისა მეფედ ქმნილი.

ხოლო შემდგომად მოკვდა<sup>3</sup> ხარბად ყაენი<sup>130</sup> და იქმნა ძე მისი მუსაით ყაენად. ამასთანა წარვიდა გიორგი, ძე მეფისა დიმიტრი თავდადებულისა, რომელი დიდის პატივით შეიწყნარა ყაენმან და მოსცა ყოველი საქართველოჲ [111] და ყოველნი მთავარნი საქართველოჲსანი და ძენი დაეით მეფისანი და 10 ძენი ბექასნი; წარმოგზავნა ტფილისს, სადა შეკრბენ ყოველნი დიდნი და შვირენი ივერიელნი და აკურთხეს მეფედ წელს ქრისტესით 1318.<sup>134</sup>

ხოლო გიორგიმ, დავითის ძემან იმეფა წელნი 10.

72. დაჯდა მეფედ გიორგი, ძე დიმიტრი მეფისა თავდადებულისა. და იწყო წითებმან აღმობრწყინებად და ივერიისა განათლებად, რამეთუ იქმნა 15 ესე კაცი საკვირველი და ღირსი ქებისა და შესამგავსი უწინდელთა სახსოვართა ზეფეთა ქართველთათა, რომელსა ეწოდებოდა ბრწყინვალე გიორგი. ამან ბრწყინვალემან გიორგი დაიპყრა ყოველი ივერია: სომხითი, შერ-კახეთი, ქართლი, მესხი, ტაო, შვე-კლარჯნი და ვიდრე სფერამდე<sup>4</sup> ზღვამდე.

დროსა ამისა<sup>5</sup> ეკირთებოდენ ოესნი საქართველოსა და დაეპყრათ მრავალნი სიმაგრენი, გარნა ამან ბრწყინვალემან სინხნითა თვისითა<sup>6</sup> განდევნა ისინი და მიუღო სიმაგრენი და შევიდა შინა ოესეთსა და მოაოხრა<sup>7</sup> ივინი, და მოიქცა გამარჯვებული და დაამშვიდა ოესთაგან საქართველოჲ.

ესაჲსა ამას იქმნა აღრეულება საყეინოსა შინა. და მოგნელმან ეამისამან გიორგი ბრწყინვალემან განასხნა თურქნი საზღვრით თვისით რომელნიმე გონიერებითა, რომელნიმე [112] ბრძოლითა და ძლიერებითა, და მოსპნა თურქნი სამფლობელოთ თვისით<sup>8</sup>.

ხოლო შემდგომად ამისა შემოკრიბნა<sup>9</sup> ყოველნი ერისთავნი თვისნი რეცა დარბაზობად და ურჩინ ბრძანებისა თვისისანი მოსრნა და დაადგინა მორჩილნი თვისნი და ამით უმეტეს დაიმორჩილნა ქვეყანანი. მაშინ მიუბოძა სარგის ჯაყელსა ათაბაგობა<sup>10</sup> და ამირ-სპასალარობა. და შემოიკრიბნა სპანი თვისნი და წარვიდა და დაიმორჩილნა რანი, შირვანი ვიდრე დარუბანდამდე, ქურთი ლეკითურთ, და მოხარკე ყუნა და მოიქცა ტფილისს გამარჯვებული.

ხოლო იმერეთს, ვითარცა აღესწერეთ, შემდგომად ნარინ<sup>11</sup> დაევიდა მეფისა იყო შლილობა ცმათა შორის მრავალთა წელთა. და ამის გამო განდიდნენ მთავარნი და განმკვიდრნენ<sup>12</sup> ერისთავნი ქვეყნისანი<sup>13</sup>. და ამით წიხეზთა გამო ვერ მეფობდენ მეფენი იმერეთსა შინა.

ამისმა მიხილველმან მეფემან გიორგი ბრწყინვალემან ინება და ეზრახა იმერთა. და მათ პირის მიცემითა წარმოვიდა მეფე სპითა და გარდმოვლო<sup>135</sup> მთაღ ლიხისა და მოვიდა იმერეთს და დაიპყრა ყოველნი იმერნი წელს ქრისტესით 1330 და დასხნა ერისთავნი თვისნი. ხოლო ბაგრატ იმერეთის მეფედ-ყოფილსა მისცა საერისთო შორაპანისა და მუნ დაადგინა ერისთავედ.

<sup>1</sup> ვახაბი ABC. <sup>2</sup> მოქუდა A. <sup>3</sup> მოქუდა A. <sup>4</sup> სფერამდე A. სფერამდე + და BC  
<sup>5</sup> ამისა BC. <sup>6</sup> თუსით B. <sup>7</sup> მოაოხრა A. <sup>8</sup> თუსით BC. <sup>9</sup> შემოკრიბნა BC. <sup>10</sup> ათაბაგობა B.  
<sup>11</sup> ნარ ABC. <sup>12</sup> განკვიდრენ ABC. <sup>13</sup> ქვეყნისანი AB.

ამისი მზილველნი—დადიანი მამია და გურიელი და სენათა ერისთავი და აფხაზეთისა შარვაშიძე—[113] მოერთუნენ<sup>1</sup> ნიჭითა დიდითა და მოულოცეს მეფობაჲ იმერეთისა და ყოვლისა გიორგიისა<sup>2</sup>.

მერმე შთავიდა ოდიშს და მუნდამ აფხაზეთს, და მუნებურნი საქმენი 5 განაგნა და მისცა ცხომისა ერისთაობა ბელიელ-დადიანსა,<sup>108</sup> ვინათგან პირველცა მისი იყო.

უქმოიქცა, შემოვლო გურია და მოვიდა სამცხეს. ხოლო სამცხეს ყოფისა მოკვდა ათაბაგი<sup>3</sup> სარგის<sup>107</sup>. ხოლო მეფემან მიუბოძა ძესავე მისსა ყვარყვარეს ათაბაგობა, დასხნა ერისთავნი თვისნი სამცხეს და განაგნა საქმენი 10 მუნებურნი, ვითარცა კეთილმან ხუროთმოძღვარმან და შემოიქცა თბილისს შვიდობით.

მერმე კვალად განიხილნა მთიულთა, კავკასთა შინა მყოფთა უწესობაჲ და საქმენი უჯგრონი. ამისთვის შევიდა მუნ და დაიმორჩილნა კავკასსა შინა მყოფნი და დაუდვა სჯულნი და სამართალნი, რომელი მისცა წიგნითა აღწე- 15 რილი, რომელიც დღესაც იპოების<sup>4</sup> ქვეყანასა ჩვენსა<sup>109</sup> აღწერილი წიგნი სამართლისა მისგან, რომელი დაუდვა მათ მთიულთა. და ესრეთ მოიქცა მშვიდობით.

ამათ ეამთა აღდგა ყენი, მპყრობელი ადრბაგანისა, დაიწყო პყრობად სომხითისა, რანისა და მოვაკანისა. და მოვიდა განჯას, რათა დაიმორჩილოს 20 გიორგი მეფეჲ. მცნობი ამისი მიეგება სპითა, ეწყო ძლიერად [114] და აოტნა და განაბნია იგი სიმხნითა თვისითა. და მოიქცა გამარჯვებული ალაფითა მრავლითა, რომელი შესწირვიდა ღვთისადმი მადლობასა მოწიწებითსა.

ეგრეთვე კვალად საბერძნეთისა სულტანმა<sup>5</sup> ორხან ინება, რათა დაიპყრას კლარჯეთი. მცნობი ამისი მეფე გიორგი ეწყო სპითა, მისცა ძღვევა ღმერ- 25 თმან და მოსრნა ურიცხენი<sup>6</sup> თურქნი. და ივლტოდა სულტანი, ხოლო მეფე, მმადლობელი ღმერთისა და მხიარული, უქმოიქცა ტფილისს.

ამან დაიმორჩილა ყოველი გიორგია ნიკოფსილამ ვიდრე დარუბანდამდე და მასთანა კავკასნი, რანი, მოვაკანი და სომხითნი, შარვან-შაჰ<sup>7</sup>. და არავინ იყო წინააღმდეგომ მისა და არცა სადამე იპოებოდა თათარნი. 30

ხოლო ამა მეფემან შემოჰკრიბნა კათალიკოს-ეპისკოპოსნი და წმინდანი ღვთისა, სათნონი მამანი, და განაწესნა ყოველნი კეთილ- წესდებულეზა სასულიერონი, და განმართნა მრუდნი და მართალსა შეეწია და ესრეთ კეთილად განაგნა წესნი საეკლესიოთანი.

ხოლო ამას ეამსა შინა მოკვდა დადიანი მამია და მიუბოძა მეფემან და- 35 დიანობა ძესა მისსა<sup>8</sup> გიორგის<sup>109</sup>.

ხოლო მეფესა ამას გიორგის ამისთვის ეწოდა ბრწყინვალე, ვინათგან იყო გვამითა ფრიად შეწიერ და მამაკობითა უებრო; მეორედ ამისთვის, ვინათგან იყო ივერია დაფანტული და სამეფოდ და სამთავროდ დაყოფილი<sup>9</sup>. [115] და ამან სიბრძნე-გონიერებითა და მამაკობითა თვისითა კვალად შემო- 40 ჰკრიბა და დაიმონნა, განავსნა და აღაშენნა ქვეყანანი, სჯული და წესნი სამოქალაქო განაბრწყინეა, ეკლესიანი<sup>10</sup> დარღვეულნი აღაშენნა და ყოველითურთ ქვეყანა ივერიისა განაშენნა და განაბრწყინეა.

<sup>1</sup> მოერთუნენ BC. <sup>2</sup> გიორგისა A. <sup>3</sup> ათაბაკი A. <sup>4</sup> იპოვების B. <sup>5</sup> სულტანჴან A. <sup>6</sup> ურიცხენი BC. <sup>7</sup> შარვაშნი ABC. <sup>8</sup> თვისსა ABC. <sup>9</sup> დაყოფილ ABC. <sup>10</sup> ეკლესიანი BC.

და მეფობდა კეთილთა მეფობითა ივერისა ზედა 28 წელი და შემდგომად გარდაიცვალა ტფილისს წელს ქრისტესით 1346.

73. შემდგომად ამისა დაჯდა ძე მისი დავით<sup>1</sup> მეფედ. და შემოკრებენ<sup>2</sup> კათალიკოს-ეპისკოპოსნი და დიდებულნი ნიკოფსით, სპერით დარუბანდამდე, აკურთხეს მეფედ.

5

ამან დავითმა დაიპყრა ყოველი საბრძანებელი მამისა მისისანი და ჰმატა შენებათა ეკლესიისათა<sup>3</sup> და ციხე-სიმაგრეთა.

ამის მეფობის გაშვიდ დაბნელდა მზე წელს ქრისტესით 1357.

ხოლო ამან დავით მეფემან იმეფა კეთილად დღეთა თვისთა მშვიდობით და ღვთის მსახურებით, და მიიკვალა გეგუთს და დაფლეს გელათს. და იმეფა 10 წელნი 14.

74. გამეფდა შემდგომად დავითისა ძე მისი ბაგრატ და შეკრებენ კათალიკოს-ეპისკოპოსნი და დიდებულნი და აკურთხეს მეფედ ქუთათისს<sup>4</sup>. ამან დაიპყრა ყოველი ივერია.

ესე იყო მხნე, ახოვანი, ტანითა ძლიერი, შეენიერებითა ჰაეროვანი, 15 მოისარობასა შინა განთქმული ფრიად, საღმრთოთა კაცთა [116] პატივის მცემელი, მშვიდი და მოწყალე.

ამის მეფობაშიდ დაბნელდა მზე.

ამას უკუდღვენ<sup>5</sup> სევანი, გარდმოვიდენ და მოსტყვენეს ქუთათისი და მოსწვეს. ჰსცნა<sup>6</sup> რა ესე ბაგრატ მეფემან, მოვიდა ქუთათისს<sup>7</sup>, მუნ შემოიკრი- 20 ბა სრულიად სპანი ივერიისანი, ჰერ-კახთა (წარუძღვანა რაჭველნი და უბრძანა მისლვა რაჭიდაძე), დადიანი, გურიელი<sup>8</sup> და აფხაზნი<sup>9</sup> და მათთანა სომხითარნი, და უბრძანა მისლვა ოდიშიდამ ეცერსა<sup>10</sup> ზედა; ხოლო თვით იწინამძღვრა ლეჩხუმელნი<sup>11</sup> და მასთანა იახლო მესხნი, კლარჯნი და იმერ-ამერნი. და შევიდნენ ესრეთ. მხილველნი<sup>12</sup> ამა ძალისა სევანი ვერ წინა აღუდგენ<sup>13</sup>. 25 და სრულიად მოსწვა, მოსტყვენა სევანეთი და აღიღო ყოველი სიმაგრე და დაიმორჩილნა ყოველნი ნებასა თვისსა<sup>14</sup> ზედა.

იტყვიან, ვითარმედ მაშინ იყო სევანთა ერისთავად ვარდანისძე. შეიპყრა იგი მეფემან და პატიმარ ჰყო. შემდგომად რაოდენისამე ეამისა შეიწყნარა იგი და მისცა გურია საერისთაოდ<sup>15</sup>. და სევანთა ერისთავად დასევა გელოვანი. 30 და ესრეთ გამარჯვებული მოვიდა კვალად ქუთათისს<sup>16</sup>.

ამავე ეამსა მოერთვა ამბავი მეფესა, რათა თურქთა მოარბიეს სამცხეჲ. მსწრაფლ ანხედრდა მეფეჲ თორმეტი<sup>17</sup> ათასითა რჩეულითა მხედრებითა და უკანა შეუდგა მას, გარდაულო მთაჲ ფერსათისა და მესამესა დღესა მიეწია მათ რახსს<sup>18</sup> იქით<sup>19</sup>. ეკვეთნეს ძლიერად და იქმნა ბრძოლა [117] ძლიერი. 35 და მოსწყვიდნენ თურქნი ესრეთ. კნინლა განერნეს ამბისა მიმთბრობელნი. და ესრეთ დიდითა ალაფითა გამარჯვებული<sup>20</sup> უკმოიქცა სამცხეს.

ვინათგან იქმნა ესე კაცი ყოველსა შინა ძლიერი, ამისთვის იქმნა დიდი მშვიდობა ქვეყანასა მისსა და შენდებოდა ქვეყანანი. გარნა მშვიდობასა ამას შინა მოიწია მომსრველი სენი, ესე იგი ეამი, <sup>2011</sup> და მოსრნა ურიცხენი<sup>21</sup> სულ<sup>22</sup> 40 ნი და მათ შორის დედოფალიცა ელენა, მეუღლე ბაგრატ მეფისა წელს ქრისტესით 1366.

<sup>1</sup> შემოკრებენ A. <sup>2</sup> ეკლესიისათა BC. <sup>3</sup> ქუთათის ABC. <sup>4</sup> უკუდღვენ AB. <sup>5</sup> ჰცნა BC.

<sup>6</sup> დადიან-გურიელი A. <sup>7</sup> აფხაზნი A. <sup>8</sup> ლეჩხუმელი ABC. <sup>9</sup> მხილველი ABC. <sup>10</sup> წინა აღუდგენ ABC. <sup>11</sup> თესსა B. <sup>12</sup> საერისთოდ A. <sup>13</sup> თორმეტითა A. <sup>14</sup> რახს ABC. <sup>15</sup> იქით A. <sup>16</sup> გამარჯვებულნი ABC. <sup>17</sup> ურიცხენი BC.

კვლად დაბნელდა შვე ქრისტიანთ წესს 1372. არამედ ესოდენი დაბ-  
ნელება მაუწყებელ<sup>1</sup> იყო ქვემო<sup>2</sup> თქმულთა ბოროტთა საქართველოსა ზედა.  
წელსა<sup>3</sup> ქრისტიანთ 1375 გამოჩნდა კაცი სახელით ლანგ-თემურ<sup>4</sup>, რომელი  
მელმან დაიპყრა ყოველი თურქეთი, ინდოეთი და სპარსეთი. და რა ზოისმა  
5 ძლიერება მისი, იწყო მეფემან მაგრება ყოვლით სახით ქვეყნისა<sup>5</sup> თვისისა.

ამას ეამსა მოკვდა<sup>6</sup> დადიანი გიორგი და იქმნა<sup>208</sup> დადიანად ვამეყ.<sup>209</sup>  
ხოლო ოდეს დაიპყრა ყოველი სპარსეთი თემურმან და წარმოვიდა ბაგ-  
რატსა ზედა, შემოვიდა სომხითს და მოსრნა, მოსწყვიდნა<sup>7</sup>. და უკუუდგა  
მეფესა ათაბაგი ბექა და მივიდა თემურისა თანა. ხოლო მეფემან ვერა იკა-  
10 დრა პირისპირ ბრძოლა და შევიდა თბილისს და განამაგრა იგი სიმრავლითა  
სპისათა [118] და სხვათა საქიროთა მიერ.

მოვიდა ლანგ-თემურ<sup>4</sup> და მოადგა თბილისს, მეფესა, გარს და შემოხლულა  
გარემო. ხოლო მეფე თვით და სპანი მისნი ყოველდღიე გამოვიდოდენ სიმა-  
გრით და ძლიერად ებრძოდენ გარემოდგომილთა სპათა თემურისთა; სადა  
15 მოსწყვედდენ მრავალთა და მოიქცეოდენ გამარჯვებულნი, სადა ფრიად გა-  
მოჩნდა სიმამაცე ბაგრატ მეფისა და სიმტკიცე მკლავისა მისისა, რომელ ესე-  
ვითარი ბრძოლა განგრძელდა ვიდრე ექვს თვემდე. გარნა ვერ წინა და უდგა  
სიმცირე სიდიდესა და აღიღეს ქალაქი თბილისისა და შემდგომად ციხე და  
გამოიყვანეს ტყვედ მეფე ბაგრატ და დედოფალი ანანა<sup>8</sup>. და მოსწყდენ მრავ-  
20 ღალნი სულნი. და წარვიდა ლანგ-თემურ<sup>9</sup> ესრეთ ძლიერი, და წარიყვანა  
ტყვედ მეფე, და დედოფალი ტყვედ ჰყო ციხესა შინა თბილისს და დაუდგინა  
მკველნი.

ხოლო მეფეს აიძულებდა, რათა დაუტეოს ქრისტი და მიიღოს ნიჭი დი-  
დი და უკეთუ არა, — ფრიადითა სატანჯველითა მოჰკლას იგი. გარნა მეფე  
25 ეგო მტკიცედ, ვითა შვენის კაცთა უშიშართა.

ამას ეამსა მოკვდა<sup>10</sup> ათაბაგი ბექა და ნებითა ბაგრატ მეფის ძის გიორ-  
გისათა იქმნა ათაბაგად ძე ბექასი იოანე.

ხოლო მამამან იმერთა ერისთვის აღექსანდრესამან გიორგიმ<sup>209</sup> მოინდო-  
მა, რათა იქმნეს მეფედ იმერთა. გარნა ერთგულებისათვის ბაგრატ მეფისა,  
30 არა თანხმა<sup>11</sup> ექმნა [119] დადიანი. ამისთვის წარვიდა გიორგი სპითა დიდითა  
და მიუხთა დადიანსა<sup>12</sup>. გარნა ეწყო დადიანი ოდიშართ-აფხაზითა,<sup>13</sup> იქმნა  
ბრძოლა დიდი და მოკლეს მეგრელთა<sup>14</sup> მეფე გიორგი, და ივლტოდენ სპანი  
მისნი.

და მოიყვანა დადიანმა ძე ბაგრატ მეფისა გიორგი და მისცა სრულიად  
35 იმერთი.

ხოლო ბაგრატ მეფე ჰყუა თემურს და მარადღე აიძულუნდა მაჰმადიან-  
ყოფად. ხოლო ბაგრატ, ვერარაჟსა ლონისა მპოვნელმან, აღუთქვა მაჰმადიან-  
ყოფა<sup>15</sup>, რათა მით იხსნას თავიცა თვისი და სხვაცა ტყვენი ქრისტიანენი.  
ამისთვის განიხარა თემურ დიდით და მისცა პატივი დიდი და ადგილი შვი-  
40 ლობისა თვისისა. და იქმნა ბაგრატ მაჰმადიან და თემურისა განმზრახ.

ხოლო დღეთა რაოდენთამე შემდგომად რქვა ბაგრატ თემურს: „ვიცან  
სჯული შენი ბრწყინვალედ და არს იგი კეთილ, და ამისთვის მწაღს, რათა

<sup>1</sup> მაუწყებელი B. <sup>2</sup> ქვემო B. <sup>3</sup> წელს A. <sup>4</sup> ლანგთემურ ABC. <sup>5</sup> ქვეყნისა A. <sup>6</sup> მოკუ-  
და A. <sup>7</sup> მოსწყვიტნა A. <sup>8</sup> ანანა BC. <sup>9</sup> ლანგ-თემურ B. <sup>10</sup> მოკვდა A. <sup>11</sup> თანხმა AC.  
<sup>12</sup> დადიანს A. <sup>13</sup> აფხაზითა A. <sup>14</sup> მეგრელთა BC. <sup>15</sup> მაჰმადიან-ყოფად A.

ვეო ყოველნი სამეფონი ჩემნი მაჰმედთან. და ამისთვის მომეც ძალი, რათა აღუასრულოა. მხიარულ-ქმნილმან თემურ მისცა სპანი 12 ათასნი და მასთანა ნიქნი დიდნი და გამოისტუმრა თემურმან ბაგრატ საქართველოდ და ყოველნი ტყვენი საქართველომასანი<sup>1</sup>.

ხოლო ბაგრატ მოვიდა რა მდინარესა არეზსა, აცნობა ძესა თვისსა გიორგის, რათა: „შეიკრიბე სპანი და შირ-გვექმენ, რათა მოვსწყვიტოთ ესენი, რომელი მოგვყავს სპანი თემურისანი“.

მაშინ იმერეთს მყოფს გიორგის [130] ესმა რა ესე, შემოკრიბნა სპანი იმერთ-ამერთა. ხოლო ბაგრატ მოვიდა და დადგა ხუნანის პირისპირ აღმოსავლეთით კიდესა ბერდუჯისასა, და რიყრაეს მოერტყა გიორგი სპითა საქართველომასათა და<sup>2</sup> დაუწყო ბრძოლა. ხოლო შინაგან ბრძოდა ბაგრატ, ვიჯარტა მძინეზარე ლომი. და<sup>3</sup> მოსწინეს სრულიად, რამეთუ ვერ განერა მიმთხოვბელი ამბვისა. და მოვიდა გამარჯვებული ქართლს, მოადგა ციხესა და ქალაქსა თბილისს და აღიღო იგი მცირესა ხანსა და გამოიყვანა<sup>4</sup> მცეცხვანენი თემურისანი.<sup>205</sup>

ხოლო ვინათგან უწყოდა ბაგრატმან, რომელ თემურ არა დაუტყვევებს ამა<sup>5</sup> სირცხვილსა თვისსა<sup>6</sup>, ამისთვის<sup>7</sup> იწყო მაგრებად ქვეყნისა და დახიზუნად საგანძურთა და დედა-წულთა; ხოლო მან შეიკრიბა ყოველნი სპანი თვისნი და დადგა მართყოფილამ ავქალამდე.<sup>206</sup> მოვიდა თემურ პირისპირ ბაგრატისა, და ბაგრატ გავიდა ყოვლითა ძალითა თვისითა<sup>8</sup>. და იქნა ბრძოლა სასტიკი; და დიდიდამ შის დასვლამდე იყო საშინელი ბრძოლა, სადა სიმხნე ბაგრატმან და სპამან მისმან გამოაჩინეს და მრავალნი ჩინებულნი თემურისანი მოსწყვიდეს და კინდადა მიზდრიკეს თემურ. გარნა სიმრავლისა გამო სძლიეს ბაგრატს და იელტოდენ იუერიელნი. გარნა ცოცხალნი ვერვინ დაინარჩუნეს თემურისთა.<sup>207</sup>

მაშინ თემურ შემუსრნა მცხეთა და სხვანი ეკლესიანი [121] და ციხენი ქართლისანი და სომხითისანი და მოსწვნა<sup>9</sup> მრავალნი, რომელიც დღესაც მჩენარებს ქვაბთახევს ეკლესიისა<sup>10</sup> იატაკნი.<sup>208</sup>

უკუნეიკა თემურ და მივიდა დალისტანსა შინა და დაიმორჩილა იანნი, და მიერ-დღითგან არიან დალისტენლნი<sup>11</sup> მაჰმადიანს სჯულსა ზედა. და მიერ წარვიდა თემურ სპარსეთადვე.

ხოლო ბაგრატ იწყო კვალად შენებად ქართლ-სომხითისა, თემურისაგან მოოხრებულთა.

და შემდგომად გარდაიცვალა დიდი ბაგრატ მეფე წელს ქრისტესით 1395. ამისთვის ეწოდა ამას დიდი ბაგრატ მეფე, რომელ იყო ძლიერი, მხნე, ახოვანი, ყოველთა ნებირისპირეთა მაბრძოლთა თვისთა სძლო, თვინიერ ლანგთემურისა<sup>12</sup>, და იგიცა სიმრავლისა გამო; ხოლო მეორე ესე, რომელ არა დამორჩილა მძლავრსა; მესამედ, იყენენ სხვანიც ბაგრატ მეფენი, გარნა არა მსგავსნი ამისნი.

და იმეფა წელნი 35.

75. შემდგომად ბაგრატისა იქნა ძე მისი გიორგი მეფედ. შემოკრიბნ კათალიკოს-ეპისკოპოსნი და აკურთხეს მეფედ.

<sup>1</sup> საქართველოისანი BC. <sup>2</sup> და — AC. <sup>3</sup> და — A. <sup>4</sup> გამოიყვანა A. <sup>5</sup> აჰას A <sup>6</sup> თქსა B. <sup>7</sup> ამისთვის B. <sup>8</sup> თჯითა B. <sup>9</sup> მოსწვნა BC. <sup>10</sup> ეკლესიისა BC. <sup>11</sup> დალისტანელნი AC <sup>12</sup> ლანგთემურისა ABC.

ამან გიორგიმ დაიპყრა ყოველი საბრძანებელი ზამისა მისისანი.

ამის მეფობის მეორეს წელს მოკვდა დადიანი ვაჟე და იქმნა დადიანთ მამია.<sup>209</sup> ამან მეფემან გიორგიმ უბოძა საერისთაო ცხოვისა მამია დადიანსა ერთგულებისათვის მისისა. ამის შემდგომად გარ[122]დაიცვალა კათალიკო-  
5 ზი ელიოზ და ამან მეფემან დასვა მიხაილ, ვინათგან ძველითგანვე ჩვეულება იყო, რომელ კათალიკოსნი<sup>1</sup> აღრჩევითა და ნებითა და ბრძანებითა შევისათა მიიღებდენ კურთხევასა და ტახტსა.<sup>210</sup>

მსმენელი გიორგის გამეფებისა, თვინიერ ბრძანებისა მისისა, დიდათ წყინებულ იქმნა ლანგ-თემურ<sup>2</sup> და წარმოვიდა თვისითა სპითა და მოვიდა  
10 რანს, რომელსა აწ უწოდებენ ყარაბაღსა. მუნით<sup>3</sup> მიუვლინა მოციქული თემურ გიორგის: „მე დავიპყარ აღმოსავლეთი და შეფენი მისნი და შენცა მორჩილ მექმენ და მოვედ წინაზე ჩემსა“. ხოლო გიორგი ვერ მივიდა მასთანა და აღუ-  
თქვა ხარკი. გარნა ვინათგან არა მივიდა გიორგი თემურისა თანა, ამისთვის განრისხდა და მოვიდა ქართლს. აქათ ეწყო გიორგი მეფე სპითა თვისითა და  
15 ყვანდაცა შემწედ ოვსნი და კავკასნი. და აქმნა ბრძოლა სასტიკი და სამაგალითოა. და განძლიერდენ ქართველნი და მოსრნეს თემურისნი მხნენი და ძლიერნი. და იყო ბრძოლა განთიადიდა მიწუბრამდე. და მისდრკანეს ქარ-  
თველთა თემურისნი.<sup>211</sup> იხილა რა თემურ ესრეთ უკუნქეულნი სპანი თვის-  
ნი, აღუზახა<sup>3</sup> მისთანა მყოფთა მხედრობათა: „აჰა ღლე სიკვდილისა ჩემისა!“  
20 და მოვიდა ვითარცა გრიგალი. და უკუნქეცნ<sup>4</sup> [123] ქართველნი და ივლტოდენ. მიიქცა თემურ, აღიღო თბილისი და შეაყენა მცველად ხვარასნელნი. და მიერთენენ<sup>5</sup> თემურს მრავალნი ქართველნი შემძლენი კაცნი. სწადროა თემურს შეპყრობა გიორგისი, გარნა ვერ შეეცლო. და მიიქცა თემურ სპარსეთადვე.

ხოლო იხილა დროა კოსტანტინე, ძემან ბაგრატიისამან, და დაიპყრა იმე-  
25 რეთი თვისდად და იწოდა მეფედ. გარნა გიორგიმ არა მიხედნა ამას, არამედ შეიკრიბნა და გამოიყვანნა<sup>6</sup> კავკასით ოვსნი და ძურძუკნი და სპანი თვისნი და მიუხდა თავრიზს<sup>7</sup> აღინჯას<sup>8</sup> 212) ციხესა და შემუსრა იგი და მოსწვა, მოსტყვენა მახლობელ მისა და აღიღო ალაფი დიდძალი, და მოვიდა გამარჯვებული შინადვე.

ხოლო მეფემ განიზრახა დიდებულთა თვისთა თანა ზავი თემურისა და წარავლინა დესპანი, რათა ზე-ყოს<sup>9</sup> და მისკენ მეფემან გიორგიმ ხარკი თემურს. გარნა თემურ უპასუხებდა: „უკეთუ მოხვალ ჩემთანა და იქმნებ<sup>10</sup> მაჰმადიან და დაუტევებ სჯულსა შენსა, შენცა მოვანიჭო მრავალი და ქვეყანა შენი მწვიდრით დავიტევა და შემუსრვა აღინჯა<sup>11</sup> ციხისა, რომელი სწყლავს  
35 გულსა ჩემსა, მოვიტეო; და უკეთუ არა, მოკაოზრო ქვეყანა შენი და არცა ხარკითა და არცა სხვითა რამეთა<sup>12</sup> მოზრჩალებითა ვუ-შენთანა ზავი“. არა ერჩდა ამას [124] ზედა მეფე გიორგი.

ამისთვის განძვინდა თემურ და სამგზის უკუნქეცა თემურ სპარსეთად და სამგზისვე მოიქცა და მოვიდა საქართველოდ. მოაოხრა ყოველი საქარ-  
40 თველო და სამცხე, მოსწვა, მოსტყვენა; და ეკლესიები რომელიმე დაამხვა<sup>13</sup> და რომელიმე დასწენა, და ხატნი და ჯვარნი წარიღო; და ციხესიმაგრენი აღიღო, და რომელიმე შემუსრნა და რომელთა შინა თვით მკველნი მისნი

<sup>1</sup> კათალიკოსი ABC. <sup>2</sup> ლანქთემურ ABC. <sup>3</sup> მუნდ ABC. <sup>4</sup> აღუზახნა A. <sup>5</sup> იქცა ABC.

<sup>6</sup> მიერთენენ C. <sup>7</sup> გამოიყვანა AC. <sup>8</sup> თავრიზს A. <sup>9</sup> აღინჯას ABC. <sup>10</sup> ჰყოს A. <sup>11</sup> იქნები A.

<sup>12</sup> ანიჯან ABC. <sup>13</sup> რაითამე A. <sup>14</sup> დაამხვა BC.

დაადგინა; ეგრეთვე კავკასიის კალთანი, მთიულეთნი და სხვანი, არაგვის ხეობანი მოაოხრა და ყოვლითურთ იავარ-ჰყო სრულიად საქართველო, სამცხე და მხარენი მისნი; ეგრეთვე წარგზავნა სპანი თვისნი ოვსეთად და მოაოხრა ოვსეთი. და იტყვიან: „მიერ დღიდან იწოდა ჩერქეზი<sup>1</sup> და<sup>2</sup> არიან მახმედთან<sup>3</sup> ჩერქეზნი<sup>4</sup>“.

5

ესე ლანგ-თემურ<sup>5</sup> დიდათ განძლიერდა და დაიპყრა ყოველი აღმოსავლეთი. და ეშინოდა მისი კოსტანტინეპოლის<sup>6</sup> კეისარსა და სძლიობდა, და წარმოუგზავნა<sup>7</sup> ძე თვისი. ამან თემურ შეიპყრა ბრძოლასა შინა ხულტან ბაიხით და შეაყენა რკინის გალიასა და სადაცა წარვიდის, თვის, თანა ჰყენა-და. ამის ბაიხითის შთამომავლობა არიან აწინდელნი ხვანთქარნი:<sup>8</sup>

10

ხოლო რაჟამას დაიპყრა ყოველი აღმოსავლეთი თემურ, წარვიდა, რათა დაიპყრას ჩინეთი, და რა მივიდა სამარყანდს, მოკვდა მუნ.

ხოლო [125] მეფემან გიორგიმ კვალად დაიპყრა ყოველი საქართველო სოზნებ-პერ<sup>9</sup>-კახითა და იწყო ქცეულთა და მოხრებულთა კვალად შენებად.

ამას ჟამსა მოჰკლეს კოსტანტინე მეფე იმერეთს.<sup>10</sup> და შთავიდა მეფე 15 გიორგი იმერეთს და მოერთო დადიანი მამია, გურიელი და შარვაშიძე და დაიპყრა ყოველი იმერეთი. მუნით წარმოემართა და გარდამოვლო<sup>9</sup> მთაჲ ლომსა<sup>10</sup> და მოვიდა სამცხეს, და განაგნა მუნებურნი საქმენი და უბრძანა ათაბაქსა მოხრებულთა<sup>11</sup> ეკლესიებთა შენება; ეგრეთვე კლარჯნიცა დაიმორჩილა და განაგნა საქმენი სამცხე-კლარჯეთისა, ვითარცა ბრწყინვალემან 20 გიორგიმ. და მოიქცა კვალად საქართველოდ<sup>12</sup> და მოადგა თბილისს, გამაგრებულსა თემურისაგან, და აღიღო იგი და სხვა ციხენი ქართლისანი. და განასხნა თათარნი საზღვრით მისით და მოსრნა, სადა ჰოვნა. და ესრეთ კეთილად დაამშვიდა ყოველი ივერიაჲ.

ხოლო იწყო მეფემან გიორგი მოსვრა, მიწყევდა თათართა: სადა ჰპო- 25 ებდა საზღვარს გარეთ თვისით, ვიდრე რახსის კიდემდე<sup>13</sup>, არა დაუტევა, მოსრნა, მოსწყვიდნა. და ვინათგან იყო ესევეითარი ჰირი დიდი თათართა ზედა მეუთის გიორგისაგან და არა ესეათ ყაენი თათართა, ამისთვის შეკრბენ<sup>14</sup> ყოველნი თურქობაჲ, ვითა<sup>15</sup> [126] რესპუბლიკა,<sup>14</sup> ბილწისა<sup>15</sup> სჯულისა მათისათვის და მოვიდენ ქართლს.

30

და ოდეს მოესმა მეფესა მოსლვა მათი, არლარა იკადრა მოცდად სხვათა სპათა მისთა და, რაოდენი ჰყვა მისთანა, მიეგება მცირითა სპითა. და იქმნა ბრძოლა ძლიერი და სასტიკი, რამეთუ მოსრპეს თურქნი უმრავლესნი. არამედ ძლიერისა ბრძოლისა შემდგომად მოიკლა თურქთაგან მეფე გიორგი წელს ქრისტესით 1407. და ვინათგან იხილეს, სპათა მისთა მოკლული მეფე თვისი, 35 არლავინ წარვიდა ლტოლვად, და დიდითა ფიცხელითა ბრძოლითა მოსწყვიდნეს იგინიკა. მოიქცენ თურქნი და მოარბიეს საქართველოჲ მარბიელითა და წარვიდენ.

ხოლო იმეფა ამან გიორგიმ წელნი 12.

76. შემდგომად გიორგი მეფისა დაჯდა მეფედ ძმა მისი კოსტანტინე და 40 დაიპყრა ყოველი გიორგია. ამან მიიღო გეამი გიორგი მეფისა და<sup>17</sup> დაფლა

<sup>1</sup> ჩერგეზი ABC. <sup>2</sup> და — BC. <sup>3</sup> მახმედიანი A. <sup>4</sup> ჩერგეზნი ABC. <sup>5</sup> ლანქთემურ ABC. <sup>6</sup> კოსტანტინეპოლის ABC. <sup>7</sup> წარმოუგზავნა C. <sup>8</sup> შერ A. <sup>9</sup> გარდმოვლო A. <sup>10</sup> ლომსანი ABC. <sup>11</sup> მოხრებულთა B. <sup>12</sup> საქართველოთ A. <sup>13</sup> კიდემდე A. <sup>14</sup> შეკრბენ A. <sup>15</sup> ვითარ A. <sup>16</sup> ბილწისა A. <sup>17</sup> და—A.



მცხეთას. ამან უმეტეს გიორგისა იწყო ოხრება<sup>1</sup> და კირთება მაჰმედიანთა, და  
პრავალთა მათთა შეკრებულთა დიდ-დიდთა<sup>2</sup> ლაშქართა სძლო. ამისთვის, სჯუ-  
ლთა მათთა შემწეობისათვის, სულტანმან მუსა, ზემოსხენებულის ბაიაზეთის ძის  
ძემან, წარმოგზავნა ლაშქარნი კოსტანტინეს მეფესა ზედა. და მიეგება სპითა  
5 თვისითა და შეიქმნა [127] სამონღოლი ბრძოლანი, სადა მოსწყვიდნეს ორგნი-  
თუე უმრავლესნი და უმეტეს თურქნი. მაშინ მეფე სიფიციხითა გულისათა შე-  
ვიდა შინაგან რაზმსა და მოსწყვიელდა სიმრავლესა უშიშრად<sup>3</sup>. გარნა მოიკლა  
მეფე ბრძოლასა მას შინა წელს ქრისტესით 1414. და უკუნნიქცენ<sup>4</sup> სპანი კოს-  
ტანტინესანი. და შემდგომად ვერ უძლეს დგომად თურქთა საქართველოსა  
10 შინა და წარვიდენ.

77. შემდგომად კოსტანტინესა დაჯდა ძმისწული მისი და ძე გიორგი მე-  
ფისა ალექსანდრე. ამან მოიღო გვამი კოსტანტინესი და დაფლეს ვარძიას.  
ამას ეამსა ალილაშქრა. მამია დანდინმა და წარვიდა აფხაზეთს, რათა  
დაიპურას აფხაზეთი თვისდად. გარნა ეწყო დადიანსა შარვაშიძე და სპანი  
15 აფხაზთანი. მოკლეს დადიანი მამია და ივლტოდენ სპანი მისნი.

ესე არა სათნოდ აღუჩნდა მეფესა ალექსანდრეს, რათა დადიანი დაიპ-  
ყრობს თვისდად აფხაზეთსა. ამისთვის წარმოემართა ოდიშად დადიანსა ზედა,  
გარნა მოეგება წინა ძე მამია დადიანისა ლიპარიტ და ამისთვის მიუტევეა მას  
შეცოდება მამისა თვისისა და ლიპარიტ კვალად აღიყვანა პატივსა ზამისა  
20 თვისისასა.

მერმეთ წარვიდა მეფე აფხაზეთს და წარიტანა დადიანი ლიპარიტ და  
დაიმორჩილნა აფხაზნი, ვითარცა სხვამან მეფემან.<sup>216</sup> მუნით [128]. მოქცეული  
მოვიდა ქუთათისს<sup>5</sup> და ეყურთხა მეფედ. გარნა არა შოვიდა ათაბაჯი, ვინათგან  
მიზეზობდა თათართა. ამისთვის მეფემან დასვა იმერეთს ერისთავი და დაამ-  
25 შვიდა ამით. და თვით წარვიდა სპითა იმერეთისათა, სადა შეიკრიბნა სპანი  
საქართველო-სერ-კახისა და სომხითარნი და წარვიდა ათაბაქსა ზედა. მცნობ-  
მან ათაბაქმან და არანწადნელმან მოჩილეებისამან შეიკრიბნა<sup>6</sup> სპანი თვისნი  
და გარემონი<sup>7</sup> მისნი და ეწყო მეფეს კობტის თავს. და შემდგომად ძლიერისა  
ბრძოლისა გაემარჯვა ნეფეს. და შეიპყრეს თვით ათაბაჯი იოანე და მორათვეს  
30 მეფეს.<sup>216</sup> ხოლო მეფემან პატიმარ-პყო და შემდგომად რამოდენისამე<sup>8</sup> ეამისა  
მიუტევეა შეცოდება თვისი, დააფიცა ერთგულეზასა ზედა, განუტევეა და კვა-  
ლად აღიყვანა ათაბაგობისა პატივსა ზედა, ვინათგან იყო მოწყალე დიდი და  
შემცოდეთა მიმტევებელი. განაგნა იქაურნი საქენი და მოვიდა ტბილისს.

ხოლო ვინათგან დაამშვიდნა ყოველნი თვისნი<sup>9</sup> ქვეყანანი, მაშინ<sup>10</sup> შე-  
მოპკრიბნა კათალიკოზ-ეპისკოპოსნი და შთავარნი და დიდებულნი და განი-  
35 ზრაბა მათ შორის, რათა აღაშენოს კათოლიკე ეკლესია<sup>11</sup> და სხვანიცა.<sup>217</sup> მა-  
შინ მხიარულ-ქმნილნი დაემოწვნენ ყოველნი და განაწესეს ყოველსა საბრძანე-  
ბელსა მისსა ზედა თითოსა გლესსა ერთსა კომლსა ზედა სამი კირნანეული,  
რომელ არს ექვისი შაური აწინდელი.<sup>218</sup> [129] და მოპკრებდიან ამას წლთით-  
40 წლად. და იწყო ამით შენება მცხეთისა, რუისისა და სხვათა. და მოიკა-  
ლეთისაგან 15 წელსა მშვიდობა და შეასრულნა ესენი.<sup>219</sup>

<sup>1</sup> ოხრებად A. <sup>2</sup> დიდთა A. <sup>3</sup> უშიშად BC. <sup>4</sup> იქცენ B, იქცენ C. <sup>5</sup> ქუთათის ABC.

<sup>6</sup> შეიკრიბა C. <sup>7</sup> გარემონია B. <sup>8</sup> რამოდენისა A. <sup>9</sup> თვისნი B. <sup>10</sup> მაშინ A. <sup>11</sup> ეკლესია BC.

ამას მოსცემდა<sup>1</sup> ხარკსა განძელ-შარეანელნი. და იმედუენი სპარსთაგან განუდგენ განძელნი და არლა მოსცეს<sup>2</sup> ხარკი. და ამისთვის წარვიდა და დაი-  
მორჩილნა ივინი. და შეშინებულთა დარუბანდელთაჲცა მოართვეს მრავალკეცი  
ძღვენი. და ესრეთ გამარჯვებული უკმოიქცა ტფილისადვე.

ესე მეფე იყო მხნე, ახოვანი და ამასთანა მოწყალე დიდი ქერიეთა<sup>3</sup> და 5  
ობოლთა და შიმტეეებელი შემცოდეთა. და ჰქონდა სხვანიცა მრავალნი კე-  
თილნი სათნოებანი. და ამისთვის წარუმართა ღმერთმან დღეთა თვისთა.

ესე მეფე ალექსანდრე მოვიდა ყოველსა სამეფოსა თვისსა ესრეთ: ზამ-  
თარ იყოფებოდა<sup>4</sup> იმერეთს, ზაფხულ—სამცხეს, კლარჯეთს და თრიალეთს,  
შემოდგომა-გაზაფხულს—სომხეთს, ქართლს და შერ-კახეთს; და იყო შეგბანა-10  
ღირობა-ნადიმობასა<sup>5</sup> შინა<sup>220</sup>) და უშეტეს განგებასა ქვეყანისასა.

არაჲდ ამისა შემდგომად მოკვდა მეფე ალექსანდრე წელს ქრისტესით  
1442. და იმეთა წელნი 28.

76. და შემდგომად ალექსანდრესა მეფე იქმნა ძე მისი ვახტანგ. ესე  
ეკურთხა ჩვეულებისებრ მცხეთას. ესე იყო [180] ძლიერი ტანითა და ახოვანი 15  
ხოლო შემმართებელი საქმისა, მრისხანე და მოწყალეცა, და ამასთანა ჰქონდა  
შეწინიერება საქმაო.

ამას ეძნსა გამოჩნდა სპარსეთს კაცი სახელით ჯაან-შაჰ<sup>6</sup> და განძლიერ-  
და ფრიად და სწადოდა დაპყრობა ყაინობისა. ესე წარმოემართა სპითა  
ურციცხვითა და მოვიდა ახალციხეს და მოაოხრა, და ციხესა ებრძოდა ძლიე- 20  
რად. <sup>221</sup>) ამისმა მსმენელმან მეფემან ვახტანგ შეიკრიბნა მხნენი სპანი იმერ-  
თამერთა, ჰერ-კახთა და სომხითართა და მოვიდა ახალციხეს, სადა შემოერ-  
დენ მესხნი. და ეწყო<sup>7</sup> ჯაან-შაჰს.<sup>8</sup> და იქმნა ბრძოლა საშინელი დილით ვიდრე  
ღამემდე<sup>9</sup>. და მოსწყდენ მრავალნი ორთავ კერძოთ, და ვერა რომელმან სძლეს.  
და გაყარნეს სილაშემბან. გარნა მას ღამესა უგრანულად წარვიდა ჯაან-შაჰ<sup>10</sup> 25  
ღამით და გაიბარა. მცნობმან მეფემ იწადა უკანა დევნა, გარნა დიდებულნი  
აყენებდენ მეფესა. და ესრეთ მმადლობელი ღვთისა მოიქცა გამარჯვებული.

გარდაიცვალა მეფე ესე ვახტანგ წელს ქრისტესით 1445 და დაფლეს  
ბანას. და არა დაშთა არცა ძე და არცა ასული. და იმეთა აჰან წელნი 3.

79. იქმნა მეფედ ძმა ვახტანგისა და ძე ალექსანდრე მეფისა გიორგი. 30  
შემოკრბენ სამღვდლო-საერონი და აკურთხეს მეფედ.

ესე იყო სიკეთითა სრული, ხოლო მსახურა [181] უბედობამან<sup>11</sup> და ამის  
დროს განსქდა სამეფო ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, სამ სამეფოდ და ხუთ  
სამთავროდ.

ამის გამშიდ გამოვიდენ შავის ზღვით კატარლანი 50, სავსენი სპითა სულ- 35  
თან მურადისა, და მოაოხრეს საერისთო ცხამისა და ატხაზეთი, და დააქციეს  
ცხომი და წარვიდენ.

ამის გამშიდ გარდაიცვალა ათაბაგი აღბულა, რომელი იყო კაცი ღირს-  
სახსოვარი, რომელმან დაუდვა სამართლის წიგნი მესხთა, რომელიც დღეს  
არის და უწოდებენ აღბულას სამართლის წიგნსა. ხოლო მიიღო ნებითა მე- 40  
ფისათა ათაბაგობა<sup>12</sup> ყუარყუარემ.

ხოლო ეამსა ამას ქრისტეანეთ ცოდვათათვის განარისხნა ღმერთი და  
სულტანმან აიღო კოსტანტინეპოლი<sup>13</sup> ქრისტესით 1453.

<sup>1</sup> მოსცემდა A. <sup>2</sup> მოსცეს A. <sup>3</sup> ქერიეთა BC. <sup>4</sup> იყოფებოდა A. <sup>5</sup> ნადიმობასა AB.  
<sup>6</sup> ჯაან-შაჰ ABC. <sup>7</sup> უწყო A. <sup>8</sup> ჯაანშას ABC. <sup>9</sup> ღამემდე A. <sup>10</sup> ჯაანშა ABC. <sup>11</sup> უბედობან A.  
<sup>12</sup> ათაბაგობა BC. <sup>13</sup> კოსტანტინეპოლი ABC.

წელსა ქრისტესით 1462 ღებან დიმიტრი იმერთა ერისთვისამან თვით იმერთა ერისთავმან ბაგრატ იწყო მეფედ ყოფნა იმერთა ზედა. ესმა ესე გიორგი მეფესა და შესწუხდა და ზეიკრიბა სპანი ქართლ-სომხითისა და ჰერკახეთისა და მოვიდა იმერეთს. გარნა ათაბაგი, დადიანი, გურიელი, შარვაშიძე და სვანთ ერისთავი არცა რომელსა მწე ექმნენ, ვინათგან საქმიითა ამით მოელოდენ განთავისუფლებასა.

ხოლო გიორგი მეფე და ბაგრატ ეწყენენ<sup>1</sup> ურთიერთას ჩიხორს და დიდითა [132] ბრძოლითა მოსწყდენ იმერ-ამერნი. და შემდგომად იძლია მეფე გიორგი და იელტოდა ქართლს.

10 მაშინ ბაგრატ დაიპყრა ყოველი იმერეთი და იკურთხა მეფედ.

ხოლო მთავარნი ზემოხსენებულნი განთავისუფლდენ და იპყრობდენ თვისთა სამთავროთა თავისუფლად.

წარმოემართა მეფე გიორგი სპითა, რათა დაიპყრას საათაბაგო<sup>2</sup> და განაჩოს ყვარყვარე, და დადგა თანავარს<sup>3</sup>. მაშინ შემოუჩინეს მოლალატენი მეფესა გიორგის, რათა მოჰქლან იგი. გარნა არა დაირწმუნა მეფემან საქმე ესე. მაშინ იოთამ<sup>4</sup> ზედგინიძემან, მხურვალეებისა ერთგულებისა გამო, ჰრქვა<sup>5</sup> მეფესა: „შენ თავსა ნუ მოიკლავ, ხოლო მე დაეწევი საგებელსა შინა შენსა. და უკეთუ ნაცვლად შენსა მომქლან, მაშინ განმართლდების თქმული ესე და განამჰკატრე თავი შენი, ხოლო ძეთა ჩემთა ნუ დაივიწყებ“. ესე ყოველი ესრეთ ყვეს და მოჰქლეს იოთამ. გარნა მეფემან შეიპყრა<sup>6</sup> ყოველნი იგი განმზრახნი მკვლელობისა<sup>7</sup> თვისისანი და მოსწყვიტნა ყოველნი.

გარნა შეთოსა და ძიებასა ამას შინა დაესხა ყვარყვარე ათაბაგი თავს მეფესა და აოტნა სპანი მეფისანი, შეიპყრა თვით<sup>8</sup> მეფე გიორგი და წარიყვანა სამცხეს და მუნ ჰყო პატიმრად პატივითა დიდითა.

25 ამცსა შემდგომად მოკვდა ათაბაგი<sup>9</sup> ყვარყვარე<sup>222</sup> და იქმნა ათაბაგად ძე მისი ბაადურ.

ხოლო იხილა რა ბაგრატ იმერთა მეფემან ცალიერი [133] ქართლი, გარდვიდა<sup>223</sup>, დაიპყრა. და დაეთმან, დაიპყრა ჰერკახეთი და იწოდა კახთა მეფედ.

30 ამისმან მაილელმან ბაადურ ათაბაგმან იგულისხმა<sup>10</sup> და ეზრახა<sup>11</sup> ჰერკახეთს მეფეს გიორგის, უკეთუ არა მოიხსენებს ძვირსა, შემთხვეულსა მამისა თვისისაგან, ვანუტევებს. ამას ზედა არწმუნა მეფემან, და განუტევა, და თვითცა სპითა თვისითა<sup>12</sup> თანა ჰყვებოდა<sup>13</sup> ბაადურ. და გიორგიმ დაიპყრა ყოველი სომხითი და ქართლი (და ბაგრატ წარვიდა იმერეთს), ვგრეთვე დაიპყრა ჰერკახნი, და დავით წარვიდა დიდოეთს. და ესრეთ რა შეეწია მეფესა და დაიპყრა გიორგი მეფემან სომხითი და საქართველო და ჰერკახნი, ბაადურ წარვიდა სამცხეს.

ხოლო გიორგი მეფე მწუხარებდა დიდათ განხეთქისათვის სამეფოსა თვისისა<sup>14</sup> და ეტებდა ჟამსა მარჯვესა, რათა კვლად შეაერთოს. გარნა ვერ მოეწეებდა ჟამისამან ამა მწუხარებასა შინა მიიცვალა წელს ქრისტესით 1469 და დაჰლეს მცხეთას. და იმეფა წელნი 24.

<sup>1</sup> ეწყენენ BC. <sup>2</sup> საათაბაგო A. <sup>3</sup> თონავერს ABC. <sup>4</sup> იოთამ ABC. <sup>5</sup> ჰრქვა ABC. <sup>6</sup> შეიპყრნა A. <sup>7</sup> მკვლელობისა BC. <sup>8</sup> თვით B. <sup>9</sup> ათაბაგი BC. <sup>10</sup> იგულისხმა ABC. <sup>11</sup> იზარხა A. <sup>12</sup> თვისითა B. <sup>13</sup> ყვებოდა A. <sup>14</sup> თვისისა B.

ხოლო არცა ესე დაუტევე<sup>1</sup> იოთამ<sup>2</sup> ზედგინიძესა: ესევეითარისა<sup>3</sup> სახსო  
ვარისა ერთგულებისათვის მიუბოძა მეფემან ძეთა მისთა ციხენი და წამულნი  
და სპასპეტობაჲ<sup>4</sup> ქართლისა, მოურაობაჲ გორისა და სასაფლაოთ<sup>5</sup> სამთავისი  
და ქარისა თვისისა ამილახორობაჲ და ჰყო<sup>6</sup> თავადათ. და მის ჟამთჳს<sup>7</sup>  
5 არიან თავადათ და უწოდებენ ამილახორსა, ვინათჳს<sup>8</sup> [184] უწინარეს იყვნენ<sup>9</sup>  
ზედგინიძენი. \*24)

---

<sup>1</sup> დაუტევე B. <sup>2</sup> იოთა BC. <sup>3</sup> ესევეითარცა A. <sup>4</sup> სპასპეტობა A. <sup>5</sup> სასაფლაოთ BC.  
<sup>6</sup> ყო A. <sup>7</sup> ჟამიდგან A. <sup>8</sup> ვინადგან A. <sup>9</sup> იყუნენ BC.

## [წიგნი II]

### [წიგნის ოთხმოცემა]

ხოლო ამათ<sup>1</sup> შემდგომთა მეფეთა ქმნულებასა ეიწყებ განკერძოებით აღწერასა, ვინათგან იქმნა განხეთქილებანი და საშეფოთა კერძობანი.<sup>226)</sup>

5 არიან ამას შინა რომელნიმე ქორონიკონები მეფეთა გამეფებისა თუ სიკვდილისა წინა-უკმო და აღრეულ, გარნა მიზეზნი ამისნი იხილეთ მკითხველთა სრულსა ქართველთ ცხოვრებასა შინა. და უკეთუ წინა-უკმო არს დაწერილ ქორონიკონები, გარნა რიცხენი არა შემტარ არიან და ნამდვილ ქეშპარიტებენ.<sup>226)</sup>

10 ნიკოლაჲ დადიანოვი პირველი

### თ ა ვ ი 7

#### აღწერა საქართველთაგან<sup>227)</sup> შემოქმედებულად ჩემ მიერ

მტკვარი გამოდის კოლას, ყალნუ-შათს; სამცხეს, ქართლს, ჭერეთს<sup>2</sup>, 15 რანს განელის, შორის მოეკანს მიერთების რახს, ჯაეთს, და სალიანს ქვეით<sup>3</sup> ერთვის კასპიის ზღვას.

ბერდუჯის მდინარე არს საზღვარი ქართლისა, გამოსდის მთასა აბოცი-სასა და სდის აღმოსავლით ჭოქჯანა<sup>4</sup>დუ<sup>4</sup>, მერმე მოიქცევის [133] და სდის ჩრდილოთ კერძო და მიერთების ქცია მდინარესა.

ახატი და სანაინი<sup>5</sup> არს აღმენებული ქართველთა მეფისაგან, გუნბათიანი, 20 დიდშენი ეკლესიანი, ხოლო სომეხნი იტყვიან სომეხთა მეფეთაგან აღმენებასა. ამის ზემოთ არს ეკლესია<sup>6</sup> ქობერი<sup>7</sup>. ესენი უპყრიეს აწმყოსა ღამსა სომეხთა.

ბერდუჯის მდინარესა ზედა არს ზემოთ, მაღალსა კლდესა ზედა, ქვაბნი მრავალნი, და არიან ძველთა წიგნებითა სავსენი, გარნა მიუახლებელი არს კაცთაგან სიმაღლისა გამო კლდისაგან. დასაელით ამისა არს ციხე ლორისა.

25

#### აღწერა სომხეთისა

ახატი<sup>7</sup> ქვეით არს ხეობა ჭოქჯანისა<sup>8</sup> და ამის ქვემოთ არს ჩრდილოთ ეკლესია<sup>9</sup> აგარაკისა. ამას შინა<sup>9</sup> დასეა გორგასლან ეპისკოპოსი, შემდგომად იქმნა მიტროპოლიტი; ამისი<sup>10</sup> საიწყესო იყო ხუნანი, გარდაბანი და ბერდუ-

<sup>1</sup> მათ A. <sup>2</sup> შერეთს AB. <sup>3</sup> ქვეითს A, ქუშეთს B, ქუშეთ C. <sup>4</sup> ჭოქჯანა<sup>4</sup>დუ ABC. <sup>5</sup> სანონი ABC. <sup>6</sup> ეკლესია BC. <sup>7</sup> ახატი<sup>7</sup> ABC. <sup>8</sup> ჭოქჯანისა ABC. <sup>9</sup> შდ A. <sup>10</sup> ამის DC.

ჯის მდინარე. აწ ეწოდების ეკლესიასა <sup>1</sup> ამას ახტალა. ახტალის აღმოსავლეთ არს ბერდუჯის მთასა შინა ორი მონასტერი: ერთი ხელსა !ჭყუიან-ყოფს, ხოლო მეორესა შინა გამოსდის წყარო, რომელი მიიღებს ბრაზიან-ცოფიან-კბენილი, მსწრაფლ განკურნებს <sup>2</sup>. <sup>228)</sup>

ხოჯორნიის <sup>3</sup> ხეობაზედ არს ეკლესია <sup>4</sup> გუნბათიანი, ხოლო წოფას—ციხე 5 მცირე.

ხოლო შულავერის [136] ხეობა არს ლელვარის <sup>5</sup> მთის წაკვრით იმიერ და ამიერ. შულავერის სამხრით კერძო არს გორულას ხევი, რომელი ეყრების შულავერს. და ამას ზევით არის <sup>6</sup> მცირე ციხე ოფრეთი. ტალავრის ხევზედ არის ქაპალა <sup>7</sup>-ციხე. ამ ქაპალას ჩრდილოთ კერძო ქციის კბოდეზედ <sup>8</sup> არს 10 არქევანი, სადა არიან დიდნი ნაშენებნი. ამას ეწოდა გაჩიანი. <sup>229)</sup> სარკინეთის ხეეს ითხრების მეტალი რკინისა და სპილენძისა და იპოების მცირე ლაგვარდისა.

ფოლადაურის მდინარესა ზედა არს ეკლესია <sup>4</sup> ბოლნისისა უგუმბათო, რომელი ალაშენა 29 მეფემან ფარსმან <sup>9</sup> და გორგასლან დასვა <sup>10</sup> ეპისკოპოზი. 15 წულრულაშენს <sup>11</sup> არს ეკლესია <sup>4</sup> გუმბათიანი, კეთილ-ნაშენი ფრიად. ამას ზევით —ციხე ბერდიკისა. ფოლადაურის <sup>12</sup> ხეეს ზევით არს მონასტერი ჰუჯაბისა <sup>13</sup> გუმბათიანი.

არამედ ამ ადგილთა—ღებელიდამ <sup>14</sup> ბოლნისის <sup>15</sup> დასავლეთ მცირე მთამდე და ქციის მდინარიდამ ლელვარ <sup>16</sup>-ლოქის მთამდე—უწოდებენ აწ სომ- 20 ბითსა, ხოლო ძველად არს საერისთო ხუნანისა.

#### აღწერა ტაშირისა

აქაცა მცხოვრებნი არიან სარწმუნოებით სომეხნი, ხოლო [137] ქართველნი მცირედ. ლორეს ზევით და ლოქის სამხრით ვიდრე დებედაძე <sup>17</sup> და არჯანის მთამდე ეწოდების ტაშირი. არა არს ტყე და არცა ხე. აქა მისხანას ითხრების მეტალი <sup>230)</sup> სპილენძისა და ქვა წითელი. 25

#### აღწერა აბოცისა ანუ ყაიყულისა

აქა ითხრების თეთრი ქვა, მსვავსი მარშარილოსა. პალაკაციოს და აბოცს შორის არს მთა აღბაბასი და იგი მთა არს საზღვარი ქართლისა და ყარსისა ვიდრე თეთრ-ციხემდე და ტბამდე ტაშალანისა.

ხოლო აბოცი აოხრებული ალაშენა 90 მეფემან ვახტანგ, სჯულითა 30 იყვნენ <sup>18</sup> სომეხნი და ტყვე-ჰყო შაჰ-ნადირ.

#### აღწერა დმანისის <sup>231)</sup> ხევისა

მშავერის მდინარე გამოდის კერუთის მთასა და მიდის აღმოსავლეთით და ჩასდის დმანისის ხეობას, შვერთვის ქციას ნახიდურის ბოლოს. კერუთის მთასა <sup>19</sup> შინა არს უდაბნო კლდესა შინა გამოკვეთილი და ეკლესია <sup>20</sup>. სენაკნი

<sup>1</sup> ეკლესიასა BC. <sup>2</sup> კურნებასა A. <sup>3</sup> ხოჯორნიის ABC. <sup>4</sup> ეკლესია BC. <sup>5</sup> ლელვარის ABC. <sup>6</sup> არს A. <sup>7</sup> ქალა A. <sup>8</sup> კბოდეზედ ABC. <sup>9</sup> ფარსმან AC. <sup>10</sup> დასვა AC. <sup>11</sup> ქულრულაშენს ABC. <sup>12</sup> ფოლადაურს ABC. <sup>13</sup> ლეჯაბისა AB. <sup>14</sup> ღებელიდამ ABC. <sup>15</sup> ბოლნის ABC. <sup>16</sup> ლელვარს ABC. <sup>17</sup> დებედაძე ABC. <sup>18</sup> იყვნენ B. <sup>19</sup> მთას A. <sup>20</sup> ეკლესია B.

დავით გარესჯელისაგან ქმნილი. აქა დაასხნა ბულა თურქმან ოქსნი. და ესე წარუხენა ოსმალთა მეფემან 83 სიმონ. აქა არს ეკლესია<sup>1</sup> დიდი, გუმბათიანი,<sup>232</sup> ზის [136] მწყემსი ტაშირისა და დმანისისა. აქა არს წყარო, რომელი დაამსხვრევს ქვასა შირიმისასა, რომელი სვანს მას.<sup>233</sup> აქა შეაშენეს ყაფლანიანი-  
 5 თა ციხე სიმაგრისათვის. აბულნუგს<sup>3</sup> ითხრების მეტალი<sup>234</sup> რკინა-სპილენძისა და ლავარდისა. ქვემის ციხე არს ზალალსა კლდესა ზედა მდგი.მი. ყო-  
 რანთას არს ეკლესია<sup>1</sup>, სასვენნი ატოცის წმინდის გიორგისა. ლუკუნს არს<sup>4</sup>  
 ეკლესია ლუკა მახარებელისა, წითლის ქეით ნაშენი და მთასა ამას ამის გამო  
 ეწოდა ლუკუნისა. ჯანდირს არს მონასტერი ეგრეთვე.

10

### აღწერა ზურტაკეტისა<sup>5</sup>

ზურტაკეტის მდინარე გამოდის გამბიანის მთიდან და მიერთვის ქციის<sup>6</sup>  
 მდინარეს. არყნალსა და შამბიანს შუა არის წყარო შენიერ<sup>7</sup>ი, მარპარილოთა  
 აღშენებული, რომელი აღაშენა 94 მეფემან ვახტანგ. კვირიკეთის მთისა თხენსა.  
 ზედა არს ეკლესია, აღშენებული წმინდისა კვირიკესი<sup>7</sup>. აქა არს დაბა ერთი,  
 15 სახელი ყარაბულახი. ამას შთაუღის იმიერ და ამიერ წყალნი, ერთი შავი<sup>8</sup> და  
 მეორე სპეტაკი, და სხენან კალნახნი. შავისა წყლისა კალმახი<sup>9</sup> შთასვა თეთრ-  
 სა—გათეთრდების, ხოლო თეთრისა წყლისა შთასვა შავსა წყალსა, [137] გა-  
 შვედების.

### აღწერა თრიალეთისა

20 ქციის მდინარე სდის საშუალ თრიალეთისა, გამოდის შავრაშეთის<sup>10</sup>  
 მთას, გამოვლის ნარიანს, თრიალეთს, ქციის ხრამს და მიერთვის ხუნანს  
 მტკვარსა<sup>11</sup> და მარადის სდის აღმოსავლეთად.

ამა ქციის კიდებედ არს ეკლესია<sup>12</sup> გუმბათიანი წალკას, დიდ-კეთილ ნაშენი,  
 ჰზის ეპისკოპოსი, მწყემსი თრიალეთისა. არწივანს<sup>13</sup>, თეზის ხრამსა შინა,<sup>125</sup>  
 25 არს მონასტერი კლდესა ზედა წმინდისა აბიბოს ნეკრესელისაგან ქმნილი.  
 კარწახის<sup>14</sup> ხევის შესართავს ქუშით არს ციხე მოღამნახისა<sup>15</sup>, კვირიკეთის  
 მთის ძირშიდ.

### აღწერა ქციის ხრამისა

მოღამნახისა ქვეით<sup>16</sup> არს ვარდის-უბანს მონასტერი უგუმბათო. ქციის  
 30 პირზედ არს ლიპარტის-უბანს მონასტერი მცირე<sup>17</sup>, კეთილნაშენი. ქციის  
 სოფელს არს მონასტერი კეთილი. ქვემოთ ამისა არს მონასტერი ფიტარეთს,  
 შენიერ<sup>7</sup>ი ნაშენი და ზის წინამძღვარი.

ფოცხვერიანის<sup>18</sup> ხეის ქვემოთ არს ქციის პირზედ ციხე [140] ხულუტი-  
 სა. მის ქვეით სამხრით არს ციხე ბერიკალისა, დიდსა და შეუვალსა სიმა-  
 35 გრესა ზედა მდგარი. გვიანას არს მონასტერი მცირე. ქციის ხრამსა შინა არს  
 მონასტერი პირღებულს<sup>19</sup>, კლდე გამოკვეთილი დიდითა შენობითა, თამარ  
 მეფაისაგან აღშენებული.

1 ეკლესია B. 2 მას—A. 3 აბელბუგს ABC. 4 არის BC. 5 ზურტაკეტისა ABC. 6 ქციის BC. 7 კვირიკესა B. 8 შავი—A. 9 კალმახნი B. 10 შავრაშეთის ABC. 11 მტკვარს BC. 12 ეკლესია BC. 13 არწივანს ABC. 14 კარწახის ABC. 15 მოღამნახისა ABC. 16 ქუშით BC. 17 მცირე—A. 18 ფოცხვერის ABC. 19 პირღებულს ABC.

ამას ქვემოთ<sup>1</sup> არს ციხე ორბეთისა, აწ წოდებული სამშვილდედ, რომელი ალაშენა ქართლოს, და პირველმან მეფემან ფარნავაზ<sup>2</sup> ჰყო საერისთაოდ. და არს ციხესა ამას შინა ეკლესია<sup>3</sup> გუმბათიანი, რომელი ალაშენა 32 მეფემან შირდატ. ამის ძირს, ქციის პირს არს მონასტერი მცირე. ჰოვკივის<sup>4</sup> წყლის გამოსადინს არს ნადარბაზევი, თამარ მეფისა სასახლე.<sup>238)</sup>

5

ხოლო ნაჯბადინს<sup>5</sup> ქვეით არს ხუნანი, რომელი ალაშენა, ციხე და ქალაქი, ქართლოს; პირველმან<sup>6</sup> მეფემან ფარნავაზ<sup>7</sup> ყო<sup>7</sup> საერისთაოდ და მოხრდა მურვან ყრუსაგან, აქა ალაშენა 89 მეფემან როსტომ ხიდი ქვიტკირისა დიდშენი.

### აღწერა ალგეთის მდინარისა

ალგეთის მდინარე გამოსდის კლდეკარს და შეერთვის ჩრდილოთ კერძო ხუნანისა მტკვარს. კლდეკარის ციხე ალაშენა ლიპარიტ ბაღვაშმან<sup>8</sup>. მეავის<sup>10</sup> ხევის ქვემოთ არს მანგლისის ეკლესია<sup>3</sup> გუმბათიანი, რომელი ალაშენა დიდმან [141] კოსტანტინე კეისარმან მირიან მეფის დროს და დაასვენა ფერხის ფიცარი უფლისა. აქა დასვა გორგასალმან<sup>9</sup> ეპისკოპოსი, მწყემსი ალგეთისა. სამხრით ეკლესიასა<sup>10</sup> ამას შინა გუმბათსა არს დახატული მანმად ლომსა ზედა მჯდომარე ამისთვის, რათა არა<sup>11</sup> შემუსრონ მახმედინათა<sup>12</sup> და არცა არაოდეს შემუსრვილ არს. პატივანს ქუშვით ვაყესა არს ლოდი მდებარე და უკეთუ გვალვასა გადააბრუნო, იქმნების უწყვირობა.<sup>237)</sup>

15

გუდარეხს<sup>13</sup> არს მონასტერი უგუმბათო, ზის წინამძღვარი. ტბისის უკან ჩრდილოთ კერძო არს ციხე ბირთვისი. ჩხიკუთის<sup>14</sup> სამხრით არს ეკლესია<sup>3</sup>, სამეზა, წმინდის გიორგის. ზრბთის<sup>15</sup> ხეზედ, მაღალ კლდეზედ არს ეკლესია ორბეთი. ხოლო სადა ერთვის ალგეთს ხევი სეგ, მუნ არს ციხე ფარცხისი<sup>16</sup>.

20

კიკეთს ქუშვით ხევისა შინა არს მონასტერი კაბენისა გუმბათიანი, თამარ მეფისაგან აღშენებული, რომელი ყოფილა დედათ მონასტერად. სამხრით ამისა არს ციხე აზეულასი<sup>17</sup>. ამ ციხის სამხრით არს სასახლე მეფისა კოგორი, რომელი ალაშენა 89 მეფემან როსტომ ზაფხულისათვის, ხოლო უმეტეს განაშენა 91 მეფემან გიორგიმ და 94 მეფემან ვახტანგ. ესე კოგორი არს სომხთისაჲ.<sup>238)</sup> კუმისის<sup>18</sup> არს დაბა დიდი. კუმისის<sup>19</sup> [142] აღმოსავლით მტკვრისა არს ეკლესია<sup>3</sup> წმინდისა გიორგისა სასწაულთმოქმედი. აქა მტკვრის კიდებედ არს ქალა ყურყუთა<sup>20</sup>, აწ სონალულად<sup>21</sup> წოდებული.

30

### აღწერა ხკვირეთის მდინარისა

სკვირეთის მდინარე, რომელსა აწ ეწოდების ვერე, გამოდის დიდგორის მთას, მოსდის აღმოსავლეთად და შეერთვის მტკვარს თბილისს. ლასტის ციხეს ქვეით არს სამხრით მონასტერი ყოვლად წმინდისა, გუმბათიანი, ბეთანია, მაგარსა<sup>22</sup> ადგილსა თამარ მეფისაგან აღშენებული. ახალდაბისა და უძოს ხეობაშიდ არს წყარო შეენიერი, და ციებითა გაყუთლებულმან მით დაიბანოს პირი და სეას, მყისზე განკურნებს.

35

<sup>1</sup> ქვემო ABC. <sup>2</sup> ფარნავაზ BC. <sup>3</sup> ეკლესია BC. <sup>4</sup> ჰოვკივილს ABC. <sup>5</sup> ნაჯბადინს A, ნაჯბადინს B, ნაჯბადინს C. <sup>6</sup> პირველმან + და პირველმან BC. <sup>7</sup> იყო B, ჰყო A. <sup>8</sup> ბალიუშან ABC. <sup>9</sup> გორგასალმან A. <sup>10</sup> ეკლესიასა BC. <sup>11</sup> არა—A. <sup>12</sup> მახმედინან AC, მახმედინან B. <sup>13</sup> გუდარეთს ABC. <sup>14</sup> ჩხიკეთის ABC. <sup>15</sup> ზარბთის ABC. <sup>16</sup> ფარცხისა ABC. <sup>17</sup> აზეულასა ABC. <sup>18</sup> კუმის ABC. <sup>19</sup> კუმისას ABC. <sup>20</sup> ყურყუთა ABC. <sup>21</sup> სონალულად ABC. <sup>22</sup> მაგარს AC.



## გარდაბანის და განიანის ხერხისთვის აღწერა

ამას გარდაბანი ამისთვის ეწოდების, ვინათგან ქართლოსის ძესა გარდაბანოს<sup>1</sup> მისცა წილად დედამან მისმან. ხოლო საზღვარი გარდაბანისა და განიანისა არს ესე: აღმოსავლეთით მტკვარი და ხუნანის გამართებით აღმო-  
5 საველეთით ბერდუჯის<sup>2</sup> მცირე მთა; სამხრით შულავერისა, კაპალისა და ბოლნისისა გორები; ჩრდილოთ მტკვრიდამ ტფილისის გორები ტაგნაგეთა-მდე; დასავლეთით ხევი ასურეთისა წინწყაროს გამომართებით წახიდურამდე [143] და ბოლნისის მცირე მთამდე.<sup>239</sup>

## აღწერა ბოსტან-ქალაქისა

10 იალლუჯის აღმოსავლეთ და მტკერის გაღმართ არს ბოსტან-ქალაქი, რომელი არს რუსთავე. ესე ალაშენა ცოლმან ქართლოსისმან ციხე-ქალაქი. შემდგომად ოცდა მერვემან<sup>240</sup> მეფენ თრდატ<sup>3</sup> ალაშენა ეკლესია<sup>4</sup> კეთილი და გორგასალმან<sup>5</sup> დასვა აქა ეპისკოპოსი. და იყო სამოცდა მეოთხე მეფის დაეთისამდე,<sup>241</sup> არამედ გამოსვლასა<sup>6</sup> ბექა ყაენისასა მოხხრდა და აწცა ოხერ  
15 არს.

## აღწერა ტფილისისა<sup>242</sup>

ტფილისი იყო პირველ დაბა და ოცდა მეშვიდის მეფის ვარზა<sup>7</sup>-ბაკე-რის<sup>243</sup> დროსა შინა ალაშენა შურისციხე მცხეთისათვის ერისთავმან სპარსთამან. შემდგომად გორგასალმან<sup>8</sup> დასდვა საფუძველი. დაიძმ<sup>9</sup>, ოცდა მე-  
20 თოთხმეტემან მეფემან, ქმნა ქალაქად და ტახტად შეფეთა. და მურყან<sup>10</sup> ყრუს შემდგომად შემუსრეს ხაზართა და ალაშენა ამირ აგარიანმან.

სიონსა და ანჩისხატს შუა მტკერის გარდაკიდებით სასახლე ალაშენა ოთხმოცდა მეცხრემან მეფემან როსტომ და ოთხმოცდა მეთოთხმეტემან მეფე-  
25 მან ვახტანგ უმეტეს განაშენა ყიზილბაშთა პლანსა<sup>244</sup> ზედა, [144] სადა დღეს სდვას საღუბერნატორო სახლი, რუსულსა პლანსა ზედა გამართული.<sup>245</sup>  
არს კალას<sup>11</sup> ეკლესია<sup>4</sup> გუმბათიანი, <sup>12</sup> რომელსა დღეს უწოდებენ სიონდა  
ამას დაუდვა საფუძველი 39 მეფემან გურამ, შემდგომად შეასრულა ქვრიემან<sup>13</sup>  
ვინმე მოქალაქემან და 41 მთავარმან ადარნასე; გარნა კვალად დარღვეული  
ალაშენა ძირიდან გუმბათითურთ 94 მეფემან ვახტანგ.

30 ანჩისხატი ალაშენა<sup>246</sup> კათალიკოსმან დომენტი, ძემან ქაიხოსროსმან. ქრისტეს შობის ეკლესია<sup>14</sup> ალაშენა კათალიკოსმან<sup>15</sup> ანტონი, ძემან იესე მეფისმან, და შეამკო ფრიად და ქმნა კარის<sup>16</sup> საყდრად თვისად.<sup>247</sup> არს კვალად ეკლესია<sup>17</sup> ნათლისმცემლისა გუმბათიანი, რომელი განაახლა 94 მე-  
ფემან<sup>18</sup> ვახტანგ. კარის საყდარი ალაშენა 89 დედოფალმან მარიაჲ, ასულმან  
35 დადიანისამან. კვალად ალაშენა კარის<sup>18</sup> საყდარი 96 მეფემან ირაკლი მეორე-მან.<sup>248</sup>

<sup>1</sup> გარდაბანოს ABC. <sup>2</sup> ბერდუჯისა C. <sup>3</sup> ტირდატ ABC. <sup>4</sup> ეკლესია BC. <sup>5</sup> გორგასალმან A. <sup>6</sup> გამოსვლასა A. <sup>7</sup> ვარზა ABC. <sup>8</sup> გურგასალმან BC. <sup>9</sup> და ვარი ABC. <sup>10</sup> მურან ABC. <sup>11</sup> აკალას ABC. <sup>12</sup> გუმბათიანი ABC. <sup>13</sup> ქვრიემან BC. <sup>14</sup> ეკლესია + ეკლესია A, ეკლესია B. <sup>15</sup> კათალიკოსმან B. <sup>16</sup> კარი ABC. <sup>17</sup> ეკლესია B <sup>18</sup> მეფემან—A.

მეტეხის ეკლესია<sup>1</sup> ალაშენა ნრ მეფემან დიმიტრი.<sup>249</sup> ხოლო აქა, თბილისის<sup>2</sup>, ხიდის ყურის სამხრით არს საფლავი წმინდის აბოსი, რომელი იწაბა სპარსთაგან ტფილისს. ქაშოეთის ეკლესია<sup>1</sup> წმინდისა გიორგისა ალაშენა თავადმა გივი ამილახორმა.<sup>250</sup> ტფილისის<sup>3</sup> ჩრდილოთ არს ლურჯ-მონასტერი, ეკლესია წმინდისა გიორგისა, უგუმბათო, დიდი, სასაფლაო გაბაშვილებისა.<sup>251</sup> 5

ღვეის-ნამუხლს და მუხად<sup>4</sup>-გვერდის ზეით არს ციხე, [145] ქართლოსისაგან შენებული, და უწოდა ციხესა მას სახელი თვისი. და ამის ძლით ეწოდა<sup>5</sup> ყოველსა ივერისა ქართლი. ესე არაოდეს შემუსრვილა<sup>6</sup> მტერთაგან და იდგაცა ყრუს მოსვლასაცა<sup>7</sup> აღუღებელად. აქა პირველმან მეფემან ფარნავაზ<sup>8</sup> აღნართა კერპი-არმაზი სახელისა თვისისა. და აქა დამარხულ არს ქართლოს 10 პირველად<sup>9</sup> და ფარნავაზცა წინაშე კერპისა თვისისა. ესე ქალაქი არმაზი შეიმუსრა მოსვლასა<sup>10</sup> ყრუსასა.

კავთის ხევი გამოდის დიდგორს, სდის ჩრდილოთ და ერთვის მტკვარს. ქვაბთახევს არს მონასტერი ყოვლად წმინდისა, გუმბათიანი. ამას შინა შექყარა ლანგ-თემურ<sup>11</sup> მოწესენი დედანი და შეაბნა ეცვანნი, რომელნი იტყოდნენ: „გვა ზევნს დედაბრობასაო, რალა გვერავლუნებო!“<sup>252</sup> და გამოსწვნა<sup>12</sup> იგინი ეკლესიასა<sup>13</sup> შინა. და სჩანს დღესაც იატაკსა ზედა კვლნი, ფერხნი, თავნი და გვანნი მათნი. არავინ შევალს ფერხცმულნი სიწმინდისათვის.

#### თეძმისათვის<sup>14</sup>

კავთის დასავლით დის მდინარე თეძმისა<sup>15</sup>, გამოსდის ქუარგბსა<sup>16</sup> და 20 თორის საშუალ მთასა და დედა-ციხემდის სდის აღმოსავლით, მერმეთ სდის ჩრდილოთკენ და მიერთვის მტკვარსა სამხრითამ. აქა, მტკვრის კიდესა, არს მონასტერი ყოვლად [146] წმინდისა, დიდი, გუმბათიანი<sup>17</sup>, მეტეხი, ვახტანგ გურგასლისაგან აღშენებული.

#### აღწერა მცხეთისა<sup>253</sup>

მესამე სასპასპეტო<sup>18</sup> არს, რომელი იწყების მცხეთილამ, და არს მუხრა-25 ნი<sup>19</sup>, ორი არავეი და ქსნის ხევი და მამული<sup>20</sup>—მესამე სასპასპეტო არს.

მცხეთა ალაშენა ძემან ქართლოსისამან მცხეთოს და იქმნა შემდგომად ქალაქი<sup>20</sup> დიდი. მერმეთ იოზლულა არდამ ერისთავმან სპარსთამან და მანვე ალაშენა ხიდსა ზედა ციხეჲ. და ამისგან ისწავლეს ქართველთა შენება ქვით-კირისა. 30

აქა მირიან ალაშენა ეკლესია მოციქულთა ხისა, სამოთხესა შინა. კვალად ამანვე ალაშენა ეკლესია მაცხოვრისა ქვითკირისა<sup>21</sup> გუმბათიანი და დაეფლა მას შინა მირიან და 43 მეფე მირ. ამას შინა დასვა ეპისკოპოზი ვახტანგ გორგასალმან<sup>22</sup>. ვახტანგ გორგასალმან<sup>23</sup> ალაშენა მცხეთის ეკლესია<sup>1</sup> ქვითკირითა<sup>24</sup> და შემდგომად ძვრით დარღვეული ალაშენა 71 მეფემან გიორგიმ, მერ-35 მეთ შემუსრა ლანგ-თემურ<sup>25</sup> და ალაშენა 76 მეფემან აღექსანდრე,<sup>255</sup> შემდგომად შთამოვარდა გუმბათი და მოაშენა 89<sup>26</sup> მეფემან როსტომ.

<sup>1</sup> ეკლესია B. <sup>2</sup> თბილის ABC. <sup>3</sup> ტფილის A. <sup>4</sup> მუხა ABC. <sup>5</sup> უწოდა AB. <sup>6</sup> შემუსრვი-  
ლა BC. <sup>7</sup> მოსვლასაცა A. <sup>8</sup> ფარნავაზ BC. <sup>9</sup> პირველი ABC. <sup>10</sup> მოსვლასა B. <sup>11</sup> ლიგთემურ  
B, დავთემურ C. <sup>12</sup> გამოსწვნა BC. <sup>13</sup> ეკლესიათა BC. <sup>14</sup> თეძმისათვის ABC. <sup>15</sup> თეძმისა ABC.  
<sup>16</sup> ქუარგბსა A. <sup>17</sup> გუმბათიანი AC. <sup>18</sup> სასპასპეტო ABC. <sup>19</sup> მუხრარი ABC. <sup>20</sup> ქალაქ A. <sup>21</sup> ქვით-  
კირისა BC. <sup>22</sup> გორგასალმან A. <sup>23</sup> გურგასალმან AB. <sup>24</sup> ქვითკირითა A. <sup>25</sup> ლაქთემურ ABC.  
\* 99. ABC.

აქა დაფლულ არიან მეფენი: ვახტანგ გურგასიანი, დავით ლაშას ძე, დიმიტრი თავდადებული, დიდი ლუარსაბ, სიმონ და გიორგი, ერეკლე მეორე [147] და გიორგი<sup>286)</sup>.

**აქა აღაშენა ხტეფანწმინდის ეკლესია<sup>1</sup> 31 მეფემან არჩილ.  
აღწერა მუხრანისა<sup>2</sup>**

5

სარკინეთი არს მცხეთის დასავლით და ამის მახლობელ არს მონასტერი დიდი, გუმბათიანი და მღვიმე მას შინა, რომელსა შინა ჰსცხოვრებდა წმინდა შიო, 13 მამათავანი, და არს საფლავი მისი მღვიმესა მას შინა.

ხოლო მდინარე არაგვი გაჰყოფს ქართლსა და კახეთსა, რომელი გამოჲ-  
10 დის მდარან<sup>3</sup> დვალეთის ქნოლოს კავკასის<sup>4</sup> მთიდან და ციკარიდამ<sup>5</sup> სდის აღმოსავლეთ<sup>6</sup> სამხრეთს შუა, ვიდრე გუდამაყრის ხევამდე, და მუნიდამ სდის სამხრით მტკვრამდე.

ხოლო მცხეთის ჩრდილოთ არს ციხე ბელტისა, რომელი აღაშენა არდამ ერისთავმან სპარსთამან. მისაქციელის მთის ძირს არს ეკლესია<sup>1</sup> წილკანისა, რომელი აღაშენა 25 მეფემან ბაქარ. ამას შინა დაფლულ არს წმინდა ისე<sup>7</sup> წილქნელი<sup>8</sup>. ციხის-ძირის სამხრით არს ციხე მტკვრისა სარკინეთის მთასავე ზედა, რომელი აღაშენა 79 მეფემან კოსტანტინეს<sup>9</sup> ძემან ბაგრატ.<sup>287)</sup>

ხოლო კსანი<sup>10</sup> ერთვის ციხის ქუშეთი ჩრდილოთ, და ციხის-ძირს დასავლით კსანს<sup>11</sup> იქით ატყდების მთა თხოთისა<sup>12</sup>, რომელსა ზედა მოიქცა მეფე 20 მირიან ქრისტეანელ: აწცა არს ნიში ჯვარისა, რომელი აღმართა [148] წმინდამან ნინა სვეტისაგან გამოკვეთილი.

**აღწერა არაგვის პირისა**

არაგვის პირსა არს ობერ-ხიდა, სადა აღაშენა ვარზა-ბაქარ ციხე და უკუჯდა ხევსა კახეთისასა. ანანური არს არაგვის პირზედ, ეკლესია<sup>1</sup> გუმბათიანი, რომელი აღაშენა გიორგი ერისთავმან წელს ქრისტესით 1704.

არაგვსა<sup>2</sup> ერთვის გუდამაყრის<sup>3</sup> ხევი.

**აღწერა მთიულეთისა**

მთიულეთს და კსნის ხევს გაყოფს ცხრაზმასა<sup>4</sup> და ხანლოს<sup>5</sup> ლომისის<sup>6</sup> მთაჲ.

ლომეკის მდინარე (რომელ-ა თერგი) გამოსდის ქურთაულისა, ზახისა, მდარან<sup>7</sup> დვალეთისა შუათას აღმოსავლეთიდან, კავკასის მხრიდან, სდის აღმოსავლეთად ჩასავლამდე. ხოლო ჩასავლის ქუშეთ<sup>8</sup> არს, ჩრდილოთ კერძო, არაგვის დასავლით ციხე არშისა<sup>9</sup>, თვინიერ ხელთა კაცთასა ქმნილი, საკვიროჲ, მაგარი.

გველეთს<sup>10</sup> ქუშეთ<sup>11</sup> ერთვის არაგვსავე ხევი სამხრით, და ამ ხევს ქუშეთ<sup>12</sup> დაიწროვდების ხევი ესე კლდითა და აქა არს ციხე დავითისა, არაგვის აღმო-

<sup>1</sup> ეკლესია B. <sup>2</sup> მუნარის ABC. <sup>3</sup> მდარან ABC. <sup>4</sup> კავკასიის B. <sup>5</sup> ციკარადამ ABC. <sup>6</sup> აღმოსავლეთს ABC. <sup>7</sup> ისე A. <sup>8</sup> წინქნელი A. <sup>9</sup> კოსტანტეს B. <sup>10</sup> კსან ABC. <sup>11</sup> თხოთისა ABC. <sup>12</sup> არაგვისა ABC. <sup>13</sup> გუდამარის A. <sup>14</sup> ცხრაზმისა ABC. <sup>15</sup> ხანლოს ABC. <sup>16</sup> ლომისის ABC. <sup>17</sup> შალანარ ABC. <sup>18</sup> ქუშეთი A. <sup>19</sup> არშისა ABC. <sup>20</sup> გველეთს ABC. <sup>21</sup> ერთვის არაგვსავე ხევი სამხრით და ამ ხევს ქუშეთ—B.

საელით, კლდესა ზედა აღმაშენებლისაგან აღშენებული. ამის ქუშმო არს ციხე დარჩელასი, რომელი აღაშენა [148] მესამემან მეფემან მირიან. ამას უწოდებენ ეეროპიელნი კავკასიის კარად.

### აღწერა ქსნის ხევისა

ქსნის<sup>1</sup> მდინარე გამოსდის ოძის ზეით ბაზალეთის და ალგეის მთიდან დასაველით, სდის ქროლოს<sup>2</sup> ქუშურის<sup>3</sup> საშვალ<sup>4</sup> კავკასს<sup>5</sup>, ქარჩოხაზდის სდის<sup>5</sup> აღმოსაველეთად, ქარჩოხს<sup>6</sup> ქუშით<sup>7</sup>, სამხრით, განელის მუხრანს<sup>8</sup> და მიერთვის მტკეპარს.

### აღწერა მეორისა ხასპახპეტოხა შემარჯვენისა<sup>260</sup>

შიდა ქართლისა ნაკვეთისა (რომელ არს ზემო ქართლი) აქ შემცირებით, ხოლო სრულად იხილე დიდსა ქართლის ცხოვრებასა. 10

მეჯვდა<sup>9</sup> გამოსდის ჟანურის მთას, სდის სამხრით დაბის მეჯვამდე.<sup>10 261</sup> კასპის ხევზედ<sup>260</sup> კასპი აღაშენა პირველად უფლოს, მცხეთოსის ძემან, და იყო ქალაქი ყრუდმდე, ხოლო აწ არს დაბაჲ დიდი. კასპს ზევით არს, წლევის მთაშიდ მონასტერი სტეფან-წმინდისა, თათესგან, 13 მამათაგანისა ქმნილი, და დაფლულია<sup>11</sup> წმინდა თათე ღუნ. ამ მონასტერს ზევით არს ციხე, 15 სადიდამ გამოიყვანეს ვახტანგ გურგასლანის დაჲ ოსმან ბალათარ, რომელი მოიკლა ბალათარ ამ [150] გურგასლანისაგან.<sup>261</sup>

სამთავისის ეკლესია სდგას რეხულას<sup>12</sup> პირსა ზედა,<sup>262</sup> რომელი არს აღშენებული მეტამეტე<sup>13</sup> მამათაგანისა იხილორესაგან და დაფლულ არს მუნ. ამურთან<sup>14</sup> ზეით არს უფლისციხე, რომელი აღაშენა პირველად უფლოს, 20 ძემან ქართლოსისამან, და იყო ქალაქი ჩინგისამდე.

### აღწერა გორისა

ამის დასაველით არს ქალაქი გორი; არა უწყით ვისგან არს აღშენებული, არამედ ცხოვრებასა წერილ არს: „ირაკლი კეისარმან უწოდა ტონთიო (ესე იგი ოქროს მთაჲ) დასაფლავებად საგანძურთა“. ესე ციხე წარუხვნა 83 მეფემან სიმონ ოსმალთა და შემუსრა ციხეჲ. და 89 მეფისა როსტომისა ზე აღაშენა შაჰ<sup>15</sup> სეფიმ კვალად ციხე.

### აღწერა დიდისა ლიახვისა და პატარა ლიახვისა მოკლედ<sup>263</sup>

გორიდან ლიახვის მდინარის სიგრძე არს მალრან<sup>16</sup>-დვალეთამდე და სდის მალრან<sup>16</sup>-დვალეთიდან აღმოსაველით დასაველეთად მუგუთამდე<sup>17</sup> და 30 მუგუთიდან<sup>18</sup> სდის<sup>19</sup> სამხრით გორამდე და გორს ქვემოთ<sup>20</sup> მიერთვის მტკეპარს ჩრდილოდამ.

<sup>1</sup> ქსის ABC. <sup>2</sup> ქროლონს ABC. <sup>3</sup> ეამურას ABC. <sup>4</sup> საშვალ AC. <sup>5</sup> კავკას ABC. <sup>6</sup> ქარჩოხოს ABC. <sup>7</sup> ქუშით A. <sup>8</sup> მუხნარს ABC. <sup>9</sup> ბედლუჯა ABC. <sup>10</sup> ბედლუჯამდე ABC. <sup>11</sup> დაფლული ABC. <sup>12</sup> რეხულას ABC. <sup>13</sup> მეტამეტე A. <sup>14</sup> ამურთან ABC. <sup>15</sup> შაჰა ABC. <sup>16</sup> მალნარ ABC. <sup>17</sup> მუგუდამდე BC. <sup>18</sup> სეგუდლიდან ABC. <sup>19</sup> სდის BC. <sup>20</sup> ქუშმოთ B.

დასავალით მეღვრეკისისა<sup>1</sup> ლიახვს გაღმა [არს] ნიქოზს<sup>2</sup> ეკლესია<sup>3</sup> ღვთაებისა, დიდი, გუმბათიანი, ჭომელი აღაშენა გურგასლან [151] და დასდგამას შინა გვაში წმინდისა რაქდენისა. ურბნისის ეკლესია<sup>4</sup> შემუსრვილი განაახლა 94 მეფემან ვახტანგს. რუისის ეკლესია<sup>5</sup> აღაშენა მეორედ 76 მეფემან ალექსანდრე.<sup>264</sup> ბრეთის<sup>6</sup> მონასტერი აღაშენა პიროს, 13 მამათაგანმან, და დაფლულ არს იგი მუნ. ჰერათხევის<sup>7</sup> ხევის ზეით არს მონასტერი უგუმბათო უღუმბას მიხაილ,<sup>265</sup> 13 მამათაგანისა ქმნილი, და დაფლულ არს მუნვე. საღვრის ეკლესია<sup>8</sup> აღაშენა მეორედ 94 მეფემან ვახტანგ.

ხოლო აღწერასა შინა საქართველოსა მღებარეობისასა ხსენებულ არიან 10 სხვათა უპატიოსნეს ესე შემდგომ აღწერილში მდინარენი, სოფელნი, მამულნი, დაბანი და სასპასპეტონი<sup>9</sup>: მტკვარი, ბერდუჯი<sup>7</sup>, სომხითი, ტაშირი, აბოცი გინა ყაიყული, დმანისი, ზურტაქეტი<sup>8</sup>, თრიალეთი, ქცია, ალგეთი, სკვირეთი, ბოსტან-ქალაქი, გარეჯის მთა, თბილისი, მცხეთა, ნიზნისი, კავთის ხევი, თეძამი, საციციანო, თორი, მცხეთა<sup>9</sup>, მუხრანი<sup>10</sup>, არაგვი, გუდამაყარი, მთიულეთი, ხევი, კსანი, ქოლოთქეთიქირი, .ოსროლი, გვერდის-წირი, პატარა ლიახვი, შალრან<sup>11</sup>-დვალეთი, გორი, დიდი ლიახვი, პატარა ლიახვი ვანათამდე და სრულიად ზემო ქართლი ვიდრე [152] საათაბაჯომდე ხეობიანათ.

ესენი აქა აღწერილი არიან შემოკლებულად, ხოლო ვრცლად—მათის საზღვრით, მთით, მდინარეებით და ადგილთა<sup>12</sup> მათთა შინა შენებულებით 20 და ამათ შინა მდგომნი დაბნებით—დიღსა ქართლის ცხოვრებასა შინა იხილეთ.

#### [გოლოსიტჰვაოზა]

თუმცაღა დავით გიორგის ლაშას ძის შეღისა და ნარიზ<sup>13</sup>-დავით რუსუდანის ძის დროს იქმნა მეფობისა განწილვა სამად—საქართველოსა, იმერეთისა და კახეთისად, —გარნა შაშინცა მრავალჯერ და უმეტეს იყო კვალად შეერთება 25 ივერიელთა მეფობის სკიპტრისა, ვითარცა ბრწყინვალისა გიორგისა ზე. ხოლო მეფისა გიორგი ალექსანდრეს ძის შემდგომად იქმნა სრულიად ივერიის სამეფოს განკერძოება და იქმნა სამ სამეფოდ: საქართველო, იმერეთი და კახეთი. და იქმნენ სრულიად მეფენი საქართველოსანი<sup>14</sup> პირველის მეფის ფარნაოსითგან<sup>15</sup> ვიდრე განყოფილებადმდე სამოცდა ცხრამეტი 79.

30 ნიქოლაჲ დადიანოვი პირველ.<sup>266</sup>

#### თ ა ვ ი ზ

ოდეს განიყო ივერიის სამეფოს ყოვლადობა და იქმნა განკერძოება სამად—საქართველოსად<sup>16</sup>, იმერეთისად და კახეთისად, —შემდგომად იქმნენ 35 ესენი მეფედ, რომელთაცა სახსოვართა მეფეთა და მთაერთა სახელებსა და ქორონიკონთა ამის შემდგომად [153] აღესწერ და რომელთამე სრულიად დაუტყვევბ.

ხოლო იქმნა დაწყება საქართველოსა შინა მეფობისა შემდგომად განყოფისა წელს ქრისტესით 1469.<sup>267</sup>

<sup>1</sup> ბელურეკისისა ABC. <sup>2</sup> ნიქოზს ABC. <sup>3</sup> ეკლესია BC. <sup>4</sup> ბრეთის ABC. <sup>5</sup> ჰერათხევის ABC. <sup>6</sup> სასპასპეტონი ABC. <sup>7</sup> ბერდუჯი A. <sup>8</sup> ზურტაქეტი ABC. <sup>9</sup> მცხეთა ABC. <sup>10</sup> მუხრანი ABC. <sup>11</sup> შალნარ ABC. <sup>12</sup> ადგილთა B. <sup>13</sup> ნარ ABC. <sup>14</sup> საქართველოსანი B. <sup>15</sup> ფარნაოზიდგან B, ფარნაოსიდგან C. <sup>16</sup> საქართველოსად B.

იქმნა მეფედ საქართველოსა შინა კოსტანტინე გიორგის ძე. ამის ხელ-  
შიდ განსდგენ და შეიქმნენ თავისუფლად მთავარნი (ესე იგი: ათაბაგი, და-  
დიანი, გურიელი, შარვაშიძე და სვანი).<sup>268</sup>)

ამ<sup>1</sup> გამსა იყო იმერეთს მეფედ ბაგრატ. და ამის მეფობაშიდ მოკვდა  
ლიპარიტ დადიანი და იქმნა დადიანად ვამეყ, რომელმან დაუწყო იმერეთს  
დიდი კირთება და ბრძოლა. ამის გამშიდ მოკვდა დადიანი ვამეყ და დაჯდა  
დადიანათ ძე მისი ლიპარიტ.

კოსტანტინე მეფე ესე ქართლისა შეება ათაბაქსა ყვარყვარეს, და გაი-  
ნარჯვა ყვარყვარემ წელს ქრისტესით 1483.

მოკვდა მეფე იმერეთისა ბაგრატ და იქმნა იმერეთს მეფედ ალექსანდრე,<sup>10</sup>  
ძე კოსტანტინე ქართველთ მეფისა.<sup>269</sup> ხოლო შემდგომად რამოდენისამე გა-  
მისა დადიანმა ლიპარიტ წაართვა ყოველი იმერეთი ალექსანდრე მეფესა და  
მისცა მეფესა ზემოსხენებულსა კოსტანტინეს, ქართველთ მეფესა წელს ქრის-  
ტესით 1487<sup>2</sup>.

ამის მეფობაშიდ მოკვდა კახთ მეფე გიორგი და იქმნა იმედეთ ალექსანდრე.<sup>15</sup>  
გამსა ამას ათაბაქმა ყვარყვარე [154] მოაოხრა ქართლი და კახეთი.  
ესე მეფე ქართველთა კოსტანტინე გარდაიცვალა წელს ქრისტესით  
1503<sup>270</sup> და იქმნა ძე მისი დავით მეფედ.

ამის მეფობაში მოკლა შამაღ თვისი კახ-ბატონი ალექსანდრე ძემან მის-  
ნან გიორგიმ წელს ქრისტესით 1511.

მეფესა ამას საქართველომასა<sup>3</sup> დავითს შეება გურიელი მამია მოხისს<sup>4</sup>  
შემწეობითა ათაბაგისათა და გაიძარჯვა გურიელმან.

ესე დავით მეფე იქმნა მონაზონ და მიიქცა წელს ქრისტესით 1525.

ამის წილ იქმნა მეფედ ძმა მისი გიორგი. ამის მეფობაშიდ წარმოგზავნა  
სულთან სელიმ დესპანი და შემოუთვალა საქართველოს, იმერეთის<sup>5</sup> და კახთა<sup>25</sup>  
მეფეთა: „საფლავი ღმერთთა თქვენთა იეროსალიმი დაიპყრეს ურწმუნოთა და  
მოეშველენითო“. წარვიდა მეფე გიორგი ქართლისა, ბაგრატ იმერთა და ლეონ  
კახთა, მივიდენ იეროსალიმს, გაიძარჯვეს, მოსრნეს ურწმუნონი და დაუტე-  
ეს იერუსალიმი<sup>6</sup> მშვიდობით. და მანიქნა ხვანთქარმან შარვალინი, და წარ-  
მოვიდნენ გამარჯვებულნი.<sup>30</sup>

ამან გიორგი მეფემან დაუტევა ზეფობა და მისცა ირისწულსა თვისსა  
ლუარსაბს და იგი იქმნა მონაზონ.

იქმნა მეფედ ლუარსაბ კეთილი. ესე მოიკლა სპარსთა ბრძოლასა შინა  
წელს ქრისტესით 1558 და დაფლეს მცხეთას.

შემდგომად ამისა იქმნა მეფედ<sup>7</sup> ძე ლუარსაბისა სიმონ. ამან მეფე-<sup>35</sup>  
[156] მან მისცა ასული თვისი<sup>271</sup> ათაბაგსა<sup>8</sup> მანუჩარს.

ამის გამსა შინა დადიანმა<sup>9</sup> <sup>272</sup> შეიპყრა იმერთ მეფე<sup>273</sup> და ტყვე<sup>10</sup> ჰყო,  
და იმერთა მეფობა მისცა როსტომს.

შემდგომად დროთა რომელთამე ამან სიმონ დაიპყრა იმერეთი და სწა-  
დოდა დაპყრობა ოდიშისაცა<sup>11</sup>, გარნა შეება დადიანი, რომლისა სახელი არა<sup>40</sup>  
უწყით,<sup>274</sup> და სძლია მეფესა სიმონს და სრულიად სპათა იმერთა და საქარ-  
თველომასათა<sup>12</sup> წელს ქრისტესით 1590.

<sup>1</sup> ამას B. <sup>2</sup> 15E7 A, 1867 BC. <sup>3</sup> საქართველოსასა B. <sup>4</sup> ნოხის ABC. <sup>5</sup> იმერეთისა B.  
<sup>6</sup> იერუსალიმი A. <sup>7</sup> მეფედ—A. <sup>8</sup> ათაბაგსა B. <sup>9</sup> დადიანმა A. <sup>10</sup> მტყვე A. <sup>11</sup> ოდიშაცა A.  
<sup>12</sup> საქართველოსათა BC.

მეფესა ამას სიმონს მრავალნი განსაცდელნი და მრავალი მძიარულებანი ეწივნეს. შემდგომად შეიპყრეს ოსმალთა და წარიყვანეს ტყვედ სტამბოლს და მიიკვალა მუნ, გარნა წარმოიღო ძემან მისმან გიორგი და დაფლეს მცხეთას.

იქმნა მეფედ ძის ძე სიმონ მეფისა ლუარსაზ.<sup>275)</sup> ესე მცბიერებით შეიპყრა შაჰაბაზ და ეტყოდა ქრისტეს დატყვევებასა, გარნა მან<sup>1</sup> არა ინება, და აწამეს ქრისტესთვის და მოჰკლეს წელს ქრისტესით 1622.

ესამა ამას გამოჩნდა კაცი სახელოვანი, მოურავად წოდებული გიორგი სააკაძე და მრავალნი სიმზნენი ჰქმნა. და შემდგომად მოიკლა წინაშე ხონთქარისა შურიოთა აზამ<sup>2</sup> ვეზირისათა.

სიმონ მეფე<sup>276)</sup> მოჰკლა ლალატით ერისთავმან ზურაბ წელს ქრისტესით 1629. და ამისთვის მოჰკლა ზურაბ ერისთავი მეფემან თეიმურაზ.

იქმნა მეფედ საქართველოჲსად როსტომ, ყვინთავან დიდათ [156] პატიეცემით<sup>3</sup> აღზრდილი. ესე იყო [ოთხმოცდა] მეცხრე მეფე საქართველოჲსა.

ამის მეფობის დროს შერიგდენ მურად ხონთქარი და შაჰ სეფი<sup>4</sup> ყვინი. და<sup>5</sup> მამინ დარჩა ხონთქარისკენ<sup>6</sup> საათაბაჯო, იმერეთი და ოდიში და ნახევარი ქურთისტანი.

ამან მეფემან როსტომ შერიოთო დაღ ლეონ დადიანისა მარიამ.

ამან როსტომ ორგულეებისათვის კათოლიკოსი<sup>7</sup> ევდემოს შეიპყრა და კოშვიდამ გარდმოავდო.

ამან დაიპყრა კახეთი<sup>8</sup> და საქართველო.

გარდაიცვალა ესე მეფე წელს ქრისტესით 1658, რომელი იყო სჯულითა მაჰმადიან.

შემდგომად ამისა არაეინ დაშთა მეგვიდრედ ქართლისა. და იყო სპარსეთსა შინა აღზრდილი<sup>9</sup> მუხრან<sup>9</sup> ბატონის შვილი, კვალადვე - ბაგრატიონი, სახელით ვახტანგ და<sup>10</sup> ესე ყვეს მეფედ, რომელსა უწოდდენ<sup>11</sup> შაჰნაოზ, ვინათგან იყო სჯულითა მაჰმადიან<sup>12</sup>. ამან შერიოთო ცოლად დადიანის ასული მარიამ, ცოლი როსტომ მეფისა, ვინათგან იყო დადიანი დიდ<sup>13</sup>-შემძლე კაცი და შეეწეოდა მეფობისა მისისა დაპყრობასა.<sup>277)</sup>

ამას დროსა შინა განიყვეს იმერეთი მეფემან ვახტანგ და დადიანმან ვამეყ: და ბუჯის წყლის აღმოსავლეთი დარჩა ვახტანგს და დასავლეთის კერძი დადიანს წელს ქრისტესით 1660. და ეპყრა ვახტანგს იმერეთი, ქართლი და კახეთი.

ამან მეფემან ვახტანგ ითხოვა ქალი დადიანისა, [157] და დაუპირდა,<sup>278)</sup> გარნა მერმეთ დადიანმა<sup>14</sup> არლა მისცა. და ამისთვის მეფე საქართველოჲსა<sup>15</sup> და კახთა სპითა მოვიდა აღის სოფელს. ამის მცნობი დადიანი მოვიდა ჯარით საჩხერეს. გარნა დადიანსა მოადგენ წინათ მეფე ვახტანგ და ქართლ-კახნი, უკნით იმერეთი და რაჭა. და მცნობმან ვერ წინააღმდეგობობისამან დადიანმან, უენებელად უკმოიქცა ოდიშადვე.

ხოლო მოადგა მეფე და გარდაავდო დადიანი, და წარვიდა სვანეთს.<sup>279)</sup> ხოლო ბრძანებითა მეფისათა ლაშისშვილმან ხოსია შეუჩინა კაცი, და მოჰკლეს დადიანი.

და იქმნა შემდგომ<sup>16</sup> ამისა ლეონ დადიანად. და მისცა მეფემან ამან ვახტანგ ცოლად ლეონ დადიანსა ძმისწული თვისი თამარ.

<sup>1</sup> ამან A. <sup>2</sup> აზან ABC. <sup>3</sup> პატიეცემით] პატიეცემული და მისგან A. <sup>4</sup> სეფი ABC.

<sup>5</sup> და—A. <sup>6</sup> ხონთქარისკენ A. <sup>7</sup> კათოლიკოსი A. <sup>8</sup> აღზრდილი A. <sup>9</sup> მუხრან ABC. <sup>10</sup> და—A.

<sup>11</sup> უწოდდენ A. <sup>12</sup> მაჰმადიანი A. <sup>13</sup> დიდად B. <sup>14</sup> დადიანმან A. <sup>15</sup> საქართველოჲსა C.

<sup>16</sup> შემდგომად A.

მეფემან ამან ვახტანგ შეაუღლა ძესა თვისსა ლეონს გურიელის ქაიხოს-  
როს ასული.

ხოლო შემდგომად ესე ვახტანგ იქმნა ყოვლითა<sup>1</sup> საქმითა კეთილ და  
იქმნა დიდ-ქრისტიან და ზიიკვალა წელს ქრისტესით 1675.

იქმნა მეფედ ძე ამისი გიორგი. ამის გამშიდ<sup>2</sup> წარვიდა არჩილ ბაგრა- 5  
ტიონი რუსეთად და წარიღო ქრისტეს საშსკვალი<sup>3</sup>, სუდარი და ბაწარი. და  
მოაკლდა საქართველო ესევეთარსა სამართოსა<sup>4</sup> დიდსა საუნჯესა.

ხოლო ამით ეამთა ჯდა იმერეთს მეფედ გურიელი გიორგი. და სძლო<sup>5</sup>  
ალექსანდრე მეფემან გურიელს როკითს, მიულო [156] იმერეთი და იქმნა მე- 10  
ფედ იმერთა, რომელი უწინარესცა იგივე მეფობდა.

შემდგომ რაოდენისამე ჟამისა საზოგადოებამან იმერეთისამან შეიპყრეს  
[!] ალექსანდრე და მისცეს გიორგის, ზემოხსენებულსა ქართველთ მეფესა, და  
მოაშთვეს რუისს.

ესე მეფე გიორგი გარდაადგინა მეფობისაგან ყაენმან და მისცა მეფობა  
იჩაკლის. და გიორგი წარიყვანეს სპარსეთად. 15

გარნა ამა<sup>6</sup> მეფემან გიორგი და მის თანამზღებან რაოდენმანმე ქართ-  
ველთა წარმოაჩინეს საკვირვონი მხნეობა და მამაცობანი. და დაამდაბლა ყო-  
ველნი წინააღმდეგონი ყაენისანი. და ამა ესევეთარისა<sup>7</sup> მამაცობისა ჯილდოდ  
კვალად მიუბოძა ქართლი, გარნა არა განუტევა საქართველოდ. ვინათგან იყო  
დიდი შემძლე მხნეობასა და მამაცობასა შინა; და მისცეს სპასალარობა ერ- 20  
ნისა<sup>8</sup>.

ხოლო ამან გიორგიმ, ნაცვლად მისა, საქართველოს განმგებელად და-  
ადგინა ძმისწული თვისი ვახტანგ.

ხოლო ამან<sup>9</sup> გიორგი მეფემან დიდი მხნეობა და მამაცობა გამოაჩინა  
წინაშე ყაენისა და ყოვლისა სპარსეთისა. 25

ესე ვახტანგ, რომელი ნაცვლად გიორგისა განაგებდა საქართველოსა,  
იყო ყოვლითურთ კეთილი და პატიოსანი. ამან შემოიღო პირველად საქარ-  
თველოსა შინა სტამბითა ბეჭდვად წიგნთა; ამან წარსწერა სამართლის წიგნი,  
რომელიცა დღესაც იგი მოქმედებს ქვეყანასა შინა ჩვენსა.<sup>10</sup>

ხოლო ეამსა ამას<sup>10</sup> იგი ხსენებული მეფე [159] გიორგი საკვირველი, 30  
მხნე, ახოვანი მოჰკლეს ღალატით სპარსეთს უბრძანებლად ყაენისა წელს  
ქრისტესით 1709.

ხოლო შემდგომად გიორგისა განაგებდა საქართველოსა ძმისწული თვისი  
ზემოხსენებული ვახტანგ ლეონის ძე. ხოლო ესე ვახტანგ წარვიდა წინაშე ყა- 35  
ენისა, ვინათგან მეფენი საქართველოასანი ნებითა ყაენისათა მიიღებდენ მე-  
ფობასა შემდგომად განყოფისა. გარნა დიდითა იძულებითა და ტანჯვითა და  
ბორკილებითა მახმედთან ჰყვეს ვახტანგ და მისცეს მეფობა საქართველოასა  
და სპასალარობა ხვარანისისა და იმყოფებოდა წინაშე ყაენისა. და ეფობა  
ქართლისა მისცა ძესა თვისსა ბაქარს. ხოლო რაოდენისამე ჟამისა შემდგომად  
განუტევა ყაენმან ვახტანგ, მოვიდა. ქართლს და მეფობდა. 40

ამა ეამთა იწყესთ ლეკთა კირთებად და მოობრებად საქართველოასა.  
ამის მეფობის გამშიდ აღიღეს თბილისი ოსმალთა და დაიპყრეს სრუ-  
ლიად ქართლი წინაძლომითა იესე ვახტანგის ძმის<sup>11</sup> ბაგრატიონისათა, რო-  
მელი იქმნა მახმედთან.

<sup>1</sup> ყოვლით A. <sup>2</sup> გამშიდ ქამსა შინა B. <sup>3</sup> საშსკვალი BC. <sup>4</sup> სამართოსა A. <sup>5</sup> სძლო BC.  
<sup>6</sup> ამან B. <sup>7</sup> ამა ესევეთარობისა A. <sup>8</sup> თურანისა ABC. <sup>9</sup> ამა A. <sup>10</sup> ამს — A. <sup>11</sup> ძის A.



ხოლო ვახტანგ მეფე წარვიდა რუსეთად პეტრე ალექსის ძის იმპერატორთან, გარნა მისვლამდე ვახტანგისა გარდაიცვალა პეტრე, ხელმწიფე<sup>1</sup> დიდი.

5 ამა ეამთა გამოჩნდა კაცი მხნე სპარსთა შორის, სახელით თამაზ-ხან და დაიპყრა სპარსთა სამეფო, მერმეთ საქართველოდამ განყარნა ოსმალნი [160] და მოაოხრა ქართლი უწყალოდ.

ხოლო ეამთა ამათ მეფე ვახტანგ გარდაიცვალა აშტარხანს წელს ქრისტესით 1737 და დაფლეს მუნ პატივითა, რომელი შემდგომად ბართლომორწმუნე იყო დიდი. ხოლო შვილნი ვახტანგისანი ბაქარ და სხვანი და ცოლნი 10 [!] ვახტანგისა დარჩენ რუსეთს.

ამა ეამსა შინა<sup>2</sup> იყო დიდი მწუხარება საქართველოსა შინა, ვინათგან იპყრა საქართველო ურწმუნოთა სპარსთა და არბევდენ ლეკნიცა უწყალოდ.

ხოლო ეამთა ამათ მეფე თეიმურაზ კახთა და ძე მისი ერეკლე ერთგულეზა თამაზ-ხანსა<sup>3</sup>, რომელი ფლობდა სრულიად სპარსთა. და დიდისა ერთ-15 გულებისათვის თეიმურაზს მისცა ქართველთა მეფობა, ხოლო ძესა მისსა, ერეკლეს კახთა მეფობა.

და დაიპყრა თეიმურაზმა ქართლი წელს ქრისტესით 1744.

შემდგომად რამოდენისამე ეამისა გარდაიცვალა თეიმურაზ და მეფე იქმნა ერეკლე, ძე თეიმურაზისა, რომელმან შეაერთა მეფობა ქართლისა და 20 კახეთისა წელს ქრისტესით 1762<sup>4</sup>. და მეფობდა ორთავეზედა კაცი სახელოვანი და მხნე ყოველსა შინა. ამან მოხარკე ჰყო თვისდად ერევანი, განჯა, შუშა და სხვანი<sup>5</sup> ხანნი ყიზილბაშთანი. |

ამან ჰსძლო მრავალჯერ მრავალთა ღიღძალთა ყიზილბაშთა და ოსმალთა და ლეკთა სახელოვნად და საძავალითოვ.

25 ამან მოიყვანა მეუღლედ დადიანის კაციას ბიძაშვილი დარეჯან, დედათა შორის ღირსსახსოვარი. [161] ხოლო ორთავე მეუღლეთა იმედეს უღრმეს მოხუცებულებადმდე. და მიიკვალა წელს ქრისტესით 1798.

შემდგომად ამისა იქმნა მეფედ გიორგი, ძე ირაკლისა. ამის მეფობის ეამშიდ თვით ნებითა და თხოვნითა გიორგი მეფისათა წარმოგზავნა რუსეთს იმპერატორმან პავლე პეტროვიჩმან მხედრობაჲ თვისი, რათა დაიკვას 30 საქართველო აგარიანთაგან.

და ამას ეამსა გარდაიცვალა მეფე გიორგი. და იწყეს ცილება სამეფოსა ზედა ძმებთა და ძეთა გიორგისათა. ამისთვის დაიპყრა საქართველო რუსეთისა იმპერატორმან ალექსანდრე<sup>6</sup> პავლეს ძემან. და წარიყვანეს მეფეთა ძენი 35 რუსეთად.

და ერთი ძე ერეკლე მეფისა და ძმა გიორგი მეფისა ალექსანდრე წარვიდა სპარსთა მეფისა თანა, რომელმან მრავალნი ბრძოლანი აჩვენა რუსთა. და ამა ეამსა<sup>7</sup> აღიხოცა მეფობა საქართველოსა.<sup>281)</sup>

ხოლო ივერიის მეფობის განკერძოების შემდგომად იქმნენ მეფენი საქართველოსა შინა ვიდრე აღხოცამდე ცხრაშეტი—19<sup>8</sup>.

<sup>1</sup> კელმწიფე AC. <sup>2</sup> შინა—C. <sup>3</sup> ხანს A. <sup>4</sup> წელს ქრისტესით 1762—A. <sup>5</sup> სხვანი B.

<sup>6</sup> ალექსანდრე : ალექსანდრე A. <sup>7</sup> ეამსა+ შინა A. <sup>8</sup> ხოლო ივერიის... ცხრაშეტი—19]—A.

აღწერა შემოკლებულად კახეთისა საჩინოთა<sup>1</sup> სოფლებთა,  
მდინარეთა და შინებულებათა

კახეთს არს მდინარე ალაზანი, გამოსდის თუშ-ფშავისა და ძურძუქთ შორის [182] კავკასსა და სდის ჩრდილოთ-დასავლეთიდგან აღმოსავლეთს-  
სამხრეთს შუა და მიერთვის განჯის ბოლოს მტკვარსა. 5

მდინარე იორი გამოსდის<sup>2</sup> ფშავსა და თიანეთის შორის მთას და სდის ჩრდილოდამ სამხრით უჯარმამდე<sup>3</sup>, მერმეთ ჩრდილოთ-დასავლეთიდამ აღმოსავალს—სამხრით შუა, გარნა უფროს აღმოსავლით.

ნინო-წმინდა ალაშენა მეფემან ვახტანგ გურგასლანმან. გარეჯის მთას შინა, 10.  
ნათლის-მცემელისა და დავით-გარეჯასა შუა არს დოდო, რომელი ჰქმნა მამამან წმინდამან დოდო, და<sup>4</sup> დაფლულ არს მუნ.

იორს ზეით არს უჯარმა, ორთა მთათა შორის—კახეთისა და კუხეთისა—ციხე, რომელი ალაშენა ოცდა მესამემან მეფემან საურმაგ.<sup>282</sup> უჯარმას ზეით და იორის აღმოსავლით არს ბოქორმა<sup>5</sup> ციხე, რომელი ალაშენა ცოლმან 15  
ქართლოსისმან და უწოდა დედაციხე. ეალეთს ალაშენა ეკლესია<sup>6</sup> დიდი გუმბათიანი მეფემან ვახტანგ გორგასალმან და დასევა ეპისკოპოსი, მწყემსი ერწო-თიანეთისა, ფშავ-ხევსურისა და ხერკისა.

ხოლო ეალეთს ზეით იორს მოერთვის თიანეთის წყალი, რომელი გამოსდის თვალის კვეთი ხერკის მთას და აწ თიანეთისას<sup>7</sup> და მოსდის აღმოსავ- 20  
ლეთს-სამხრეთს შუა და მიერთვის იორს დასავლეთით.

ხოლო კეალად ხარქაშოს<sup>8</sup>, საშიშს, დასავლეთ სდის თეთრის [183] არაგვის მდინარე. ესე გამოსდის ძურძუქს, ფშავს შორის კავკასსა, და მოსდის ჩრდილოდამ სამხრით და მოერთვის ეინვანს შავს არაგვის აღმოსავლიდამ. ამ ეინვანს ზეით და ხარქაშოს<sup>9</sup> ზეით მოერთვის თეთრს არაგვს ხევსურეთის 25  
წყალი. გამოსდის ეს ძურძუქსა და მის შორის მთას კავკასსა და მოსდის ჩრდილოთ<sup>9</sup> სამხრით.

ხოლო ხევსურეთისა აღმოსავალით<sup>10</sup> მთას იქით არს ფშავი, შუა უდის თეთრი არაგვი. ამა ფშავსა შინა [არს] ეკლესია<sup>6</sup> მეფისა ლაშასაგან აღშენებული, რომელსა უწოდებენ<sup>11</sup> ლაშას-ჯვარს. ნოკორნას<sup>12</sup> არს მონასტერი დი- 30  
დი, გუმბათიანი, რომელი ალაშენა 44 მეფემან არჩილ, რომელი ეწამა უსჯულთაგან და გვამი მისი წმინდა დაფლა ცოლმან მისმან მუნ.

იალონად წოდებულს მთასა ზედა აღშენებულ არს ციხე, რომელი ალაშენა<sup>12</sup> 4 მეფემან თარნაჯომ.

ჯვარის მონასტერი ალაშენა გურამ კურატპალატმა 39 მეფემან, სადა 35  
დაასვენა წმინდამან ნინა ჯვარი.

გიშის წყალი გამოსდის<sup>14</sup> კავკასს<sup>15</sup>, კულმუხსა და პერეთსა<sup>16</sup> შორის, და მოსდის გიშამდე ჩრდილოდამ სამხრით, მერმეთ აღმოსავლიდამ<sup>17</sup> დასავლეთით.

ხორანთას ზეით ალაზანს ერთვის წყალი თიფინეთისა; გამოსდის იმავე კავკასსა, მოსდის თიფინეთამდე ჩრდილოდამ სამხრით, მერმე აღმოსავლეთით 40

<sup>1</sup> საჩინოთა. <sup>2</sup> გამოსდის A. <sup>3</sup> უჯარამდე AC. <sup>4</sup> და—A. <sup>5</sup> ბოქორ ABC. <sup>6</sup> ეკლესია BC. <sup>7</sup> თიანეთისას ABC. <sup>8</sup> ხარქაშოს ABC. <sup>9</sup> ჩრდილოთ და B. <sup>10</sup> აღმოსავლით A. <sup>11</sup> უწოდენ A. <sup>12</sup> ნოკორნას ABC. <sup>13</sup> ალაშენა—A. <sup>14</sup> გემოდის AC. <sup>15</sup> კავკას ABC. <sup>16</sup> პერეთსა ABC. <sup>17</sup> აღმოსავლითგან. A.

დასაეღეთად, მერმე ჩრდილოდამ სახპროთ. ხოლო მთის ძირს არს [164] ფი-  
ფინეთი<sup>1</sup>, სადა დასხნა<sup>2</sup> 5 მეფემან ლეონ<sup>3</sup> ლეკნი, რომელსა აწ უწოდებენ  
ქარსა.

ბოეთანს<sup>4</sup> ერთვის ალაზანს ბელეკანის წყალი. ბელეკნის წყალი გამო-  
5 დის სუნზახს<sup>5</sup> და ამას შორის კავკასს, მოსდის დასაეღეთად აღმოსაეღეთი-  
დამ. აქა, მთის კალთას, არს ციხე მაკაბელი და სასახლე მეფეთა, რომელსა  
ეწოდა პირველ ნოხაატო<sup>6</sup>. აქა აღაშენა ორპოცდა მეოთხემან მეფემან არჩილ  
ციხე და ეკლესია<sup>7</sup> შეენიერი, უგუმბათო.

ბოდბის ეკლესიას<sup>8</sup> შინა არს დამარხული წმინდა ნინა. ხოლო საფლავი  
10 ამისი აღაშენა და შეამკო 25 მეფემან ბაქარ.

ხირსის მონასტერი ჰყო 13 მამათაგანმან სტეფანე, და დაფლულ არს  
მუნ.

მაქის წყლის ჩრდილოთ არს ეელსა ზედა ციხე ლაკვათისა, რომელი  
აღაშენა 44 მეფემან არჩილ, და [ა]წ ლაგოეთად<sup>9</sup> წოდებული. ამან მეფემან  
15 აღაშენა სამპორის<sup>9</sup> ციხე და ეკლესია<sup>6</sup>.

ნენის წყალი გამოსდის ლეკეთით და მოერთვის ალაზანს სამპორის<sup>9</sup>  
ციხეს ზეით. ბედიყრის წყალს ზევით არს სტეფან-წმინდა, მამა ეფთვიმისა.  
გან<sup>10</sup> აღშენებული.

ალაზანს ერთვის ბედიყრის წყლის შესართავს ზევით გავაზის წყალი და  
20 გამოდის დიდოეთს<sup>11</sup> შორის კავკასსა.

ყვარელის წყალს ზევით არს მთასა შინა ნეკრესი, 4 მეფისა ფარნაჯო-  
მისაგან<sup>12</sup> აღშენებული ქალაქად, და შემდგომად მეფემან თრდატ<sup>13</sup> აღაშენა  
ეკლესია<sup>14</sup> გუმბათიანი, და აქა [165] დაფლულ არს წმინდა აბიბოს. <sup>281</sup> კე-  
რემს<sup>15</sup> აღაშენა ეკლესია<sup>14</sup> გუმბათიანი გორგასალმან. გრემს არს ეკლესია<sup>14</sup>  
25 გუმბათიანი მთავარ-ანგელოსისა, <sup>283</sup> და არს 5 მეფე ლეონ<sup>3</sup> დაფლული მას  
შინა. ამ გრემის წყლის შესართავს პირისპირ მოერთვის ალაზანს დასაეღე-  
თილამ აკურის ხევი, რომელი გამოდის გომბორის მთას.

გულგულა, რომელსა ეწოდა ტყეცბა, ესე ხევი არს საზღვარი ჰერეთისა  
და კახეთისა. ამ ხევის თავზედ<sup>16</sup> არს მთაშიდ შუამთას მონასტერი კეთილი,  
30 გუმბათიანი, რომელი აღაშენა 5 მეფის ლეონის<sup>281</sup> კოლმან, გურიელის ასულ-  
მან თინათინ<sup>17</sup> და დაეგულა მუნ.

თელავი აღაშენა სასახლედ კვირიკე პირველმან, გამეფებულმან კახეთს  
და ჰერეთს.

იყალთო არს მონასტერი გუმბათიანი, აღშენებული 13 მამათაგანისა  
35 წმინდის ზენონისი, და დაფლულ არს მუნ.

შტორის ხევი მოერთვის ალაზანს, რომელი გამოსდის თუშეთს. თორ-  
ლის<sup>18</sup> ციხის მახლობელ არს ლალისყურის<sup>19</sup> ციხე, რომელსა უწოდებენ ნახჭე-  
ვანს.<sup>288</sup>

ალავერდი აღაშენა გუმბათიანი 13 მამათაგანმან წმინდამან იოსებ, და  
დაფლულ არს მუნვე. დიკცა ძვრითა და როსტომ იწყო და არჩილ შეა-  
სრულა.

<sup>1</sup> ფიფინეთი BC. <sup>2</sup> დაასა AB. <sup>3</sup> ბოეთან ABC. <sup>4</sup> ზუნანს ABC. <sup>5</sup> ნოხაატა ABC.  
<sup>6</sup> ეკლესია BC. <sup>7</sup> ეკლესიასა BC. <sup>8</sup> ლაგოეთად ABC. <sup>9</sup> სამპორის ABC. <sup>10</sup> ეფთვიმისაგან  
BC. <sup>11</sup> დიდოეთს ABC. <sup>12</sup> ფარნაჯომისაგან BC. <sup>13</sup> ბაგრატ. ABC. <sup>14</sup> ეკლესია B. <sup>15</sup> კე-  
რემსის ABC. <sup>16</sup> თავზედ BC. <sup>17</sup> თინათი ABC. <sup>18</sup> თორდის AB. <sup>19</sup> ლალისყურის ABC.

ალავერდის ზეით ერთგვის ალაზანს ახმეტის ხევი, რომელი გამოსდის<sup>1</sup> კახეთის მთას [166].

თ ა ვ ი 10

შემდგომად განყრილებისა საქართველოს სამეფოჲსა იქმნენ კახეთსა შინა მეფედ და მთავრად, რომელთა ღირსხსოვნისასა სახელებთა აღვსწერ აქა თვისითა ქორონიკონებითა და რომელთაჲმ დაუტევებთ არა საქართვებისათვის, და ვრცლად იხილეთ დიდსა ქართველთ ცხოვრებასა შინა. 5.

პირველად იქმნა კახეთს მთავრად გრიგორი. შემდგომად იქმნა ვაჩე ქობულის ძე. ამის შემდგომად — სამოელ დონაური, და ესრეთ იხსდენ მთავარნი სხვა და სხვანი 9,<sup>287</sup> ვიდრე დაწესებამდე კახეთს მეფობისა. 10.

პირველად გამეფდა კახთა ზედა კვირიკე, კაცი ფრიად საქებელი, შთამავლობა-გვარად არელმანელი<sup>288</sup>, რომელსა იტყვიან ამის შთამომავლობას<sup>2</sup> კახთა მპყრობელთაგან.

ხოლო კაცი ესე სახელოვანი მოიკლა ერთის ოვისისაგან ლალატით წელს ქრისტესით 1300.<sup>289</sup> 15.

<sup>290</sup> დაჯდა კახეთს ზეათე მეფე გიორგი<sup>291</sup>, რომელმან მოჰკლა მამაჲ თვისი ალექსანდრე, ყოვლითურთ სათნო კაცი, და აღმოხადა ძმათა თვისსა დიმიტრის თვალნი. ხოლო ესე გიორგი მოკვდა არა კეთილად, რომელსა უწოდდენ ჰვე-გიორგის.

[167]. და ამის წილ გამეფდა ძე ამისი ლეონ, რომელმან შეირთო ცოლად მამიას გურიელის ასული თინათინ. და მოკვდა ლეონ წელს ქრისტესით 1574<sup>3</sup>, საესე სიბერითა. 20.

ესე ლეონ იყო კაცი სახელოვანი<sup>4</sup> და შემმატებელი კახეთისა. დაჯდა მეფედ ძე ამისი ალექსანდრე, კაცი ესე არცა სრულიად საქებელი და არცა სრულიად საგიობელი. 25.

ასული ამა მეფისა ნესტარ-დარეჯან ჰყვანდა ბეულლედ მანუჩარ დადიანსა. ხოლო შობასა ზედა ლეონ დადიანისასა მოკვდა ნესტან-დარეჯან, და ლეონ ყრმა, ობლად დაშთომილი დედისაგან, წარმოიყვანა პაპამან მისმან და ზრდიდა თვით. და შემდგომად აღზრდისა წარიყვანა მამამან მისმან მანუჩარ ლეონ, შვილი თვისი. 30.

ხოლო ესე ალექსანდრე, მეფე კახეთისა, და შვილი თვისი გიორგი, ორნივე, მამა და ძმა მოჰკლა კოსტანტინემ<sup>5</sup> გამამადიანებულმან შაბაზ ყაენის მცბიერებითა. 35.

ხოლო ალექსანდრეს ძესა დავითს ჰყვანდა ცოლად ასული აშოთანისა<sup>292</sup> ქეთევან. ხოლო ესე აშოთან იყო სანდო და თანგანძრუახი მეფისა ქართველთასა. ხოლო ქმარი ქეთევანისი მომკვდარ იყო უწინარეს მამისა თვისისა ალექსანდრესა. და ოდეს კოსტანტინემ მოკლა<sup>6</sup> მამაჲ თვისი, მაშინ<sup>7</sup> ესე რძალი თვისი ქეთევან მონიდომა ცოლად. გარნა არა ჯერმჩინებელმან ამის ვანზრახვისმან ქეთევან [168] შემოიკრიბა რამოდენიმე კახნი. და ოდეს სცნა ესე კოსტანტინემ, წარვიდა სპითა, რათა ძალით შეიუღლოს ქეთევან. და ოდეს მოვიდა კოსტანტინე, ეწყვენ სპანი ქეთევანისანი და მოკლეს კოსტანტინე. 40.

<sup>1</sup> გამოსდის A. <sup>2</sup> შთამავლობას A. <sup>3</sup> 15741 ABC. <sup>4</sup> სახელოვანი B. <sup>5</sup> კოსტანტინე A. <sup>6</sup> მოჰკლა BC. <sup>7</sup> მაშინ A.

ამის შემდგომად ქეთევანმან დასვა მეფედ ძე თვისი თეიმურაზ, ძე და-  
უითისა და ძის ძე ალექსანდრესი. ამან შეირთო ცოლად ასული გურიელისა  
მამიასი ანნა. ესე თეიმურაზ იყო მხნე ბრძოლასა შინა. ესე გარდაავდო მე-  
ფოზობიდან შაჰაბაზ, და წარვიდა სტამბოლს ხეანთქართან, გარნა ვერ შვე-  
5 ეყო ხეანთქარი.

ოდეს უსამართლობდა შაჰაბაზ თეიმურაზსა ზედა. მაშინ წარვიდა დე-  
დოფალი ქეთევან მოსამშვიდებლად<sup>1</sup> შაჰაბაზისა და წარიტანა ორნი ძის  
ძენი თვისნი. გარნა მან უწყალომან მხეცმან ორნი ძენი თეიმურაზისანი გა-  
მოასაპურისნა და დედოფალი ქეთევან აწვია დატევებად ქრისტესა, გარნა  
10 ქეთევან არა ინება, და აწამეს ქრისტესთვის, ვითარ მოგვითხრობს მარტი-  
რიკა<sup>2</sup> მისი წელს ქრისტესით 1624.

ხოლო თეიმურაზ შაჰაბაზისაგან განძებული მოვიდა ლეონ დადიანისა  
თანა ზუგდიდს და მან უმასპინძლა სამაგალითოდ და ღირსსახსოვრად. და  
შემდგომად წარვიდა რუსეთად ალექსი ხელმწიფესა თანა, სადა დიდის პატი-  
15 ვით შეიწყალა. გარნა შეწვენისა პირი [169] ვერ აღუთქვა<sup>3</sup>. და წარმოვიდა.  
მერმეთ წარვიდა შაჰაბაზ<sup>4</sup> ყაენისა თანა. და შაჰაბაზ<sup>5</sup> აიძულებდა დატევე-  
ბასა ქრისტესსა. და თეიმურაზ არა უსმინა. და შეიპყრა და პატივარ ჰყო  
ასტარაბადს. და მუნ მიიცვალა წელს ქრისტესით 1664. და წარმოიღეს გვანი  
და დაფლეს ალავერდს.

20 შემდგომად ამისა იქმნა დიდი აღრეულება და იპყრობდენ კახეთსა ხან  
მეფენი კახთანი და ხან ყიზილბაშნი, და იქმნებოდენ მეფისა ნაცვლად ხანნი.  
დაჯდა კახთა ზედა მეფედ დავით, და იყო მახმედნიან, რომელსა ეწოდა  
იმამყული-ხან, რომელიცა დიდმორწმუნე იყო და მოყვარული მაჰმადიანობისა.  
ამის გამშიდ დიდათ არბეედენ ლეკნი კახთა. ესე იმამყული-ხან წარვიდა  
25 სპარსეთად და კახეთს დაუტევა გამგებლად ძმა თვისი თეიმურაზ, რომელსა  
მოუყვანა ცოლად ქართველთ მეფისა ვახტანგის ასული თამარ თეიმურაზს.

ხოლო კვალად მოვიდა იმამყული-ხან (ესე იგი დავით) და მეფობდა კახ-  
ეთა ზედა ლეკთაგან კირთებით დიდათ შეწუხებული. და მოკვდა წელს ქრის-  
ტესით 1722. წარიღეს და დაფლეს ყუმს.

30 შემდგომად ამისა გამეთდა ნებითა ყაენისათა მაჰმადყული-ხან, ძე ერეკლე  
მეფისა, ნებითა ყაენისათა. და იყო ესეც მაჰმედნიან და მოყვარული მაჰმედ-  
ნიანობისა. ამის გამშიდ მიიღო ერევანი ყაენმან და ქმნა სპარსთ მეფისა სამ-  
ფლობელოდ, რომელიცა იყო სამფლობელო ქართველთ მეფისა. ამის მეფობის  
გამშიდ დაიპყრეს [170] ლეკთ კახეთი და ყვეს<sup>6</sup> სრულიად მაჰმედნიან და  
35 დაუდგინეს მოლებნი (!). ხოლო მეფე მაჰმადყული-ხან იყო ხიზნათ ქსანსა  
შინა, და შემდგომად კვალად დაიპყრა კახეთი.

ხოლო ეამსა ამას ჩამოვიდა უსუფ-ფაშა ოსმალისა და მოკვდა ლალატით  
მაჰმადყული-ხან წელს ქრისტესით 1729.

ხოლო მეფედ იქმნა კახთა ზედა თეიმურაზ, ძმა იმამყული-ხანისა. ესე  
40 თეიმურაზ შეიპყრა ხანმან სპარსეთისამან, თბილეს<sup>6</sup> მყოფმან, და წარუგზავ-  
ნა ყაენსა. ხოლო ყაენმან მოაყვანინა ძე თვისი ერეკლე და ასული თამარ.  
ერეკლე დაიყენა მასთან<sup>7</sup> მსახურ-ყულად და თამარ მისცა ძმისწულსა თვისსა  
ცოლად და თეიმურაზ განუტევა კახეთად.

<sup>1</sup> მოსამშვიდებლად A. <sup>2</sup> მარტიკა AC. <sup>3</sup> აღუთქვა B. <sup>4</sup> შაჰაბაზ ABC. <sup>5</sup> ყაენს A.

<sup>6</sup> თბილეს ABC. <sup>7</sup> მისთან B.

ხოლო თეიმურაზს და ძესა მისსა ერეკლეს ერთგულებისათვის მისცა შაჰნადირ ქართლისა მეფობა თეიმურაზს და კახეთისა ძესა მისსა ერეკლეს წელს ქრისტესით 1744.

ხოლო შემდგომად სიკვდილისა თეიმურაზისა იქმნა მეფედ ერეკლე ქართველთა და კახთა ზედა, რომელიცა აღწერეთ საქართველოსა მეფობისა აღწერასა შინა ყოველნივე საქუენი მისნი; და იქმნა ესთა, ვითა მუნ აღწერილ არს.

ხოლო ერთმთაერობისა განწყობილებიდამ იქმნენ მთავარნი და მეფენი კახეთსა შინა 29.<sup>293</sup>.

ხოლო ესეცა აღწერად ხანს. ვინათგან განიყო მეფობა საქართველოსა 10 სამად: ქართლისად, იმერეთისა და კახეთისად—მეფენი ქართლისა და კახეთისანი იქმნებოდენ მეფედ ნებითა და ბრძანებითა [171] სპარსთა კელმწიფისათა (ესე იგი ყვინისათა).

თ ა 3 0 11

### აღწერა ოცსამთისა შემოკლებულად: საჩინოთა მდინარეთა, სოფლებთა და შენებულებათა 15

ოცსეთის<sup>1</sup> საჩინოთა აღგილთა ეწოდების ესენი: ჩიმი<sup>2</sup>, თავაური, ქურთაული, ვალაგირი, ფაიქოში, დიგორი და ბასიანი.

ხოლო ოცსეთსა შინა წარჩინებულნი გვარნი ესენი არიან: ბასიანი, ბადელიძე; ჩერქესის ძე, თავაური, ქურთაული, სიღამონი, ქახილის ცე. წყალნი<sup>3</sup> არიან ესენი: ხევის<sup>4</sup> ბოლოს არს ლაზური; მას ქვევით<sup>5</sup> არს —ჯარიგხა<sup>6</sup> არავცს მიერთვის ქისტ-ძურძუკის წყალი; მას ქვევით არს ხეთაძე; თავაურის მდინარე სდის კავკასილამ, სიგრძით არს ხოხილამ ჩერქეზამდე<sup>7</sup> და შეერთვის არავცსა; თავაურს ერთვის ჩიმითის<sup>8</sup> წყალი; თავაურს მიერთვის კიდეც ყაბანს<sup>9</sup> სხვა ხევი; ქურთაულის<sup>10</sup> წყალი გამოსდის ხოხის მთას და გამოსქრის ჩერქეზის<sup>11</sup> მთას და შეერთვის ლომეკს (ესე იგი თერგს); ვალაგირის წყალი გამოსდის ხოხის კავკასსა (ამას ზედა [172] სახლობს ხსენებული ბალათარ ქახილინი<sup>12</sup>); ელელის<sup>13</sup> წყალი გამოსდის ქედლის კავკასს<sup>14</sup>; კასრის<sup>15</sup> ქვემო არს ზარამაგა<sup>16</sup> და ელელის<sup>17</sup> წყლების შესართავს შუა ციხე დიდი, თამარ ზეჟაისაგან<sup>18</sup> აღშენებული; ნარის ხეობის წყალი გამოსდის ხოხის კავკასსა; ზახის ხეობის წყალი გამოსდის თრუსოს<sup>19</sup> და ზახის შორის კავკასსა და მიერთვის ზარამაგის წყალსა; რიონი გამოსდის ლებისა, გლოლისა და დიგორის შორის კავკასსა და ჩასდის ჩერქესსა და მიერთვის ლოშვექსა. ამავე კავკასს გამოსდის აქეთ ესე რიონი და იქით რიონი იმერეთისა.

[გოლოსინიძეობა]

35

ხოლო ესე ოცსეთი, რომელი აღესწერეთ, ამით შინა არს მრავალნი შენებულებანი, ციხენი და ეკლესიანი<sup>20</sup>, რომელი თვით მეცა მიხილავს, გარნა

<sup>1</sup> ამ სიტყვის წინ წყაროში წერია: „ლომეკი (ესე იგი თერგი) რომელი სდის ხევიდამ კავკასსა შინათა. <sup>2</sup> ჩიმი ABC. <sup>3</sup> წყალი ABC. <sup>4</sup> ხევის ABC. <sup>5</sup> ქვევით A. <sup>6</sup> ჯარიგხას BC. <sup>7</sup> ჯარიგხას A. <sup>8</sup> ქისტის ABC. <sup>9</sup> ჩერგეკამდე ABC. <sup>10</sup> ჩიმითის ABC. <sup>11</sup> ყაბის ABC, <sup>12</sup> ქუთაულის A. <sup>13</sup> ჩერგეკის ABC. <sup>14</sup> ქედლის ABC. <sup>15</sup> კავკას ABC. <sup>16</sup> კასარას ABC. <sup>17</sup> ზარამაგა ABC. <sup>18</sup> მეფაასაგან A. <sup>19</sup> თრუსოს ABC. <sup>20</sup> ეკლესიანი B.

არა უწყვი სახელნი აღმშენებელთანი და ამისთვის არცა ისინი აღესწერეთ ადგილობით, სადა არიან აღშენებულ. <sup>295)</sup>

ნიკოლაჲ დადიანოვი პირველი <sup>1</sup>.

თ ა ვ ი 12

5 აღწერა შემოკლებული სამცხე-საათაბაგოსი  
საჩინოთა აღბილებთა, მდინარეთა და  
შენებულებათა და საზღვრისა

[178] ხოლო სიგრძე ქვეყანისა ამის არს ქართლის საზღვრიდამ ქართლის ქელამდე, ბაიბურდისა <sup>2</sup>, ჭანეთის საზღვრამდე; განი დევებოინისა და ირიჯლუს და ყალნუს მთებიდამ ლადოსა და გურიის მთამდე და ზღვამდე. და მზღვრის ქვეყანასა აზას: აღმოსავლით საზღვარი ქართლისა, რომელი აღესწერეთ, და მთა ყარსისა არტან-კოლასა და ყარსს შორისი; სამხრით მთა წინხსენებული, სომხით-ქართლის საზღვარი, რომელი დღეს ისახელებს ირიჯლუსა <sup>3</sup> და დევებოინის მთად; ჩრდილოთ მზღვრის მთა ლადო <sup>4</sup>, ანუ ფერ-სათი, <sup>296)</sup> და მთა აჭარა-გურიის შორისი და ზღვაჲ პონტოსი; დასავლით მთაჲ აზრუშისა, ეზინგისა და საქართველოს ყელს შუა წავლილი ანუ რკინისა პალოსი და მისრული ზღვამდე.

ესე სამცხე-საათაბაგო. შეიქმნენ მაჰმედიანად წელს ქრისტესით 1626.

შმა ქვეყანასა შინა არიან მდინარენი უდიდესნი მტკვარი და ჭოროხი. მტკვარს მიერთვის ყოველი მდინარენი სამცხისა, ჯაგახეთისა, კოლა-არტანისანი. ჭოროხს მიერთვის სრულიად კლარჯეთის მდინარენი, თვინიერ ჭანეთისა. მტკვარი გამოსდის კოლას ზეით არსიანის მთას და აწ წოდებულსა ყალნუს და ყარსის <sup>5</sup> მთასა და მისდის ვითა საქართველოს აღწერასა შინა იხილავთ. ქვაბის ხევი გამოდის [174] ფერსათის მთიდან. და ამ ხევის დასავლით მტკვრის კიდებედ არს <sup>297)</sup> ციხე დემოთისა, რომელი აღაშენა სუმბატ ბიგრიტიანმან <sup>6</sup>. თიხრევის ხევი გამოდის კოდინანს <sup>7</sup>. თიხრევის ხევი ზეით, მტკვრის კიდებედ, სამხრით არს აწყვერის ციხე-ქალაქი და ეკლესია დიდი, გუმბათიანი, ღვთისმშობლისა. ხოლო კვანჯლას ზეით განიყოფება ახალციხის წყალი ოთხ მდინარედ და ეწოდების თვის-თვისნი სახელნი. ამ ახალციხის წყალს მოერთვის ოლდამის ხევი, ამ ხევის <sup>8</sup> ზეით ერთვის ჰურიებთან ბორჯომის <sup>9</sup> ხევი. და აქ <sup>10</sup> არს ახალციხე და ქალაქი, რომელსა პირველ ეწოდა <sup>298)</sup> ლომისია. ოცხის წყალი გამოსდის ფერსათს ახალციხის წყალს კვანჯლას. <sup>299)</sup> პანტოვანის ხევის ზეით, მთის ძირშიდ არს ოძრახეს ციხე, რომელი აღაშენა ოძრა-ხოს. ბოცოს წყალი გამოსდის გურიისა და აჭარის მთას. ბოცოს წყალს ზეით არს დიდშენი სასახლე თამარ მფაისა <sup>11</sup> და აწ ოხერ არს.

ფოცხოვის ხევი გამოსდის ერუშეთსა და მის შორის მთასა. ღრელის <sup>12</sup> ხეგზედ არს ეკლესია <sup>13</sup> სათარა; დიდშენი, სადა იყო <sup>14</sup> სასაფლაო ათაბაქთა <sup>15</sup> მაჰმადიანობადმდე. ქარზამეთის <sup>16</sup> ზეით არს მონასტერი ვარძიისა, კლდესა

<sup>1</sup> ეს სამი სიტყვა ამოფხევილია A-ში. <sup>2</sup> ბაიბურთისა ABC. <sup>3</sup> ირჯლუსი ABC. <sup>4</sup> ამ სიტყვის შემდეგ წყაროში სწერია: „ესე არიან მოსის (უნდა იყოს „მოსისი“—შ. ბ.) მთანი“ <sup>295</sup>. <sup>5</sup> ყარის ABC. <sup>6</sup> ბიგრიტიან ABC. <sup>7</sup> თიხრევის ხევი გამოდის კოდინანს—A. <sup>8</sup> ხეგ BC. <sup>9</sup> ბოჯორმის AB. <sup>10</sup> აქა A. <sup>11</sup> მფაისა A. <sup>12</sup> ღრეხის ABC. <sup>13</sup> ეკლესია B. <sup>14</sup> სადა იყო + სადა იყო A. <sup>15</sup> ათაბაქთ A. <sup>16</sup> ქაზამეთის ABC.

შინა გამოკვეთილსა, აღშენებული ნკ გიორგი მეფისაგან<sup>300</sup>) და შესრულებული თამარ მეფისაგან<sup>1</sup>. და დაფლულ არიან აქა<sup>2</sup> 61 მეფე [175] გიორგი, <sup>301</sup> 75 მეფე კოსტანტინე <sup>302</sup>) და სხვანიცა.

[ბოლოსიტყვაობა]

ხოლო რომელი აქამომდე აღვსწერეთ, ეწოდების სამცხე. ხოლო ამას შინა მრავალნი არიან შენებულებანი ციხე ქალაქთა და ეკლესიათანი<sup>3</sup>, რომელიცა თვით მიხილავს, გარნა ვინათგან არა ჩნდა აღმაშენებელთა სახელნი, არღა აღვსწერეთ.<sup>302</sup>)

**აწ ვიწყებთ ჯავახეთის აღწერას, რომელი ესეც ხაათაბაქო არს**

ჯავახეთს გამოსდის მტკვარი და მიერთვის ხსენებულს დიდს მტკვარს, და არს ამა მტკვრისა და მტკვრისა საშუალ ხერთვისი. და ესე ჯავახეთის მტკვარი გამოსდის ფანავრის ტბას. კარწახის<sup>4</sup> ტბას მოერთვის<sup>5</sup> წყალი ფოსოსი<sup>6</sup>, რომელი გამოსდის ყარსის მთას. ამა<sup>7</sup> წყალზედ არს შეენიერი ეკლესია გუმბათიანი,<sup>303</sup>) რომელი აღაშენა მეფემან შირდატ გორგასლის ძემან.<sup>305</sup>) გოკიის<sup>8</sup> წყლის შესართავს ზეით ჯავახეთის მტკვარზედ, სამხრეთისაკენ კიდებდეს არს წუნა<sup>9</sup>, ციხე-ქალაქი, რომელი აღაშენა ჯავახოს, მცხეთოსის ძემან და მერმეთ სომეხთ უწოდეს ქაჯთა ციხე. ამის ზეით, ხრამის თავეს, მინდორზედ სამხრეთისკენ<sup>10</sup> არს კუმურდოს ეკლესია<sup>11</sup> გუმბათიანი, რომელი კოსტანტინე კეისარმან მირიან მეფისა ზე აღაშენა.

ახალქალაქის წყალი გამოსდის<sup>12</sup> აბოცის [176] დაბის მცირე ტბას და შემოერთვის მუნვე მცირე ხავეთის ტბას. ხოლო ახალქალაქი დარღვეული, აღაშენა მეორედ შეეშეთის ბეგმან.

**აწ აღწერა ერუშეთისა<sup>12</sup>—ესეცა ხაათაბაქო არს**

ერუშეთის<sup>14</sup> მდინარე გამოდის ერუშეთს და ფორჩხის<sup>15</sup> ხეცს შორის მთას. ამ წყალზედ არს სამღერეთი, სადა აღაშენა ეკლესია<sup>11</sup> გუმბათიანი დიდმან კოსტანტინე კეისარმან.<sup>306</sup>) ხოლო სამღერეთისა [და] ერუშეთის წყლის შესართავს ზეით არს არტანისა ქალაქი მცირე, რომელი აღაშენა ჯავახოს, ძემან მცხეთოსისამან<sup>16</sup>. ხოლო არტანისა და კოლის<sup>17</sup> სახლვარს ზეით არს, მტკვრის კიდის დასავლით მცირე ქალაქი კოლა.

[ბოლოსიტყვაობა]

ამას შინა არიან მრავალნი შენებულებანი, გარნა არა ჩნდა სახელი აღმშენებელთა და ამისთვის დაუტევე.<sup>307</sup>)

**აღწერა კლარჯეთისა, რომელი ესეცა ხაათაბაქო არს**

კლარჯეთს გამოსდის მდინარე ჭოროხი, რომელი<sup>18</sup> გამოსდის ირიჯლუს<sup>19</sup> მთასა და მიერთვის ბათომს ქვეით შავს ზღვასა. ამა ჭოროხს მოერთვის<sup>20</sup>

<sup>1</sup> მეფისაგან B. <sup>2</sup> აქა—A. <sup>3</sup> ეკლესიათანი BC. <sup>4</sup> კარწახის AB. <sup>5</sup> მოერთვის + და ABC. <sup>6</sup> ფოსოსი ABC. <sup>7</sup> ამა—A. <sup>8</sup> გოკიის ABC. <sup>9</sup> წუნა ABC. <sup>10</sup> სამხრისკენ C. <sup>11</sup> ეკლესია BC. <sup>12</sup> გამოდის AC. <sup>13</sup> ერუშეთისა ABC. <sup>14</sup> ერუშეთის ABC. <sup>15</sup> ფორჩხის ABC. <sup>16</sup> მცხეთოსისამან ABC. <sup>17</sup> კოლლას ABC. <sup>18</sup> რომელ ABC. <sup>19</sup> რიჯლუს ABC. <sup>20</sup> მიერთვის B.



აჭარის წყალი, კიდევ მოერთვის ჭოროხს ფორჩხის<sup>1</sup> ხევი და ამა ფორჩხის<sup>1</sup> ხევს მოერთვის კანეთისა და ისპირის მთიდან ხეენი. კვალად ჭოროხს მოერთვის ანაკერტის ხეობა, კიდევ ჭოროხს მოერთვის [177] შავშეთის მდინარე. ამ შავშეთის წყლისა და ანაკერტის შორის, ჭოროხის აღმოსავლით აჭარის მთის კალთასავე არს მონასტერი ნათლის-მცემელისა, სადა ესვენა ჭოროხი ნათლის-მცემელისა<sup>2</sup>. და იყვნენ ამა მონასტრის შემდეგნი თორმეტნი სხვანი მონასტერნი, რომელნიცა ქებულ არს შენებისა ხელოვნებითა, რომელი ალაშენა მეორედ გურგენ აშოტ დიდის კურატპალატის ძემან და დაფლვა თვით მას შინა. ხოლო სახელი მონასტრისა მის—ოპიზა. ხოლო ქილოვის<sup>3</sup> ხევის 10 სამხრით სახლობს აწინდელი შავშეთის ბეგი. ტბეთს<sup>4</sup> არს ეკლესია<sup>5</sup> გუმბათიანი. ესე ალაშენა აშოტ<sup>6</sup> კუხმან ბაგრატიონმან. ამის პირდაპირ არს ციხე თუხარისა<sup>7</sup>, რომელი ალაშენა პირველ ოძახოს, ძემან მცხეთოსისამან<sup>8</sup>. არამედ 26 მეფემან მირდატ ალაშენა ეკლესია<sup>9</sup> ციხესა შინა.

არტანუჯის წყალი მოერთვის ჭოროხს, რომელი გამოდის ქვაყრილის<sup>10</sup> მთასა. და ამა წყალზედ არს არტანუჯის ქალაქი, რომელი ალაშენა გორგასალ, დააქცია ყრუმ და განაახლა აშოტ კურატპალატმან და ალაშენა მუნ ეკლესია<sup>11</sup>. პეტრე-პავლესი<sup>12</sup>, მოკლეს მუნ და დაფლეს მას შინა. კვალად აქ ალაშენა გორგასლან სამნი მონასტერნი: მერისა<sup>13</sup>, შინდობისა<sup>14</sup> და ახიზისა. ბანას, რომელსა უწოდებენ ფანაქს<sup>15</sup>, აქ არს ეკლესია<sup>16</sup> გუმბათიანი, 20 რომელი ალაშენა მეფემან ადარნასე, და დაფლულ [178] არს მეფენი. ოლთისი არს ჭოროხის აღმოსავლით კიდევუდ ქალაქი; ესე არს მეორე სამყოფი ათაბაგისა.

თორთომის მდინარე გამოდის დევაბოინის<sup>17</sup> მთას და მიერთვის ისპირის მდინარესა.

25 შიფაქლუს<sup>18</sup> მთის კალთას არს ეკლესია<sup>19</sup> ხახულისა ღვთის მშობლისა; დიდი, გუმბათიანი. ესე ალაშენა დავით კურატპალატმან, ბაგრატ მეფის მამობილმან. კვალად აქ არს ეკლესია<sup>20</sup> ფრიად შეენიერი, რომელი ალაშენა 48 მეფემან დავით. ამათი ხატი<sup>20b</sup> არიან გელათს, რომელი შეამკო დავით აღმაშენებელმან და მერმეთ თამარ მეფემან.

30 გურჯი-ბოლახის<sup>21</sup> ხეობა ანუ საქართველოს ყელის: ოდეს ოსმალთ დაიპყრეს აზრუმი, მაშინ უწოდეს გურჯი-ბოლახი<sup>22</sup>. და გამოდის დევაბოინის<sup>17</sup> მთას და ესე არს საზღვარი ბაიბურდის<sup>23</sup> მთამდე საქართველოჲსა<sup>24</sup> და ბერძენთა.

ბაიბურდის<sup>23</sup> ქვეყანას გასდის მდინარე ისპირის და ამ წყალზედ არს 35 ქალაქი ბაიბურდი<sup>25</sup>.

ხოლო ჭანეთის<sup>26</sup> მთიდან<sup>27</sup> ჩამოვარდების ერთი მცირე მთა კნინდა ზღვამდე და ესე არს საზღვარი საქართველოჲსა და საბერძნეთისა და აქა არს რკინისპალო. აქა ალაშენა მეფემან არჩილ მოწამემან ციხე შემდგომად ყრუს მოსვლისა (ვეჭუ რიზა იყოს ციხე იგი).

<sup>1</sup> ფარჩხის ABC. <sup>2</sup> სადა ეყენა ჭოროხი ნათლის-მცემელისა—A. <sup>3</sup> ქოლოვის ABC. <sup>4</sup> ტბეთს ABC. <sup>5</sup> ეკლესია BC. <sup>6</sup> აშოტ ABC. <sup>7</sup> თუხარისა ABC. <sup>8</sup> ცხეთოსისამან ABC. <sup>9</sup> ქაბულის ABC. <sup>10</sup> პავლოვისა ABC. <sup>11</sup> მერისა AC. <sup>12</sup> შინდობისა ABC. <sup>13</sup> ფანაქს ABC. <sup>14</sup> დევაბოინის ABC. <sup>15</sup> შაქულია ABC. <sup>16</sup> ეკლესია B. <sup>17</sup> გურბოლახის ABC. <sup>18</sup> გურჯი-ბოლახი ABC. <sup>19</sup> დევაბოინის ABC. <sup>20</sup> ბაიბურდის ABC. <sup>21</sup> საქართველოჲსა BC. <sup>22</sup> ბაიბურთი ABC. <sup>23</sup> მთიდა B.

ესე არს აღწერა საჩინოებთა ადგილთა მდინარეთა და შენებულებათა სამცხე-საათაბაქოსი. ხოლო ამა სამცხე-საათაბაქოსა შინა არიან მრავალნი [178] შენებულებანი ეკლესია<sup>1</sup>-ციხეებთა, გარნა არა უწყოდით სახელი აღმაშენებელთა და ამისთვის არცა ისინი აღესწერეთ. <sup>209)</sup>

5

თ ა ვ ი 13

### ცხოვრება სამცხე<sup>2</sup>-კლარჯეთისა უმეოკლებულად აღწერილი

პირველად იქმნა მყარობელი სამცხე-საათაბაქოსი სარგის ჯაყელი და მანამდის ეპყრნესთ ბაგრატიონთა. მოკვდა სარგის<sup>3</sup> ჯაყელი წელს ქრისტესით 1285. და შენდგომად დაიპყრა ძენან მისმან ბექა სამცხე-საათაბაქო<sup>4</sup> და გან-<sup>10</sup>დიდნა ფრიად, რამეთუ ასული ბექასი შეირთო ცოლად იმპერატორმან საბერძნეთისამან. ხოლო ბექა ყოვლითა სიკეთითა აღმატებული გარდაიცვალა<sup>5</sup> წელს ქრისტესით 1306. და დასვეს მეფისა ბრწყინვალისა გიორგის შემწობითა შვილისშვილი ბექასი ყვარყვარე.

ხოლო ვიდრემდის იყვნენ ყმობასა შინა ქართველთ მეფეთასა ათაბაქანი,<sup>15</sup> სარგის ჯაყელიდამ გამოიცვალნენ ათაბაქანი B, და ოდეს იქმნენ თავისუფალ და მიუღეს თავნი მათნი მეფეთა ქართველთასა, ამის შენდგომნი აქა აღწერილ არიან სახსრვართა ათაბაქთა ცხოვრებანი.

ხოლო ამან ზეწობსენებულმან ყვარყვარე გამოახეა თავი თვისი საქართველოსა მეფისა ყმობისაგან და იქმნა თავისუფალ [180] მთავრად. ხოლო <sup>20</sup>ამან ყვარყვარემ თავს დასხმითა შეიპყრა მეფე გიორგი. გარდაიცვალა ყვარყვარე წელს ქრისტესით 1466. <sup>210)</sup>

დაჯდა ათაბაგად<sup>6</sup> ძე ყვარყვარესი მანუჩარ. ამის ხელშიდ აღიღო ყაენმან ახალქალაქი, ახალციხე და აწყვერი და წარიღო აწყვერისა ღვთის მშობელი. ხოლო დაიხსნა მანუჩარმა ხატი დიდ ვეცხლად და დაასვენა კვალად აწყვერ-<sup>25</sup>სავე. და შემდგომად გარდაიცვალა მანუჩარ წელს ქრისტესით 1487.

დაჯდა ათაბაქად ყვარყვარე, ძე მზექაბუქისა. ამას მოუხდა მეფე ბაგრატი იმერეთისა შემწეობითა დადიან-გურიელისათა და შეიბნენ მეფე და ათაბაქი და სძლია ათაბაქსა და შეიპყრეს. და პატიმარ ჰყო მეფემან ათაბაქი ყვარყვარე. ხოლო შემწეობისათვის მისცა მეფემან გურიელსა აჭარა და ქანეთი. <sup>30</sup>და<sup>7</sup> საათაბაგო<sup>7</sup> დაიპყრა მეფემან იმერეთისამან ბაგრატი.

ხოლო შემდგომად მიუღეს საათაბაქო მეჯესა ბაგრატს ოსშალთა და ჰყვეს ათაბაგად<sup>8</sup> ძე ყვარყვარესი შეყპრობილისა ქაიხოსრო.

ხოლო ესმსა ამას შეიპყრა მეფემან ბაგრატი ლეონ დადიანი და პატიმარ ჰყო. ხოლო ამან ქაიხოსრო ათაბაგმან შეუჩინა ხოფილანდრე ჩხეიძე და გა-<sup>35</sup>შოაპარა ლეონ დადიანი და წარიყვანა გურიით და გურიელიცა მწე ეყო და დასვეს კვალად დადიანად ლეონ. ხოლო ლეონ დადიანმა ამა ქაიხოსრო ათაბაქის ძესა ყვარყვარეს მისცა ცოლად ასული თვისი მარეხ და მეორესა [181] ძესა მისსა მოუყვანა გიორგი გურიელის ასული როდამ.

გარდაიცვალა ქაიხოსრო ათაბაგი<sup>9</sup> წელს ქრისტესით 1573. ხოლო ამა <sup>40</sup>ყვარყვარეს<sup>211)</sup> დარჩა სამნი ძენი: ყვარყვარე, მანუჩარ და ბექა.

<sup>1</sup> ეკლესია B. <sup>2</sup> სამცხეს B. <sup>3</sup> სარგი ABC. <sup>4</sup> საათაქო A. <sup>5</sup> გარდაიცვა B. <sup>6</sup> ათაბაქად BC. <sup>7</sup> საათაბაქო B. <sup>8</sup> ათაბაქად B. <sup>9</sup> ათაბაქი B.

და დაჯდა ყვარყვარე ათაბაჯად, გარნა მრავლისა ჭირისათვის, რომელი უყვეს ოსმალთა, ყიზილბაშთა და ქართველთა, ამისთვის წარვიდა წინაშე ხვანთქრისა და ხვანთქარმან შეარქინა დიდსა და<sup>1</sup> სახელოვანსა ფალავანსა<sup>2</sup> და დასცა იგი. და ამისთვის მიებოძა ათაბაჯობა და არცაღა აწვია მახმედლიანობად<sup>3</sup>, ვინათგან უწინარესნი ათაბაჯნი გამახმადლიანებულნი მოიღებდენ ათაბაჯობასა მის ეამილამ<sup>4</sup>, ოდეს შეიქმნენ ყმანი ოსმალთ იმპერატორისანი.

მოვიდა ყვარყვარე და დაიპყრა ყოველი საათაბაჯო. მოკვდა ყვარყვარე და იქმნა ძმა მისი მანუჩარ ათაბაჯად და შეირთო ცოლად საქართველოს მეფის სიმონის ასული ელენე<sup>5</sup>. ათაბაჯობდა მანუჩარ ეამ-რაოდენმე და მოკვდა. ხოლო ძმა ყვარყვარესი და მანუჩარისი<sup>6</sup> ზემოხსენებული ბექა იყო ოსმალთა შინა და ცხოვრებდა.

ხოლო შემდგომად სიკვდილისა მანუჩარისა მოიყვანეს ძე მისი, მანუჩარე სახელი მისი, რომელი იზრდებოდა ყვინთა თანა, და დასვეს ათაბაჯად ბრძანებითა ხვანთქრისათა, და ხვანთქარმან მიუბოძა ათაბაჯობა. ხოლო მომავალსა გზასა ზედა დახეთა ბიძამისი, [182] ზემოხსენებული ბექა, და აწვიდა დიდლათ პატივისცა, გარნა საქმელსა შინა შეურთო სამსალაჲ და მოჰქალა განზრახვითა ოსმალთათა.

და<sup>7</sup> ბექა წარვიდა წინაშე ხვანთქრისა სტამბოლს და იქმნა მაჰმადიან<sup>8</sup>, და უბოძეს ათაბაჯობა და ორთულდანი ფაშობა და წარმოავლინეს საათაბაჯოსა შინა. და ამ ეამილამ იქმნა მაჰმადიანობა ათაბაჯთა წელს ქრისტესით 1625. და უწოდეს ბექას საფარ ფაშა წელს ქრისტესით 1635.

იქმნა ძე ამისი უსუფ<sup>9</sup> ფაშა და მოკვდა. ხოლო შემდგომად ამისა იქმნა ძე ამისი როსტომ ფაშა და დაიპყრა საათაბაჯო და მოკვდა.

იქმნა ფაშად ასლან, როსტომის ძე, ნებითა ხვანთქრისათა. ხოლო ესე აწუხებდა და ლაშქვრიდა იმერეთსა. ხოლო ამას მოჰქვეთეს თავი ნებითა ხვანთქრისათა კეაცხუთს, ჯარათ მყოფს, თუ რასთვის<sup>10</sup> აღიღო ქრთამი მეფეთა იმერთაგან, და ამისთვის მოჰქვეთეს<sup>11</sup> თავი.

იქმნა ფაშად უსუფ, ძე ასლანისა. ამან მოჰქვეთა თავი გურიელსა ქაიხოსროს და დასცა ძმა მისი მამია გურიელად. ამის ეამშიდ გამრავლდა მაჰმადიანობა, შეიწრდა ქრისტიანობა და ესევითარსა ეამსა მოკვდა<sup>12</sup> უსუფ ფაშა. ხოლო იქმნა ფაშად ძმა უსუფ ფაშისა და შვილი ასლან ფაშისა ფაშად და მოკვდა.

იქმნა ფაშად ძე უსუფ ფაშისა ისაყ ფაშად. და იყო ამა ფაშებთაგან დიდი კირთება და ოხრება. შთავიდა ესე ისაყ ფაშა [163] იმერეთსა<sup>13</sup> და გააქეთა ციხე ბაღდადს და დააყენა იენგიჩარნი და წარვიდა ახალციხეს, მოეწინენ<sup>14</sup> იმერნი და მოსწყვიდნენ მრავალნი და თვით ისაყ ფაშა დაკოდეს. კოლის<sup>15</sup> ფაშა მოჰქლეს, და გარდაარჩენილნი წარვიდენ სიოცხვილეულნი.

ხოლო ამა ისაყ ფაშასა<sup>16</sup> ეპყრა ძალითა და ბრძანებითა ხვანთქრისათა რაოდენსაჲ ეამს ქართლი, კახეთი და იმერეთი, და გამოჩენისა ეამსა თამაზ ხანისასა მიუღეს, და ისაყ ფაშა მართვიდა საათაბაჯოსა და იმყოფებოდა მუნ.

ხოლო შემდგომი არლა უწყოდნი, რათა აღმეწერა, ვინათგან არცა მახსოვდა, თუ დედანშიდ აღმომეკითხოს და მე უსმენელ ვიყავ და ამისთვის დავიღუპე.

<sup>1</sup> და—BC. <sup>2</sup> ფალავანსა A. <sup>3</sup> მაჰმადიანობად A. <sup>4</sup> ეამილგან A. <sup>5</sup> ელენა ABC.

<sup>6</sup> მანუჩარისი A. <sup>7</sup> და—A. <sup>8</sup> მაჰმადიან A. <sup>9</sup> უსუფ ABC. <sup>10</sup> რასათვის B. <sup>11</sup> მოკვეთეს A.

<sup>12</sup> მოკვდა A. <sup>13</sup> იმეთსა A. <sup>14</sup> მოეწინენ AB. <sup>15</sup> კოლა ABC. <sup>16</sup> ფასა A.

ხოლო ოდეს განთავისუფლდნენ მეფეთა ყმობისაგან ათაბაქანი და შეიქმნენ თავისუფალ მთავრად, თვინიერ ზვანთქრის ყმობისა, მის ქამიდან მახბედლიანობადმდე ისხდნენ ათაბაქანი 10 და მახმედლიანობითგან ისხდნენ ვიდრე ისაყ ფაშამდე 11, ხოლო სარგის ჯაყელიდამ<sup>1</sup> ვიდრე ისაყ ფაშამდე სრულიად ათაბაქანი ისხდნენ 29.<sup>312)</sup>

5

და ესრეთ შემოკლებით დავასრულე ცხოვრება სამცხე-საათაბაქოსი.

თ ა ვ ი 14 [ა]

აღწერა იმერეთისა საჩინოთა აჯგინლთა,  
მდინარეთა და შენებულშემატა შემოკლებულად

[184] იმერეთი ეწოდება ცხენის წყლიდამ ვიდრე ლიხის მთამდე. აქა 10 იმერეთსა შინა არს მდინარე სხვათა უპირატესი რიონი და ამას<sup>2</sup> მიერთვიან ყოველნი მდინარენი იმერეთისანი. ესე გამოსდის სვანთა, დიგორისა, ბასიანისა, რაქისა შორის კავკასსა და მიერთვის მეორესა რიონსა.<sup>313)</sup>

ცხენის წყალი გამოსდის ლეჩხუმისა და სვანეთისა შორის კავკასსა და მიერთვის რიონს საკილაოს, ილორს, და უწინარეს მიერთოდა ტყვირს.<sup>314)</sup> 15 ხანის წყლის აღმოსავლეთით და ყვირილას მდინარის სამხრით ფერსათის კალთას არს დიმი, სადა პირველმან მეფემან ფარნავაზ ალაშენა ციხე მტკიცე<sup>3</sup>.

ყვირილა გამოსდის ერწოს ტბას. და მოერთვის ყვირილას ცუცხვათის ხევი, სადა არს ციხე ცუცხვათისა, რომელი შეთხრით აღილეს ოსმალთა წელს 20 ქრისტესით 1721.

განათის ეკლესია<sup>4</sup> ალაშენა მეფემან დავით ზედწოდებით აღმაშენებელმან. აქ<sup>5</sup> არს ხატი ხახულისა ლეთის მშობელი. აქ არს ვარძიის ჯვარი, აქ არს რკინის კარი ზღუდისა, რომელი მოიტანა დავით აღმაშენებელმან დარუბანდით. აქა ჰქიდავს ეკლესიისა<sup>6</sup> ბქესა კარი ერთის ვახისაგან გამოთლილი. 25 აქ არიან მეფენი დაფლულნი: დავით აღმაშენებელი, გიორგი, თამარ, ლაშა, რუსუდანი, დავით და სხვანი.<sup>318)</sup> პირველად იყო გელათი მონასტრად<sup>7</sup> და ბაგრატ ჰყო [185] საეპისკოპოსოდ.

ჩხარს იყო დიდი ქალაქი, გარნა მოოხრდა ლეონ მანუჩარის ძის დადიანისაგან. აქ არს ეკლესია<sup>8</sup> წმინდისა<sup>9</sup> გიორგისა. აქ ასვენია ჯვარი, რომელსა 30 შინა მღებარებს ბეჭი მთავარ-მოწამისა გიორგისა, მარადის სასწაულ-მოქმედი. ესე ჯვარი პირველ იყო ყორანთას<sup>10</sup>, შემდგომად სამცხეს. მერმე ატოცს და აწ აქა.<sup>316)</sup>

შორაპანი ალაშენა პირველმან მეფემან ფარნავაზ<sup>11</sup>, ქალაქი და ციხე. ხოლო შემუსრვილი<sup>12</sup> ალაშენა გიორგი აბაშიძემ, გარნა მასვე შეამუსრვინეს 35 ოსმალთა, და მერმე მისცა ზურაბ აბაშიძემ ოსმალთა, და იდგენ მას შინა იენჯიჩარნი<sup>13</sup>. და შემდგომად მოიყვანნა მეფემან იმერეთისამან სოლომონ პირველმან ალექსანდრეს ძემან რუსნი, აღილეს და შემუსრეს, რომელი დღესაც შემუსრვილ<sup>14</sup> არს.<sup>317)</sup>

<sup>1</sup> ჯაყელიდა B. <sup>2</sup> მას. A. <sup>3</sup> მტკიცე-A. <sup>4</sup> ეკლესია BC. <sup>5</sup> აქა A. <sup>6</sup> ეკლესიისა B. <sup>7</sup> მონასტრად B. <sup>8</sup> ეკლესია B. <sup>9</sup> წმინდის A. <sup>10</sup> ყანათს ABC. <sup>11</sup> ფარნავაზ BC. <sup>12</sup> შემუსრვილი BC. <sup>13</sup> ეგინჯარნი A, ენჯინჯარნი BC. <sup>14</sup> შემუსვილ A.

მღებზე არს აღშენებული კახაბერისა რაჰის ერისთავისაგან<sup>1</sup>. ხოლო ამ მონასტრის დასავლით არს, ყვირილას გაღმა-გამოღმა კლდესა შინა, ქვაბნი სახიზრად ნაკვეთნი, რომელი ვერ აღილეს ყრუს მოსვლის დროს; და დადგა ქვაბნი ესე, და ციხე სვერისა, რომელ ვერ აღილო ყრუმან მომსრველმან<sup>2</sup>.

5 გეგუთს ციხე-დარბაზი აღაშენეს თურქთა 57 მეფის<sup>3</sup> გიორგის დროს.<sup>30</sup> ქუთათისი აღაშენა პირველმან აჯახათა<sup>4</sup> მეფემან ლეონ და ჰყო ტახტად-ხოლო ციხე ქუთათისი მისცა ოსმალთა სეხნია ჩხვიძემ წელს ქრისტესით 1668, და ეპყრათ [148] მრავალ ჟამ. და შემდგომად იმერთა მეფემან სოლომონ ალექსანდრეს ძემან პირველმან(!) ეყვრათა რუსეთის მპყრობელს იმპერატრიცა-  
10 ეკატერინას, და წარმოუვლინა მხედრობა, და აღილეს ციხე ქუთათისისა<sup>4</sup> და შემუსრეს, რომელიცა დღესაც შემუსრვილ არს.<sup>31</sup>

აქა აღაშენა ეკლესია<sup>5</sup> დიდი გუმბათიანი 56 მეფემან ბაგრატ და დასვა მწყემსი იმერთისა და გურიისა. და დაფლულ არს აქა იგი აღმაშენებელი ბაგრატ მეფე 56<sup>32</sup> და 57 გიორგი. ხოლო შემუსრეს ოსმალთა ეკლესია<sup>6</sup> ესე და წარილეს სვეტი მისნი სამცხეს და მარმარილონი წელს ქრისტესით 1692.

რაჰას, ბარის წყალს ზეით, არს მთაშიდ მრავალძალს<sup>6</sup> ეკლესია<sup>5</sup> წმინდის გიორგისა და ჯვარი დიდი ოქროსა სასწაულმოქმედი. მას ეკლესიასა<sup>7</sup> შესწირა შაბაზ ყვინმა ხრმალი ოქროდ მოქედილი და შუბი. აწცა სძეს მუნ, არათუ სარწმუნოებისათვის, არამედ ჰსენან, რამეთუ ხრმალი მისი ჰკიდავენ მუნ.  
20 წესს ეკლესია<sup>8</sup> ბარაკონად წოდებული აღაშენა რაჰის ერისთავმან როსტომ შოშიტას ძემან.<sup>321</sup> უწყრას ეკლესიასა<sup>7</sup> შინა მკიდარებს კამარასა შინა ერთი ნაწნავი თვა, იტყვიან თამარ მეფაისასა<sup>9</sup>.

[ბოლონიტყვარობა]

25 ხოლო უმეტეს ამისა არღარა აღესწერე აღწერასა შინა იმერთისასა წყალთა. შენებულებათა და სხვათა, ეინათგან უწყით ჩვენ ყოველთა მას შინა მყოფმან.<sup>322</sup>

აღწერა ოდიშისა შემოკლებულნი

[167] ოდიშს მენგრელი ეწოდება ეგრისის გამო.<sup>323</sup> საზღვარი ოდიშისა არს ცხენის წყალი, მერმეთ თაკვერსა და ოდიშს შორისი მთა, კავკასიიდან<sup>10</sup> ჩამოსრული სამხრით და კვალად თაკვერიდამეე წასრული კავკასი ჩრდილოდ, ვიდრე ეგრისის სათავედმდე ოდიშისა და სენანეთისა შორისი; სამხრით მდინარე რიონი გურიის-ოდიშს შორისი და კვალად ეგურის მდინარის<sup>11</sup> შესართავს დასავლეთი<sup>12</sup> შავი ზღვა; დასავლეთით ზღვა შავივე და კვალად ანაკოფის მთა კავკასიიდან ჩამოსრული სამხრით ზღვამდე; ჩრდილოთ კავკასის მთა.<sup>324</sup>

ეკლესია მარტვირისა (ესე იგი ჰყონდილისა) აღაშენა 8 მეფემან აფხაზთა-მან გიორგი. იქ დაფლულ არს მეფე ბაგრატ. სენაკის ეკლესია<sup>13</sup> აღაშენა ლეონ დადიანმა მანუჩარის ძემან.<sup>325</sup>

<sup>1</sup> ერისთავისაგან A. <sup>2</sup> მომსრულმან A. <sup>3</sup> მეფისა A. <sup>4</sup> ქუთათისა ABC. <sup>5</sup> ეკლესია BC. <sup>6</sup> მრავალძას ABC. C. <sup>7</sup> ეკლესიასა BC. <sup>8</sup> აფხაზთა ABC. <sup>9</sup> მეფისასა A. <sup>10</sup> კავკასი და ABC. <sup>11</sup> მდინარე ABC. <sup>12</sup> დეკლეთი ABC. <sup>13</sup> ეკლესია B.

ნაქალაქევი<sup>1</sup>, ციხე-გოჯად წოდებული, აღაშენა პირველის მეფის თარ-  
ნავაზის<sup>2</sup> ეამშიდ ქუჯი ერისთავმან, ქალაქი და ციხე, რომელი შემუსრა ყრუმ.  
ხოფის ეკლესია<sup>3</sup> აღაშენა გიორგი დადიანმან, პაპამან ზემოხსენებულის  
ლეონისამან.<sup>326)</sup>

(აიშის<sup>327</sup>) ეკლესია<sup>3</sup> აღაშენა, დაქცეული ძერისაგან<sup>4</sup>, კათალიკოსმან<sup>5</sup>  
მალაქია გურიელის ძემან, ხოლო ეამთა ვითარებისაგან განრყენილი და საე-  
როდ ქმნილი კვალად აგო საეპისკოპოსოდ შრომითა თვისითა დადიანმა<sup>6</sup>  
კაციამ, ოტიას ძემ, და დასეა [188] მას ზედა ეპისკოპოსად კაცი ღირსახსო-  
ვარი გრიგორი ჩიქოანი, და ყოვლად დაცემული ეკლესია<sup>3</sup> ცაიშისა მან ყო-  
ვლითურთ შენებითა და საეკლესიოს სახმარებელითა განაახლა და კვალად<sup>10</sup>  
ახლად წარმოაჩინა.<sup>328)</sup>

ქალენჯიხის<sup>6</sup> ეკლესია<sup>7</sup> არს აღშენებული ლეონ დადიანის მანუჩარის  
ძისაგან.<sup>329)</sup>

ანაკლიას<sup>330</sup>) ციხე აღაშენეს ოსმალთა წელს ქრისტესით 1703.

რუხის ციხე აღაშენა ლეონ დადიანმა მანუჩარის ძემ წელს ქრისტესით 15  
1647, შემდგომად შემუსრეს ოსმალთა წელს ქრისტესით 1725.

რუხს ზეით<sup>8</sup> არს ეკლესია გუმბათიანი, კოცხერს, ლეთის მშობლისა, კვა-  
ლად ლეონ დადიანის მანუჩარის ძისაგან აღშენებელი.<sup>331)</sup>

ილორს [არს] ეკლესია (წმინდის გიორგისა), ოდეს მოსწვევს თათართა  
წელს ქრისტესით 1733.<sup>20</sup>

ბედია აღაშენა 54 მეფემან ბაგრატ.<sup>332)</sup> ხოლო პირველ აქა მოვიდა ეგრი,   
ძე თარგამოსისა, და აღაშენა ქალაქი, და უწოდეს ეგრისი<sup>9</sup> ეგრის გამო, და  
ნერმეთ უწოდეს ბედია. ხოლო აქა დაფლულ არს ბაგრატ მეფე.

მოქვი აღაშენა 9 მეფემან აფხაზთაგან ლეონ.

ანაკოფია აღაშენეს პირველ ბერძენთა; ესე არს საზღვარი ოდიშისა და 25  
აფხაზეთისა. აქა, ანაკოფიას აღმოსავლით, ზღვიდამ მთამდე, შეავლო ზღუდე  
დიდი ლეონ დადიანმან მანუჩარის ძემან, პირველ მრავალს აფგილს ხსენე-  
ბულმან, აფხაზთ გამოუსვლელობისათვის.

ხოლო სიგრძე ოდიშისა არს [189] კავკასიას თხემიდან ზღვამდე და  
ცხენის წყლიდამ ანაკოფიამდე და განი მისი ზღვიდამ კავკასიის<sup>10</sup> თხემამდე. 30

#### [გოლოსიტჰვარა]

ხოლო უმეტეს ამისა არღა საჭიროდ ვრაცხე აღწერა, ვინათგან ვიციბთ  
და ვართ მას შინა და ვიქცევით.<sup>333)</sup>

#### აღწერა აფხაზეთისა<sup>11</sup>

ხოლო საზღვარი აფხაზეთისა არს: აღმოსავლით ანაკოფიის დასავლით 35  
მცირე მთაჲ კავკასიიდან ჩამოსრული ზღვამდე; დასავლით ზღვა და კაპეტის  
მდინარე, არაზედ სხვანი მზღვრიან<sup>12</sup> ჯიქეთის დასავლეთის ზღვამდე; ჩრდი-  
ლოთ მზღვრის მთაჲ კავკასი, საზხრით—ზღვა შავი, სიგრძე ამისი არის ანაკო-  
ფიიდან<sup>13</sup> კაპეტის მდინარემდე<sup>14</sup> ანუ ზღვამდე, განი<sup>15</sup> ზღვიდამ კავკასის  
თხემამდე.

40

<sup>1</sup> ნაქალაქევის ABC. <sup>2</sup> ფარნავაზის BC. <sup>3</sup> ეკლესია B. <sup>4</sup> ძრვისაგან AC. <sup>5</sup> დადიანმან A. <sup>6</sup> ქალენჯიხა BC. <sup>7</sup> ეკლესია—BC. <sup>8</sup> ზეით A. <sup>9</sup> ეგრისი—A. <sup>10</sup> კავკასის C. <sup>11</sup> აფხა-  
ზეთისა ABC. <sup>12</sup> მზღვრიან AC. <sup>13</sup> ანაკოფიიდან ABC. <sup>14</sup> მდინარემდე A. <sup>15</sup> გინა ABC.

აქაურის მთავრის სასახლე არს ზუფუს. ზუფუს დასავლით არს მუწის წყალი<sup>1</sup>; გამოსდის კავკასიიდან და შეერთვის<sup>2</sup> ზღვას. ამ მუწის წყლის დასავლით არს ბიკვიტას<sup>3</sup> ეკლესია<sup>4</sup>; ესე აღაშენა იუსტინიანე კეისარმან ბერძენთამან. ამის ქვემო სდის კაპეტის წყალი, გამოსდის ესე რაჭის მთას კავკასია, 5 გამოვლის სვანეთს, ალანსა და მას ქვეით კავკას შორისთა და მოერთვის აქა ჩრდილოდამ ზღვას.

#### ჯიქეთისათვის

[190] ჯიქეთის საზღვარი არს აღმოსავლით კაპეტის წყალი, დასავლით შავი ზღვა, სამხრით იგივე ზღვა, ჩრდილოთ კავკასი.

10

#### სვანეთისათვის

სვანეთს მზღვრის აღმოსავლეთით სვანეთსა და ბასიანს შორისი კავკასი, სამხრით სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმს შორისი კავკასი, დასავლეთით სვანეთსა და ოდიშს შორისი კავკასი და ალანის საზღვარი.<sup>311</sup> სიგრძით არს რაჭის კავკასის თხემიდან ოდიშის კავკასის თხემამდე და ალანამდე, განით რაჭა- 15 ლეჩხუმის კავკასის თხემიდან ჩერქეზის<sup>5</sup> კავკასიის თხემამდე.

ეცერს არს ეკლესია<sup>4</sup> სვეტიად<sup>6</sup> წოდებული, სახიზარი სვეტის ცხოველის სამკაულ<sup>7</sup>-საუნჯისა, რომელსა შინა იტყვიან სვეტის ცხოველის კანკელის ყოფნასა, რომელი მოიღო გურგასლან ინდოეთიდან, ქმნილი წითლის იაგუნდითა.

20 ოდეს ძურძუკეთი ვერღა იტევდა კაცთა მას შინა მცხოვრებთა, აპყარა ბეორემან მეფემან საურმაგ და დაასხნა აქა სვანეთს, და ოდეს იხილეს ძურძუკთა განსვენება თავისა მათისა სვანეთს, ამისთვის უწოდეს სვანეთი<sup>8</sup>. და ამის გამო ეწოდა სვანეთი.

#### ალანეთისათვის

25 [191] ალანეთისა საზღვარი არს აღმოსავლით კავკასი და საზღვარი სვანთა, სამხრით კავკასი ბედია—ოდიშს შორის, დასავლით კავკასი, ჩრდილოთცა კავკასი. უდის შუაშიდ სვანეთის მდინარე.

ალანნი იყვნენ პირველ ქრისტიანნი და ახლა რომელნიმე არიან მაჰმედიანნი.

30 და ესენი იყვნენ კავკასოსნი წილნი.

#### გურიისათვის

გურია იყო წილი ქართლოსისა და არა ეგროსისა, გარნა ოდეს გამეფდა ლეონ აფხაზთა მეფე, მაშინ<sup>9</sup> განსდგენ და მისცეს თავი ლეონ აფხაზთა<sup>10</sup> მეფესა.

35 გურიისა საზღვარი არს ესე: აღმოსავლეთით მთა ფერსათი და სამცხე-გურიის შორისი და საჯავახოს შორისი; სამხრით ქოროხის მდინარე და მთაჲ მცირე ფერსათიდან წამოსრული დასავლით აჭარა-გურიის შორისი; ჩრდილოთ რიონი ოდიშ-გურიის შორისი და დასავლით შავი ზღვა.

<sup>1</sup> წყალი—A. <sup>2</sup> შერთვის B. <sup>3</sup> ბიკვიტას ABC. <sup>4</sup> ეკლესია BC. <sup>5</sup> ჩერკეზის ABC.

<sup>6</sup> სვეტო A, სუუტო BC. <sup>7</sup> სამკაული ABC. <sup>8</sup> სვანეთი A. <sup>9</sup> მაშინ A. <sup>10</sup> აფხაზთა A.

რიონის თვალზედ სამხრეთით კიდესა ზედა არს ფოთის<sup>1</sup> ციხე, რომელი ალაშენეს ოსმალთა წელს ქრისტესით 1725.<sup>329)</sup>

ეკლესია<sup>2</sup> შემოქმედისა. რომელ გურიას იყო პირველ საარხიმანდრიტო და დღეს არს საეპისკოპოსო.

გურია იყო სრულიად სანწყყო ქუთათლისა, გარნა შემდგომად განყოფი-  
სა დაიდგინენ სხვანი მწყემს მთავარნი.<sup>330)</sup>

გონია ქალაქად და ციხედ ალაშენეს [192] ოსმალთა წელს ქრისტე-  
სით 1547.

ხოლო სიგრძე გურიისა არს სამცხის<sup>3</sup> მთის თხემიდან ზღვამდე და განი  
ქოროხიდან რიონამდე.

ხოლო ოდესმე გურიელს ეპყრა აჭარა და ქანეთიცა, გარნა არს ესე  
ორნი აჭარა და ქანეთი სამცხისანი, და იქა დაიწერა.

[გოლმოსიჲვაგობა]

და სხვანი მენებულეზანი ანუ სოფლებ-დაბნეები, ვინათგან გარჩევით<sup>4</sup> არ<sup>5</sup>  
იყვნენ აღწერილ აღმშენებელნი ანუ სხვანი, ამისთვის დავიღუშე<sup>6</sup>.<sup>337)</sup>

თ ა ვ ი 14 [ბ]

დაუყვება იმერთა და ოდიშ-აფხაზთა მემოგისა და  
მთავროგისა, რომელსა უწინარისნი მამაბიანნი  
ანუ ისტორიკოსნი უწოდებენ ებრისად<sup>7)</sup>

ოდეს მოჰკლა პირველმან მეფემან საქართველოჲსაგან ფარნავაზ<sup>7</sup> იაზონ<sup>20</sup>  
ერისთავი და დაიპყრა საქართველო, მაშინ ეგრისის მდინარეს დასაველეთისა-  
ნი არა მორჩილებდენ ფარნავაზს<sup>8</sup>, არამედ მეფესა ბერძენთასა. ხოლო ეგრი-  
სის მდინარის აღმოსაველეთისანი დაშთენ ფარნავაზის<sup>9</sup> მორჩილებასა შინა.

[198] ხოლო ფარნავაზ განაყო ეგრისი, თვისა მორჩილებასა შინა მყო-  
ფი, ორ საერისთოდ: დასვა ქუჯი ერისთავი ეგრისს<sup>10</sup>, რომელი ალაშენა<sup>25</sup>  
ეგროს. ხოლო ამას<sup>11</sup> უწოდეს ბელია, ვინათგან ქუჯიმ ჰპოვა ბელი მუნ, და  
ამის გამო უწოდეს ბელია. და მისცა ქუჯის საერისთოდ რიონის დასაველეთი  
და ჩრდილოეთი ზღვამდე და ეგრისის მდინარემდე, სრულიად სვანეთი. და  
მეორე დასვა შორაპანს და მისცა საერისთოდ ნაშთი ეგრისისა, რომელ არს  
რიონის აღმოსაველეთით და სამხრეთი ზღვამდე და ლიხის მთამდე.

ხოლო შემდგომად ამისა დაიპყრა ნაშთი ეგრისისა ვახტანგ გურგასლან,  
და კეისარმანცა მოსცა ზითვად ცოლსა ვახტანგისასა. გარნა შემდგომად მიუ-  
ღო ერეკლე კეისარმან და დასვა თვისი ერისთავი ასაკოფიას, და უწოდდენ  
აფხაზთა<sup>12</sup> ერისთავსა. და ეპყრა ეგრისის მდინარის იქითი კეისარს (ხოლო  
ეგრისის მდინარე ეწოდების ლაღიძვას).<sup>338)</sup>

ხოლო იყო რა აფხაზთა ერისთავად<sup>13</sup> ლეონ და იხილა უძღურება ბერ-  
ძენთა, მაშინ თვით დაიპყრა სრულიად ეგრისის ქვეყანანი ლიხის მთიდან  
ვიდრე ზღვამდე და ხაზარეთამდე და იწოდა მეფედ აფხაზთა წელს ქრისტე-  
სით 786. ამითგან მეფენი მეფობდენ ვიდრე ბაგრატიონამდე 11.<sup>340)</sup>

<sup>1</sup> ფოთის AB. <sup>2</sup> ეკლესია BC. <sup>3</sup> სამცხის+ სამცხის A. <sup>4</sup> განჩევით AC. <sup>5</sup> არა B.  
<sup>6</sup> დავიღუშე B <sup>7</sup> ფარნავაზ BC. <sup>8</sup> ფარნავაზ BC. <sup>9</sup> ფარნავაზის B. <sup>10</sup> ეგრის ABC. <sup>11</sup> ამათ  
ABC. <sup>12</sup> აფხაზთა A. <sup>13</sup> ერისთავდ BC.



ხოლო იქმნა რა მეფედ ესე ლეონ, არღა უწოდა ეგრისი, არაჲდ აფხა-  
ზეთი. ხოლო ამან განჰყო რვა საერისთაოდ<sup>1</sup> ეგრისი, რომელსა უწოდა აფ-  
ხაზეთი: 1. დასვა აფხაზთა [194] და მისცა აფხაზეთი და ჯიქეთი ვიდრე ზღვა-  
მდე და ხაზართა მდინარე<sup>2</sup>მდე; 2. დასვა ცხომს და მისცა ეგრისის მდინარეს  
5 იქითი ანაკოფია-ალანთურთ; 3. დასვა ბედიას ეგრისის აღმოსავლიდამ ცხე-  
ნის წყლამდე; 4. დასვა გურიის, და გურია<sup>3</sup> ამან უწოდა, და უწინარეს<sup>4</sup>  
ადგილსა გურიისასა სხვასა<sup>5</sup> უწოდებდენ<sup>341</sup>; 5. დასვა რაჭა-ლეჩხუმს; 6. დას-  
ვა სვანეთს; 7. დასვა შორაპანს რიონისა და ხანის წყლის აღმოსავლეთისა  
ლიხადმდე, სრულიად არგვეთისა; 8. დასვა ქუთათისს<sup>6</sup> ვაკის<sup>6</sup>, ოკრიზისა.

10 ამან მეფემან აღაშენა პირველ ტახტად ანაკოფია, ხოლო მეორედ ქუთა-  
ისი და აღაშენა ქალაქი და ციხე.

ხოლო მეფე ესე მიიცვალა წელს ქრისტესით 806.

ხოლო იქმნა მეფედ ძე ამისი გიორგი,<sup>342</sup> და დაიპყრა საქართველოცა  
და მოკვდა წელს ქრისტესით 877.

15 ხოლო შემდგომად ამისა გარდაიცვალენ მრავალნი მეფენი აფხაზეთისანი-  
ღირს-სახსოვარნი, რომელთა<sup>7</sup> ეპყრათ აფხაზეთი და საქართველო.

გარნა შემდგომად ამა გიორგი მეფისა<sup>343</sup> არღარაჲდ დაშთა მემკვიდრეთ-  
აფხაზთ მეფისა და უღონო-ქმნილთა აფხაზთა ითხოვეს დავით მეფისა კურატ-  
პალატისაგან მეფედ აფხაზთა ბაგრატ, ძე გურგენისა, ასულის წული გიორგი  
20 აფხაზთ მეფისა. ინება და მოსცა. და მოიყვანეს აფხაზეთს და აქურთხეს ქუ-  
თათისს<sup>8</sup> მეფეთ წელს ქრისტესით 985.

და ამ ბაგრატიდამ იქმნა აფხაზთა მეფობა ბაგრატიონთა.

ხოლო მეფობდენ აფხაზთა ზედა მეფენი იგი [195] აფხაზეთანი წელს  
199.<sup>344</sup>)

25 ხოლო ამ ბაგრატის პირველის მეფობიდამ ვიდრე ლაშას ძის დავითის  
მეფისა და რუსუდანის ძის ნარინ<sup>9</sup> დავითისა<sup>9</sup> მეფისამდე იყო ერთმეფობისა-  
ქვეშე სრულიად აფხაზეთი მეფობასა ბაგრატოვანთასა. ხოლო ამა ორთა და-  
ვითთა სამეფოსა განყოფადმდე გარდახდენ წელნი 274.<sup>345</sup>)

ხოლო იქმნა ამისა შემდგომად მეფედ ნარინ<sup>9</sup> დავით ძე რუსუდანისა.  
30 იმერეთს წელს ქრისტესით 1259. ამიერიდამ იწოდა დავით და ამას ქვემონი-  
მეფენი<sup>10</sup> მეფედ იმერეთისა და არღარა აფხაზთა. ხოლო ნარინ<sup>9</sup> დავით მე-  
ფობდა, ვითარ ზემო აღიწერა და უმეტეს სცნობთ დიდსა ქართველთ ცხო-  
ვრებასა შინა<sup>11</sup>. და გარდაიცვალა ნარინ<sup>9</sup> დავით მეფე წელს ქრისტესით 1293.

ამის შემდგომად მეფე იქმნა ძე მისი კოსტანტინე. და ამას აღუდგა  
35 ძმა თვისი მიხაილ და იქმნა სამეფოსა შინა იმერეთისასა დიდი უთანხმოება<sup>12</sup>.  
და ეამსა ამას გიორგი<sup>13</sup> დადიანმა დაიპყრა საერისთო ცხომისა და სრულიად  
ოდიში ანაკოფიადმდე, ეგრეთვე შარვაშიძემან<sup>14</sup> აფხაზეთი, გურიელმან გურია,  
სვანთ ერისთავმან სვანეთი, და არღარა მორჩილებდენ მეფესა საქართველოვსა  
და იმერეთისასა.

40 შემდგომად გარდაიცვალა გიორგი<sup>15</sup> დადიანი წელს ქრისტესით 1323  
და დაჯდა ძე მისი შამია დადიანად. და ამან უმეტეს განიმტკიცა ოდიში  
ვიდრე ანაკოფიამდე.

<sup>1</sup> საერისთოდ A. <sup>2</sup> გურია A. <sup>3</sup> უწირეს A. <sup>4</sup> სხვა A. <sup>5</sup> ქუთათის ABC. <sup>6</sup> ვაკის—A.  
<sup>7</sup> რომელსა ABC. <sup>8</sup> ნარ ABC. <sup>9</sup> დავითის B. <sup>10</sup> მეუფენი—A. <sup>11</sup> შინა—A. <sup>12</sup> უთანხმოება  
BC. <sup>13</sup> გრიგორი ABC. <sup>14</sup> შარვაშიძემან B. <sup>15</sup> გრიგო A, გრიგორ BC.

ხოლო ამის შემდგომად იქმნენ მრავალნი მეფენი შთამონასირნი <sup>1</sup> [106] ურთიერთისანი. <sup>246</sup>) და იქმნა მეფედ გიორგი და ამან განიზრახა კვალად დაპყრობა მთავართა. და წარვიდა პირველად ვამეყ დადიანსა ზედა გამზრახი <sup>3</sup> ესრეთ: „უკეთუ ესე დაემორჩილე, სხვანიცა დამორჩილებულ შექმნებიან“. <sup>347</sup>) შემოიკრიბნა სპანი იმერეთისანი და შთავიდა ოდიშს, ეწყვენ ურთიერთას <sup>5</sup> მეფე და <sup>3</sup> დადიანი. და იძლიენენ სპანი გიორგი მეფისანი. მოჰკლეს მენგრელთ მეფე გიორგი ბრძოლასა შინა. და გაემარჯვა ვამეყ დადიანსა წელს ქრისტესით 1392. ხოლო განზრახეთა ვამეყ დადიანისათა ჩამოვიდა მეფე ქართველთა გიორგი, ძე ბაგრატ დიდისა და დაიპყრა იმერეთი.

მოკვდა <sup>4</sup> ვამეყ დადიანი და იქმნა დადიანად ძე მისი მამია. მოჰკლეს <sup>10</sup> ესე მამია დადიანი აფხაზთა <sup>5</sup> ბრძოლასა შინა და იქმნა <sup>6</sup> დადიანად ძე მისი ლიპარიტ წელს ქრისტესით 1414.

ხოლო შემდგომად დაიპყრა ბაგრატ მეფემან იმერეთი და თავისუფლებასა ზედა მთავართა მათ დადიანსა, გურიელსა და შარვაშიძესა <sup>348</sup>) ხელი მოუწერა.

ხოლო ეამსა ამას მიიცვალა ლიპარიტ დადიანი და იქმნა დადიანად ძე მისი შამანდავლე. მოკვდა შამანდავლე წელს ქრისტესით 1474 და იქმნა დადიანად ბიძა შამანდავლესი ვამეყ.

ეამსა აშას <sup>7</sup> განწლიერდა ბაგრატ მეფე და დაიპყრა საქართველოჲ. ხოლო ოდეს იხილა ვამეყ დადიანმა განწლიერება ბაგრატ მეფისა, არღა სწალოდა <sup>20</sup> უმეტეს განწლიერება ბაგრატისა. ამისთვის შემოიკრიბა [197] ვამეყ დადიანმა შარვაშიძე და გურიელი და დაუწყო რბევა და ოხრება იმერეთსა და დაპყრობა. და ოდეს მიესმა ესე ბაგრატ მეფესა, ქართლს მყოფს, წარმოვიდა მუნით და შეიკრიბა სპანი ქართლისა და იმერეთისანი და ეწყო დადიანსა ოდიშს და იქმნა ძლიერი ომი, სადა მოსწყდენ ორგნითვე მრავალნი. და იძლია დადიანი <sup>25</sup> წელს ქრისტესით 1477. მაშინ შევიდა მეფე ბაგრატ ოდიშსა შინა და მოაოხრა, გარნა კვალად შეიმტყიცა დადიანი და ქმნეს მშვიდობა. და შემდგომად მოკვდა <sup>4</sup> მეფე ბაგრატ <sup>349</sup>) წელს ქრისტესით 1478 და დაფლეს გელათს.

შემდგომად მეფე იქმნა ძე მისი ალექსანდრე. ეამსა ამას მოვიდა კოსტანტინე მეფე ქართველთა და დაიპყრა იმერეთი შეწყობითა ვამეყ დადიანი- <sup>30</sup> სათა.

ეამსა ამას მოკვდა <sup>4</sup> დადიანი ვამეყ და იქმნა დადიანად ძმა <sup>350</sup>) შამანდავლესი ლიპარიტ. მოკვდა გურიელი კახაბერ <sup>5</sup> და დაჯდა გურიელად ძმა <sup>350</sup>) მისი <sup>9</sup>. <sup>351</sup>)

ხოლო განგდებულმან მეფემან ალექსანდრე კვალად დაიპყრა იმერეთი. <sup>35</sup> გარნა დადიანსა ლიპარიტს არა უნდოდა მეფობა მისი და აწვიდა კვალად კოსტანტინე მეფე. და მოვიდა სპითა ქართველთათა, და აქედამა—დადიანი. და დაიპყრეს იმერეთი. და ოდეს წარვიდა მეფე კოსტანტინე საქართველოდგე, მაშინ მეფემან ალექსანდრემ ზეჲ ჰყო დადიანისა თანა და დაიპყრა სრულიად იმერეთი შეწვევითა დადიანისა ლიპარიტისათა. <sup>40</sup>

ხოლო ამან [108] ალექსანდრემან იმედა მშვიდობით და მიიცვალა ესეცა და ცოლიცა ამისი თანარ დედოფალი ქორონიკონსა, ერთსა წელს, ქრისტესით 1510, და დაფლეს ორნივე გელათს.

<sup>1</sup> შთამოსირნი A. <sup>2</sup> განზრახი A. <sup>3</sup> და — A. <sup>4</sup> მოკვდა A. <sup>5</sup> აფხაზთა A. <sup>6</sup> და იქმნა — და იქმნა A. <sup>7</sup> აშას — A. <sup>8</sup> კახაბერი BC. <sup>9</sup> მის A.

მეფე იქმნა ძე ალექსანდრესი ბაგოატ.

ამის ქამშიდ მოვიდენ ოსმალნი წინამძღვრებითა მზეკაბუკ ათაბაგისათა და მოსწვეს ქუთათისი და გელათი თურქთა.

5 ამაჲს მეფემან ჰყო გელათი საეპისკოპოსოთ თანა-თნებითა სამღვდელო-თათა<sup>1</sup> და დასვა გენათლად საყვარელიძე მელქისედეკ წელს ქრისტესით 1519. ეამსა ამას წარვიდა მამია გურიელი ქართლს, რათა ჰყოს დავით ქართველთ მეფისა და კახთ ბატონისა ლეონისა შორის ზავი. გარნა ეწყო მეფე დავით გურიელსა და იძლია მეფე. და შემდგომად ზავ ჰყო მათ შორის გურიელმან და შემდგომად მოვიდა გურიას.

10 ხოლო ეამსა ამას შეიკრიბენ დადიანი მამია და გურიელი მამია და წარვიდენ ჯიქეთს სპითა მრავლითა, რათა ჯიქნი აწუხებდენ მიხლომითა გურიასა და ოდიშს. ზღვით ნაევებითა მისრულთა ჯიქეთს ეწყვნენ<sup>2</sup> ჯიქნი სიმაგრით-გამო, ჰყვეს ბრძოლა ძლიერი და აოტნეს სპანი დადიან-გურიელისანი და მოჰკლეს დადიანი მამია და შეიპყრეს გურიელი მამია და აღიღეს ალაფი და 15 იავარი მათი წელს ქრისტესით 1532. ხოლო შემდგომად დასვა<sup>3</sup> დადიანად ლეონ [199] და გურიელი მამია დაიხსნა ძემან მისმან როსტომ.

ხოლო მეფემან ბაგრატ დასვა რაჰას ერისთავად ჩხეიძე შოშიტა და მისცა რომელიძე სახასოდ დაბანი და ციხე მინდა, ვინათგან რაჰა იყო უწინარეს სამეფოდ.

20 ხოლო ბაგრატ მეფემან შემოიკრიბა დადიან-გურიელი და წარვიდა შურის საგებელად მზეკაბუკ<sup>4</sup> ათაბაგისა. ხოლო ათაბაგმან შემოიკრიბა სპანი და ეწყო მეფესა. და იქმნა ომი ფიცხელი. იძლია ათაბაგი და შეიპყრა ათაბაგი ისაჲ ართუმელადემ, მეღვინემან გურიელისამან, და მოართვა როსტომ გურიელსა და გურიელმა<sup>5</sup> მიართვა ბაგრატ მეფესა. ხოლო მეფემან უბოძა გურიელსა ჯილდოდ ამისა აჰარა და ქანეთი. და მეფემან პატიმარ ჰყო ათაბაგი და თვით დაიპყრა<sup>6</sup> სამცხე-საათაბაგო.

ხოლო ძე ათაბაგისა წარვიდა წინაშე ხონთქრისა და ითხოვა შეწევნა ხონთქრისაგან, და შეეწია დიდძალითა სპითა. შეიწია ბაგრატ მეფემან მეფე ქართლისა, ხოლო დადიან-გურიელნი არა მწე ექმნენ. და ეწყვენ ოსმალთა 30 სპანი საქართველო-იმერეთისანი<sup>7</sup>. გარნა სძლიეს<sup>8</sup> ოსმალთა, მოჰკლეს ძე გურიელისა ქაიხოსრო. და დაიპყრა კვალად სამცხე ათაბაგმან.

ხოლო მიზეზითა ამით მეფემან ბაგრატ მოუწოდა ქუთათისსა<sup>9</sup> შინა [200] ლეონს დადიანს და შეიპყრა მცბიერებითა და პატიმარ ჰყო. ხოლო მეფემან<sup>10</sup> მიუძენო გურიელსა, რათა: „წარვიდეთ ერთად და დავიპყრათ ოდიში და 35 განიფყოთ წილად<sup>11</sup> და ჩვენდა იყო ოდიში“. სწადოდა მეფესა, რათა მცბიერებით შეეპყრა გურიელიცა<sup>12</sup>. გარნა სცნა გურიელმან მეფისა მცბიერებისა სახე და არღარა მივიდა. და უნდოდა მეფესა აღმოხდა თვალთა პურობილის დადიანისა, გარნა გურიელისა და ოდიშთა<sup>13</sup> მოზიდვისათვის<sup>35</sup>) არღა აღასრულა და<sup>14</sup> დადგანი პატიმარ ჰყო გელათს სამრეკლოსა შინა. გარნა ვან-40 ზრახვითა ათაბაგისათა ჩხეიძემ ხოთილანდრემ გამოაპარა დადიანი ლეონ და მიგვარა ათაბაგსა ახალციხეს. ხოლო შემდგომად სთხოვა ვზაჲ გურიელსა და ნება სცა გურიელმან ვზისა და წარმოიყვანა ათაბაგმან დადიანი ლეონ, მოიყვანა ოდიშს. და დაიპყრა ლეონ<sup>15</sup> სამფლობელონი თვისნი.

<sup>1</sup> სამღვდლოთათა BC. <sup>2</sup> ევივნენ A. <sup>3</sup> მზეკაბუკი ABC. <sup>4</sup> ათაბაგისა AB. <sup>5</sup> გურიელმან A. <sup>6</sup> შეიპყრა A. <sup>7</sup> იმეთისანი A. <sup>8</sup> სძლიეს BC. <sup>9</sup> ქუთათსა ABC. <sup>10</sup> მეფემან—A. <sup>11</sup> წილათ B. <sup>12</sup> გურიელა B. <sup>13</sup> ოდიშისა A. <sup>14</sup> და—A. <sup>15</sup> ლეონ—A.

ეამსა ამას მიუღეს გურიელსა ოსმალთა აჰარა და ჰანეთი და აღაშენესთ ციხე ოსმალთა გონიას და ბათუმს.

ხოლო შემდგომად ამისა მიიცვალა ბაგრატ მეფე წელს ქრისტესით 1548 და დაფლეს გელათს.

შემდგომად ბაგრატისა მეფე იქმნა ძე მისი გიორგი. ამან დაიზავა და- 5  
დიან-გურიელი და მეფობდა მშვიდობით. ამან მოიყვანა მეუღლეთ ჩერქეზ-ბა-  
ტონის ასული რუსუდან.

ეამსა ამას მოკვდა გურიელი როსტომ და დასვა მეფემან [201] გიორგი ძე როსტომისა გიორგი გურიელად. ამა გიორგი გურიელსა ჰყვანდა მეუღლეთ ლეონ დადიანისა ასული და იგი განუტევა და შეირთო მეფის გიორგის და 10.  
მუსადია<sup>1</sup>. ეგრეთვე ლეონ დადიანის<sup>2</sup> ძემან გიორგიმ განუტევა ცოლი თვისი, და გიორგი გურიელისა და წარგვარა ბიძასა თვისსა ბათულიას მეუღლე სიკეკლუცისათვის<sup>3</sup> და მან შეიუღლა. და ამა ვითარის<sup>4</sup> საქმით იქმნა მტე-  
რობა შორის დადიანისა და გურიელისა. ეერლა დაუდგა დადიანი ორთავე მეფესა და გურიელსა, და წარვიდა კოსტანტინეპოლად<sup>5</sup> წინაშე სულტანისა, 15.  
ხოლო სულტანმან შეიწყნარა რა<sup>6</sup> პატივით და მისცა დიდძალი მხედრობა და წარმოვიდა და დაებარვა დადიანი სატყეველსა. მხილველი ამისა შეშინდა გურიელი და ევედრა დადიანსა, ხოლო დადიანმა<sup>7</sup> სთხოვა თვისისა ასულისა განსტევებისათვის განსატევებელი (ესე იგი სისხლის გარდახდა). და უღონო ქმნილმან გურიელმან მოსცა ათი ათასი დრაჰკანი<sup>8</sup>. და ზავ ჰყვეს. და წარ- 20  
მოვიდა დადიანი და დაიპყრა სამფლობელო თვისი<sup>9</sup> სრულიად.

ხოლო მეფემან ამან გიორგი მოკლა<sup>10</sup> ჯაგავს ქილადე მეგობრობისათვის დადიანისა და დაიპყრა მეფემან მამული ქილადისა. გარნა არა მისცეს მეფესა ქილადისა მამული დადიანმა და გურიელმა<sup>11</sup> და მოადგენ მეფესა და მამული ქილადისა ნახევარი დაიპყრა დადიანმა [202] და ნახევარი გურიელმან. 25

ხოლო შემდგომად ამისა მოკვდა დადიანი ლეონ წელს ქრისტესით 1572: რამეთუ ნადირობასა შინა ცხენმან უბრკვა და მოსტყდა კისერი და მოკვდა. და იქმნა დადიანად ძე მისი გიორგი.

ხოლო გიორგი მეფემან ძესა თვისსა ბაგრატს მოუყვანა<sup>12</sup> ცოლად და დადიანისა გიორგისა. ესე შეერთება დადიანისა და მეფისა შეუწინა გურიელ- 30  
სა და იშურა, და გარდაბირა ძმა დადიანსა მამია. და შერთო გურიელმან და თვისი მამიას და შემოიკრიბნა სპანი თვისნი, მოუხდა დადიანსა ზუგდიდს და იქმნა ბრძოლა, გარნა იძლია დადიანი გიორგი და წარვიდა აფხაზეთს<sup>13</sup>. და იქმნა დადიანათ ძმა მისი მამია.

ხოლო ეამსა ამას მოკვდა და და<sup>14</sup> დადიანისა გიორგისა და სძალი მეფისა 35  
გიორგისა. და განაახლეს კვალად მოყვრობა მეფემან და დადიანმა, და მისცა მეფემან ცოლის და თვისი გიორგი დადიანსა. და ესევითარითა საქმითა კვა-  
ლად იქმნა გიორგი დადიანად. და მამიასა<sup>15</sup>, ძმასა გიორგი დადიანისასა, მისცეს ქილადისა<sup>16</sup> ნაქონები მამულნი. და იქმნა მშვიდობა.

ხოლო ეამსა ამას მოიგონა ბათულიამ, ბიძამან გიორგი დადიანისამან, 30  
ოდეს წარგვარა<sup>17</sup> ცოლი, შურის გება მის წილ და უნდოდა, რათა მოეკლა

<sup>1</sup> მესაიდა ABC. <sup>2</sup> დადიანისა A. <sup>3</sup> სიკეკლუცისათ A. <sup>4</sup> ვითარისა A. <sup>5</sup> კოსტანტინე-  
პოლად BC. <sup>6</sup> რა—B. <sup>7</sup> ხოლო დადიანმა—A. <sup>8</sup> დრაჰანი ABC. <sup>9</sup> თვისი BC. <sup>10</sup> მოკვდა A.  
<sup>11</sup> გურიელმან B. <sup>12</sup> მოუყვანად B. <sup>13</sup> აფხაზეთს AB. <sup>14</sup> დაი BC. <sup>15</sup> მამისა A. <sup>16</sup> ქილადის B.  
<sup>17</sup> წაგვარა B.

- დადიანი გიორგი. და ამა ბათულისა ეპყრა საჯავახო, მიცემული წილად დადიანისაგან. ხოლო მახლობელობისათვის შეიზრახენ [208] გურიელთან მეფე გიორგი და დადიანი გიორგი, რათა მოჰკლას ბათულია, და საჯავახო მისცენ<sup>1</sup> გურიელსა. ამავითართა ბირებითა დაიჭირა გურიელმა ბათულია და არა
- 5 მოჰკლა და ტყვე ჰყო ლეხოურს და საჯავახო დაიპყრა გურიელმან. და შემდგომად ბათულია მოკვდა<sup>2</sup> ლეხოურს.<sup>354</sup>
- შემდგომად ჟამისა ამის მოკვდა დადიანი გიორგი და მამიამ, ძმამან მისმან, მოიპარა მცირე ყრმა, ძე გიორგი დადიანისა ლეონ, და შეამწყვდია ციხესა შინა შხეფს. ხოლო ყრმა უთპინოებითა<sup>3</sup> გარდმოეარდა კედლით და
- 10 მოკვდა.<sup>355</sup>
- ესე საქმე დადიანმა მამიამ მიხეზ-ყო გურიელსა ზედა.<sup>356</sup> აღილაშქრა და წარვიდა სპითა გურიელსა ზედა. ხოლო მისრულსა გურიას დადიანსა ეწყო გურიელი და იქნა ბრძოლა ძლიერი. იძლია გურიელი და წარვიდა კოსტანტინეპოლს<sup>4</sup>. და გურიელ ჰყო დადიანმა ტომი გურიელისა ვახტანგ.
- 15 ხოლო ჟამსა ამას მიიცვალა მეფე გიორგი წელს ქრისტესით 1583.<sup>357</sup> გამეფდა ძე გიორგისა ლეონ წლისა თორმეტისა. ამან შეირთო<sup>5</sup> და დადიანისა მამიასი მარეხ. ჟამსა ამას მოვიდა გურიელი და დაიპყრა სამფლობელო თვისი, რომელი გარდაავდო გიორგი დადიანმა სტამბოლს. ხოლო რომლისამე მიზეზითა<sup>6</sup> დიდნი მტერნი იქმნენ ესე მოყვარენი მეფე ლეონ და
- 20 დადიანი [204] მამია. ამისთვის შეიკრიბა სპანი მამია დადიანმა და მოვიდა ქუთათის<sup>8</sup>. ამას ეკვეთა მეფე ლეონ სპითა იმერეთისათა და იქნა ბრძოლა სასტიკი, იძლია მეფე ლეონ და შეიპყრეს თვით მეფე წელს ქრისტესით 1590 და წარიყვანეს ოდიშს და პატიმარ-ყო ციხესა შინა შხეფს და მოკვდა მუნ პყრობილებასა შინა მეფე ლეონ.
- 25 შეიზრახენ იმერელნი და ჰქმნეს მეფედ ბიძის ძე ლეონისა, ძე კოსტანტინესი [როსტომ].
- ჟამსა ამას გარდაიცვალა დადიანი მამია და იქნა დადიანად ძე მისი მანუჩარ. ესე მანუჩარ დაესიძა ალექსანდრე კახ-ბატონს<sup>7</sup> და მოიყვანა ასული მისი მეუღლედ ნესტან-დარეჯან და იქორწინა.
- 30 ხოლო მეფესა როსტომს წაართვა მეფობა ბავრატ თეიმურაზის ძემან<sup>889</sup> შეწვევითა გიორგი გურიელისათა.
- ამავე ქორნიონსა<sup>90</sup> მოვიდა მეფე ქართველთა სიმონ და მიუღო იმერთმეფობა ბავრატს. და პყრობილი წამოიყვანა ქართლად. ხოლო როსტომ წარვიდა მანუჩარ დადიანისა თანა. შეეწია დადიანი მანუჩარ, შეიკრიბა<sup>6</sup> სპანი
- 35 თვისნი, მოვიდა, აღიღო ციხე ქუთათისისა<sup>9</sup> და ჰყო მეფედ კვალად როსტომ. მსმენელი ამისი მეფე საქართველოჲსა სიმონ წარმოვიდა მრავლითა სპითა და დიდროანების ზარბაზნებითა და არტილერიის განწყობილებითა, მოვიდა იმერეთს და განაძო როსტომ მეფე [205] და გაიქცა კვალად მანუჩარ დადიანისა თანა. და სიმონ მეფემან დაიპყრა სრულიად იმერეთი და აღიღო
- 40 ციხეები<sup>10</sup> რაჭა-იმერეთისანი. ხოლო გამარჯვებული წარმოვიდა ოდიშის დასამხობელად. მცნობმან მანუჩარ დადიანმან<sup>11</sup> შეიკრიბა<sup>12</sup> სპანი მენგრელთანი, მიმდობმან ღმერთასამან არა რიდა სიმრავლესა სიმონისასა, დაესხა ოფიშ-

<sup>1</sup> მისცეს ABC. <sup>2</sup> მოკვდა AC. <sup>3</sup> უფმინოებითა A. <sup>4</sup> კოსტანტინოპოლს ABC. <sup>5</sup> შეირთო A.

<sup>6</sup> ქუთათის AC. <sup>7</sup> ბატონსა A. <sup>8</sup> შეიკრიბნა A. <sup>9</sup> ქუთათისა ABC. <sup>10</sup> ციხეები + და ABC.

<sup>11</sup> დადიანმა BE. <sup>12</sup> შეიკრიბნა A.

კვიტს და აოტა და მოსრნა და აღილო ყოველნი სიმდიდრენი სიმონ მეფისა-  
ნი და ზარბაზანნი დიდროანნი და ყოველი განწყოფილება არტილერიისა და  
წარმოგზავნა ოდიშს და როსტომ კვალად მეფედ ჰყო იმერეთს და აღილო  
ყოველნი ციხენი რაჭა-იმერეთისანი და მისცა როსტომს.<sup>361</sup>

ამას ქორონიკონსა<sup>362</sup> უშვა ძეგ ლეონ მანუჩარ დადიანსა ნესტან<sup>1</sup>-და-  
რეჯან, და შობასა მოკვდა<sup>2</sup> ნესტან-დარეჯან. ხოლო ლეონ ყრმა<sup>363</sup> წარიყვანა<sup>3</sup>  
ბიძამან მისმან<sup>364</sup> კახ-ბატონმან და აღზარდა ვიდრე სრულ ჰასაკამდე. ხოლო  
შემდგომად გლოვისა მოიყვანა მეუღლედ მანუჩარ დადიანმა<sup>4</sup> ქერივი<sup>5</sup> ვახტანგ  
გურიელისა და ასული ათაბაგისა.

ეამსა ამას<sup>366</sup> მოკვდა გურიელი გიორგი და იქმნა გურიელად ძე მისი  
მაშია.

და იყენენ დიდსა მშვიდობასა შინა მეფე იმერეთისა როსტომ, დადიანი  
მანუჩარ და გურიელი მაშია.

ხოლო ეამსა ამას<sup>368</sup> მოაყვანინა მანუჩარ დადიანმა კახეთით ძე თვისი  
[206] ლეონ, რომელი იყო მაშინ წლისა ათასამეტისა<sup>6</sup>.

ხოლო ეამსა ამას მოკვდა მეფე როსტომ წელსა ქრისტესით 1605.

ვინათგან არღაინ იყო შემკვიდრე და ტომი მეფეთა, ამისთვის მოიყვანეს  
ძმა როსტომისა, ნაშობი მხეველისაგან (ესე იგი ბუში) გიორგი და დასვეს  
მეფედ.

ხოლო ეამსა ამას<sup>367</sup> გურიელი მაშია შევიდა აჭარას, მოსწყვიდნა, აღი-  
ლო სიმაგრენი და დაიპყრა მისთვის აჭარა.

ხოლო ეამსა ამას ხრომან და გუნდმან განმრავლებულმან ირმისამან  
სანადიროს<sup>7</sup> წყოფი მანუჩარ დადიანი წარიტაცეს და მოკლეს<sup>8</sup> იგი წელს  
ქრისტესით 1611. და დასვეს დადიანად ძე მისი ლეონ, ნაშობი კახთ<sup>9</sup> ბატო-  
ნის<sup>10</sup> ასულისა.

ამა ეამსა მეფემან გიორგი მიულო მამულნი თვისნი პაატა წულუკიძისა,  
რომელსა უწოდდენ წუწკსა. წარვიდა ესე პაატა წუწკი და მივიდა ლეონ და-  
დიანისა თანა.<sup>10</sup> და მან პატივით შეიწყნარა (ესე პაატა იყო კუტი ფეხებითა).  
ესე პაატა მარადის აწვევდა და განუზრახვედა ლეონ დადიანსა მტერობასა  
იმერთ მეფისასა.

ეამთა ამთ<sup>369</sup> მეფემან გიორგი მოუყვანა შეილსა თვისსა ალექსანდრეს  
მეუღლედ ასული გურიელისა. ხოლო ამა ალექსანდრეს უშვა გურიელის ასულ-  
მან ძე ბაგრატი, გარნა ორისა წლისა შემდგომად შესწამა ცოლსა თვისსა, [207]  
გურიელის ასულსა<sup>11</sup> სიძვაჲ ერთსა ქუთაისელ ვაჭართა თანა და ამისთვის გა-  
ნუტევა ცოლი თვისი და წარგზავნა თვისის ძითურთ მაშისა თვისისა გურიე-  
ლისა თანა.

ხოლო ეამსა ამას წარვიდა გიორგი მეფე სპითა თვისითა დამორჩილებად  
დადიანისა<sup>12</sup>. გარნა ოდეს ცნა<sup>13</sup> დადიანმა, ამხედრდა სპითა თვისითა და  
მიეგება თვით, და შეიბნენ გოჭიაურზედ.<sup>369</sup> და იქმნა ომი სასტიკი და სძლო  
დადიანმა და შეიპყრეს მრავალნი დიდებულნი იმერეთისანი<sup>14</sup> და გამდიდრე-  
ბულნი<sup>15</sup> ალაფითა წარმოვიდა ოდიშადეც წელს ქრისტესით 1623.

<sup>1</sup> ნესტარ BC. <sup>2</sup> მოკვდა A, მოკვდა BC. <sup>3</sup> წარიყვანა—A. <sup>4</sup> დადიანმან A. <sup>5</sup> ქერივი  
BC. <sup>6</sup> 13 A. <sup>7</sup> სანადიროსა B. <sup>8</sup> მოკლეს BC. <sup>9</sup> კახ. A. <sup>10</sup> ბატონისა AC. <sup>11</sup> ასულს AC.  
<sup>12</sup> დადიანისა + დადიანისა A. <sup>13</sup> სენა A. <sup>14</sup> იმერეთისანი—A. <sup>15</sup> და გამდიდრებულნი—A.

ხოლო ეამსა ამას <sup>270</sup>) მოკლა <sup>1</sup> მამაჲ თვისი გურიელი მამია ღებან მისმან სეიმონ. ხოლო ამა სიმონს ჰყვანდა დაჲ ლეონ დადიანისა, ნაშობი ათაბაგის ასულისა; და რა სცნა ლეონ დადიანმა სეიმონ <sup>2</sup> გურიელისა ესევეთარი უსჯულ-  
5 ბარგა ლანჩხუთს და წარგზავნა დესპანი სიმონისად: „ვინათგან ჰქმენ ესევე-  
თარი ბოროტება, მე, არლარა მწანელი სიძობისა შენისა, მოჰეც დაჲ <sup>3</sup> ჩემი მარიაჲ. <sup>271</sup>) მსმენელი სეიმონ, გურიელი არლა დაემორჩილა. და ვინათგან <sup>4</sup> იყო მამაციობასა შინა მხნე სეიმონ, ამისთვისა შეიკრიბა სპანი და ებრძოდა დადი-  
10 ანსა ძლიერად. გარნა [208] იძლიჲ სიმონ გურიელი და შეიპყრეს სიმონ ბრძო-  
ლასა შინა, და მამის მკვლელობისათვის აღმოხადნა ორნივე თვალნი, დასვა გურიელათ <sup>5</sup> ქაიხოსრო და წარმოიყვანა დაჲ თვისი მარიამ და მოვიდა გამარ-  
ჯეებული სამფლობელოსა შინა თვისსა ოდიშს.

ხოლო ამან დადიანმა <sup>7</sup> ლეონ იწყო მტერობა იმერეთისა და ხთომა, რო-  
მელ ვერლა წინააღმდეგენ იმერელნი ვერცა იღუშალ და ვერცა ცხადად და  
15 ესრეთ მრე ექმნა: ქინდა დაიპყრა იმერეთი სრულიად.

ხოლო ეამსა ამას მეფემან საქართველომასმან როსტომ სთხოვა დაჲ თე-  
სი მარიამ, ქვრივი სიმონ გურიელისა მეუღლეთ. და მისცა, გარნა აქუნდა  
შიში გზასა ზედა გიორგი მეფისა. ამისთვისა შეითქუნენ: და მოვიდა მეფე  
როსტომ ფერსათს და <sup>8</sup> დადიანმა შეიკრიბა სპანი თვისნი, წარმოიყვანა დაჲ  
20 თვისი მარიამ, გაშოგლო სამიქელაო <sup>9</sup> და განვიდა რიონს, შევლო და მივიდა  
კაქას ხიდსა ზედა. მუნ დახვდა როსტომ მეფე ქართლისა, მისცა დაჲ თვისი  
დიდებითა. და წარვიდა როსტომ. გარნა გიორგი მეფემან იმეოეთისამან ჰგო-  
ნა ეამი მარჯვე, შემოიკრიბა <sup>10</sup> სპანი, რათა ეწყოს დადიანსა; წარვიდა მცი-  
რითა კაცითა განმსტრობად სპათა დადიანისათა და მერმეთ მოქცეულმან  
25 აღასრულოს წადილი თვისი. აგრძნა ესე დადიანმა <sup>11</sup>. წარმოავლინა სპანი  
ფარულად, მოერტყნენ გარა [209] გიორგი მეფესა, შეიპყრეს და მიგვარეს  
დადიანსა. იგი მსწრაფლ აღწხედრდა და წარვიდა. ოდიშს და პატიმარ ჰყო  
მეფე. და შემდგომად ძემან მისმან აღექსანდრე დაიხსნა მამა თვისი გიორგი  
მეფე: წარუგზავნა დადიანსა ვაჰარნი ჩიხორისა და ჩხარისანი სრულიად და  
30 დაიხსნა მამა თვისი. მოიყვანეს ქუთაისს <sup>12</sup>. და მცირე <sup>13</sup> ხანისა შემდგომად  
გარდაიცვალა წელს ქრისტესით 1639. და დაუტევა ძენი სამანი: აღექსანდრე,  
მაშუკა და ბერი.

შემდგომად მამისა თვისისა იქმნა ჩვეუდ აღექსანდრე. ხოლო ამა აღექ-  
სანდრესა უმეტეს მრე ექმნა ლეონ დადიანი. და უღონო კმნილმან მეფემან  
35 აღექსანდრე შემოავლო ზღუდე დიდი ქუთათისის <sup>14</sup> სასახლესა და მოიყვანა  
ყოველთა წარჩინებულთა ცოლ-შვილნი და დაადგინა მას შინა და თვითცა  
იმყოფებოდა მუნ; რათა არა მიერთდენ დადიანსა, ჰყო ესე მისთვის.

ხოლო დადიანმა <sup>15</sup> ლეონმა <sup>16</sup>, სიძლიდრითა აღმატებულმან, აღაშენა  
თვისდად განბრწყინებულნი სასახლენი 12 ოდიშა შინა და აუხაზეთსა ყოვე-  
40 ლითა თვისითა განწყობილებითა, რამეთუ არა <sup>17</sup> წარიდის ერთილამ მეორესა  
შინა არარაჲმე სახმარებელნი და არცა ცხენნი და არცა სხვანი <sup>18</sup> საჭირონი  
სახმარნი ნივთნი, არც ცხოველთა და <sup>19</sup> არცა უცხოველოთანი და გარემოს წყა-

<sup>1</sup> მოკლა A. <sup>2</sup> სეიმონ A. <sup>3</sup> მოყულა BC. <sup>4</sup> დაი B. <sup>5</sup> ვიდგან A. <sup>6</sup> გურიელად A <sup>7</sup> და-  
დანიან A. <sup>8</sup> და - A. <sup>9</sup> სამიქელაო BC. <sup>10</sup> შემოიკრიბა A. <sup>11</sup> დადიანმან A. <sup>12</sup> ქუთაის ABC.  
<sup>13</sup> მრე A. <sup>14</sup> ქუთათის ABC. <sup>15</sup> დადიანმან A. <sup>16</sup> ლეონმან A. <sup>17</sup> არარაჲ A. <sup>18</sup> სხვანნი BC.  
<sup>19</sup> და - A.

როთა უახლოესთა<sup>1</sup> დადგა ღიალნი ოქროსანი და უშორესთა ვეცხლისანი, [210] დაბმული ძეწეკებითა. და მოგზაურნი მიიღებდენ წყალსა მით, ვინათგან ვერვინ იკადრებდა ქურდობასა ანუ პარვა-ავაზაკობასა ქვეყანასა შინა მისსა.

ხოლო ამათ ეამთა მოიწიფა ძმა მეფისა ალექსანდრესი მამუკა, და ამან დაუწყო რამოდენიმე ბრძოლა და წინააღმდეგობა<sup>2</sup> დადიანსა ლეონს, ვინათ-<sup>5</sup> გან შეიქმნა მამუკა ფრიად საქებელი, კისკასი და მარჯვედ მქცევი მხედრობასა შინა, და მრავალჯელცა დაამარცხა მრავალნი გუნდნი მენგრელთანი. ეამსა ერთსა მოვიდა დადიანი მოსარბევად იმერეთისა. ხოლო მეფე უღონო ქმნილი ვერღა განვიდა ქუთათისსა<sup>3</sup> გარე. მაშინ განვიდა მამუკა ბრძოლად დადიანისა. შეხვდა რამოდენსამე მენგრელთა და სცა ერთსა მენგრელთაგანსა<sup>10</sup> შუბი და დასცა ცხენითურთ. მაშინ უბრკმა ცხენსა მამუკასასა და დეცა. მხილველნი მამუკას დაცემისანი ლტოლვილნი მენგრელნი მოიქცენ და შეიპყრეს მამუკა და მიგვარეს დადიანსა. მხიარულ იქმნა დადიანი წინააღმდეგისა შეპყრობისათვის და წარიყვანა მამუკა ოდიშს.

ხოლო ეამსა ამას<sup>372</sup> მოვიდა კახთ ბატონი თეიმურაზ მეფისა ალექსან-<sup>15</sup> დრესა თანა და ალექსანდრემ წარმოგზაენა ლეონ დადიანისა თანა, რათა პატივსცეს და განუტეოს მამუკა, ვინათგან იყო თეიმურაზ კახ-ბატონი ბიძა-შვილი ლეონ დადიანისა. თუმცალა სწადოდა განტევება მამუკასი პატივისათვის [211] ზიდის ძისა თვისისა თეიმურაზისა, გარნა ზემოხსენებულმან წუწყმან პაატა წულუკიძემან რომღოთამდე ცბიერებითა არა აუფლა დადიანი ქმნად ამი-<sup>20</sup> სა. და წარმოვიდა თეიმურაზ ბატონი კახთა ცალიერო.

და შემდგომად დასწევს ორნივე თვალნი<sup>4</sup> მამუკას, ყმასა უებროსა, რომელ ესე ჰქმნა ლეონ დადიანმა საწყინელი ყოველთაგან და უჯერო და არა შესაშვენ გონიერთა, გარნა იქმნა მის წუწყისაგან ესეთი ყოველთა საწყინელი<sup>25</sup> საქმე. და შემდგომად ეამ-რამოდენისამე გარდაიცივალა მამუკა ოდიშს წელს ქრისტესით 1654.

უღონო ქმნილმან ყოველითურთ და შეიწრებულმან ალექსანდრე მეფემან წარაეღინა დესპანი რუსეთის ჯელმწიფის ალექსისა თანა, რათა ნწე ეყოს და იხსნას დადიანისა კირთებისაგან; ხოლო რუსეთით მოუვიდა დესპანი და ნიჭ-<sup>30</sup> ნი დიდნი, გარნა შეწვენა არარაჲ.

ხოლო ეამსა ამას ლეონ დადიანსა, კაცსა ყოვლად სახსოვარსა, მისცა სოფელმან ნიჭი თვისი და მიიცივალა წელს ქრისტესით 1657. და ვინათგან არა დაშთა ლეონს შვილი,<sup>373</sup> ამისთვის ოდიშართ დასვეს დადიანად ლიპარიტ, ძმა მისივე ლეონისა, ნაშობი ათაბაგის ასულისა.

ამის მსმენელი მეფე ალექსანდრე შემოიკრიბა სპანი, წარვიდა ოდიშს,<sup>35</sup> მოსწყვიდნა, მოსტყვენა და<sup>5</sup> მოაოხრა, აღიღო ციხენი, გამოიღო საგანძურნი და ქონებანი ლეონ დადიანისანი, შეიპყრა წარჩინებულნი სრულიად ოდიშისანი და დაახსნევიანა ყოველთა თავი ვეცხლითა, გამოართვნა<sup>6</sup> მათვე ძენი მძევლად და დასვა დადიანად ეამეყ, ძე მამია [212] დადიანისა და მოვიდა<sup>40</sup> გამარჯვებული იმერეთს.

აქა იხილეთ, თუ ერთი კეთილი გვამი ვითარ მოაკლდების ქვეყანასა.<sup>7 374</sup>

ხოლო ლიპარიტ წარვიდა ახალციხეს და ევედრა როსტომ ფაშას და როსტომ — საქართველოს მეფესა. მათ მოსცეს სპანი, მოეწყო გურიელი<sup>1</sup> ქაიხოს-

<sup>1</sup> უახლოესთა+ და A. <sup>2</sup> წინააღმდეგობა A. <sup>3</sup> ქუთათის ABC. <sup>4</sup> თვალი AC. <sup>5</sup> და—A. <sup>6</sup> გამოართვნა BC. <sup>7</sup> ქვეყანასა—A. <sup>8</sup> გურიელიცა B.



ხოლო ჟამსა ამას<sup>370</sup> მოკლა<sup>1</sup> მამამ თვისი გურიელი მამია ძემან მისმან სვიმონ. ხოლო ამა სვიმონს ჰყვანდა დაა ლეონ დადიანისა, ნაშობი ათაბაგის ასულისა; და რა სცნა ლეონ დადიანმა სვიმონ<sup>2</sup> გურიელისა ესევეთარი უსჯულ-  
 5 ბარგა ლანჩხუთს და წარგზავნა დესპანი სვიმონისად: „ვინათგან ჰქმენ ესევე-  
 თარი ბოროტება, მე, არლარა მწადნელი სიძობისა შენისა, მოვეც და<sup>4</sup> ჩემი მარიამ.<sup>371</sup>“ მსმენელი სვიმონ, გურიელი არლა დაემორჩილა. და ვინათგან<sup>5</sup> იყო მამაცობასა შინა მხნე სვიმონ, ამისთვისა შეიკრიბა სპანი და ებრძოდა დადი-  
 10 ანსა ძლიერად. გარნა [208] იძლიჱ სვიმონ გურიელი და შეიპყრეს სვიმონ ბრძო-  
 ლასა შინა, და მამის მკვლელობისათვის აღმოხადნა ორნივე თვალნი, დასევა გურიელათ<sup>6</sup> ქაიხოსრო და წარმოიყვანა დაა თვისი მარიამ და მოვიდა გამარ-  
 ჯვებული სამფლობელოსა შინა თვისსა ოდიშს.

ხოლო ამან დადიანმა<sup>7</sup> ლეონ იწყო მტერობა იმერეთისა და ხთომა, რო-  
 მელ ვერლა წინააღუდგენ იმერელნი ვერცა იღუმალ და ვერცა ცხადალ და  
 15 ესრეთ მრე ექმნა: კნინლა დაიპყრა იერეთი სრულიად.

ხოლო ჟამსა ამას მეფემან საქართველოჲსამან როსტომ სთხოვა დაა თვი-  
 სი მარიამ, ქვრივი სვიმონ გურიელისა მეუღლეთ. და მისცა, გარნა აქუნდა  
 20 შიში გზასა ზედა გიორგი მეფისა. ამისთვისა შეითქუნენ: და მოვიდა მეფე-  
 როსტომ ფერსათს და<sup>8</sup> დადიანმა შეიკრიბა სპანი თვისნი, წარმოიყვანა დაა  
 25 თვისი მარიამ, გამოვლო სამიქელაო<sup>9</sup> და განვიდა რიონს, შეველო და მივიდა  
 კაკას ხიდსა ზედა. მუნ დახვდა როსტომ მეფე ქართლისა, მისცა დაა თვისი-  
 დიდებთა. და წარვიდა როსტომ. გარნა გიორგი მეფემან იმერეთისამან ჰკო-  
 ნა ჟამი მარჯვე, შემოიკრიბა<sup>10</sup> სპანი, რათა ეწყოს დადიანსა; წარვიდა მცი-  
 რითა კაცითა განმსტრობად სპათა დადიანისათა და მერმეთ მოქცეულმან  
 30 აღასრულოს წადილი თვისი. აგრძნა ესე დადიანმა<sup>11</sup>, წარმოავლინა სპანი  
 ფარულად, მოერტყნენ გარს [209] გიორგი მეფესა, შეიპყრეს და მიგვარეს  
 დადიანსა. იგი მსწრაფლ აღმხედრდა და წარვიდა. ოდიშს და პატიმარ ჰყო  
 მეფე. და შემდგომად ძემან მისმან აღექსანდრე დაიხსნა მამა თვისი გიორგი  
 მეფე: წარუგზავნა დადიანსა ვაჟარნი ჩიხორისა და ჩხარისანი სრულიად და  
 35 დაიხსნა მამა თვისი. მოიყვანეს ქუთაისს<sup>12</sup>. და მცირე<sup>13</sup> ხანისა შემდგომად  
 გარდაიცვალა წელს ქრისტესით 1639. და დაუტევა ძენი სამანი: აღექსანდრე,  
 მამუკა და ბერი.

შემდგომად მამისა თვისისა იქმნა მეფედ აღექსანდრე. ხოლო ამა აღექ-  
 სანდრესა უმეტეს მრე ექმნა ლეონ დადიანი. და ულონო ქმნილმან მეფემან  
 35 აღექსანდრე შემოავლო ზღუდე დიდი ქუთათისის<sup>14</sup> სასახლესა და მოიყვანა  
 ყოველთა წარჩინებულთა ცოლ-შვილნი და დაადგინა მას შინა და თვითცა  
 იმყოფებოდა მუნ; რათა არა მიერთდენ დადიანსა, ჰყო ესე მისთვის.

ხოლო დადიანმა<sup>15</sup> ლეონმა<sup>16</sup>, სიმდიდრითა აღმატებულმან, აღამენა  
 თვისდად განბრწყინებულნი სასახლენი 12 ოდიშსა შინა და აფხაზეთსა ყოვე-  
 40 ლითა თვისითა განწყობილებითა, რამეთუ აოა<sup>17</sup> წარილის ერთილამ მეორესა-  
 შინა არარაჲმე სახმარებელნი და არცა ცხენნი და არცა სხვანი<sup>18</sup> საჭიროანი  
 სახმარნი ნივთნი, არც ცხოველთა და<sup>19</sup> არცა უცხოველოთანი და გარემოს წყა-

<sup>1</sup> მოკლა A. <sup>2</sup> სვიმონ A. <sup>3</sup> მოკელა BC. <sup>4</sup> დაი B. <sup>5</sup> ვიდგან A. <sup>6</sup> გურიელად A. <sup>7</sup> და-  
 დიანმან A. <sup>8</sup> და - A. <sup>9</sup> სამიქელაო BC. <sup>10</sup> შემოიკრიბა A. <sup>11</sup> დადიანმან A. <sup>12</sup> ქუთაის ABC.  
<sup>13</sup> მრე A. <sup>14</sup> ქუთათის ABC. <sup>15</sup> დადიანმან A. <sup>16</sup> ლეონმან A. <sup>17</sup> არარაჲ A. <sup>18</sup> სხვანნი BC.  
<sup>19</sup> და - A.

როთა უახლოესთა<sup>1</sup> დადგა დილნი ოქროსანი და უშორესთა ვეცხლისანი, [210] დაბმული ძეწვევებითა. და მოგზაური მიიღებდენ წყალსა მით, ვინათგან ვერეინ იკადრებდა ქურდობასა ანუ პარვა-ავაზაკობასა ქვეყანასა შინა მისსა.

ხოლო ამათ ჟამთა მოიწიფა ძმა მეფისა ალექსანდრესი მამუკა. და ამან დაუწყო რამოდენიმე ბრძოლა და წინააღმდეგობა<sup>2</sup> დადიანსა ლეონს, ვინათ-<sup>5</sup> გან შეიქმნა მამუკა ფრიად საქებელი, კისკასი და მარჯვედ მქცევი მხედრობასა შინა, და მრავალჯელსა დაამარცხა მრავალნი გუნდნი მენგრელთანი. ჟამსა ერთსა მოვიდა დადიანი მოსარბევად იმერეთისა. ხოლო მეფე უღონო ქნილი ვერღა განვიდა ქუთათისსა<sup>3</sup> გარე. მაშინ განვიდა მამუკა ბრძოლად დადიანისა. შეხედა რამოდენსამე მენგრელთა და სცა ერთსა მენგრელთაგანსა<sup>10</sup> შუბი და დასცა ცხენითურთ. მაშინ უბრკმა ცხენსა მამუკასასა და დაეცა. მიიღველნი მამუკას დაცემისანი ლტოლვილნი მენგრელნი მოიქცენ და შეიპყრეს მამუკა და მიგვარეს დადიანსა. მხიარულ იქმნა დადიანი წინააღმდეგისა შეპყრობისათვის და წარიყვანა მამუკა ოდიშს.

ხოლო ჟამსა ამას<sup>372</sup> მოვიდა კახთ ბატონი თეიმურაზ მეფისა ალექსან-<sup>15</sup> დრესა თანა და ალექსანდრემ წარმოგზავნა ლეონ დადიანისა თანა, რათა პატივსცეს და განუტეოს მამუკა, ვინათგან იყო თეიმურაზ კახ-ბატონი ბიძა-შვილი ლეონ დადიანისა. თუმცალა სწადოდა-განტეევა მამუკასი პატივისათვის [211] ბიძის ძისა თვისისა თეიმურაზისა, გარნა ზემოხსენებულმან წუწქმან პაატა წულუკიძემან რომლთამე ცბიერებითა არა აუფლა დადიანი ქმნად ამი-<sup>20</sup> სა და წარმოვიდა თეიმურაზ ბატონი კახთა ცალიერი.

და შემდგომად დასწევს ორნივე თვალნი<sup>4</sup> მამუკას, ყმასა უებროსა, რომელ ესე ჰქმნა ლეონ დადიანმა საწყინელი ყოველთაგან და უჯერო და არა შესაშვენ გონიერთა, გარნა იქმნა მის წუწქისაგან ესეთი ყოველთა საწყინელი საქმე. და შემდგომად ჟამ-რამოდენისამე გარდაიცვალა მამუკა ოდიშს წელს<sup>25</sup> ქრისტესით 1654.

უღონო ქმნილმან ყოვლითურთ და შეიწრებულმან ალექსანდრე მეფემან წარავლინა დესპანი რუსეთის ჯელმწიფის ალექსისა თანა, რათა იწე ეყოს და იხსნას დადიანისა კირთებისაგან; ხოლო რუსეთით მოუვიდა დესპანი და ნიქ-<sup>30</sup> ნი დიდნი, გარნა შეწვენა არარაჲ.

ხოლო ჟამსა ამას ლეონ დადიანსა, კაცსა ყოვლად სახსოვარსა, მისცა სოფელმან ნიქი თვისი და მიიცვალა წელს ქრისტესით 1657. და ვინათგან არა დაშთა ლეონს შვილი,<sup>373</sup> ამისთვის ოდიშართ დასვეს დადიანად ლიპარიტ, ძმა მისივე ლეონისა, ნაშობი ათაბაგის ასულისა.

ამის მსმენელი მეფე ალექსანდრე შემოიკრიბა სპანი, წარვიდა ოდიშს,<sup>35</sup> მოსწყვიდნა, მოსტყვენა და<sup>5</sup> მოაოხრა, აღიღო ციხენი, გამოიღო საგანძურნი და ქონებანი ლეონ დადიანისანი, შეიპყრა წარჩინებულნი სრულიად ოდიშისანი და დაახსნეინა ყოველთა თავი ვეცხლითა, გამოართვნა<sup>6</sup> მათვე ძენი მძევლად და დასვა დადიანად ვაჟეყ, ძე მამია [212] დადიანისა და მოვიდა<sup>40</sup> გამარჯვებული იმერეთს.

აქა იხილეთ, თუ ერთი კეთილი გვამი ვითარ მოაკლდების ქვეყანასა.<sup>7 374</sup>

ხოლო ლიპარიტ წარვიდა ახალციხეს და ევედრა როსტომ ფაშას და როსტომ-საქართველოს მეფესა. მათ მოსცეს სპანი, მოეწყო გურიელი<sup>1</sup> ჭაიხოს-

<sup>1</sup> უახლოესთა+ და A. <sup>2</sup> წინააღმდეგობა A. <sup>3</sup> ქუთათის ABC. <sup>4</sup> თვალი AC. <sup>5</sup> და—A. <sup>6</sup> გამოართვნა BC. <sup>7</sup> ქვეყანასა—A. <sup>8</sup> გურიელიცა B.

როცა<sup>1</sup> და ჭილაძე, მიქელაძე, და გამოვიდენ რიონს. ამის<sup>2</sup> მცნობი მეფე ალექსანდრე სპითა თვისითა განვიდა ცხენის წყალს. და იქნა ბრძოლა ძლიერი და სასტიკი ბანძას. და მოისრინენ ორგნითვე მრავალნი, და გაემარჯვა მეფეს. და ლიპარიტ დადიანი და გურიელი ქაიხოსრო ლტოლვილნი წარვიდენ სტამბოლს. ხოლო ლიპარიტ მოკვდა<sup>3</sup> სტამბოლს. და ქაიხოსრო გურიელი მოვიდა და ბრძანებითა ხვანთქრისათა კვალად დაიპყრა გურია. გარნა შეუჩინა მეფემან მაქუტაძე. და მოკლა<sup>4</sup> მაქუტაძემ გურიელი ქაიხოსრო დალატით. და გურიელად იქნა კვალად დიმიტრი.<sup>375)</sup>

ეამსა ამას გარდაიცვალა მეფე ალექსანდრე წელს ქრისტესით 1660.

10 ხოლო იქნა მეფედ ძე მისი ბაგრატ, ნაშობი გურიელის ქალისა, რომელი პირველ განძო მამამან მისმან ალექსანდრე. ხოლო ამა ბაგრატს მისცა ცოლად დედის-ნაცვალმან თვისმან დარეჯან ძმისწული თვისი და ისიძა გერი თვისი. ხოლო ექვსისა თვისა შემდგომად დარეჯან დედოფალმან შეიპყრა ბაგრატ, გერი თვისი და აღმოხანდა თვალეზი, მოიყვანა ვინმე მეფეთა მონათე-  
15 საე, რომელსა ქუტუნიას-შვილობით უხმობდენ, შეირთო ქრამდ იგი და დაიპყრა [213] თვით იმერეთი და ვახტანგს უწოდა მეფედ. ამისთვის<sup>5</sup> კერძონი ბაგრატისანი იმერნი ევედრენ ასლან ფაძასა. ჩამოვიდა ასლან ფაშა სპითა, მიეგებნენ დადიან-გურიელი, შეიპყრეს ვახტანგ და დარეჯან დედოფალი, ხოლო იმერეთს დასვა მეფედ ბაგრატ უთვალო. და ისინი წარიყვანა ფაშამ  
20 ტყვედ და პატიმარ ჭყო ოლთისა<sup>6</sup>.

ეამსა ამას დადიანმა ვამეყ დაიპყრა იმერეთი, ბუჯის წყლის დასავლეთის კერძონი და აღმოსავლეთის კერძონი დაუტევა მეფესა საქართველომასანა. ხოლო ეამსა ამას იმზახდენ მეფე ქართლისა ვახტანგ და ვამეყ დადიანი. გარნა ქალი, თხოვილი ვახტანგის ძისა არჩილისი, დადიანმა ვამეყ მისცა ღოღა-  
25 ბერიძეს ბეყანს. ამისთვის მეფე ვახტანგ ეზრახა აბაშიძე პაატას და მოჰკლეს ბეყან ღოღაბერიძე. ხოლო ეამსა ამას წარმოემართა სპითა ვახტანგ მეფე და გარდმოვლო<sup>7</sup> ლიხის მთა. აქათ ვამეყ დადიანი წარმოემართა სპითა და მოვიდა საჩხერეს. გარნა მეფესა ვახტანგს ძეგროდა გურიელი და იმერნი სრულეზით და ლაშხისშვილი ხოსია, თავი ლეჩხუმისა. მხილველი ვამეყ დადიანი  
30 ამავეთართ ძლიერთ შეკრებულთა ვერ წინააღუდგა ბრძოლად და წარვიდა ოდიშს. ხოლო ვახტანგ მეფემან აღილო ციხეები იმერეთისა. მოადგა ქუთათისს<sup>8</sup> და გამოიყვანა ბაგრატ მეფე იმერეთისა. მაშინ შეიკრიბა იმერნი და იმერელ-საქართველომას სპითა მოვიდა ოდიშს. ვერ წინააღუდგა [214] და-  
დადიანი ვამეყ და წარვიდა სვანეთს. ხოლო ვახტანგმა მოსანა ურჩნი ოდიშისა-  
35 ნი, მოადგა ქაქვიჯის<sup>376)</sup> ციხესა, აღილო და გამოიყვანა<sup>9</sup> ცოლ-შვილნი ვამეყ დადიანისანი და საგანძურნი ყოველნი და მივიდა ზუგდიდს. ხოლო შემდგომად დასვა დადიანად ლეონ და მისცა ძმისწული თვისი მეუღლედ თამარ. ხოლო შეჩინითა ხოსია ლაშხისშვილისათა მოკლეს ვამეყ დადიანი სვანეთს ვახტანგ მეფის საქმითა.

40 ვახტანგ მეფემან მოიყვანა ძე თვისი არჩილ და დასვა იმერეთს მეფედ წლისა<sup>10</sup> 14 და აკურთხა ქუთათისს<sup>8</sup> წელს ქრისტესით 1661. შემდგომად წარვიდა ქართლს და წარიყვანა მეფე ბაგრატ ტყვედ. გარნა სთხოვეს იმერთა<sup>11</sup> საზოგადოებამან კვალადვე ბაგრატ. და წარიყვანა ძე თვისი არჩილ და

<sup>1</sup> ქაიხოსრო B. <sup>2</sup> ამისი A. <sup>3</sup> მოკვდა A. <sup>4</sup> მოკლა A. <sup>5</sup> ამის A. <sup>6</sup> ოლთის ABC.

<sup>7</sup> გარდამოვლო A. <sup>8</sup> ქუთათის ABC. <sup>9</sup> გამოიყვანა A. <sup>10</sup> წელსა A. <sup>11</sup> იმერეთისა. A.

ისმინა თხოვა საზოგადო იმერთა და მოსცა ბაგრატი. და ქმნეს იმერთა კვალად მეფედ იმერთს ბაგრატი.

გარნა დადიანმა ლეონ არა ინება მეფობა ბაგრატისა და ამისთვის აღ-  
შხედრდა სპითა ბაგრატისა ზედა ლეონ დადიანი, მოეგება მეფე ბაგრატი, იქმნა  
ბრძოლა ძლიერი და შეიპყრეს ლეონ დადიანი და მოართვეს ბაგრატი. ხოლო 5  
შეაჭირვა დადიანი ტყვეობითა და მოაყვანიდა ცოლი თვისი თამარ და შეირ-  
თო მეფემან ბაგრატი და<sup>1</sup> დადიანსა ლეონს მისცა<sup>2</sup> დაჲ თვისი, გოშაძის  
ნაცოლარი, უქმნა ქორწილი და განუტევა კვალად ოდიშს დადიანად.

ხოლო ამავითართა<sup>3</sup> ჟამთა<sup>377</sup> განდიდნა სენხია ჩხეიძე და მისცა ოსმალთ  
ციხე ქუთათისისა<sup>4</sup>. [215] გარნა რაოდენისამე ჟამისა შემდგომად შეტყუებითა 10  
აღიღო ციხე ქუთათისისა<sup>4</sup> ბეყან ლორთქიფანიძემ, მოურავმან, და მოსრნა  
ოსმალნი და მისცა ციხე მეფესა ბაგრატი. 378)

ხოლო ამათ ჟამთა საათაბაგოს<sup>5</sup> ტყვედ<sup>6</sup> მყოფმან დარეჯან მისცა ათა-  
სი მარჩილი<sup>379</sup> ქრთამად ფაშასა, და ამა ჟამსა ესმა ფაშასა მოსრვა ოსმალთა  
ქუთათისისა<sup>7</sup>. ამა ორთა მიზეზთა გამო წარმოვიდა სპითა ფაშა, გარდაგდო 15  
ბაგრატი საქართველოდ და მეფედ ჰყო დარეჯან<sup>8</sup> და ქმარი მისი, ზემოხსენ-  
ებული ვახტანგ. ხოლო ამა<sup>9</sup> ორთა მეუღლეთა ქმნეს საშეფოსა მათსა პირველ-  
ვამგებელად ლაშხისშვილი ხოსია, თავი ლეჩხუმისა, და მეკობდენ ესრეთ.

შემდგომად შეიზრახნენ<sup>10</sup> იმერნი და გარდამობირეს<sup>11</sup> სენხია ჩხეიძე და  
შეუჩინეს დარეჯან დედოფალსა. და დილასა, ჩვეულებრ ოდეს იმკობდა თავსა 20  
თვისსა, მაშინ შევიდა სენხია იღუმალ, დასცა ბუბი დედოფალს დარეჯანს და  
მოჰკლა ციხესა შინა ქუთათისისა<sup>12</sup>. ხოლო იმერთა ასაარესსა შინა მიმოძთხ-  
ველი ვახტანგცა<sup>13</sup>, მეუღლე დარეჯანისა მოჰკლეს, მოიყვანეს გურიელი დიმი-  
ტრი და ქმნეს მეფედ წელს ქრისტესით 1668. გარნა შემდგომად მცირედისა  
ჟამისა შეიპყრეს იმერთა და აღმოხადეს თვალი დიმიტრი გურიელსა. ხოლო 25  
იმერთა სთხოვეს საქართველოასა მეფესა შანაოზს<sup>14</sup> ბაგრატეც და მან მოსცა  
და დასეეს მეფედ იმერთს. 380)

ხოლო სენხია ჩხეიძემ არა ინება მეფობა ბაგრატისა და აღიღო ციხე  
ქუთათისისა<sup>15</sup> 381) და მისცა ოსმალთა, რომელიცა ეპყრათ ოსმალთა ვიდრე  
მეფობამდე პირველის [216] სოლომონისა, რომელიცა ნებითა და წინაშეღერ- 30  
ბითა მისვე მეფის სოლომონისათა აღიღეს რუსთა. 382)

ხოლო ლეონ დადიანმა იძია შური ცოლისა წაგვრისათვის და მოუხთა  
მეფეს<sup>16</sup> ქუთათისის<sup>17</sup> და განდევნა მუნით, და წარვიდა რაჭას. და დადიანი  
დაებანაკა გეგუთს. ხოლო შეფემან შემოიკრიბნა<sup>18</sup> რამოდენიმე სანანი და შეე-  
ბა დადიანსა, და იძლია დადიანი და შეიპყრესცა, გარნა განუტევა კვალად 35  
დადიანი, ვინათგან იყო სიძე მეფისა ბაგრატისა.

ხოლო ჟამსა ამას<sup>383</sup> იყო გურიელად გიორგი, რომელი ეტრფილა ცოლ-  
სა ბაგრატი მეფისასა, ზემოხსენებულს თამარს, რომელი წარგვარა დადიანსა<sup>17</sup>  
ლეონს. ამისთვის გურიელმა მისცა ქრთამი ბეგრი ფაშასა, რათა წაართვას  
მეფესა ბაგრატი და მისცეს მას. ხოლო ფაშა წარმოემართა სპითა მრავლითა 40  
მეფესა ზედა. მცნობმან ამისმან ბაგრატი ცოლი თვისი თამარ წარგზავნა ცი-

<sup>1</sup> და—A. <sup>2</sup> მისცა—A. <sup>3</sup> ამავითართა A. <sup>4</sup> ქუთათისა ABC. <sup>5</sup> საათაბაგოს B. <sup>6</sup> ტყ-  
ვედ A. <sup>7</sup> ქუთათის ABC. <sup>8</sup> დარეჯან ABC. <sup>9</sup> ამთ A. <sup>10</sup> შეიზრახნენ A. <sup>11</sup> გარდამობირეს A.  
<sup>12</sup> ქუთათისისა ABC. <sup>13</sup> ვახტანგ A. <sup>14</sup> შანაოზს ABC. <sup>15</sup> მეფესა A. <sup>16</sup> შემოიკრიბა A.  
<sup>17</sup> დადიანს A.

ხესა შინა კვარას და თვით ეწყო ბრძოლად ფაშასა, გარნა იძლია იმერნი და მეფე ბაგრატ უთვალობისა გამო ვერღა ივლტოდა და შეიპყრეს. და ვინათგან სცნა ფაშამან, ვერ აღიღებს კვარის ციხესა, ამისთვის ბაგრატს გამოართვა მრავალი ქრთამი და მისცა კვალად მეფობა და წარიყვანა მძევლად ძე მეფისა ალექსანდრე (რამეთუ ესე ალექსანდრე იყო შობილი ლეჩხუმელის კოჩილას ცოლისაგან, რომელსა ბაგრატ მეფე თან-ეყოფოდა სიძეად. და ვინათგან არა ესვა სხვა ძე ბაგრატს, ესე მოიყვანა, უწოდა ალექსანდრე და ზრდიდა ძედ თვისად პირშობლად) და წარვიდა ფაშა.

5 გამსა ამას<sup>284</sup> აღილო ქუთათისი [317] მეფემან ბაგრატ და განსდევნა ოსმალნი. და რა სცნა ესე, წარმოავლინა ასლან ფაშამ დესპანი და სთხოვა მეფესა ციხე ქუთათისისა<sup>1</sup> და მისცეს ძეა თვისი ალექსანდრე. მაშინ მეფემან განზრახვითა იმერთათა მისცა ციხე ქუთათისისა<sup>2</sup> ოსმალთა, და მოსცეს ძეა მისი ალექსანდრე.

ხოლო ბაგრატ მეფესა უშვა თამარ ცოლმან მისმან, რომელი წაგვარა<sup>3</sup> 15 ლეონ დადიანსა, ძეა გიორგი, რომელმაც<sup>4</sup> განიხარა ფრიად.

გამსა ამას ჭყონდიდელი ჩიქოანი განდიდდა<sup>5</sup> ფრიად და იქმნა დიდი მისანდო ლეონ დადიანისა. და ჰყვანდა<sup>6</sup> ამა ჭყონდიდელსა ძმაა კაცია ჩიქოანი. და თავის ძმისა ჭყონდიდელისა გამო ესეცა განდიდდა და პატივსცემდა მეფე ფრიად, და ამის<sup>7</sup> გამო უსმენდაცა ლეჩხუმელნი კაციას. ხოლო მოიყვანა ძმაა თვისი კაცია ჭყონდიდელმან დადიანისა ლეონისა თანა, და მისცა დადიანმა<sup>8</sup> სრულიად სალიბარტიანო კაცია ჩიქოანს, და იქმნა დიდი მისანდო დადიანისა. იყო ესე კაცია მხენ და შემმართვები საქმისა.

ხოლო გამსა ამას<sup>285</sup> მოვიდა არჩილ ბაგრატიონანი, და მიუღდა დადიანი და გარდაავდა ბაგრატ უთვალო, და იქმნა მეფედ იმერთა არჩილ. წარგვარა 25 არჩილ თამარ დედოფალი ბაგრატსა და მისცა კვალად ლეონ დადიანსა.

ხოლო ბაგრატ უთვალო ევედრა ხეანთქარსა. და მისცა შეწევნა სპითა უამრავითა<sup>9</sup>, გარდაავდეს არჩილ და მისცეს მეფობა ბაგრატსავე. მაშინ შეიკრიბნა იმერნი და წარვიდა<sup>10</sup> დადიანსა ზედა, და დადიანი ეწყო ბრძოლად, [218] გარნა იძლია დადიანი და კვალად წაართვა ცოლი თვისი თამარ, წარ- 30 მოიყვანა და მოვიდა ქუთათისს<sup>11</sup>.

შემდგომად მცირედისა ხანისა მოკვდა დადიანი ლეონ წელს ქრისტესით 1681. <sup>286</sup> ამა ლეონ დადიანის<sup>12</sup> ძე მანუჩარ ჰყვანდა<sup>13</sup> გიორგი გურიელსა მძევლად რომლისაზე საქმისათვის.<sup>287</sup> და ოდეს მიიცვალა ლეონ, სთხოვეს ოდიშართა მემკვიდრე მათი მანუჩარ დადიანად. გარნა ვინათგან არა იყო მემკვიდრე და 35 დაინისა თენიერ მანუჩარისა, მაშინ განიზრახა თვითვე დაპყრობა გურიელმა ოდიშისა. ამისთვის მოჰკლა ყრმა მანუჩარ, ძეა ლეონ დადიანისა, და თვით წარმოემართა ოდიშსა ზედა. გარნა მცნობმან ოდიშართა განამაგრეს ციხეები და არა შეუწვეს ოდიშს გურიელი, და უკუნჩქია სირცხვილეული.

ხოლო ამა ჟამებთა შინა არჩილ მეფე წარვიდა რუსეთად და ბაგრატ 40 მეფე უთვალო მოკვდა<sup>14</sup> იმერეთს წელს ქრისტესით 1681, და დაფლეს გელათს. და ვითარ არღარავენ<sup>15</sup> იყო ტომი მეფეთა, მოიყვანეს გურიელი გიორგი იმერთა და ჰყვეს მეფედ.

<sup>1</sup> ქუთათისა B, ქუთათისისა AC. <sup>2</sup> ქუთათისა ABC. <sup>3</sup> წარგვარა A. <sup>4</sup> რომელმანცა A, რომელმანც B. <sup>5</sup> განდა A. <sup>6</sup> ყვანდა A. <sup>7</sup> ამისა A <sup>8</sup> დადიანმან A. <sup>9</sup> უამრავითა ABC. <sup>10</sup> და წარვიდა+ და წარვიდა A. <sup>11</sup> ქუთათის ABC. <sup>12</sup> დადიანისა A. <sup>13</sup> ყვანდა A. <sup>14</sup> მოკვდა A. <sup>15</sup> არღარავენ A.

არამედ ოღიში იყო უპატრონოდ და კაცია ჩიქოახი იყო თავი და გაძ-  
გო მათი.

ხოლო ეამსა ამას დიდათ ეკირთებოდენ აფხაზნი ოღიპართ და სტყვენ-  
ვიდენ ხვლით თუ ზღვით, და დაიპყრეს აფხაზთა ვიდრე ეგრისაჲდღე<sup>1</sup> მდინა-  
რისა, და თვით დაეშენებოდენ აფხაზნი, და არღარა იყო ეპსკოპოსნი დრან- 5  
დასა და მოქეს.

შემდგომად ამისა მოკვდა კაცია ჩიქოანი და დაიპყრა ლიპარტიანობა  
ძემან მისნან გიორგი უმეტეს მამისა თვისისა.

ხოლო გიორგი გურიელი, რომელი ყვეს [219] მეფედ იმერთა, იყო იგი  
სიძე ზემოხსენებულისა ბაგრატ მეფისა უთვალოსა, რომელსა ჰყვა ასული 10  
ბაგრატისი დარეჯან<sup>2</sup>, ნაშობი თამარისაგან, რომელი წარგვარა ლეონ და-  
დიანსა ბაგრატ, რომელი ზემოთ ვახსენეთ. და ოდეს იქმნა იმერთა ზედა მე-  
ფედ გიორგი გურიელი, განირისხა ლმერთი და განუტევა ცოლი თვისი, ზე-  
მოხსენებული დარეჯან<sup>3</sup>, ასული ბაგრატისა, და შეირთო სიდედრი თვისი,  
თამარ დედოფალი, ვინათგან იყო იგი შეენიერებოდა მდიდარ ფრიად (თქმულ 15  
არს ამა თამარისათვის: ოდეს იქმნა მიდგომილ ამა გიორგი გურიელისა თა-  
ვის სიძისაგან, ზვა ცეცხლი და მოკვდა<sup>4</sup>).

ეამსა ამას ვინათგან იყო ოღიში უპატრონოდ, ნაშინ გიორგი ლიპარ-  
ტიანმა ძეა ლეონ დადიანისა, ნაშობი ნხეველისაგან, სახელად ლევაწვე, დასვა 20  
დადიანად სათნოებისათვის მენგრელთა და წინააღმდეგად გურიელისა.

ვინათგან დაშთა იმერეთი უმემკვიდროდ და იქმნა მეფედ გიორგი გუ-  
რიელი, ესე შეუძნდა გიორგი მეფესა საქართველოჲსასა, და ჰყვანდა მას თა-  
ნა<sup>5</sup> ძეა ბაგრატ უთვალოსა ალექსანდრე, ნაშობი ხარქიასაგან, რომელიცა  
ზემო ვახსენეთ; ამისთვის სთხოვა უსუფ ფაშასა, რათა ჰყოს იმერთა ზედა  
მეფედ ალექსანდრე. ხოლო ფაშამან ესე ყოველივე აცნობა ხონთქარსა და 25  
ნებოთა ხვანთქარისათა შთამოვიდა იმერეთად ფაშა და ჰყო მეფედ ალექსან-  
დრე წელს ქრისტესით 1682. და გიორგი გურიელი წარვიდა გურთადევე. ხო-  
ლო შემდგომად სიკვდილისა თამარ დედოფლისა შეირთო გურიელმან ნაცო-  
ლარი კაცია ჩიქოანისა, [220] დედისნაცვალი გიორგი ლიპარტიანისა.

ხოლო ოდეს იქმნა მეფედ ალექსანდრე, ძე ბაგრატ უთვალოსა, არა 30  
ინება მეფობა მისი გიორგი ლიპარტიანმა და მოშიტა რაჭის ერისთავმა და  
ბეგან ლორთქიფანიძემ<sup>6</sup>. შეკრბენ ესენი და მიერთდენ გურიელსა. არამედ  
გურიელმან, საბრძოლველად წამოსრულმან<sup>7</sup>. განწარცვა ხატი ვლადიკრან  
ლეთის მკობლისა<sup>8</sup> 388) და ჰყო სამკაულად თვისად. მოვიდა გურიელი საჩი-  
ნოს და შემოიერთა გიორგი ლიპარტიანი, რაჭის ერისთავი მოშიტა და 35  
ლორთქიფანიძე და ჩიჯავაძენი. ხოლო ალექსანდრეს დაშთა აბაშიძენი და  
ზემო მხარნი, რომელიცა მაშინ განდიდებულ იყო პაატა აბაშიძე და გიორგი  
მიქელაძე. იქმნა ბრძოლა ძლიერი როკითს წელს ქრისტესით 1684. ვაემარ-  
ჯვა ალექსანდრე მეფესა, და მოჰკლეს გურიელი<sup>9</sup> გიორგი (ამისთვის იტყვიან:  
უცნაურითა კვეთებითა მოკვდაო<sup>10</sup>), მოკლეს<sup>11</sup> კვალად რაჭის ერისთავი მო- 40  
შიტა, ხოლო ალექსანდრესი მოკლეს აბაშიძე ლევან და პაატა დაჰკოდეს. და  
მოიქცა ალექსანდრე გამარჯვებული და დაიპყრა იმერეთი.

<sup>1</sup> ეგირამედ A. ეგრისადნდე C. <sup>2</sup> დარეჯან ABC. <sup>3</sup> მოქვედა A. <sup>4</sup> მის თანა B. <sup>5</sup> არ A.  
<sup>6</sup> ლორთქიფანიძემ ABC. <sup>7</sup> წარმოსრულმან A. <sup>8</sup> მშობელისა A. <sup>9</sup> გურიელი + გურიელი A.  
<sup>10</sup> მოქვედა A. <sup>11</sup> მოკლეს A.

ხოლო გურიას დასევეს გურიელად მალაქია, ძმა გიორგისა.

ენასა ამას მოკვდა აბაშიძე პაატა და იქმნა სააბაშიოს<sup>1</sup> პატრონად ძმა-  
მისი ნაბერალი მალაქია, რომელმან იწოდა გიორგი და განდიდდაცა<sup>2</sup> ფრიად.  
აშან შეერთო ნაცოლარი გიორგი გურიელისა და დედისნაცვალი გიორგი-  
5 ლიპარტიანისა, რომელი ზემოთაც ვახსენეთ.

შემდგომად რამოდენისამე ეამისა<sup>3</sup> [221] გურიელად ჰყვეს მამია გიორ-  
გის ძე თნებითა გურიელთათა. და მალაქია მონაზონ იქმნა და მისცეს შე-  
მოქმედი.

ხოლო ეამთა ამათ ლეონ დადიანმა მიიყვანა მეუღლედ დაა აღექსანდრე  
10 მეფისა თინათინ ნებითა გიორგი ლიპარტიანისათა, ვინათგან იგი თაობდა  
ოდიშ-ლეჩხუმსა ზედა და მისითანებითა იყო ლეონ დადიანად, სახელით ოდენ.  
ხოლო საქმით ყოველივე იყო გიორგი ლიპარტიანისა. გარნა ეამსა ამას იყო  
დიდი ჭირი აფხაზთაგან ავაზაკობითა და ტაცებითა ოდიშართა ზედა.<sup>390</sup>

ხოლო ეამსა ამას მოვიდა არჩილ მეფე ბაგრატიონი რუსეთიდან და  
15 მოიყვანა ორნი ძენი თვისნი აღექსანდრე და მამუკა და ძენი თვისნი წარავ-  
ლინა დეაღეს და თვით მოვიდა რაჭას. ხოლო ეზრახნენ იმერთა. რათა  
ჰყონ არჩილ მეფედ და იმერთა მისცეს პირი არჩილს. მოვიდა არჩილ და  
რაჭის ერისთავი გველისთავს და<sup>3</sup> მიერთო მას გიორგი ლიპარტიანი, ჭილა-  
ძე და მიქელაძე და ლორთქიფანიძენი.<sup>391</sup> ამის გამხილველმან აღექსანდრე.

20 მეფემან დაუწყო ზრახვა ლიპარტიანს, დაუმტკიცა<sup>392</sup> ლეჩხუმს, და კვალდ-  
მიერთო აღექსანდრეს. ამისთვის<sup>3</sup> ვერ წინააღუდგა<sup>4</sup> აღექსანდრეს არჩილ  
(ვისიცა იქნებოდა ლიპარტიანი, მპყრობელი ოდიშ-ლეჩხუმისა, — ძღვეცა  
მისი იქმნებოდა)<sup>5</sup>.<sup>393</sup> და წარვიდა არჩილ ოდიშს, ხოლო ოდიშიდან — აფხა-  
ზეთს, და<sup>6</sup> სწადოდა წარსლვა ყირიმის ხანთან, სადა ყვანდა ელჩნი წარვლი-

25 ნებულნი. ხოლო არჩილ რა მივიდა აფხაზეთს, მოეგება შარვაშიძე, ისტუმრა-  
პატივითა [222] ვითარცა მეფე. და იყოფებოდა ზუფუს ეამ-რაოდენმე, არამედ  
ვერღარა მშოგრელი გზისა უკმოიქცა და, მოვიდა ოდიშს, გარნა ვინათგან  
ლიპარტიანი იყო მეფისა აღექსანდრესი, ვერღარა დადგა ოდიშს, წარვიდა  
და მივიდა საჭილაო საშქელაოს, და მუნით წარვიდა რუსეთად და წარიყვანა<sup>7</sup>  
30 ძმისწულნი თვისნი, ძენი ლევანისანი: ქაიხოსრო, ვახტანგ და დომენტი, და  
იყოფებოდა დიგორს.

ხოლო ეამთა ამათ<sup>394</sup> ისაქმა არჩილ ხვანთქარსა თანა, ბრძანა ხვანთ-  
ქარმან და წარმოავლინა აზრუმის<sup>8</sup> ფაშა, განაძეს აღექსანდრე, რომელი-  
წარვიდა ერეკლე მეფისა თანა ქართლს, და იმერეთი მისცეს არჩილს და  
35 ქმნეს მეფედ. და დაემორჩილენ ყოველნი იმერნი არჩილს, თვინიერ გიორგი  
აბაშიძისა. და ოსმალნი წარვიდა [!] ახალციხედვე.

ხოლო ეამისა რაოდენისამე შემდგომად შემოიკრიბნა არჩილ სპანი იმე-  
რეთისანი და სთხოვა ლიპარტიანსა შეწყენა, მოადგა ქუთათისის<sup>9</sup> ციხესა,  
რომელიცა დიდათ შეაიწრა, რომელ მეციხოანენი სჰამდენ ჯღანთა, რომელთა  
40 არარაა აქენდათ<sup>10</sup>. ხოლო ამა ეაჰსა რომლისამე საქმისათვის გულკლებულ  
იქმნა ლიპარტიანი არჩილ მეფესა ზედა.<sup>395</sup> და ლიპარტიანი შემოდგომილ-  
იყო ერთი მხრით ციხესა ქუთათისისასა<sup>11</sup> ძლიერად და გულკლებისათვის

<sup>1</sup> სააბაშიოს ABC. <sup>2</sup> განდიდაცა A. <sup>3</sup> და + და A. <sup>4</sup> აღუდგან BC. <sup>5</sup> იქნებოდა A. <sup>6</sup> და — BC. <sup>7</sup> წარვიდა A. <sup>8</sup> აზრომის ABC. <sup>9</sup> ქუთათის ABC. <sup>10</sup> აქენდათ BC. <sup>11</sup> ქუთათისასა ABC.

არჩილისა გამოიყენა იღუმალ ოსმალნი და მისცა მრავალი საზრდო და განაზგრა ციხე და თვით წარვიდა ოდიშს. მხილველი ამისი არჩილ მეფე დიდათ შესწუხნა და შემოეცალა ციხესა, ვინათგან [223] ეწინოდა ლიპარტიანისაგან<sup>396</sup>) და შემოიფიცნა განახლებით კვალად იმერნი.

გარნა იქმნა ქრისტიანეთათვის<sup>1</sup> საგლოველ<sup>2</sup>-საზავთებელი, რამეთუ გამოვიდენ ციხიდან ოსმალნი და შემუსრეს ქუთათისის<sup>3</sup> ეკლესია ყოვლად წმინდისა დიდ-შენიერად გებულნი, რომლისა საფუძველნი დღესაც გვაჩვენებს დიდ-შენიერებასა მისსა (ამისთვის ქმნეს ოსმალთა ესე, ვინათგან ციხესა მას ავნებდენ მუნით ძლიერად<sup>397</sup>), წელს ქრისტესით 1691.<sup>398</sup>)

ხოლო ალექსანდრე მეფე წარვიდა ახალციხეს, და მწე ეყო ჟაშა ახალციხისა და წარმოყვა იმერეთს სპითა და ნისცა იმერეთი. და არჩილ მეფე წარვიდა რაჭას და რაჭიდან რუსეთს, გარნა ზვასა ზედა უღალატეს ჩერქეზთა და არჩილს ყოვლად საქებელითა სიმხნითა თვისითა და მამაცობითა ვერა აენეს, და რუსეთად ვერა წარვიდა, და უკუნქეულმან ზრძოლითა გამოვლო ჩერქეზი და მოვიდა საქართველოდვე.

ხოლო ალექსანდრე მეფობდა იმერეთს და განუტევა ცოლი თვისი, დიდებულის ქალი, რომელსა თანა ჰყვანდა ორნი ძენი, სეიმონ და გიორგი უქორწინებულად, და შეირთო სჯულიერითა ქორწინებითა გიორგი აბაშიძის ასული თამარ, რომელი იყო მას ეამსა 10 წლისა.

ემთა ამთ განძლიერდა ლიპარტიანი გიორგი და არღარა ინება და-20 დიანისა ლეონისა დადიანობა, განაძო იგი. და<sup>4</sup> წარვიდა სტამბოლს<sup>5</sup> და მუნ გარდაიცვალა. ხოლო გიორგი ლიპარტიანმა დაიპყრა ოდიში და ლეჩხუმი, გარნა არა იწოდებოდა დადიანად, არამედ [224] ლიპარტიანადვე.

ხოლო ესე მეფე ალექსანდრე თუმცა იყო ზნე, ახოვანი და აღნავითა შეენიერ<sup>6</sup>, გარნა იყო კუნდრუკ და წინააღმდეგად მქცევი სჯულისა. ამისთვის სძულობდენ იმერნი და ცოლიცა თვისი, თამარ დედოფალი, აბაშიძის ასული, და სწადოდა განტევება. ამისთვის ეზრახა მამასა თვისსა, რათა წარგვაროს და მისცეს მეფესა გიორგის. ხოლო აბაშიძემან გიორგიმ სცყვარული-სათვის ასულისა არღარა მიხედა უჯერობასა და ეზრახა იმერთა და, ვინათგან სძულობდენ იმერნი ალექსანდრესა, შეკრბენ კათოლიკოს<sup>7</sup>-ეპისკოპოსნი, 30 ერისთავი პაპუნა და სხვანი წარჩინებულნი იმერეთისანი და შოადგენ სკანდეს<sup>399</sup>) მყოფსა<sup>8</sup> ალექსანდრეს და შეიპყრეს და წარუგზავნეს გიორგი მეფესა. (ვინათგან მტერ იყვნენ გიორგი მეფე და ალექსანდრე), მოიყვანეს რუისს<sup>9</sup>, მოაშთეს და დაფლეს მუნ წელს ქრისტესით 1695<sup>10</sup>. შთამოიყვანეს არჩილ და დასვენეს მეფედ.

ხოლო თამარ დედოფალი ეზრახა გიორგი მეფესა, რათა შეირთოს, გარნა არა ინება მეფემან გიორგი. მერმე აბაშიძე ეზრახა არჩილს, რათა შეირთოს თამარ, ასული თვისი, ნაცოლარი ალექსანდრესი, რათა უმეტეს დიმიკვიდროს იმერეთი, გარნა არცა მან ინება, ვინათგან იყო საწინააღმდეგო სარწმუნოებისა.

ხოლო გიორგი აბაშიძე ეზრახა გიორგი ლიპარტიანსა<sup>11</sup> ნებითა ასულისა თვისისა თამარისათა და მოიპოვეს მონათესავე [325] მცენთა ვინმე ოდიშს,

<sup>1</sup> ქრისტიანეთათვის A. <sup>2</sup> საგლოვე A. <sup>3</sup> ქუთათის ABC. <sup>4</sup> და—A. <sup>5</sup> სტამბოლს BC. <sup>6</sup> მშენიერ A. <sup>7</sup> კათოლიკოს A. <sup>8</sup> მყოფს B. <sup>9</sup> რუის ABC. <sup>10</sup> 1695 1 C. <sup>11</sup> ლიპარტიანისა A



სახელით გიორგი, მოიყვანეს, შერთეს იგი თამარს და უწოდეს მეფედ წელს ქრისტესით 1696. ხოლო არჩილ წარვიდა დვალეთს და იმყოფებოდა მუნ.

ხოლო ესე გიორგი იყო ყოვლითურთ უმსგავსო და შეუგვანებელი მეუობისა (რომელსა კითხვით უწოდებდენ გოჩიასა), გარნა ყოველსა საქმესა მისსა მართვიდა აბაშიძე და თაობდა ყოველსა იმერეთსა იგი აბაშიძე გიორგი. ხოლო უწესოდ ქცევისათვის შეიძულა ზეფე ესე დედოფალმან თამარ და სწადოდა განტეგება. ამისთვის აბაშიძე ეზრახა არჩილს, ერწოს მყოფს, რათა შეირთოს თამარ, ასული თვისი, ცოლი გიორგი მეფისა და იქმნას იმერთა ზედა მეფედ. გარნა არჩილ არა ინება და წარვიდა დვალეთს. მაშინ შეკრბენ ყოველნი იმერნი და რაქის ერისთავი აბაშიძესა თანა და განაცეს გიორგი მეფე და მოუწოდეს არჩილს. გარნა არჩილ არა ინება მეფობა იმერეთისა, ვინათგან ეამსა მას იყვნენ იმერნი განრყენილნი, ფიცის მტეხელნი, ტყვის მყიდველნი, მხდომნი და უკეთურნი არათუ წარჩინებულნი მხოლოდ, არამედ მდაბიონიცა<sup>1</sup>. გარნა იძულებულთა<sup>2</sup> თვისთაგანვე წარმოვიდა არჩილ და მოვიდა იმერეთს და დაიპყრა იმერეთი.

ხოლო მცნობმან ამისმან ახალციხის ფაშამ არ<sup>3</sup> ითნო მეფობა არჩილისა, წარგზავნა კაცი, მოიყვანა<sup>4</sup> სვიმონ ალექსანდრეს ძე, რომელსა ზრდიდა ერეკლე, მეფე საქართველოვსა, და შთამოყვა სპითა დიდითა იმერეთს, მისცა იმერეთი სვიმონს და იქმნა სვიმონ მეფედ იმერთა ზედა. ხოლო არჩილ წარვიდა და რუსეთს.

[226] იქმნა იმერთა ზედა მეფედ სვიმონ. ამას ეზრახა აბაშიძე გიორგი და მისცა ასული თვისი ანიკა ცოლად, და იქორწინა ზეფემან ანიკასა ზედა. გარნა იყო შირველ-გამგებულად<sup>5</sup> იმერთა ზედა აბაშიძე გიორგი, და თამარ, ასული აბაშიძისა, ნაცოლარი მეფისა გიორგისა, დედოფლობდა, და მსახურებდენ ყოველნი იმერნი. ესე შეუძნდა მეფესა სვიმონს, შეშინდა და დაუტევა იმერეთი და წარვიდა ქართლს ერეკლე მეფისა თანა.

ხოლო დედოფალმან თამარ, ასულმან აბაშიძისამან ინება შერთვა გიორგი ლიპარტიანისა და ინება ლიპარტიანმაცა,<sup>6</sup> და ამისთვის წარვიდა თამარ ოდიშს, შეიუღლა თამარ ლიპარტიანმან და განუტევა ცოლი თვისი, მიქელაძის ასული, რომელსა თანა ჰყვა შვილნი, ძენი მოწიფულნი, და მიერიდამ უხმობდენ თამარს იმერთ-ოდიშართ დედოფლად.

შემდგომად ამისა განსდგენ რაჭველნი აბაშიძისაგან, გარნა აბაშიძე შეუხდა რაქას, მოსწვა, მოსტყუენა და დაიმორჩილა და მოვიდა იმერეთსავე.<sup>7</sup> ამით ეამთა განიზრახა მამია გურიელმა მეუობა<sup>8</sup> სვიმონისა და მოიყვანა სვიმონ, განატეგებინა ასული აბაშიძისა ანიკა და მისცა გურიელმან<sup>9</sup> და თვისი და შეაუღლა. ესე შეუძნდა აბაშიძესა, მოუწოდა გიორგი ლიპარტიანსა და შეკრბენ<sup>10</sup> საქილოსა და ეზრახენ გურიელსა, რათა მოჰკლას სვიმონ მეფე და თვით გურიელი ჰყონ მეფედ. ესე არა ინება გურიელმან<sup>11</sup> და ნება სცა მათ. მაშინ წარავლინეს მათ კაცი და ცოლისა თვისისა თანაშემწი სვიმონ, ოდეს განვიდა ბუნებთისა საქიროსა ადგილსა, ჰკერს თოფი [227] და მოჰკლეს სვიმონ წელსა<sup>12</sup> ქრისტესით 1701:

მაშინ<sup>13</sup> მოიყვანეს მამია გურიელი და დაავეს მეფედ იმერთა. გარნა თუმცა იყო მეფედ გურიელი, გარნა სამეფო ყოველნი დაბანი, აგარაკნი და

<sup>1</sup> დაბიონიცა A. <sup>2</sup> არა B. <sup>3</sup> მოიყვან B. <sup>4</sup> განმგებულად A. <sup>5</sup> მეფება B. <sup>6</sup> გურიელმა A. <sup>7</sup> შეკრბეს A. <sup>8</sup> გურიელმა A. <sup>9</sup> წელს B. <sup>10</sup> მაშინ—A.

შემოსავალნი ეპყრა აბაშიძესა და ასულსა მისსა თამარს, ცოლსა ლიპარტიანისასა და ახლდათ ყოველნი იმერეთისა წარჩინებულთა და აზნაურთა ძენი.<sup>402</sup> და ამა ვითარებისა ჩხილველი გურიელი წარვიდა გურიისავე.

ხოლო მთავრობდა აბაშიძე და განიგებოდა ყოველი იმერეთი მის მიერ. ეამსა ამას აწუხებდენ დიდათ აფხაზნი ოდიშსა ტყვის ყიდვითა და კაცის კლვითა. ამისთვის სთხოვა აბაშიძეს შეწყენა ლიპარტიანი<sup>5</sup>. წარვიდენ ორნივე აფხაზეთს, ვერ წინააღუდგა წარვამიდე და მოსწყენს, მოსტყვენეს აფხაზეთი და დაიპყრა ლიპარტიანი<sup>6</sup> ოდიშის საზღვრის აფხაზეთი, გარიცხა შარვაშიძე და მოიქცა ორნივე აბაშიძე და ლიპარტიანი გამარჯვებულნი.

ხოლო შემდგომად სიკვდილისა სიმონ მეფისა ძმა მისი გიორგი წარვიდა ახალციხის<sup>1</sup> ფაშასთან<sup>2</sup> და იზრდებოდა მუნ. ხოლო განდიდდა რაჲ აბაშიძე, არლარა მორჩილებდა<sup>3</sup> ფაშასა. ამისთვის შეასმინა ფაშამან ხვანთქარსა<sup>4</sup>. ხოლო<sup>5</sup> ხვანთქარმან წარმოაგლინა აზრუმის<sup>6</sup> ფაშა, რათა დაჰყოს იმერეთსა შინა 7 წელი. წარმოეძარტა ფაშა შაგი<sup>7</sup> ზღვით, გურიით და ქაია<sup>803</sup> თვისი წარმოაგლინა ახალციხით. ფაშასა შეეერთა<sup>8</sup> გურიელი, აღმოვიდა ოდიშს და აღიღო რუხის ციხე<sup>404</sup> და აღაშენა ანაკლიას ციხე. ხოლო ქაია და ფაშა ახალციხისა შთამოვიდა იმერეთს და მოსტყვენეს [228] იმერეთი და აღიღეს ქალატყის კოშკები.

ეამსა ამას მოკვდა ხვანთქარი სულტან მუსტაფა და დაჯდა სულტან ახმეტ<sup>9</sup> და აზისთვის ოდიშს აბაშიძე და ოსმალთა შინა და გაბრუნდენ და წარვიდენ ოდიშ-იმერეთით ოსმალნი. გარნა უკუბრუნებისა ეამსა ქეჰან იჩემა ნათესაობა აბაშიძისა და ეგრეთვე ქეჰასი აბაშიძემ და ამის გამო შეიყარნენ და ნახეს<sup>10</sup> ერთმანერთი, და ქეჰან იშვილა გიორგი ალექსანდრეს<sup>105</sup> და აბაშიძე ჰყო<sup>11</sup> მეურნედ მისა. და ესევეთარად წარვიდა ქეჰა. გარნა აბაშიძემან არა დაიცვა ქეჰასადმი პირი მიცემული, უბრძანა იმერთა და შეჰკრეს ფერსათი და დაუწყეს სროლა, კოლის<sup>12</sup> ფაშა მოჰკლეს. ისაჲ ახალციხის ფაშა დაჰკოდეს და მრავალნი დახოცეს და გარდაარჩენილნი მივიდენ ახალციხეს. და ეგრეთვე ოდიშს<sup>13</sup> მყოფმა ფაშამ განვლო გურია და წარვიდა.

ხოლო აბაშიძემან დაიპყრა<sup>14</sup> კვალად მთავრობა იმერეთისა წელს ქრისტესით 1703. ხოლო გიორგი, ძე ალექსანდრე მეფისა, რომელი დაუტევა ქაიამ ზეფედ, შეშინდა აბაშიძისაგან და შევიდა ქუთათისის<sup>15</sup> ციხესა, და გიორგი მიქელაძე ერთგულეზდა მას. ხოლო ქუთათისის<sup>16</sup> მყოფობისა და მწირობისა გიორგი მეფისასა შეეწეოდა ვახტანგ გამგებელი ქართლისა და წარმოუგზავნიდა მრავალსა საფასესა. ამათ ეამთა დიდათ განდიდდა აბაშიძე, და დადიანი და გურიელი მოწოდებითა მისითა იყენენ მარადის მასთანა.

ხოლო მტერ იყენენ ლიპარტიანი და გიორგი ნიქელაძე, ვინათგან და იყო გიორგი [229] ნიქელაძისა, რომელი განუტევა ლიპარტიანმა ცოლი თვისი და ნება-ყოფითა აბაშიძისათა განოძმო ლიპარტიანმა გიორგი ნიქელაძე მამულით თვისით<sup>18</sup> და წარვიდა მიქელაძე ქართლს და ლიპარტიანმა დაიპყრა საჭილაო-სამიქელაო.

შემდგომად ამისა განუდგა ძმა თვისი ლიპარტიანსა იესე და მივიდა ქუთათისის<sup>16</sup> გიორგი მეფისა თანა. ამა იესეს ეპყრა ლეჩხუმი ნებითა ლიპარ-

<sup>1</sup> ახალციხეს A. <sup>2</sup> ფაშასთან A. <sup>3</sup> მორჩილებდენ ABC. <sup>4</sup> ხვანთქარსა + ზედა A. <sup>5</sup> ხოლო—A. <sup>6</sup> აზრომის BC. <sup>7</sup> შაგის B. <sup>8</sup> შეერთა A. <sup>9</sup> ახმეტ—A. <sup>10</sup> და ნახეს—A. <sup>11</sup> ყო A. <sup>12</sup> კოლა ABC. <sup>13</sup> ოდიშ A. <sup>14</sup> დაიპყ A. <sup>15</sup> ქუთათის ABC. <sup>16</sup> ვითთ B.

ტიანისათა. მსმენელი ამისი წარვიდა ლიპარტიანი და უმეტეს თვისდად მოი-  
მტკიცა ლეჩხუმი და მისცა გასამგებლოდ ძესა თვისსა ბეჟანს და დადიანობა  
მისცა პირნშოსა ძესა თვისსა<sup>1</sup> კაცისა და თვით იწოდებოდა ლიპარტიანად.  
გარნა ძენი მისნი იყვნენ<sup>2</sup> ბრანგბასა ქვეშე მისსა. ხოლო უმრწემესსა ძესა  
5 თვისსა მონაზონსა გებრიელს უბოძა ჰყონდილობაჲ.

ამათ ეამთა მთავრებთ დასაამებელად შანაოზ<sup>3</sup> მეფემან მისცა და ხელ-  
მოწერით დაუმტკიცა პაატა აბაშიძეს სვერი, <sup>406</sup> ლიპარტიანს სამიქელაო და  
საჭილაო, <sup>407</sup> გურიელს საჯავახო და ჩიჯაყაძენი.

ხოლო აბანიძემ გიორგიმ მთავრობასა შინა მისსა დიდათ დაამშვიდა  
10 იმერეთი, სადა არასადა, იყო პარეა, ავაზაკობა, ტყვის ყიდვა და არცა კაცის  
კლეა.

ხოლო ეამსა ამას მწე ექმნა მეფე ვახტანგ ქართლისა გიორგის ქუთა-  
თისს<sup>4</sup> შენწყუდელულსა<sup>5</sup> და ეზრახა იმერთა: მეფობისა მისისათვის. ეთანხნენ  
იმერნი, კათალიკოს-მიტროპოლიტნი [236] და რაჰის ერისთავი შოშიტა და  
15 გამოიყვანეს ქუთათისილამ გიორგი და უწოდეს მეფედ წელს ქრისტესით 1707.

ექმნა მეფედ გიორგი, ძე ალექსანდრესი. მაშინ იმერნი ყოველნი განი-  
ვლტოდენ აბაშიძისაგან და მიმართეს<sup>6</sup> გიორგი მეფესა. მხილველმან ამისმან  
აბაშიძემან სთხოვა ლიპარტიანს შეწყენა. და ლიპარტიანი იწარმოეზრთა სი-  
თა და დადგა ვაკესა შინა. ხოლო მეფე იყო ქუთათისს<sup>7</sup> რაჰის ერისთავით და  
20 იმერეთით.

ხოლო ეამსა ამას მოკვდა ცოლი ლიპარტიანისა თამარ დედოფალი ზე-  
მოხსენებული, ასული გიორგი აბაშიძისა. მოცხსენეს შური ძეთა ლიპარტიანი-  
სათა მამისა თვისისა, ვინათგან განუტევა დედა მათი, მიქელაძის ასული;  
ამისთვის დაუტევეს მამა<sup>8</sup> და მიერთდენ გიორგი მეფესა. ეგრეთვე ვახტანგ  
25 მეფემან ქართლისამან მისცა ასული თვისი ანუჟა ცოლად ვახუშტი აბაშიძესა  
და ამითი უკუბირა ბიძასა მათსა, და შემოერთო მეფესა ზურაბ, სიმონ და  
ვახუშტი. და ესევეთართა საქმითა განწლიერდა მეფე გიორგი.

ხოლო უკუუდგა<sup>9</sup> ერისთავი მეფესა და მივიდა ლიპარტიანთა თანა.  
ამისმა მცნობმან შეფემან (!), დაესხა თავს ლიპარტიანს და გრცხავს და აოტნა  
30 იგინი, და განეზარჯვა მეფესა წელს ქრისტესით 1709.

ამათ ეამთა სთხოვეს მეფესა ლიპარტიანთ ძეთა, რათა შეეწიოს მამასა  
მათსა ზედა. უსმინა მეფემან, წარვიდა სპითა, ლიპარტიანი ვერ წინააღუდგა.  
და წარვიდა აფხაზეთს შარვაშიძისა თანა, და ოდიშს კაცია, ძე ლიპარტიანი-  
სა ყვეს დადიანად და ლეჩხუმი [231] მისცეს უმცირესსა ძმასა მისსა ბეჟანს<sup>10</sup>.  
35 და მეფე უკმოიქცა იმერეთადვე.

ხოლო ეამსა ამას არა ნწე ეყოფოდა მეფესა გურიელი, ვინათგან ერჩი-  
ვა აბაშიძესა. ამისთვის წარვიდა მეფე სპითა გურიას და გურიელი ვერ წინა-  
აღუდგა, მოსწვა, მოსტყვენა გურია და მოვიდა იმერეთს.

გარდიცვალა<sup>11</sup> დადიანი კაცია, ძე ლიპარტიანისა ხუნავისა პირითა. ეამ-  
40 სა ამას გამგონე ამისი ლიპარტიანი ზოვიდა აფხაზეთით და დიხპურა ოდიში,  
ეზრახა გურიელსა და შეერთო ცოლად ასული გურიელისა თამარ. ხოლო  
აბაშიძე წარვიდა ვახტანგ მეფისა თანა ქართლს და შეიწყნარა მან პატივი-

<sup>1</sup> თვისსა—A. <sup>2</sup> იყუნენ BC. <sup>3</sup> შარანოზ ABC. <sup>4</sup> ქუთათის ABC. <sup>5</sup> შენწყუდელულსა BC.  
<sup>6</sup> მიმართეს+აბაშიძისაგან A. <sup>7</sup> ქუთათის ABC. <sup>8</sup> უკუდგა A. <sup>9</sup> გარდაიცვალა B.

თა, ვინათგან იყო ამისწული მისი ვახუშტი სიძე მეფისა ვახტანგისა, რომელი უწინარეს მოვიხსენეთ.

ხოლო ვინათგან იყო მეფე გიორგი კუნდრუჯი და ანგარი, ამისთვის შეიზრახნენ ლიპარტიანი, რაქის ერისთავი, ბეჟან ლეჩხუმის ბატონი და აბასთან<sup>1</sup> იყო ზურაბ აბაშიძე; შეითქუნენ ესენი, მოიყვანეს გურიელი და ჰყვეს მეფედ. და გიორგი წარვიდა ქართლს ვახტანგ მეფესა თანა, და ისტუმრა დიდის პატივით გორს. და აბაშიძეცა იყო მისთანა, და ვახტანგ მეფემან ქართლისაძან ზაფ-ყო მათ შორის და აბაშიძე განუტევა იმერეთს და მოვიდა გურიელისა თანა, რომელი დროსა მას მეფობდა იმერთა ზედა. ხოლო გურიელმან დაიპყრა იმერეთი და გურჯიას გურჯელათ<sup>2</sup> ჰყო ეგ თვისი გიორგი. <sup>408</sup> 10

შემდგომად ამისა გიორგი მეფე წარვიდა სამცხეს, სადა შეიწყნარა ისაყფაშაშან დიდის პატივით და აღუთქვა შენწეობა. ახლდა მუნ [882] მეფეს აბაშიძე ზურაბ, განგდებული გურიელისაგან და ბიძისა მისისაგან.

ხოლო ახალციხით ეზრახა მეფე ბეჟან ლეჩხუმის ბატონსა, ლიპარტიანის ძესა, წარმოვიდა ახალციხით ლაშით, ახლდა თან ზურაბ აბაშიძე, გამოვლეს იმერეთი და მოვიდნენ ლეჩხუმს. შეიკრიბა ლეჩხუმის ჯარი ბეჟან და მოვიდა მეფით არგვეთს. აქედამ წარვიდა იმერეთის სპით გურიელი, რომელი მეფობდა მას ეანსა, ახლდა აბაშიძე, ერისთავი და გურჯულიცა<sup>3</sup>. და<sup>4</sup> იქმნა ბრძოლა ძლიერი და კინილა და განდრკენ მეფისანი. მაშინ მხელველი ამისი ბეჟან ლეჩხუმელი მოუხტა ზარჯენით კერძო მანაცად და სცემდა ძლიერად, 20 სადა მოჰკლეს წულუკიძე, და განსდრიკა მხარე იგი და შეუხტა შუაგულ რაზმთა შუა და აოტნა იმერთა სპანი, და ივლტოდა გურჯელი და წარვიდა რაქას. ხოლო გიორგი მეფემან დაიპყრა იმერეთი, და აბაშიძე წარვიდა საქართველოდვე.

ხოლო აქა ნაშთსა არჩილისასა ვიტყოდეთ. ოდეს წარვიდა რუსეთად, 25 მისრულსა აშტარხანს, მოეგება ძე თვისი ალექსანდრე, რომელი წარყვანა ხელწმიდესა დიდსა პეტრეს საფრანგეთს და ესწავლნა ხელოვნება ზარბაზან-ყუმბარისა<sup>5</sup> და ცეცხლ-სასროლისა. მივიდა არჩილ მეფე მოსკოვს და პატივით შეიწყნარა ჯეღწეოდმან რუსეთისაძან, მერვით მისცა მანული დიდი და ცნსა მისსა ალექსანდრეს ფელცებ<sup>6</sup> მებისტრობა (რომელ არს<sup>7</sup> არტილერიითა პირველი განგებლობა). შემდგომად ალექსანდრე ბრძოლასა შინა შეიპყრეს [888] შეგთელთა და წარიყვანეს პატიმრად სთაქოლმას<sup>8</sup>. და იყო მუნ ალექსანდრე, ხოლო არჩილ მოსკოვს. შემდგომად განუტევეს ალექსანდრე დროით, რათა იხილოს მამა და ცოლი თვისი, არანედ მოსული რიგას გარდიცვალა ალექსანდრე შირინის სენითა წელს ქრისტესით 1710 და მოსწყდა უძეოდ<sup>9</sup>. 35 ხოლო გვანჩი მისი მოიტანეს მოსკოვს, მისცა ხელწმიდემ<sup>10</sup> დონის მონასტერი სასაფლაოდ და დადღეს მუნ. ხოლო შემდგომად დიდითა მწუხარებითა მოკვდა არჩილ მეფე წელს ქრისტესით 1710<sup>11</sup> <sup>410</sup>) და დადღეს იგიცა დონს დიდითა პატივითა. ხოლო მანული მისი დარჩა ცოლსა მისსა, დედოფალსა ქეთევანს, და ასულსა მისსა დარეჯანს, რომელთა ეპყრათ აღსასრულანდე. <sup>411</sup> 40 ხოლო იმერეთს შეიზრახნენ გურიელი<sup>12</sup>, დადიანი, ერისთავი, აბაშიძე და ბეჟან ლეჩხუმის ბატონი. და შეკრბენ ესენი და მოვიდნენ ოკრიბას. აქეთ მეფე

<sup>1</sup> აბასთანა B. <sup>2</sup> გურიელად B. <sup>3</sup> გურჯულიცა A. <sup>4</sup> და—A. <sup>5</sup> ყეიმბარისა A. <sup>6</sup> ფელცებ BC. <sup>7</sup> რომელა BC, რულთა A. <sup>8</sup> სთაქოლმას ABC. <sup>9</sup> უძეოდ B. <sup>10</sup> ჯეღწეოდ BC. <sup>11</sup> და მოსწყდა უძეოდ... წელს ქრისტესით 1710—A. <sup>12</sup> გურიელი+და B.

იღვა ქუთაისს<sup>1</sup> სპითა იმერთათა, და ახლდა აბაშიძე ზურაბ და სიმონ. იქნა ბრძოლა ძლიერი და აოტნეს მეფე გიორგი. და წარვიდა ქართლს და იქიდაშ წარვიდა ახალციხეს ისაყ ფაშისა თანა.

არამედ ქაშა აშას მოკვდა<sup>2</sup> გურიელი მამია წელს ქრისტესით 1714, 5 იანვარს 5. წარიღეს გურიას და დაფლეს შემოქმედს, სასაფლაოსა მამათა მათასა. და იქნა გურიელად ძე მისი გიორგი. მცნობი ამისი მეფე გიორგი ჩამოვიდა ახალციხით და დაიპყრა იმერეთი. მაშინ განუტევა მეფემან გიორგი ცოლი თვისი როდამ, გიორგი მეფის [234] ასული; და შეირთო დაა ერისთვისა, მამია გურიელის ნაცოლარი. ჩამოვიდა მეფე ერისთვით და შოიშტიცა 10 დადიან-გურიელი.

ხოლო ბეჟან ლეჩხუმის ბატონი და ზურაბ აბაშიძე უკუდგენ და ეკირ- თებოდენ ქვეყანათა. და ბეჟანისა გამო გამდვარ<sup>3</sup> იყო პაატა მხიციცა.<sup>4</sup> მერმე სთხოვა ბეჟან ლეჩხუმელმან მეფესა და მისცა 4000 მარჩილი, რათა განაძოს მამამისი, ლიპარტიანი, და ჰყოს იგი დადიანად. თანხმა ექმნა მეფე 15 და წარგზავნა ერისთავი და აბაშიძე შემწედ მისა. და შეეერთა.<sup>5</sup> ბეჟან და მასთანა ზურაბ აბაშიძე და წარიღდენ ოდიშს. ვერ წინააღუდა ლიპარტიანი. და იქნა დადიანად ბეჟან წელს ქრისტესით 1715. არამედ ციხენი ეპყრნეს<sup>6</sup> კვალად ლიპარტიანსავე. მკირისა ხანისა შემდგომად ეცრუა მეფე ბეჟან და- დიანსა და შემეწე ექმნა ლიპარტიანსა, და იქმნა კვალად ლიპარტიანი დადიან- 20 ნად. და ბეჟან და ზურაბ აბაშიძე წარვიდა(!) ლეჩხუმს, ვინათგან ბეჟან ლეჩ- ხუმის ბატონი და ზურაბ აბაშიძე ერთი იყენენ ყოველსა საქმესა შინა. შემ- დგომად ამისა მოიყვანა თვისთა თანა მეფემან ლიპარტიანი და განაზრახა, რათა დალაშქროს ბეჟან ლეჩხუმს. მცნობმან ამისმან ბეჟან, ვინათგან არა დასცხრებდის შფოთება თვიანისა მამისა და მის შორის, ამისთვის მოაკუთუნა 25 მამამისი, მოიყვანა მისთანა, მოპარა ძილად მწოლარეს საქურველი თვისნი და მეთაყრა მანა თვისი ლიპარტიანი, თვისის ყმით, და პატიმარ ჰყო ციხესა 'ინა. მოიყვანა დედა თვისი, მიქლადის ასული, რომელი განუტევა ლიპარ- ტიანმან და მოუდგინა ქმარსა თვისსა. და იყენენ ზოგად ვიდრე აღსასრულად- მდე მათდა; ხოლო შთაშოვიდა ოდიშს, მოსრნა მიმდგომნი [236] მამისა<sup>7</sup> თვი- 30 სისანი და დაიპყრა ოდიში და იწოდა დადიანად.

ხოლო გიორგი მეფე ზამთარსა აშას მიუხთა ზურაბ აბაშიძესა და მო- სტყვენა მამულნი მისნი ბეჟანის სიყვარულისა გამო. ამისთვის ევედრა ბეჟან დადიანი და ზურაბ აბაშიძე ასლან ახალციხის ფაშასა და აღუთქვეს ქრთამი 35 დიდი, რათა მწე ეყოს მეფესა ზედა და ჰყოს მეფედ გურიელი. უსმინა ასლან ფაშამ<sup>8</sup> და წამოვიდა სპითა. აქათ მეფემან შეიკრიბა სპანი. ხოლო ფაშას მიეგებნენ ბეჟან დადიანი და ზურაბ აბაშიძე. იქმნა ბრძოლა სვიმონეთს და ივლტოდა მეფე და წარვიდა ქართლს წელს ქრისტესით 1715.<sup>113</sup> მოიყვანეს გურიელი<sup>114</sup> და ქმნეს მეფედ. მაშინ ერისთავი იყო ერთგულ მეთვისათვის<sup>9</sup>, 40 ეზრახენ<sup>10</sup> ერისთავსა, მისცა ერისთავმან ასული თვისი გულქან ცოლად ბე- ჟან დადიანის ძესა, ოტის, და ამით იქმნა მშვიდობა მათ შორის. და ღაშა წარვიდა ახალციხეს. ხოლო გურიელი, ვინათგან არლა მეფობდა ნებასა ზედა თვისნი, ამისთვის წარვიდა გურიადვე.

<sup>1</sup> ქუთაის ABC. <sup>2</sup> მოკვდა + მოკვდა AC. <sup>3</sup> განმდვარ A. <sup>4</sup> შეერთა A. <sup>5</sup> ეპყრნენ AC. <sup>6</sup> ეპყრნენ B. <sup>7</sup> მამისანი .ა. <sup>8</sup> ფაშას A. <sup>9</sup> მეთვისათვი A. <sup>10</sup> ეზრახნენ B.

მაშინ სამთა ამთ მთავართა განიყვეს იმერეთი სამ ნაწილად და დაიპყრეს თვის-თვისი მხარე. ხოლო გურიელსა გიორგის აღუშურდა დედა თვისი ელენა, მოიყვანა მონაზონ-ყოფილი ძე თვისი, განატყუებინა ბერობა, უწოდა ქიხიხოსრო და ქმნა გურიელად, მოიყვანა ქრთამითა დადიანი-ბეგან და მისთანა ერისთავი და ზურაბ აბაშიძე სპითა მათითა და განაძო გიორგი. ამთ 5  
მოარბიეს გურია, მიიღეს<sup>1</sup> ქრთამი და წარვიდენ.

მისრული ახალციხეს გიორგი გურიელი და მუნ მყოფი მეფე გიორგი ემზახლენ ურთიერთსა, რამეთუ შემდგომად შეპყრობისა ლიპარტიანისა [286] ცოლი ლიპარტიანისა თამარ, გურიელის ასული, წარვიდა გურიას<sup>118</sup> და ესე 10  
შეირთო მეფემან გიორგიმ.

ხოლო ახალციხეს ვერ შშოველთა შემწეობისათა<sup>2</sup> წარვიდენ მეფე და გურიელი სტამბოლს. და რა მივიდენ აზრუმს<sup>3</sup>, აზრუმის<sup>4</sup> ფაშამან მოსცა სპანი გურიელს; წარმოვიდა და მოვიდა გურიას, განაძო დედა და ძმა და დაიპყრა გურია. ხოლო მეფე წარვიდა სტამბოლს. კვალად გურიელობა გიორგისა 15  
შეუძნდა გურიის ერისთავსა და ნაკაშიძეს, ვინათგან იყვნენ მიმდგომნი დედისა და ძმისა მისისანი; ამთ მოუწოდეს ბეგან დადიანსა, რამეთუ ასული დადიანისა მეუღლეთ ჰყვა ბეგან ნაკაშიძის შეილსა გიორგის; მოსრულსა სპითა გურიას, დადიანს ვერ წინააღუდგა გურიელი და წარვიდა ბათომს. ხოლო დადიანმა მოსტყუენა გურია და წარვიდა ოდიშსავე. მოქცეულმან გურიალდე 20  
კვალად დაიპყრა გურია გურიელმან გიორგი.

ხოლო ამთ ეამთა<sup>119</sup> დედი მეგობარი და მოყვარული ერთმანერთისანი ბეგან დადიანი და ზურაბ აბაშიძე რომლითაჲ მიზეზითა დაუტყვეს მეგობრობა და შემოუვიდათ განხეთქილება. წარვიდა ბეგან დადიანი, მიუხბოა ზურაბ აბაშიძესა, ვერ წინააღუდგა ზურაბ და შევიდა სევრის ციხესა, და ბეგანმან მოსტყუენა მამულნი ზურაბისანი და მოვიდა ოდიშადვე. 25.

ამთ ეამთა<sup>120</sup> შეუჩინა ბეგან დადიანმა ყმანი მოყვრისა<sup>5</sup> თვისისა ერისთავისანი და დაიჭირა ძმა თვისი მანუჩარ და პატომარ პყო ციხესა შინა დეხვირისასა.

ამთ ეამთა<sup>121</sup> ეზრაბა გურიელი დადიანსა, რათა მისცეს ასული თვისი მას მეუღლედ, რომელი ჰყვა ცოლად ნაკაშიძეს [287] გიორგის. მისცა ნება 30  
ბეგან დადიანმან ქმნად ამისა. მაშინ გურიელმან განაგდო თვისით მამულით ერისთავი მისი და მერმეთ მოადგა ციხესა შინა მყოფს ნაკაშიძეს, აღილო ციხე, გამოიყვანა ცოლი ნაკაშიძისა, ქალი ბეგან დადიანისა, განუტყუა გურიელმან ცოლი თვისი, წარგავიძის ასული, და შეირთო ნაკაშიძის<sup>6</sup> ნაცოლარი და მოიმტკიცა გურია დადიანის გამო. 35

ხოლო სტამბოლს შთასრული გიორგი მეფე მოვიდა ახალციხეს და ბრძანებითა ხვანთქრისათა შემწე ექმნა ახალციხისა ფაშა სპითა, და მოვიდა იმერეთს. თუმცა არა სწადოდათ მთავართა მათ ზემოხსენებულთა, რომელთა ეპყრათ იმერეთი, მეფობა გიორგისა, გარნა ძლიერებასა მისსა ვერ წინააღუდგენ, და დაიპყრა იმერეთი. ხოლო გაზაფხულსა მას შეირაახნენ სამნი ესე 40  
ღიღ-შემძღვენი კაცნი: დადიანი, აბაშიძე და ერისთავი. და შეუჩინეს სიმონ აბაშიძე მეფესა გიორგის, რათა მოჰკლას იგი. ხოლო სიმონ თსმელის<sup>7</sup> ციხესა შინა წყოფი მეფე ისტუმრა, და ნადიმსა ზედა მოჰკლეს თვედროობის შაბათს წელს ქრისტესით 1720.

<sup>1</sup> ზოილეს ABC. <sup>2</sup> შემწეობისათა + და A. <sup>3</sup> აზრომს BC. <sup>4</sup> აზრომის ABC. <sup>5</sup> მოყვრისა C. <sup>6</sup> ნაკაშის A. <sup>7</sup> თან ხმელის ABC.

და კვლად განიყვეს იმერეთი სამთა მათ სამად და დაიპყრეს. იყო საქართველოს მეფისა თანა შვილი გიორგი მეფისა ალექსანდრე აღსაზრდელად, და რა მოჰქვას მამამისი, მოითხოვა ისაყ ფაშაჲან ალექსანდრე მეჲედ ყოჲად იმერეთსა ზედა. და მეფეჲან საქართველომამან ვახტანგ წარავლინა ნიჲითა დიდითა, და ხვანტარასა ებრძანა მეფობა ალექსანდრესი. მაჲინ შემოიკრიბნა ფაშამ სპანი და ჩამოვიდა იმერეთს. ხოლო ბეჲან დადიანმა და მასთანა ზურაბ აბაშიძემან არ<sup>1</sup> ინებეს მეფობა ალექსანდრესი<sup>2</sup>. მაჲინ მოადგენ [238] ცუცხვათის ციხესა ზურაბისას და აღიღეს ოსმალთა შეთხრით და დააყენეს მას შინა იენგიჩარნი, ხოლო ცუცხვათიდაჲმ წარვიდენ ლეჩხუმს ბეჲან დადიანსა ზედა და შევიდენ ლეჩხუმს და მოსწვენს, მოსტყვენს და, რამც ძალ-ედვა, ებრძოდა ბეჲან მხენ-ახოვანად. შემდგომად უკმოიქცენ ოსმალნი. გამოვლეს რაჲა და მოვიდენ ქუთათისს<sup>3</sup>. მაჲინ ეზრახა ბეჲან დადიანი ფაშასა და მისცა ქრთამად<sup>4</sup> 12 ქესა. რათა მოჰკვეთოს თავი ოტია ჩხვიძესა, ვინათგან იყვნენ მტერნი დადიანი და ოტია ჩხვიძე. მიიღო ფაშამ ქრთამი და მოჰკვეთა თავი ოტია ჩხვიძეჲ. განუტევა ფაშამ ერისთავი, ვინათგან მტერ იყვნენ დადიანი ბეჲან და ერისთავი. მოიყვანა ბეჲან დადიანი, ჰყო ალექსანდრე მეფედ იმერთა წელს ქრისტესით 1721, მოუდგინა ბეჲან დადიანი მოუზრედ და თვით წარვიდა ახალციხეს.

ხოლო ალექსანდრემან დაიპყრა იმერეთი, თვინიერ რაჲის ერისთვისა, მერმეთ ემზახლა ბეჲან დადიანსა და მისცა დადიანმან ასული თვისი მარიამ ცოლად. არამედ თუმცა იყო ალექსანდრე მეფედ, გარნა ბეჲან დადიანი იყო მოქმედი და მმართველი ყოვლის საქმისა.

ამა ფამსა წარვიდა აბაშიძე გიორგი ქართლს ვახტანგ მეუისა თანა და მოკვდა<sup>5</sup> ტფილისს წელს ქრისტესით 1722 და გვამი წარმოიღეს და დაფლეს კაცხს<sup>6</sup>.

ამათ ფამთა მეფე ალექსანდრე და ბეჲან დადიანი შემოადგენ ჯვარის ციხეს ოკრიბას, რომელი ეპყრა ერისთვის ძმას გედევანს გენათელსა, მეუთხარეს და აღიღეს.

ფამსა ამას ერისთავი შოშიტა მოუხთა მეფესა, სკანდას მყოფსა, ხოლო მეფე შევიდა ციხესა შინა სკანდას [239] და განერა, და ერისთავმან მოსწვა, მოსტყვენა, რაოდენიცა ჰპოვა, და წარვიდა რაჲას. <sup>419</sup>.

წელს ქრისტესით 1725 გამოვიდენ ოსმალნი ფოთს, აღაშენეს ციხე<sup>7</sup> და დასვეს დაშა. <sup>420</sup>

ხოლო შემწეობითა ბეჲან დადიანისათა შეუხთა რაჲას და მოაოხრა რაჲა მეფეჲან ალექსანდრე ნაცვლად სკანდას მოხლომისა. ეგრეთვე მეფე ალექსანდრე და<sup>8</sup> დადიანი ბეჲან მოადგენ შორაპანის ციხესა, რომელი ეპყრა ლეონ აბაშიძესა, გიორგის ძესა, და აღიღეს. და მას შინა დებული ქონება სრულიად წარიღო დადიანმა<sup>9</sup>, ხოლო ციხე მისცეს ზურაბ აბაშიძესა.

ფამსა ამას მიიკვალა გურიელი გიორგი და დაჯდა გურიელად ძე მისი მ. ში, ნაშობი შარვაშიძის ასულისა. ფამსა ამას გარდაიკვალა ერისთვის ცოლი მარიამ, მეჲის ქალი, და ჰყვეს ზავი დადიანმა, ერისთავმან. და მისცა ერისთავს დადიანმა ასული თვისი, ნაცოლარი გიორგი გურიელისა, ერისთავს ცოლად. ესე არა სასიამოვნოდ აღუჩნდა ზურაბ აბაშიძესა და შეასმინა

<sup>1</sup> არა B. <sup>2</sup> ალექსანდრესა ABC. <sup>3</sup> ქუთათის ABC. <sup>4</sup> ქრთამი B. <sup>5</sup> მოკვდა A. <sup>6</sup> კარცხს ABC. <sup>7</sup> და A. <sup>8</sup> დადიანმა A. <sup>9</sup> კარსა A.

დადიანი ისაყ ფაშასა. ხოლო ფაშამ წარმოავლინა ძე თვისი, უსუფ ფაშა და ჩამოვიდა იმერეთს, მიეგება მეფე და დასდგენ გეგუთს. ხოლო მიიწვია დადიანი ბეჟან უსუფ ფაშამან და მივიდა ურიდლად. და ოდეს შევიდა კარაესა<sup>1</sup> ფაშისასა, მაშინ დამალულმან დასცა ხანჯალი ბეკსა მაჰმად-ბეგ მესაქურქლემან ფაშისამან და მოჰკლა დადიანი ბეჟან, და თავი მისი წარგზავნეს წინაშე ხვანთქრისა წელს ქრისტესით 1728. და წარვიდა ფაშა ქართლს. და ბეჟანის წილ იქმნა დადიანად ძე მისი ოტია.

ხოლო ეაშა ამას შეიშურევენ [240] ოტია დადიანი და ძმა მისი კაცო, შეიპყრა ოტიაჲ კაცო და ნიბარა ერისთავს და მან პატიმარ ჰყო კვარას ციხესა შინა. ამით ეამთა მოადგა ერისთავი სადმელს, ციხესა იაშვილისასა. მაშინ მეფემან წარუგზავნა ლეონ აბაშიძე ერისთავსა თანა, ვინათგან ლეონ იყო დედით ძმა ერისთავისა, რათა მოეცალოს ერისთავი ციხესა იაშვილისასა. გარნა ერისთავმან შეიპყრა დალატით ლეონ აბაშიძე და წარუგზავნა დადიანსა, გარნა დადიანმა<sup>2</sup> პატივით განუტევა ლეონ. და შემდგომად მოვიდა ლეონ აბაშიძე მეფისა თანა.

ამით ეამთა მოკვდა ერისთავი შოშიტა და იქმნა ერისთავად ძე მისი გრიგოლ. ხოლო ეაშა ამას გაიპარა ძმა დადიანისა კაცო კვარიდამ და მივიდა მეფისა თანა. ამით ეამთა მოკვდა ცოლი მეფისა, ასული დადიანისა ბეჟანისა, და შემდგომად მეფემან შეირთო ასული ლეონ აბაშიძისა ცოლად და იქორწინა წელს ქრისტესით 1732. ხოლო მეფემან ასული თვისი, ნაპობი დადიანის ქალისა, მისცა ცოლად გურიელსა მამიას. იხილეს ესე, და ამისთვის დადიანმა<sup>3</sup> გარდაბირა მეფესა იმა თვისი მამუკა და მიიყვანა დადიანმა და შეერთო და თვისი ცოლად. შეიკრიბა დადიანმა ოდიშ-ლეჩხუმში და აფხაზნი, და შეეწია ერისთავი და ზურაბ აბაშიძე, და მივიდა დადიანი იმერეთს და დასდგა გეგუთს და აოხრებდა იმერეთს. ხოლო ალექსანდრე ვერ წინააღუდგა და შევიდა ქუთათისს<sup>4</sup> ლეონ აბაშიძით, და მოადგა დადიანი ქუთათისს<sup>5</sup>, გარნა ვერ აღიღო და მოეცალა.

ამით ეამთა მოვიდა ფაშა ფოთს, რათა უნეტესად დაიპყრას კიდურნი შავის ზღვისანი. ხოლო რა სცნა მეფემან ალექსანდრემ, მოვიდა ფაშისა თანა [241] და ერთად წარვიდენ ოდიშს<sup>6</sup>. გარნა არა მივიდა დადიანი და დახიზნულყო ყოველი ოდიში. მუნით წარვიდენ და მოსწვეს ეკლესია<sup>7</sup> წმინდისა<sup>8</sup> გიორგისა ილორს და აღწარცვეს კრამინტი ბრპენისა<sup>9</sup>. და მუნით შევიდენ აფხაზეთს, და შეურიგდა მარეაშიძე, მპყრობელი ზუფუსი, და მაჰმადიან ჰყვეს იგი და ყოველნი მისთანა მყოფნი და განვიდენ კოდორად. ხოლო ახლდა ყოველთა ამით საქმეთა შინა მეფე ალექსანდრე ფაშასა, რათა შემდგომად უკმობარუნებისა დაუმორჩილოს დადიანი ოტია. მაშინ განემზადა ფაშა წასასვლელად ჯიქეთს და აწვია მეფეცა, გარნა მციმედ აღუჩნდა ესე მეფესა და ღამესა მას გამოიპარა მეფე სპითა თვისითა და დილასა დევნა უყვეს ოსმალთა და მოეწივნენ პირსა ზედა ეგურისასა<sup>10</sup>. ხოლო იმერთა განაშავრეს კიდური მდინარისა და რამოდენითა მით კაცითა განერა მეფე და შოვიდა ციხესა შინა კაცო დადიანის ძისასა. და დანაშთენი იმერნი აილაფეს<sup>11</sup> ოსმალთა და აფხაზთა. ოდეს სცნა დადიანმა მოსლვა მეფისა ციხესა შინა კაცოსასა, მოადგა გარს რაოდენ დღემდე,<sup>(21)</sup> გარნა შემდგომად ზაეყვეს: მოსცა მეფემან მძევალი და წარვიდა იმერეთს წელს ქრისტესით 1733.

<sup>1</sup> კარსა A. <sup>2</sup> დადიანან A. <sup>3</sup> ქუთათის ABC. <sup>4</sup> გარნა ვერ აღიღო და მოეცალა... ერთად წარვიდენ ოდიშს—A. <sup>5</sup> ეკლესია B. <sup>6</sup> წმინდის A. <sup>7</sup> პრენისა AC. <sup>8</sup> ეგურისა A. <sup>9</sup> აილაფეს A.



შემდგომად ამისა უკუდგენ ფაშას<sup>1</sup> აფხაზნი და დაუწყეს პარგა, სროლა და კვლა<sup>2</sup>, და წარმოვიდა ფაშა ოდიშადვე. გარნა შეკრბენ აფხაზნი, დაესხენ ოსმალთა, და ფაშა ივლტოდა ზღვით. და ყოველნი სპანი მისნი აიალაფეს აფხაზთა<sup>3</sup> და სძლეს ყოვლითურთ, და მრავალნი მოიშენენ ზღვასაცა. და შემდგომად აფხაზთა<sup>4</sup> დაუტევეს მაჰმადიანობა, [242] დაიპყრეს თვისივე სჯული<sup>422</sup> (არამედ ძლევისა ამას იტყვიან სასწაულად წმინდისა გიორგისა ილორისასა, რამეთუ ღამესა ამას იტყოდა აფხაზთაგან<sup>5</sup> სულასა და განაძლიერებდა მათ ბრძოლად).

ხოლო შემდგომად ამათსა უკუბირეს კვალად მამუკა მეფესა დადიანმა, 10 ერისთავმან და ზურაბ აბაშიძემან, პეკრბენ სპითა მრავლითა და მოვიდენ ალექსანდრესა ზედა—ანუ მოჰქლან, ანუ განაძონ. მაშინ ალექსანდრემან, ჩიხორს მდგომმან, შემოიკრიბა გურიელი მამია, ლევან აბაშიძე, დადიანის ძმა კაცო და სხვანი იმერნი და შეიბნენ ჩიხორს. და მოისროდენ ორგინთვე უმრავნი, და სძლო ალექსანდრემ. ხოლო დადიანმა ოტია ბრძოლასა ამას შირნა განადიდა სიმხნე თვისი და სამაგალითოთა მიმაცობითა აღიდა სახელი თვისი<sup>6</sup>, რათა შუა რაზმთა შინა შესლევითა მოსრანა მრავალნი, გარნა შემდგომად ჰყრეს მას შეიდი თოდო და სამსა ადგილსა დაჰკოდეს ლეკურითა, და შემდგომად ესევეითარი დაკოდლი დაირჩინეს<sup>423</sup>; დაჰკოდეს ზურაბ აბაშიძის ძე დავით. ალექსანდრეს კერძოთ მოჰქლეს კაცო, ძმა დადიანისა, და გა- 20 მარჯვება დაშთა ალექსანდრეს კერძოთ წელს ქრისტესით 1734.

ხოლო დადიანი ოტია წარმოიყვანა მეფემან და დაადგინა მკურნალნი და განკურნა და სთხოვდა ლეჩხუმსა მეფე, გარნა არა ნება სცა დადიანმა. ეზარაბა ზურაბ აბაშიძის გამო დადიანი ისაყ ფაშასა და მისცა ქრთამი დიდი, რათა შვე ეყოს. მან წარმოავლინა მახმად-ბეგ<sup>7</sup> და გივი ამილახორი სპითა 25 ოსმალ-ქართველისათა და მოვიდენ საჩხერეს. ამის მსილველმან ალექსანდრემ [243] გამოართუა დადიანსა ოტიას საჭილაო-სამიქელაო და განუტევა დადიანი. მოვიდა მეფე საჩხერეს, მისცა დაჲ თვისი მახმად<sup>7</sup>-ბეგს და წარვიდა ოსმალნი. დაზადდენ დადიანი, ერისთავი და ზურაბ აბაშიძე მეფისა თანა და დაიპყრო იმერეთი ალექსანდრემან.

30 ამას განსა მოიყვანა მეფემან დავით აბაშიძე, ძე ზურაბისა, რ.მელე, იყო სიძე მეფისა ალექსანდრესი, და პაპუნა წერეთელი, და ორთავეს<sup>8</sup> თავი მოჰკვეთა ლალატითა და წარვიდა მსწრაფლად, რათა დაიპყრას მოღამნახის<sup>424</sup> ციხე. გარნა ცოლმან და ძემან ააუნასამან განამარგეს ციხე, და ვერ იშოვა მეფემ ციხე იგი. იხილეს რაჲ ესევეითარი<sup>9</sup> მოქმედება წარჩინებულთა, რამეთუ 35 ნებაეს ყოველთა მოწყვეტა, ამისთვის შეკრბენ დადიანი, ერისთავი გრიგოლ<sup>10</sup> და ზურაბ აბაშიძე. და ოდეს სცნა ესე ალექსანდრემან, მოითხოვა ლეკნი შანშე ქსნის ერისთავისაგან. და წარმოუგზავნა 500 ლეკნი. წარმოუძღვა ალექსანდრე და მოვიდა ოდიშს და ვერ წინააღუდგა დადიანი, და ალექსანდრემან მოსწვა, მოსტყვევა ოდიში და უქმოიქცა იმერეთადვე.

40 ხოლო განსა რაოდენისაშე შემდგომად შეიკრიბა დადიანმა<sup>11</sup> ოტიამ აფხაზნი და<sup>12</sup> ოდიშარნი, და მოერთვენ დადიანსა ერისთავი და ზურაბ აბაშიძე. და ვერ წინააღუდგა ალექსანდრე. გამოუშვა დადიანმა მარბიელნი და მოსწვეს სასახლე მეფისა ვარციხე წელს ქრისტესით 1740, მოსწვეს, მოსტყვენეს იმერეთი და უკუნე იქცა ოდიშადვე დადიანი ოტია.

<sup>1</sup> ფაშასა A. <sup>2</sup> კვლა A. <sup>3</sup> აფხაზთა AC. <sup>4</sup> აფხაზთა A. <sup>5</sup> აფხაზთაგან A. <sup>6</sup> მისი AC. <sup>7</sup> მახმად BC. <sup>8</sup> ორთავე ABC. <sup>9</sup> ესევეითარი A. <sup>10</sup> გრიგოლ BC. <sup>11</sup> დადიანმა A. <sup>12</sup> და—A.

ამათ გამოთა წარავლინა ალექსანდრე მეფემან ძმაჲ თვისი გიორგი და ლევან აბაშიძე ქართლს [244] ვახუშტი აბაშიძესა ზედა, რათა შეიპყრან იგი. და უცნობელად დაესხენ ტყემარს მყოფს, და ვახუშტი გამავარდა სახლსა შინა და დაიწყო თოფთა ცემა. მაშინ ამათ შეუღღეს ცეცხლი სახლსა მას. იხილა ვახუშტიმ ცეცხლი, გამოვარდა და მიენდო ბიძის ძესა თვისსა ლეონს. 5 მათ მოგვარეს მეფესა და პატიმარ-ყვეს ციხესა შინა ნაგარძეთს. სთხოვდა მეფე 500 ქესა თეთრსა და ციხესა ვახანს, და ესე არა ინება ვახუშტიმ მიცე-  
ზად. მერმეთ ზოვიდა კათალიკოსი დომენტი განტევებისათვის ვახუშტისა, გარნა არა პატივისცა ალექსანდრე. კვალად წარმოველინა ისაყ ფაშასა ცხენი აღკაზმული და ქურჭი და ოცი ქესა თეთრი, რათა განუტეოს ვახუშტი, და 10 არა ინება მეფემან. გარნა ისაყ ფაშამან აღუსრულა<sup>1</sup> თხოვნა ანუკა ვახტანგ მეფის ქალსა, ცოლსა ვახუშტი აბაშიძისსა და გაზაფხულს წარმოავლინა ფი-  
რიადის-შვილი<sup>2</sup>, სიძე თვისი, სპითა. ამას, ჩამოსრულს იმერეთს, შეერთდა დადიანი და სხვანი იმერთა თავადნი: იხილა რა მეფემან, დახიზნა ხიზანი თვისი ხარაგეულს<sup>425</sup> და თვით წარვიდა ქართლს წელს ქრისტესით 1741. 15 წარყვენ მეფესა მამუკა, ძმა თვისი, და ლეონ აბაშიძე, და ვახუშტი წარიყვა-  
ნეს პყრობილი. მაშინ მოიყვანეს გიორგი, ძმა ალექსანდრესი, ნაშობი გურიე-  
ლის ასულისა, და ქმნეს მეფედ. და წარვიდენ ოსმალნი. ხოლო ალექსანდრე, მისრულმან ქართლს, განუტევა ვახუშტი და თვით მივიდა ხანისა თანა, რო-  
მელი იყო შაჰ ნადირისაგან დადგენილი საქართველოსა [245] შინა. ხანმან 20  
ამან პირველად პატივისცა ალექსანდრეს და მერმეთ შეიპყრა. ამის მხილველი  
მამუკა და ლეონ, და სხვანი იმერნი იელტოდენ და მოვიდენ იმერეთსა. ხოლო  
მეფემან ალექსანდრე წარავლინა ელჩნი ვედრებად შაჰ ნადირისა დარუბანდს.  
შაჰ ნადირმან ელჩთა მიანიჭა პატივი და წარმოუვლინა კაცი რაყმით ისაყ  
ფაშასა, რათა ალექსანდრე ყოს იმერეთს მეფედ; უსმინა ისაყ ფაშამან და 25  
ალექსანდრე შთამოიყვანა იმერეთს და ყო მეფედ; და შეამტკიცა დადიანი,  
მისცა იმერეთი. და მერმეთ წარვიდენ ოსმალნი. ხოლო გიორგი, ძმა მეფისა,  
წარვიდა ოდიშს.

კვალად მცირედისა გამისა იქმნა მეფესა და<sup>3</sup> დადიანს შუა შური. ესე  
ალექსანდრე მეფემან აბრაღა დედის ნაცვალსა თვისსა<sup>4</sup> თამარ გურიელის 30  
ასულსა (რომელსა უწოდდენ<sup>5</sup> კოჭიბროლად<sup>426</sup>), შეიპყრა და მოჰკვეთა თავი.  
ხოლო დადიანი წარმოემართა სპითა და მოვიდა გეგუთს და შეერთა ერის-  
თავი გრიგოლ. ხოლო მეფე შევიდა ქუთაისს<sup>6</sup> და არა ეძლო ბრძოლა პირის-  
პირ. გარნა რომლისამე მიზეზისათვის უკმოიქცა დადიანი<sup>427</sup> და მომავალსა  
ეწიენენ იმერნი და დაუწყესთ თოფთა ცემა, მოჰკლეს ერისთავი გრიგოლ და 35  
იელტოდენ ოდიშარნი წელს ქრისტესით 1743. და ნაცვლად გრიგოლისა<sup>7</sup>  
ერისთავად ჰყვეს ძმა მისი ვახტანგ.

შემდგომად შერიგდენ მეფე და დადიანი, იქმნა მშვიდობა და მეფობდა  
ალექსანდრე იმერეთს. ხოლო რაოდენისა გამისა [შემდგომად] ამა მეფემან  
განძარცვა ხატი ყოვლად წმინდისა ღმრთის მშობელისა (რომელსა უწოდებენ 40  
ხახულისა [246] ღმრთის მშობელსა) და ამის<sup>8</sup> ძალით წარმოსცვიდენ ორნივე  
თვალნი, და მოკვდა თვესა მარტსა<sup>9</sup>, წელს ქრისტესით 1749.<sup>428</sup> და იქმნა  
მის წილ მეფედ ძე მისი სოლომონ.

<sup>1</sup> აღუსრულნა B. <sup>2</sup> ფილარადის-შვილი AC, ფილარიდის-შვილი B. <sup>3</sup> და—A. <sup>4</sup> თვსა B. <sup>5</sup> უწოდენ A. <sup>6</sup> ქუთაის AB, ქუთაის C. <sup>7</sup> გრიგორისა BC. <sup>8</sup> მის C. <sup>9</sup> წელს ქრისტესით 1743... მოკვდა თვესა მარტსა—A.

ესე პირველი სოლომონ იქმნა მეფედ იმერთა კაცი მხნე, ახოვანი და მამაცობასა შინა ქებული. ამან შეირთო მულღედ აფხაზეთის თავადის ზუფუს<sup>1</sup> მცხოვრების ინალისშვილის ასული.<sup>130)</sup> გარნა ვინათგან იხილა თვისი ნიერ დადიანისა მეუობა მისი შეუძლებელ არს, ამისთვის განუტევა ინალის-შვილის ასული და შეირთო ოტია დადიანის ასული მარიამ,<sup>131)</sup> რომელი იყო დედათა შორის ყოველად კეთილ-სახოვარ.

გარნა ეამსა ამას მძლავრებდნენ იმერეთს ოსმალნი და ეპყრათ იმერეთსა შინა ოსმალთა სიმაგრენი, ციხე ქუთათისისა<sup>2</sup>, შორაპანისა, ცუცხვათისა და ბალდადისა და მძლავრობდნენ დიდათ. გარნა მხნე-ახოვანებითა თვისითა<sup>3</sup> დიდათ წინააღმდეგობდა სოლომონ ოსმალთა, მრავალთა სრვიდა, მრავალთა ხოცდა და მრავალთა ატყევებდა, და ოსმალნიცა<sup>4</sup> მრავალჯერ გარდაადგებდნენ მეფობიდაჲ, გარნა კვალად მეფედ მოიქცეოდა შეწვენითა დადიანისათა და თვისითა მხნე-ახოვანებითა, და მრავალნი ძლიერნი სერესკალნი ოსმალთანი შეწვენითა დადიანისათა დაამარცხნა, დაარცხინა და უქუნაქცია.<sup>132)</sup> და ესრეთ მეფობდა მეფე სოლომონ.

ამან წინააღმდეგობისათვის თვისისა დაამდაბლა სახლი თავადთა აბაშიძეთაჲ თუმცა იყო სახლისშვილი აბაშიძისა მეფე [247] ესე, გარნა არა რიდა. და წარვიდა პაპა მეუისა ამის ლეონ აბაშიძე ახალციხეს და მოიცა ძალი ოსმალთაგან, და მოვიდა აბაშიძე იმერეთს დიდითა სერესკლებითა.<sup>133)</sup> მცნობ-  
 მან ამისმან მეფემან სთხოვა შუწვენა სიმავერსა<sup>134)</sup> დადიანსა ოტიას. და ვინათგან კაცი მამაცი დადიანი ოტია მოუძღვრებულ იყო მოხუცებულობისა განო, ამისთვის წარმოუვლინა<sup>5</sup> ღე თვისი კაცია შესაწვენელად სიძესა თვისსა მეფესა. და წარმოვიდა<sup>6</sup> კაცის სპითა ოდიშ-შლიჩხუმ-აფხაზთა, და აქათ მეფე-  
 მან შეიკრიბნა რამოდენიჲ იმერნი, გარნა უმეტესი მიბირებულ იყო აბაში-  
 ძის ლეონისა მიმართა, და შეერთებულნი მეფე და კაცია დადიანის ღე მიუხ-  
 თენ<sup>8</sup> ხრესისსა მყოფს ოსმალთა განდიდებულთა მხედრობათა და შეიქმნა  
 ბრძოლა სასტიკი, სადა მამაცად ბრძოდნენ მენგრელნი და ლეჩხუმელნი და  
 განსდრეივნეს თათარნი. მიეწინენ მენგრელნი და მოკლეს<sup>9</sup> აბაშიძე ლეონ, პაპა  
 მეფისა, შეიპყრეს აბაშიძე გედევან და მოჰყვარეს<sup>10</sup> მეფესა და შემდგომად  
 დასწვა თვალნი მეფემან. კვალად მენგრელთ შეიპყრეს გოლა ფაშა და სპასპე-  
 ტი მსჯედრობისა ამის ბაშალა და მოჰყვეთეს ორთავეს<sup>11</sup> თავი. და გაემარ-  
 ჯვათ დიდათ და სახელოვნად ნეცესა და დადიანა წელს ქრისტესით 1756:<sup>135)</sup>  
 რომელ კაცსა ერთსა მოჰყავდა ათი ოსმალნი შოებული<sup>12</sup> და აღიღეს ალაფ-  
 ბარგნი უმრავლესნი და თუმცა სადაჲმე განერა რაოდენიჲ ოსმალნი, ივლტო-  
 დნენ ახალციხეს. ხოლო მეფე და დადიანი მოიქცენ გამარჯვებულნი [248] სა-  
 ხლადე თვისად<sup>13</sup>. გარნა ღე დადიანისა მწუხარე იყო, ვინათგან მხლე მისი  
 შარვაშიძე ხუტუნია<sup>14</sup> მოჰკლეს ბრძოლასა აჰას შინა, რომელმანცა სიმაგალი-  
 თოდ წარმოაჩინა მამაცობა და სიმხნე მისი, სადა სხვათა სახელოვანთა  
 ბრძოლათა შორის ხრმლითა განჰკვეთა<sup>15</sup> თექვსმეტი ოსმალნი და შემდგომად  
 ოსმალთ რაზმთა შუაგულობასა მყოფი მოჰკლეს შარვაშიძე ხუტუნია.

ამათ ეამთა გარდაიცვალა დადიანი ოტია და იქმნა დადიანად კაცია. ამა წელს დაბნელდა მზე წელს (!) ქრისტესით 1758.

<sup>1</sup> ზუს A. <sup>2</sup> ქუთათისა ABC. <sup>3</sup> თქათა B. <sup>4</sup> ოსმალნიცა + და A. <sup>5</sup> მოხუცებულობისა გამო ამისთვის წარმოუვლინა—A. <sup>6</sup> და—A. <sup>7</sup> წარმოვიდა A. <sup>8</sup> მიუხდენ A. <sup>9</sup> მოკლეს B. <sup>10</sup> მოგვარეს A. <sup>11</sup> ორთავე ABC. <sup>12</sup> შოებული A. <sup>13</sup> თქდად BC. <sup>14</sup> ხუტუნია B. <sup>15</sup> გაჰკვეთა B.

შემდგომად რამოდენისამე ჟამისა კაცია დადიანმა განუტევა ცოლი ინალისშვილის ასული და მიიყვანა მეუღლეთ დიდითა და სახელოვანითა შხით- ვითა საქართველომსა და კახთა ცხებულის მეფის თეიმურაზის ასული, და<sup>1</sup> სახელოვანის მეფის ერეკლესი ელისაბედ, <sup>436</sup>) რომლისა ქებანი წარიწერებო- დენ ამა სამეფოთა და სამთავროთა კიდით-კიდედმდე. ხოლო შემდგომად 5 ორისა წლისა შობასა ზედა ყრმისასა მოკვდა<sup>2</sup> სანეტარო ესე დედოფალი ელისაბედ სამწუხაროდ და საგლოველად ყოველთა სამეფოთა საქართველომ- სსა და სამთავროთა სამენგრელომსათა, და დაფლეს ცაგერს, ვინათგან გარდა- იცვალა სამთავროსა სისახლესა მურს წელს ქრისტესით 1770. <sup>437</sup>) და შემდგო- მად მძიმისა გლოვისა შეირთო ცოლად დადიანმა კაციამ ასული პაატა წუ- 10 ლუქიძისა ანნა. <sup>438</sup>)

მეფემან ამან სოლომონ ოდეს იხილა, რომელ ვერ განთავისუფლდების ოსმალო შონებისაგან, [249] ამისთვის ევედრა როსისა იმპერატრიცას ეკატე- რინა მეორესა<sup>3</sup>. ამან წარმოუვლინა მხედრობა და აღიღეს ციხე ქუთათისისა<sup>4</sup>, შორაპანისა, ცუცხვათისა და ბაღდადისა და მრავალნი მოარნეს, მოსწყვიდ- 15 ნეს ოსმალნი და სხვა<sup>5</sup> დაშთომილნი განდევნეს. და იქმნა თავისუფალ მეფედ სოლომონ. ხოლო შემდგომად წარმოვიდენ, იწინამძღერეს დადიანი და შე- მოადგენ ფოთის ციხესა, გარნა ვერ აღიღეს, და შემდგომად განვლეს იმერე- თი და წარვიდენ საქართველოთი რუსეთადვე წელს ქრისტესით 1770. შემდ- გომად მცორესა წელსა მოვიდენენ კვალად რუსნი <sup>439</sup>) და შემოადგენენ კვალად 20 წინამძღვრებითა დადიანისათა ფოთს, გარნა ვერცა მაშინ აღიღეს და დასწა- მეს გამაგრება ფოთისა თავადსა სამენგრელოსასა <sup>440</sup>) ხახუს ჩიჩუას, შეიპყრეს რუსთა, წარვიდენ და თანა წარიყენენ ჩიჩუაცა, და მიიწივნენ რა მოსდოქს, მოკვდა მუნ ჩიჩუა და დაფლეს.

ამან მეფემან აღხოცა ერისთაობა რაჭისა, შეიპყრა ერისთავი რაჭისა 25 ოსტომ და ძე მისი გიორგი და სხვანი მცირწლოვანი<sup>6</sup> შეილნი მისნი და დასწვნა ამათ<sup>7</sup> ყოველთა თვალნი, ვინათგან სწამობდა ორგულეობასა და მ- ბულნი მისნი რომელნიმე მისცნა თავადთ წერეთელთ პაპუნასა და ძმასა მისსა ზურაბს და რომელნიმე თვით დაიპყრა სამეფოდ თვისდად.

ხოლო იყენენ მოყვარენი ესე ორნი<sup>8</sup> მეფე სოლომონ და დადიანი კაცია 30 დიდსა და სრულსა სიყვარულსა შინა ყოველითურთ, გარნა რომლისამე მიზე- ზითა და ავთა კაცთა მოქმედებისაგან სიყვარულისა წილ შეექმნათ [250] შუ- რი დიდი ურთიერთთა<sup>9</sup> შორის. და არბევდა მეფე ოდიშს მრავალჯერ და ეკირთებოდა, გარნა არცა დადიანი აყენებდა და მრავალჯელ<sup>9</sup> ესეცა არბევდა იმერეთ-რაჭასა და ესრეთ განვლო გამმან საქამომან<sup>10</sup>. 35

ჟამსა ამას გარდაიცვალა ღირსსახსოვარი დედოფალი იმერეთისა, მე- ულლე სოლომონ მეფისა მარამ, <sup>441</sup>) დაჲ კაცია დადიანისა. შემდგომად გლო- ვისა მეფემან ამან შეირთო წულუქიძის ასული გულქან, <sup>442</sup>) ნაცოლარი მიქე- ლაძის აზნაურის<sup>11</sup> ქაჯაიასი.

შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოკვდა ძე სოლომონ მეფისა ალექსან- 40 დრე <sup>443</sup>) და დაშთა მეფე უძეოდ და დაფლეს გელათს. ვინათგან ალექსანდრე იყო დისწული კაცია დადიანისა, ამისთვის წარვიდა დადიანი შესაფერითა

<sup>1</sup> და A. <sup>2</sup> მოკვდა A. <sup>3</sup> მესამესა ABC. <sup>4</sup> ქუთათისა ABC. <sup>5</sup> სხვანი A. <sup>6</sup> მცირწლო- ვანი A. <sup>7</sup> მათ A. <sup>8</sup> ურთიერთთა B. <sup>9</sup> მრავალჯერ A. <sup>10</sup> და ესრეთ განვლო გამმან საქამომან + და ესრეთ განვლეს ცხოვრება მათი A. <sup>11</sup> აზნაურისა A.

დიღებითა და მივიდა. გელათს და იტირა დისწული თვისი ალექსანდრე; თუმცა დიდი შური იყო მეფესა და დადიანს შუა, მაგრამ სიყვარულისათვის დისწულისა არა რიდა მისგლა<sup>1</sup> იმერეთსა შინა და მშვიდობითცა<sup>2</sup> მოიქცა.

- ემასა ამას ჰვლობდენ აფხაზეთსა შარვაშიძენი ზურაბ, ქელაიშ-აჰმედ-ბეგ<sup>3</sup> და ბექირ-ბეგ<sup>4</sup>. ამათ შეიკრიბნენ ჯიქნი, ალანნი, ზუზუა და მახუმა და ამასთან აფხაზეთი და წარმოემართენ დადიანსა ზედა. ვანუდგენ დადიანსა სამფლობელო თვისი, აფხაზეთნი, სამურზაყანოდ წოდებული, და მიერთვენ მათსხენებულთა შარვაშიძეთა. მცნობმან ამისმან დადიანმა შეიკრიბა სპანი თვისნი ოდიშ-ლექსუმისა და სვანეთისა და დაებანაკა რუხს კიდესა ზედა [251]
- 10 ეგურისასა. გარნა რა სცნო სიძრავლე და ძალი შარვაშიძეთა, მაშინ თუმცა იყვნენ<sup>5</sup> მტერად მეფე სოლომონ და დადიანი, გარნა მაშინცა მიუწერა ავთრათი მეფესა და შეუთვალა: „მოვიდენ აგარიანნი დასამხოებლად ჩემდა და სამფლობელოჲსა ჩემისა და შებღალვად ქრისტიანობისა და ნუ მოიხსენებ ჩვენ ორთა ურთიერთსა წყენებასა<sup>6</sup> და მოვედ შეგწვედ ჩემდა<sup>7</sup> სახელოვნითა
- 15 გულითა და აჰა ეამი მოიხსენო მათხურება ჩემი ხრესილის ბრძოლისა“. მოვიდა რა წერილი დადიანისა მეფისა თანა და წარმოქთველმან წერილისამან მსწრაფლ ბრძანა შეკრება იმერთ<sup>8</sup> სპისა და წარმოემართა სახელოვნად და მოვიდა დადიანისა თანა. მხილველი და მოხარული დადიანი მეფისა მიეგება და უამბორეს ურთიერთსა დამეიწყებელი (!) ყოვლითურთ შურისა ურთიერთისა, და დაებანაკენ მახლობელ ერთმანერთისა. შემდგომად რაოდენისამე ეამისა მოვიდენ აფხაზნი და მიურიდებლად გამოვიდენ ენგურს და დასდგენ პირისპირ მათსა. მეორესა დღესა ამხედრდენ აფხაზნი და წარმოემართენ ზარბაზან-არტილერიითა და დიდძალითა მხედრებითა მეფესა და დადიანსა ზედა. აქათ მიეგებნენ სპანი მეფისა და დადიანისანი, და შეიქმნა საშინელი ბრძოლანი. მაშინ მეფე ამხედრდა ჩვეულითა კისკასითა გულითა და წარუძღვა რამოდენისამე გუნდსა მხედრობასა იმერეთ- [252] ოდიშართასა და მიუხტა მარჯვენით კერძო მამაცად და მრავლისა ურთიერთისა ბრძოლისა განგლოჯა რაზმი, და შევიდენ სპანი მეფისა და დადიანისანი რაზმსა შუა. და მხილველი ამისი აფხაზნი ვერ წინააღიუდგენ, და იელტოდენ აფხაზნი, და განემარჯვათ
- 30 სახელოვანად მეფესა და დადიანსა; სადა მოივლნენ აფხაზნი<sup>9</sup> მრავალნი და შეპყრობილიცა წარმოიყვანეს მრავალნი ტყვედ, და გამარჯვებული და მხიარულ-ქმნილნი<sup>10</sup> უქმოიქცენ სახლადვე. და გარდაიხადა მეფემან თანამდები ხრესილისა. და მის ეამიდან იქმნა მშვიდობა ამა ორთა მეფეთა და დადიანთა შორის და სიყვარული შესაფერი წელს ქრისტესით 1780.
- 35 შეძღვომად რამოდენისამე ხანისა სიყვარულისა დასამტკიცებლად მოვიდა მეფე სალხინოს დადიანისა თანა, მონათლა ასული დადიანისა მარიამ, და შემდგომად მრავლის ლხინისა<sup>11</sup> და მრავლის საჩუქარისა მოვიდა მეფე კვალად ქუთათისს<sup>12</sup>.

- 40 დროსა ამას შეიშურენ ურთიერთისადმი შარვაშიძე ზურაბ, რომელი ფლობდა ზუფუს, და ძმისწული მისი ქელაიშ-აჰმედ-ბეგ, რომელი ფლობდა აყუს და მიმდგომსა მისსა. ამისთვის წარმოვიდა ზურაბ შერვაშიძე და მოვიდა კაცია დადიანისა თანა და სთხოვა შეწყვნა. უსმინა დადიანმა<sup>13</sup>, შეიკრიბა<sup>14</sup> სპანი თვისნი, აჩინა მხედართ-მძღვანელ ძმა თვისი გიორგი და წარგზა-

<sup>1</sup> მისგლა A. <sup>2</sup> მშვიდობით B. <sup>3</sup> ბექირ-ბეგ—A. <sup>4</sup> იყვენ C. <sup>5</sup> წყინებას C. <sup>6</sup> ჩემდა+და B. <sup>7</sup> იმერეთ B. <sup>8</sup> აფხაზნი A. <sup>9</sup> ქმნილი A. <sup>10</sup> ლხინის A. <sup>11</sup> ქუთათის ABC. <sup>12</sup> დადიანმან. A. <sup>13</sup> შეიკრიბნა A.

ენა აფხაზეთად. მივიდენ რა აფხაზეთს<sup>1</sup>, ურჩინი ზურაბისანი მოსწყვეს, მოსწყვიდეს<sup>2</sup> და შემდგომად მოადგენ ცხომის ციხეს, სადა მამაცად<sup>3</sup> ბრძოდენ ციხით გამო მეციხოვნენი ქელაშ-აჰმედ-ბეგისანი. გარნა სიმხნე-მამაცობითა საქებელითა აღილო ციხე იგი გიორგი დადიანის ძემან და მოიქცა გამარჯვებული კვალად ოდიშადვე.<sup>444</sup>

5

შემდგომად ემზახლენ<sup>4</sup> ერთმანერთს კაცია დადიანი და ზურაბ შარვაშიძე, და ასული ზურაბ შარვაშიძისა [258] რუსუდან მოუყვანა დადიანმა მეუღლედ ძესა თვისსა მანუჩარს.

შემდგომად ეამისა რაოდენისამე იწადა მეფემან, რათა მიუხტეს ჩაქვს ოსმალთა და შემუსროს იგი; შეიკრიბნა სპანი იმერელთანი და მიუხტა ჩაქვს, 10 გარნა უკომბრუნებულს ეწივნენ რამოდენნიმე ჩაქველნი, დაუწყეს<sup>5</sup> თოფთა ცემა, დაკოდეს<sup>7</sup> სარდალნი, წულუკიე ბერი და აგიაშვილი ქაიხოსრო, მოკლეს მრავალნი წარჩინებულნი თავად-აზნაურნი და ცოცხალნიცა დაიმორჩილნეს.<sup>8</sup> და მოიქცა მეფე იმერეთს დიდათ დამარცხებული.<sup>445</sup>

შემდგომად ამისა<sup>9</sup> ამავე წელს, თვესა აპრილს კგ, დღესასწაულსა წმინდისა გიორგისასა ჩვეულებათ აქვსთ შეკრება ხონს დღესასწაულობად. მაშინ მეფემან მოიწადა ქუთაისით მუნ წამოსლეა შექცევად, და დილას რა აღეშადა, მოგვარეს ცხენი შესაჯდომად. მაშინ ანაზდად მოულოდებელითა სიკვდილითა გარდაიცვალა წელს ქრისტესით 1784<sup>446</sup> და დაფლეს გელათს, და გარდვიდა უძეოდ და იქმნა უმემკვიდროდ იმერეთი.

15

ხოლო იყო მას ეამსა ორნი ბაგრატიონთა<sup>10</sup> ძენი: ერთი ბიძის ძე, მეფისა 20 დავით გიორგის ძე, ხოლო მეორე იმისწული მეფისა დავითვე არჩილის ძე. ხოლო იწადეს იმერთა რომელმანმე იგი და რომელმანმე ესე მეფედ. გარნა დავით გიორგის ძე იყო მამიდასშვილი დადიანისა, და იყო სიძე მისი პაპუნა წერეთელი, რომელი მას ეამსა იმერეთსა, შინა წარჩინებულ იყვენ წულუკიე ბერი და იგი ხსენებული წერეთელი პაპუნა, და ამა ორთა მოიწადინეს და 25 შემწყობითა დადიანისათა იქმნა იმერთა ზედა მეფედ დავით გიორგის ძე. ხოლო არჩილის ძე წარვიდა საქართველოდ მეფისა ირაკლისა თანა, ვინათგან იყო შვილისშვილი მისი დედით და იყო მუნ.

<sup>1</sup> აფხაზეთს A. <sup>2</sup> მოსწყვიდნეს B. <sup>3</sup> სადა მამაცად + სადა მამაცად A. <sup>4</sup> ემზახლნენ A. <sup>5</sup> დადიანმა A. <sup>6</sup> დაუწყესთ B. <sup>7</sup> დაკოდეს A. <sup>8</sup> დაიმორჩინეს C. <sup>9</sup> ამის A. <sup>10</sup> ბაგრატიონთა A.

[ 4 0 8 6 0 III ]

[წინასიტყვაობა]

[254] თუმცაღა განმეორებით ახლად შეესთხზენ ესე ქართველთ<sup>1</sup> ცხოვრებად დაბითთა ძირასითა და ლექსნი განვაშვენენ და წინაუკმო დაესდევ და უმჯობეს სასმენელად და საგულხმოდ განვჰკარგენ, გარნა ძალნი საქმეთანი და მოთხრობანი არცაღა დამიმცირებთეს და არცა დამიმატებთეს მის უწინდელთა ქართველთ მეთრობითაგან და ნანდვილნი იგი დამილდვიეს, ვითარ ეიხილე მას შინა.

ხოლო პირველის სოლომონ მეფიღამ წყებული ვიდრე აქამომდე და ესე 10 შემდგომნი ამისა წარწერილნი ისტორიანი ანუ მოთხრობანი ქართველთა და შემდგომთა მისთანი ჯერეთ არღა აღწერილ არიან არცა ცველსა და არცაღა ახალსა ქართველთ ისტორიასა შინა, ვინათგან არა იყო ჯერეთ საქმენი ესე ნამყო-სრულად. ამისთვის მე თანამდებად შევრაცხე თავი ჩემი, ვითარცა შეილმან მამულსაჲმან, და ესე შემდგომნი მოთხრობანი ანუ ისტორიანი, რომელნი 15 ნიმე სმენილნი და რომელნიმე თვით ჩემგან ხილულნი, აღვსწერე სახსოვრად და სასარგებლოდ ყოველთა მოყვარეთა მეთრობითასა.

და მე ვალად<sup>2</sup> დავსდებ ყოველთა შეილთა მოყვარეთა მამულსა ჩენისათა: ოდეს მე არღა ვიქმნები სოფელსა ამას<sup>3</sup>, მაჲინ ნუ დაუტევებთ შემდგომთა ქმნილთა სახსოვართა საქმეთა, რომელ არა აღწეროთ, რათა ჩვენსა<sup>4</sup> 20 ქვეყანასა ჰქონდეს ხსოვნაჲ სხვათა ქვეყანათა თანა და იცოდენ განათლებულთა შეილთა ნამყოფნი საქმენი მამულთა თვისთანი, რათა მით უმჯობეს მართონ თავი თვისი, და ჩვენცა გვექონდეს ხსოვნაჲ.

[255] აწ მოვიქცევი თქვენდამო<sup>5</sup> და უმორჩილესად გთხოვთ და გემოქმენებით და თხოვასა და მოქმენობასა თანა ვაფიცებთ მას, ურომელოსა ღვთაებასა, უკეთუ სათნო გექმნასთ და ინებოთ ვინმემ გარდაწერა ამა ჩემ-მიერ 25 ქმნილისა ანუ თხზულისა წიგნისა, ნუცა ჩემგან აღწერილსა წინასიტყვაობასა წინამდებარისა ამის წიგნისასა და ნურცა ამას, რომელი<sup>6</sup> აქ აღწერილი არიან, ნუ დაუტევებთ, რომელ არა აღწეროთ სახსოვრად ჩემისა ვინაობისა, და მქონდეს ხსოვნაჲ შენდობითა, რათა თქვენცა<sup>7</sup> მოგმადლოს ღმერთ-მამაკაცმან 30 ყოველნი თხოვანი თქვენნი<sup>8</sup>.

უმორჩილესი მოსამსახურე თქვენი, თავადი ნიკოლაჲ<sup>9</sup> დადიანოვი პირველი.

<sup>1</sup> ქართველ BC. <sup>2</sup> ვალთ B. <sup>3</sup> ამას—A. <sup>4</sup> ჩუნსა<sup>10</sup> B. <sup>5</sup> თქუშნდამო B. <sup>6</sup> რომელნი A. <sup>7</sup> თქუშნცა B. <sup>8</sup> თქუშნნი B. <sup>9</sup> ნიკოლაოზ A.

იქმნა მეფედ იმერთა ზედა დავით გიორგის ძე. ამან დაიდგინა გან-  
მზრახად და პირველ კაცად ქსნის ერისთვის ძე ელისბარ, რომელი იყო სიძე  
გარდაცვალებულისა მეფისა სოლომონისა. ესე შეიშურვეს იმერთა. და გან-  
დგენ მეფისაგან წულუკიძე ბერი და პაპუნა წერეთელი, და სწადლოდათ მეფო-  
ბა დავით არჩილის ძისა, გარნა შეეწია დადიანი კაცია და წარგზავნა სპანი 5  
ოდიშისანი და წარუტყვანა სპათა ძმა თვისი გიორგი.<sup>447</sup> განვიდენ ოდიშარ-  
ნი და მოსწვეს, მოსტყუენეს ქარჩხაბს სასახლე ბერი წულუკიძისა და ეგრე-  
თვე სრულსა იმერეთსა შინა, სადა ჰპოვეს ორგულნი დავით მეფისანი, გა-  
მოელეს იმერეთი და დამძევლეს და გარდაყარნეს წულუკიძე და წერეთელნი,  
წარმოვიდენ ოდიშარნი, [256] გარდმოვლეს საწალიკე, ჩამოვიდენ რაქას და 10  
იგიცა დაიმორჩილნეს, აღილეს ხიდის კარი რაქას, რიონს მდგომარე, და წარ-  
ვიდა ძმა დადიანისა გიორგი<sup>1</sup> და სპანი ოდიშისა გამარჯვებულნი ლეჩხუმით  
ოდიშად და მეფე დასტოვეს მშვიდობით იმერეთს.

წასრულთა<sup>2</sup> წულუკიძეთ და წერეთელთა იმეცადინეს და იშოვნეს ჯარნი  
ლეკისანი რამოდენიმე და მოვიდენ რაქას და მიიბირნეს რამოდენიმე იმერ- 15  
რაქველნი. მცნობმან მეფემან სთხოვა შეწვენა დადიანსა კაცისა. ხოლო და-  
დიანმა წარმოგზავნა სპანი თვისნი ოდიშ-ლეჩხუმს და მოვიდენ რაქას, სადა  
იყვნენ დაბანაკებულნი ლეკისა და თათრის ჯარნი. და იყო მუნ წულუკიძე  
ბერი და წერეთელი პაპუნა, და ჰყვანდათ სამეფოდ დავით არჩილის-ძე, და  
მივიდენ მათთანა მრავალნი იმერნი. ხოლო მირა-ვიდენ სპანი დადიანისანი 20  
და რა დილა გათენდა, ეწყვენ ურთიერთარს, და იქმნა ბრძოლა ძლიერი, და  
იოტნეს ოდიშ-ლეჩხუმთა ლეკნი და თათარნი, დასტრეს პაპუნა წერეთელი და  
მრავალნი დახოცნეს. და დავით არჩილის ძე და ბერი წულუკიძე და დაპრი-  
ლი პაპუნა წერეთელი შევიდენ კვარას ციხესა შინა. და დაშთოილნი ლეკნი  
და თათარნი დამაგრდენ სხევეს სახლსა ბელელსა და საბზელსა შინა, და იყო 25  
მუნით ბრძოლა ლეკთაგან საქმაო. მოადგენ გარს ოდიშ-ლეჩხუმნი. და თუმცა  
მამაცად და სახელოვნად იბრძოდენ ლეკნი და მოჰკლეს სიმაგრითგამო მრავ-  
ალნი სახელოვანნი<sup>3</sup> მამაცინი ოდიშარ-ლეჩხუმელნი, გარნა ლეკნი გამოსწვეს  
სახლსა შინა, მოჰკლეს, მოსწყვიდეს, [257] ერთიცა ცოცხალნი არა წარსრულ  
არჩან, და გაემარჯვათ სახელოვნად ოდიშარ-ლეჩხუმელთა, სადა წარმოაჩინეს 30  
სრული მხნეობა და მოიქცენ გამარჯვებულნი სახლადვე თვისად დიდითა  
ალაფითა შობებულნი.

იყო მშვიდობა და სიყვარული შორის ამა მეფისა და დადიანისა. ესმსა  
ამას იყო გურიელად მამია. და ფლობდენ აფხაზეთს დადიანის საზღვარს  
იქით შარვაშიძე ზურაბ, ზუფუს და აყუს ციხესა შინა იყო ქელაიშ-აჰმედ-ბეგი 35

<sup>1</sup> და—A. <sup>2</sup> წასრულთა A. <sup>3</sup> სებლანნი B.



და ეპყრა მასლობელნი მისნი. და ფლობდა მგა-სოფელად წოდებულს აყუს საზღვრიდამ ვიდრე ღალიძგამდე ძმისწული ზურაბისა ბეჭირ-ბევ. ხოლო გურიელი მამია დაუძღურდა მოხუცებულებისა<sup>1</sup> გამო, დაუტევა გურიელობა და იქმნა მონაზონ. და იქმნა ძმა მისი გიორგი გურიელად. მოჰკვდა გურიელი

5 გიორგი და იქმნა ძე მისი სიმონ გურიელად.  
შემდგომად ამისა რაოდენისამე ქაშისა დასწევულა დადიანი კაცია, და ოდეს სცნა განსლვა თავისა თვისისა ამიერ სოფლით და ხედვიდა ძეთა თვისთა მცირწლოვანთა, ამისთვის მოიყვანა მეფე დავით, და ძენი თვისნი ხელთა მისთა მიიბარა და სთხოვა, რათა მოიხსენოს მსახურება მისი და ღვაწლნი, 10 რომელნი უჩვენებდეს მას წანაზე მისა სპითა თვისითა, და შეეწიოს ძეთა მისთა და იქმნეს ნაცვლად მისა მამად ძეთა დადიანისათა მცირწლოვანთა ყრმათა. მაშინ მეფემან აღუთქვა ფიცითა შემწეობა და ნაცვლად მისა მამობა შეიღთა დადიანისათა, და წარვიდა იმერეთს. და შემდგომად სამისა დღისა გარდაიცვალა [258] დადიანი კაცია, მთავართა შორის: ღირსსახსოვარი, და 15 დაფლეს მარტვილს სამარხოსა მამათასა წელს ქრისტესით 1788 და ქმნეს მთავრად სამენგრელოხსად დადიანად ძე კაციასი გრიგოლ თვარაშვილისა წლისა.

ხოლო მეფემან დავით დაიფიწყა კეთილობა კაცია დადიანისა და ანდერძიცა მისი და განიზრახა<sup>2</sup>: ვინათგან<sup>3</sup> არეინ არს შემძლე ძეთაგან კაცია დადიანისათა დაპყრობად მთავრობისა სიყრმისა გამო, მე დაევიყრობ სამთავროსა სამენგრელოხსასო. და შემდგომად ორის თვისა კაცია დადიანის გარდაცვალებისა შეიკრიბნა სპანი იმერეთისანი დავით მეფემან და მოუხდა ოდიშს და მოსწვა, მოსტყუენა ოდიში და გარდიბირნა მრავალნი ოდიშარნი<sup>4</sup> და ძმა გრიგოლ დადიანისა მანუჩარ და სხვანი თავადნი და მრავლითა ტყუითა შოებულნი<sup>5</sup> წარვიდა კვალად იმერეთს.

25 ხოლო დადიანი გრიგოლ სიყრმისა გამო ვერაწინააღმდეგ ექმნა და წარვიდა ლეჩხუმს. შემდგომად შეკრბენ სამენგრელოს სამთავროს დიდებულნი: ძმა დადიანისა კაციასი გიორგი, ბიძაშვილი დადიანის კაციასი კვალად გიორგი კაცოს ძე და ძმისწული დადიანის კაციასი კვალად გიორგი ნიკოლოზის ძე, <sup>(6)</sup> და ამათთან გელოვანი ქაიხოსრო, სამენგრელოს სამთავროს სახლთუხუცესი 30 გიორგი ჩიქოანი, და ვინათგან სცნეს, რომელ მეფე დავით ნაცვლად კეთილობისა<sup>6</sup> შეცადინობს ბოროტის შემთხვევასა გრიგოლ კაციას ძის დადიანისასა, ამისთვის განიზრახეს და წარგზავნეს კაცი და მოიყვანეს საქართველრდამ დავით არჩილის ძე ბაგრატიონი, ძმისწული პირველის სოლომონ [259] მეფისა, რომელი ზემო ვახსენეთ, გარნა ესეცა ყრმა და მოიყვანუს ლეჩხუმს, 35 სასახლესა მურს და მისცეს მეუღლედ ასული დადიანისა კაციასი და დაგრიგოლისი მარიამ და უკურთხეს გვირგვინი და ქმნეს ქორწილი.

და შემდგომად ქორწილისა შეიკრიბნეს სპანი ლეჩხუმისანი და წარმოემართნენ ესე ორნი ყრმანი, მიმდობელნი ღმერთისანი, და მოვიდენ ოდიშად ხუნწს და მუნ მიერთუნენ ოდიშისა სპანი ყოველნი, თვინიერ მიბირებულისა 40 მეფისა, და დაიბანაკეს ხუნწს. ოდეს სცნა ესე მეფემან დავით, შეიკრიბა სპანი იმერეთისანი და მასთანა იშოვნა ჯარიცა ლექისა და დიდითა მოქადულეებითა წარმოემართა ამა ორთა ყრმათა, დავითსა და გრიგოლსა ზედა, რომელი არარად რაცხვიდა და მოქადული იტყოდა: მრცხვენის ყრმათა მათ ბრძოლა,

<sup>1</sup> მოხუცებულობისა B. <sup>2</sup> განიზრახ B. <sup>3</sup> ვინათგან B. <sup>4</sup> ოდიშარნი—A. <sup>5</sup> შოებულნი A. <sup>6</sup> კეთილობისა—A.

გარნა შევიპყრობ. ყოველსა მენგრელთ დიდთა კაცთა და ამით დავიპყრობ  
სამენგრელოსაო. და მოვიდა და დაებანაკა გაღმით ცხენის წყლისა ხონის  
მახლობლად<sup>1</sup>. შემდგომად რაოდენისამე დღისა წარმოემართა მეფე დავით  
სპითა დადიანსა და დავითს ზედა. აქათ თუმცა იშიშვოდენ მეფის სპის სი-  
მრავლისაგან ოდიშარნი, გარნა ამამაცეს გულნი და ვინათგან ცხენის წყალი 5  
განდიდებულ იყო და ვერა გავიდოდა ქვეითნი, ამისთვის სპანი მენგრელთ  
ქვეითისანი<sup>2</sup> წარგზავნეს ბუნბუას ხიდზედ გასასვლელად<sup>3</sup> და წარუძღვანეს  
ქვეითს სარდლათ სამენგრელოს სამთავროს სახლთუხუცესი გიორგი ჩიქოანი,  
რომელმანცა მამაცობა თვისი მას გამსა წარმოაჩინა: განვიდა ხილსა ზედა და  
დაებარგა [260] გაღმით ხუნწისა მათხოჯის ქვეჲ. და რა იხილეს. ესე მენ- 10  
გრელთ სპამან ცხენოსნისამან, განვიდენ წყალსა პირისპირ ხუნწისა. და გა-  
სვლასა<sup>4</sup> თანა ეკვეთნენ ურთიერთას<sup>5</sup> და შეიქმნა ბრძოლაჲ და შემდგომად  
დიდისა ბრძოლისა უქუნაქციეს მოქადულობა მეფისა და გაიქცენ სპანი იმერ-  
ლეკისანი<sup>6</sup>, და გაემარჯვა დადიანსა გრიგოლს და დავითს სამეფოსა კაცსა,  
სადა მენგრელთ დიდი მხნეობა წარმოაჩინეს წელს ქრისტესით 1789. 15

ხოლო მენგრელთა შევიპყრეს და მოჰკლეს მრავალნი იმერნი და უმეტეს-  
ნი თავად-აზნაურნი ცოცხალნი დაინარჩუნეს და მოართვეს დადიანსა. და  
აქითცა<sup>7</sup> მოჰკლეს მრავალნი მენგრელნი<sup>8</sup> და მათ შორის ძე ქაიხოსრო გე-  
ლოანისა მანუჩარ. მიჰყვენ უჟანით გაქცეულსა მეფეს დავითს და მივიდენ  
ქუთათისს<sup>9</sup>, აღიღეს ყოველნი ციხე-სიმაგრენი იმერეთისანი, მოიყვანეს ყოველ- 20  
ნი იმერთა დიდებულნი და მიათვალეს დავითს, და დასვეს მეფედ ქუთათისს<sup>9</sup>  
და უწოდეს სახელად სოლომონ. და მოიქცა გრიგოლ დადიანი დიდი გამარ-  
ჯევებული სპითა თვისითა სახლად თვისად, ხოლო დავით წარვიდა ლტოლვი-  
ლი ახალციხედ.

იქმნა მეფედ იმერთა ზედა სოლომონ, ძე არჩილისა, და დაიპყრა ყოვე- 25  
ლი იმერეთი და იქმნა დიდი სიყვარული შორის მეფისა და დადიანისა. ხო-  
ლო ეამსა მას მთავრობდა გურიასა შინა სიმონ, გიორგი გურიელის ძე, და  
აფხაზთა შორის<sup>10</sup> ქელაიპ-ამჰედ-ბეგ შარვაშიძე. ეამსა ამას მოიყვანა მეულ-  
ლედ გრიგორი დადიანმა საქართველოსა და კახთა მეფის ერეკლეს შვილის-  
შვილი ნინა, და ამის შემდგომად წარიყვანა მეულლე თვისი [261] მეფემან 30  
სოლომონ მარიამ, გრიგოლ დადიანის დაჲ. და იყო მშვიდობა და მხიარულება  
ამათ შორის.

გარდავარდნილი მეჲე დავით იყო თათართა შორის ახალციხეს და მო-  
იცა მუნით ძალი და ჩამოიყვანა რამოდენიმე ლეკთა და თათართა მხედრობა  
და მოვიდა იმერთად და დასდგა ზორეთს. 449) მცნობმან ამისმან ახალმან მე- 35  
ფემან სოლომონ შეიკრიბა სპანი იმერელთანი და მიმართა მათ, და ვინათგან  
იყვნენ მცირე მხედრობა დავითისა, ამისთვის შემოივლეს სანგალნი და დად-  
გენ მას შინა. და ვინათგან იხილეს სოლომონისთა სიმცირე მათი, არ დარი-  
დეს სიმაგრესა<sup>11</sup> სანგრისასა და შეუტივეს იმერთა. მაშინ გამოვიდა სანგრით-  
გან<sup>12</sup> სიმონ აბაშიძე, ნიკოლაოსის ძე, რომელი ახლდა დავით მეფესა, ვი- 40  
ნათგან იყო სიძე მისი<sup>13</sup> და დაუდგა შეტევებულსა სიმაგრესა. მაშინ მიმართა

<sup>1</sup> მახლობლად A. <sup>2</sup> ქვეითისანი C. <sup>3</sup> გასასვლელად—A. <sup>4</sup> გასვლასა A. <sup>5</sup> ურთიეთას  
A. <sup>6</sup> იმერულ-ლეკისანი A. <sup>7</sup> აქითცა B. <sup>8</sup> მენგრელნი C. <sup>9</sup> ქუთათის ABC. <sup>10</sup> შორის—A.  
<sup>11</sup> სიმაგრესა—A. <sup>12</sup> სანგრიდამან B, სანგრიდგან C. <sup>13</sup> მისი—A.

რა მებაირახე მან შეფისა სოლომონისა მან, გარდმოაგდო<sup>1</sup> მებაირახე და წა-  
 რილო ბაირახი შეფისა და დასცა თავსა სანგრისა მათისასა. და ოდეს იხი-  
 ლეს ესე იმერთა, უკუნიქენ და ივლტოდენ იმერნი, და სდეედენ თათარნი  
 და ლეკნი, და რომელნიმე<sup>2</sup> შეიპყრეს და რომელნიმე მოჰკლეს, და გაემარჯვა  
 5 დავითს შეფისა. წარმოვიდა მეფე დავით და მოვიდა ლომსიათ-ხეგს და რა-  
 მელნიმე იმერნი შეიკრიბნა. ხოლო სოლომონ წარვიდა საჩხერეს სასახლესა  
 წერეთლისასა, რომელ წერეთელი პაპუნა და ზურაბ დიდათ ერთგულებდა<sup>3</sup>  
 სოლომონს. ეამსა ამას<sup>4</sup> მოკვდა წერეთელი პაპუნა. მაშინ მუნ მყოფმან სო-  
 ლომონ მეფემან სთხოვა შეწევნა საქართველოდს მეფესა ირაკლის, პაპასა  
 10 თვისსა, და ცოლისძენას თვისსა გრიგორი დადიანსა. და წარმოაგლინა<sup>4</sup> ირა-  
 კლი მეფემან [262] შეილისწვილი თვისი იოანე სპითა შესაწევნელად სოლო-  
 მონისა, ხოლო გრიგორი დადიანი—აქეთ სპითა თვისითა. მოვიდა რა სა-  
 ზღვარსა იმერეთისასა შეფის ძე იოანე, მიეგება სოლომონ მეფე და მოუხდენ  
 დავითს და ქმნეს ბრძოლა და იოტეს დავით. და აქით მოვიდა გრიგორი<sup>5</sup>  
 15 დადიანი დიდისა სპითა და აღილო ქუთათისი, გამაგრებული დავით შეფისა-  
 გან. მაშინ შეკრბენ სპანი საქართველოდსა მეფისანი და დადიანისანი და  
 დაიპყრეს ყოველი იმერეთი და მიათვალეს კეალად მეფესა სოლომონს. და  
 წარვიდენ მეფის ძე იოანე და გრიგორ დადიანი სახლად მათლად<sup>6</sup> გამარ-  
 ჯეებულნი. ხოლო ლტოლვილნი დავითმან ვერლა<sup>7</sup> იშოვნა ვისგანმე შეწევნა  
 20 და მოვიდა კეალად იმერეთად, მორჩილ ექმნა სოლომონს და ქმნეს მშვიდო-  
 ბა; და მისცა მეფემან სოლომონ საბატონისწვილი<sup>8</sup> და სცხოვრებდა<sup>9</sup> მუნ, და  
 ეგნენ მშვიდობით რამოდენსამე ეამსა და სცხოვრებდენ სიხარულისა კმაყო-  
 ფილინი.

გარნა ბოროტ-მოჰაზრეთა კაცთა, რომელნი უთანხმოებისა გამო პანგა-  
 25 რებითა სარგებლობდენ, კეალად ქმნეს აღრეულება შორის შეფისა და დადი-  
 ანისა; და იქმნა აგანხეთქილება. ეამსა ამას იყო დიდ-შემძლე კაცი ყმა დადი-  
 ანისა გელაჲნი<sup>10</sup> ქაიხოსრო, რომელი ზოურაობდა<sup>11</sup> ლეჩხუმს და მცლავრებდა  
 ოდიშსაცა. ესე მიდრკა გრიგორ დადიანის ერთგულებისაგან და მიიბირა ძმა  
 30 გრიგორი დადიანი მანუჩარ, მოიყვანა მეფე სოლომონ წერეთლისა გამო,  
 ამისთვის რომელ ზურაბ წერეთლისა მისწული ყავდა ცოლად ქაიხოსროს  
 გელოანის<sup>12</sup> ძესა. და ზურაბ წერეთელი ეამსა მას პირველობდა; სრულსა იმე-  
 რეთსა ზედა. და ესევეთარითა<sup>13</sup> შეთქმულებითა გარდაადდეს დადიანი გრი-  
 გორ და ქმნეს დადიანად მანუჩარ.<sup>14</sup> [263] და გრიგორ წარვიდა სამურზა-  
 ყანო-აფხაზთ შორის და იყო მუნ.

ეამსა ამას მყოფმან იმერეთსა შინა მეფედ ყოფილმან დავით იმოქმედა  
 35 ახალციხეს და შთამოიყვანა ლეკნი<sup>14</sup> და მიერთდა მათდა და მოვიდენ მახლო-  
 ბლად ქუთათისისა. აქათ მეფემან სოლომონ შეიკრიბნა სპანი იმერეთისანი და  
 განმაგრდა<sup>15</sup> ქუთათისს<sup>16</sup> და მოიწვია შესაწევნელად<sup>17</sup> დადიანი მანუჩარ და  
 მოვიდა ქუთათისს<sup>18</sup> ოდიშ-ლეჩხუმითა სპითა, სადა პირველობდა ქაიხოსრო  
 40 გელოვანი ოდიშ-ლეჩხუმთა შორის. ეამსა ამას შეკრბენ სამურზაყანო-აფხაზნი  
 შესაწევნელად გრიგორ დადიანისა, ვინათგან იხილეს მფლობელი მათი გან-

<sup>1</sup> გარდამოაგდო A. <sup>2</sup> რომელიმე A. <sup>3</sup> ერთგულობდა B. <sup>4</sup> წარმოაგლინა A. <sup>5</sup> გრიგორი  
 A. გრიგორ B. <sup>6</sup> მათლად B. <sup>7</sup> ვერლარა A. <sup>8</sup> საბატონისწვილი BC, <sup>9</sup> მსცხოვრებ A. <sup>10</sup> გე-  
 ლოჲანი A. <sup>11</sup> მოურაობდა A. <sup>12</sup> გელოვანის A. <sup>13</sup> ესევეთარითა A. <sup>14</sup> ლეკი A. <sup>15</sup> გამაგრდა A.  
<sup>16</sup> ქუთათის ABC. <sup>17</sup> შესაწევნელა A. <sup>18</sup> ქუთათის ABC.

ძებული უსამართლოდ, წარმოემართენ და დაიბანაკეს მარსილს, <sup>452</sup> მახლობელად ბანძისა. მსმენელი ამისი მეფე სოლომონ და <sup>1</sup> დადიანი მანუჩარ ულონო იქმნენ: აქით ლეკის სპითა დავით, ხოლო აქათ აფხაზითა გრიგორი დადიანი. გარნა უღონო-ქმნილთა მოიპოვეს ესე წარსამართებელი საქმე: წავიდა ლენჩუმის ჯარითა ქაიხოსრო გელოანი <sup>2</sup> და წარმოიტანა მოყვარე თვისი <sup>5</sup> ქაიხოსრო წერეთელი, იმისწული ზურაბ წერეთლისა რამოდენიმე იმერელისა სპითა და დაესხა ღამით მარსილს აფხაზთა <sup>3</sup>, და გაიქცენ აფხაზნი <sup>4</sup> დიდითა <sup>5</sup> ალაფითა სავსე. ვიდრემდის <sup>6</sup> სცნობდა დავით მეფე, დაბანაკებული მახლობელად ქუთათისისა <sup>7</sup>, მუნემდის მივიდა გელოანი უქმოქცეული ქუთათისს <sup>8</sup>. ხოლო დადიანი გრიგოლ კვალად წარვიდა აფხაზეთს. მსმენელი ამა საქმისა და <sup>10</sup> ვით მოკლებულ იქმნა <sup>9</sup> ძალისა. ვერღა ებრძოდა ქუთათისს <sup>8</sup> სოლომონს და მანუჩარს გამაგრებულთა, წარმოვიდა მუნით, გაძოველო იმერეთი და მივიდა მათხოჯს და დაიბანაკა მუნ. ხოლო ერთი [264] ბელადი ლეკისა, სახელით დურმაძა, თვისისა საბელადოთი დასდგა ზემოთ დარღვეულსა ნასაყდრსა ზედა. მაშინ მიესმა ჰანბავი სოლომონს, რომელ საქართველომასა შეფესა ერე- <sup>15</sup> კლეს წარმოგზავნია შვილი თვისი ალექსანდრე სპითა და არტილერიითა შესასწავნელად სოლომონისა, ეინათგან ეთხოვნა ამას შეწევნა პაპისა თვისისა თვის. მსმენელი ამისი მეფე სოლომონ მხიარულ იქმნა, მიეგება ბიძასა თვისისა-ალექსანდრეს ერეკლეს ძესა, და შეერთდენ სპანი საქართველო-იმერეთისა, ოდიშ-ლენჩუმისა და მივიდნენ მახლობელად მათხოჯისა და დაიბანაკეს მუნ. <sup>20</sup> ხოლო დავითმან სიმციარისა გამო შემოივლო სანგარი <sup>10</sup> და განმაგრდა მას შინა. მოვიდა დავითთანა გრიგორი დადიანი აფხაზეთიდან. შეიზარახენ დავით და გრიგორი დადიანი, და გრიგორ წარვიდა აფხაზეთს ქელაიშ-აჰმედ-ბეგისა თანა, რათა მუნით მოიქცეა ძალი. და დავით იყო მათხოჯს გამაგრებული. ხოლო სოლომონ მეფე და დადიანი მანუჩარ და ალექსანდრე საქართველოს მეფის <sup>25</sup> ძე იდგნენ ნახაბულეეს რაოდენსამე ეანსა. ხოლო დადიანი გრიგოლ მისრული ქელაიშ-აჰმედ-ბეგისა თანა მთხოველსა მისცა ქელაიშ-აჰმედ-ბეგმან შეწევნა და წარმოყვა აფხაზთ სპითა და მოვიდნენ ხიბულას და დასდგენ მუნ. გარნა აქათ მისცეს თეთრი რამოდენიმე ზემოთ ხსენებულს დურმაძა ბელადს და განუდგა დავითს. და დანაშოიმთა ლეკთა შემოადგენ ზემოხსენებულთა სპითა მეფე <sup>30</sup> სოლომონ და <sup>11</sup> დადიანი მანუჩარ. და ლეკნი სანგრიდგამო <sup>12</sup> იბრძოდნენ <sup>12</sup> ძლიერად. და სიმონ <sup>14</sup> აბაშიძე ყოველს ეამს ქებული მამაცობასა შინა იბრძოდა გარეთ სანგრისა მხილველთა [265] გასაცვიფრებლად და მასთანა ლეკი ერთი სახელოვანი, სახელად ანირხან. გარნა ვერ დაუდგა სიმცირე სიმრავლესა და ივლტოდნენ დავით და მხლენი მისნი ლეკნი და წარვიდნენ <sup>15</sup> ოდიშით <sup>35</sup> და მოვიდნენ ხიბულას, სადა იყვნენ დაბანაკებულნი ქელაიშ-ბეგი და გრიგორი დადიანი. მხილველი ამისი ქელაიშ-აჰმედ-ბეგ შეშინდა და უქუნიქცა კვალად აფხაზეთად <sup>16</sup>. და დავით და გრიგოლ <sup>17</sup> დადიანი წარვიდნენ ფოთს. გრიგორი თვისისი მუღლით დასდგა ფოთს. ხოლო დავით წარვიდა თვისისი მხლე ლეკითა ახალციხეს. <sup>18</sup> და მცირის ხანისა შენდგომად დავით გარდაიცვალა ახალ- <sup>40</sup> ციხეს ყვავილის სენითა. <sup>14</sup> ხოლო გრიგორი დადიანი რაოდენისამე ეამისა შემდგომად <sup>19</sup> ვერღა დასდგა ფოთს და მეუღლე თვისი წარმოგზავნა ოდიშად

<sup>1</sup> და—A. <sup>2</sup> გელოანი A. <sup>3</sup> აფხაზთა A. <sup>4</sup> აფხაზნი + და. BC. <sup>5</sup> დიდითა A. <sup>6</sup> ვირემდის AC. <sup>7</sup> ქუთათისა ABC. <sup>8</sup> ქუთათის ABC. <sup>9</sup> იქმნა A. <sup>10</sup> სანგარი A. <sup>11</sup> და—B. <sup>12</sup> სანგრიდგან A. <sup>13</sup> მოიბრძოდნენ A. <sup>14</sup> სიმონ A. <sup>15</sup> წამოვიდნენ A. <sup>16</sup> აფხაზეთად B. <sup>17</sup> გრიგორ BC. <sup>18</sup> შენდგომად—A.

და მიბაბრა იმასა თვისსა ქყონდიდელ მიტროპოლიტს ბესარიონს და თვით წარვიდა ახალციხეს<sup>1</sup>.

ხოლო ოდისი იყო ციხე ქაქეთისა,<sup>455</sup> გამაგრებული მხედის პეტრე ბეგენის ძისაგან, და ლეჩხუმს—მური გასვიანი ხოსიასაგან, და ერთგულგბდა ბიძა თვისი გიორგი<sup>456</sup> გრიგოლ დადიანსა, ვინათგან ზრდიდა შვილსა მისსა ლეონს<sup>2</sup> ბიძა თვისი გიორგი. და ამით გარდა დაიპყრა ყოველი სამენგრელო სამთავრო მანუჩარ დადიანმა და მთავრობდა.

ემასა ამას გარდაიცვალა გურიელი სიმონ და იქმნა გურიელათ<sup>3</sup> ძე მისი მციარწლოვანი მამია. გარნა მოურნეობდა დედამისი, დაჲ ზემოთ ხსენებულისა ზურაბ წერეთლისა მარინა, და ბიძა თვისი ქაიხოსრო გურიელის ძე. მაშინ შეიშურა ბიძამან მისმან ვახტანგ გურიელის ძემან და მიბირებითა მეფისათა მიუღლო მამიას გურიელობა. და ესრეთ მეფისა გამო ხან იგი მიუღებდა გურიელობას და ხან იგი. [266] გარნა შემდგომად დაშთა მამიას და მთავრობს აწმყოსა ეამსაჲ.

გარნა ეამსა ამას დიდათ ეკირთებოდენ თათარნი გურიასა და აწუხებდენ მოხლომითა, კაცის კლვითა და წარყვანითა ტყუეთათა, კნინლა და ყოველი გურია აღიხოცა: რომელნიმე თათართა მიყავდა და რომელნიმე განიზინენ იმერეთად თუ ოდიშად. თუმცა გურულნი მამაცად და ნხნედ ბრძოდენ, მოავალსა ხოცდენ და შეიპყრობდენ და ამარცხებდენ, გარნა სიმრავლისა გამო თათართა ვერ ეკმაყენ გურულნი.

ხოლო ახალციხეს მყოფმან გრიგოლ დადიანმა<sup>4</sup> ვერარაჲმე ჰპოვა შეწეენა და მუნით წარვიდა საქართველოდ ერეკლე მეფისა თანა და სიმამრისა თვისისა მეფის ძის გიორგისა თანა, გარნა ვერ მიიღო ვერცა მუნით თვისის საწადისა კმაყოფა. და წარმოატანა მეფემან ერეკლემ შვილი თვისი ალექსანდრე და შვილისშვილი თვისი იოანე, რათა იზრუნოს მეფემან იმერეთისამან სოლომონ თხოვისათვის პაპისა და ქმნას მშვიდობა გრიგორისა და მანუჩარისა შორის. და მოვიდენ ქუთაისს<sup>5</sup>. გარნა ვერარაჲმა<sup>6</sup> საქმისა გარდამწყვეტელნი მეფის ძენი წარვიდენ ქართლს.

და გრიგოლ დადიანი ცოლშვილითა თვისითა იყო მეფისა თანა იმერეთს და იზრდებოდა. და არა სწადოდა მეფესა მთავრობა გრიგოლისა, არამედ მანუჩარისი. და მრავლისა თხოვნისა და ხვეწნისა შემდგომად სცნა რა ჭეშმარიტი გრიგორიმ, რომელ მეფე სოლომან არა მართლიად ზრახნეს მას და უმეტეს მეცადინობს დაბრკოლებასა, ამისთვის ეზრახა ბიძასა თვისსა გიორგი დადიანის ძესა, რათა მან გარდმოიბიროს გრიგოლის [267] ერთგულებისადმი ქაიხოსრო გელოვანი<sup>7</sup>. ამისთვის იმეცადინა გიორგიმ დადიანის ძემ და მიიბირა გელოვანი<sup>8</sup> ქაიხოსრო და მოუწოდა გრიგოლს თვისსა სასახლესა შინა ნოჯიხეეს. წარმოვიდა ღამით მალვით გრიგორი ქუთათისით და მოვიდა ნოჯიხეეს ბიძისა თვისისა გიორგისა თანა, წარმოუძღვა ბიძა თვისი და მოვიდენ ციხესა ზედა გიორგი დადიანის ძისასა ნოლას და იმყოფებოდენ მუნ. ხოლო მეუღლე გრიგოლ დადიანისა, საქართველოს მეფის ასული ნინა. წარიყვანეს ღამით მალვით და მიიყვანეს ლეჩხუმს, მოეგება ქაიხოსრო გელოვანი<sup>9</sup> და ყოველნი ლეჩხუმნი და მისცეს პირი ერთგულებისა ქმრისა<sup>9</sup> თვისისა გრიგოლ დადიანისა. ხოლო გრიგოლ დადიანმა, ბიძისა თვისისა გიორგის ციხეს ნოლას მყოფმან, შემოიკრიბა რომელნიმე ოდიშარნი და იღგა მუნ.

<sup>1</sup> ახალციხეს—A. <sup>2</sup> ლეონს A. <sup>3</sup> გურიელად B. <sup>4</sup> დადიანმან A. <sup>5</sup> ქუთაის ABC.

<sup>6</sup> რაისა B. <sup>7</sup> გელოვანი B. <sup>8</sup> გელოვანი A. <sup>9</sup> ქმრისა B.

სცნა რა ესევეთარი მოქმედება მეფემან სოლომონ გრიგოლისაგან<sup>1</sup>,  
 შერაცხა განბასრვად თვისად და შემოიკრიბა სპანი იმერეთისანი, მიეგება  
 მანუჩარ, გრიგოლ დადიანის<sup>2</sup> ძმა, სპითა ოდიშისათა, წარმოემგზავრენ და  
 მოვიდნენ ნოლას და დაებარგენ ლეგერცამეს,<sup>3</sup> გაღმით ციხისა. და სწადო-  
 და მეფესა დაძხობა ნოლის ციხისა, მაგრამ რადგანაც გრიგოლ დადიანი და  
 გიორგი ბიძამისი იდგენ მამაცად და მხნედ და დაამარცხეს წასრულნი<sup>4</sup> ჯარ-  
 ნი მეფისანი იქით-აქათ გრიგოლის და გიორგისთა,— ამისთვის ველარ შემარ-  
 თა მეფემან და მოიგონა ესე არამსგავსიერი<sup>5</sup> საქმე, იწყო ლაპარაკი გრი-  
 გოლისთანა და ბიძისა მისისა თანა: „მოღით ჩემთანა<sup>6</sup> ქუთა [268] ის<sup>6</sup>  
 და იქ შეეკრათ პირობა: შენ ჩემთვის, ხოლო მე შენთვის, და მიითვალე<sup>7</sup> და-  
 დიანობა“. ამა აზრსა ზედა ნება სცა გრიგოლიმ დადიანმა. და განიზრახა  
 მეფემან: „ოდეს მოვალს ქუთაისს<sup>8</sup> ჩემთანა გრიგოლ<sup>7</sup>, მოვკლავ, და ბიძასა  
 მისსა და<sup>9</sup> ანუ შევიპყრობ“. და ამა ჰაზრითა წარვიდა მეფე ქუთაისს<sup>8</sup>. თუმ-  
 ცალა იცოდენ გრიგოლმან და ბიძამან მისმან, რომელ ცბიერებს მეფე და  
 მიყავს ლალატისათვის, გარნა იმაზეცეს გული და შემდგომად რამოდენისამე  
 15 დღისა წარვიდენ ესენიცა და მივიდენ ბანძას, მუნითგან წარგზავნეს კაცი და  
 ითხოვეს მომგებებელად მიტროპოლიტი<sup>9</sup> ორნი: ქუთათელი დოსითეოს წე-  
 რეთელი, გენათელი ეფთვიმი გურიის ერისთვის ძე, ამასთან სახლთუხუცესი  
 წერეთელი ზურაბ და წულუკიძე გიორგი. მივიდენ ესენი ბანძას, წარუძღვენ  
 დადიანსა და მივიდენ ქუთაისს<sup>10</sup> სასახლესა შინა ქუთათლისასა, და ვინათ-  
 20 გან გრძნობილ იყო მათგან ლალატი მეფისა, გრიგოლ დადიანი აღარ შთავი-  
 და სასახლესა მეფისასა და ბიძამისი გიორგი შთავიდა მეფისა თანა სასაუბ-  
 როთ და სცნა ქეშმარიტებით<sup>11</sup>, რომელ გამზადებულ არა მეფე ლალატად და  
 ნახა დამდგარნი კაცნი, მაშინ წარმოვიდა და მოვიდა გრიგოლისა თანა, უთხრა  
 ცხადათ მეფისაგან ლალატი. მაშინ მსწრაფლ აღმხედრდა და წარმოვიდენ და  
 25 წარმოაპყვენ ზემოთქმულნი მიტროპოლიტები და თავადნი იმერელთანი. და  
 მეფემან ვერლა შემართა ლალატსა და დაუტევეს განბასრებული. და დადიანი  
 მოვიდა ხუნწს, და იმერთა მღვდელ<sup>12</sup>-მთავარნი და თავადნი განუტევენ<sup>13</sup>  
 დიდითა მადლობითა და წარვიდენ.

[269] შემდგომად ამისა წარვიდა გრიგოლი დადიანი ლეჩხუმად, მუნ  
 30 მისვლასა<sup>14</sup> თანა მოეგება ლეჩხუმის მოურავი<sup>15</sup> გელოანი<sup>16</sup> ქაიხოსრო და  
 სრულიად ლეჩხუმი, მისცეს ფიცი დადიანსა ერთგულებისა და ციხენი ყოველნი,  
 და დაიპყრა დადიანმა სრულიად ლეჩხუმი.

მცნობი მეფე, ვერარადასა თვისის განზრახვისა აღმსრულებელმან (!)  
 წარმოვიდა და მოვიდა ოჯოლას და იწყო საუბარი დადიანისადმი მშვიდო-  
 35 ბისა. აქილამ წარვიდა ბიძა დადიანისა გიორგი და გელოვანი ქაიხოსრო და  
 ქმნეს დადიანისა და მეფისა შორის მშვიდობა. და წარვიდა მეფე კვალად  
 ქუთათისს<sup>10</sup>.

ხოლო დადიანის ძე გიორგი, ბიძა დადიანისა, შეიქმნა ავათ ჟამსა ამას  
 ღღნორისას, მოიყვანეს გიორგი ზოგის და გარდაიქვალა მუნ წელს ქრისტე-  
 40 სით 1799, დეკემბერსა 15. მცნობი ამისი დადიანი გრიგოლ დიდათ მწუხარე

1. გრიგორისაგან BC. 2 დადიანს AC. 3 წარსრულნი A. 4 არა—A. 5 ჩემთან A. 6 ქუ-  
 თაის ABC. 7 გრიგოლს A. 8 და—A. 9 მიტროპოლიტი B. 10 ქუთათის ABC. 11 ქეშმარიტები  
 A. 12 მღვდელ BC. 13 განუტევა B. 14 მისვლასა A. 15 მოურავი A, 16 გელოვანი A.

იქნა, ვინათგან მოუყვდა<sup>1</sup> საქმისა თვისისა გამგებელი ბიძა, წარმოიღო დიდის პატივით და მოასვენა სამარხოსა მამა-პაპათა თვისთასა<sup>2</sup> და დამარხა მარტიელს შესაფერითა პატივითა.

5 ხოლო დადიანმა მოიმტკიცა ყოველი ოდიშარი და იქმნა დადიანად, და ძმისა მისსა მანუჩარს უბოძა სალიპარტიანო და მუნ იზრდებოდა, გარნა ერთმანერთთანა<sup>3</sup> არა მივიდოდენ და არცა იხილვიდენ ურთიერთთა, ვინათგან<sup>4</sup> იყო შური დიდი შორის მათსა, მეფისა მიერ დათესილი. ეამ რაოდენმე ფლობდა გრიგორი საწთავროსა თვისსა ნებასა თვისსა ზედა. გარნა მძლავრებდა ყოველსა ოდიშ-ლეჩხუმსა კვალად გელოანი<sup>5</sup> ქაიხოსრო. ამისთვის ვერა მომთმენელმან გელოანის<sup>6</sup> [270] ქაიხოსროს საქციელისამან გრიგორი დადიანმან ეზრახა (!) მეფესა სოლომონს საიდუმლოთ და ურთიერთის პირის შეთქმითა მოჰკლა გრიგორი დადიანმა გელოანი<sup>7</sup> ქაიხოსრო გორდს და უმეტესად შემომტკიცა გრიგორი დადიანმა ოდიშ-ლეჩხუმი, და ყოველი მიმდგომი ქაიხოსრო გელოანისა<sup>7</sup> დაამდაბლა.

15 იყენენ ეამ რაოდენმე სიყვარულსა ზედა მეფე სოლომონ და დადიანი გრიგორი. გარნა მეფემან არა დაუტევა თვისი განზრახვა და სწადოდა თვისად დაპყრობა ოდიშ-ლეჩხუმისა, ამისთვის კვალად მიიბირა ძმა გრიგოლ<sup>8</sup> დადიანისა მანუჩარ და წარმოემართა გრიგორსა ზედა სპითა მრავლითა იმერელ-ლეკითა<sup>9</sup> და გარდაავდო გრიგორი და ქმნა დადიანად მანუჩარ. გარნა 20 გრიგორი არ<sup>10</sup> განეშორა ოდიშსა და იმყოფებოდა ხან ხორგას, ხან ხეთას, ხან ქაქვიჯს, ხან ნოლას, ვინათგან<sup>11</sup> მოურაგნი<sup>12</sup> თუ ბატონნი ამა სოფელთანი ერთგულბდენ გრიგორის. და ოდეს წარვიდოდა მეფე სპითა თვისითა იმერეთად, კვალად დაიპყრობდა გრიგორი დადიანობასა. და ოდეს მოვიდოდა მეფე სპითა თვისითა ოდიშად, მისცემდა მანუჩარს დადიანობასა. და ვინათგან<sup>12</sup> გრიგორი ვერ განსდევნა მეფემან სამფლობელოთ თვისით და ვერ აღასრულა საწადლო თვისი, ამისთვის განძვინდა და აქცევდა ოდიშსა ყოველ წელ და აიხრებდა სპითა იმერელ-ლეკითა<sup>9</sup> და სტყუენიდა მრავალსა ქრისტიანთა ტყვეთა, სწვიდა და აიხრებდა ოდიშსა. და მისცა ოდიში დიდსა მწუხარებასა, [271] სადა ურწმუნოთა ლეკთა მრავალნი ეკლესიანი შებღალნეს და 30 მრავალნი გლახაკნი საცინელად და საბასრობელად მართმადიდებლობისა სჯულისათვის მოჰკლეს.

განაგრძო ესევეთარი მოქმედება მეფემან სოლომონ, შეიკრიბა სპანი თვისნი, იწინამძღვრა მანუჩარ დადიანის ძე და მოადგა ლეჩხუმს ჭყვიშით.<sup>13</sup> მიდრკენ მრავალნი მანუჩარისაკენ ლეჩხუმელნი. ვერლა დაუდგა წინ გრიგოლი, ვინათგან ლეჩხუმელთ მრავალთ უღალატეს და უფროვე ბააკა ჩიქოანმა<sup>13</sup>, რომელი იყო ეამისა მას ლეჩხუმსა შინა შემძლე კაცი. და შემოვიდა მეფე ლეჩხუმს და აიხრებდა. ხოლო გრიგორი იდგა მურს, იწყო ზრახვად მეფესადმი გრიგორიმ: „უკეთუ მანუჩარს დაუტევებ<sup>14</sup> და წარხვალ თქვენ უკუნვე, რაასაცა მეტყვი, მოგე შენ“. სთხოვა მეფემან: „უკეთუ მომცემ ციხესა 40 ჭყვიშისასა და შემდგომსა მისსა, მე დაუტევებ მანუჩარს ყოვლად შეუწყენელად“. აღუთქვა გრიგორიმ თხოვილი თვისი მეფისა. და ვინათგან<sup>15</sup> დიდი სურვილი იყო მეფისა დაპყრობა ლეჩხუმისა და ჭყვიშის<sup>16</sup> შოვნისათვის, არა

<sup>1</sup> მოუყვდა BC. <sup>2</sup> თვისთა A. <sup>3</sup> ერთმანეთთანა A. <sup>4</sup> ვინადგან C. <sup>5</sup> გელოანი A. <sup>6</sup> გელოანის A. <sup>7</sup> გელოანისა A. <sup>8</sup> გრიგორ BC. <sup>9</sup> ლეკთა A. <sup>10</sup> არა B. <sup>11</sup> ვინადგან B. <sup>12</sup> მოურაგნი A. <sup>13</sup> ჩიქოანმა A. <sup>14</sup> დაიტოვებ ABC. <sup>15</sup> ვინადგან C. <sup>16</sup> ჭვიშის A.

შიხედა ფიცის უარის ყოფასა და არცა სირცხვილსა, დაუტევა მანუჩარ ღებ-  
ვირს და თვით წარვიდა და დაებარგა საყოფიანოსა შინა რაქას. იხილა რა  
მანუჩარმან თავი თვისი უარყოფილი მეფისაგან, ვერას ღონისა მპოებელი  
ივლტოდა<sup>1</sup> და შევიდა ციხესა შინა ორბელს, ვინათგან ციხე იგი იყო სამო-  
ურავო<sup>2</sup> ბააკა ჩიქიანისა. ხოლო გრიგორი გამოვიდა მურიდამ და დაიპყრა  
ყოველი ლეჩხუმი. იცნა რა მანუჩარმა<sup>3</sup>, [272] ვითარმედ მეფესა არა სწადს  
არა რომლისამე ჭეთა დადიანისათა კეთილი, ამისთვის მრვიდა გრიგოლისა<sup>4</sup>  
თანა, ძმისა თვისისა და შეურდა და სთხოვა მიტევება თვისის უწინდელის  
წინააღმდეგობისა<sup>5</sup>. ხოლო გრიგოლიმ<sup>6</sup> სულგრძელებითა და სიხარულითა  
მიუტევა მას და ქმნეს იმათა შორის დიდი შეკრულება. და ვინათგან ძმანი  
ესე შეერთდენ, არღა მისცა გრიგორიმ მეფესა ჭყვიში და დაპირება არღა  
აღუსრულა.

ამისთვის უკ-მოიქცა მეფე და მოადგა გარს ჭყვიშის ციხესა და რაო-  
დენისამე ტამისა [შემდგომად] სუსტთა და უსირცხვილოთა მეციხოანეთა მის-  
ტეს ჭყვიში მეფესა და აღიღეს ჭყვიში. და შემდგომად წარმოემართა მეფე  
დასაპყრობელად<sup>7</sup> სრულიად ლეჩხუმისა და დაებანაკა ლაილაშს. აქეთ გრი-  
გორიმ შეიკრიბნა<sup>8</sup> ლეჩხუნი მხოლოდ და დასდგა უსახელოს. დღისა რაო-  
დენისამე შემდგომად იქმნა ბრძოლა უსახელოს. თუმცა სახელოვნად ბრძოდენ  
ლეჩხუმელნი, გარნა სძლო სიძრავლემან სიმირესა და ივლტოდენ გრიგოლი-  
ნნი<sup>9</sup>, და გაემარჯვა მეფესა, მოადგა ციხესა ღებვირისასა, სადა მეციხოანემან  
ღებვირისამან, ბეჟან ყრუაშვილმან<sup>10</sup> სახელოვნად და საქებელად განამაგრა  
ციხე ღებვირისა, იბრძოდა მამაცად და<sup>11</sup> მოჰკლნა მრავალნი იმერელნი და  
ლეკნი გარემოდგომილნი. და შემდგომად შესთხარეს ციხე და ნახევარი ციხისა  
გარდმოიქცა. და რა სცნა ბეჟან ყრუაშვილმა<sup>12</sup>, არღა შესაძლებელ არს ციხე-  
სა ამას შინა ყოფნა, ამისთვის იმამცა გული და გამოვიდა ღამით [273] თეი-  
სის ხელქვეშეთის<sup>13</sup> კაცით. გამოივლო გარეშემოდგარნი იმერნი და ლეკნი და  
მშვიდობით მოვიდა მურს გრიგოლ დადიანთან. მცნობი ამისი ვერღა დასდგა  
გრიგოლი ლეჩხუმს და წარვიდა ოდიშად. და დაიპყრა მეფემ ლეჩხუმი და  
დაადგინა ლეჩხუმის მოურავად<sup>14</sup> ბერი ქაიხოსროს ძე გელოანი<sup>15</sup> და თვით  
წარვიდა იმერეთად<sup>16</sup>.

ჯამსა ამას შეიშურევენ ურთიერთისა შორის ახალციხის ფაშანი: შერიფ<sup>16</sup>  
ფაშა და ზაბუთ ფაშა. და გარდმოავდო ზაბუთ ფაშა შერიფ<sup>17</sup> ფაშამ და ვერა  
სადა ღონის მპოებელი მოვიდა იმერეთის მეფის სოლომონისა თანა, ვინათ-  
გან იყო გვარით ძველი ათაბაკისა შთამომავლობა<sup>18</sup>. ამისთვის მოვიდა ბაგ-  
რატიონისა თანა და იმყოფებოდა მეფისაგან იმედუელი. მაშინ შერიფ<sup>18</sup> ფა-  
შამან დაიწყო ზრახეა მეფის ვაზირებთა თანა და აღუთქვათ მრავალი თეთრი,  
უკეთუ მოჰკლან ზაბით ფაშა. ევზირნი მეფისანი ბირებულნი თეთრისაგან შე-  
კრბენ მეფისა წინაშე და სხვადასხვა საქმის<sup>19</sup> მხვენებელთ შეაცთუნეს მეფე  
და მოაკვლევინეს<sup>20</sup> ზაბით ფაშა: მოსკრეს თავი და წარუგზავნეს შერიფ<sup>18</sup>  
ფაშას. შემდგომად რაოდენისამე ხანისა წარგზავნეს მეფის ვაზირთ კაცი და

<sup>1</sup> იღვტოდა A. <sup>2</sup> სამოვრაო A. სამოვრაო B. <sup>3</sup> მანუჩარმან BC. <sup>4</sup> გრიგოლისა B.  
<sup>5</sup> წინააღმდეგობისა B. <sup>6</sup> გრიგორი A. <sup>7</sup> დასაპყრობელად A. <sup>8</sup> შეიკრიბა AC. <sup>9</sup> გრიგო-  
რისნი AB. <sup>10</sup> ყრუაშვილმან A. <sup>11</sup> და—BC. <sup>12</sup> ხელქვეშეთის C. <sup>13</sup> მოვრაუად A. <sup>14</sup> გელო-  
ვანი A. <sup>15</sup> იმერეთად—A. <sup>16</sup> შერიფ BC. <sup>17</sup> შერაფ BC. <sup>18</sup> შამამავლობა A. <sup>19</sup> საქმისა B.  
<sup>20</sup> მოაკვლევინეს A.



სთხოვეს შერიფ<sup>1</sup> ფაშასა დანაპირები თეთრი ზეფისადმი და ზათდაცა, გარ-  
ნა მან არცა ერთი ფული წარმოგზავნა. და მოაცთუნა შერიფ<sup>1</sup> ფაშამ მეფე  
და ვაზირნი მისნი და დაშთენ განბასრებულნი შერიფ ფაშისაგან. <sup>459</sup>)

აჲ კვალად გრიგოლისას ვიტყოდეთ. გრიგოლი რა შთავიდა ოდიშს,  
5 სთხოვა შეწევნა ქელაიშ-აჰმედ-ბეგსა შარვაშიძესა, რომელსა ეპყრა ყოველი  
აფხაზე[27]თი<sup>2</sup> ვიდრე დალიძემდე<sup>3</sup> და მძლავრებდაცა დადიანის სამფლობე-  
ლო სამურზაყანო-აფხაზეთსა. ხოლო მან სთხოვა უპირშოვისი<sup>4</sup> შვილი თვისი<sup>5</sup>  
ლეონ მძევლად, უკეთუ შეეწიოს მეფესა ზედა, მისცეს მან მრავალი თეთრი.  
და წარუგზავნა დადიანმან ძე თვისი ლეონ მძევლად. მაშინ შეიკრიბა ქელაიშ-  
10 აჰმედ-ბეგმან ყოველი აფხაზეთი და წარმოვიდა, მოვიდა და დაებანაკა აბე-  
დათს<sup>6</sup>. იქით მოვიდა მეფე სპითა იმერთა და ლეკთათა და დაებანაკა ივან-  
დიდს. და იწყეს ზრახვად მღვემან და ქელაიშ-აჰმედ-ბეგმან და ვერა შემარ-  
თა ქელაიშ-აჰმედ-ბეგმან ბრძოლად მეფისა და სთხოვა, რათა არა აენოს და-  
დიანსა. აღუთქვა მეფემან ფიცით არა ვნებად დადიანისა. და წარვიდა ქე-  
15 ლაიშ-აჰმედ-ბეგ<sup>7</sup> კვალად აფხაზეთად.

გარნა მეფემან არა დაიცვა აღთქმული ქელაიშ-აჰმედ<sup>8</sup>-ბეგისადმი და  
შემდგომად წარსვლისა<sup>9</sup> მისისა<sup>10</sup> გამოვიდა<sup>11</sup> ოდიშს და მრავალნი ადგილებ-  
ნი მოაოხრა და მოადგა ციხესა თამაკონისასა და აღილო იგი. და შემდგომად  
მოადგა გორდის ციხესა, გარნა იგი ვერ აღილო, ვინადგან<sup>12</sup> მამაკად ბრძო-  
20 დენ მას შინა<sup>13</sup> მყოფნი მეციხოვნენი<sup>14</sup> სამნი ძმანი სახლთუხუცის ძენი: და-  
ვით, ნიქელ და ოტია ჩიქოანნი<sup>15</sup>. და წარვიდა მეფე იმერთად. <sup>460</sup>)

V თუმცა მრავალგზის ევედრა გრიგოლი დადიანი მეფესა, რათა დააცხროს  
მას ზედა ესევეთარი მოქმედება და მოიხსენოს უწინდელი მსახურება მისი და  
რადცა<sup>16</sup> სთხოოს, აღუსრულოს მას,—გარნა არა ისმინა მეფემან და უმეტეს  
25 შესძინა ღვენა გრიგორისა<sup>17</sup>, ვინათგან თან-განმზრახნი მეფისანი და ვაზირნი  
მისნი: ჯიხოსრო პაპუნას ცე [27ა] წერეთელი, ორნი ძმანი წულუკიძენი:  
ოტია და სეხნია და როსტომ ნიკარაძე<sup>18</sup>), ესრეთ ურჩევდენ მეფესა და  
ეტყოდენ გრიგოლის<sup>19</sup> არ-შეწყნარებასა: ხოლო მეფე თქმულთა მათთჳ ვერ  
წინააღუდგებოდა. გარნა გრიგოლი<sup>20</sup> ვერ განდევნეს სამფლობელოთ მი-  
30 სით. <sup>20</sup>

მაშინ გრიგოლიმ<sup>21</sup> ვერარაჯსა<sup>22</sup> საქმისა მპოვნელმან<sup>23</sup> განიზრახა, რათა  
მისცეს თავი თვისი როსიის იმპერატორსა და დაიფაროს მტერთაგან. მაშინ  
იყო საქართველოსა შინა მთავარმართებლად<sup>24</sup> აღექსანდრე პირველის როსიის  
იმპერატორისაგან დადგენილად თავადი პავლე დიმიტრივიჩი ციციანიოვი ლე-  
35 ნტრალ-ონტ-ინფანტერი<sup>25</sup>. და ვინათგან იმერთით ვერ იზოვნა გზა დადიანმა,  
რათა წარგზავნოს კაცი საქართველოდ, მაშინ ნოლას ციხილამ განმზადა კა-  
რისა თვისისა მღვდელი<sup>26</sup> სიმონ<sup>27</sup> ასათიანი და აზნაური გიორგი გუგუშვილი  
და წარგზავნა ასხის მითთ და ჩავიდენ ლენტეხს და ლენტეხილამ ჩოლულს<sup>28</sup>  
და ჩოლულილამ წარუძღვა გარდაფხაძე გიგო, რომელი დიდათ ერთგულებდა  
40 გრიგოლ<sup>29</sup> დადიანსა, გარდავლეს კავკასი და ოსეთი და შთავიდენ მოსდოქს,  
ხოლო მუნით მოქცეულნი მოვიდეს ტფილისს კნიაზ ციციანოვთან.

<sup>1</sup> შერიფ BC. <sup>2</sup> აფხაზეთი A. <sup>3</sup> დალიძემ A. <sup>4</sup> უპირშოვისი A. <sup>5</sup> თვისისი A. <sup>6</sup> აბდათს +  
და A. <sup>7</sup> ბეგი B, ბედი C. <sup>8</sup> ახმედ BC. <sup>9</sup> წარსვლისა C. <sup>10</sup> მისისა + და A. <sup>11</sup> მოვიდა A. <sup>12</sup>  
ვინათგან A. <sup>13</sup> მამინა BC. <sup>14</sup> მეციხოვნენი A. <sup>15</sup> ჩიქვანნი BC. <sup>16</sup> რაიცა A. <sup>17</sup> გრიგორისი C.  
<sup>18</sup> გრიგორისი B. <sup>19</sup> გრიგორი B. <sup>20</sup> თვისით B. <sup>21</sup> გრიგორიმ BC. <sup>22</sup> ვერარაჯსა BC. <sup>23</sup> მკერ-  
ბელ A. <sup>24</sup> მთავარმართებლად A. <sup>25</sup> ინფანტერი BC. <sup>26</sup> მღვდელი B, მღვდელი C. <sup>27</sup> სიმონ  
A. <sup>28</sup> გრაგორ B.

სახოვან გრიგორი<sup>1</sup> დადიანმა, რათა შეამდგეობითა მისითა განუღოს  
ქარი მოწყალებისა და მიიღოს საფარველსა შინა თვისსა დიდმან როსიის  
იმპერატორმან და დაიფაროს მტერთაგან. შეიწყინარა თავადმან ციციანოვმან  
ელჩნიცა და თხოვაცა გრიგორი დადიანისა და მ[276]ილო კელმწიფე იმ-  
პერატორმა<sup>2</sup> საფარველსა შინა თვისსა და წარმოუგზავნა<sup>3</sup> კავალერი წმინდი-  
სა ალექსანდრე ნევესკისა ხელითა<sup>4</sup> პოლკოვნიკის მაინოვისათა ახალციხით,  
ვინათგან იმერეთით მეფე არა მისცემდა გზას. მოვიდა პოლკოვნიკი<sup>5</sup> მაინო-  
ვი ჭალადიდს ფოთით და მოუტანა კავალერი და ამისთვის დიდათ მხიარულ  
ქმნილმან დადიანმან დიდის საჩუქრით კვალად განუტევა პოლკოვნიკი მაინ-  
ოვი. <sup>168</sup>)

10

ამით განაღვირებულმან დადიანმან იწყო საქმედ ლეჩხუმის მოურავს<sup>6</sup>  
ბერი გელოანთან<sup>7</sup>, რათა ქმნას ერთგულება მისი და დაუტეოს ერთგულება  
მეფისა. მიიღო ბრძანება დადიანისა გრიგოლისა<sup>8</sup> ბერმან გელოანმან<sup>9</sup>. დაუ-  
ტევა ერთგულება მეფისა და იქმნა ერთგულ დადიანისა გრიგოლისა<sup>8</sup>, ვინათ-  
გან მემკვიდრეობით იყო ყმა დადიანისა გრიგოლისა, და სახლი გელოანთა  
ამაღლებულ იყო კაცია დადიანისაგან; ამისთვის მიუწოდა დადიანს ლეჩხუმს.  
წარვიდა დადიანი ნოლიდამ და მივიდა თამაკონს<sup>10</sup> და მოსცა თამაკონი ჯო-  
ლორია დგებულამ. წარვიდა მუნით და შევიდა ლეჩხუმს, და მოვეება ბერი  
გელოანი<sup>10</sup> და სრულიად ლეჩხუმი და დაიპყრა გრიგოლიმ<sup>11</sup> სრულიად ლეჩ-  
ხუმი, გარდა<sup>12</sup> ჭყვიშისა და ჭყვიში დაშთა ხელთა შინა მეფისათა; ლეჩხუმით  
წარმოვიდა და შემომტკიცა სრულიად ოდიში და დაიპყრა ყოველი სამთავრო  
მენგრელისა მშვიდობით.

ჟამსა ამას<sup>168</sup> წარმოავლინა თავადმა<sup>12</sup> ციციანოვმა<sup>14</sup> [277] უფალი სტა-  
ცი სოვეტნიკი პეტრე მაქსიმოვიჩი ლითვინოვი და მათთანა მაიორი იზოთ<sup>168</sup>  
და რომა ერთი მხედრობა და აუწყა გრიგოლი დადიანსა, რომელ მოვალს  
ყირობით მხედრობა დამცველი შენი და უჩვენე ამით ლიმენა, გამოსასულელი  
მათ მხედრობათა შვეი ზღვის პირსა. და მოვიდენ რა დადიანისა თანა, თვით  
წარუძღვა დადიანი და შთაიყვანა მხედრობა ყულეგს და უჩვენა ლიმენა ხო-  
ბის წყლისა პირსა და მუნ დაბანაკა რუსნი. და ვინათგან ჯერეთ ხელშეუ-  
წყენელნი იყვნენ რუსნი, ამისთვის მისცა ზარბაზანნი და სხვადასხვა საჰი-  
რონი სახმარნი, სასმელ-საქმელნი, შამოავლო<sup>15</sup> ირგვლიე<sup>16</sup> სიმაგრე და ესრეთ  
დაუტევა მუნ და თვით წარმოვიდა. გამოვლო ოდიში და შევიდა ლეჩხუმს,  
სასახლესა შინა თვისსა მურს. გარნა აღმოყვა ზღვის პირიდან ციციანოვმან  
და შეიქმნა აეთ. და შემდგომად მოჯობინებისა და უკეთ ყოფნისა კვალად  
შეიქმნა<sup>17</sup> უძღურათ და გარდაიცვალა წელს ქრისტესით 1804, <sup>169</sup>) ოკტომ-  
ბრის 23. და დაფლეს ცაგერს (იტყვიან გრიგოლისათვის სამსალითა სიკე-  
დილსა).

მაშინ დაშთა სამთავრო სამენგრელო უმემკვიდროდ<sup>18</sup>, ვინათგან ძე გრი-  
გოლისა<sup>8</sup>, პირმშო<sup>19</sup> ლეონ ჭყვიანდა ქელაიშ-ახმედ-ბეგსა. და ამისთვის იწყეს  
ძმათა დადიანისათა განზრახვად<sup>20</sup> დაპყრობად მთავრობისა, გარნა ერთგულ-  
თა გრიგოლისთა არა ინებეს<sup>21</sup> და უჩვენეს ერთგულება მეუღლესა<sup>22</sup> მისსა,

<sup>1</sup> გრიგორი A. <sup>2</sup> იმპერატორმან AB. <sup>3</sup> წარმოგზავნა A. <sup>4</sup> კელითა C. <sup>5</sup> პოლკოვნიკი BC. <sup>6</sup> მოვრავს A. <sup>7</sup> გელოანთან A. <sup>8</sup> გრიგორისა B. <sup>9</sup> გელოანმან B. <sup>10</sup> გელოანი A. <sup>11</sup> გრიგორი AB. <sup>12</sup> გარნა A. <sup>13</sup> თავადმან A. <sup>14</sup> ციციანოვმან A. <sup>15</sup> შემოავლო A. <sup>16</sup> ირ-  
გვლიე BC. <sup>17</sup> შეიქმნა A. <sup>18</sup> მემკვიდროდ A. <sup>19</sup> პირშო A. <sup>20</sup> განზრახვად + და BC. <sup>21</sup> ინებეს B. <sup>22</sup> მეუღლესა B.

საქართველოს მეფის ასულს დედოფალს ნინას. და ამით ვერღა ეუფლენ<sup>1</sup> ნებასა მათსა ძმანი დადიანისანი.

მაშინ [278] მოვიდნენ ზღვით მხედრობა რუსთა ყულევს, რომლისა მხედართმძღვანათ იყო ლენერალ-მაიორი და კავალერი იონ იონვიჩი რიკხოფი.  
5 და რა ესმით ერთგულთა გრიგოლისთა: ძმასა გრიგოლისასა ჭყონდიდელ მიტროპოლიტს ბესარიონს, თავადს-მხეიდრეს პეტრეს და თავადს ჯაიანს ქაიხოსროს, თავადს სანლთუხუცეს ჩიქოანს გიორგის (და მეცა მათთანა ვიყავ) მივეგებებით სიხარულით და აღმოუტანეთ ყოველნი ტვირთნი მათნი და წარმოუძებვით მხედრობასა. და პოლკოვნიკი ტარასოვი და რამოდენიმე მხედრობა  
10 დავაბანაკეთ ხუნწს, ხოლო იარანალი<sup>2</sup> და სრული მხედრობა დასდგენ ხონს.

მაშინ შეიზარახენ<sup>3</sup> დედოფალი ნინა და ერთგულნი მისნი და მათთანა ლენერალ-მაიორი რიკხოფი, დესტეიტელნი სტაკცი<sup>4</sup> სოვეტნიკი ლიტვინოვი, რათა წარგზავნონ დეპუტატნი მისის იმპერატორების დიდებულების როსიის ხელმწიფის<sup>5</sup> წინაშე, და ვინათგან არ დასცალდა გრიგოლ დადიანსა, ნაცვლად  
15 მისა<sup>6</sup> მოახსენოს მეუღლემან და ქვეყანამანცა მადლობა საფარველის დადებისათვის, და აწცა ითხოვონ, რაჲცა საჭირო არს მათთვის. მაშინ ლენერალისათა და დესტეიტელნის სტაკცის სოვეტნიკის ლიტვინოვისა თანხმობითა აღმოარჩინეს დეპუტატთ პირველად თვით მე, შემდგომად ჩემსა ბეგან მანუჩარის ძე დადიანოვი და კარის დეკანოზი იოანე სიმეონის ძე იოსელიანი.  
20 თუმცაღა მაშინ შესაშინებელ იყო რუსეთად წასვლა<sup>7</sup>, ვინათგან უწინარეს ჩემსა არაგინ ყოფილიყო ჩვენისა სამთავროსა [279] კაცი რუსეთად, გარნა უმხურვალესისა ერთგულებისა გამო არა ვრიდეთ თავსა ჩვენსა და არცა მივებდეთ ცრემლთა მახლობელისა ჩვენისათა და წარვედით.<sup>8</sup>

ხოლო შემდგომად წარსვლისა<sup>8</sup> ჩვენისა წინა დედოფალმან და შერგ-  
25 ბულთა ერთგულთა წარგზავნეს კაცი ქელაიშ-აჰმედ-ბეგთა თანა და სთხოვეს ლეონ ძე გრიგოლისა, გარნა მან, თეთრისა ანგარების მოყვარემან, ითხოვა მრავალი თეთრი და არა წარმოგზავნა ლეონ. მცნობელმან აპისმან თავადმან კნიაზ ციციანოვმან განრისხებულმან უბრძანა ლენარალს რიქობს, რათა წარვიდეს თვისითა რწმუნებულთა მხედრობითა აყუს და შემუსროს, რათა არა  
30 დაშთეს ქვა ქეასა ზედა, რომელ არა დაირღვეს, და გამოიყვანოს ლეონ და ქმნას თვისისა სამკვიდროსა ზედა მთავრად. წარვიღა რიკხოფი<sup>9</sup> თვისითა მხედრებითა და მისთანა სპანი ოდიშ-ლეჩხუმისანი და მივიდა ანაკლიას ციხესა ზედა, რომელი მას ეამსა შინა<sup>10</sup> მძლავრებით ეპყრა ქელაიშ-აჰმედ ბეგსა და იყო გამაგრებულ დიდითა მომზადებულებითა. და რა მივიდენ, მეორეს<sup>11</sup>  
35 დღეს<sup>12</sup> შეუტიეს მხედრობათა და ეგროთვე ჩვენთაცა, და სამსა საათსა ზედა აღიღეს იგი. ამის სმენითა<sup>13</sup> შიშით შეპყრობილმან ქელაიშ-აჰმედ-ბეგმან მსწრაფლად წარმოავლინა ლეონ გრიგოლის ძე და მოიყვანეს ანაკლიას, და მუნით წარმოიყვანეს და მოვიდენ მხედრობაცა და სხვანიცა ზუგდიდს. მიულოცეს მთავრობა ლეონს და მითვალეს ყოველი სამთავრო შენგრელიისა<sup>14</sup>  
40 საზღვრ[280]ითი საზღვრამდე. და შემდგომად ლენერალი რიკხოფი თვისის მხედრებითა კვალად წარვიღა ბანაკსა თვისსა ხონს. და შემდგომად მცირისა ხანისა მივიდა ქუთათისს<sup>15</sup> და მუნ დაებანაკა.

<sup>1</sup> ეუფლენ BC. <sup>2</sup> იანარალი A. <sup>3</sup> შეიზარახენ B. <sup>4</sup> სტანკი A. <sup>5</sup> კლმწიფის A.  
<sup>6</sup> მისსა A. <sup>7</sup> წასვლა A. <sup>8</sup> წარსვლისა BC. <sup>9</sup> რიკხოფ AC. <sup>10</sup> შინა-BC. <sup>11</sup> მეორესა A.  
<sup>12</sup> დღესა A. <sup>13</sup> სმენი A. <sup>14</sup> საშენგრელიისა B. <sup>15</sup> ქუთათის ABC.

გარნა მეფე იმერეთისა არა მივიღოდა ქუთათისს<sup>1</sup> და არცა ნახევლა მხედრობასა და იმყოფებოდა ზამთარ ვარციხეს, ხოლო ზაფხულ ოკრიბას და<sup>2</sup> გოგს.<sup>469</sup>

აწ ჩვენის წასვლისას<sup>3</sup> ვიტყოდეთ. ჩვენ რა წაველთ და მივედით ქუთათისს<sup>4</sup>, მუნ იყო პეტრე მაქსიმოვიჩი ლიტვინოვი და მან გაგვისტუმრა თავადთან ციციანოვთან, გარნა დიდათ იშიშოდა მეფისაგან და ელოდა სიკვდილსა ჩვენსა გზასა ზედა და ჩვენცა ესრეთ მოველოდით. გარნა მინდობილნი ლმერეთისა წარვედით და მივედით ტფილისს<sup>5</sup> თავადს ციციანოვთან. მხილველი ჩვენი დიდათ მხიარულ იქმნა, და მიგვიღო სამაგალითოს პატივის ცემითა. და შემდგომად თორმეტისა დღისა გაგვისტუმრა რუსეთად დიდის მომზადებულებითა და დიდის პატივითა ყოვლის საქართვებითა კმაყოფილნი. ნუ განვაგრძელებთ. მივედით რა სამეუფოსა<sup>6</sup> ქალაქსა<sup>7</sup> სანკტ-პეტერბურლს, შეგვიწყნარეს და მიგვიღეს სამაგალითოთა პატივითა, რომლისა წარწერა დიდსადაჲმე განგრძელების. და შემდგომად რამოდენისაჲმე ხანისა ინება და ღირს ვიქმენით ხილვად და თავყანისცემად მისის იმპერატორებითის დიდებულებისა მოწყალისა და დიდისა კელნიწივისა ალექსანდრეს პავლეს ძისა და ყოველთა მისთა ფამილიათა<sup>8</sup>. და შემდგომად ხილვისა წარუგზავნეთ იოანეს [281] დეკანოზის ხელით რომელიცა გეჰონდა ძღვნად წარღებული ჩვენის მთავრინას ნინა დედოფლისაგან ხატი ვლადიკერნის<sup>9</sup> ღმრთის<sup>10</sup> მშობლისა, და მთავრთა რა, შიილო შესაბამითა პატივითა და დაასვენა თვისის სასახლის ეკლესიასა შინა დიდის ცერემონიითა.

ჩვენ ვიყავით სანკტს-პეტერბურლსა შინა გამოუთქმელითა ცხოვრებითა ერთსა წელსა. და შემდგომად გამოგვისტუმრეს დიდის პატივითა ყოველითურთ კმაყოფილნი. ყოველივე თხოვა<sup>470</sup> მთავრისა: ჩვენისა ინება მიცემა იმპერატორებითის დიდებულებამ და ბრძანა—აღსრულება, წარმოგზავნა წყალობათ<sup>11</sup> და ესენი: შეამკო უძვირფასესად ხატი ვლადიკერნის<sup>12</sup> ღმრთის მშობლისა და წარმოგზავნა კვალად სახლსა შინა დადინისასა, რათა მუნ განისვენოს წინადად ჩემის საფარველის დადებისა და თქვენის<sup>13</sup> ჩემდამი<sup>14</sup> ერთგულებისა. მას თანწარმოატანა ყოველითურთ დაუკლებელი ერთი ხელი შესამოსელი სამღვდელლო<sup>15</sup> და სამთავრო, შესაბამი მისის ბოძებისა. ბრძანა აღშენება ეკლესიისა სახელსა ზედა ვლადიკერნის<sup>16</sup> ღმრთის მშობლისასა საძენგრელოსა შინა ხარჯითა მისის იმპერატორებითის დიდებულებისათა, და იქმნეს ჴუნ ქალაქი, და ეწოდებოდეს სახელად ქალაქსა მას გრიგოლიმოლი სახსოვრად განსვენებული-სა გრიგორი დადინისა. მოგებომა მთავარსა ჩვენსა ლეონ გრიგორის<sup>17</sup> ძეს დადინასა გრამოტა-დასამტკიცებლად მთავრობისა, დროშა უძვირფასესად შექმობილი და ხმალი ძვირფასითა თვლებითა მოოქვილი, ჩინი ლენერალ-მაიორობისა და ორდენი ბრიალენტითა [282] წმინდის ანნისა პირველისა კლასისა და ერთი ბეჰედი დიად მდიდარი და ძვირფასი. დედასა მთავრისასა, მთავრინასა ჩვენსა, საქართველოს მეფის ასულს ნინას—ორდენი პირველისა კლასისა წმინდის ეკატერინისა<sup>18</sup>. და ბრძანა: ვინათგან სამენგრელოს მთავარი ლეონ გრიგორის ძე არს ჯერეთ თორმეტისა წლისა და არ ძალუძს მას

<sup>1</sup> ქუთათის ABC. <sup>2</sup> და—AC. <sup>3</sup> წარსვლისას BC. <sup>4</sup> ქუთათის ABC. <sup>5</sup> ტფილის A. <sup>6</sup> რა სამეუფოსა—A. <sup>7</sup> ქალაქს A. <sup>8</sup> ფამილიათა BC. <sup>9</sup> ვლადიკერან B, ვლადიკერან C. <sup>10</sup> ღმრთი BC. <sup>11</sup> წყალობით B. <sup>12</sup> ვლადიკერანისა A, ვლადიკერანისა BC. <sup>13</sup> თქუშნის B. <sup>14</sup> ჩემო A. <sup>15</sup> სამღვდელო BC. <sup>16</sup> ვლადიკერან AC, ვლადიკერან B. <sup>17</sup> გრიგორის B. <sup>18</sup> დენარალ BC. <sup>19</sup> ეკატერინას A. <sup>20</sup> ძალუჯ A.

მართვა მთავრობისა, ამისთვის ლეონის ოცისა წლისა მიწევნადმდე ნინა მთავრინა მართებდეს სამთავროსა სამეგრელოსაო. ჩვენ მოგვებოდა უმოწყალებად: მე მიბოძეს პირდაპირ პოლკოვნიკობა<sup>1</sup> და ორდენი წმინდისა ანნის. პირველისა კლასისა და ამასთან უძვირფასესი ბეჭედი და უძვირფასესი თვლები<sup>2</sup> ბით<sup>3</sup> მოოქცილი ბურნათის კოლოფი და სხვა თეთრი მრავალი; ბეჭანი— პოტპოლკოვნიკობა<sup>4</sup> და ორდენი წმინდის<sup>5</sup> ანნის მეორის კლასის, ძვირფასი ბეჭედი და თეთრი მრავალი; დეკანოზს იოანეს— ოქროს ჯვარი, კამილაკვა და სიკვდილამდე<sup>6</sup> პენცია და თეთრი მრავალი. და მხლენი ჩვენი აღავსეს წყალობითა. და ესრეთ ღირსყოფილნი წარმოვედით სამეგრელოდ და გამოვედით მალაროსია და ყირიმი და შთავსხედით ქეფას<sup>471</sup> ხოლმანდსა შინა, და წარმოვედით და მოვედით ყულეეს და იქილამ ბანძას, სადა იყვნენ შეკრებულნი მთავარი ჩვენი და მთავრინა, და შეიქმნა სიხარული გამოუთქმელი და სხვა და სხვა შექცევანი. და ესრეთ იქმნა სკლა<sup>5</sup> ჩვენი ძალითა ღმრთისათა.

ხოლო ყოფნასა ჩემსა როსიად ანუ სხვათა ადგილებთან მიმოვლასა ჩემსა, თუ რაა იგი მიხილავნ საკვირეონი, ანუ დიდებანი, [263] ანუ საქებლნი, ანუ სხვა და სხვანი სახილავნი, — იგი აქა დამეწერა, უხამსად შეიქმნებოდა<sup>6</sup> სიგრძე წერილისა ამის, და ამისთვის აქა ესრეთ მოკლედ აღვსწერე, და ვისაცა<sup>7</sup> აქვს სურვილი ამის შეტყობისა და სმენისა, იხილოს ჩემ მიერ აღწერილსა მიმოვლასა შინა (რომელსა ეწოდებინ: „მიმოვლა ნიკოლაა დადიანოვისა“). მეფესა იმერეთისასა სოლომონს საქართველოასა უპირატეს მართებელი თავადი ციციანოვი აწვევდა და ეტყოდა, რათა იგიცა გრიგოლისამებრ შევიდეს მთავრელობასა და ერთგულებასა შინა რუსეთის იმპერატორისასა, გარნა მეფე არა თანხმა იყო ამა განზრახვისა, არამედ უმეტეს ერთგულებდა პორტი ათამანსა და იქით ჰქონდა ჰაზრი თვისი.

ესამთ ამთ აღმხედრდა და გაილაშქრა<sup>8</sup> თავადმან ციციანოვმან სპარსეთსა ზედა, მოადგა განჯის ციხესა და დიდის ბრძოლის შემდგომად აღიღო იგი<sup>472</sup> და მოჰკლა მას შინა მყოფი ხანი და იაყარ ჰყო საქონელნი და ცხოვრებანი ჯაყათ ხანისანი და გამარჯვებული მოიქცა ტფილისადვე. ხოლო განჯას უწოდეს სახელად ელისაბედპოლი სახელსა ზედა იმპერატრიცა ელისაბედისასა.<sup>473</sup>

კვალად რამოდენისამე ესამისა შემდგომად გაილაშქრა<sup>9</sup> თავადმა ციციანოვმან სპარსეთსა ზედა და მოადგა ერევნის ციხესა. და მოდგომისა შემდგომად წამოეხმარა ბაბა-ხან ყენი ორასი<sup>10</sup> ათასითა მხედრითა<sup>11</sup> ციხესა ერევნისასა და მოადგა გარს ციციანოვს. უღონო იქმნა თავადი ციციანოვი, რა იხილა ენეოდენი სიმრავლე მტერთა და უფროვე ამისთვის, რომელ სამი ათასისა მეტი არა ჰყვანდა [284] მხედრობა<sup>12</sup>, რათა ციხესაცა მოადგეს და ყენისაცა ებრძოლოს. მაშინ დაუტევა ციხე, დაუპირდაპირდა ყენსა და ებრძოლა სასტიკად, და წარმოვიდა მშვიდობით და მოვიდა კვალად ტფილისადვე.

შემდგომად<sup>13</sup> რამოდენისამე ხანისა<sup>474</sup> წარვიდა კვალად სპარსეთად და რა მივიდა ბაქოს, იწყო ბაქოს ხანთანა ზრახვად: „უკეთუ არა მოაჩილ შექმნები, შემგუსრავ შენ და ციხესა შენსა, ვითარცა განჯასა“. მაშინ ცბიერებითა ემორჩილა ბაქოს ხანი და მიუწოდა მხოლოდ ციციანოვს რამოდენითამე კაცითა. დაუტევა მხედრობა და თვით წარვიდა ორითა ცხენოსნის<sup>14</sup> ყა-

<sup>1</sup> პოლკოვნიკობა A. <sup>2</sup> თვლებით—A. <sup>3</sup> წმინდისა B. <sup>4</sup> სიკვდილამდე A. <sup>5</sup> სკლა A.

<sup>6</sup> შეიქმნებოდა A. <sup>7</sup> ვისაც B. <sup>8</sup> გაილაშქრა A. <sup>9</sup> გაილაშქრა A. <sup>10</sup> ორას A. <sup>11</sup> მხედრებითა A. <sup>12</sup> მხედრობა—B. <sup>13</sup> კვლ ABC. <sup>14</sup> ცხენოსანი A.

ზახითა და წარიტანა პოლკოვნიკი ელისბარ ერისთვისშვილი, რომელსა უწოდდენ<sup>1</sup> ალაბაბასშვილსა<sup>2</sup>, და რა მოვიდა მახლობლად<sup>3</sup> ციხის კარისა, გამოვეება ციხის გარეთ ხანი და დასხდენ სასაუბროთ. მაშინ განზრახულთა კაცთა დაუპინეს დამბაჩები<sup>4</sup> და მოკლეს<sup>5</sup> კნიაზი ციციანოვი, კაცი ღირსასახოვარი ყოველსა შინა საქმესა და მასთან ელისბარ ერისთვისშვილი. 5 ულონო იქმნენ მხედრობა კნიაზ ციციანოვისა და ვერღა მპოვნელთა საქართველოსა<sup>6</sup> გზისათა შთასხდენ კასპიის ზღვასა შინა ხოლმანდთა და გამოვიდენ<sup>7</sup> აშტარხანსა<sup>8</sup>, ამისთვის განრისხდა<sup>9</sup> როსიის იმპერატორი ალექსანდრე პავლეს ძე პირველი და წარმოგზავნა დიდბალი მხედრობა დასამზობელად ბაქოსა. და მოვიდენ და მოადგენ გარს ბაქოს. გარნა ხანი ვერღა 10 დადგა შიშითა ციხესა მას შინა და უქანით გარდობარა და წავიდა. და ციხე აღიღეს რუსთა და ეგრეთეე დარბანდი, შამახია და ამათი მიმდგომნი ყოველნი და დაიპყრეს [285] რუსთა, რომელნი დღესაცა<sup>10</sup> უმეტესად უპყრიეს.

ხოლო შთავარმმართველად<sup>11</sup> საქართველოსად ნაცვლად ციციანოვისა წარმოგზავნეს ლენერალ-ინფანტერი გრაფი ივან ვასილივიჩი ლულოვიჩი. 15 ამანცა მრავალჯელ<sup>12</sup> აწვია იმერეთისა მეფე სოლომონ, რათა შევიდეს ერთგულეებასა შინა როსიის იმპერატორისასა და განავდოს ერთგულეება პორტისათამანისა და მისდამი საიღუმლოდ ზრახევა, გარნა არა ინება და არცა ჰსურდა მფარველობა<sup>13</sup> როსიის იმპერატორისა და მეცადინეობდა, თუ რომლის ღონისძიებით განეროს რუსეთის ყმობისაგან. 17<sup>13</sup> / 20

ამთ ღროებთა შინა განირიხსა ღმერთი, დაივიწყა მამა-ცნებრი მოწლო-ობა და ასლან-ბეგ შარვაშიცემ ულალატა მამასა თვისსა ქელაიშ-აჰმედ-ბეგსა და მოჰკლა აყუს ციხესა შინა და თვით დაიპყრა აყუ და ქალაქი მისი და ყოველი ქონება მამისა თვისისა, ვინადგან<sup>14</sup> იყო ქელაიშ-აჰმედ<sup>15</sup> ბეგ მდიდარ ფრიად. 476<sup>14</sup> ამისთვის უპირშპოესი წვილი ქელაიშ-აჰმედ-ბეგისა საფარ-ბეგ, 25 სიძე დადიანისა, რომელსა ჰყუანდა და ვრიგოლისი და სცხოვრებდა ზუფუს<sup>16</sup> ბრძანებითა მამისათა<sup>17</sup>, წარმოვიდა და მოვიდა ლეონ გრიგოლის ძის დადიანისა თანა, და სთხოვა შეწვენა, რათა ესევეითარისა ბოროტმოქმედებისათვის შურ აგოს ძმასა თვისსა ასლან-ბეგსა<sup>14</sup>. მაშინ წარვიდა ლეონ დადიანი სპითა სამენგრელოსათა, და მივედით აყუს და დავებანაკეთ ბესილას<sup>177</sup> პირზედ და ვერა მოვადგეით<sup>18</sup> ციხესა გარს, ვინადგან<sup>14</sup> არა გეჰქონდა მომზადებულება<sup>18</sup> [286] არტილერიათა და არცა სხვათა<sup>21</sup> ციხის მოსადგომთა იარაღთა. ამისთვის გამოვართეთ მეუღლე ქელაიშ-აჰმედ-ბეგისა მარშანაის ასული, რებია<sup>22</sup> 30 ჰანუმ და შვილი მისი ბათალ-ბეგ შარვაშიძე, რომელ ესენი ტყვედ ყავდა ბოროტსა მას ასლან-ბეგს, და განეთავისუფლეთ და შემდგომად დაემწველეთ ყოველი აფხაზეთი ჯიქეთის საზღვრიდამ ვიდრე დალიცა-დადიანის საზღვრამდე და მივათვალეთ საფარ-ბეგს და ესრეთ მძვილობით წარმოვედით ოდიშადვე. 35

გარნა ბოროტი იგი მამის მკვლელი<sup>23</sup> ასლან-ბეგ კვალად იმყოფებოდა აყუს ციხესა შინა, გარნა არა აყენებდა ძმასა თვისსა საფარ-ბეგს და იბირებდა<sup>24</sup> ყმასა მისსა და აწუხებდა. ამისთვის კვალად მოვიდა ლეონ დადიანთანა 40

<sup>1</sup> უწოდენ A. <sup>2</sup> ალაბაბასშვილსა A. <sup>3</sup> მახლობლად A. <sup>4</sup> ტამბები A. <sup>5</sup> მოკლეს A. <sup>6</sup> საქართველოს A. <sup>7</sup> მოვიდენ B. <sup>8</sup> აშტარხანსა B. <sup>9</sup> გარისხდა A. <sup>10</sup> დღესაც B. <sup>11</sup> შთამმართველად A. <sup>12</sup> მრავალჯერ B. <sup>13</sup> ფარველობა A. <sup>14</sup> ვინათგან A. <sup>15</sup> ახმედ C. <sup>16</sup> ზუფუს + და A. <sup>17</sup> მამისათა + და A. <sup>18</sup> ასლან-ბეგს B. <sup>19</sup> მოვადგეით A. <sup>20</sup> მომზადებულება A. <sup>21</sup> სხვათა—A. <sup>22</sup> რებია B. <sup>23</sup> მკვლელი BC. <sup>24</sup> ბირებდა BC.

და სთხოვა, რათა შეეწიოს და მიიღოს საფარველსა შინა რუსეთის იმპერატორმა და ჰყოს ყმად მისა, ვითარცა მთავარი დადიანი. მაშინ სთხოვა უქვე-  
შეშვერდომილებით ლეონ დადიანმა რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე პავ-  
ლეს ძეს პირველს, რათა მიიღოს საფარველსა და ყმობასა შინა თვისსა<sup>2</sup>  
5 საფარ-ბეგ<sup>2</sup> შარვაშიძე, ვით თვით იგი არს. ისმინა თხოვა დადიანისა მისმა  
იმპერატორებითის დიდებულებამ და მიიღო ყმობასა და საფარველსა შინა  
თვისსა საფარ-ალი-ბეგ<sup>3</sup>.<sup>478</sup> და ეინათგან დადიანმან სთხოვა იმპერატორსა,  
ამისთვის პატივ-სცა თხოვასა დადიანისასა და მიიღო მფარველობასა შინა  
რიცხვთა<sup>4</sup> შორის მთავრებთასა და მონიჭა წყალობაცა: კავალერი წმინდისა  
10 ანნის პირველისა წარისხისს და დროშა სამთავრო [287] და სიკვდილამდის<sup>5</sup>  
დიდძალი პენცია და აღუთქვა მცირედისა ხანისა შემდგომად ალება აყუს ცი-  
ხისა და განძება მამის მკვლელის<sup>6</sup> ასლან-ბეგისა.

შემდგომად ამისა დაიხსნა რა მშვიდობა ჩვენის კელმწიფისა და პორტის  
ათამანისა შორის,<sup>479</sup> ამისთვის ბრძანებითა საქართველოს უპირატეს მთავრის  
15 გრაფი ლუდოვიჩისათა აღილაშქრა<sup>7</sup> ლენერალმა რიქოფე მოსადგომად ფოთის  
ციხისა. და გამოვიდა მხედრობითა ქუთაისიდან და აქილამ სპანი დადიანი-  
სანი, და მივედით და დავებარგეთ მახლობლად ფოთის ციხისა. და იყო მუნ  
მეტროპოლიტი ჰყონდიდისა ბესარიონ, მეტროპოლიტი ცაიშისა გრიგორი  
და სხვანი ყოველნი სამხენგრელოს თავად-აზნაურნი. და რა დაღამდა, ში-  
20 ბრძანა ლენერალმა რიქოფემ მე და ტარასოვს პოლკოვნიკს, რათა ხვალ დი-  
ლით მივიდეთ და აღვიღოთ საუბარი შემოვლუბული ქალაქისა და ქალაქიცა.  
დავემზადეთ და რა გათენდა, წავედით რამოდენითამე მხედრებითა და ეგრე-  
თვე რამოდენითამე ჩვენებურის კაცითა და რა მოვედით თავსა ქალაქისასა,  
იყო დიდის სიმაგრით ნაშენი სანგალი, და მუნ იდგენ რამოდენიმე მხედრობა  
25 ოსმალთა. და შეექმნით ბრძოლა და რამოდენისამე ბრძოლისა შემდგომად  
ესცანით, რომელ ესევითარის ბრძოლით ვერ გავდენით ჩვენ. მაშინ პოლკოვ-  
ნიკმა და მეცა მიუტანეთ ერთხმათ შტურმა (ესე იგი ერთი), და გარდვიდენ  
მხედრობა სანგალსა ზედა, აღვიდეთ სიმაგრე და [288] შეველბ<sup>8</sup> ქალაქსა  
შინა და აღვიდეთ ქალაქი და მოვადექით ციხის მახლობლად. მაშინ ვაცნო-  
30 ბეთ ლენერალსა რიქოფს, და მოვიდა სრულის მხედრობითა და არტილერიითა<sup>9</sup>  
და მასთანა ზემოხსენებულნი სამღვდელონი<sup>10</sup> და სხვანიცა. და შემოვკარით<sup>11</sup>  
ირგულივ ციხე და მოველოდით<sup>12</sup> ალებასა მისა<sup>13</sup> მცირესა ხანსა, გარნა  
შემდგომად ერთისა<sup>14</sup> კვირისა მოვიდა ბრძანება გრაფის ლუდოვიჩისაგან და  
შემოვეცალეთ და წარმოვედით ისევ სამხენგრელოთ ჩვენ ჩვენსა ადგილსა კა-  
35 ცად-კაცადნი.<sup>480</sup>

მას ეამსა მოვიდა სერესკალი ოსმალთა უსუფ-ფაშა დიდითა მხედრები-  
თა საბრძოლველად საქართველოსა ზედა. აქათ მოეგება გრაფი ლუდოვიჩი  
და შეექმნათ ბრძოლა მახლობლად<sup>15</sup> ყარსისა<sup>481</sup>, და აოტენეს სერესკალნი, და  
გაიმარჯვა სახელოვნად გრაფ ლუდოვიჩმა. და ამისთვის მიუბოძა ჯილდოდ  
40 კელმწიფე იმპერატორმა გრაფ ლუდოვიჩს ლენერალ<sup>16</sup>-ფელდმარშლობა და  
სხვანიცა ხელქვეშეთნი მისნი აღავსნა წყალობითა.

<sup>1</sup>წითისა—BC. <sup>2</sup> საფარ-ალი-ბეგ A. <sup>3</sup> შარვაშიძე ვით... საფარ-ალი-ბეგ—A. <sup>4</sup> რიქოფთა BC. <sup>5</sup> სიკვდილამდის BC. <sup>6</sup> მკვლელის BC. <sup>7</sup> აღილაშქრა A. <sup>8</sup> შევედით A. <sup>9</sup> არტილერიითა AC. <sup>10</sup> სამღვდელონი BC. <sup>11</sup> შემოვკარით A, შემოვკარით B. <sup>12</sup> მოველოდით B. <sup>13</sup> მისა A. <sup>14</sup> ერთი A. <sup>15</sup> მახლობლად—A. <sup>16</sup> ლენერალ A.

შემდგომად ამისა წარვიდა გრაფი ლუდოვიჩი და მოადგა გარს ერევის ციხესა და შრავლის ბრძოლისა შენდგომად ვერ აღიღრ იგი, და კვალად მოიქცა საქართველოდ.<sup>182)</sup> და ამით ეამთა ღენარალ-ფელდმარშალს ღრაფ ლუდოვიჩს მიუბოძეს მოსკოვისა მთავარმმართველობა<sup>1</sup>, ხოლო საქართველოდ წარმოგზავნეს ღენერალ ოთ-კავალერი ალექსანდრე პეტროვიჩი<sup>2</sup> ტორმასოვი მთავარმმართველად.<sup>483)</sup>

ამთ ეამთა გარდაიცვალა [289] ღენერალ-მაიორი რიკხოფი ყულევს<sup>484)</sup> და მოადგილეთ მისა წარმოგზავნეს სამენგრელოსა შინა ღენერალ-მაიორი თავადი დიმიტრი ზახარეიჩი ორბელიანი.

ღროსა ამას განურისხდა დადიანი ღონ შარვაშიძეს ბეჟანს და შეიპყრა და პატიმარ ჰყო ციხესა შინა ჰაქეიჯისასა და თხოვითა თავადის დიმიტრის ზახარეიჩის ორბელიანისათა განუტევა იგი, ხოლო ყოველი სამურდაყანო-აფხაზეთი მიათვალა და მიადარა საუფროსოთ და საგამებელოდ სიძესა თვისსა მანუჩარ სოლომონის ძე<sup>3</sup> შარვაშიძესა. არა თუ სიძობისათვის აატივისცა ესრეთ, არამედ ვინათგან იყო იგი კაცი სახელოვანი და საქმესა შინა მარჯვე.

უპირატეს მმართველი საქართველოასა ტორმასოვი სხვათა და სხვათა კეთილ წინადადებითა უჩვენებდა მეუკესა იმერეთისასა. რათა მოჩილ ექმნას რუსეთის იმპერატორსა და ერთგულბედს მას, თორემ შეინანებ<sup>4</sup> მოქმედებასა შესაო. გარნა არა რომლითამე კეთილ ჩვენებითა არა იწადა დამორჩილება ამისი.

ამთ ეამთა შორის მოუვიდა<sup>5</sup> ბრძანება ტორმასოვისა თავადს ორბელიანს, რათა მოადგეს ციხესა ფოთისასა.<sup>485)</sup> მაშინ მყოფმან ყულევს ორბელიანმა შემოჰკრიბა მხედრობა იმერეთსა და სამენგრელოსა შინა ღყოფი; მხედრობა დადიანისა, და წარვიდა თვით, მასთანა მთავარი ღენონ დადიანი, და დავებარათე მახლობლად ფოთისა. და იყო ციხესა მას შინა [290] ბათუმის ბეგი ქუჩუ<sup>486)</sup> ბეგ შარვაშიძე და ჰყვანდა მეციხოვანედ ექვსასი<sup>6</sup> კაცი ოსმალისა და იყო მომზადებულ მას შინა. დილა რაჟ გათენდა, მიბრძანეს მე მთავარმანცა ჩვენმან და ღენერალმაცა, რათა აღვიღო ქალაქი ფოთისა. წარვედი სამენგრელოს რამოდენითამე მხედრობითა და ჩემთანა შარვაშიძე მანუჩარ, და შევედით რა ქალაქად, შეგვექმნა<sup>7</sup> ჩხუბი სასტიკი, რომელ ოსმალთ განენგარებინათ სახლნი და ქუჩანი. გარნა შემდგომად ბრძოლისა განესდგენეთ იგინი და შევეყარეთ ციხესა შინა და ჩვენ დავიპყართ ქალაქი და ნიუტანეთ საფარი მახლობლად ციხის კარისა და დავსდექით. მაშინ მოვახსენეთ რა მთავარსა ჩვენსა და ღენერალს<sup>8</sup>, მოვიდენ სრულას მხედრობითა, და შემოვზღუდეთ ირგულიც ციხე. მთავარი და ღენერალი საქმათა მხედრობითა დასდგენ ზემოთ ციხისა და შემოვზღუდეს. მარწმუნეს მე სრული სამენგრელოს მხედრობა და როტა ერთი რუსთა მხედრობა<sup>9</sup> თვისის ანტიღერიითა<sup>10</sup> და დავსდგე უკანით ციხისა და შემოვზღუდე ბოლოზიდან<sup>487)</sup> ვიდრე ციხეს გარემომდებ და დავსდგეთ<sup>11</sup> ესრეთ.

მაშინ ეზრახა მეფე სერასკალსა<sup>12</sup> შერიფ ფაშასა, რათა მოვიდეს მხედრობითა ოსმალთათა, და აქით თვით მეფე შთავიდეს ფოთს, და იქით-აქათ

<sup>1</sup> მთავარმართველობა A. <sup>2</sup> პეტროვიჩი A. <sup>3</sup> ძეს B. <sup>4</sup> შეინანებო A. <sup>5</sup> მოვიდა A. <sup>6</sup> ექვსასი A. <sup>7</sup> შეგვექმნა A. <sup>8</sup> ღენერალს A. <sup>9</sup> და როტა ერთი რუსთა მხედრობა—A. <sup>10</sup> ანტიღერიითა A. <sup>11</sup> დავადექით A. <sup>12</sup> სერასკალსა B.



მოდგომილთა დაამხონ დაღიანიცა და რუსთა მხედრობაცა. მაშინ შეიკრიბა სპანი ოსმალთანი სერესკელმა<sup>1</sup> შერიფ ფაშამ და მოვიდა ბათომს და დასდგა ზუნ, წარმოავლინა ცხრა [291] ათასი კაცი და<sup>2</sup> მხედართმძღვანად ტუსჩი-ოღლი. წარმოვიდნენ და მისცა გზა<sup>3</sup> ზღვით და ხმელთი გურიელმან მამიამ, 5 ვინათგან ეამსა მას ერთგულებდა გურიელი მამია იმერეთისა მეფეს აოლომონს ამისთვის, რომელ მარიამ დედოფალმან, მეუღლემან მეფისამან, დადიანის ასულმან მისცა დედით ბიძაშვილი თვისი გიორგი წულუქიძის ასული მამიას ცოლად<sup>4</sup> და ესევეთართა მოკიდებულებითა ერთგულებდა მას ეამსა მეფესა. მოვიდნენ ოსმალნი და დაებანაკენენ გრიგოლეთსა და მალთაყვას სა- 10 შუალ. მაშინ მობრძანეს მე და მომაცალეს უკანით ციხისა, წარმიყვანეს და მალთაყვას<sup>5</sup> საპირდაპიროთ დამაყენეს სერასკლისა და მომცეს ერთი როტა რუსთა და ორი ზარბაზანი და ჩემნი საკუთარნი ყმანი, და ჩემთანა დავით გურიელის ძე ოცდა ათითა თვისის ყმითა, რომელიც იყო გარდმოვარდნილი თვისის სამეკიდროსაგან და იყო მთხოველად რუსთა თანა. და დაესდგე<sup>6</sup> ამა 15 მცირითა მხედრობითა მეპირდაპირედ სერესკლისა, ვინათგან<sup>6</sup> მხედრობა მცირე იყო რუსთაცა და სამენგრელოჲსაცა ჰაერის სწეულებისა გამო. შემდგომად სამისა დღისა მოვიდნენ მალთაყვას<sup>7</sup> ვალმით, გააკეთეს დიდი საფარი, მოიტანეს ზარბაზანი და დავიწყეთ სასტიკი ბრძოლა, რომელ თოფთა და ზარბაზანთა ხმა ვერღა გაიჩივლა სიმრავლისა გამო, და ესრეთ დაუტადებე- 20 ლად ვიბრძოლეთ თორმეტი დღე და ღამე. და რა ვესკანით, რომელ არ ძალუცს არც ამათ აქეთ ძალით გამოსელა<sup>8</sup> და არცა [292] ჩვენ და სხვა ღონის ძიება არარაჲ არს, — ამისთვის ვიწყეთ საუბარი გურიელისადმი, რომელ ქმნას ერთგულება ჯელმწიფე იმპერატორისად<sup>9</sup> და უკანით დაესხას ოსმალთ მხედრობასა. ამისთვის იწყო ქნიაზ ორბელიანმა არხიერის ჯუმათლისადმი 25 საუბარი არხიზანდრიტის დონდოლაძის<sup>10</sup> პირით, რათა შეასმინოს გურიელსა, ხოლო მე—ვახტანგ როსტომის ძის ერისთავთა თანა, რომელი იყო ცოლისძმა ჩემი<sup>11</sup> და მას ეამსა პირველობდა სრულსა გურიისა ზედა. და ესევეთარის მოქმედებით გარდმოვიბირეთ გურიელი მამია; და შეუდგა თხოვილსა<sup>11</sup> ჩვენსა: უბრძანა ვახტანგ როსტომის ძესა ერისთავსა, შეიკრიბნა სპანი გურიელ- 30 თანი და დაესხა გრიგოლეთს დაბანაკებულთა ოსმალთა და შეიქმნა სასტიკი ბრძოლა, სადა მამაცად ბრძოდნენ გურულნი<sup>12</sup>. აქათ ჩვენ გავედით სპითა მენგრელთათა და რამოდენთა მხედრობათა რუსთათა, მიუხედით აქათგან ჩვენ, ხოლო მუნით გურულნი, და გავსწყვიდეთ, მრავალნი ცოცხალნი დავიბრინეთ და რომელნი გარდაჩვენ, გაიქცენ ზღვით ჭურჭლებით, და ჩვენ აღაფი- 35 თა სავესენი კვალად ფოთს მოვედით.

მხილველმან ამისმან ქუჩუ-ბეგმან მყოფმან ციხესა შინა და ულონო ქმნილმან იწყო საუბარი და მოგვცა ციხე. და იგი და მხლენი მისნი მეციხოვანენი გაუშვით მშვიდობით. და რა მოვადევით ციხესა, მუნითგან წყებულნი მესამეს თვეს აღვიდეთ ციხე<sup>13</sup> და შევედით მას შინა დიდითა ცერემონიითა და მხიარულებითა. დაუტყვევთ მას შინა მცველი მხედრობა [293] და ჩვენ წარმოვედით ესრეთ გამარჯვებულნი სახლად ჩვენსა.

ხოლო მოფემან იმერეთისამან ვერ სრულ ჰყო განზრახვა თვისი და და- შთა ესრეთ.<sup>13</sup>

<sup>1</sup> სერესკელმან A. <sup>2</sup> და—A. <sup>3</sup> ზგა A. <sup>4</sup> მათაყვას ABC. <sup>5</sup> დაესდგე A. <sup>6</sup> ვინადგან B. <sup>7</sup> მათაყვის A, მათაყვას BC. <sup>8</sup> გამოსელა A. <sup>9</sup> იმპერატორისა A. <sup>10</sup> დონდოლაძის A. <sup>11</sup> თხოვი- ნილსა B. <sup>12</sup> გურურულნი A.

შემდგომად რამოდენისამე ეამისა წარმგზავნა მე კნიაზმა ორბელიანმა მამია გუროიელისადმი, და მოსცა გუროიელმა ყმად თავი როსიისა კელმწიფე იმპერატორსა.<sup>1</sup> და წარმოუგზავნა ტრახტატნი, თუ ვითარ ჯერ-არს ყმობასა შინა შესვლა<sup>2</sup>, რომელი თეით მე აღვწერე. და მიიღო კელმწიფე იმპერატორმა საფარველსა და ყმობასა შინა თვისსა და მოუბოძა ჩინი ღენარალ-მაიორობისა, ორდენი წმინდის ანნის<sup>3</sup> პირველისა კლასისა და ღროშა სამთავრო და გრამოტა, და იქმნა ერთგულ ყმად ვიდრე დღემდე.

ხოლო ფოთისა აღებისა და სერესკლის<sup>4</sup> დამარცხებისათვის ჯილდოდ ჩვენისა მრომისა კელმწიფე იმპერატორმა აღგვავესო წყალობითა მთავარი ჩვენი და ჩვენ ყოველნივე და ეგრეთვე ღენერალი თავადი ორბელიანი და მხლენი მისნი მხედრობანი.

შემდგომად ამისა საქართველოს უპირატეს მმართველმან ღენერალმან ტორმასოვმან მიუწოდა თავადს ორბელიანს საქართველოდვე და იმერეთს წარმოგზავნა ღენერალ-მაიორი ფედორ<sup>5</sup> ფილიპეიჩ სიმონოვი.<sup>6</sup>

ხოლო რა სცნეს რუსთა ჭეშმარიტებით, რომელ მეფე იმერეთისა არა მოდრკების ერთგულებასა ზედა კელმწიფე იმპერატორისასა და არა განადგობებს ერთგულებასა პორტის ათამანისასა და არა დააცხრობს წინააღმდეგსა საქციელსა, ამისთვის უბრძანეს მთავარსა სამენგრელს<sup>7</sup> ოისასა ლეონს გრიგოლის ძეს, რათა შეერთდეს იმერეთის ნართებელის სვიმონოვიჩთან და განდევნონ მეფე იმერეთით და დაიპყრას იმერეთი ხელმწიფე<sup>8</sup> იმპერატორმა. შეიკრიბა სპანი მენგრელთან ლეონ დადიანმა<sup>9</sup>, გაედიოთ ცხენის წყალსა და დავებანაკეთ ჯიხაიშს. გავიდა იქ ღენერალ სვიმონოვიჩი მხედრობითა და შეეერთდით. ხოლო მეფე იდგა იმერელ სპითა ვარდციხეს. ხოლო კელმწიფე იმპერატორსა<sup>10</sup> უერთგულეს იმერელთა ამათ: ყოვლად სამღვდელომ<sup>11</sup> გენათელ მიტროპოლიტმა ეფთვიმი, თავადმა სახლთუხუცესმა ზურაბ ქაიხოსროს ძემ წერეთელმა, თავადმა ოტიაშ და სეხნიაშ წულუკიძემ, და ესენი იყვნენ ჩვენთანა. და სხვათა იმერელთა მოუკლებელი იდგა მეფე ვარდციხეს. აღმხედრდით და წარველთ მეფეზედ, რათა მოვადგეთ გარს. და რა სცნა მეფემან მისვლა<sup>12</sup> ჩვენი, ვერღა იკადრა პირისპირობა, წარვიდა ახალციხის მთის კალთასა შინა ხანს. და ჩვენ მივედით ვარდციხეს, ვსცანიოთ რა წასვლა მეფისა ხანს, მუდგეგით უკანა მისა და მივედით ბაღდათს და დავსდექით<sup>13</sup>. მცნობი ამისი მეფე იმერეთისა ვერღასად წარვიდა<sup>14</sup> და მოვიდა სვიმონოვისა და ჩვენთანა.<sup>15</sup> და გამოუცხადა სვიმონოვმან, რათა წარვიდეს საქართველოს მთავარმართველის ტორმასოვისა თანა. დამორჩილდა ნეფე და შემდგომად ერთისა კვირისა წარვიდა მეფე რამოდენითა თვისითა თავად-აზნაურითა და მივიდა ტფილისს ტორმასოვისა თანა. მან გამოუცხადა, რათა წარვიდეს რუსეთად და დააყენეს ყარაულნი, რათა არა ევლტოდეს სადამე. და რუსთა დაიპყრეს იმერეთი, ვითარცა საქართველოა, წელს ქრისტესით 1810.

და იყო მეფე ტფილისსა შინა. მაშინ ღამით გაიპარა თვისის მხლე თავად<sup>16</sup> აზნაურითა და შევიდა ახალციხეს, იმოვა რამოდენიმე ღეკთა და

<sup>1</sup> შესვლა A. <sup>2</sup> ღენერალ—B. <sup>3</sup> ანნის—A. <sup>4</sup> სერესკლის A. <sup>5</sup> ფედორ BC. <sup>6</sup> კელმწიფე BC. <sup>7</sup> დადიანან A. <sup>8</sup> იმპერატორ B. <sup>9</sup> სამღვდელომ BC. <sup>10</sup> მისვლა A. <sup>11</sup> დავსდევით B. <sup>12</sup> წაივიდა A. <sup>13</sup> თავადთ A.

ოსმალთა, ჯარი და შთამოვიდა იმერეთს და ზვიდა მისა ყოველი იმერეთი  
თენიერ გენათლისა, ზურაბ წერეთლისა და ოტია და სეხნია წულუკიძისა,  
და ესენი ერთგულეზდა რუსთა. მაშინ იმერეთისა მმართველმან<sup>1</sup> ქედლორ  
ფილიპოვიჩან სიმონოვმან მიიწვია თვისის<sup>2</sup> სითა დადიანი. და წარვედით და  
5 განვედით იმერეთად. და შემოგვეერთა ჩვენ რუსთა მხედრობა, და რომელი  
არა მოვილოდა ერთგულეზბასა ზედა ჯელწიფე იმპერატორისასა, ვსწვიდით  
და ვაოხრებდით, გარნა მრავალი მოვიდენ დამორჩილებად.

ამათ ეამთა შინა მოინსენა ჯელწიფე იმპერატორმა აღთქმული თვისი  
შარვაშიძის საფარ-ბევისადმი, წარმოავლინა ზღვით მხედრობა და მოადგენ  
10 სოხუნის ციხესა და თერამეტსა საათსა შინა აღიღეს იგი. და ივლტოდა მა-  
მის მკელელი ასლან-ბეგ და რომელიცა გარდარჩენ მხლენი მისნი. ხოლო ციხე  
და ქალაქი ყოვლის დიდებითა სავსე დარჩათ რუსთა, დასდგენ მას შინა, და  
ასლან-ბეგ სირცხვილეული წარვიდა ჯიქეთს.<sup>3</sup>

ხოლო რა განგრძელდა ლაშკრობა ჩვენი და ვერა განვედენთ მეფე.  
15 იმერეთით და დაიარებოდა<sup>4</sup> აქათ-იქით, მაშინ საქართველოს უპირატეს მარ-  
თებელმა<sup>5</sup> წარმოავლინა შემწედ ჩვენდა რამოდენივე მხედრობა და მხედართ-  
მძღვანად თავადი დამიტრი ორბელიანი. და რა სცნა ესე მეფემან, შეუკრა  
საფრითა გზად ქიშურისა და დააყენა მას ზედა სპანი იმერელთანი საკმაო და  
თავადი სიმონ აგიაშვილი. და მოვიდა მუნ თავადი ორბელიანი, დახვედენ

20 იმერნი და ქმნეს ბრძოლა, გარნა ვერ დაუდგენ იმერნი, ივლტოდენ, და მო-  
ვიდა კნიაზი ორბელიანი<sup>6</sup> ქუთაისს<sup>7</sup> თვისის რწუნებულის მხედრობითა.  
მცნობი ამისი მეფე ულონო იქმნა, სცნა რა, ვერღა ძალ[მშშ]უს<sup>8</sup> ბრძოლა-  
ჩვენი, წარვიდა კვალად ახალციხეს<sup>9</sup> და მეუღლე მისი მარიამ დედოფალი  
წარმოგზავნა დადიანისა ლეონისა თანა, ვინათგან იყოქამის და მისი, გარნა

25 მოითხოვეს იგი რუსთა, რათა წარგზავნოს რუსეთად. თუშეცა ამისთვის დიდათ  
სწუხდა<sup>10</sup> მთავარი დადიანი ლეონ და დედანისი, საქართველოს მეფის ასული-  
დედოფალი ნინო, გარნა ვერ წინააღუდგა ბრძანებასა იმპერატორისასა და  
მწყალობელის თვისის ჯელწიფისასა, და წარიყვანეს რუსეთად დედოფალი  
იმერეთისა მარიამ.

30 შემდგომად რაოდენისამე ეამისა საქართველოს უპირატეს მართველ-  
მან<sup>11</sup> ალექსანდრე პეტროვიჩმან ტორნისოვმან გარლაშკრა<sup>12</sup> ახალციხედ<sup>13</sup> და  
აწვია ლეონ დადიანიცა. და შეიკრიბა სამთავროთ მისით სპანი ოდიშ-აფ-  
ხაზნი<sup>14</sup> და ლეჩხუმელნი. და წარვედით და მივედით ახალციხეს, ენახეთ მუნ  
ტორმასოვი დიდითა მხედრობითა. და შემოვკარით<sup>15</sup> სრულიად ციხე და ქა-

35 ლაქი. და ოდეს სწადოდათ<sup>16</sup>, რათა შეესრულ-ვიყოთ ქალაქსა შინა, მაშინ გა-  
ჩნდა ჯარსა შინა მომსრუელი<sup>17</sup> სენი (ესე იგი ეამი) და შიშითა მისითა და-  
ვიფანტენით, აღვემზადეთ და წარვედით, გარნა ალაფი დიდწალი წარმოვი-  
დეთ, ვინათგან მარბიელთა ჩვენთა მოათარეშეს<sup>18</sup> მრავალნი სოფელნი და  
დაბანი. და ესრეთ წარმოვედით სურამზდინ ერთათ მთავარმმართველიცა

40 და მთავარიცა ჩვენი. და შემდგომად ჩვენ წარმოვედით კორტოხით ოდიშად და  
მთავარმმართველი თბილისად. და დაშთა ახალციხისა ციხე და<sup>19</sup> ქალაქი  
უვნებელი.

<sup>1</sup> მართველმან A. <sup>2</sup> თვისის A. <sup>3</sup> იარებოდა A. <sup>4</sup> მართველმა A. <sup>5</sup> ქუთაის ABC.  
<sup>6</sup> ძალუს A. <sup>7</sup> წუხდა B. <sup>8</sup> მართველმან A. <sup>9</sup> გარლაშკრა A. <sup>10</sup> აფხაზეთნი A. <sup>11</sup> შემოვკარით  
A. <sup>12</sup> სწადოდა A. <sup>13</sup> მომსრუელი A. <sup>14</sup> მოთარეშეს BC. <sup>15</sup> და—A.

ამათ ეამთა შორის მთავარი ჩენი ლეონ გრიგოლის ძე შეიქმნა ოცისა წლისა.<sup>198</sup> და ვინათგან ესრეთ იყო ბრძანება ჯელმწიფე იმპერატორისაგან, აქამოდღე სამთავროსა სამენგრელოასასა მართებდა დედამისი, დედოფალი ნინა, და რა მოვიდა დანიშნული ეამი, მიათვალა ძესა [297] თვისსა ლეონს სამთავრო სამენგრელოსი და სთხოვა ხელმწიფე<sup>1</sup> იმპერატორსა და წარვიდა<sup>5</sup> როსიად თაყვანის საცემელად მისისა ხელმწიფე<sup>2</sup> იმპერატორისა, ქაშილიათა მისთა. და წარიყვანა ძე თვისი გიორგი და აფხაზეთის მთავრის საფარ-ალი-ბეგის ძე, ყრმა დიმიტრი, ვინათგან სიყრბითგან<sup>3</sup> იგი ზრდიდა შეილად თვისად. და რა მივიდა სანკტ-პეტერბურლად<sup>4</sup>, ყოველთა სამაგალითოდ მიიღო იგი ჯელმწიფე იმპერატორმა და აღავსო ყოველითა წყალობითა და ნიჭითა, 10 და სცხოვრებეს მუნ.

შემდგომად წარსელისა<sup>5</sup> დედისა თვისისა მთავარმან ჩვენმან ლეონ დადიანმან<sup>6</sup> მოიყვანა მეუღლედ ზურაბ წერეთლის ასული მართა და ჰქმნა<sup>7</sup> დიდი და სახელოვანი ქორწილი ჭაჭეიჯს.

წელსა ამას 1811, გაჩნდა იმერეთსა შინა, ოღიშსა და გურიასა საშინე- 15 ლი მომსრველი სენი (ესე იგი ეამი) და ამასთან საშინელი და საკვირველი სიყმილი, რომელ<sup>8</sup> უთვალავნი მოისრნენ და მრავალნი განიბნენ, კნინლა და შუა გაიყო ყოველნი ქვეყანანი ესე ზემოხსენებულნი, და მრავალნი წარვიდენ აფხაზეთად<sup>9</sup>, ვინათგან აფხაზეთსა შინა არა იყო წელსა მას სიყმილი და არცა იგი მომსრველი<sup>10</sup> სენი. და განგრძელდა ესევეთარი რისხვა ლეთისა ორსა 20 წელსა და შემდგომად გარდვიდა, გარნა ქვეყანანი მრავალნი და სოფელნი დაშთენ ოხრად.

მაშინ კაცნი მუნითგან განბნეულნი მრავალნი იპოებოდენ დადიანის სამთავრო სამურდაყანო<sup>11</sup>-აფხაზეთსა შინა და უფროორე იმერეთისა კაცნი. ამი- 25 სთვის წარგზავნა ბოქოლნი მთავარმან ჩვენმან და შეკრიბნა და წარგზავნა მრავალნი სულნი იმერეთად. გარნა კვალად დაშთა მრავალნი. განიზრახა მთავარმან ჩვენმან<sup>12</sup>, რათა მსახუროს ჯელმწიფე იმპერატორსა და მიეხოს მადლსა და განბნეულნი იმერელნი შემოჰკრიბოს შესაძინელად ჯელმწი- [298]ფე იმპერატორისა და სასარგებლოდ სულისა. ამისთვის თვით წარვიდა. და ეგრეთვე აღუკრძალოს ტყვის ყიდვა და უსჯულოება სამურდაყანოელთა<sup>13</sup> მათ 30 და ეგონ ქრისტიანად. ამისთვის თანა წარიტანა ბიძა თვისი ჰყონდიდელ ნიტროპოლიტი ბესარიონ და ცაიშელ<sup>14</sup> მიტროპოლიტი გრიგოლ<sup>15</sup>, და მეცა ვახლდი. და ახლდა თან სიძე მისი მანუჩარ სოლომონის ძე შარვაშიძე, რომელი იყო ნის ეამისა სანჯრდაყანოს განმგებელი, თვით ლეონ დადიანისაგან დადგენილი. და მივიდით რა ბედიას, დავებანაკეთ სოფლად ხახუბიასას და<sup>16</sup> 35 დაესდგეპით მუნ. ხოლო ციხე ბედიისა მას ეამად ეპყრა ლეონ ხუტუნიას ძეს შარვაშიძეს, და იყო მას შინა თვისის ცოლ-შვილითა. ხოლო ძე ლეონ შარვაშიძისა ხუტუნია და სიძე დადიანისა მანუჩარ სოლომონის ძე შურობდენ ერთ-მანერთში<sup>17</sup> და იყვნენ ერთმანერთისა<sup>18</sup> ბიძაშვილინი<sup>19</sup>. და ლაქესა მას ყოფნასა ჩვენსა ბედიას შემოუჭინა ხუტუნია მკაცი მანუჩარ შარვაშიძესა და მძი- 40 ნარესა სახლსა შინა შეეპარნენ და ლსცეს ხანჯალი მძინარეს და მოჰკლეს

<sup>1</sup> ჯელმწიფე BC. <sup>2</sup> ჯელმწიფე A. <sup>3</sup> სიყრმიდგან A. <sup>4</sup> სანკტ-პეტერბურლად B. <sup>5</sup> წასლი-  
სა A, წარსლისა C. <sup>6</sup> დადიანა B. <sup>7</sup> ქმნა A. <sup>8</sup> რომელნი B. <sup>9</sup> აფხაზეთად BC. <sup>10</sup> მომ-  
სრველი იგი B. <sup>11</sup> სამურდაყანო B. <sup>12</sup> ჩვენმა A. <sup>13</sup> სამურდაყანოელთა B. <sup>14</sup> ცაიშელი A.  
<sup>15</sup> გრიგოლი B. <sup>16</sup> და—A. <sup>17</sup> ერთმანეთში A. <sup>18</sup> ერთმანეთისა A. <sup>19</sup> ბიძაშვილი A.

კაცი ღირსსახსოვარი და საქებელი, იმპერატორის პოლკოვნიკი და კავალერი. მსმენელი ამისი მთავარი დადინი და მხლენი მათნი დიდსა მწუხარებასა მივეცი, გარნა არა იყო ლონე: ლეონ შარვაშიძე და ძე მისი ხუტუნია ციხესა შინა [იყვენენ] <sup>100</sup> და ჩვენ არა გვახლდა ჯარი, რათა ნაცვალა რამე<sup>1</sup> გვემოკმედებია. წარმოვიღეთ მკვდარი<sup>2</sup> და მოვედით სასახლესა მისსა ბარბარას და ვიყავით მუნ თუთხმეტ დღემდე, და იყო დიდი და გამოჩენილი<sup>3</sup> ჩვეულე-ბისამებრ აფხაზთა<sup>4</sup> ტირილი და ვაება. და შემდგომად მოვახვეწეთ ეკლესიასა<sup>5</sup> ცაიშს და დაეწარხეთ მუნ შესაუერისა პატივითა.

ამისთვის [289] იწადა მთავარმან ჩვენმან, რათა ლეონ შარვაშიძესა და ძესა მისსა ხუტუნისას ესვეითარის ბოროტმოქმედებისათვის გარდაახდევინოს<sup>6</sup>. და ვინათგან ციხე ბედიისა<sup>7</sup> მაგარი იყო<sup>8</sup> და ქებული და არავის აუღია იგი ძალისა შემოდგომითა და ლევანცა იღვა მომზადებით მას შინა<sup>9</sup>, ვინათგან სამურძაყანოსა შინა იყო მის<sup>10</sup> გამისა დიდ-შემძლე კაცი ლევან<sup>11</sup> შარვაშიძე, — ამისთვის დადინამცა მძიმეთ იპყრა თავდარიგი თვისი და სთხოვა შეწევნა რუსთა და წარმოუგზავნა ორი როტა მხედრობა და მასთანა არტილერია<sup>12</sup> და მხედრობა იმერთა რამოდენიმე და<sup>13</sup> სარდლათ იმერთა მხედრობისა გრიგოლი ზურაბის ძე წერეთელი და სენხია წულუკიძე. აგრეთვე სთხოვა შეწევნა მთავარს მამიას გურიელს, და მანცა წარმოუგზავნა გურული მხედრობა და სარდლათ მათდა ბიძა გურიელისა დავით და ვახტანგ როსტომის ძე ერისთავი. და ესრეთ შეკრებულნი წარმოვემართენით და მოვედით ბედიას და დავებანაკეთ ვალმით ციხისა, შევიზრახეთ ურთიერთთა შორის და ორათ<sup>14</sup> გაეყავთ მხედრობანი: რუსის მხედრობა და ოდიშარნი და სამურძაყანო. აფხაზნი ერთად და ამათდა მხედართმძღვანათ და თვით სარდლათ მთავარი ჩვენი ლეონ გრიგოლის ძე დადინი, და მოადგა ზემოთ ციხისა, ხოლო მეორედ იმერელნი და ლეჩხუმელნი და გურულნი და მარწმუნეს მე; და ამათ მხედართმძღვანათ<sup>15</sup> და სარდლათ მაჩინეს მე<sup>16</sup>. და მოვადექით ქვემოთ ციხისა. და რა შეუტეით, დაგვიწყეს ციხის გარემოდამ სროლა, გარნა მსწრაულ გავაქციეთ და შევიდენ ციხეშიდ, და ჩვენ მახლობლად ციხისა დავსდექით და ვემზადებოდით სასროლსა<sup>17</sup> ზარბაზნისასა და საფართთა, რათა მახლობლად შემოვზღუდოთ ციხე. მაშინ რა სცნა ხუტუნია ლეონ შარვაშიძის ძემ, ციხესა შინა ნყოფმან, რომელ მო[300]დგომა ციხისა ამის ფიცხელად არს და არ შეუძლიან გამაგრება ციხისა ამის, შეშინებული გაიპარა ღამით და წარვიდა წებელად.<sup>100</sup> და რა სცნა ლევან შარვაშიძემ, რომელ არ ძალუძს წინააღმდეგობა, დაგვიწყო მოციქულება, ითხოვა ჩემი იმედი უსიკვდილობისა, და გამოვიდა და მოგვცა ციხე ბედიისა. და ვინათგან იყო ლეონ შარვაშიძე მოხუცებული და მეუღლე მისი, ინალისშვილის ასული, და ამისდა პატივად მიუჩინა გამოსაზრდელად სოფელი ფახულანისა და მუნ წარგვზავნეთ. და ესრეთ გამარჯვებული მთავარი ჩვენი წარვიდა სახლად თვისად, ხოლო მე. დამტოვა ლეჩხუმის რამოდენიმე ჯარით. და განახლებით განვაამაგრე ციხე ბედიისა და ვიყავ რაოდენსამე ხანსა. და შემდგომად დავტოვე მუნ მეციხოვანედ თავადი გიორგი პეტრეს ძე მხეიძე<sup>18</sup> თვისის სახელოს კაცით და წარმოვედი მშვიდობით.

<sup>1</sup> რაიმე BC. <sup>2</sup> მკვდარი BC. <sup>3</sup> გამოჩენი A. <sup>4</sup> აფხაზთა BC. <sup>5</sup> ეკლესიასა BC. <sup>6</sup> გარდაახდევინოს B, გარდაახვეინოს C. <sup>7</sup> ბედიასა A. <sup>8</sup> იყო—A. <sup>9</sup> მაშინა BC. <sup>10</sup> მას B. <sup>11</sup> ლეონ B. <sup>12</sup> არტილერი B. <sup>13</sup> და—A. <sup>14</sup> ორა A. <sup>15</sup> მხედართმძღვანად B. <sup>16</sup> მე—A. <sup>17</sup> სასროლ A. <sup>18</sup> მხეიძე BC.

ამათ ეამთა მიუწოდეს მთავარმმართველსა საქართველომასა ტორმა-  
სოვს, და არწმუნეს საქართველომას მთავარმმართველობა<sup>1</sup> ღენერალ-ონტ-ინ-  
ფანტერსა ნიკოლაი ფეოდორიჩს<sup>2</sup> რტიჩევს,<sup>301</sup> რომელი იყო კაცი სათნო  
ღეთისა და ერისა; და ამან ჰქმნა მშვიდობა შორის ჯელმწიფე იმპერატორისა  
და სპარსეთისა.<sup>302</sup> ესე მოვიდა იმერეთად, განიხილა ყოველი იმერეთი, მიუ-  
წოდა ქუთათისს<sup>3</sup> მთავართა, დადიანსა და გურიელსა, უაღერსა მათ შესაბამად  
და მუნით მივიდა მარანზედ საქილაოს, მიწვეული ლევან დადიანისა; და  
უქმნა შესაფერი მეჯლიში დადიანმა და შემდგომად წარვიდა კვალად საქარ-  
თველოდ. ხოლო ეამსა ამას იყო იმერეთის მმართველად პოლკოვნიკი სტა-  
ნისლავ დამიანვიჩი გერლინი.

ხოლო მეფე იმერეთისა სოლომონ, ოსმალთა შინა მყოფი, წარვიდა აზ-  
რუმს და მუნით ევედრა ოსმალთ [301] იმპერატორსა პორტი ათამანსა, და  
ეგრეთვე შთავიდა ერევანს და მუნით ევედრა სპარსეთისა ყუინსა, გარნა ვერა  
რომლითამე მხრითა იშოვნა შეწვენა. და მრავლისა ხეყნისა და მრავლისა  
თხოვისა შემდგომად მოვიდა ტრაპიზონს, დასწეულდა მუნ და მოკვდა წელს<sup>4</sup>  
1815,<sup>303</sup> და დაფლეს მუნ დიდისა პატივითა. ხოლო თავად-აზნაურნი, მხლენი  
მისნი, არა განუტევეს ოსმალთა და ეტყოდენ: ოდეს ჩვენდა დავიპყრობთ იმე-  
რეთსა, მაშინ განგიტევეთო. და იცოდენ მათ ოსმალთ მოტყუებისა ამბავი.  
და იმეცადინეს და გამოიპარენ<sup>5</sup> ერთიანათ<sup>6</sup> იმერელნი, მუნ მხლენი მეფისანი,  
და მოვიდენ იმერეთად და შეიწყნარეს რუსთა და მისცეს თვის-თვის სახლსა  
შინა მშვიდობით ცხოვრებაჲ.

ამათ ეამთა იყო, რომელ ნაპოლენ მონაპარტე<sup>7</sup> 504) შემოვიდა რუსეთად  
და მოაოხრა რუსეთი, და ამისთვის ჯელმწიფე იმპერატორმა და პორტი ათა-  
მანმა ქმნა მშვიდობა შორის მათსა. და ამისთვის მისცეს რუსთა კვალად ფო-  
თი ოსმალთა.<sup>305</sup> ხოლო მონაპარტი ძლიერებითა განსაკვირვოთა<sup>8</sup> განსდევ-  
ნეს რუსეთიდან და უკანით შეუღვა თვისის უძლეველის მხედრობითა ჯელმწი-  
ფე იმპერატორი ალექსანდრე პირველი, მიჰყვა პარისამდე, აღიღო პარისი და  
თვით მონაპარტე შეიპყრა და ესრეთ საუკუნოდ სახსოვრად და სამაგალითოდ  
გაიმარჯვა და სძლია მტერთა ძლიერებით საკვირველსა.

ხოლო ჯიქეთს მყოფი ასლან<sup>9</sup>-ბეგ შარვაშიძე<sup>10</sup>, მაისს მკელელი, წარვიდა  
სტანბოლს<sup>11</sup> და მუნით მოვიდა ფოთს, სადა იყო სერესკალი სულეიმან ფაშა  
ხაზინდარ<sup>12</sup>-ოღლი, რომელსა ჰქონდა რწმუნებული, რათა დაიპყრას იმერეთი და  
სამენგრელო და<sup>13</sup> განდევნოს რუსი, რომელმანცა არა თუ შესრულა ესე  
ბრძანება, ვერცაღა-თუ განცხადებაცა იკადრა პიჭაშვიტით მისით და ესრეთ  
კვალად უკუნიქა. და სერასკალის ფოთს ყოფნასა შინა მოიცა ასლან-ბეგმა  
ძალი, წარმოიტანა რამოდენიმე ოსმალთა ჯარი ზღვით და მოვიდა გუდავას,  
და გუდავადამ მოვიდა ტამუშს<sup>14</sup> და მუნ დასდგა, სწადოდა დაპყრობა<sup>15</sup>  
აფხაზეთისა. გარნა მოვიდა საფარ-ალი-ბეგ და სთხოვა შეწვენა რუსთა. მაშინ  
მიბრძანეს მე და წარმაზანენს და მომცეს ბრძანებასა ჩემსა ქვეშე ბატალიონი  
თვისის არტილერიითა და მიბრძანეს, რათა დაეგნხა მათ თავს. და არ წარ-  
ველ და მიველ ილორს, მაშინ სცენს მისლვა ჩემი და ივლტოდენ<sup>16</sup> ოსმალნი  
და დაუტევეს ასლან-ბეგ. და ასლან-ბეგ წარვიდა კვალად ჯიქეთად. ხოლო  
აფხაზეთი კვალად დაშთა საფარ-ბეგს.<sup>307</sup>

<sup>1</sup> მთავარმმართველობა A. <sup>2</sup> ფედორიჩს BC. <sup>3</sup> ქუთათის ABC. <sup>4</sup> წელს C. <sup>5</sup> გამოიპარენ A.  
<sup>6</sup> ერთიანად A. <sup>7</sup> მონაპარტე A. <sup>8</sup> განსაკვირვოთა A. <sup>9</sup> ასლან A. <sup>10</sup> შარვაშიძე—A. <sup>11</sup> სტა-  
მბოლს A. <sup>12</sup> ხაზინდარ A. <sup>13</sup> და—A. <sup>14</sup> პყრობა A. <sup>15</sup> ივლტოდენ A.

- ხოლო წებელს მყოფი ხუტუნია ლევანის ძე შარვაშიძე წარმოვიდა მალვით წებელსდამ და უნდოდა, რათა მისუღიყო და შევედრებოდა ზურაბ ქაინოს-როს ძეს წერეთელს, რათა ეპატიეებია დადიანის რისხვისაგან. და რა მოვი-ლოდა ხონს, ნახა იგი დავით ქაქუჩას ძემ წულუკიძემ და შეიპყრა იგი და
- 5 მოჰგვარა ლეონს დადიანს, და მან ტყვედ ჰყო მურის ციხესა შინა წელსა ერთ-სა. ხოლო შემდგომად ევედრა ზურაბ წერეთელი სიძესა თვისსა ლეონს და-დიანს, რათა აპატიეოს ხუტუნია<sup>1</sup> შარვაშიძე. პატიე-სცა თხოვასა სიმამრისასა და მიმადლა და გამოუშვა ციხიდან და მისცა წერეთელს, ხოლო მან სახლსა შინა თვისსა გამოხარდა იგი ორსა წელსა. და შერგეთ კვალად სთხოვა პატიეი
- 10 მისი. და შეიწყალა დადიანმა და მიუტევა ყოვლად უგვანი საქციელი მისი და მისცა მას და ძმათა მისთა ნახევარი ბედი. და ნახევარი ბედიისა მისცა ზუ-რაბ ბოლიხუხუს ძესა შარვაშიძესა და ფახულანი მისცა დასა მისსა, ქვრივად მყოფსა, მეუღლესა მანუჩარ მარვაშიძისასა, და იმყოფებიან ესრეთ აწმყოსა განსა.
- 15 ამთ ეამთა მიუწოდეს რუსეთად საქართველოს [303] უპირატეს მმარ-თებელს ლენერალ ოტ-ინფანტერის<sup>2</sup> რტიშჩეის და მოადგილედ მისა წარმო-გზავნეს ლენერალ-ლეიტენანტი<sup>3</sup> ალექსეი<sup>4</sup> პეტროვიჩი იერმოლოვი და მცი-რედისა ხანისა [შემდგომად] მოზობოცეს ოტ<sup>5</sup>—ინფანტერობისა<sup>6</sup> ლენერალობა. აჰან დაიპყრა ყოველი დაღისტანი საქურველის ძალითა, და ჩაჩანიცა შეიწ-
- 20 როეს და მებშო კეკასსა შინა. მიუბოძეს იმერეთის მმართველს პოლკოვნიკს<sup>7</sup> მერლისს<sup>8</sup> ლენერალ-მაიორობა და წარვიდა რესეთად, ხოლო იმერეთის მმარ-თებლად<sup>9</sup> წარმოგზავნეს ლენერალი ხათუნციოვი და შემდგომად მცირედისა ხანისა—ლენერალ<sup>10</sup>-მაიორი ივან დანიილივიჩი<sup>11</sup> კურნატოვსკი.
- დროთა ამთ შორის ბრძანა ხელმწიფე<sup>12</sup> იმპერატორმა, რათა იმერე-25 თისა, სამენგრელოსა და გურიისა მღედელ<sup>13</sup>. მთავართა საქმენი და სასულე-ეროთა განკარგულებათანი და წესდებანი საეკლესიოთა<sup>14</sup> შამულთან იქმნენ მსგავსად, ვითარცა არს რუსეთსა შინა. ამისთვის მოვიდა იმერეთსა შინა საქართველოს მიტროპოლიტი და ექსარხოსი თეოფილაქტე<sup>15</sup> და რა იწყო იმერეთსა შინა დაწყობაჲ მსგავსად რუსეთისა სასულეეროთა საქმეთა, დიდად
- 30 ეუცხოათ<sup>16</sup> იმერთა, ვინათგან ჯერეთ არა იყვნენ ჩვეულნი ესევეითართა და-წყობილებათა და განკარგვათა. და არა ინებეს და ქმნეს ამისთვის ბუნტი და აღრეულება და განდგენ იმერნი რუსთაგან. მაშინ რა იხილა თავი თვისი ექსარხოსმა თეოფილაქტემ ზეურაცხქმნილი იმერთაგან და არცა უსმენენ მის მიერ მოძღვრებასა, კვალად წარვიდა საქართველოდ.
- 35 ამისთვის ინება კელმწიფე იმპერატორმა და გარდაადგინეს იმერეთის მმართველი კურნატოვსკი და არწმუნეს იმერეთის მმართველო[304] პოლკოვნიკს ივან ონოფრივიჩს პუზირეესკის<sup>17</sup>. და უბრძანეს პუზირეესკის და წარიყვანეს რუსეთად ქუთათელ მატროპოლიტი დოსითოს<sup>18</sup> წერეთელი, გენათელ მატროპოლიტი ფთეფიმი, გურიის ერისთვის ძე, და ამათთან პოლ-40 კოვნიკი<sup>19</sup> თავადი სეხნია წულუკიძე და თავადი დავით მიქელაძე, რომელნი

<sup>1</sup> ხუტუნია + ხუტუნია C. <sup>2</sup> ოტინფანტერის BC. <sup>3</sup> ლეინტენანტი B. <sup>4</sup> ალექსეი BC. <sup>5</sup> ონტ A. <sup>6</sup> იფანტერობისა A. <sup>7</sup> პოლკოვნიკ BC. <sup>8</sup> მერლის ABC. <sup>9</sup> მმართველად A. <sup>10</sup> ლენერ A. <sup>11</sup> დანიილივიჩი A. <sup>12</sup> კელმწიფე AB <sup>13</sup> მღედელ B, მღდელ C. <sup>14</sup> საეკლესიოთა BC. <sup>15</sup> თეოფილაქტე BC. <sup>16</sup> ეუცხოათ A. <sup>17</sup> პუზირეესკის ABC. <sup>18</sup> დოსითოსს B. <sup>19</sup> პოლ-კოვნიკი ABC.

იყენენ მსაჯულნი იმერეთისანი. ხოლო გზასა ზედა გარდაიცვალა ქუთათელ<sup>1</sup> შიტროპოლიტი, და დაფლეს ანანურს, და სხვანი წარიყვანეს რუსეთად.

და ამისთვის აბაშიძე იოანე ქაიხოსროს ძე, შვილისშვილი დედით პირველი მეფის სოლომონისა, გაიქცა და წარვიდა გურიას და მივიდა ქაიხოსრო გიორგი<sup>2</sup> გურიელის<sup>3</sup> ძესთან, ვინათგან სწამობდენ ბუნტის თაობას<sup>4</sup> რუსნი. მაშინ წარვიდა იმერეთის მმართველი პოლკოვნიკი პუზირევსკი რამოდენითაჲმ მხედრობითა გურიას, რათა სთხოვოს<sup>5</sup> ქაიხოსრო<sup>6</sup> გურიელის ძეს იოანე აბაშიძე. და უკეთუ არა იოსცენ მას<sup>7</sup>, მაშინ მოიხმაროს ძალი<sup>8</sup> მათზედ. და რა მივიდა მახლობელად შემოქმედის ციხისა<sup>9</sup>, დასტოვა მხედრობა და თვით ხუთითა თუ ექვსითა ცხენოსნითა წარვიდა შემოქმედის ციხესა ზედა<sup>10</sup> სასაუბროდ ქაიხოსროსა. და რა მივიდა ციხესა ზედა, ვერ ნახა მუნ ქაიხოსრო გურიელის ძე<sup>10</sup>, ვინათგან იგი წასულიყო<sup>11</sup> სხვისა ადგილსა. და რა დაბრუნდა პუზირევსკი კვალად თვისთა<sup>12</sup> მხედრობათა თანა, გარდმოეგებნენ მეციხოვნენი,<sup>13</sup> და მომავალი გზასა ზედა მოჰკლეს პოლკოვნიკი პუზირევსკი. და რა ესმათ სიყვედილი პუზირევსკისა გურულთა, არა იცოდენ, თუ ვითარ<sup>15</sup> იყო შეხლობა ესე. და ამისთვის ჰქმნეს ბუნტი და დაუწყეს ცემა თოფთა<sup>14</sup> [306] ფიცხელი მხედრობათა. და ეგრეთვე მოადგენ ჩოხატუფლს დაბანაკებულთა რუსთა, ვინათგან იქ დიდი ხნით იყო კვარტირა. და შემოზღუდეს და დაუწყეს იქაცა ფიცხელი სროლა. ხოლო რა ესნა ესე მთავარსა მამიას სიმეონის ძესა გურიელს, შესწუხნა ფრიად და წარგზავნა ყოვლგნით კაცი და დაითხოვა<sup>15</sup> ესევეთარს საქციელს გურულნი, წარმოიყვანა<sup>16</sup> მხედრობა, რომელი ახლად პუზირევსკის და დაადგინა სასახლესა თვისსა ოზურგეთს და მისცა გამოსასრდელი და დაიფარა ყოვლითურთ.

გარნა იმერეთს იქმნა დიდი ბუნტი და აღრულება, და მიდრკენ კინლა და ყოველნი იმერნი რუსთაგან. გარნა რუსთა ერთგულებდა წერეთელი ზუ-<sup>25</sup> რაბ და იმისწული მისი ქაიხოსრო პაპუნას ძე და სხვანიცა წერეთელნი და რომელნიმე წულუკიძენი და სამი ძმა აგიაშვილნი და ჩხეიძენი. ამისთვის საქართველოს უპირატეს მმართველმა იერმოლოქმა წარმოავლინა მხედრობითა ლენერალ-მაიორი ალექსეი ალექსანდრევიჩი<sup>17</sup> ველიამინოვი დასამშვიდებელად იმერეთისა, და რა მოვიდა ქუთაისს<sup>18</sup>, ნახა, რომელ პრავიანტი არა არს საქ-<sup>30</sup> მათ ქუთაისს<sup>18</sup> მხედრობისათვის. ამისთვის სთხოვა მთავარსა ჩვენსა ლეონ გრიგოლის ძეს დადიანს: ვინათგან გურულნი ორგულეებენ რუსთა და აქვს დავით გურიელის ძეს რიონის აირი შეკრული, რათა არა მისცეს ნაბადადამ პრავიანტი რუსთა, ამისთვის ჰქმნით შეწყევნა და ნაბადადამ შოიტანეთ პრავიანტი მარანს საჰილაომდისო. უსმინა მთავარმან ჩვენმან, ვინათგან სიყრბით-<sup>35</sup> გან თანშობილად ქონდა ერთგულება რუსეთის იმპერატორისა და თამსაცა ამას დაძცვა სამფლობელო თვისი ძერყევისაგან და ეგო მიუდრეკელ ერთგულად ტელმწიფე იმპერატორისა. ამისთვის მიბრძანა მე წარ[306]სვლა<sup>19</sup> და შესრულებუ ლენერალის<sup>20</sup> ველიამინოვის თხოვილისა. და წარმატანა მე მდი-  
ვანბეგი თავადი როსტომ სახლთუბუცის ძე ჩიქოანი და რამოდენიმე სამეგრე-<sup>40</sup> ლოს<sup>21</sup> მხედრობა. წარვედით და მივედით<sup>22</sup> საჰილაოს რუსთან, მარწმუნეს

<sup>1</sup> ქუთათელი A. <sup>2</sup> გიორგიელი C. <sup>3</sup> გულის C. <sup>4</sup> თაობას BC. <sup>5</sup> სთხოოს C. <sup>6</sup> ხაი-  
ხოსრო C. <sup>7</sup> მას—C. <sup>8</sup> ძალი—A, ძალა C. <sup>9</sup> ციხისა + და A. <sup>10</sup> ძე—A. <sup>11</sup> წასრულიყო AC.  
<sup>12</sup> თვისთა A. <sup>13</sup> მეციხოვნენი A. <sup>14</sup> ცემა თოფთა| სროლა AC. <sup>15</sup> დაათხოვა AC. <sup>16</sup> წარ-  
მოიყვანა B. <sup>17</sup> ალექსანდრევიჩი BC. <sup>18</sup> ქუთაის ABC. <sup>19</sup> წარსვლა A, <sup>20</sup> ლენერალის—A.  
<sup>21</sup> სამეგრელოს A. <sup>22</sup> და მივედით—A.



ზე ბატალიონი ერთი და წარველ. და მიველთ რა ნაბადას, შეგვკრიბე მრავალნი ნაგებები საჭილაოდამ და შთავიდევით პრავეიანტი თვისის ს[ა]ომარეზითა<sup>609</sup> და წარმოველთ<sup>1</sup> და განვედით ჩვენ გაღმიტა რიონისა და წარმოვედით, რათა დავიფაროთ მტერთაგან წყლით მიმავალი პრავეიანტი. და რა წარმოვიღეთ. 5 მცირელი ნაბადადამ, დაგვხვდა<sup>2</sup> დავით გურიელის ძე გურულთ შეგვრებულე-ბითა<sup>3</sup> და შეგვექმნა ბრძოლა: დაუწყეთ ერთმანერთს<sup>4</sup> საკმაოდ სროლა და შემდგომად სამის<sup>5</sup> საათის ბრძოლისა განვდევნეთ ისინი და გავაქციეთ და ჩვენ წარმოვიღეთ პრავეიანტი და მოვიტანეთ მარანხედ უფინებელად./

ამისთვის და ესევეთარისა მსახურებისათვის ჯელმწიფე იმპერატორმან 10 მე მომიბოძა<sup>6</sup> ჯილდოდ ამისა სიკედლიამდინ პენცია, ხოლო როსტომ მდივანბეგს ჩიქოანს პოთპორუჩიკობა, რომელმანცა ბრძოლასა მას<sup>7</sup> შინა მამაცურ-რი სიბზნე წარმოაჩინა წინაშე ჩემსა.

კვალად სთხოვა ლენერალმა ვილიამინოვმა მთავარსა ჩვენსა ამოტანა პრავეიანტისა<sup>8</sup>. მაშინ თვით წარვიდა ნაბადას, რადგანაც ისმოდა დიდი მზა- 15 დენა გურულთაგან დახდომისა და წამოიღო მრავალი პრავეიანტი და ვერ-ლა შეებედეს დახდომა გურულებმან და მოიტანა პრავეიანტი მარანხედ./

ოდეს ნახა ლენერალმა ვილიამინოვმა საკმაო პრავეიანტი, ამით განძლი-ერებულმან იწყო საქმედ<sup>9</sup> და წარგზავნა პოლკოვნიკი თავადი გარჩაიკოვი მხედრობითა დასამშვიდებელად რაქას. [807] და მივიდა და ყოველნი ურჩნი 20 მოსწვა და მოაოხრა, შეიპყრა წულუკიძე გიორგი და მერაბ და სხვანიცა მრავალნი<sup>10</sup> თავად-აზნაურ-პეილნი. და ერთგულთა მისცეს წყალობანი. და ესრეთ დაამშვიდა რაჭა და შთამოვიდა კვალად ქუთაისს<sup>11</sup>. მერმეთ შეუდგენ დამშვიდებასა იმერეთისასა: მრავალნი მოჰკლეს, მრავალნი შეიპყრეს და ძელ-სა ზედა დამოჰკიდეს<sup>12</sup>, დაესხნ თავს და მოჰკლეს დავით ბაგრატიონი<sup>13</sup>, 25 დიდის მეფე სოლომონის ძმისწული, ბაგრატის შვილი<sup>14</sup>,<sup>509</sup> გარდაყარეს ვახტანგ ბაგრატიონი, დავით მეფის არ-კანონიერის შვილის შვილი<sup>510</sup>, და მას-თანა იოანე აბაშიძე და სხვანი<sup>15</sup> მრავალნი თავად-აზნაურნი, და წარვიდენ ოსმალთა თანა ახალციხეს. ხოლო ერთგულნი აღავსეს წყალობითა. და ესრეთის მოქმედებით დაანშვიდეს იმერეთი.

შემდგომად იწყო მომზადება. და შემდგომად მომზადებისა წარვიდა ლე- 30 ნარალი ვილიამინოვი გურიად დიდძალითა მხედრობითა. მოადგა ციხესა შე-მოკმედისასა, რომელი ეპყრა ქაიხოსრო გურიელის ძეს და აღიღო იგი სა-ქურეელის ძალითა და დაარღვია. და<sup>16</sup> ქაიხოსრო ლტოლვილი წავიდა ოსმალ-თა შინა და მამულნი მისნი მისცნა თვით მთავარსა გურიელს, გარდაავდო 35 გურიელის ძე დავით, ძმა ქაიხოსროსი<sup>511</sup>, და მამული მისი დაიპყრა ყოველი ჯელმწიფე იმპერატორისათვის; გარდაავდო გურიის ერისთავი დავით ოსმალ-თა შორის, რომელი შემდგომად მცირედისა ხანისა მოკვდა<sup>17</sup>, და მამულნი მისნი დაიპყრა ჯელმწიფე იმპერატორისათვის. და ესრეთ ურჩნი მოსრნა გუ-რიასა შინა და ერთგულნი აღავსნა წყალობითა. და ესრეთ დაამშვიდა გურია 40 და მოვიდა იმერეთს, და იმერეთს დაადგინა გამგებელად პოლკოვნიკი თავადი პეტრე დიმიტრივიჩი გარჩაიკოვი<sup>18</sup>, რომელსაცა [808] მცირედისა ხანისა [შემდგომად] მოუბოძეს გენერალ-მაიორობა.

<sup>1</sup> წარმოვედით B. <sup>2</sup> დაგვხვდა BC. <sup>3</sup> შეკრულებითა A. <sup>4</sup> ერთმანეთს A. <sup>5</sup> სამისა A. <sup>6</sup> მიბოძა A. <sup>7</sup> მას - A. <sup>8</sup> პრავეიანტონისა A. <sup>9</sup> საქმე A. <sup>10</sup> მრავალ A. <sup>11</sup> ქუთაის ABC. <sup>12</sup> მრავალნი შეიპყრეს და ძელსა ზედა დამოჰკიდეს - A. <sup>13</sup> ბაგრატიონი A. <sup>14</sup> შვილი + და A. <sup>15</sup> სხვანიცა B. <sup>16</sup> და - A. <sup>17</sup> მოკვდა A. <sup>18</sup> გარჩაიკოვი - A.

და ლენერალი ველიამინოვი ესრეთ გამარჯვებული წარვიდა საქართველოდ.

✓ ხოლო მთავართა, დადიანსა და გუზრიელსა, ამა<sup>1</sup> ეამისა ერთგულებისათვის დადიანსა: მოუბოძა კელმწიფე იმპერატორმა<sup>2</sup> ჩინი ლენერალ-ლენიტენანტობისა, რომელმანცა დაიკვა სამფლობელო თვისი შურუყველად, და გუ- 5 რიელსა ორდენი მეორისა ხარისხისა თავადისა ვლადიმირისა. და სხვათა მრავალთა იმერეთსა და სამენგრელოსა და გურიასა შინა ერთგულთა ებოძა მოწყალეობა ამა ეამთა ერთგულების ჯილდოდ.<sup>312)</sup>

ღროთა ამათ შემდგომად გარდაიკვალა შინაგანის აფხაზეთის მთავარი საფარ-ბეგ შარვაშიძე წელს ქრისტესით 1821, თებერვლის<sup>3</sup> 6 და შემ- 10 დგომად ანისა ამავე წელს, მარტის ეკვსს, ჰასან<sup>4</sup>-ბეგ ქელაგ<sup>5</sup>-ბეგის ძე, ძმა საფარ-ბეგისა, შეიპყრეს რუსთა და წარიყვანეს რუსეთად. მცნობი ამისი ასლან-ბეგ შარვაშიძე, მამის მკვლეელი<sup>6</sup>, რომელი იყო თათართა შორის, მოვიდა აფხაზეთად, და ვინათგან არღარაჲინ იყო შემკვიდრე, თვინიერ მცირეწლოვანთა ძეთა საფარ-ბეგისათა, ამისთვის მიმართა ყოველმან აფხაზეთმან 15 და მოვიდენ ასლან-ბეგისა და მისცეს ყოველთა ერთგულებისა პირი.

მაშინ კელმწიფე იმპერატორმან რა სცნა გარდაცვალება საფარ-ბეგისა, მიუბოძა აფხაზეთის მთავრობა ძესა თვისსა[!] დიმიტრის, რომელი იზრდებოდა სანკტ-პეტერბურლსა შინა, რომელი წარიყვანა საქართველოს მეფის ასულ- 20 მან, სამენგრელოს დედოფალმან ნინა, რომელი პირველ აღეწერეთ<sup>7</sup>. ესე გავ- 20 მოიყვანეს სასწავლებელისაგან, მიუბოძა ჩინი [შოი] პოლკოვნიკობისა და სხვა<sup>8</sup> მრავალნი წყალობანი, და გამოისტუმრა აფხაზეთს მთავრად. და რა მოვიდა საქართველოს უპირატეს მმართველთან<sup>9</sup>, ერმოლოვთან<sup>10</sup>, და მან წარმოუგზავნა<sup>11</sup> იმერეთის მმართველს თავადს გარჩაკოვს და უბრძანა, რათა თვით წარყვეს მხედრობითა და განდევნოს ასლან-ბეგ, და დიმიტრი ჰქმნას მთავრად 25 აფხაზთა.

მაშინ ბრძანებისამებრ აღეშადა თავადი გარჩაკოვი და სთხოვა მხედრობა რამოდენიმე სამენგრელომასა მთავარსა ჩვენსა და სახელობ გამოსთხოვა თავი ჩემი მხედართმძღვანად. წარვიდა<sup>12</sup> თავადი გარჩაკოვი ორითა ზატალიონითა და<sup>13</sup> თვისის არტილერიითა<sup>14</sup>, თვით მთავარი ჩვენი ლეონ 30 დადიანი მიჰყვა<sup>15</sup> თვისს საზღვრამდე ლალიძგამდე და იქილამ მე გამაბანა და ჩემთანა ლეჩხუმისა მხედრობა ექესასი კაცი. და წარვედით, და ოდეს მივედით ჩვენ ლალიძგას იქით, ასლან-ბეგ მოვიდა დაუკლებელის აფხაზ-სპით და დას- 35 დგა მოქვს, და უნდოდა ვითამ პირდაპირობა ჩვენი. გარნა სიძე ჩემი ალი-ბეგ შარვაშიძე, რომელი იყო შთამომავლობითა მაჰმადიან, უწინარეს ამისა ოთხი- 35 თა წლითა მოვიყვანე მართალსა სარწმუნოებასა ქრისტეს ღთისა ჩვენისა- 35 სა, ნათელ-ვეც და უწოდე ალექსანდრე და მივეც ცოლად ასული ჩემი კესარია. ესე იყო მფლობელი ნახევრისა სრულის აფხაზეთისა, რომელსა უწოდებენ შვა სოფელს.<sup>313)</sup> ესე მყოფი ასლან-ბეგთან ვებრახე და გარდამოვიბირე ჩვენ კერძო. აგრეთვე ცოლისძმა ჩემი, სალარუფუ<sup>16</sup> მარშანია, რომელსა 40 უსმენდენ სრული წებელნი და სხვანიცა. და იყო მას ეამსა აფხაზთა შორის შემძლე კაცი. ესენი გარდმოვიბირე<sup>17</sup> და მოვიყვანე ჩვენთანა. ამისთვის ვერ-

<sup>1</sup> ანი A. <sup>2</sup> კელმწიფე იმპერატორმა—A. <sup>3</sup> თებერვლის A. <sup>4</sup> ხასან A. <sup>5</sup> ქელაგ A. <sup>6</sup> მკვლელი B. <sup>7</sup> აღესწერეთ A. <sup>8</sup> სხვანი A. <sup>9</sup> მმართველთა A. <sup>10</sup> ერმოლოვთან A. <sup>11</sup> წარმოგზავნა A. <sup>12</sup> წავიდა A. <sup>13</sup> და —A. <sup>14</sup> არტილერიითა A. <sup>15</sup> მიყვა A. <sup>16</sup> სალარუფუ A. <sup>17</sup> გარდმოვიბირე B. გარდმოვიბირენ B.

და დასდგა ასლან- [310] ბეგ მოქეს და წარვიდა. წარვედით ჩვენცა, და რა მივედით წყაბას და დავებანაკეთ, მოვიდა იქ სალარუფუშ მარშანია და გვაცნობა, რომელ გზასა ზედა ჩვენსა ზღვის პირად, სადა ეწოდების აშილვარა, მუნ შეუქრავს ოთხსა და ხუთსა ადგილსა საფარი ასლან-ბეგს; სადა არა არს

5 გზა, თვინიერ მისა, და მუნ სდგას აფხაზითა და ოსმალთა რამოდენიმე სპითა. მცნობი ამისი მეორესა დღესა განვემზადეთ და წარვედით. და რა მივედით მუნ დანიშნულსა ადგილსა, ვნახეთ თქმისაებრ სალარუფუშსა ოთხსა და ხუთსა ადგილსა ძლიერ მაგარი და საბრძოლველად გაწყობილი საფრები, სადა არა ჰქონდა გზა არსით შემოსავლელი. და რა ვსცანით თვინიერ ამისა არა

10 იქმნების რა, დაეიწყეთ ბრძოლა. და შეიქმნა სასტიკი ომი, სადა არა გამოირჩეოდა ზარბაზნთა და თოფთა ცემა. და მოიკლოდენ საქმაოდ კაცნი. და ებრძოლეთ რა სამ საათს და ვსცანით, რომელ ზარბაზნითა და ესევეთარისა ბრძოლითა ვერ განვდევნით მათ, მაშინ ერთიანად<sup>1</sup> ესთქვიეთ და მიუტანეთ ერიში, და ორგზის მიუტანეთ ერიში,<sup>2</sup> მაგრამ ვერ ავიდეთ. ხოლო მესამე

15 გზის სარდალთა და მხედართა განურჩევლად ერთიანად მიუტანეთ ერიში და აღვდევით<sup>3</sup> უპირველესი საფარი და განვდევნეთ. გარნა კვალად დასდგენ მეორესა, უკანა საფარსა მაგრათ. მაშინ რა ნახა თავადმან გარჩაკოვმა, რომელ გაძნელდა საქმე, მედროშესა ჩემსა გამოართვა დროშა ჩემი და თვით მიუძღვა მხედრობასა, და რამოდენისამე განელისა<sup>4</sup> შემდგომად მე მომცა დროშა და

20 მე უძლოდი მხედრობასა და ესევეთართა საქციელითა აღვიდეთ საფარნი და განვდევნეთ და სრულიად გავაქციეთ, სადა გექონდა ბრძოლა განუწყვედელი<sup>5</sup> თექვსმეტსა საათსა. და ესრეთ იბრძოლეს დღესა [311] მას აფხაზთა, რომელ არას დროს მოთხრობილა ბრძოლა ესევეთარი აფხაზთაგან<sup>6</sup>.

და მოგვისწრო ლამემან და დავსდექით მას ლამესა მდინარის მაჰარას

25 პირსა ზედა. ხოლო დილა რა გათენდა, წარმოვედით და კვალად მოგვიდრომეს დახთომა<sup>7</sup>. და რა ვნახეთ და იყო ცხენთა შეტეუებისა ადგილი, მაშინ ჩვენთა ლეჩხუმელთა შეუტიეს და მცირედისა სროლითა გააქციეს და მრავალი დევნა უყვეს და განიბნინენ<sup>8</sup>. და მივედით თუბუნს (ესე იგი ცხომს) და ქალაქი და გარემო<sup>9</sup> მისა სოფელნი და ეგრეთვე სასახლე შარვაშიძეთა სრულათ დავსწვით და აღვაოხრეთ. და მუნით მივედით აყუს ციხესა შინა, მუნ განვიხვეწეთ ოთხსა თუ ხუთსა დღესა შინა ბრძოლითა საქმაოდ დამაშვრალთა<sup>10</sup>, და განუხვეწეთ მუნ დაკოდილთა და ჩვენ წარვედით ზუფუს. და რა მივედით სასახლესა შინა შარვაშიძეთა<sup>11</sup>, დავებანაკეთ. და მოვიდენ ყოველნი ზუფუელნი, გარნა ნარჩოუ<sup>12</sup> და გიორგი ინალისშვილები არ მოვიდენ ჩვენ-

35 თანა<sup>13</sup>, ვინათგან ერთგულებდენ ასლან-ბეგსა. ამისთვის განრიხსდა თავადი გარჩაკოვი და წარგვაელნი საინალისშვილოშიდ დასაოხრებლად მე და პოთპოლკოვნიკი ივან ნიკოლაფიჩი თავადა აფხაზოვი. და რა წაველთ, გზასა ზედა შევირიკეთ გიორგი ინალიშვილი<sup>14</sup> და მიუტევეთ დანაშაულობა მისი. და ნარჩოუ<sup>12</sup> არ მოვიდა. წარვედით და კაპეტის წყალის პირსა ზედა დავებანაკეთ სასახლესა შინა ნარჩოუსასა და მუნით წარვეზანეთ თარეშნი ჩვენნი ლეჩხუმელნი. და მოათარეშეს მრავალნი ადგილნი და მოსდენეს მრავალნი მი-

40 რუტყენნი და სხვა ალაფი და მოვიდენ. და შემდგომად დავსწვით სასახლე

<sup>1</sup> ერთიანათ C. <sup>2</sup> და ორგზის მიუტანეთ ერიში—A. <sup>3</sup> აღვიღეთ A. <sup>4</sup> განელის A. <sup>5</sup> განუწყვედელი AC. <sup>6</sup> აფხაზთაგან A. <sup>7</sup> დახთომა A. <sup>8</sup> განიბნინეს A. <sup>9</sup> გარემოს A. <sup>10</sup> დამაშვრალთა BC. <sup>11</sup> შარვაშიძეთა C. <sup>12</sup> ნარჩოვ A. <sup>13</sup> ჩვენთან C. <sup>14</sup> ინალისშვილი A.

ნარჩოლ<sup>1</sup> ინალიშვილისა<sup>2</sup> და გარემო სოფელი ყოველი და [312] ძელსა ზე-  
და დაემოკიდეთ (!) მუნ ორნი კაცი შესაშინებლად<sup>3</sup> აფხაზთა. და თუმცა  
გვიყვეს მცირედი სროლა იქა, მაგრამ გავაქციეთ მსწრაფლ და ესევეთარის  
წარმატებით მოველთ კვალად ლუხუნს, სასახლესა შინა თავადს გარჩაკოვს<sup>4</sup>  
თან.

5

ხოლო შემდგომად სამისა დღისა შევაფიცეთ დიმიტრის ყოველი აფხა-  
ზეთი<sup>4</sup>, მიულოცეთ ცერემონიით მთავრობა, დაუტევეთ მცველი მხედრობა  
და მათორი რაკოცა, და ესრეთის მოქმედებით წარმოვედით და მოვედით კვა-  
ლად აყუს (რომელ არს: სოხუმს), და აყუდამ თავადი გარჩაკოვი წამოვიდა  
ზღვით, და მე და თავადი აფხაზოვი და ყოველი მხედრობა ხმელით, გზასა 10  
ზედა. და თავისის<sup>5</sup> უგვანის და არა მართლიადის საქციელისათვის ოქუმის  
წყლის პირზედ დავიჭირეთ ბეჟან მარლანია, რომელი ეამსა მის დადინის  
სამფლობელო სამურხაყანოსა<sup>6</sup> შინა იყო შეძმლე კაცი, და ესრეთ მშვიდობით  
წარმართებულნი მოვედით სახლადე ჩვენსა.<sup>314</sup>

ესევეთარისა სამსახურისა ჯილდოთ გვიბოძეს მოწყალება: თავადს ლე- 15  
ნერალ-მაიორს გარჩაკოვს ბურნათის კოლოფი ბრიალენტით მოოქვილი,  
თავადს აფხაზოვს ჩინი პოლკოვნიკობისა, მაიორს რაკოცას და მაიორს შუ-  
ლქაჩოვს მეოთხეს ხარისხისა ორდენი წმინდის ვლადიმერისა<sup>7</sup> და სხვათა  
აფიცართ მათ-მათი წესსაში. მე მიბოძეს ჩინი ლენერალ<sup>8</sup>-მაიორობისა, ჩემს  
ხელთ ქვეშათა ენსა ჩემსა გიორგის პოთპორუჩიკობა, რომელმანცა ეამსა მას 20  
წარმოაჩინა სახელოვანი მამაცური ქცევა, რომელიცა იყო ჯერეთ ყრმა, თა-  
ვადს ლევან გელოვანს ორდენი ვლადიმერისა<sup>9</sup> მეოთხისა ხარისხისა, [318]  
რომელმანცა ვაჟკაცობითა ეამსა მას განახლება თაჟი თვისი, ვახტანგ ზაალის  
ძეს ასათიანს პრაპორუჩიკობა, რომელიცა მცირედ დაიკოდა ხელზედ, სამურ-  
დაყანოველთ<sup>10</sup>, რომელიც მე მახლდენ: თავადს თემურყვა ანჩაბანეს პორუთი- 25  
კობა და პენცია სიკედილამდის, რომელიც გვემსახურა პერეოჩიკობითა და  
სხვათა და სხვათა საქციელითა, თავადს შარვაშიძეს ორთა ძმით, ხუხულობასა  
და ზურაბს, და თავადს თადა ანჩაბანეს პრაპორუჩიკობა<sup>11</sup> და ეგრეთვე ალი-ბეგ  
შარვაშიძეს პორუთიკობა და სალარუფუ<sup>12</sup> მარშანიას კაპიტნობა და სიკედი-  
ლამდის პენცია. და ესრეთ ღირს-ვიქმენით მონარხისა მოწყალებისა. 30

ხოლო განცებული და გაქცეული ასლან-ბეგ მივიდა ჯიქეთს და იშოვნა  
საკმაო ჯარი ჯიქისა, მოვიდა და მოადგა ჩვენთა დატეგებულთა მხედრობათა  
ლუხუნს და მაიორს რაკოცას. თუმცა მამაცად იყვნენ ჯიქნი<sup>13</sup> და შემოკრეს  
საფრითა, სადა იყვნენ ჩვენნი მხედრობანი, და მივიდნენ მამაცად, მაგრამ რუს-  
თა თვისის ჩეველების უძლეველის მოქმედებით დაუწყეს ბრძოლა და გააქ- 35  
ციეს ჯიქნი და მრავალნი მოჰკლეს და მრავალი ალაფი დააყრვენიეს. და  
ესრეთ განემარჯვათ მცირედთა მხედრობათა ჩვენთა და სირცხვილეული წარ-  
ვიდა ასლან-ბეგ და მისი ჯიქნიცა.

ხოლო შემდგომად მთავრობისა მისისა ერთისა წლისა შესრულებამდის  
დასწრულდა მთავარი დიმიტრი საფარ-ზეგის ძე შარვაშიძე და საუბედუროთ 40  
აფხაზთა<sup>14</sup> ჯარდაიცვალა იგი წელს ქრისტესით 1822 და დაფლეს რუსთა  
დიდის პატივით<sup>15</sup> ლუხუნისა სასახლისა ეკლესიასა<sup>16</sup> შინა.

<sup>1</sup> ნარჩოლ A. <sup>2</sup> ინალისშვილისა A. <sup>3</sup> შესაშინებლად A. <sup>4</sup> აფხაზეთი AC. <sup>5</sup> ვისის A.  
<sup>6</sup> სამურხაყანოსა A. <sup>7</sup> ვლადიმერისა A. <sup>8</sup> ლენარალ C. <sup>9</sup> ვლადიმერის C. <sup>10</sup> სამურხაყანოველთ  
B. <sup>11</sup> პრაპორუჩიკობა A. <sup>12</sup> სარალუფუ A. <sup>13</sup> ჯიქნი AC. <sup>14</sup> აფხაზთა AC. <sup>15</sup> დიდის პატივით—  
A. <sup>16</sup> ეკლესიასა B.

ხოლო მიუწოდა საქართველოს უპირატეს მმართველმან იერმოლოვმან უმცირესსა [814] ძმასა დიმიტრისასა ნიხაილს და მისცეს მთავრობა შინაგანის<sup>1</sup> აფხაზეთისა<sup>2</sup> და ჩინი მაიორობისა, ვინათგან ჯერეთ მცირეწლოვანი იყო.

ხოლო ვახტანგ ბაგრატიოვანი, რომელი უწინარეს ვახსენეთ, იყო გარ-  
5 დავარდნილი ახალციხეს ოსმალთა შინა, და იყო მასთან იოანე ქაიხოსროს ძე აბაშიძე, რომელი ესეცა უწინარეს ვახსენეთ. ესე წარვიდა სტამბოლს ოსმალთ იმპერატორთა თანა (ესე იგი ხვანთქართან) და მიიღო პატივი; და რა მოვიდა მუნით, შეეშურვა რომლისამე მიზეზისათვის ვახტანგ ბაგრატიოვანი, შეუჩინა კაცი და მოჰქლეს ახალციხეს იოანე აბაშიძე.

10 წელსა ამას 1822, დეკემბერსა 12 გარდაიცვალა გიორგი ნიკოლაოსის<sup>3</sup> ძე დადიანოვი<sup>4</sup> საგლოველად და საბავთოდ საზოგადოდ სახლთა სამთავროთა დადიანთა, ვინათგან იყო კაცი ღირსსახსოვარი და საყვარელი.

ეგრეთვე წელს ქრისტესით 1823, იანვრის 28 გარდაიცვალა<sup>4</sup> ღენერალ-მაიორი და კავალერი, იმერეთის სახლთუხუცესი, თავადი ზურაბ ქაიხოსროს  
15 ძე წერეთელი, სიმამრი დადიანისა ლეონისა, რომელი იყო სრულიად იმერეთსა შინა ჰკუთითა და კარგაკაცობითა წარმოჩენილი და სახლთა შინა დიდებული.

ამათ ეამთა მთავარმან ჩვენმან ლეონ დადიანმან მოიყვანა როსტომ-ბეგ ქელიშ-აჰმედ-ბეგის ძე შარვაშიძე და შთამომავლობითა მაჰმადიანი, ნათელ-  
20 სცა სახელსა ზედა ქრისტესა<sup>5</sup> და ქრისტიან ჰყო და მისცა დაჲ თვისი ქეთევან, ნაცოლარი მანუჩარ შარვაშიძისა, ცოლად. თუმცა არა კეთილ ქცეულე-ბისა მისისათვის უწყრებოდა როსტომ-ბეგს მმართველობა რუსთა, [315] გარ-  
ნა მთავრის დადიანის პატივისათვის მიუტევეს მას.

ხოლო ეამსა ამას სამეფოსა საქართველო-იმერეთისასა უსაშუალოდ<sup>6</sup>  
25 ჰფლობს დიდი ჰელმწიფე ჩვენი ალექსანდრე პავლეს ძე პირველი, მპყრობელი სრულიად რუსეთისა, სამთავროსა სამეგრელოსასა სრულიად ფლობს მთავარი ლეონ გრიგოლის ძე დადიანი, გურიისა სამთავროსა ფლობს<sup>7</sup> მთავარი მამია სიმეონის ძე გურიელი, აფხაზეთისა სამთავროსა ჰფლობს მთავარი<sup>8</sup> მი-  
30 ხაილ საფარ-ბეგის ძე შარვაშიძე. ხოლო ამათ მთავრებთა ჰფლობს რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე პავლეს ძე პირველი და არს მშვიდობა გამოუთქმე-  
ლი, რომელიცა უმეტესად დაამტკიცოს მომცემელმან კეთილისამან ღმერთმან.

<sup>1</sup> შუა ტანის A. <sup>2</sup> აფხაზეთი A. <sup>3</sup> ნიკოლაოსის C, ნიკოლაოზის A. <sup>4</sup> გარდაიცვალა—A.

<sup>5</sup> ქრისტესსა A. <sup>6</sup> უსაშუალოდ B. <sup>7</sup> ჰფლობს B. <sup>8</sup> მთავარ AC.

## კ მ მ ე ნ ტ ა რ ე ბ ი

1. არც ერთ ნუსხაში სხვაგან „წიგნი II“ ან „წიგნი III“ აღნიშნული არ არის, ხოლო სამივე ნუსხაშია ამ ადგილზე ჩაწერილი „წიგნი I“. ამას მიჰყვება „ქართველთ ცხოვრების“ მთელი ტექსტი, დანაწილებული თხუთმეტ თავად. მაშასადამე, ნ. დადიანს „ქართლის სამეფოს“ სახით მთელი საქართველო ჰქონდა წარმოდგენილი. მისი თხზულების ტექსტი შიგადაშიგ დართული განმარტებითი წინასიტყვაობებით სამ მთავარ ნაწილად არის დაყოფილი. თითოეულ ნაწილს ჩვენ, ნ. დადიანის მიბაძვით, „წიგნი“ დავარქვით. ამ გზით მთელი ტექსტი „ქართველთ ცხოვრებისა“ სამ წიგნად გვაქვს წარმოდგენილი: პირველ წიგნში მოთავსებულია ერთიანი ფეოდალური საქართველოს ისტორია, ვახუშტის ქრონოლოგიით, 1469 წლამდე („ქართველთ ცხოვრების“ VI თავის დასასრულამდე), მეორე წიგნში შეტანილია დაშლილი საქართველოს ისტორია და ლიხთ-იმერეთის პოლიტიკური თავგადასავალი სოლომონ პირველის მეფობის დასასრულამდე, ხოლო მესამე წიგნში მოექცა ნ. დადიანის მიერ შედგენილი ლიხთ-იმერეთის პოლიტიკური თავგადასავალი დავით მეორის გამეფებიდან თავად ზუაბ წერეთლის გარდაცვალებამდე.

2. ვახუშტი წერს: „ლიბარტიისძე-ს“ (ნ. მისი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1941, 20).

3. ნუსხები წერენ „აბულელის“, ვახუშტის უწერია „აბულელი“ (იქვე).

4. ეს სიტყვა ვახუშტის არ უწერია (იქვე).

5. ეს სიტყვა გამეორებულია ვახუშტისთანაც (იქვე).

6. ვახუშტი წერს: „გაგელი-ს“ (იქვე).

7. სამივე ნუსხა წერს „ირუფაძისძე-ს“, ვახუშტი წერს: „ირუფაქისძე-ს“ (იქვე).

8. სამივე ნუსხა წერს „ბერსელი-ს“, ვახუშტი წერს: „ბურსელი-ს“ (იქვე).

9. ამის შემდეგ ვახუშტი ჩამოთვლის ქართლის ერისთავებს (იქვე), რაც ნ. დადიანის ტექსტში არ არის.

10. ვასწორებთ ვახუშტის მიხედვით: „ხორნაბუჯის“ (იქვე), ნუსხებში კი წერია „ხარნაბუჯის“.

11. ვასწორებთ ვახუშტის მიხედვით: „წუნის“ (იქვე, 21), ნუსხებში კი წერია „წუნოს“.

12. ვასწორებთ ვახუშტის მიხედვით: „მანკაბერ სადუნ“ (იქვე). ნუსხებში კი წერია „მანკაბურსადუნი“.

13. ვახუშტის მიხედვით ბედიელი და დადიანი ორი სხვადასხვა ერის-თავია (იქვე). ამას გარდა, ნ. დადიანის მიერ გამოტოვებულია ის, რასაც ვახუშტი წერს ერისთავ დადიანის სახელის რაობის შესახებ (ნ. იქვე).

14. ნ. დადიანის ტექსტი გამოტოვებულია საბარათიანოს ტერიტორიის განსაზღვრა (შდრ. ვახუშტი, იქვე, 24).

15. ვახუშტი აქ ვრცლად ლაპარაკობს ბარათიანთა გაყრილობასა და რამდენიმე საგვარეულოს წარმოშობაზე (იქვე), რასაც ნ. დადიანი გამოტოვებს.

16. ნ. დადიანი აქაც ამოკლებს (შდრ. ვახუშტი, იქვე).

17. ვახუშტი პირიქით ამბობს: „იტყვიან არა ბარათიანობასა“ (იქვე).

18. ვასწორებთ ვახუშტის წიხედვით: „ყარაბუღალისშვილი“ (იქვე), ნუსხები კი წერენ: „ყარაბუღალისშვილი“.

19. ამ სამი უკანასკნელი გვარის სადაურობა გამოტოვებულია ნ. დადიანის მიერ (შდრ. ვახუშტი, იქვე).

20. ნ. დადიანის ტექსტში გამოტოვებულია ამილახორის სახელის რაობისა და აბაშიძე-ფალავანდიშვილ-ამირეჯიბთა მფლობელობის შესახებ თხრობა (შდრ. ვახუშტი, იქვე, 24—25).

21. გამოტოვებულია ავალისშვილთა მფლობელობის აღწერა (შდრ. ვახუშტი, იქვე, 25).

22. ვახუშტი წერს: „ანჩაფისძეობას“ (იქვე).

23. გამოტოვებულია აქ „მესხი ამილახორისშვილი“ (ნ. ვახუშტი, იქვე).

24. ვახუშტი წერს: „ჩხვიძეს“ (იქვე), ჩვენი ნუსხები „ხვიძეს“.

25. აქ გამოტოვებულია ქსნის ერისთავის შესახებ (შდრ. ვახუშტი, იქვე).

26. ნ. დადიანი აქ „თავადს“ ხმარობს „მთავარის“ მაგიერად (შდრ. ვახუშტი, იქვე).

27. ნ. დადიანი აქ უყურადღებოდ ტოვებს სახლის გაუყრელობას, რასაც ვახუშტი წოდებრივი წარჩინებისათვის მნიშვნელოვნად თვლიდა (შდრ. ვახუშტი, იქვე; ნ. ს. ჯანაშია, „ვახუშტი ქართული ფეოდალიზმის შესახებ“ წიგნში: „ანალები“, I, 1947, 2—3).

28. არაგვისა და ქსნის ერისთავთა ერეკლე II-ის მიერ დამდაბლება, რაც, რა თქმა უნდა, აღნიშნული არა აქვს ვახუშტის (იქვე, 25), დამატებულია ნ. დადიანისაგან.

29. ვახუშტი წერს: „სომხითის“ (იქვე).

30. აქ ნ. დადიანის ტექსტში მთლიანად გამოტოვებულია შიდა ქართლის აზნაურთა ჩამოთვლა (შდრ. ვახუშტი, იქვე).

31. ვახუშტი კი ამბობს: ირუფაქიძობას მაყაშვილიც იტყვის და ჩოლავაშვილიცო (იქვე).

32. ავალისშვილის, ჩერქეზის, გურამისშვილისა და ტუისისშვილის შესახებ დამატებითს ცნობებს გვერდს უვლის ნ. დადიანი (შდრ. ვახუშტი, იქვე).

33. ვახუშტი წერს: „თადგირიძეს“ (იქვე).

34. ჩხვიდის გვარის რაჭის ერისთაობასა და სპასპეტობას ვახუშტი ფრჩხილებით გამოყოფს (ნ. იქვე, 26). ასეა იგი ნ. დადიანთანაც, ოღონდ უკანასკნელი თავის დამატებითს ცნობასაც სოლომონ I-ისაგან რაჭის ერისთავთა დამდაბლების შესახებ ფრჩხილებში სვამს.

35. „ოკრიბას“ ვახუშტი არ ასახელებს და არც „ავაიაშვილია“ მოხსენებული მის ტექსტში (შდრ. იქვე, 26).

36. აქ ნ. დადიანი აკლებს სვანეთისათვის გელოვანის დასახელებას, მაგრამ უმატებს ინასარიძისა და ლაშხისშვილის რაქაში აღარ ყოფნას (შდრ. ვახუშტი, იქვე). ამასთანავე ვახუშტი წერს „ლოლაბერიძეს“ (იქვე, 26), ნ. დადიანი კი მას ასე ასწორებს: „ლოლაბერიძე“ (აქვე, ტექსტი, წ. I, თავი 1-ლი და კიდევ სხვაგან). თუ გავითვალისწინებთ ისტორიული დოკუმენტების ჩვენებას (იხ. ს. კაკაბაძე, აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დაეთარი, 1914, გვ. 63; ბროსე, Переписка грузинских царей и русскими государями, СПб, 1869, стр. 83; საქ. მეცნ. აკად. ხელნას. ინტ., ფონდი Qd.—2398; საქ. ცენტრ. არქ., ფონდი 226, № 9674; გ. ბოჭორიძე, რაქის ისტორიული ძეგლები, წიგნში: „საქ. მუზ. მოამბე“, ტ. VIII, გვ. 328; -ქუთ. მუზ. ისტ. დოკ., № 10 და მრავალი სხვა), ნ. დადიანი ამაში მართალია.

37. ეს ძველი თქმულება ფრჩხილებში აქვს ჩასმული ვახუშტისაც (ნ. იქვე) და ნ. დადიანსაც.

38. აქ ნ. დადიანი გამოტოვებს აზნაურ ჩიქვანის ოდიში გამთავრების ამბავს (შდრ. ვახუშტი, იქვე).

39. აქ ვახუშტი წერს: „მთავარი“ (იქვე).

40. გოშაძის დამდაბლებას ნ. დადიანი თვითონ უმატებს (შდრ. ვახუშტი, იქვე).

41. ვახუშტი წერს „ანჩაფადეს“ და მას უწოდებს „უმდაბლესს“ (იქვე).

42. ანჩაბაძის მფლობელობას ნ. დადიანი თვითონ უმატებს (შდრ. ვახუშტი, იქვე).

43. ვახუშტი, „თავადთა“ მაგივრად წერს: გურიელის „ქვეშენი“ (იქვე).

44. ვახუშტი წერს „თაღგირიძეს“ (იქვე).

45. შარვაშიძის ერისთავობას გურიაში ნ. დადიანი უმატებს (შდრ. იქვე).

46. სამივე სახელის განმარტებას ნ. დადიანი იძლევა შემოკლებულად-ამას გარდა, იგი არაფერს ამბობს „გიორგიის“ ბერძნულ, ევროპულ და რუსულ ვარიანტებზე, თანაც „გიორგიას“ არ განმარტავს ქართველთა შრომის-მოყვარეობის მიხედვით (შდრ. ვახუშტი, იქვე, 28--29).

47. ნ. დადიანი აქ არ ამბობს, ვერსი რომ რუსულია, ხოლო „მხარის“ მაგივრად ხმარობს „საყენს“, ამასთანავე, მთლიანად გამოტოვებს ადლზე პატარა ერთეულების ვახუშტისეულ განმარტებას და ადლსაც თავისებურად განმარტავს (შდრ. ვახუშტი, იქვე, 29, სქოლიო).

48. აქ იგულისხმება ნოეს ცე იაფეტი (შდრ. ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, გამოცემული დ. ბაქრაძის მიერ, 1885, 28).

49. ვახუშტი წერს: „ავანან-ს“ (იქვე).

50. ვახუშტი წერს: „თარში“ (იქვე).

51. ნ. დადიანი თარგამოსის მემკვიდრეების ჩამოთვლისას მისდევს დ. ბატონისშვილის „ნარკუმვის“ ტექსტს (შდრ. გვ. პე), სადაც ლეონტი მროველის მიხედვით მოყვანილია სახელები ხალხთა („სომეხთა და ქართველთა...“, ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის მიერ გამოცემული, 1955, გვ. 5) და არა გმირთა, როგორც ეს ვახუშტისთანაა („ჰარს, ქართლოს...“, საქართველოს ისტორია, I, 1885, გვ. 28). ამ ჩამოთვლაში ნ. დადიანი და დ. ბატონისშვილი გამოტოვებენ „რანთა-ს“ და რვა მემკვიდრის ნაცვლად გამოუდით შვიდი. ამასთანავე, ისინი სომეხებსა და ქართველებს უწოდებენ „არმანთ“ და „გრიზთ“.



52. ლ. მროველთან წერია 600 წელი (ნ. ქართლის ცხოვრება, I, 4) და „ნარკტეში“ „ქ“ (გვ. პდ).
53. აქ ვახუშტი წერს: „სამხრით მთა ორეთისა ანუ ქურთისა“ (საქ. ისტ., I, 28), მაშინ როცა ლეონტი მროველს აღნიშნული აქვს მხოლოდ „მთა ორეთისა“ (ქართლის ცხოვრება, I, 4).
54. მოვაკანის წილის აღწერა გამოტოვებულია „ნარკტეში“ (შდრ. გვ. პე) და ნ. დადიანისგანაც (შდრ. ქართლის ცხოვრება, I, 5).
55. ვახუშტი წერს 1829 წელს (ნ. საქ. ისტორია, I, 28), ხოლო „ნარკტეში“ აღნიშნულია 1850 (გვ. პთ).
56. ნახუქოდონოსობისაგან იერუსალიმის მოხრებების ამბავი ვახუშტის ქრონოლოგიითურთ ამ ადგილზე ჩამატებულია ნებისმიერად ნ. დადიანისაგან (შდრ. ქართლის ცხოვრება I, 11; ვახუშტი: აღწერა..., 1941, 12; საქართველოს ისტორია, I, 1885, 32 და 34). „ნარკტეში“ კი მასზე სულ არაფერი წერია (შდრ. გვ. ებ).
57. ვახუშტი ასახელებს შვიდს (ნ. მისი საქ. ისტ., I, 32), „ექვსი“ კი წერია „ნარკტეში“ (შდრ. გვ. ებ), რომელიც მოდის ლ. მროველიდან (ნ. ქართლის ცხოვრება, I, 11).
58. ლ. მროველისა და ვახუშტის მიხედვით, არდამი იყო სპარსთა მეფის აფრიდონის ერისთავი (შდრ. საქართველოს ისტორია, I, 32; ქართლის ცხოვრება, I, 13).
59. აქ გამოტოვებულია მე-6 ერისთავი და მისი საგამგეო კლარჯეთი (შდრ. ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, 1885, გვ. 38).
60. უნდა ყოფილიყო 3712, ძლიბ (3647 + 65, შდრ. „ნარკტეში“, გვ. ეე).
61. დადიანის ტექსტში, ისევე როგორც „ნარკტეში“ (შდრ. გვ. ეე), გამოტოვებულია საურმაგის გაქცევა ძურძუკებში და იმათი ლაშქრით საქართველოს დაპყრობა (შდრ. ვახუშტი, იქვე, 39).
62. საურმაგის მეფობის წელთა გამოთვლა ჩამატებულია ნ. დადიანის მიერ (შდრ. ქართლის ცხოვრება, I, 1955, 27; ვახუშტი, იქვე, 40).
63. ნ. დადიანი გამოტოვებს მირვანის ბრძოლას ძურძუკების წინააღმდეგ (შდრ. ვახუშტი, იქვე).
64. ამ გამოთვლაში, რომელიც არაა ვახუშტის ტექსტში (ნ. იქვე), ნ. დადიანი ცდებთ: 3787-დან 3837-მდე განელი 50 წელმა.
65. „ძღნე“ შეცდომაა, უნდა ყოფილიყო, ვახუშტის მიხედვით, 3856, ძუნე (ნ. მისი საქ. ისტ., I, 1885, 41).
66. აქაც უნდა ყოფილიყო ძუაშ, 1868 (შდრ. ვახუშტი, იქვე).
67. ნ. დადიანი გამოტოვებს სპარსელებისაგან ქართლის მორბევას (შდრ. ვახუშტი, იქვე, 42).
68. უნდა იყოს ძუაგ, 3883 (ვახუშტი, იქვე).
69. უნდა იყოს 15; ვახუშტის ქრონოლოგიით: 3883--3868 (ნ. ვახუშტი, იქვე, 41--2).
70. უნდა იყოს 33; ვახუშტის ქრონოლოგიით: 3916--3883 (ნ. იქვე, 43).
71. თარიღი დასმულია ვახუშტის მიხედვით (ნ. იქვე, 44).
72. ვახუშტის მიხედვით, ადერკმა მოუწოდა არშაკი (იქვე).
73. „ივერიის“ წარმოშობის ვახუშტისეული ახსნა აქ ჩამატებულია ნ. დადიანისაგან (ნ. ვახუშტი, საქ. ისტორია, I, 1885, 22--23, შდრ. იქვე, 44).

74. ეს გამოთვლაც ნ. დადიანისაგანაა ჩამატებული (შდრ. ვახუშტი, იქვე, 44).

75. ნ. დადიანი ამ ტერმინის ხმარებაში განიცდის რუსულ გავლენას (შდრ. ვახუშტი, იქვე, 45).

76. ნიკოფსიის მეორე სახელწოდება („ანაკოფია“) ჩამატებულია ნ. დადიანის მიერ (შდრ. ვახუშტი, იქვე). ეს მისი საკუთარი აზრი უნდა იყოს, ვინაიდან ვახუშტის ნიკოფსია ჰგონია არა ანაკოფია, არამედ ბიჭვინთის საკათალიკოსო ეკლესია (აღწერა..., 1941, 171). ტიმოთე გაბაშვილის რეკავზე ანაკოფია, ბიჭვინთა და სვიმონ კანანელის საფლავი სხედისხვაგანაა ნაჩვენები აფხაზეთის სანაპიროს გასწვრივ (ხელნაწერთა ინსტიტუტის ფოტოპირთა ფონდი, № 164, 1-ლი ნაჭერი). ასე რომ, ნ. დადიანის განმარტება ამისგანაც განსხვავდება, ისევე როგორც ლ. შროველის თხზულებისგანაც (რომელიც განმეორებულია ვახუშტის მიერ, ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 38).

77. ვახუშტის ცნობით, ადერკიმ შერისხა მეგრელები ქრისტიანობისათვის, (საქ. ისტ., I, 45), ხოლო ლ. შროველის მიხედვით, მან იძულებით დაატოვებინა მეგრელებს ქრისტე (ქართლის ცხოვრება, I, 42). მაშასადამე, ის, რომ მეფის გაწყრომის შემდეგ მეგრელებმა საიდუმლოდ შეინახეს ქრისტიანობა, ნ. დადიანის ჩამატებული უნდა იყოს.

78. აქ ნ. დადიანისაგან გამოტოვებულია ვესპასიანეს მიერ იერუსალიმის მორბევა და ლტოლვილ ებრაელთა მორიგი ნაკადის ჩამოსახლება მცხეთაში (შდრ. ვახუშტი, იქვე, 46).

79. უნდა იყოს, ვახუშტის მიხედვით, 87 (ნ. ვახუშტი, იქვე, 47). აქ ნ. დადიანი თავის გამოანგარიშების მიხედვითაც ცდება: თუკი ბარტომ და ქართამ ქრისტესით 72 წელს გარდაიცვალნენ და ამის შემდეგ 16 წელი იმეფეს კაოს და ფარსმანმა, ეს უქანასკნელნი უნდა გარდაცვლილიყვნენ ქრისტესით 88 და არა 80 წელს. ასეთივე შეცდომაა დაშვებული მე-13 მეფეების ქრონოლოგიაშიც (იქვე).

80. ციფრი 16 არც ერთ ხელნაწერში არ არის. ჩვენ იგი ჩავსვით, ლ. შროველის მიხედვით (ნ. ქართლის ცხოვრება, I, 54).

81. ნ. დადიანის ტექსტიდან გამოდის, რომ ლადან იყო ცოლი ადამისა და დედა ფარსმანისა, რაც შეცდომაა: იგი იყო ცოლი ფარსმან ქველისა, დედა ადამისა და ბებია ფარსმანისა (შდრ. ქართლის ცხოვრება, I, 54; ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, 1885, 51).

82. ნ. დადიანის ტექსტში გამოტოვებულია ადამისა და დედადამის ლადანის მეფობის ქრონოლოგია—129—146 (შდრ. ვახუშტი, იქვე, 49—51).

83. უნდა იყოს 27.

84. უნდა იყოს 15.

85. ნ. დადიანის ტექსტში გამოტოვებულია ასფაგურის ბრძოლა სომეხთა მეფის კოსროს შხარებე ქასრე სასანიანის წინააღმდეგ (შდრ. ვახუშტი, იქვე, 53).

86. ვახუშტისთან წერია: „მოიყვანა მირიან ასული ულიოტორისა პონტოდამ სახელით ნანა“ (საქ. ისტ., I, 55).

87. აქ ნ. დადიანი გამოტოვებს იმას, რომ სომეხეთის მეფე იშველიებდა ბერძნებს, ხოლო მირიანი სპარსელებს (შდრ. ვახუშტი, იქვე, 56).

88. ვახუშტის წმინდა ნინოს მქადაგებლობითი მოღვაწეობის ხანაში (314-დან 317-მდე) აქვს მოთხრობილი კოსტანტინე კეისრის ლაშქრობა საქართველოში და მირიანის ძის ბაქარის თავისთან მძევლად წაყვანა, მაშინ როცა ჯერ კიდევ არ იყო მირიანი გაქრისტიანებული (იქვე, 65, 56 და 67). ნ. დადიანი კი კოსტანტინეს შემოსვლამდე წერს მირიანის გაქრისტიანებას და ერთგვარი გაუგებრობა იქმნება; გაქრისტიანებული მირიანისაგან კოსტანტინეს მძევალი არ უნდა წაყვანა.

89. უნდა იყოს 329 (შდრ. ვახუშტი, იქვე, 73).

90. ნ. დადიანი გამოტოვებს ბაქარის მიერ სპარსელების მოშველიებას და ბრძოლას სომხების წინააღმდეგ, რომლებიც ტახტზე ედაგებოდნენ საქართველოს მეფეს (შდრ. ვახუშტი, იქვე, 78).

91. უნდა იყოს 379 წელი (მაშასადამე, უმეფნია 15 და არა 19 წელი (იხ. ვახუშტი, იქვე, 79).

92. ვახუშტი ვარზა-ბაქარს უწოდებს „ჩუკენს“ (იქვე, 81). მაგრამ ნ. დადიანი თავისი მკითხველისათვის უფრო გასაგები სიტყვით ცელის მას და ვარზა-ბაქარს უწოდებს „გულითა ჯაბანს“ (შდრ. საბასთან: ჩუკენი, ჯაბანი).

93. ნ. დადიანი ცდება; ტირდატი იყო პაპის ძმისწული ვარზა-ბაქარისა. (შდრ. ვახუშტი, იქვე, 313).

94. ნ. დადიანის ტექსტში შეცდომაა; ვახუშტისთან წერია: „ეგრისის ციხე-გოჯამდე“ (იქვე, 89).

95. ვახუშტი წერს 13-ს (იქვე), „თხუთმეტი“ აღნიშნულია ჯუანშერთან (ქართლის ცხოვრება, I, 1955, 147).

96. „კავკასიანი“ უწერია ვახუშტის (იქვე, 90), ხოლო „კავკასიანი“ — ჯუანშერს (ქართლის ცხოვრება, I, 151).

97. ნ. დადიანის ტექსტში აქაც გაუგებრობაა (შდრ. აქვე, კომენტ., 94-ე); ვახუშტისთან წერია: ვახტანგმა „წარულო ბერძენთა... ეგრისის მიხმული ციხე-გოჯამდე“ (იქვე, 91).

98. შეცდომაა: უნდა იყოს 458 (შდრ. ვახუშტი, იქვე).

99. უნდა იყოს 30000 (შდრ. ვახუშტი, იქვე, 92).

100. აქ ნ. დადიანი უნდა გულისხმობდეს ვახუშტის „საქართველოს ცხოვრებას“, საიდანაც იგი თავის „ქართველთ ცხოვრებას“ შემოკლებულად აღგენდა (შდრ. ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, 1885, 93—4), თუ არა და ჯუანშერის ვრცელ თხზულებას (ნ. ქართლის ცხოვრება, I, 137 და შემდ.).

101. უნდა იყოს ელენე; ლევანი კეისარს ერქვა (შდრ. ვახუშტი, იქვე, 95).

102. ვახუშტი წერს: „წინ მგელი და უკანით ლომი“ (იქვე, 96).

103. „პერეთი“ წერია ჯუანშერთან (შდრ. ქართლის ცხოვრება, I, 185), ვახუშტი კი „ხიზიყს“ წერს (იქვე, 97).

104. ნ. დადიანი გამოტოვებს მცხეთის ეპისკოპოსის კონფლიქტს ვახტანგ გორგასალთან, ამის მიერ საბერძნეთიდან კათალიკოსის მოყვანის გამო (შდრ. ვახუშტი, იქვე, 100).

105. უნდა იყოს 514 (შდრ. ვახუშტი, იქვე, 103).

106. უნდა იყოს 528 (შდრ. იქვე).

107. უნდა იყოს 542 (შდრ. ვახუშტი, იქვე, 104).

108. გამოტოვებულია სპარსთა მეფის ლაშქრობა ქართლში და მის მიერ ფარსმანის დამორჩილება (ზღრ. ვახუშტი, იქვე, 103—104).

109. ნ. დადიანს ეს ცნობა შეცდომით უნდა ჰქონდეს ჩართული, ვინაიდან არც ჯუანშერთან და არც ვახუშტისთან იგი ამ ადგილზე დაცული არაა; უკანასკნელნი კი ლაპარაკობენ „განყოფაზე“, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე ეხება ვახტანგ გორგასალის ნაშეიერის ორ ნაწილად გაყოფას და თითოეულის დამორჩილებას ბერძნებისა და სპარსელებისადმი (მღრ. ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 207; ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, 1885, 104).

110. ბაკურ მეფის გარდაცვალების (570 წ.) შემდგომი ამბები გურამ ბაგრატიონის გაზეფებად (575 წ.) ვახუშტის მოთხრობილი აქვს ამ უკანასკნელთან (ზღრ. საქ. ისტ., I, 106).

111. სტეფანოს ერისმთავარს რომ სამი შვილი დარჩენოდა, ეს არ წერია არც ვახუშტისთან (საქ. ისტ., I, 1885, 112), არც ჯუანშერთან (ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 226), არც სუმბატ დავითისძესთან (იქვე, 375) და არც „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატიანეში (E. Такайшвили, Описание., II, 726) იგი ნ. დადიანს შეზღუდვით, უნებურად უნდა ჰქონდეს ჩამტებული.

112. ნ. დადიანი ვახუშტის „შთავიდა-ს“ „ჩამოვიდა-თი“ ცვლის, ვინაიდან იგი თავის „ქართველთ ცხოვრება-ს“ წერდა ლიხთ-იმერეთში (ზღრ. ვახუშტი, იქვე, 114).

113. უნდა იყოს 668 (ზღრ. ვახუშტი, საქ. ისტ., I, 1885, 116).

114. ვახუშტი წერს „ბულჩან-ს“ (იქვე, 118). „ბულჩან“ კი ნახმარია „მატიანე ქართლისაში“ (ქართლის ცხოვრება, I, 1955, 249—250).

115. აქ ნ. დადიანი გამოტოვებს აგარიანთაგან ბერძენთა დაუძღურებას, რამაც დიდი როლი ითამაშა აფხაზთა სამეფოს წარმოქმნაში (ზღრ. ვახუშტი, იქვე, 118).

116. გიორგი და კოსტანტინე აფხაზთა მეფეების ამბები ნ. დადიანს მოტანილი არა აქვს სუმბატ მეფის ქვეშ, როგორც ეს ვახუშტისთანაა (ნ. იქვე, 128—125), არამედ მოუთხრობს ცალკე, 51-ე ნომრის ქვეშ, რომელსაც ამთავრებს სუმბატის სიკვდილის თარიღით.

რაც შეეხება „მატიანე ქართლისას“, იქ კი ქართლის 50-ე მეფედ ჩათვლილია კოსტანტინე აფხაზთა მეფის ძე (ნ. ქართლის ცხოვრება, I, 1955, 267).

117. თეოდოსი დაბრმავებული იყო მისი ძმის დიმიტრის მიერ (ნ. ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, 1885, 133).

118. „პარასკევი“ არაა ვახუშტისთან (ზღრ. იქვე, 144), მაგრამ იგი წერია „მატიანე ქართლისა-ში“ (ნ. ქართლის ცხოვრება, I, 1955, 283).

119. ბაგრატ III გამეფდა 960 წელს (ნ. ვახუშტი, იქვე, 135). ნ. დადიანს ეს თარიღი გამოტოვებული აქვს.

120. ნ. დადიანი გამოტოვებს აქ იმას, რომ ვასილ კეისარმა, ზავი დაუდო გიორგი მეფეს, რათა „შიში აქენდა განდგომილებისა ბერძენთასა“ (ვახუშტი, იქვე, 147).

120-ა. შეცდომა: „მარიამი“ ერქვა (იქვე, 150, მე-2 სქოლიო).

121. უნდა იყოს: კაცხს (ზღრ. ვახუშტი, იქვე, 160).

122. უნდა იყოს: 45 (1072—1027).

123. ვახუშტი წერს: „წალულის“ (ზღრ. იქვე, 173). „წალულის“-კი ნახ-

შარი აქვს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს (შდრ. ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 324).

124. განძისა (შდრ. ვახუშტი, იქვე, 176).

125. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის „დიდებულთა“ (შდრ. ქართლის ცხოვრება, I, 328) ან ვახუშტის „წარჩინებულთა-ს“ (შდრ. საქ. ისტორია, I, 1885, 175) მაგივრად ნ. დადიანის მიერ აქ გვიანდელი დროის „თავადნი-ს“ ხმაზეა შეცდომას წარმოადგენს (ნ. აქვე მიმოხილვა).

126. ვახუშტი წერს: „ორბელი-ს“ (შდრ. იქვე, 178). ასევეა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთანაც (ქართლის ცხოვრება I, 331). ნ. დადიანს „ორბეთიელი“ ხელოვნურად უნდა ჰქონდეს ნაწარმოები „ორბეთი-დან“.

127. ვახუშტი წერს: „ყაზანი-ს“ (შდრ. იქვე, 179). „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით კი „ყიფაყი ჩერქეზია“ (გვ. 17, სქოლიო 3). აქედან უნდა ვიფიქროთ, რომ ნ. დადიანს ნებისმიერად გადაუქეთებია ვახუშტის „ყაზანი“, „ხაზარნი-ღ“.

128. ვახუშტი წერს: დავით აღმაშენებელმა თავისი ცხენაკლული თორმეტი ქვეითი მებრძოლი „აღსნა (უნდა იყოს: „აღსნა“) 12 ცხენთა ზედავე“ (იქვე, 184).

129. ოცდა ხუთისაგან ცხევი თავშეფარება არც ვახუშტის უწერია (შდრ. იქვე, 184) და არც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს (ქართლის ცხოვრება, I, 350).

130. ამ ადგილზე ვახუშტი ამბობს: ასეთი განსაცდელის დროს რომ დავითი წიგნს კითხულობდა და ამის მიუხედავად დიდი გმირობა გამოიჩინა, უკან მობრუნებისას მის შესახებ „კეთილნი თუ ბოროტნი ჰსთქვიან სპათა შორის მისთ, ანუ სამღვდლოთა წესიერ-უწესურებანი“ (იქვე, 184). ამის ნაცვლად ნ. დადიანი დამატებით ჩაურთავს ანტონ I-ის მიერ შეთხზულ დავით აღმაშენებლის საგალობელზე („დასდებელზე“) მითითებას.

131. „მოსაყდრე მოციქულთა“, როგორც არ უწერია არც ვახუშტის (იქვე, 186) და არც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს (ქართლის ცხოვრება, I, 363), ნ. დადიანს თვითონ უნდა ჰქონდეს ჩამატებული ანტონ I-ის „წყობილსიტყვაობის“ გავლენით, სადაც დავით აღმაშენებელზე წერია, რომ იგი იყო შემკული მოციქულებრივი სიბრძნითო (წყობილსიტყვაობა, 1853, პ. ოსელიანის რედაქციით, გვ. 145).

132. ყურადღებას იქცევს ის, რომ გიორგი III-ზე აგარიანთა გამოლაშქრებას აქ ნ. დადიანი მიაწერს შანშე დადიანის ინიციატივას, მაშინ როცა ვახუშტი წერს: „აღიძრნენ აგარიანნიო“ (იქვე, 190).

133. ვახუშტი აქ წერს, რომ გიორგი III-მ ქალაქი ანი „უბოჯა... თვის მემამულესაო“ (იქვე, 192), ასე რომ არ ასახელებს შანშე დადიანს. აქაც ნ. დადიანის ჩამატებასთან უნდა გვქონდეს საქმე.

134. დიმიტრი იყო ძე დავით მეფისა და ძმისწული გიორგი III-ისა. ვახუშტი ამ ადგილას მოიხსენებს დიმიტრის შამას დავით მეფეს და მის მიერ დიდებული აზნაურების გაძევებასა და დაბოცვას (იქვე, 194). ეს გამოჩენია ნ. დადიანს და ამიტომ მის ტექსტში გაუგებრობაა: ვისი ძეა დიმიტრი, არა ჩანს.

135. ვახუშტის უწერია „დადიანი“ (იქვე, 197).

136. „დადიანს“ ჩვენი ავტორი უმატებს; ვახუშტის მართლ „ბედიელი“ უწერია (იქვე, 197).

187. „საათბაქოსა“ ჩამატებულია ნ. დადიანისაგან; ვახუშტის მარტო „სამცხისა“ უწერია (იქვე, 197).

188. ვახუშტის ტექსტში წერია: „ათორმეტა მღვდელთა“ (იქვე, 198).

189. უნდა იყოს: „ზარვან-შაჰ“ (შდრ. ვახუშტი, იქვე, 202).

140. ვახუშტისთან: „თუმცა ეწიოს ნებასა თვისსა“ (იქვე, 202).

141. გიორგი I-ისა, რომელსაც მეორე ცოლად ჰყავდა ოვსთა მეფის ასული. ამისგან იყო ნაშობი დიმიტრი (შდრ. მართიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, 1955, 295).

142. ვახუშტით, დავით სოსლანის მამა იყო დიმიტრის ძის ძე (შდრ. იქვე, 202). ნ. დადიანის მიერ დასახელებული დავით, ათონ და ჯადრონ არ არიან მოხსენებული არც ვახუშტისთან (იქვე) და არც თამარ მეფის ისტორიკოსებთან (შდრ. ლაშა გიორგის დროინდელი შემატყინე, ქართლის ცხოვრება, I, 1955, 369; ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, გამოცემა ივ. ჯავახიშვილისა, 1944, გვ. 17; ისტორიანი და აზმანი შარვახანდელთანი, გამოცემა აკად. კ. კეკელიძისა, 1941, გვ. 89). და ჩვენთვის უცნობია, თუ საიდან აქვს ამოღებული ეს სახელები „ქართველთ ცხოვრების“ ავტორს.

143. დავით სოსლანის ბაგრატიონთაგან ჩამომავლობის აღმნიშვნელი სიტყვები: „ესე დავით სოსლან იყო... სოსლან დავით ესე“—ჩასმულია მრგვალ ფრჩხილებში სამივე ნუსხაში.

144. დადიან-ბედიელს თვითონ ნ. დადიანი უმატებს; ვახუშტისთან წერია მხოლოდ „ლიხს-იქითნი“ (იქვე, 203).

145. აქ უნდა ეწეროს „რუსი“, თუ არა და „რუსნი“-ში ნ. დადიანს ნაგულისხმევი ჰყავს მესხნი, კლარჯნი და ლიხთ-იმერნი, რომლებიც გიორგი რუსის მხარეზე იბრძოდნენ.

146. ვახუშტი წერს: 1030-ს (იქვე, 205).

147. ვახუშტი წერს: „ისმაილობა-ს“ (იქვე, 207). ნ. დადიანს, ალბათ, უნდოდა დაეწერა „სარკინოზნი“.

148. ეს აბზავი: „და იტყვიან ძლევისა... ძლევაჲ სპასთა შენთა“—ჩასმულია მრგვალ ფრჩხილებში სამივე ნუსხაში.

149. სიტყვას „მიეროვე“, გამომცემელი დ. ბაქრაძე კითხვის ნიშანს უსვამს (ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, 1885, 209).

150. ვახუშტისთან: „მისთა სპათა“ (იქვე, 209).

151. B ნუსხაში, რომლიდანაც ჩვენ „ქართველთ ცხოვრების“ ტექსტს გადავწერთ; ეს იამბიკოები გამოყოფილია ერთმანეთისაგან მოკლე სწორი ხაზებით.

152. ნ. დადიანს შეცდომით ამოუწერია; ვახუშტის მიხედვით, ათაბაგი გახდა იოანე ახალციხელი, რომელსაც კარიც ებოძა (იქვე, 211).

153. ნ. აქვე, 147-ე კომენტარი.

154. „დადიან-ბედიელი“ ნ. დადიანისგანაა ჩამატებული. იგი ვახუშტისთან არა წერია (შდრ. იქვე, 212).

155. ეს ლექსი ვახუშტის არა აქვს (შდრ. იქვე, 216) და ჩამატებულია ნ. დადიანის მიერ.

156. როგორც თვითონ ნ. დადიანიც წერს, ეს ლექსი მას გადმოუწერია ანტონ I-გან, რომელსაც მართლაც აქვს თამარისათვის დაწერილი იგი (ნ. დავით რექტორის ანთოლოგია, საქ. სახ. მუხ., S—1512, 61 r-v). ამ გა-

რემოებს ადრე ე. თაყაიშვილმა მიაქცია ყურადღება და აღნიშნავდა, რომ ნ. დადიანი თავისი „ქართველთა ცხოვრების“ პირველი ნაწილის შესადგენად იყენებდა, გარდა „ქართლის ცხოვრების“ კრებულითა და ვახუშტის „საქართველოს ცხოვრებისა“, ანტონ I ქათალიკოსის ლექსებათა (ნ. Описание рукописей, том I, выпуск I, 1902, стр. 10).

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას ის, რომ აღნიშნული ლექსი, რომელიც არ არის დ. ბაქრაძის გამოცემაში (შდრ. გვ. 216), ჩამატებულია ვახუშტის თხზულებაში გვიან გადამწერისაგან (ხელნაწ. ინსტიტ., A--756 ნუსხაში), ოღონდ იქ ანტონი მოხსენებულია არხიეპისკოპოსად (იქვე, 24r).

157. ვახუშტიც ამას წერს (იხ. ხელნაწ. ინსტიტ., A--756, 24r). მაგრამ ბაქრაძის გამოცემაში დაბეჭდილია: „ხალათნი“ და იქვე ფრჩხილებში მიწერილია „ხალათნი“ (ნ. საქართველოს ისტორია, I, 1885, გვ. 220). „ხალათნი“ წერია გამთავალმწერელთანაც (იხ. ქართლის ცხ., II, 1959, ს. ყუხჩიშვილის გამოც., 156).

158. ეს სიტყვა ვახუშტისთან არ არის (შდრ. იქვე), არც გამთავალმწერელთანაა (შდრ. ქართლის ცხ., II, 1959, 155).

159. ვახუშტი წერს: 19000-ს (იქვე, 221).

160. ვახუშტი წერს: 1212-ს (იქვე, 224).

161. ვახუშტით, მეცხვარე მოკლა ყიასდინ სულტანმა (იქვე, 228).

162. აქ ლაპარაკია მონგოლებზე (შდრ. იქვე, 229).

163. უნდა იყოს 26 (1237—1211).

164. ვახუშტის ნიხედვით, ცოტნე დადიანს მისცეს სამცხე კარნუ ქალაქამდე, ხოლო ყოველი ლიხთ-იმერეთის სარდლობა მიეცა რაჭის ერისთავს (იქვე, 233). ცხადია, ცვლილება, რომელიც ნ. დადიანს შეაქვს თავის ტექსტში ცოტნე დადიანისა და რაჭის ერისთავის სასარდლო ტერიტორიების განსაზღვრით, ნებისმიერია და არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს.

165. „ამერთა“ და „იმერთა“ ცნებების გაგებაში აქ ნ. დადიანი თავის თავზე ლიხთ-იმერულ ორიენტაციას ამჟღავნებს.

166. ნ. დადიანი აქ შეცდომას აკეთებს: ყაენმა უბოძა დავით მეფესო, — ამბობს ვახუშტი (შდრ. იქვე, 239).

167. ვახუშტი წერს: „ბედიელი-ს“ (ნ. იქვე, 244); აქაც ნ. დადიანის დამატება ნებისმიერია (შდრ. იქვე, 164-ე კომენტარი).

168. შემდგ ვახუშტი წერს: „დაშინენ იმერნი უმეფოდო“ (იქვე, 245) ნ. დადიანი ამას აღუნიშნევლად ტოვებს, ვინაიდან, რაკი ლაშას ემ და ნარინ დავითმა საქართველო ორ სამეფოდ გაიყვეს, ლიხთ-იმერეთად და ლიხთ-იმერეთად, იმერნი უმეფოდ არ დარჩენილან, შათი შეფე ნარინ-დავითი იყო.

169. და ცოლი ჰუღაგუ ყაენისა. იგი, როგორც დ. ბაქრაძე უენიშნავს, მფარველობდა ყაენის კარზე ქრისტიანებს, მაგრამ თვითონ არ ყოფილა კეისრის ასული (იქვე, 245, სქოლიო 1).

170. ამ დროს ყაენთან იმყოფებოდა, გარდა დიმიტრისა, დავით მეფის მეორე ძე გიორგიც (იქვე, 245).

171. ვახუშტი წერს: „შიდნი“, ოთხი კი ულუ ყაენს თავისიანი ახლდა (იქვე, 246).

172. ვახუშტი წერს: „პოლოლოლის“ (იქვე, 250).

173. ვახუშტის ნიხედვით, რაჭის ერისთავს მხოლოდ „ქახაბერ“ ჰქვია (იქვე, 250). „სადუნი“ ნ. დადიანის მიზატებულია; როგორც ჩანს, მას არევი

მაშინდელი ლიხთ-ამერელი დიდებულის საღუნ კახაბერისა და რაჭის ერისთავის კახაბერის სახელები ერთმანეთში (შდრ. იქვე, 251).

174. აქ ნ. დადიანს გამოტოვებული აქვს დიმიტრის მეფედ კურთხევის თარიღი—1272 წელი (შდრ. ვახუშტი, იქვე, 251).

175. ვახუშტის უწერია: „თვით-ნავალი“ (იქვე, 251).

176. ვახუშტი წერს: „ეგვიპტეს მივიდნენ და რუბაკს გამოვიდნენ..“ (იქვე, 254).

177. ვახუშტის მიხედვით: „ძმა“ (იქვე, 255). ასევეა გამოთქმულია ნაც (ქართლის ცხოვრება, II, 281).

178. ვახუშტი წერს: „შვილის-შვილის შვილს“ (იქვე, 255).

179. ნ. დადიანის ტექსტში სათანადო ადგილზე გამოტოვებულია შემდეგი: ახმად ყაენი მოახრჩვეს ნოინებმა და ყაენად დასვეს აბლა ყაენის ძე არლუნი, ძმისწული ახმადისა (ნ. ვახუშტი, იქვე, 256).

180. იგი იყო თბილისელი (ვახუშტი, იქვე, 259).

181. ეს მოხდა 1289 წელს (იქვე, 260).

182. დავით დიმიტრის ძე (ვახუშტი, იქვე, 260).

183. ვახუშტი წერს: 1292 წელსო (იქვე).

184. აქ ნ. დადიანი გამოტოვებს დავით მეფის განდგომას ყაზან ყაენისაგან და ბათუ ყაენისაკენ გადახრას (ვახუშტი, იქვე, 264—5).

185. ამას ვახუშტი უწოდებს „მცირე გიორგის“ ტანით თუ წლოვანებით სიპატარაის გამო (იქვე, 266).

186. ეს იყო 1301 წელს (ვახუშტი, იქვე, 268).

187. ვახტანგის მეფობას ვახუშტი ცალკე არ გამოჰყოფს; იგი ჩართული აქვს დავით VI-ის მეფობაში (იქვე, 269).

188. ვახუშტის მიხედვით, ეს მოხდა 1302 წელს (იქვე, 269).

189. ვახტანგ მეფე.

190. A ნუსხაში ეს სიტყვა წერია ციფრით.

191. „ყაენისა თანა“ ამოშლილია და ცარიელი ადგილია დატოვებული A ნუსხაში.

192. ეს იყო 1308 წელს (ვახუშტი, იქვე, 274).

193. უნდა იყოს ულჯათ-სულტანი.

194. BC ნუსხებში შეცდომით 1718 წერია.

195. აქ ნ. დადიანი, როგორც ლიხთ-ამერელი ავტორი, თავისებურად ცვლის ვახუშტის მიერ ნახმარი ზმნის ფორმას: „გარდავლო“ (იქვე, 277).

196. ვახუშტი წერს: გიორგი ბრწყინვალემ აფხაზეთში „მისცა ცხოშის საერისთო ბედიელს, ვითარცა პირველ ცხოშისა იყო“ (იქვე, 278), ასე რომ: ბედიელი პირველად ყოფილა ცხოშის ერისთავი და ახლა იგი გიორგი ბრწყინვალეს ისევ ცხოშის ერისთავად დაუსვამს. იგი განსხვავებული პირია დადიანისაგან.

ნ. დადიანს კი ეს ასე არ ესმის; მისი აზრით, ბედიელი იგივე მამია დადიანია, რომელიც 1330-იან წლებში გამხდარა ერისთავი აფხაზეთის ერთი ნაწილისათ—ცხოშისა, „ვინათგან პირველცა მისი იყო“, ასე რომ, ოღონდ მის ერისთავს დადიანს აფხაზეთში ბატონობის უფლება ამაზე აღარ ეძლეოდა.

ამ საინტერესო აზრის შეფასებისაგან თავს ვიკავებთ, ვინაიდან ჯერ კიდევ უცნობია ჩვენთვის ბედიელთა ჭინაობა.

197. ვახუშტით ეს მოხდა 1334 წელს (იქვე).



198. „ღღესაც იპოვების ქვეყანას ჩვენსა“—ეს ჩამატებულია ნ. დადიანისაგან (შდრ. ვახუშტი, იქვე, 278).

199. ეს მოხდა 1345 წელს (ვახუშტი, იქვე, 380).

200. ვახუშტისთან წერია „ეწერი“ (იქვე, 281). ნ. დადიანის შესწორება. მართალი უნდა იყოს: სვანები ქუთაისს უნდა დასხმოდნენ ლეჩხუმიდან და ბაგრატ მეფის ერთ-ერთ არმიას ოდიშიდან მათთვის უნდა შეეტია ეცერზე გავლით, რომელიც მდებარეობდა ლეჩხუმის სამხრეთითა და ოდიშის აღმოსავლეთით (შდრ. ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, 1941, 173).

201. მომხრეელი სენის მეორენაირი განმარტება სამივე ნუსხაში ჩასმულია მრგვალ ფრჩხილებში.

202. ვახუშტი წერს: ბაგრატ მეფემ დასვაო (იქვე, 283).

203. ვახუშტი წერს „ვამიყს“ (იქვე, 283). ეს სახელი პირველ წყაროებში იწერება სამნაირად: „ვამეხ“ (თ. ჟორდანიძე, ქრონიკები, II, 471), „ვამეყ“ (ქრონიკები, II, 471, 472, 476, 479; ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, 59, 61, 65, 66, 67, 71) და „ვამიყ“ (ქრონიკები, II, 302, 470, 480).

ისტორიული საბუთების უმეტესობა, თანაც ის დოკუმენტები, სადაც ვამეყი თვითონ ასახელებს თავის თავს, მხარს უჭერს „ვამეყს“. ამიტომ ნ. დადიანის შესწორებას ძალაში ვტოვებთ.

204. გიორგი ძმა იყო ალექსანდრესი და არა მამა; აქ ნ. დადიანი გამოტოვებს ამაზე აღრინდელ ამბავს: ალექსანდრე ერისთავის გამეფებას, რაც მოხდა გიორგი ბაგრატის ძის იმერეთიდან ლიხთ-იმერეთში გადმოსვლის შემდეგ (შდრ. ვახუშტი, იქვე, 286).

205. ეს მოხდა 1393 წელს (ვახუშტი, იქვე, 288).

206. ბაგრატის ჯარების დაბანაკების ადგილები ჩამატებულია ნ. დადიანის მიერ; ვახუშტი წერს: „ბაგრატს დაებანაკა სპითა თვისითა... მგონებელსა თემურისაგან ტფილისის მოდგომისასა“ (იქვე, 288—289).

207. ეს მოხდა 1394 წელს (ვახუშტი, იქვე, 289).

208. ეკლესიის იატაკზე რომ ჩანს, ეს ამოღებული აქვს ნ. დადიანს „ახალი ქართლის ცხოვრებიდან“ (ქართ. ცხ., II, 329, 452), იგი ვახუშტისთან არ არის (შდრ. ვახუშტი, იქვე, 289).

209. ვახუშტის მიხედვით, მამია დასვა მეფე გიორგიმ (იქვე, 290).

210. კათალიკოსის დასმის ჩვეულების შესახებ განმარტება ჩამატებულია ნ. დადიანისაგან (შდრ. ვახუშტი, იქვე).

211. ეს მოხდა 1396 წელს (ვახუშტი, იქვე, 291).

212. ვახუშტი წერს: „ალიჯანს“ (იქვე). ჩვენ ვამჯობინებთ „ალინჯას“, იქვე სქოლიოში დომ. ბაქრაძის მიერ მოტანილი ლარგეისის მონასტრის პარაკლიტონის წარწერის მიხედვით.

213. კოსტანტინე უძეო იყო; მას შემკვიდრედ დარჩა ძმის შვილი დიმიტრი, რომელიც იყო ალექსანდრე იმერთა ერისთავის ძე. იგი მძევლად მისცეს გიორგი მეფეს ლიხთ-იმერეთის დიდებულებმა (ვახუშტი, იქვე, 295—296).

214. ვახუშტი წერს: „შეიკობნენ ყოველნი თურქთა ლაშქარნი დიდ-ძალნი“ (იქვე, 296). ამ ადგილას ნ. დადიანი ხმარობს სიტყვას „რესპუბლიკა“ თავისი ღრობის შეტყველების ზეგავლენით.

215. ვახუშტისთან წერია: შარვაშიძე დაემორჩილა ალექსანდრე მეფის ბრძანებას, „ვითარცა პირველთა მეფეთასა“ (იქვე, 298).

216. ეს მოხდა 1415 წელს (ვახუშტი, იქვე).

217. მცხეთისა და სხვა თათართაგან მოხრებული ეკლესიები (ვახუშტი, იქვე, 298—299).

218. კირმანეულის მეორენაირი განმარტება სამივე ნუსხაში ჩანს მუდრიანის მრგვალ ფრჩხილებში.

219. ამ ადგილზე ვახუშტი წერს: „ათხუთმეტსა წელსა შეასრულა განზრახვანი თვისნი“ ალექსანდრე მეფემო (იქვე, 299).

220. ამ ადგილას ვახუშტის უწერია: „იყო შეება-ნადირობასა შინა“ ალექსანდრე მეფემო (იქვე, 300).

221. ეს მოხდა 1444 წელს (ვახუშტი, იქვე, 302).

222. ეს მოხდა 1465 წელს (იქვე, 306).

223. ვახუშტი წერს: „გარდმოვლო“ (იქვე).

224. ციხეებისა და შანულების ფლობა, ცალკე სასაფლაოდ ეკლესიის ქონება და მაღალი მოხელეობა როგორც მეფის კარზე, ისე ქვეყანაში — თავადობას რომ ნიშნავდა, ეს აზრი ეკუთვნის ნ. დადიანს (იხ. ამაზე აქვე ჩვენი გამოკვლევა).

225. წინასიტყვაობის ეს ნაწილი ნ. დადიანს შედგენილი აქვს ვახუშტის შენიშვნის მიხედვით: ქართლის მეფე კოსტანტინესა და მის შემდგომთა მეფეთა ქმნულებათ ვიწყებთ წარწერასა თვის-თვისთა ქარტათა ზედა, ვინადგან იქმნენ განყოფილებანი“ (ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, 1885, ბაქრადია რედაქციით, გვ. 307).

226. როგორც ცნობილია, ვახუშტი თავის წინასიტყვაობაში ამბობს, რომ მან შეასწორა ის ქრონოლოგიური შეცდომები, რაც ახასიათებდა ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა“ ნამუშავეს: „განეასწორენით და განეამართლეთო“ (ქართლის ცხოვრება, II, ჩუბინოვის გამოცემა, სპბ, 1854, გვ. 10). ნ. დადიანი შემოკლებულად გადაიწერდა ვახუშტის ამ გასწორებულ და გამართულ ნაშრომს.

227. ვახუშტისთან ამ ადგილზე წერია: „აწინდელისა ქართლისა“ (გეოგრაფია, 1941, 33),

228. ვახუშტი წერს: თუ ამ წყალს ორმოცი დღით აღრე დაღვეს კაცი, მას ევლარაფერს ავენებს ცოფიანის ნაქებნიო (იქვე, 36).

229. ვახუშტი წერს: „ამას ეწოდა ქაოზიანი, სადაც არს დიდ-დიდნი ნაშენებნი. ესევე არს გაჩიანი“ (იქვე).

230. აქაც და სხვაგანაც ვახუშტი წერს „ლითონს“ (იქვე, 38 და სხვ.).

231. ვახუშტი წერს: „ღბანისს“ (იქვე, 38—39).

232. ვახუშტი წერს: „უგუნბათოსს“ (იქვე, 39).

233. ვახუშტი წერს: „რომელი დაამსხვრევს ქვასა შირიმისასა და დააყრევენებს სმითა“ (იქვე, 39).

234. შდრ. აქვე 230-ე კომენტარი.

235. ვახუშტის მიხედვით, არწივანთან კობტაყრიცის ხევი ერთვის ქციას; არწივანი წალკას ზევით მდებარეობს. ხოლო თეზის ხრაში სხვა ადგილასაა ქციაზე (შდრ. იქვე, 42).

6. დადიანს გამოუტოვებია რა კობტაციის-ხევის აღწერა და მექანიკურად გადმოუტანია თავის ტექსტში სიტყვა „არწივანს“. ეს უკანასკნელი მომდევნო წინადადებასთან კავშირში გაუგებრობას იწვევს: არწივანი და თეზის ხრამი თითქოს ერთ ადგილას მდებარეობენ.

286. ვახუშტი წერს: „ნასასახლევიო“ (იქვე, 44).

287. ვახუშტი წერს: ... „არს ლოდი რომელი, გვალვასა თუ გარდაბრუნო და შენამო, მოვალს წვიმა, ხოლო წვიმიანობასა შინა თუ შეაყარო ნაცარი და გარდაბრუნო, იქმნების უწვიმრობა“ (იქვე, 46). ნ. დადიანს, როგორც ჩანს, სიჩქარე გამოუჩენია და გამოუტოვებია შუა სიტყვები, ისე რომ, რაც დაუწერია, გამოსვლია შეუსაბამობა.

288. ეს უკანასკნელი წინადადება ჩამატებულია ნ. დადიანის მიერ (შდრ.: ვახუშტი, იქვე, 47—48).

289. ეს საზღვრები გარდაბანის საერისთავოსია. რაც შეეხება გაჩიანის საერისთავოს, რომელიც მდებარეობდა გარდაბანს ზევით (ვახუშტი, იქვე, 49—50), მისი აღწერა ნ. დადიანს გამოტოვებული აქვს და გაჩიანის საერისთავოს საზღვრებიც გარდაბანისად გამოსვლია.

240. A ნუსხაში წერია ციფრებით: „28“.

241. 64-ე მეფე იყო ლაშა გიორგი (ნ. აქვე, ტექსტი).

242. ნ. დადიანს ბოსტან-ქლაქიდან აქამდე მთლიანად გამოუტოვებია გარეჯა-ყარაიისა და მეოთხე სასპასპეტოს აღწერა (შდრ. ვახუშტი, იქვე, 50—52).

243. ვახუშტისთანაც ასე წერია (იქვე, 52). მაგრამ უნდა იყოს ვარზაბაქარ (ნ. აქვე ტექსტში 27-ე მეფე).

244. ვახუშტი წერს: „რიგს“ (იქვე, 53).

245. ვახუშტის მიხედვით, როსტომისა და ვახტანგის მიერ აგებული სასახლეები სხვადასხვა არის (იქვე, 52—53). ამასთანავე, როსტომის სასახლის მდებარეობის დასაზუსტებლად საგუბერნატორო სახლის მოხსენიება ჩამატებულია ნ. დადიანისაგან.

246. ვახუშტი წერს: „შემუსერილი აღაშენა-ო“ (იქვე, 53).

247. ქრისტეს შობის ეკლესიის ამბავი ჩამატებულია ნ. დადიანისაგან (შდრ. ვახუშტი, იქვე, 53).

248. მარიამ ღედოფლის ასულობა და ირაკლი მეორის მიერ კარის საყდრის აშენების ამბავი ჩამატებულია ნ. დადიანისაგან (შდრ. ვახუშტი, იქვე).

249. დიმიტრი (თავდადებული) 67-ე მეფე იყო (ნ. აქვე ტექსტი).

250. გივი ამილახორისაგან ქაშოეთის ეკლესიის აშენების ამბავი ჩამატებულია ნ. დადიანის მიერ (შდრ. ვახუშტი, იქვე).

251. ლურჯ-მონასტერი რომ გაბაშვილების სასაფლაოა, ამას ნ. დადიანი უმატებს (შდრ. ვახუშტი, იქვე, 54).

252. მონაზვნების ნათქვამი სამივე ნუსხაში ჩასმულია მრგვალ ფრჩხილებში.

253. თეძმის აღწერიდან აქამდე ნ. დადიანს მთლიანად გამოუტოვებია ხოვლეს, ატენის, საციციანოსა და გუჯარეთის აღწერანი (შდრ. ვახუშტი, იქვე, 56—60).

254. ვახუშტისთან აქ ლაპარაკია კათალიკოსსა და მის მამულზე (იქვე, 60).

255. ეს არის ალექსანდრე დიდი. იგი იყო 77-ე მეფე, ხოლო ბიძამისი კოსტანტინე—76-ე (ნ. აქვე, ტექსტი).

256. ერეკლე მეორისა და მისი ძის გიორგის ხსენება ჩამატებულია ნ. დადიანის მიერ (შდრ. ვახუშტი, იქვე, 61).

257. 79-ე მეფე იყო ალექსანდრე დიდის ძე გიორგი VIII. ბაგრატ კი იყო 74-ე მეფე, ძე დავითისა (ნ. აქვე, ტექსტი).

258. ქსნის ხევის აღწერიდან აქამდე ნ. დადიანს გამოტოვებული აქვს აღწერანი ქოლოთქვიტიკისა, ისროლის ხევისა, გვერდის-წირისა, შალრან-დეალეთისა (შდრ. ვახუშტი, იქვე 69—71).

259. მეჯვდის მდინარე ნ. დადიანს აქ ამოუღია ისროლის ხევის აღწერიდან, რომელიც მას გამოტოვებული აქვს (ნ. აქვე კომენტარი 258-ე და შდრ. ვახუშტი, იქვე, 70).

260. ნ. დადიანი კასპის ხევს, რომელიც არ არსებობს, შეცდომით უმატებს (შდრ. ვახუშტი, იქვე, 72, 275, 322).

261. ბალათარ ოსის მოხსენიება აქ ჩამატებულია ნ. დადიანის მიერ (შდრ. ვახუშტი, იქვე, 72).

262. ვახუშტის მიხედვით, სამთავისის ეკლესია დგას „რეხულას აღმოსავლით“ (იქვე).

263. აქ, ნ. დადიანს ჩართული აქვს ცალკეული ცნობები აგრეთვე ლიანხის ზეითის, დვანის წყლის, ფცის წყლისა და სადგრის ხეობის აღწერებიდან (შდრ. ვახუშტი, იქვე, 78—79, 81, 83).

264. ნ. აქვე, 255.

265. ვახუშტისთან წერია: „მიქელ“ (იქვე, 81).

266. A ნუსხაში წაშლილია ეს ხელმოწერა.

267. ნ. დადიანი აქედან აღარ განაგრძობს ქართლის მეფეთა სათვალავს, მაშინ როცა ვახუშტის ორიგინალში ქართლის მეფეების ჩამოთვლა გრძელდება (შდრ. ვახუშტის ისტორიის ხელნაწერი, საქ. მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტი, A — 756, 65 r და შემდეგი). ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ის, რომ „ქართველთ. ცხოვრების“ BC ნუსხებში მე-8 თავის დასასრულს წერია: „ხოლო ივერიის მეფობის განაგრძობის შემდგომად იქმნენ მეფენი საქართველოსა შინა ვიდრე აღზოცამდე ცხრაშვიტი—19“ (გვ. 161, 87r). აქ მხედველობაშია მიღებული ქრონოლოგიური ქარგა 1469—1800 წლები, დაწყებული მე-80 მეფე კოსტანტინე გიორგის ძის მეფობით და დამთავრებული გიორგი XIII-ის (ერეკლე II-ის ძის) სიკვდილით. ნ. დადიანს აქ ქართლის მეფეების სათვალავი დაცული უნდა ჰქონდეს ვახუშტის ისტორიის ხელნაწერის მიხედვით თეიმურაზ II-მდე, ხოლო შემდეგ თვითონ განუგრძეია დათვლა და გამოსვლია სულ 19.

268. შესატყვის ადგილზე ათაბაგსა, დადიანსა, გურიელსა, შარვაშიძესა და სვანთა ერისთავზე ვახუშტი წერს ცალ-ცალკე: „განდგა თავადალ“ და „ამათ დაიპყრეს საზღუარნი თუნხი-ო“ („საქართველოს ცხოვრება“, II, ზ. კინიანიძის გამოცემა, 1913, 16). მაშასადამე, სამეფოსაგან თავადალ, ე. ი. თავისთვის განდგომა, ვახუშტის გაგებით, ნიშნავდა ერისთავთა მიერ მათივე საგამგეო ტერიტორიების დაპყრობა-დასაკუთრებას. ნ. დადიანი კი, როგორც ვხედავთ, ასეთ განდგომას უწოდებს მეფეზე დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებას. რა თქმა უნდა, ვახუშტის ნათქვამი აქ ჩვენს ავტორს სწორად გაუგია.

269. არა, იგი იყო ძე ბაგრატ იმერთა მეფისა (შდრ. ვახუშტი, იქვე, 19).

270. არა, გარდაიცვალა 1505 წელს (ზღრ. იქვე, 24).

271. ერქვა ელენე (ნ. იქვე, 253).

272. მამიამ (ნ. იქვე, 295).

273. ლევანი (ნ. იქვე).

274. უნდა ყოფილიყო მანუჩარი (ზღრ. იქვე, 297).

275. ლუარსაბი იყო შვილი სიმონის ძე გიორგისა, რომლის მეფობის აღწერა გამოტოვებული აქვს ნ. დადიანს (ზღრ. იქვე, 51—53).

276. ეს სიმონ მეფე იყო შვილი სიმონ პირველის ძმის დაუღბანის ძის ბაგრატიისა, რომლის მეფობის აღწერა ნ. დადიანს გამოტოვებული აქვს (ზღრ. იქვე, 60).

277. აქ საუბარია როსტომ მეფეზე, რომელიც ლევან II დადიანს დაემოყვრა თეიმურაზ I-ის მტრობისათვის (ზღრ. იქვე, 72).

278. დადიანი ვახტანგს.

279. დადიანი.

280. სიტყვები: „რომელიცა დღესაც იგი მოქმედებს ქვეყანასა შინა ჩვენსა“ — არ არის ვახუშტისა (ზღრ. იქვე, 109). აქ ნ. დადიანს მხედველობაში უნდა ჰქონდეს მთელი საქართველო და არა მხოლოდ სამეგრელო. ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს შემდეგი. მსაჯულთუხუცესობის თანამდებობაზე ყოფნის დროს ნ. დადიანს თავისი იურიდიული საქმიანობის შესახებ შედგენილი აქვს დღიური, რომლის 1832 წლის 15 იანვრის ჩანაწერიდან ჩანს, რომ მას (ნ. დადიანს) ლევან V დადიანისათვის ნებართვა მოუთხოვია იმისა, რომ სამეგრელოში „ვახტანგ მეფის სამართლის კანონი ვიხმაროთ, როგორც ხმარობენ საქართველო-იმერეთშიდო“ (ზუგდიდის სამხარეთმცოდნეო მუზეუმის ხელნაწერი წიგნების ფონდი, № 887, 69 v.—70 r.). ეს სიტყვები დაწერილია 1832 წელს, ე. ი. 9 წლით გვიან, ვიდრე ნ. დადიანმა თავისი „ქართველთ ცხოვრება“ შეადგინა. თუ 1832 წელს არ ყოფილა სამეგრელოში გავრცელებული ვახტანგის კანონები, ასეთივე მდგომარეობას ექნებოდა ადგილი უფრო ადრეც, „ქართველთ ცხოვრების“ შეთხზვის დროს.

281. აღწერა თეიმურაზ II-ის მეფობისა ქართლში 1744—1762 წლებში, ერეკლე II-ის მეფობისა ქართლ-კახეთში 1762—1798 წწ., გიორგი XIII-ის მეფობისა ქართლ-კახეთში, ქართლ-კახეთის სამეფოს შეერთებისა რუსეთთან და რუსეთის მფლობელობაში აღმოსავლეთ საქართველოს შესვლის წინააღმდეგ ალექსანდრე ბატონისშვილის ბრძოლისა ჩამატებულია ნ. დადიანის მიერ.

282. საურმაგი იყო მეორე მეფე (ნ. აქვე, ტექსტი).

283. ლევანი იყო მე-5 მეფე კახეთისა შემდგომად საქართველოს დაშლისა (ვახუშტი, საქ. ცხ., II, 1913, გვ. 161, 165).

284. აბიბოს ნეკრესელი, ვახუშტით, დაფლული არის სამთავროს (გეოგრაფია, 1941, გვ. 99).

285. ვახუშტი წერს: „მთავარ-ანგელოზთა“ (იქვე, 100).

286. ვახუშტი წერს: „გგონებ ნახჭევნადო“ (იქვე, 101). ნ. დადიანი კი არ იჩენს ამდენ სიფრთხილეს და უეჭველად მიიჩნევს ლალის-ყურისა და ნახჭევანის იგივეობას.

287. ამ შემთხვევაში ნ. დადიანს ნაგულისხმევი აქვს მთავრობა ანუ ქორიკოზობა: გრიგოლისა (787—827 წწ.), ვაჩესი (827—839 წწ.), სამოელისა (839—861 წწ.), გაბრიელისა (861—881 წწ.), ფადალა I-ისა (881—893 წწ.), კვირიკე I-ისა (893—918 წწ.), ფადალა II-ისა (918—929 წწ.), კვი-

ქე II-ისა (929—976 წწ.) და დავითისა (976—1010 წწ.)—ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, II, კიწინაძის გამოცემა, 1913, გვ. 147—150.

288. ვახუშტით, პირველი არელმანელი იყო ფადალა. რომელიც კახეთის მთავარი გახდა გაბრიელ დონაურის შემდეგ, 881 წელს და გარდაიცვალა 893 წელს (იქვე, 148—149).

289. კვირიკე მეფე მოკლულ იქნა 1035 წელს (ვახუშტი, იქვე, 152).

290. ნ. დადიანი აქ გამოტოვებს მეფობას გაიქსას (1039—1058 წწ.), აღსართან I-ისას (1058—1084 წწ.), კვირიქსას (1084—1102 წწ.), აღსართან II-ისას, რომლის დროსაც კახეთი საქართველოს მეფეს დაუქვემდებარდა; დავით I-ისას (1469—1471 წწ.), გიორგი I-ისას (1471—1492 წწ.) და ალექსანდრე I-ისას (1492—1511 წწ.)—ვახუშტი, იქვე, 152—160.

291. სათვალავეში მოსვლია ნ. დადიანს შეცდომა, ვინაიდან ავგიორგი მე-10 კი არა, მე-9 მეფე იყო კახეთისა.

292. აშოთან იყო ძე ბაგრატ მუხრან-ბატონისა, სანდო სვიმონ I-ისა და მოღვაწეობდა XVI საუკუნის მეორე ნახევარში (ვახუშტი, იქვე, 35, 40, 169).

293. ეს რიცხვი გადაჭარბებული უნდა იყოს.

294. ვახუშტი წერს: „მოსახლენი—სიღამონი და ქახილიძენი“ (გეოგრ., 1941, 113).

ნ. დადიანის ტექსტში ის ბალთარი უნდა იყოს დასახლებული, რომელიც ვახტანგ გორგასალმა მოკლა ოსეთში თავის ლაშქრობის დროს. ამ ბალთარს, როგორც ისტორიკოსი დ. ბაქრაძე აღნიშნავს, თვლიდნენ ქარხილანის გვარისად (ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, 1885, 91, სქოლიო I). როგორც ჩანს, ნ. დადიანსაც სცოდნია ეს, რომელიც ოსეთში ნამყოფი იყო (იხ. იქვე კომენტარი 295-ე) და სათანადო წარწერა ნარის ეკლესიისა ამოუკითხავს.

295. ეს ტექსტი, ჩვენ მიერ „ბოლოსიტყვაობად“ წოდებული, ჩამატებულია ნ. დადიანისაგან, რომელიც, როგორც ჩანს, ოსეთში ნამყოფი ყოფილა.

296. „ესენი არიან მოსხის მთანი“—ვახუშტის უწერია აშოაზე გასწვრივ შემდეგი სიტყვებისა: „მთა ლადო ანუ ფერსათი და მთა აქარა-გურიის შორისი“ (გეოგრ., 1941, 122). ნ. დადიანს მოსხის მთების შესახებ ჩანართი მოუთავსებია სიტყვებს შორის: „ლადო“ და „ანუ ფერსათი“.

297. ამ ადგილას ვახუშტი წერს: „ვეგონებო“ (გეოგრ., 1941, 124). შდრ აქვე 286-ე კომენტარი.

298. აქაც ვახუშტი წერს სიტყვას: „ვეგონებ“ (იქვე, 125). შდრ. აქვე 286-ე კომენტარი.

299. ვახუშტით: ოცხის წყალი კვანჯლასთან ერთვის ახალციხის წყალს (იქვე).

300. 63-ე მეფე თამარი იყო, გიორგი კი—62-ე (ნ. აქვე, ტექსტი).

301. 61-ე მეფე დავითი (შვილის შვილი დავით აღმაშენებლისა) იყო (ნ. აქვე, ტექსტი).

302. 75-ე მეფე გიორგი მეშვიდე იყო, კოსტანტინე კი—76-ე (აქვე, ტექსტი).

303. ეს ტექსტი, ჩვენგან „ბოლოსიტყვაობად“ წოდებული, ჩამატებულია ნ. დადიანის მიერ, რომელიც, როგორც ჩანს, სამცხეს საკუთარი მოგზაურო-

ბით გაცნობილი ყოფილა. მისი ბიოგრაფიიდან ცნობილია მხოლოდ ის, რომ ნ. დადიანი რუსეთის სარდლობის მხარეზე მონაწილეობას იღებდა როგორც შეგრელი სპის სარდალი 1811 წლის ლაშქრობაში ახალციხეზე (ნ. აქვე, „ცხოვრება და მოღვაწეობა ნიკო დადიანისა“). შდრ. აქვე 295-ე კომენტარი.

304. ეს ეკლესია არის წყაროსთავი (ვახუშტი, გეოგრ., 129—130).

305. გორგასლის ძე იყო დაჩი, ხოლო მირდატი—ვახტანგ გორგასლის მამა (ნ. აქვე ტექსტში 32-ე—33-ე—34-ე მეფენი).

306. ეს ეკლესია, ვახუშტის მიხედვით, სამღერეთის დასავლეთ ყოფილა (იქვე, 132).

307. ეს ნაწილი, რომელსაც ჩვენ „ბოლოსიტყვაობას“ ეწოდებთ, ჩამატებულია ნ. დადიანისაგან. შდრ. აქვე 295-ე და 303-ე კომენტარი.

308. ვახუშტი ამ ადგილას ლაპარაკობს მხოლოდ ხახულის ხატის შესახებ: „და ხატი ამისი-ო“ (იქვე, 140).

309. ეს ნაწილიც, ჩვენგან „ბოლოსიტყვაობად“ წოდებული. ჩამატებულია ნ. დადიანის მიერ. შდრ. აქვე 295-ე, 303-ე და 307-ე კომენტარი.

310. შვილისშვილი ბექა I-ისა იყო ყვარყვარე I, რომელიც ათაბაგად დასვა გიორგი ბრწყინვალემ 1334 წელს (ვახუშტი, საქ. ცხოვრება, II, 1913, 232). ნ. დადიანს ყვარყვარე I როგორღაც არეგია ყვარყვარე II-ში, რომელიც საქართველოს მეფისაგან დამოუკიდებელი გახდა (იქვე, 234—235). სარგის ჯაყელით დაწყებული და ყვარყვარე II-ით დამთავრებული ათაბაგად მართლაც რვა კაცი იჯდა (სარგის I: 1268—1285; ბექა I: 1285—1306; სარგის II: 1306—1334; ყვარყვარე I: 1334—1361; ბექა II: 1361—1391; იოანე: 1391—1444; ალბულა: 1444—1451; ყვარყვარე II: 1451—1466).

311. ნ. დადიანის ლაპსუსი მოსვლია; აქ დასახელებული უნდა იყოს ქაიხოსრო II (შდრ. ვახუშტი, იქვე, 248).

312. ეს რიცხვები არ უნდა იყოს ზუსტი.

313. ვახუშტი ამ ადგილას არ ასახელებს მეორე რიონს (შდრ. გეოგრ., 1941, 147); იგი ნ. დადიანის ჩანამატია, რაც ქმნის გაუგებრობას.

314. ვახუშტის დროს ცხენისწყლის შესართავი ტყვირთან ყოფილა (გეოგრ., 148). შემდეგ მის შესართავს ტყვირიდან აღმოსავლეთისაკენ გადაუწვია და ნ. დადიანის დროს საქილაოს ილორთან ამოსულა. იმის მიუხედავად, რომ სოფელ მარნის უბანში მდინარე რიონის კალაპოტიდან ილორის საქილაოდ მოშორებით მდებარეობს ჩრდილოეთისკენ (შდრ. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორიული რუკა) და საღებოა რალაც სამოციოდე წელიწადში რიონის დინებას ასე შორს გადაეწიოს ჩრდილოეთით,—ნ. დადიანის ჩანამატი მაინც საყურადღებოა.

315. აქ ვახუშტი წერს, რომ ამათ გარდა გელათში „აწინდელი მეფენი შემდგომად განყოფისა იფლვიან იმერთანი-ო“ (გეოგრ., 152). ნ. დადიანს, რა თქმა უნდა, შეეძლო იმერთა მეფეების ჩამოთვლა და სოლომონ I-ის მოხსენიებაც, რომელიც ღვთისმშობლის ტაძარში იყო დამარხული, მაგრამ იგი ამ მხრივ არავითარ ჩამატებას არ აკეთებს.

316. ტომოთე გაბაშვილის რუკაზე ჩხარის ეკლესიის ნახაზთან შემდეგი წარწერაა: „წმინდი[ის] გიორგის მონასტერი: ახლად აღშენებული მეფის ალექსანდრესაგან, ქ[რისტ]ეს აქეთ ჩლზ“. ამ რუკის შედგენის დროს რუსეთში მყოფ ვახუშტის („ვახუშტის ბიოგრაფიისათვის“, წიგნში: აღწერა

სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. X) გამორჩენია ეს ფაქტი (ზღრ. იქვე, 153), მაგრამ ნ. დადიანს, რომელიც ლიხთ-იშერეთში აღგენდა თავის თხზულებას და ალექსანდრე V-ის მეფობასაც კარგად იცნობდა, უნდა მოეხსენებინა იგი.

317. სოლომონ პირველისა და რუსთა ამბავი აქ ჩამატებულია ნ. დადიანისაგან.

318. 57-ე მეფე იყო ბაგრატ IV (აქვე, ტექსტი, წიგნი I), ხოლო თურქების დროინდელი გიორგი—58-ე მეფე.

319. სოლომონ I-ისა და ქუთათისის ციხის შემუსვრის ამბავი ჩამატებულია ნ. დადიანისაგან (ზღრ. ვახუშტი, გეოგრ., 1941, 157).

320. 56-ე მეფე იყო გიორგი I (აქვე, ტექსტი, წიგნი I), ხოლო ბაგრატი—55-ე მეფე.

321. ვახუშტი ბარაკონის ეკლესიას და მის ამშენებელს არ ასახელებს არც დაბა წესთან (ზღრ. გეოგრ., 159) და არც სხვაგან თავის გეოგრაფიულ თხზულებაში (იქვე, საძიებლები). ნ. დადიანი ავსებს ამ ხარვეზს თავისი ცნობით, რომელიც სწორად გამოხატავს ისტორიულ სინამდვილეს: 1) სოლომონ მეორე 1798 წ. 1-ლ ოქტომბერს შესტამბე რომანოზ ზუბაშვილისათვის მიცემულს წყალობის წიგნში წერდა: „გვიბოძეთ წესს... ვენახი ბარაკონის ვენახი გვერდით-ო“ (ქუთათისის მუზეუმის ისტორიული დოკუმენტი, № 1339); 2) იგივე მეფე 1799 წ. 12 ნოემბრის მეთოდი როსტომის ძე რაქის ერისთვის შეიღისათვის მიცემულს წყალობის წიგნში აგრეთვე აღნიშნავდა: „რაქას ბარაკონი მამისშენის აღშენებული იყო-ო“ (საქ. მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd—6696). ბარაკონის მონასტერი აღნიშნულია აგრეთვე ტ. გაბაშვილის 1737 წლის რუკაზედ (ხელნაწერთა ინსტიტუტის ფოტო-პირების ფონდი, № 164).

322. ეს ტექსტიც, ჩვენგან სპეციალურად გამოყოფილი და „ბოლოსიტყვაობად“ წოდებული, ნ. დადიანის ჩანართია.

323. ვახუშტის „მეგრელი“ მიაჩნია „ეგრი“-დან წარმოშობილად (გეოგრ., 1941, 165). ნ. დადიანი რუსული მეტყველების ზეგავლენით ხმარობს „მენგრელს“. აქვე ნ. დადიანი გამოტოვებს ვახუშტის განმარტებას „ოდიშის“ შესახებ: „ოდიში იყომე ქვეყანა იგი ჩვენი-ო“ (გეოგრ., იქვე). როგორც ჩანს ასეთი ასხნა არ მიიჩნია ნ. დადიანმა დამაჯერებლად.

324. ოდიშის საზღვრების ვახუშტისეულ აღწერაში: 1) „თაქვერიდამევე წარსრული კავკასი ჩრდილოთ, ვიდრე ვგრისის სათავემდე, ოდიშსა და სვანეთ შორისი“ და 2) „ჩრდილოთ კავკასის მთა“ (გეოგრ., 166)—ერთმანეთისაგან გამოცალკეეება და სხვადასხვა საზღვრებად ჩათვლა გაუგებრობას იწვევს, რისთვისაც არც ნ. დადიანს მიუქცევია უურადღება და ხელაღებით ვადაუწერია ვახუშტის ტექსტი.

325. სენაკის ეკლესიის ამშენებლის ვინაობა ჩამატებულია ნ. დადიანისაგან (ზღრ. ვახუშტი, გეოგრ., 166).

326. ხოფის ანუ ხობის ეკლესიის ამშენებლის ვინაობა ჩამატებულია ნ. დადიანისაგან (ზღრ. ვახუშტი, გეოგრ., 167). მაგრამ ეს ეკლესია აგებულია „არა უგვიანეს X—XI საუკუნისა“ (ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, წიგნი: ძველი საქართველო, III, 132).

ჩვენ აქ ხოფი და ხობი ერთ ადგილად მიგვაჩნია. ვახუშტიც „ხოფს“ ხმარობს (გეოგრ., 167), ისე რომ, მისგან განსხვავებით, ცალკე აღარ ლაპა-



რაკობს „ხობის“ შესახებ (შდრ. იქვე, საძიებლები). ივ. ჯავახიშვილის ისტორიულ რუკაზეც „ხოფი“ და „ხობი“ ერთი და იგივეა. წიგნშიც; „საქართველო“ სსრ აღმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა“ (1949 წ.)—მარტო „ხობი“ არის მოხსენებული. რომ „ხოფი“ და „ხობი“ სხვადასხვა ყოფილიყო, მაშინ ოდიშის გეოგრაფიის საუკეთესო მკოდნე ნიკო დადიანი უთუოდ ჩაუმატებდა ხოფთან თავის ცნობას ხობის შესახებ (იგი ხომ ამნაირად მოიქცა კოცხერის ეკლესიასთან დაკავშირებით! იხ. აქვე, 331-ე კომენტარი).

827. ვახუშტი უწოდებს „ჩაისს“ (იქვე).

828. ცაიშის ეკლესიის კვლავ ამშენებლისა და განმაახლებელ-შემამკობელთა ვინაობა ჩამატებულია ნ. დადიანისაგან (შდრ. ვახუშტი, იქვე).

829. ვახუშტი ხმარობს „ქელენჯიხ-ს“ (იქვე). ასევე ივ. ჯავახიშვილის 1923 წ. გამოცემულ ისტორიულ რუკაზეც. ნ. დადიანი, ამისგან განსხვავებით, წერს „ქალენჯიხ-ს“. XVII, საუკუნის მოღვაწე ედემონ ჯაიანი ფრესკებში იწოდება „წალენჯიხელად“ (ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი სამეგრელოში, წიგნში: ძველი საქართველო, ტ. III, 1913—1914, გვ. 215). წალენჯიხა წერია ტ. გაბაშვილის რუკაზეც (ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფოტო-პირების ფონდი, № 164) და ამნაირადვე იწოდება იგი დღესაც (საქართველოს სსრ აღმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, 1949).

წალენჯიხის ეკლესიის ამშენებლის ვინაობა ჩამატებულია ნ. დადიანისაგან (შდრ. ვახუშტი, გეოგრ., იქვე). მაგრამ ნ. დადიანი ცდება; როგორც ე. თაყაიშვილიმა გამოარკვია, ეკლესია აგებულია XIII საუკუნემდე (არხეოლოგ. მოგზ., 210). რაც შეეხება ლევან II დადიანს, იმას იქ აუგია ევგეტერი, რომელშიც თვითონ დაიბარხა (ე. თაყაიშვილი, იქვე, 217).

830. ვახუშტი წერს: „ანაქრია-ს“ (გეოგრ., 1941, 167). ნ. დადიანივით „ანაკლია-ს“ ხმარობს ტ. გაბაშვილიც თავის რუკაზე (ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფოტო-პირების ფონდი, № 164). ამნაირადვეა იგი დაწერილი ივ. ჯავახიშვილის რუკაზეც.

831. კოცხერის ღვთისმშობლის ეკლესია ვახუშტის დასახელებულიც არა აქვს (შდრ. მისი გეოგრ., საძიებლები) და აქ მოტანილი ცნობა შთლიანად ნ. დადიანისაა. ეკლესია რომ ლევან II დადიანის აგებულია, ეს ჩანს კოცხერის ხატების წარწერებიდან (ე. თაყაიშვილი, არხეოლოგ. მოგზ. სამეგრელოში, წიგნში: ძველი საქართველო, III, 204). ოღონდ ის კია, რომ ნ. დადიანი არაფერს ამბობს, უთუოდ თავმდაბლობის გამო, თავის მიერ კოცხერის ტაძრის განახლებაზე (შდრ. იქვე, 201—202).

832. 54-ე მეფე იყო გურგენი (აქვე, ტექსტი, წიგნი I), ხოლო ბაგრატი — 55-ე მეფე.

833. ეს „ბოლოსიტყვაობაც“ ნ. დადიანის ჩამატებულია (შდრ. გეოგრ., 169—170).

834. ნ. დადიანი გამოტოვებს სვანეთის ჩრდილოეთის საზღვარს: „დიდ ყაბარ-ჩერქესს და აზის სვანეთს შორისი კავკასი“ (ვახუშტი, გეოგრ., 172).

835. ტიმოთე გაბაშვილი თავის მიერ 1737 წელს შედგენილ ლისტ-იმერეთის რუკის წარწერებში ფოთის ციხის თურქებისაგან აშენების თარიღად 1723 წელს აღნიშნავს (საქ. მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის „მოამბე“, I, 196).

836. ვახუშტი ლაპარაკობს გურიის აღწერაში სამ საეპისკოპოსოზე: ჯუმათისა, შემოქმედისა და ხინოსაზე (გეოგრ., 174—175). ნ. დადიანს პირ-

ველი და მესამე გამოტოვებული აქეს, რაც მისთვის არ არის დამახასიათებელი, ვინაიდან, (როგორც უკვე აღვნიშნეთ (იხ. აქვე „ცხოვრება და მოღვაწეობა ნიკო დადიანისა“), იგი ყველაზე მეტი ყურადღებით ვახუშტის ისტორიაში საეკლესიო და საფორტიფიკაციო ცნობებს ეკიდებოდა.

**მმ7.** ეს განმარტება, რომელსაც ჩვენ „ბოლონიტიკუობას“ ვუწოდებთ, ჩანატებულია ნიკო დადიანისაგან.

როგორც უკვე ვნახეთ, ასეთი განმარტებითი ჩანარები არაერთგან აქვს გაკეთებული ნ. დადიანს. იგი ამ ჩანარებში ყველგან პირველი პირით ლაპარაკობს და ამით მკითხველზე ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ მას თვითონ მიმოუხილავს ყველა სათანადო ადგილი...

**მმ8.** „თავი 14“ სამივე ნუსხაში წერია „დაწყება... ეგრისად-ის“ შემდეგ. აქ, B ნუსხის 192-ე და 193-ე გვერდების აშეგზე ფანქრით შესრულებული ჩანაწერია (იხ. აქვე: „ნუსხები“, B ხელნაწერის აღწერილობა).

**მმ9.** ვახუშტის განმარტებით, ეგრისის წყალი ზღვას ერთვის ილორთან (გეოგრ., 168). ივ. ჯავახიშვილის რუკაზე მისი შესართავი ილორიდან აღმოსავლეთითაა გადმოტანილი გულდავისთან. ყურადღებას იქცევს ნ. დადიანის შესწორება; მას ეგრისის წყლად ილორის დასავლეთით მიმდინარე ლაღიჭა ზიანია.

**მ40.** მხედველობაშია საკუთრივ აფხაზთა მეფენი: ლეონ II, თეოდოსე I, გიორგი I, იოანე, ადარნასე, ბაგრატ, კოსტანტინე, გიორგი II, ლეონ III, დიმიტრი და თეოდოსე II, რომლებიც ბატონობდნენ 786—985 წლებში (შდრ. ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, II, ზ. კიკინაძის გამოცემა, 1913, 271—275).

**მ41.** აქ ნ. დადიანი გამოტოვებს იმას, რომ ოძრახოს ერისთავის ქვეშევრდომები, დასახლებულნი ჭოროხის სამხრეთით, განუდგნენ ოძრახოსს და შეუერთდნენ ლეონს (ვახუშტი, იქვე, 271).

**მ42.** ნ. დადიანი გამოტოვებს ლეონის ძის თეოდოსე I-ის მეფობას, რაც გრძელდებოდა 806 წლიდან 845 წლამდე (ვახუშტი, იქვე, 272).

**მ43.** აქ ნ. დადიანი ცდება; გიორგი I-ს ასახელებს თეოდოსე II უსინათლოს მაგიერად, რომლის მეფობაშიც (979—985) მოხდა ის, რაზეც იქვე არის საუბარი.

**მ44.** საკუთრივ აფხაზეთის მეფობა ლეონ II-მ დაიწყო 786 წელს და თეოდოსე II-მ დაამთავრა 985 წელს. 786 წლიდან 985 წლამდე განვლო 199 წელიწადმა.

**მ45.** ვახუშტის მიხედვით, ნარინ დავითი ლიხთ-იმერეთის მეფე გახდა 1259 წელს. ბაგრატ მესამემ მეფობა დაიწყო 985 წელს. ამ უკანასკნელიდან 1259 წლამდე განვლო 274 წელიწადმა (ვახუშტი, იქვე, 275—276).

**მ46.** ნ. დადიანს აქ მხედველობაში აქვს მიქელის, ბაგრატ შორაპნის ერისთავისა და მისი ძის ალექსანდრეს ბატონობა (შდრ. ვახუშტი, საქ. ცხოვრება, II, ზ. კიკინაძის გამოცემა, გვ. 277—278).

**მ47.** ეს სიტყვები, რომლებიც მიეწერება გიორგი მეფეს, სამივე ნუსხაში ჩანს მულია მრგვალ ფრჩხილებში.

**მ48.** ნ. დადიანი გამოტოვებს სვანთა ერისთავს გელოანს (შდრ. ვახუშტი, იქვე, 281).

**მ49.** ბაგრატის მეფობის აღწერისას ნ. დადიანს მხედველობიდან გამორჩენია ისეთი დიდი ისტორიული ფაქტები, როგორიცაა ჯერ გურია-ოდიშ-

სვანეთ-აფხაზეთის სამთავროებისა და შემდეგ იმერეთის სამეფოს ცალკე გამოყოფა, აგრეთვე გაერთიანებული საქართველოს ამ ტრაგედიაში სამცხის ათაბაგის ყვარყვარეს ერთ-ერთი წამყვანი მონაწილეობა (შდრ. ვახუშტი, იქვე, 280—281). ამ ფაქტებისათვის ნ. დადიანს განსაკუთრებით იმიტომ უფრო უნდა მიეჭკია ყურადღება, რომ იგი ხომ ფეოდალური საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის ვახუშტისეულ კონცეფციას იზიარებდა! (შდრ. აქვე „ქართველთა ცხოვრების ადგილი და მნიშვნელობა...“).

350. ვახუშტი აქ „ძე-ს“ ასახელებს (იქვე, 283).

351. ვახუშტი მას „გიორგი-ს“ უწოდებს (იქვე, 283).

352. ვახუშტით, ლეონი დასვეს ჯიქეთის ლაშქრობიდან დაბრუნებულმა მებრძოლებმა (იქვე, 285).

353. ვახუშტი ამ ადგილას ხმარობს სიტყვას „შეერთებისათვის“ (იქვე, 288).

354. ვახუშტი ასახელებს ოზურგეთს, სადაც ბათულია დაპატიმრა გურიელმა, ამასთანავე, ბათულია ოზურგეთში თვითონ კი არ მომკვდარა, არამედ მეფისა და დადიანისაგან მოიკლა (იქვე, 293). რატომ შესცვალა ვახუშტის ცნობა ნ. დადიანმა ან საიდან მოიტანა მან ლეხორი, ჩვენთვის გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ შემდეგს. ვახუშტი თავის გეოგრაფიაში ასახელებს ლეხურის ციხეს (1941 წ. გამოც., გვ. 175). „ლეხურის ციხე“ წერია ტიმოთე გაბაშვილის რუკაზეც: „ლეხურის ციხე — გურიელის-ო“ (ხელნაწ. ინსტ. „მოამბე“, I, 194). მაგრამ ოზურგეთში ვახუშტი გურიელის მარტო „სასახლეს“ ასახელებს (იქვე). ტიმოთეს რუკაზეც არაა აღნიშნული ოზურგეთში „ციხე“, არამედ წერია: „ოზურგეთი და მისი საყდარი“ (იქვე). მაშასადამე, ოზურგეთში გურიელს ციხე არ ჰქონია.

ამას გარდა, საყურადღებოა ისიც, რომ ნ. დადიანი „ლეხორს“ განსხვავებული ფორმით ასახელებს, ვიდრე ვახუშტი და ტიმოთე გაბაშვილი, რომლებიც მას „ლეხურს“ უწოდებენ (იქვე). ივ. ჯავახიშვილის რუკაზე „ლიხური“ წერია.

355. ვახუშტის მიხედვით, ლევან დადიანისშვილის დალუქვა გიორგი გურიელმა მოიმოქმედა „განზრახვითა მამია დადიანისათა“ (იქვე, 294). ნ. დადიანს ამის მთავარ მოქმედელ ლევანის ბიძა, მამია დადიანი მიუჩნევია, ვინაიდან წაეფის ციხე მდებარეობდა ოდიშში და იქვე დადიანის სასახლეც იყო (შდრ. ვახუშტი, გეოგ., 166). ამიტომ უნდა გამორჩეულია ნ. დადიანს აქ გურიელის მონაწილეობა.

ამასთან დაკავშირებით „წიფის“ სახელწოდებაზე უნდა ითქვას შემდეგი. ვახუშტი თავის გეოგრაფიაში წერს „შხეთს“ (1941 წ. გამოც., გვ. 166). ივ. ჯავახიშვილის რუკაზეც ასეა იგი დასახელებული. მაგრამ ვახუშტისავე ისტორიაში წერია „შხეთი“ (წიფნი II, 1913 გამოც., გვ. 294; ხელნაწერთა ინსტიტუტი, A—756, ვახუშტის ისტორიის პირი, 137 რ). თუმცა მისსავე ქორონიკონებში ისევ „შხეთი“ არის ჩაწერილი (იქვე, 1913 წ. გამოც., 374, A—756, 148 რ).

ვინაიდან ნ. დადიანი ძალიან კარგად იცნობდა ოდიშის ტოპონიმიკას, ისევე როგორც ვახუშტის ისტორიულ-გეოგრაფიულ ცნობებსაც, და „შხეთს“ „შხეთი“ ამჯობინა, ჩვენც ამ უქანასკნელ ფორმას ვანიჭებთ უპირატესობას.

356. აქედანვე ჩანს, რომ ლეონ დადიანისშვილის ტრაგედიაში გურიელის მონაწილეობა ხელოვნურად ამოუღია ნ. დადიანს (შდრ. აქვე, 355-ე კომენტარი).

357. ვახუშტი, 1585 წელს გარდაიცვალა (საქ. ცხ., II, 1913, 294).

358. ვახუშტის გადმოცემით, მეფისა და დადიანის მტრობა გამოიწვია იმან, რომ მამია დადიანი არ დაეხმარა ლეონ მეფეს ქართლის მეფის სვიმონ პირველის წინააღმდეგ, რომელმაც 1588 წელს იმერეთი დაიკავა და ლევანი იქიდან გააძევა (შდრ. ვახუშტი, იქვე, 295). მაგრამ ვინაიდან ნ. დადიანს გამოტოვებული აქვს სვიმონის ლაშქრობა, დაუსახელებელი დარჩენია მამია დადიანზე იმერეთის მეფის გადამტერების მიზეზიც.

359. ვახუშტი წერს: „ბაგრატ ძე თეიმურაზისა ვახტანგის ძისა“ იყო (იქვე, 296). ვახტანგი იყო ძმა ბაგრატ III-ისა. თავისი მეფე-ძმისაგან უკმაყოფილო ვახტანგი, იმერეთის მრავალ დიდებულთან ერთად, ქართლში გადასახლდა. ბაგრატ III-მ იგი მოხისს დაამარცხა, ქართლის მეფის დავითის შუამდგომლობით დაეხვეა და კვლავ იმერეთს ჩაასახლა (ვახუშტი, იქვე, 285—286). ამ ვახტანგის შთამომავალი უნდა იყოს ბაგრატ თეიმურაზის ძე, რომელმაც გურიელის დახმარებით ტახტი წაართვა იმერეთში როსტომ მეფეს.

ვახტანგ ბატონისშვილისა და ბაგრატ III-ის ამბავი თავის ადგილზე გამოტოვებული აქვს ნ. დადიანს, რომელიც შემდეგ აღარც მისი შთამომავლის ძიებას გამოეყენა, ისე მოულოდნელად შემოაპარა მკითხველს სრულიად უცნობი პირი.

ვინაიდან ნ. დადიანი გენეალოგიურ კვლევა-ძიებაში ჩამორჩება ვახუშტის (იხ. აქვე „ქართველთ ცხოვრების“ ადგილი და მნიშვნელობა...), ასეთი ნაკლოვანებანი მრავალადაა მისი თხზულების როგორც კონსპექტურ, ისე ორიგინალურ ნაწილებში.

360. 1590 წელს (შდრ. ვახუშტი, იქვე, 295—296).

361. ეს მოხდა ვახუშტის მიხედვით 1590 წელს (იქვე, 297).

362. 1591 წელს (იქვე).

363. ლეონი მაშინ (1597 წელს) იყო 6 წლისა (იქვე).

364. იგი იყო არა ბიძა, არამედ პაპა ლეონისა: ალექსანდრე (იქვე).

365. 1600 წელს (იქვე).

366. 1604 წელს (იქვე, 298).

367. 1609 წელს (იქვე, 298).

368. 1618 წელს (იქვე, 300).

369. ვახუშტი წერს: „კოპორაურს“, „გოპორაურს“ (იქვე, 300, 376). ეს უნდა იყოს ახლანდელი გოპოურა (შდრ. ნ. ბალანჩივაძე, ფურცლები ქუთაისის ისტორიიდან, გაზეთში: „სტალინელი“, 1959, № 102).

370. 1625 წელს (იქვე, 301).

371. გურიელისადმი ლ. დადიანის შეთვლილი სიტყვები სამივე ნუსხაში ჩასმულია მრგვალ ფრჩხილებში.

372. 1648 წელს (შდრ. ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, წ. II, 1913, 304).

373. ლეონ II დადიანს ჰყავდა ცოლ-შვილი, მაგრამ ცოლისადმი ექვია-ნობის ნიადაგზე ზარბაზნის ყუმბარით დაგლიჯა ისინი? შემდეგ შეირთო მეორე ცოლი, მაგრამ მასთან შვილი არ ჰყოლია (ვახუშტი, იქვე, 303). ნ. დადიანს ეს ეპიზოდი გამოტოვებული აქვს.

374. სიტყვები: „აქა იხილეთ. თუ ერთი კეთილი გვამი ვითარ მოაკლდების ქვეყანასა“—სამივე ნუსხაში ჩასმულია მრგვალ ფრჩხილებში; ისინი ეხება ქაიხოსრო გურიელს და ჩამატებულია ნ. დადიანისაგან.

375. ბანძის ომში მტრის მხარეზე მონაწილეობისათვის ალექსანდრე მეფემ სტამბოლს გაქცეული ქაიხოსრო გურიელის ადგილზე დასვა დიმიტრი, ძე სვიმონ გურიელისა (იქვე, 307). ეს ეპიზოდი გამოტოვებული აქვს ნ. დადიანს.

376. ვახუშტი წერს: „ქაქვიოს“ (იქვე, 309). დღეს მას ეწოდება „ჯაქვინჯი“ (საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, 1949). ხოლო ისტორიულ წყაროებში ამნაირად („ქაქვინჯი“) დასახელებულია იგი კიდევ ერთგან: ლევან დადიანის 1640 წლის წმინდა ნიკოლოზის ხატის წარწერაში (თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, 455). მაგრამ მეორეგან, მარტვილის ეკლესიის ღვთისმშობლის ხატის ლევან II დადიანისავე წარწერაში წერია „ქაქვიჯი“ (ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზ. სამეგრელოში, წიგნში: ძველი საქართველო, III, გვ. 55). ივ. ჯავახიშვილის რუკაზეც „ქაქვიჯი“ არის. ასე რომ: ნ. დადიანის მიერ ვახუშტის „ქაქვითი“ გადასწორება „ქაქვიჯად“ სწორი უნდა იყოს.

377. 1666 წელს (ვახუშტი, საქ. ცხ., II, 1913, 310).

378. 1667 წელს (იქვე).

379. ვახუშტი წერს 20 ათას მარჩილს: „ქ მარჩილი“ (იქვე).

380. 1669 წელს (იქვე, 311).

381. 1669 წელს (იქვე).

382. ქუთათისის ციხის აღება რუსთა მიერ სოლომონ პირველის ინიციატივით ჩამატებულია ნ. დადიანისაგან (შდრ. ვახუშტი, იქვე, 312).

383. ვახუშტის მიხედვით ეს იყო 1672 წელს (იქვე, 313).

384. ეს მოხდა 1674 წელს (იქვე).

385. ეს მოხდა 1678 წლის სექტემბერში (იქვე, 314).

386. შეცდომაა, უნდა იყოს 1680 (იქვე, 316).

387. აქ ნ. დადიანს გამოტოვებული აქვს შემდეგი ფაქტი: ბაგრატ მეფემ რომ 1678 წელს დადიანი დაამარცხა, შემდეგ ამ უკანასკნელმა ტახტი დაიბრუნა გურიელთან ზავის ჩამოკლებით, რისთვისაც მას თავისი ვაჟი მანუჩარი მიძევლად მისცა (შდრ. იქვე, 315).

388. ამ ხატს ვახუშტი უწოდებს „ლანქერნის ღვთის-მშობელს“ (ზ. ტიქონაძის გამოც., 318). იქვე გამოცემული ტიქონაძე ასწორებს: „ვლაქერის უნდა-ო“. ტიმოთე გაბაშვილი ხმარობს „ვლაქერნს“. თავის რუკაზე შემოქმედის წარწერაში მას აღნიშნული აქვს: „ყოვლად წმიდის სარტყელი აქ ძეს ვლაქერნისა-ო“ (ხელნაწ. ინსტიტუტის „მოამბე“, I, 196). პ. იოსელიან წერს „Влахернская икона“-ს (Описание древностей города Тифлиса, 1866 стр. 17). „ვლაქერნს“ დასახელებს ი. მეუნარგიაძე, რომელიც თავის მხრივ აღნიშნავს, რომ „ვლაქერნი“ რქმევია სტამბოლის ერთ კუთხეს, სადაც დგმულა ეკლესია, რომელშიც დასვენებული ყოფილა ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი (სამეგრელო დაეით დადიანის დროს, 1939, 49).

ეს ხატი ჰერაკლე კეისარია უბოძა საქართველოს ეკლესიას VII საუკუნეში (პ. იოსელიანი. დასახ. ნაშრომი, იქვე) და შემდეგ სამეგრელოში ინახებოდა.

389. ეს იყო 1689 წელს (ვახუშტი, იქვე, 320).

390. ამ ადგილას ვახუშტი წერს: „გარნა იყო ოდიშს ქირი გიორგი ლიპარტიანისაგან კლვითა და ტყვითა ყიდიისათა და უმეტეს ატხაბთაგან“...

(იქვე, 321). არ ასახელებს რა გიორგი კაციას ძე ჩიქვან-ლიპარტიანს, ნ. დადიანი ამ შემთხვევაში იჩენს მიკერძობებას თავისი უძველესი წინაპრის მიმართ. ამ ნათესაურ გრძობას იგი ძალიან იშვიათად ამჟღავნებს როგორც ძველი, ისე ახალი დადიანების მიმართ, მაგრამ სადაც კი ვერ თარავს. მას, ეს ნ. დადიანის, როგორც ისტორიკოსის, სერიოზული ნაკლია.

**391.** ვახუშტი წერს: „ქილაძე-მიქელაძენი და ბეჟან ლორთქიფანიძეო“ (იქვე, 322).

**392.** ვახუშტი წერს: „მისცა თავობა ლეჩხუმისაო“ (იქვე).

**393.** ვახუშტის მიხედვით, არჩილი ბრძოლას გაეცალა ყირიმში წასასვლელად, საიდანაც მას ცნობა მოუვიდა მისი დესპანის იქაურ ხანთან მისვლის შესახებ (იქვე, 322). ნ. დადიანი კი არჩილის წასვლის მთავარ მიზეზად გიორგი ლიპარტიანს მიიჩნევს; ამ უქანასკნელზე ჩაურთავს იგი თავის მხრივ იმას, რაც იქვე მრგვალ ფრჩხილებშია ჩასმული, მაშინ როცა გვერდს უვლის ვახუშტის შემდეგ სიტყვებს: „... იყო ლიპარტიანი უღთო, ცრუ-ფიც, უბირო, ტყვის-მყიდველ“... (იქვე, 322). აქაც ნ. დადიანი მიკერძობებულად წერს და რამდენადმე აყალბებს (შდრ. აქვე № 390 კომენტარი).

**394.** ეს იყო 1690 წელს (ვახუშტი, იქვე, 324).

**395.** ვახუშტი წერს, რომ ლეჩხუმის მიცემაზე უთხრა უარი არჩილ მეფემ გიორგი ლიპარტიანსო (იქვე, 325).

**396.** „ეწინოდა ლიპარტიანისაგან-ო“ ნ. დადიანი ჩაუმატებს (შდრ. ვახუშტი, იქვე, 325 და აქვე, 390-ე და 393-ე კომენტარები).

**397.** მრგვალ ფრჩხილებში მოთავსებული სიტყვები განმარტავს შემდეგს: ვინაიდან არჩილ მეფის მოლაშქრეები ბაგრატის ტაძრიდან აყენებდნენ ვნებას ქუთაისის ციხეს, რომელშიც თურქები იმყოფებოდნენ, ამიტომ ამ უქანასკნელებმა იერიში მიიტანეს ქართველების ციტადელზე და დაანგრის ეკლესია. ეს ვახუშტის შემდეგნაირად აქვს გაზოქმული: „გამოვიდნენ ციხიდან ოსმალი და შემუსრეს... ეკლესია... ვინადაც ანგებდნენ ციხესა მუნიდამ ფრიად“ (იქვე, 325).

